

K 252116
3



გიორგი ქავთარაძე

საქართველოს სახელმწიფოებრივი
განვითარების საკითხები

კავკასიოლოგიური სერია, II



კავკასიოლოგიური სერია, II
Caucasiological Series, II

გიორგი ქავთარაძე

Giorgi Leon Kavtaradze

საქართველოს სახელმწიფოებრივი
განვითარების საკითხები

(ადრეული ხანიდან)

THE PROBLEMS OF STATE DEVELOPMENT OF GEORGIA

(from the earliest times)

თბილისი – Tbilisi
2006



ნაშრომში განხილულია ქართული სახელმწიფოებრიობის მემკვიდრეობის მნიშვნელობა ვალსაუკუნოვანი განვითარების პრობლემატიკასთან დაკავშირებული არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ძვ. წ. II-I ათასწლეულების მიჯნაზე ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში არსებულ დაიენი-დიაუნის სახელმწიფოებრივი წარმონაქმნისა და იბერიის სამეფოს აღმოცენება-ჩამოყალიბების საკითხებს, აგრეთვე, გეოგრაფიული ფაქტორის მნიშვნელობას ცენტრალური ამიერკავკასიის ისტორიაში. საგანგებო კვლევის მიზანს წარმოადგენს საქართველოს პოლიტიკურ ორიენტაციაში მიმართულებათა მონახაზის წარმოდგენა, საკუთრივ საქართველოს, საზოგადოდ ამიერკავკასიისა და უფრო ვრცელი (შავი და კასპიის ზღვების აუზების მომიჯნავე) არეალის პოლიტიკურ ცხოვრებაში არსებული ტენდენციების ფონზე და ამ ტენდენციათა ურთიერთმიმართების ხასიათის გარკვევა.

ფართო წყაროთმცოდნეობითი ბაზისა და მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურის გამოყენების საფუძველზე შექმნილი ისტორიული ხასიათის ნაშრომი საინტერესო იქნება, როგორც სპეციალისტებისათვის, ასევე მკითხველთა ფართო წრისთვისაც.

რედაქტორი პროფესორი ტარიელ ფუტყარაძე

რეცენზენტები: პროფესორი მერი ინაძე
 პროფესორი თეიმურაზ გვანცელაძე
 პროფესორი მანანა ტაბიძე

K 252416

გიორგი კავთარაძე. Вопросы развития государственности в Грузии (с ранних эпох). Тбилиси, 2006. Иберийско-Кавказский Международный Научный Центр, Кавказоведческая серия, II.

© გ. ქავთარაძე, 2006

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2006

თბილისი, 0128, ი. ჯავახიშვილის გამზ. 1, ☎: 29 09 60, 8(991) 17 22 30
 E-mail: universal@internet.ge

ISBN 99940-61-85-2
საქიპ-2007
შემოწმებულია

საქართველოს
 პარლამენტის
 ეროვნული
 ბიბლიოთეკა

შესავალი

დედამიწის აღმოსავლეთ ნახევარსფეროს რუკაზე თვალის ერთი გადავლებაც კი საკმარისია ამიერკავკასიის ექტრორდინალური, გარკვეული თვალთახედვით, შეიძლება ითქვას ცენტრალური, მდებარეობის დასახნად. მისგან ჩრდილოეთით განლაგებულია გამოკვეთილად ჩრდილოური ქვეყანა, რუსეთი, სამხრეთით – ტიპური ახლოაღმოსავლური თურქეთი და ირანი, დასავლეთიდან შავი ზღვა გამოყოფს მას აღმოსავლეთ ევროპისაგან, ხოლო აღმოსავლეთით კასპიის ზღვა – ცენტრალური აზიისაგან. ამიერკავკასიის ასეთი საშუალოდ მდებარეობა მიზეზი უნდა ყოფილიყო მისი ეთნო-კულტურული მრავალფეროვნების, რაც შემჩნეული ჰქონდათ ჯერ კიდევ კლასიკური ხანის მწერლებსა და მოღვაწეებს. როგორც ჩანს, სწორედ გეოპოლიტიკური ხასიათის ფაქტორებმა გამოიწვია არა მხოლოდ კლასიკური ხანის შუაგულ ამიერკავკასიაში სახელმწიფოებრიობის აღმოცენება, არამედ აგრეთვე განაპირობა მისი ისტორიული განვითარება საშუალო საუკუნეებში, ახალ და უახლეს ხანებში.

ამიერკავკასიის დასავლეთ და ცენტრალურ ნაწილებში მდებარე საქართველო, ადრეული ხანების კოლხეთი და იბერია, კლასიკური ხანის ბერძნული მითოლოგიისათვის ოქროს საწმისის და პრომეთეოსის ქვეყანაა. იგი, მართლაც პრომეთეოს-ამირანისავით არის მიჯაჭვული კავკასიონის დიდ მთაგრეხილზე. როგორც ჩანს, სწორედ გეოპოლიტიკური ხასიათის ფაქტორებმა გამოიწვია არა მხოლოდ კლასიკური ხანის შუაგულ ამიერკავკასიაში სახელმწიფოებრიობის აღმოცენება, არამედ აგრეთვე განაპირობა მისი ისტორიული განვითარება საშუალო საუკუნეებში, ახალ და უახლეს ხანებში.

ფიზიკური გეოგრაფიის თვალთახედვით ამიერკავკასია ანუ უკანასკნელ ხანებში სულ უფრო ხშირად და ჩემი აზრით არცთუ მთლად მართებულად გამოყენებული ნომენკლატურით – "სამხრეთი კავკასია" (იხ., ქვემოთ), სამი მხრიდან – ჩრდილოეთიდან, დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან, მკვეთრად გამოკვეთილი ბუნებრივი ზღუდეებითაა შემოფარგლული – კავკასიონის მთაგრეხილით, შავი და კასპიის ზღვებით, ხოლო სამხრეთის საზღვარი არ არის ამავე დონის გლობალური მნიშვნელობის მქონე მიჯნით გამოყოფილი. სამხრეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ზღვრად ძირითადად მდინარე არეზის დინება მიიჩნევა ხოლმე. რაც შეეხება სამხრეთ-დასავლეთს, ამ მხრიდან გამყოფად ჯერ რუსეთის იმპერიის, ხოლო შემდეგ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვარი ითვლებოდა. ამდენად ამ მონაკვეთის სივრცობრივი განზომილება საბჭოთა კავშირის დეზინტეგრაციისა და შესაბამისად მისი სახელმწიფო საზღვრის (რომელიც ამავე დროს "რკინის ფარდის" ფუნქციასაც ასრულებდა) მოშლის შემდეგ

გადასინჯვას მოითხოვს. ასეთ მიჯნად ამიერკავკასიის სამხრეთ-დასავლეთი საზღვრისათვის შეიძლება ჩაითვალოს მდინარე არეზის ზემო წელის დინება (რაც სავსებით ბუნებრივია თუ გავავრცელებთ ზემომოყვანილ ცნობას სამხრეთის მხრიდან მისი მსაზღვრავი ფუნქციის შესახებ) და მისგან დასავლეთით მიმდინარე ხაზი პალანდიონკენის მთაგრეხილიდან ჩრდილოეთისაკენ კოპის ქედის გადაკვეთით მდ. ჭოროხის შუა და ქვემო დინებების გაყოლებით შავ ზღვამდე გამავალი. ამიერკავკასიის საზღვრის ასეთი განსაზღვრება მეტ-ნაკლებად ემთხვევა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის ისტორიულ საზღვარს (ერზურუმის მხარის გამოკლებით).

ამიერკავკასიის ასეთი ტერიტორიული დეფინიცია, ზრდის მის არეალს მდინარეების არეზის, ეფფრატის (კარა-სუ) და ჭოროხის ზემო წელის სანახებით, სადაც მდებარეობდა ასურულ-ურარტული წყაროების დაი-აენი/დაიუხის ქვეყანა.

საქართველო ისტორიულად სამი ძირითადი – აღმოსავლეთი, დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი – ნაწილისაგან შედგება. სამივე ეს მხარე ჩამოყალიბებული იყო მათივე წიაღში არსებულ უმთავრეს მდინარეთა აუზების გარშემო: აღმოსავლეთი საქართველოსათვის განმსაზღვრელი იყო მტკვრის აუზი, დასავლეთი საქართველოსათვის – რიონისა, ხოლო სამხრეთ-დასავლეთისათვის – ჭოროხის. აღმოსავლეთ საქართველოში სხვადასხვა ეპოქებში აღმოცენდა წარმართული იბერია, ქრისტიანული ქართლი (ივერია) და ქართლ-კახეთის სამეფო, დასავლეთ საქართველოში – კოლხეთი, ვერისი/ლაზიკა, აფხაზეთისა და იმერეთის სამეფოები, ხოლო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე – დაი-აენი/დაიუხი, ხორძენე-მოსხიკე, ტაო-კლარჯეთი და სამცხე-საათაბაგო.

ადრეულ სახელმწიფოთა წარმოქმნა-ჩამოყალიბების თავისებურებანი

სახელმწიფოთა წარმოქმნისა და მათი შემდგომი განვითარების კვლევა, მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია. განსაკუთრებული აქტუალობა მან დღეს შეიძინა - მთელი რიგი ძველი ქვეყნების დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და ახალი სახელმწიფოების აღმოცენების ეპოქაში. საქართველოშიც სახელმწიფოებრიობის წარმოქმნა-ჩამოყალიბების საკითხები ისტორიკოსთა ფართო ინტერესის საგანია. საქართველო მიჩნეულია ერთადერთ ქვეყნად ქრისტიანულ სამყაროში, რომლის სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული განვითარება უწყვეტად შეიძლება ჩაითვალოს კლასიკური ხანებიდან დაწყებული XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის მიერ მისი ანექსიის ხანამდე.¹

სახელმწიფოსა და მისი ინსტიტუციონალური სტრუქტურების ჩამოყალიბების პროცესი დროის ვრცელ მონაკვეთს მოიცავს ადრეული ბრინჯაოს ხანიდან (ძვ.წთ. IV ათასწლეულის მესოპოტამია-ეგვიპტე) თანამედროვეობამდე. შესაბამისად ამისა, გარდაუვალი ხდება სახელმწიფოებრიობის წარმოქმნის პროცესისათვის დამახასიათებელი ცალკეული ქრონოლოგიური დონეებისათვის განსხვავებული მეთოდოლოგიური მიდგომის არსებობა.

კომუნისტური სისტემის რღვევამ შესაძლებლობა მისცა აღნიშნული სისტემისადმი ადრე მიკუთვნებული ქვეყნების საციალისტებს გამოეყენებინათ კვლევისას ისეთი მეთოდოლოგიური საფუძვლები, რომლებიც საგრძნობლად არიან დაშორებული მარქსიზმ-ლენინიზმის დოგმებს და რომელთა გამოყენება მათთვის ადრე წარმოდგენილი იქნებოდა. ადრეული კავკასიის პოლიტიკურ ისტორიის შესწავლასთან და ამასთანავე ადრეული სახელმწიფოების წარმოქმნა-ჩამოყალიბების საკითხებთან დაკავშირებით განსაკუთრებით ეფექტურად არნოლდ თოინბის ე. წ. "გამოწვევისა და პასუხის", ანუ "სტიმულისა და რეაქციის" (*Challenge-and-Response*) მოდელის გამოყენება მიგვაჩნია, ვინაიდან, ცენტრალურ ამიერკავკასიაში სახელმწიფოებრიობის იდვის წარმოქმნა-განვითარება თავის "გამოწვევას" თუ "სტიმულს" (*challenge*) სწორედ ადგილობრივი ბუნებრივი და საზოგადოებრივი გარემოს "პასუხში" ანუ "რეაქციაში" (*response*) პოულობდა.²

შენიშნულია, რომ საზოგადოთ ყველა ადგილისათვის და ხანისათვის დამახასიათებელი ადრეული სახელმწიფოების სტრუქტურა, ფუნქციონირება და ევოლუცია ერთმანეთთან შესამჩნევ მსგავსებას ავლენს. ეს გარე-

¹ Toumanoff 1943, 139.

² Toynbee 1956, 31, 101, 208ff.; იხ. ჭავთარაძე 1997.

მოება თითქოს იმედს იძლევა, რათა მოხდეს ცნების “ადრეული სახელმწიფო” საყოველთაოდ მისაღები განსაზღვრა და მისი ზოგიერთი ძირეული მახასიათებლების შემუშავება.³

სპეციალურ ლიტერატურაში ჩვეულებრივ გამოყოფენ რიგ ფაქტორებს, რომლებიც თავს იჩენენ სახელმწიფოებრიობის წარმოქმნისას: 1. მოსახლეობის ზრდა და ზეწოლა; 2. ომი, ომის ან დაპყრობის საფრთხე, ლაშქრობები; 3. დაპყრობა; 4. პროგრესი წარმოებაში და ნამატისათვის ხელშეწყობა, ხარკი, დოვლათი; 5. იდეოლოგია და ლეგიტიმაცია; 6. უკვე არსებული სახელმწიფოების ზეგავლენა. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებები თავს იჩენენ მოსახლეობის ზრდის დაწყებამდე. ომს ან ომის საფრთხესა და ლაშქრობებს, ანდა ლაშქრობების ჩატარებისა და ხარკის აღების საჭიროებას – მიუხედავად მათი დანიშნულებისა თუ მიზეზისა – ყველაფერს ამას ჰქონდა ერთი და იგივე შედეგი, სახელდობრ, უფრო ძლიერი წინამძღოლის გაჩენა და უკეთესი ან უფრო ძლიერი ორგანიზაციის აღმოცენება, იმისდა მიუხედავად თუ რისთვის იყო იგი განკუთვნილი თავდაცვისათვის თუ თავდასხმისათვის. ორგანიზაციის ასეთი ფორმების წარმოქმნა კმნიდა სამხედრო ძალების რჩენისათვის საკვებითა და სხვა საგნებით რეგულარული მომარაგების მუდმივ საჭიროებას, მეომართათვის კომპენსაციას და კომუნიკაციების დამყარებას გზების, ნაკების, ჯაშუშებისა და შიკრიკების საშუალებით და ა.შ. შესაბამისად, სახელმწიფოს წარმოქმნა გამოწვეული ჩანს, არა იმდენად საკუთრივ ომის ფენომენით, რამდენადაც მას მნიშვნელოვანწილად ხელი ეწყობოდა, როგორც ომის წარმოებით, ასევე არანაკლებ ომის საფრთხის არსებობით და ორივე ამ მოვლენის – ომისა და მოსალოდნელი ომის საფრთხის – შედეგად აღმოცენებული სოციალური სტრესით.⁴

ეს მომენტი განსაკუთრებით საყურადღებო ჩანს, ჩვენი საკვლევი თემის თვალთახედვიდან, ვინაიდან თუნდაც მხოლოდ ცენტრალური ამერიკაკასიის ადგილმდებარეობის ფაქტორი თავად იყო განმაძირობებელი პერმანენტული საფრთხისა და შესაბამისად აქაურ საზოგადოებებში მუდმივად არსებული სტრესული მდგომარეობის აღმოცენებისათვის.

ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოდ მიგვაჩნია დ. ვებსთერის მიერ რ. კარნიეროს თეორიის მოდიფიკაცია, რომლის თანახმადაც, მოსა-

³ Claessen & Skalnik 1978, 5.

⁴ Claessen & Skalnik 1978a, 626.



ლონდონელი ომის მხოლოდ საფრთხის არსებობაც კი იძლევა ევოლუციური ცვლილებისათვის მეტად ხელსაყრელ გარემოს და არაეფექტურად აქცევდა სოციალურ-პოლიტიკური ევოლუციისათვის დამახასიათებელ მრავალ შინაგანი ზემოქმედების საშუალებას, სხვა შემთხვევებში უზვად წარმოდგენილს განსხვავებული რანგების მქონე საზოგადოებებში. მისი აზრით, ასეთი საფრთხე ქმნიდა უფრო სტაბილურ მმართველობას, ხოლო ბელადი (ლიდერი, chief) უფრო ძლიერი ხდებოდა.⁵

ჯერ კიდევ 19 საუკუნის დამლევს, პ. სპენსერი ვარაუდობდა, რომ ომისათვის საჭირო ორგანიზაციული შესაძლებლობები, იერარქიული სისტემა და ცენტრალიზებული სარდლობა საზოგადოებაში სამხედროებისაგან ვრცელდებოდა – მეომრები მეფეები ხდებოდნენ და მმართველობაში სამხედრო დისციპლინა შეჰქონდათ.⁶ რონალდ კოენიც ფიქრობს, რომ ომიანობა კავშირშია სახელმწიფოს წარმოქმნასთან; მისი სიტყვებით, "ომი ხელს უწყობს ცენტრალიზებული სახელმწიფოს აღმოცენებას". მიუხედავად სახელმწიფოს წარმოქმნასთან ომიანობის მიზეზობრივი კავშირის უშუალო დაკავშირების სირთულისა, მას მიაჩნია, რომ სწორედ იგია ძირითადი გამოძწვევი ფაქტორი, ხოლო სირთულე იმაშია, რომ ომი ზოგჯერ იწვევს სახელმწიფოს აღმოცენებას, ზოგჯერ არა, ხოლო ზოგჯერაც იგი სახელმწიფოს ჩამოყალიბების წინაპირობად ანდა შედეგად გვევლინება.⁷

ზოგიერთი ავტორის (მაგ. ფრანც ოპენჰაიმერი) დაკვირვებით, დაპყრობებია საძიებელი სახელმწიფოთა საფუძველში. სამხედრო ძალის, ომისა და დაპყრობების ზეგავლენა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სახელმწიფოებრიობის წარმოქმნაში. სახელმწიფო წარმოადგენდა ჩაგვრის იარაღს, განსაზღვრულს სოციალური უთანასწორობის ლეგიტიმირებისათვის. ჰენრი კლაესენისა და პეტერ სკალნიკის სამუშაო დეფინიციით, ადრეული სახელმწიფო წარმოადგენს ორგანიზაციას იმ საზოგადოებაში სოციალური ურთიერთობების რეგულაციისათვის, რომელიც იყოფა ორ წარმოქმნილ სოციალურ კლასად: მმართველებისა და მათგან მართულებისაგან.⁸

რობერტ კარნიეროს შეხედულებით, ჭარბი მოსახლეობის წნეხი, ომიანობასთან და დაპყრობასთან ერთად იყო სახელმწიფოებრიობისაკენ

⁵ იხ. Claessen & Skalnik 1978, 13-14.
⁶ იხ. Cohen 1978, 45.
⁷ Cohen 1978, 46.
⁸ Claessen & Skalnik 1978, 21.

მიმართულებით ევოლუციის ძირითადი მამოძრავებელი ძალა ანუ მოსახლეობის ზრდას მოსდევდა ზეწოლა არსებულ რესურსებზე. მისი აზრით, ეს ფაქტორები წარმოადგენდნენ სახელმწიფოებრიობის წარმოქმნის მექანიზმებს, ოღონდ მხოლოდ განსაკუთრებულ განსაზღვრულ გარემო და საზოგადოებრივ პირობებში. პირველ შემთხვევაში მზარდი მოსახლეობის საცხოვრებელი არეალი იზოლირებული იყო მთებით, ჯუნგლებით, უდაბნოებითა და ზღვებით; მეორე შემთხვევაში მოსახლეობის გარკვეული ჯგუფი შემოსაზღვრული იყო სხვა ასეთივე ჯგუფებით და ამდენად მზარდი მოსახლეობისათვის საცხოვრებელი ტერიტორიის გაფართოება შეუძლებელი ხდებოდა და იქმნებოდა ჭარბი მოსახლეობის წნეხი. გარკვეული ხანის გავლის შემდეგ გარდაუვლად დგებოდა დრო, როდესაც ტომის მიწა-წყლის ზრდა შესაძლებელი ხდებოდა მხოლოდ მეზობლად მდებარე ფართობების დაპყრობის საშუალებით, რაც ცხადია ნიშნავდა ომს მეზობელ ტომებთან. ეს პროცესი მთავრდებოდა მთელი ამ შემოსაზღვრული და სხვათაგან გამოცალკევებული ტერიტორიის მოქცევით რომელიმე ერთი დომინირებული ეთნიკური ჯგუფის ხელქვეით, ხოლო დამარცხებულები უნდა შეგუებოდნენ გამარჯვებულებისათვის ხარკის გადახდასა და მათ მორჩილებას.⁹

ყოველ ცალკეულ რეგიონში ერთი საზოგადოებრივი ჯგუფის მიმართება მეორესთან წარმოადგენს ადრეული სახელმწიფოს წარმოქმნისათვის დამხმარე პოტენციურ ძალას. ომიანობა, დაპყრობები, ვაჭრობა, კონკურენცია ეთნიკური და ეკოლოგიური თვალთახედვით გაბატონებული მდგომარეობი მიღწევისათვის, უპირატესობა სამხედრო ტექნოლოგიაში, შემოსევების მიმართ თავდაცვითი რეაქცია, ხარკის გადახდელთა მიერ მისი შეწყვეტისაკენ მისწრაფება, ყოველივე ამას მაღალი ხარისხის წვლილი შექონდა ცენტრალიზებული ხელისუფლების ჩამოყალიბებაში და იერარქიული ადრეული სახელმწიფოების ზრდაში.¹⁰

რიგი მეცნიერებისა თვლის, რომ პირველადი საზოგადოებრივი ევოლუცია და სახელმწიფოს აღმოცენება თავის მხრივ შემდეგ აყალიბებს საფუძველს ომიანობის მზარდი მასშტაბების, სიხშირისა და წარმატებისათვის. ელმან სერვისის შეხედულებით ომი და დაპყრობები შედეგია სახელმწიფოს ფორმირებისა,¹¹ თუმცა ამის საპირისპირო აზრიც აგრევე

⁹ Carneiro 1970, 733-738.

¹⁰ Cohen 1978, 51.

¹¹ მაგ. Service 1975, 270.

მართებულია; ამდენად, მაინცდამაინც ცხადი არ არის ადრეული სახელმწიფოების დაპყრობის შედეგად ყალიბდებიან თუ პირიქით ადრეული სახელმწიფოების ჩამოყალიბებას თან სდევს დაპყრობები. თუმცა ზოგიერთი სახელმწიფოს წარმოქმნა უეჭველად აელენს დაპყრობის გადამწყვეტ გავლენას. არის შემთხვევები, როდესაც მესაქონლეთა გაბატონებამ მიწათმოქმედებზე გამოიწვია სახელმწიფოს აღმოცენება.¹² მზარდი კონფლიქტი, ომიანობა და ლაშქრობები სათავეს უდებდა ცენტრალიზებული მმართველობის გამოშფვევ ტენდენციებს.¹³ ე. სერვისი შენიშნავს, რომ შემოსიულ ნომადთა წინააღმდეგ მიღებულმა თავდაცვითმა ზომებმა განაპირობეს ჩრდილო-დასავლეთ ჩინეთსა და მესოპოტამიაში გალავნიანი ქალაქების რიცხვისა და ინტენსიური მიწათმოქმედების ზრდა და ძლევა-მოსილი ცენტრალიზებული მმართველობითი სისტემის აღმოცენება.¹⁴ ამრიგად მარბიელი მომთაბარეები არა მხოლოდ ძარცვავდნენ ბინადარ მიწათმოქმედებს, არამედ ახდენდნენ პოლიტიკური განვითარების პროცესების სტიმულაციას.¹⁵

პ. კლაესენისა და პ. სკალნიკის მონაცემებით, ადრეულ სახელმწიფოებსა და მათ მეზობლებს შორის კონტაქტი უპირატესად ომების, ლაშქრობების და დაპყრობის მცდელობის საშუალებით ხორციელდებოდა. ომი და მისი თანხმლები მოვლენები ყველა შემთხვევაში დადებით ზეგავლენას ახდენდნენ მმართველობითი და სამთავრობო ინსტიტუტების განვითარებაზე.¹⁶

ა. ხაზანოვის შენიშვნით, დაპყრობებს შეუძლიათ გამოიწვიონ ადრეული სახელმწიფოების აღმოცენება, ხელი შეუწყონ ამის სტიმულირებას და ბოლოს და ბოლოს სპეციფიური ადგილობრივი თავისებურებების ჩამოყალიბებას, მაგრამ ამისათვის საჭიროა არსებობდეს შესაბამისი შინაგანი პირობები, მაგალითად, როგორც დამპყრობლების, ასევე დაპყრობილების, განვითარების საკმარისი დონე.¹⁷ თუ მეცნიერთა ერთ ნაწილს (ენგელსი, ვოლდბერგი) მიაჩნდა, რომ სახელმწიფო იქმნებოდა უპირატე-

¹² Claessen & Skalník 1978a, 626-627. ომიანობას, მოუხედავად იმისა, რომ იგი არ არის ყველაფრის განმაპირობებელი, მნიშვნელოვანი როლი უნდა ეთამაშა არაორგანიზებული, შესაძლოა ნახევრად-ნომადური, ხალხის ცენტრალიზებულ, პლურალისტურ და მონარქიულ სახელმწიფოდ გადაქცევაში (Cohen 1978, 47).

¹³ Cohen 1978, 48.

¹⁴ Service 1975, 259, 271.

¹⁵ Cohen 1978, 48.

¹⁶ Claessen & Skalník 1978b, 643.

¹⁷ Khazanov 1978, 83.



სად შინაგანი განვითარების შედეგად, მეორე ნაწილი (ოპენპეიპერული თურნვალდი, კარნეირო) სახელმწიფოს წარმოქმნას უკავშირებს გარკვეულ ფაქტორებს. ისინი თვლიან რომ დაპყრობა და ომი იწვევს რა ერთი ხალხის მიერ მეორეს დამორჩილებასა და ექპლუატაციას, აუცილებელს ხდის სახელმწიფო ორგანიზაციის წარმოქმნას საზოგადოებაში არსებული უთანასწორობის შესანარჩუნებლად.¹⁸

იდეოლოგიის არსებობა და აგრეთვე ნამატი პროდუქტის გაჩენა, უნდა ყოფილიყო სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის აუცილებელი წინაპირობა. ასეთი ფორმირებისათვის სოციალური უთანაბრობის წარმოქმნა-განვითარება, როგორც ჩანს, უფრო შედეგი იყო, ვიდრე მიზეზი. აღნიშნული გარემოება გვიტოვებს მხოლოდ იმ ფაქტორების წყებას, რომელთაც უნდა მოეხდინათ უმთავრესი ზემოქმედება სახელმწიფოს წარმოქმნაზე; ესენია: მოსახლეობის ზრდა ანდა ზეწოლა, ომი ან ომის საფრთხე, ლაშქრობები, ხარკი, დაპყრობები და იდეების სესხება. თუ როგორ მოქმედებდნენ ეს ფაქტორები, რა სახით ახდენდნენ ერთმანეთზე ზემოქმედებას ანდა როგორ იყვნენ ისინი დაკავშირებული იდეოლოგიის, ზედმეტი ნაწარმის, ვაჭრობისა და სოციალური უთანაბრობის არსებობასთან, ყოველ ცალკე აღებულ შემთხვევაში მარტივი განზოგადოების გარეშე შეუძლებელია ამის გამოხატვა. როგორც არ უნდა ყოფილიყო ამ ფაქტორების გამოვლენის თანმიმდევრობა, შედეგი ყოველთვის ერთი იყო: ადრეული სახელმწიფოს აღმოცენება.¹⁹

ადრეული სახელმწიფო ცენტრალიზირებული სოციალურ-პოლიტიკური ორგანიზაციაა, წარმოქმნილი სოციალური ურთიერთობების რეგულაციისათვის რთულ, სტრატეგიციურულ საზოგადოებაში, რომელიც დაყოფილი იყო არანაკლებ ორ ძირითად ფენად, ან წარმონაქმნ სოციალურ კლასად — სახელდობრ, მმართველებისა და მათგან მართულების — , რომელთა ურთიერთმიმართება ხასიათდება პირველთა პოლიტიკურად დომინირებული მდგომარეობითა და მეორეთა დაქვემდებარებული მოვალეობით, რაც ლეგიტიმიზირებული იყო საერთო იდეოლოგიით, რომლისთვისაც ერთმანეთის სამსახურის გაწევა, თანაზიარობა, იყო ძირითადი პრინციპი.²⁰

ე. სერვისის აზრით, არსებობს ომის არა ნაკლებ სამი მკაფიოდ განსხვავებული სახეობა, რომელთაც, როგორც ჩანს, ერთმანეთისაგან

¹⁸ Claessen & Skalnik 1978, 17.
¹⁹ Claessen & Skalnik 1978a, 629.
²⁰ Claessen & Skalnik 1978b, 640.

მეტად განსხვავებული პოლიტიკური შედეგებამდე მივყავართ; მსგავსად "სამოქალაქო" ომები, რომლებიც ჩვეულებრივ შემკვიდრეობის უფლების მიღების საკითხებსა და ძალაუფლების განაწილებას შეეხება; ომები დაახლოებით თანაბარ საზოგადოებებს შორის, რომლებიც ერთმანეთს ერთსადაიმთხვე რეგიონში ეპაექრებიან და ომები ბინადარ მიწათმოქმედთა და მემომარ ნომადებს შორის. ე. სერვისის განმარტებით, არც არქაულ კულტურებში და არც პრიმიტიული ქვეყნების კვლევის მონაცემებში არ მოიპოვება არავითარი მინიშნება მუშებისა და გლეხების ანდა ღარიბთა და დაზარალებულთა აჯანყებების თაობაზე.²¹

3. კლაესენისა და პ. სკალნიკის მიხედვით, შესაძლებელი ჩანს, გამოყოფილი იყოს რიგი ფაქტორებისა, რომელთაც გააჩნიათ შედარებით უშუალო სახელმწიფოებრიობის წარმოქმნელი ზემოქმედება: (ა) მოსახლეობის ზრდა და/ან მოსახლეობის ზეწოლა; (ბ) ომი, ომის ან დაპყრობის საფრთხე და ლაშქრობა; (გ) დაპყრობა; (დ) ადრე არსებული სახელმწიფოების ზეგავლენა. ამ ფაქტორების მოქმედების ისტორიული თანმიმდევრობა შედარებით უმნიშვნელოა. უფრო მეტიც, როგორც ჩანს, უმეტეს შემთხვევებში, ყველა ეს ზემოქმედება ერთობლივად იყო ხოლმე წარმოდგენილი. იმისდა მიუხედავად, თუ რომელმა ამ ფაქტორთაგან გამოიწვია ფაქტიური სოციალური განვითარება, საბოლოო შედეგი ყოველთვის ერთი და იგივე თუ არა, მეტად მსგავსი მაინც იყო — "ადრეული სახელმწიფო". როგორც ირკვევა, სოციალური უთანაბრობა არ წარმოადგენდა სახელმწიფო ორგანიზაციის წარმოქმნისათვის აუცილებელ წინაპირობას. ადრეული სახელმწიფოები მაშინ აღმოცენდებოდნენ, როდესაც სხვა პირობებიც იყო ხოლმე წარმოდგენილი ანუ სახელმწიფო ორგანიზაცია მხოლოდ მაშინ აღმოცენდებოდა, როდესაც მოხდებოდა ამ პირობებიდან ზოგიერთის თანადაძოვება.²² ამასთანავე, როგორც ჩანს, ყოველი ცალკეული სახელმწიფო რიგი თავისებური პირობების არსებობისას აღმოცენდა, ამის გამო სხვადასხვა ადრეული სახელმწიფოები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია ადრეული სახელმწიფო ცალკე გამოიყოს როგორც განსხვავებული ძირითადი კატეგორია კაცობრიობის სოციალურ ევოლუციაში.²³ ფრანც ოპენჰაიმერის ზატოვანი თქმით, ყველა სახელმწი-

²¹ Service 1977, 337.

²² Claessen & Skalnik 1978b, 642.

²³ Claessen & Skalnik 1978b, 645. პ. კლაესენი და პ. სკალნიკი შენიშნავენ, რომ თუ კი გავიზარებთ ცივილიზაციის, მარქსისტულ განსაზღვრებას —, ანუ მუდმივი სოციალური

ფოს აქვს ფორმა და შინაარსი: მისი ფორმაა ბატონობა და შინაარსითა და მნიშვნელობითა საშუალო ძალის სამეურნეო განაწილება.²⁴

ადრე არსებული სახელმწიფოს ზეგავლენის ხარისხი განსხვავებულია ყოველ ცალკეულ შემთხვევაში. მიუხედავად ამისა, იგი მაინც იძლევა ხოლმე გარკვეულ ჩარჩოებს მეროადი ქვეყნების განვითარებისათვის, რომელთა უმეტეს ნაწილში ძირითადად მსგავსი მდგომარეობა უნდა ყოფილიყო. მაგალითად, საფრანგეთში, სადაც ირგვლივ არა მხოლოდ განსხვავებული სახელმწიფოებრივი სისტემები არსებობდნენ, არამედ ადგილზევე მოიპოვებოდა ფართო გამოცდილება სახელმწიფოს ჩამოყალიბების ადრეული სტადიების შესახებ. როგორც ფიქრობენ, იგივე შეიძლება ითქვას იბერიისა და ალბათ სკვითების შემთხვევაშიც.²⁵ პ. კლაესენისა და პ. სკალნიკის აზრით, იბერიული (ანუ ქართული) სახელმწიფოები განვითარდნენ გარე დამპყრობელთა წინააღმდეგ მათი დაცვის საჭიროების შედეგად, როდესაც ყალიბდებოდა კავშირები და წინამძღოლებიც სულ უფრო მეტ ძალაუფლებას იძენდნენ; უფრო მეტიც, მოსახლეობის ზრდა მოითხოვდა უფრო რთული ორგანიზაციის ჩამოყალიბებას.²⁶ კლაესენი და სკალნიკი ადრეულ სახელმწიფოს სამ სახეობად ჰყოფენ: inchoate (პრიმიტიული), typical (ტიპური) და transitional (განვითარებული). იბერიას ისინი ტიპურად მიიჩნევენ.²⁷

გ. ყორანაშვილის დაკვირვებით, ძველი იბერიისა და კოლხეთისათვის დამახასიათებელი იყო გარდამავალი ფაზის სახეობის ანუ "ადრეულ კლასობრივ" სტადიაზე მყოფი საზოგადოებები.²⁸ მისივე განმარტებით, ქართული ისტორიული ტრადიციის მიხედვით, იბერიაში სახელმწიფოს წარმოქმნა აქ სოციალური კლასების განვითარების წინაპირობას წარმოადგენდა. მას მერე რაც იბერიაში პოლიტიკური ორგანიზაცია ჩამოყალიბდა, ლეგალური და ქონებრივი განსხვავებები აღმოცენდა იბერიელთა შორის.²⁹ იბერიული სახელმწიფოს წარმოქმნა, რომელიც ქართული ისტორიული ტრადიციით, ძვ. წ. IV საუკუნის 30-იანი

ფორმაციას — მაშინ ადრეული სახელმწიფო წარმოჩნდება როგორც ცივილიზაციის საწყისი სტადიის პოლიტიკური ორგანიზაციის ტიპური სახეობა (Claessen & Skalnik 1978b, 648-649).

²⁴ Oppenheimer 1926, 267; იხ. Kammler 1966.

²⁵ Claessen & Skalnik 1978a, 629.

²⁶ Claessen & Skalnik 1978a, 623.

²⁷ Claessen & Skalnik 1978b, 641.

²⁸ Koranashvili 1978, 267.

²⁹ Koranashvili 1978, 259.



წლებში უნდა მომხდარიყო, გ. ყორანაშვილის აზრით, დაჩქარებულ გარეგანი აგრესიის შედეგად, რისი მაგალითებიც ბევრია ისტორიაში.

მართალია, ქართული სახელმწიფოებრიობა ელინისტურ ხანაში იბერიის (ქართლის) სამეფოს აღმოცენებიდან იღებს სათავეს, მაგრამ ქართველური წარმომავლობის ტომებს არ არის გამორიცხული რომ სხვა სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების ჩამოყალიბებაშიც მიეღოთ მონაწილეობა. მათ შორის უპირველეს ყოვლისა უნდა ვიგულისხმოთ ძველი ბერძნული წყაროების კოლხიდა (ურარტული ლურსმული წარწერების კოლხა) და ასურულ-ურარტული წყაროების დაიან/დაიუზი. ბუნებრივია, რომ განსხვავებული მეთოდოლოგიური საფუძვლებია გამოსაყენებელი, ერთის მხრივ, ადრეულკოლხური და დიაოხური, ხოლო, მეორეს მხრივ, იბერიული სახელმწიფოებრიობის კვლევისას; ვინაიდან ეს სახელმწიფოები არა მხოლოდ განსხვავებულ ეპოქალურ სტადიებს განეკუთვნებიან, არამედ განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური მოდელების წარმომადგენლები არიან.

³⁰ Koranashvili 1978, 262.

დაიანინ/დიაუხის ქვეყანა – ქართული სახელმწიფოებრიობის საწყისები?

საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ანუ სამხრეთ-დასავლეთ ამიერკავკასიაში სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების აღმოცენების ადრეულობას სხვა მხარეებთან შედარებით უნდა მიგვანიშნებდეს ისტორიული საქართველოს ტერიტორიისათვის დამახასიათებელი საზოგადოებრივი განვითარების პროცესის თავისებურებანი და ძველი ქართული საისტორიო ტრადიცია.

სამხრეთ-დასავლეთ ამიერკავკასიის ტერიტორიული სიახლოვე ახლო აღმოსავლეთის მალაღანვითარებულ სამყაროსთან და ამ უკანასკნელიდან მომდინარე ზეგავლენა არ უნდა ყოფილიყო ადგილობრივი საზოგადოების სოციალური განვითარების ძირითადი განმაპირობებელი გარემოება. უფრო ისე ჩანს, რომ ადრეული და შუა ბრინჯაოს ხანაში ახლო აღმოსავლეთის ჩრდილოეთი პერიფერიის ცენტრალური ნაწილის დაბალი განვითარების მობილური, შესაქონლე ტომები, რომლებიც ფლობდნენ ბუნებრივი - სიმდიდრეების მნიშვნელოვან მარაგს, პოლიტიკურად და ეკონომიკურადაც ხშირ შემთხვევაში იქვემდებარებდნენ სამხრეთის დაწინაურებულ საქალაქო ცივილიზაციებს. ანალოგიური ვითარებაა ახლო აღმოსავლეთის დასავლურ – ეგვიპტურ და ჩრდილოაღმოსავლურ ანუ ცენტრალურაზიურ ფლანგებზეც.³¹ გვიანი ბრინჯაოს ხანიდან სამხედრო ლიდერის აქტიური ფუნქციის არსებობის მქონე საზოგადოების განვითარების არაუბრუნებელ (პირობითადად – ჩრდილოურ) ტიპს, თანდათანობით ენაცვლება უპირატესად საორგანიზაციო მართვლობითი ხასიათის ურბანისტული (პირობითადად – სამხრეთული) ტიპი, გამორჩეული მიწათმოქმედების მზარდი მნიშვნელობით, რომელსაც სახელმწიფოებრიობის აღმოცენებისაკენ უნდა მიეყვანა ადგილობრივი საზოგადოება. რამდენადაც უფრო გვიან, ამიერკავკასიის ტერიტორიის ცალკეული რეგიონების მოქცევა ურარტუს სახელმწიფოს შემადგენლობაში, დაჩქარა ამ პროცესის განვითარება.³² მდგომარეობა მთლიანად იცვლება ირანის აქემენიანთა იმპერიის აღმოცენების ხანიდან, როდესაც ცივილიზებული სამხრეთის გაბატონებული მდგომარეობა ბარბაროსული ჩრდილოეთის მიმართ უკვე ეჭვს აღარ იწვევს.³³ წინაეღონისტურ ხანაში სწორედ ირანის ზეგავლენა განაპირობებდა ადგილობრივი საზოგადოების განვითარების პროცესს ამიერკავკასიაში.

³¹ Kohl 1988, 596.

³² შტრ., Masson 1997, 130, 132.

³³ Kohl 1988, 596.



აღსანიშნავია, რომ ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, იმპერატორ კაკკასიიდან კიმერიული და სკვითური ტომებისა და სამხრეთიდან ახალი მოსახლეობის ნაკადების შემოჭრა-შემოდინებამ სახე უცვალა ამიერკაკკასიაში ადგილობრივად მიმდინარე სოციალურ-კულტურული განვითარების მსვლელობას და აქ რთული, სინთეტური საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის აუცილებელი წინაპირობები შექმნა. შემთხვევითი არ არის ლეონტი მროველის "მეფეთა ცხოვრების" ცნობა, რომ ალექსანდრე მაკედონელის ქართლში ლეგენდარულ შემოსვლამდე: "...იყენეს ქართლს ესრეთ აღრულ ესე ყოველნი ნათესავნი, და იზრახებოდა ქართლსა შინა ექუსი ენა: სომხური, ქართული, ხაზარული, ასურული, ებრაული და ბერძნული. ესე ენანი იცოდეს ყუველთა მეფეთა ქართლისათა, მამათა და დედათა" (I, 16, 21-23).³⁴ ცნობილია, რომ ე. წ. melting pot-ის ეფექტი სახელმწიფოებრიობის წარმოქმნისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხელშემწყობ გარემოებას წარმოადგენს.

უფრო ადრე, ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის შუა ხანებში, რამდენადმე მსგავს სიტუაციას ადგილი უნდა ჰქონოდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, სადაც, დღევ. ქალაქ ერზურუმის ჩრდილოეთით, დაახლ. მდ. ევფრატის სათავეების მხარიდან შავ ზღვამდე, მდებარეობდა დაიანის,³⁵ სადღეისოდ არსებული მონაცემებით,³⁶ საქართველოსა³⁷ და, როგორც ჩანს, ამიერკაკკასიაში მიკვლეული უძველესი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი, რომლის არსებობას უკვე ძვ. წ. XII ს-ში ადასტურებს ასურული წერილობითი წყაროს ცნობა.³⁸ ამ რეგიონში ადგილი უნდა ჰქონოდა ქართველური, ხურიტული და შესაძლოა ხეთური წარმომავლობის მქონე ტომთა თანაცხოვრებას.

მომდევნო ხანების წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური კვლევის მონაცემების მიხედვით, დაიანის/დიაუხის ქვეყანა მდებარეობდა ვრცელი რეგიონის შიგნით, რომლის ფარგლებიც შემოისაზღვრებოდა

³⁴ აქც და ქვემოთაც ფრჩხილებში მოთავსებული ქართლის ცხოვრების გვერდებისათვის იხ. ყაუხჩიშვილი 1955 (ტ. I) და ყაუხჩიშვილი 1959 (ტ. II).

³⁵ Lehmann-Haupt 1931, 792, 851; მელიქიშვილი 1951, 208; Salvini 1967, 22f.

³⁶ უკანასკნელი მონაცემების მიხედვით, ცენტრალურ ამიერკაკკასიაში სახელმწიფოებრიობის აღმოცენების სტადიის საწყისი ეტაპი ადრე მიღებულიან შედარებით ბევრად უფრო ადრეული ხანით უნდა დათარიღდეს. მხედველობაში მაქვს, უკანასკნელ წლებში კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ შირაქის ველზე გამოვლენილი ბრინჯაოს ხანის უაღრესად შთამბეჭდავი კულტურა.

³⁷ მელიქიშვილი 1951, 203-230.

³⁸ ტიგლათფილესერ I-ის (ძვ. წთ. 1114-1076 წწ.) წარწერა პრიზმაზე (IV43-V32). მართალია, უკვე სალმანასარ I (ძვ. 1273-1244 წწ.) თუწყობილია "ურუათრის" არსებობის შესახებ, მაგრამ ტომთა ეს გავრთიანება, დაიანისგან განსხვავებით, ამიერკაკკასიის ფარგლებს გარეთ მდებარეობდა.



დასავლეთიდან ლაზისტანის ქედით, ჩრდილოეთიდან შავშეთის ქედით და მისი განშტოებებით, აღმოსავლეთიდან ალაჰუექხერისა და ჩაქირბაშას ქედებით, ხოლო სამხრეთიდან დაახლოებით თანამედროვე თურქული ქალაქების პასინლერისა და ბაიბურთის შემაერთებული ხაზით.³⁹ დაი-აენი/დაიუხის ქვეყნის სამხრეთითა და აღმოსავლეთით განლაგებული ურარტუს სამეფო, ადრეულ ეტაპზე მაინც, "ურუათრის" ტომთა გაერთიანების მსგავსად, ძირითადად ამიერკავკასიის ფარგლებს გარეთ, მის დასავლეთითა და სამხრეთით ანუ მდ. არეზის სამხრეთითა და დასავლეთით მდებარეობდა.

ურარტუს სახელმწიფოს აღმოცენებისას მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ასურეთის აგრესიამ. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ პ. ციმანსკის, რომ ურარტული სახელმწიფო ძალის გამოყენების შედეგად შეიქმნა – ომი იყო მისი აღმოცენების გამომწვევე მიზეზიცა და პასუხიც. მთელი მისი პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურა ასახავს უდიდეს ზრუნვას თავდასხმითი და თავდაცვითი სამხედრო საქმიანობისადმი. როდესაც მზარდმა ახალასურულმა სახელმწიფომ ძვ. წ. IX საუკუნის მანძილზე გაფართოება დაიწყო, მისმა ლაშქრობებმა ჩრდილოეთის მიმართულებით სულ უფრო მზარდი ხასიათი მიიღო, ამას შედეგად მოყვა არა ასურელთა კონტროლის დამყარება რეგიონზე, არამედ მათ მიმართ მძაფრი წინააღმდეგობა; მანამდე დანაწევრებული "ნაირის ქვეყნები" გაერთიანდა ვანის ტბის მხარის დინასტიის ხელქვეით, რომელმაც დაცვა აღუთქვა დამორჩილებულებს და ძალით დაიქვემდებარა ურჩები.⁴⁰ ურარტული ხელისუფლების გავრცელებას აღმოსავლეთ ანატოლიის, ჩრდილო-დასავლეთ ირანისა და სამხრეთ ამიერკავკასიის დიდ ფართობებზე ხელი უნდა შეეწყო ასურელთა ლაშქრობების შედეგად ამ მხარეებისათვის ამ უკანასკნელთა მიერ მიყენებულ ზარალს.⁴¹ დაიანის ადგილმდებარეობა განსხვავებული იყო, ურარტელთა ზურგს უკან იგი შედარებით ნაკლებად ექვემდებარებოდა ასურულ აგრესიას.

³⁹ ზოგიერთი ავტორი დაიანის/დაიუხის ქვეყანას თანამედროვე თურქული ქალაქების ერზინჯანსა და ერზურუმს შორის მდებარე ტერიტორიით განსაზღვრავს (Streck 1898, 109f. შდრ., Sayce 1897, 68-76, ib., Nashef. 1982, 77), ზოგიც მდ. ჭოროხის აუზით (Дьяконов 1951, 277; Diakonoff & Kashkai 1981, 26). თუმცა გამოთქმულია განსხვავებული და შედარებით უფრო ნაკლებად დამაჯერებელი მოსაზრებებიც, კერძოდ, ჩ. ბიორნი ანცალკეებს დაიანის დაიუხისაგან და ბულანიკის ზეგანზე თუ უშუალოდ მის დასავლეთით (თანამედროვე კაილიდერეს მახლობლად) ათავსებს (Burney 1966, 58-62), ხოლო ო. კარაგიოზიანი იმ შემთხვევაშიც კი თუ დაიანის და დაიუხი ერთიდაიგივე ქვეყანა იყო, რაც მას ეეჭვება, გამოირიცხავს დაიანის ლოკალიზებას მდ. ჭოროხის აუზში (Karagözian 1978, 67-94).

⁴⁰ Wartke 1993, 38.

⁴¹ Zimansky 1985, 95.




ასურელთა სამხედრო დაწოლას უნდა განეპირობებინა ურარტუს ტერიტორიაზე ადრეარსებულ, ადგილობრივ სოციალურ და პოლიტიკურ ტრადიციებთან რადიკალური განხეთქილება. თუმცა, ამასთანავე, აუცილებული იყო საკუთრივ ადგილობრივი საზოგადოების მზადყოფნა ასეთი მნიშვნელოვანი ცვლილებებისათვის – პირველი, ნამდვილი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის რკინის ხანაში. უკანასკნელ დროს გამოითქვა აზრი, ურარტუს სახელმწიფოებრივი ტრადიციის საწყისების არსებობის თაობაზე სამხრეთ ამიერკავკასიაში, სადაც უკვე ძვ. წ. II ათასწლეულში არსებობდა ციკლოპურკედლიანი ციხე-სიმაგრეები და მათთან დაკავშირებული საირიგაციო არხების ქსელები. იგულისხმება არა უშუალოდ ურარტუს სახელმწიფო აპარატის სამხრეთამიერკავკასიური წარმომავლობა, არამედ სამხრეთ ამიერკავკასიაში არსებული გვიანი ბრინჯაოს ხანის სახელმწიფოებრივი ტიპის წარმონაქმნებში აღმოცენებული პოლიტიკური ტრადიციის – ინსტიტუციონალური ფორმებისა და მმართველობითი სტრატეგიის ერთობლიობის – არეკვლა ურარტუს პოლიტიკურ ცხოვრებაში; სხვა სიტყვებით, ურარტუს სამეფო წარმოადგენდა ნახევარი ათასწლეულით უფრო ადრე, გვიანი ბრინჯაოს ხანის სამხრეთ კავკასიაში ჩასახული გარკვეული პოლიტიკური ტრადიციის აპოგას.⁴² ა. სმითისა და თ. თომპსონის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ურარტუს წარმატება, ე. წ. სომხეთის მთიანეთის ერთიან პოლიტიკურ ერთეულში გაერთიანებისა, წარმოადგენდა სამხრეთკავკასიური პოლიტიკური ტრადიციის უმაღლეს რეალიზაციას, იგი იყო, ამავე დროს, აღნიშნული ხანგრძლივი ტრადიციის ზედა ზღვარი. ურარტუს დაცემის შემდეგ აქ აქემენიდური და გვიანელისტიური ტრადიციების ძლიერი ზეგავლენის ქვეშ მოქცეული პოლიტიკური ძალაუფლების ახალი მოდელები სჭარბობენ.⁴³

K25 2796

ასურელებთან პირისპირ კონფრონტაციაში ურარტული ჯარი ნაკლებად ეფექტური იქნებოდა; მაგრამ ეფექტურ თავდაცვით სისტემას ციხე-სიმაგრეები ქმნიდნენ, რომლებიც აგებული იყო ცენტრალური ხელისუფლების მიერ მამინაც კი, თუ მათი თავდაცვა დამოუკიდებლად, რეგიონალური ძალების საშუალებით ხდებოდა. ურარტული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისთანავე შექმნილი იყო ხელოვნური თავდაცვითი სისტემა, რათა ბუნების მიერ ბოძებული სადამცველო პოტენციალი კიდევ უფრო

⁴² იხ. Smith & Thompson 2004, 557-558. ა. სმითისა და თ. თომპსონის მიხედვით, ურარტუს წარმოქმნასთან დაკავშირებით, უსარგებლოა შორეულ მხარეებში დრამატული და სუსტად გამოხატული კავშირების ძიება, არამედ ბევრად უფრო ადევილია ბიანილის სამეფოს ფესვების პოვნა სამხრეთ კავკასიის გვიანი ბრინჯაოს ხანის ავტოქტონურ პოლიტიკურ ტრადიციაში (Smith & Thompson 2004, 573).

⁴³ Smith & Thompson 2004, 573.



გაზრდილიყო.⁴⁴ მკვლევართა დაკვირვებით, მასიური ურარტული ციტადლების კომპლექსები წარმოადგენდნენ, ძველი ახლო აღმოსავლეთის ანალოგიურ ძველთა კონტექსტში, საერო არქიტექტურის უარესად განსხვავებულ სახეობას; ისინი ფუნქციონირებდნენ როგორც ადმინისტრაციული, ეკონომიკური, სამხედრო და საკულტო ინსტიტუტების ერთმანეთთან დამაკავშირებელი პოლიტიკური ძალაუფლების სივრცობრივად გადაბმული ცენტრები და ამდენად სინთეზირებას ახდენდნენ იმ ძირეული შემადგენელი ნაწილებისა, რომელთა მეშვეობითაც ხდებოდა ურარტული სახელმწიფოს პოლიტიკური ორგანიზება ერთ, მკვეთრად გამოხატულ და ხელოვნურად ჩამოყალიბებულ სივრცედ.⁴⁵

3. ციმანსკის ვარაუდით, ურარტუ შეიძლება აღმოცენებულიყო მხოლოდ რკინის ხანაში, ვინაიდან გამძლე და ძლიერი რკინის წერაქვის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა კლდეთა ძირითადი ქანის დამუშავება ციხე-სიმაგრეებისათვის პლატფორმის მოსაწყობად.⁴⁶ იგივე შეიძლება ალბათ ითქვას ციხე-სიმაგრეების სიმრავლით გამორჩეული დაიანინ/დიაუხის ქვეყნის აღმოცენების ხანის შესახებ; ქსენოფონტის ხანაშიც ხომ ტაოხები სიმაგრეებში სახლობდნენ მთელი თავისი ავლა-დიდებითურთ (Xen., *Anab.*, VI, VII, 1).

მთაგრეხილებით სვემენტირებული ურარტუს ტერიტორია ძირითადად წარმოადგენდა თვითუზრუნველყოფილი პოლიტიკური და ეკონომიკური ერთეულების მოზაიკას, ხოლო მის განაპირას მდებარე დაიანინ/დიაუხის ქვეყანა ერთ-ერთი ასეთი ერთეული იყო, რომლის თავის ორბიტაში მოქცევა წარმოადგენდა ამ დიდი სახელმწიფოს ერთ-ერთ ძირითად პოლიტიკურ ამოცანას. ურარტუმ შედარებით უმტკივნეულოდ მოახერხა სხვა მსგავსი პოლიტიკური ერთეულების დაუფლება. ეს მომენტი შესაძლოა ურარტუსა და დიაუხის მოსახლეობის მკვეთრ ეთნიკურ განსხვავებაზე მიგვანიშნებდეს.

ასურული და ურარტული წერილობითი წყაროები და დანატოვარი კულტურული ნაშთები მოწმობენ დაიანინ/დიაუხის ქვეყნის სიდიდესა და განვითარების მაღალ დონეს, გამოვლენილს მრავალრიცხოვანი "ქალაქებით", ციხე-სიმაგრეებით, ციკლოპური ნაგებობებით, მეურნეობის დაწინაურებული სახეობებითა და მეტალურგიით. რეგიონის რესურსების თავდაცვის საჭიროებას ჯერ ასურელთა, ხოლო შემდეგ ურარტელთა ძალმომრეობისაგან და ეკონომიკურ უპირატესობათა საკუთარი მიზნებისათვის

⁴⁴ Zimansky 1985, 95, 96. გარდა ძველად გადასალახავი რელიეფისა, ურარტუსა და ასურეთს შორის დამაკავშირებელი გზები, ისევე როგორც თვით ურარტუს ტერიტორიის შიგნით არსებული კომუნიკაციები, მხოლოდ სეზონური გამოყენებისა თუ იყო, ამ რეგიონისათვის დამახასიათებელი დიდთოვლიანობის გამო.

⁴⁵ Smith & Thompson 2004, 565.

⁴⁶ Zimansky 1985, 97.

გამოყენებისათვის მისწრაფებას უნდა განეპირობებინა რკინით განსაკუთრებით მდიდარი დაიაენი/დიაუხის ქვეყნის წარმოქმნა და ძვ. წ. XII-VIII საუკუნეების მანძილზე ხუთსაუკუნოვანი არსებობა.

როგორც ჩანს, ეს ქვეყანა ხასიათდებოდა "საბელადო" (chiefdom) ტიპის საკმაოდ დაწინაურებული პოლიტიკური სტრუქტურით და წარმოადგენდა წინა-სახელმწიფოებრივი საფეხურიდან სახელმწიფოზე გარდამავალ წარმონაქმნს ანუ სახელმწიფოებრიობისაკენ მიმავალ ევოლუციურ ტრაექტორიაში ეკავა ევალიტარულ სემენტურ საზოგადოებასა და სინთეტურ სახელმწიფოებს შორის არსებული საშუალო ეტაპისათვის განკუთვნილი ადგილი.⁴⁷ დაწინაურებულ, იერარქიული ტიპის სახელმწიფოებრივ სტრუქტურაზე უნდა მიუთითებდეს მისი სოციალური სისტემის თავისებურებანი: მეფე-სიუზერენი, ცალკეულ პროვინციათა მმართველი "მეფეები", ერთიანი მმართველის ხელქვეით სხვადასხვა ტომთა გაერთიანება.⁴⁸ როგორც ჩანს, ურარტუს სამეფოს მსგავსად დიაუხის ქვეყანაც პროვინციებად იყო დაყოფილი და თითოეულ მათგანს განაგებდა ადგილობრივი მმართველი. როგორც ასურული წყაროები მოწმობენ, ურარტუში ასეთ მმართველთა რიცხვი საკმაოდ დიდი იყო და ინდივიდუალურად ისინი საფრთხეს ვერ შეუქმნიდნენ ცენტრალურ ხელისუფლებას.⁴⁹

დაიაენის ქვეყანა ასურულ ეპიგრაფიკულ წყაროებში წარმოდგენილია აიაენი ან აიანი-ს ფორმით, რაც შეესატყვისება ურარტულში Diauḫi ან Diaueḫi ფორმას.⁵⁰ ასურული დაიაენი/დაიანისა და ურარტული დიაუხი/დიაუხის შესატყვისია ქსენოფონტის "ანაბასისში" მოხსენიებული ტაოხთა ქვეყანა. დაიაენისა და დიაუხის იდენტურობა პოსტულირებული იყო ჯერ კიდევ ა. სეისის, მ. შტრეკის, ა. ბილერბეკისა და ფ. დელიჩის მიერ,

⁴⁷ შდრ., Gledhill 1988, 9. იხ., აგრეთვე, Stein & Rothman 1994 *passim*. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, სოციალისტური ბანაკის რღვევის შემდგომი ხანის საზოგადოებრივ დისციპლინაში მოღვაწე მეცნიერთა შორის, აქტუალური გახდა მარქსისტული დიალექტური მატერიალიზმისათვის დამახასიათებელი სქემებისა და მათში გამოყენებული ტერმინოლოგიის შეცვლა. უკანასკნელ ხანებში რუსი ისტორიკოსებისა და არქეოლოგების მიერ გამოყენებული ნომენკლატურით, დაიაენი/დიაუხის ადრეკლასობრივი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნისათვის დამახასიათებელი განვითარების სოციალური დონე შესაძლოა განისაზღვროს, როგორც ადრეული კომპლექსური საზოგადოების განვითარების არაურბანული ტიპისა და სამხედრო ლიდერის აქტიური ფუნქციისათვის დამახასიათებელი განვითარების კავკასიური გზის გავლის შედეგად მიღებული (შდრ., Masson 1997, 124-133; იხ., აგრეთვე, Кушнарева 1997, 11-43).

⁴⁸ იხ. ვიორგაძე 2002, 130.

⁴⁹ Zimansky 1985, 96.

⁵⁰ თუმცა შენიშნულია, რომ საკუთრივ ურარტულ ენაში -ḫi და -ni წარმოადგენდნენ ეთნიკური წარმომავლობის საიდენტიფიკაციო ურთიერთშეანაცვლებად ფორმანტებს (Salvini 1979, 97-115).



ხოლო ტაო/ტაიქთან პირველ მათგანს უკვე კ. ლემან-ჰაუპტი და ე. ფონდერააკავშირებდნენ.⁵¹ გ. მელიქიშვილის აზრით, ეს სატომო სახელი ხურიტული უნდა იყოს, ვინაიდან ხურიტულ ონომასტიკონში ფართოდ გავრცელებული ჩანს tai-ელემენტი.⁵²

ანლაუტში d- > t- პროცესი დამახასიათებელია ხურიტული და ქართველური ენებისათვის. თუმცა უკანასკნელ ხანებში გამოთქმული მოსაზრებით, ვინაიდან ქართველურ ენებში ხშირად თანხმოვანთა სამეულებრივი სისტემაა, სოლისებრი დამწერლობით ჩაწერილი მისი ლექსიკაც აბრუბტივებს ასახავდა არა ყრუებით, არამედ მყლერებით და შესაბამისად ქართველური ტ-ა-ო ურარტულად დაიწერებოდა di-a-u-hi და წაიკითხებოდა: taohi (ტაოხი), რასაც ადასტურებენ სომხური *Տայք* (ტაქე, Taysk და ერთგვარად ბერძნული ფორმები: *Τάοχι, Τάοι*).⁵³ თუ კი მოვახდენთ ამ ვარაუდის ექსტრაპოლირებას ასურულ ლურსმულ წარწერებში დადასტურებულ და იმავე ქვეყნის აღმნიშვნელ ტერმინზე – "დაიანი", ალბათ შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ მისი საწყისი ფორმა უნდა ყოფილიყო "ტაიანი", საკმაოდ ახლო მდგომი მრავლობითი რიცხვით ნაწარმოებ ძველ ქართულ ტერმინთან "ტაონი".⁵⁴ ვითვალისწინებთ, ქართულში ხმოვანთკომპლექსის მიდრეკილებას ერთმარცვლოვნობისაკენ⁵⁵ და იმ გარემოებას, რომ ამავე რეგიონის ტოპონიმიკის ამსახველ ურარტულ წყაროებში დადასტურებულია სავარაუდოდ "ნ"-არიანი მრავლობითით გაფორმებული დიაუხის შემადგენელი ქვეყნების აღმნიშვნელი ფორმები: "ბიანი" და "ხუშანი".⁵⁶

შეკვლევართა დიდი ნაწილის აზრით, დაიანი/დიაუხის ქვეყანა მდებარეობდა მდ. ეფრატის (კარა-სუ) სათავის ჩრდილოეთით⁵⁷ ანუ ისტორიული ქართული მხარის ტაოს (სომხური წყაროების – ტაქე) რაიონში.⁵⁸ დაიანის შემდეგდროინდელი ტაოს ადგილას ლოკალიზაციის შესაძლებლობას იძლევა ასურ მეფეთა წარწერები: შუასასურული ხანის მეფის, ტიგლათფილესერ I-ის (ძვ. წ. 1114-1076 წწ.) მეფობის შესამე წლის, ძვ. წ. 1112 წ. წარწერიდან ირკვევა, რომ ნაირის ქვეყნების კოალიციის მონაწილე

51 შდრ., Nashef 1982, 77.
 52 მელიქიშვილი 1951, 212.
 53 ქურდიანი 2003, 74, 75.
 54 დ. მუსხელიშვილი შენიშნავს, რომ ქართული წყაროები იცნობენ რა ორ ტაოს, ამ კუთხის სახელწოდებას ზოგჯერ მრავლობითი რიცხვით გამოთქვამენ "ტაონი" „ტაოთა“ (მუსხელიშვილი 1980, 170).
 55 ფუტკარაძე 1999, 62-68.
 56 Меликишвили 1960, 247; შდრ., მუსხელიშვილი 2004, 8, 9.
 57 Меликишвили 1950, 26-42.
 58 მაგ., Манандян 1956, 19; Nashef 1982, 77. შენიშნულია, რომ სომხური და ქართული წყაროების ტაქე/ტაო ზედმიწევნით ემთხვევა ერთმანეთს (მუსხელიშვილი 1980, 164).

დაიანნი, ამ ქვეყანათაგან ყველაზე უფრო ჩრდილოეთით მდებარეობდა "ზელა" ანუ შავი ზღვის მახლობლად უნდა ყოფილიყო განლაგებული. დაიანნის ჩრდილოურ მდებარეობაზე მიგვანიშნებს სალმანასარ III-ის (ძვ. წ. 858-824 წწ.) ძვ. წ. 856 ლაშქრობის აღწერილობაც, როდესაც იგი მდ. არაცანის (მურათ-სუს, იგივე აღმოსავლეთ ევფრატის) დინების ჩრდილოეთით მდებარე სუსმის ქვეყნიდან გადავიდა დაიანნიში;⁶⁰ "სოხ-მე/სუსმი" დაიანნის ქვეყანას სამხრეთ-დასავლეთიდან ესაზღვრებოდა.⁶¹

კიდევ უფრო მეტად არის დაკონკრეტებული დაიანნის ადგილმდებარეობა ახალასურული ხანის მეფის, სალმანასარ III-ის მიერ ნიმრუდის სასახლის "ფროთოსან ხარებზე" დატოვებულ წარწერაში. სალმანასარი გვამცნობს: *"ჩემი მმართველობის მეთხუთმეტე წელს წავედი ნაირის ქვეყანაზე, ტივროსის სათავესთან კლდოვან მთებზე, იქ საიდანაც წყალი ვამოღის, გამოვკვეთე ჩემი მეფურობის გამოსახულება, დაეწერე მასზე ჩემი ძღვევამოსილების გამარჯვება და შემართების გზები. თუნბუნის ზეკარით გადავიარე არამე ურარტელის ქალაქებზე ევფრატის სათავემდე და დავანგრიე, აღვკვე და ცეცხლით გადავწვი. მივედი ევფრატის სათავესთან, მსხვერპლი შევწირე ჩემს ღვთაებებს და აშურის იარაღი ვანებანე მასში. ასია, დაიანნის ქვეყნის მეფე, ფეხთჩამივარდა, ხარკი და ძღვენი, ცხენები, მივიღე მე მისგან, ჩემი სამეფო გამოსახულება ვაკაკეთებინე და დავდვი მისი ქალაქის შუაგულში".*⁶² ეს ამბავი ხდება ძვ. წ. 844 წელს, თანამედროვე ქერზურუმის ჩრდილოეთით დაახლ. 40 კმ-ით მდებარე ევფრატის სათავესთან, სადაც მისულ სალმანასარს ეახლა ასია, დაიანნის მეფე, რომლის სატახტო ქალაქიც, სადაც ასურ მეფეს აღუმართავს თავისი გამოსახულება, იქვე, მდინარის სათავეს მახლობლად უნდა ყოფილიყო.⁶³ მართებულად შენიშნავს მ. სალვინი, რომ სალმანასარ III-ის მიერ ევფრატის სათავესთან დაიანნის მეფის ყმად მიღების ადგილმდებარეობის განსაზღვრა, უნდა მიუთითებდეს ამ გეოგრაფიულ-პოლიტიკური სახელწოდების – დაიანი – იდენტიფიცირებაზე ურარტული წყაროების დიალექტთან და ამ უკანასკნელის მეშვეობით ქსენოფონტის მიერ მოხსენიებულ ტაონებთან.⁶⁴ ასურელები და ურარტელები სშირად განსხვავებულ ტაონიმებს იყენებდნენ ერთიდაიმავე ადგილის აღსანიშნავად.⁶⁵

⁵⁹ Lehmann-Haupt 1931, 792, 851; შდრ., მელიქიშვილი 1951, 207-209; Diakonoff 1984, 69, შენ. 127-128.

⁶⁰ მელიქიშვილი 1951, 219.

⁶¹ მუსხელიშვილი 2004, 9.

⁶² სტრ. 102-107; შდრ., მელიქიშვილი 1970, 374; Дьяконов 1951, 299.

⁶³ შდრ., მაგ., Salvini 1967, 22.

⁶⁴ Salvini 1995, 22, 55.

⁶⁵ Арутюнян 1957, 97-106.

სალმანასარის ცნობის სიზუსტეს ცხადყოფს გასული საუკუნის დასაწყისში, მდ. ტიგროსის სათავესთან, ბირკლინში (ე. წ. ტიგროსის გვირაბთან), კლდეზე მიკვლეული მეფის გამოსახულება და ოთხი წარწერა, რომელთა სალმანასარისადმი კუთვნილება ს. ფ. ლემან-ჰაუპტმა დაადგინა.⁶⁶

ძველი შუამდინარეთული წარმოდგენით, წყალი განწმენდისა და აღორძინების სიმბოლოა, ამქვეყნიური და იმქვეყნიური სამყაროს ზღვარი და დამაკავშირებელი – "ციური ოკეანის ჭურჭულია", ხოლო მდინარეები ტიგროსი და ეფრათი მნიშვნელოვან მითოლოგიურ სიმბოლოს, საკრალური ტოპოგრაფიის ელემენტებს წარმოადგენდნენ, ისინი, ისევე როგორც ყოველივე, ციური სუბსტანციების მიწიერი გამოსახულებებია: ცის ერთ თანავარსკვლავედში ტიგროსია, ხოლო მეორეში ეფრათი. ესაიას ბიბლიურ წინასწარმეტყველებაში ასურეთის მეფის სიძლიერე შედარებულია ეფრათის ძალასთან: "...აჰ აღმოიყვანებს უფალი, თქუძნ ზედა წყალსა მდინარისასა ძლიერსა და ფრიადსა, ასსურასტანელთა მეფისა, და დიდებასა მისსა და აღმოვიდეს ყოველსა ზედა ვეენებსა თქუძნსა, და ვლოს ყოველსა ზედა ზღუდესა თქუძნსა..." (წინასწარმეტყველება ესაიასი, თავი 8).⁶⁷

შემომოყვანილ სალმანასარის წარწერაში ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ მდ. ეფრათის სათავესთან მისული ასური მეფე, მსხვერპლშეწირვისა და ასურის იარაღის მდინარის წყალში განბანის შემდეგ, არაფერს ამბობს აქვე თავისი გამოსახულების დატოვების თაობაზე და იუწყება მხოლოდ თავისი "მეფური გამოსახულების" დაღმაზე დაიაენის მეფის ასიას სატახტო ქალაქში. როგორც ჩანს, ეს იმით უნდა ყოფილიყო გამოწვეული, რომ "ტიგროსის გვირაბის" ადგილმდებარეობისაგან განსხვავებით, სადაც მდინარე მძლავრად გამოედინება კლდოვანი მთის ძირიდან, მდ. ეფრათის სათავეს მხარე არ წარმოადგენდა ეფექტურ ადგილს ასურეთის მეფის სახელის უკვდავსაყოფად აგებული ძველისათვის, განსხვავებით ასია დაიაენელის ღედაქალაქისა.

როგორც ირკვევა, მდინარე ეფრათი (უფრო ზუსტად, დასავლეთ ეფრათი ანუ კარა-სუ) მრავალრიცხოვან წყაროთა შეერთების შედეგად არის წარმოქმნილი, რომელთა რიცხვიც, ზოგიერთი ცნობით, ასზე მეტია. ეფრათის სათავეს დასადგენად საგანგებო ძიება XIX საუკუნის შუა ხანებში ჩაატარა გერმანელმა მეცნიერმა და მოგზაურმა მორიც ვაგნერმა. მისი ცნობით, ეფრათის სათავე წყაროს წარმოადგენს ღუმლუ-სუ, რომელიც გაიურ დაღის განშტოების შემადგენელ ღუმლუ დაღის ფერდობიდან გამოედინება.⁶⁸ ღიმ. ბაქრადის რუკაზეც კარა-სუს სათავე წყაროდ – ღუმლუ

⁶⁶ Lehmann-Haupt 1926, 430-462.

⁶⁷ დაბალება (ბიბლია) 1884, 382.

⁶⁸ Wagner 1852, 240, 241, შდრ., აგრეთვე, Проскураков 1905, 71.



ბუკარია აღნიშნული.⁶⁹ ერზურუმის მხარეში ნამყოფი რობერტ ქერხიძის 1843 წელს წერდა, რომ ერზურუმიდან თორთომისაკენ მიმავალ გზასთან მდებარე კლდოვანი მწვერვალიდან ჩანს სამი მდინარის სათავე, რომელთაგანაც ერთი შავ ზღვაში ჩაედინება, მეორე – სპარსეთის ყურეში, ხოლო მესამე – კასპიის ზღვაში;⁷⁰ უკანასკნელში მდ. არეზის (არაქსის) შენაკადი უნდა იგულისხმებოდეს. ეს ადგილი დღემდე სუს სათავე წყაროების მახლობლობაშია, ზღვის დონიდან 2090 მ სიმაღლეზე მდებარე გიოქლიას უღელტეხილთან.

შავ ზღვასა და სპარსეთის ყურეში ჩამდინარე მდინარეების წყალგამყოფა ვიკურ დაღი, კლასიკური ხანის მწერლების ე. წ. მოსხური მთების სამხრეთული სექტორი – მისგან ჩრდილოეთით მდ. ჭოროხის შენაკადები თორთომის-წყალი (თორთუმ-ჩაი) და ოლთისის-წყალი (ოლთუ-ჩაი) მიედინებიან, ხოლო სამხრეთით მდ. ეფერატის შენაკადები⁷¹ – კარა-სუს სათავე მდინარე დემლუ-სუ და სერჩამ სუ.

ძირითადად სწორედ კარა-სუსა და სერჩამ-სუს შეერთების შემდეგ იყო ცნობილი მდინარე როგორც "ფრატი" ანუ ეფერატი.⁷² აღსანიშნავია, რომ სერჩამ-სუს წყლის ნაკადის მასა მეტი თუ არა ნაკლები არ არის კარა-სუს ნაკადზე და უფრო ჩქარი დინებაც აქვს; მაგრამ ამ ორი მდინარის შეერთების ადგილიდან მათ სათავეებამდე მანძილი სერჩამ-სუს შემთხვევაში კარა-სუს მანძილის ნახევარსაც კი არ შეადგენს.⁷³

პლინიუსის მიხედვით, მდ. ეფერატი გამოედინება დიდი სომხეთის პროვინცია კარანიტიიდან, მთა აბას ფერდობიდან და მას სათავეს მახლობლად Pyxurates-ი ეწოდება (*n.h.*, V, 83). ამ მთას სტრაბონი აბოსის (Mt. Abus) სახელით იცნობს (XI, XIV, 2). პლინიუსს ეს ცნობა ნერონის დროს სირიის რეგენტად მყოფი დომიციუს კორბულოსაგან აუღია (კორბულო პართელებთან ბრძოლის მიზნით ახ. წ. 63 წ. ეფერატის ზემო წელისაკენ იყო გადაადგილებული); ექვსი წლის შემდეგ ლიცინიუს მუციანოსი (ვესპასიანის დროს სირიის რეგენტად დანიშნული), მდ. ეფერატის სათავედ, ძიმარა-დან 12 მილით აღმა მდებარე, მთა კაპოტესს მიჩნევს (*n.h.* V, 83).⁷⁴ კაპოტესს ციხეს ვახუშტი ბაგრატიონიც იცნობს.⁷⁵ როგორც ჩანს, აბა, აბოსი, კაპოტე ერთიდაიგივე მთის სახელწოდებებია – თავკიდურა

69 Бакрадзе 1878, карта: Чурук-су, Адчара и Гурия в 1873 году.
 70 Curzon 1854.
 71 Wagner 1852, 240.
 72 ეფერატის სურიტული სახელი "Puranti" მომდინარეობს აქადური სახელწოდებისაგან "Purattu", რომელიც თავის მხრივ მიღებული ჩანს შუმერული "Buranunu"-საგან.
 73 Wagner 1852, 241.
 74 იხ., აგრეთვე, Hübschmann 1904, 427; Wagner 1852, 237.
 75 ვახუშტი 1973, 133, 20.



ველარული ფონემების მონაცვლეობას ნულთან არცთუ იშვიათად აქვს ადგილი აღმოსავლეთანატოლიურ-კავკასიურ ტოპონიმებში. ყურადღებას იპყრობს აგრეთვე სერჩამ-სუს სათავის მქონე სერჩამ-დაღის მახლობლად მდებარე კოპ-დაღის სახელწოდება, რომელიც მდინარეების ეფფრატისა და ჭოროხის წყალგამყოფად ითვლება. ჩემი აზრით, შესაძლოა პლინიუსისა და სტრაბონის ცნობები ეფფრატის სათავის შესახებ, არა კარა-სუს, არამედ სერჩამ-სუს სათავეს უნდა გულისხმობდეს.⁷⁶

თუმცა, მიუხედავად იმისა, სერჩამ-სუს სათავე თუ კარა-სუს შემადგენელი რომელი წყაროც არ უნდა ყოფილიყო მიჩნეული საღმანასარ III-ის მიერ ეფფრატის სათავედ, აშკარაა, რომ დაიანის მეფის ასიას სატახტო ქალაქი, სადაც ამ მდინარეთა სათავეების მახლობლად (სავარაუდოდ, სერჩამ-სუს აღმოსავლეთითა ან დუმლუ-სუს დასავლეთით) უნდა მდებარებულიყო ანუ იმ მთათა სისტემაში, რომელიც ჭოროხის, სერჩამ-სუს, თორთომის-წყლის, კარა-სუსა და ოლთისის-წყლის წყალგამყოფს წარმოადგენს. მკვლევართა მიერ სავსებით გამორიცხულია, რომ ეფფრატში (Purattu) აღმოსავლეთ ეფფრატი (იგივე მურათ-სუ, ძველი არაცანი) ყოფილიყო ნავულისხმევი, ვინაიდან იგი ძველად არ მოიხსენებოდა ხოლმე ამ სახელით.⁷⁷

მესოპოტამია-აღმოსავლეთ ანატოლიასა და შავ ზღვას შორის დიაუხის სტრატეგიული მდებარეობა დიდად განაპირობებდა ამ ქვეყნის ბედ-იბაღს ურარტელთა ექსპანსიის ხანაში. მკვლევართა აზრით, ბერძნულ კოლონიებსა და ურარტელებს შორის ვერ ხერხდებოდა ფართო სავაჭრო ურთიერთობა ვინაიდან მათ შორის დიაუხი და კოლხეთი იყო განლაგებული. თვით პონტოს მთების ლითონებით სიმდიდრეც ბერძნებს ურარტელებისაგან ჩრდილოეთ სირიის საშუალებით უნდა გაეგოთ და ეს უნდა გამხდარიყო ამ მხარით მათი დაინტერესების მიზეზი.⁷⁸

⁷⁶ მდ. ეფფრატის სათავის დადგენის საკითხთან მიმართებაში, გასათვალისწინებელია აგრეთვე ახ. წ. II საუკუნის ბერძენი ისტორიკოსის აპიანეს "მითრიდატეს ომების ისტორიის" ცნობა, რომ როდესაც დამარცხებული პონტოს მეფე, მითრიდატე VI ეპატორი სინორექსის ციხე-სიმაგრეიდან კოლხეთისაკენ მიმავალი მდ. ეფფრატის სათავეებისაკენ მიიქარის, გადადის ამ მდინარეზე და არმენიის ტერიტორიაზე – ზოტენეში იჭრება, საიდანაც იხრებითა და შურდულებით შეიარაღებული ზოტენელებისა და იბერების ჯგუფების გარღვევის შემდეგ, მდ. აფსაროსთან (ჭოროხთან) მიდის (App., *Mithr.*, 101; შდრ., Plut., *Pomp.*, XXXII). აქ რამდენადმე მოულოდნელია მითრიდატეს მიერ ეფფრატის დინების გადაღახვა, მაშინ როდესაც მას შეეძლო ეფფრატის (კარა-სუს) არა გადაღახვით, არამედ მისი ზემო დინების აყოლებითა და ე. წ. გურჯი ბოღაზის გავლით თორთომის ხეობაში შესვლა. ამიტომ სავარაუდოა, რომ აპიანისეული ცნობა ეფფრატში ამ მდინარის მარჯვენა შენაკადს, სერჩამ-სუს გულისხმობდეს და არა საკუორიე კარა-სუს.

⁷⁷ Мелкишивили 1963, 117; Дьяконов 1968, 125.

⁷⁸ Drews 1976, 18-31; Slattery 1987, 1-30.

სავარაუდოა, რომ ევეფრატის სათავესთან სალმანასარ III-სა და დაიანენელს შორის გარკვეული გარიგება მომხდარიყო არამე ურარტულის საწინააღმდეგოდ. სალმანასართან იქ მისულ ასიას იმედი ექნებოდა ასურ მეფესთან საერთო ენის გამოხატვისა. გ. მელიქიშვილის ვარაუდით, ასია ცდილობდა მოეპოვებინა ასურეთის მხარდაჭერა ახლადწარმოქმნილი და საშიში მეზობლის— ურარტუს სამეფოს — წინააღმდეგ ბრძოლაში.⁷⁹ მისი ამ მისწრაფების ძირითადი მიზეზი დაიანენსა და ასურეთს შორის ურარტუს მხარედი სამეფოს აღმოცენება იქნებოდა, რომელიც ჩრდილოეთიდან მესოპოტამიისაკენ მიმავალ სატრანზიტო გზებს ფლობდა და ამასთანავე შეეცდებოდა ხელში ჩაეგდო კიდევ უფრო ჩრდილოეთით მდებარე მდიდარი მხარეების რესურსები. სავაჭრო გზების დაუფლებისათვის ბრძოლა სალმანასარ III-ის მოღვაწეობის ძირითადი განმსაზღვრელი მომენტი იყო და შემთხვევითი არ არის, რომ თითქმის მთელი მისი ყურადღება ასურეთის დასავლეთითა და ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ქვეყნებისაკენ იყო მიმართული.⁸⁰ ბუნებრივია, არა მხოლოდ დაიანენელთა, არამედ ასურელთა ინტერესებშიც შედიოდა, რომ დამყარებულიყო მათ შორის პირდაპირი ურთიერთობა. ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს ასიასა და სალმანასარის შეხვედრის შემდეგ, ასურეთის მეფის ახალი ყმადნაფიცის, დაიანენის მეფის სატახტო ქალაქში ასურეთის ძლევაშისილი მეფის ქანდაკების დადგმა; ეს გარემოება ამავე დროს გარანტია იქნებოდა გარე ძალთაგან ამ ქვეყნის პოლიტიკური ხელშეუხლებლობისა.

სალმანასარის აღნიშნული ქანდაკება დღემდე არ არის ნაპოვნი, მაგრამ უ. ე. დ. ალენი, გასული საუკუნის ოცდაათიანი წლების დასაწყისში იუწყებოდა, ჭოროხისა და თორთომის-წყლის ლოდებს შორის მიკვლეულ, თუმცა იმ დროისათვის ჯერ ისევ შეუსწავლელ, ქვაში ამოკვეთილი ლომების არსებობას, რომელთა აქ პოვნა თითქოს ეხმიანებოდა ამავე რეგიონში დადასტურებულ ურარტულ ტოპონიმებს.⁸¹ არც ამ ლომების შესახებ არის ჩემთვის რაიმე ცნობილი, მხოლოდ მახსენდება ერზურუმის მუზეუმის ფონდებში დაცული ქვის, დაახლ. 1,5 x 0,7 მ ზომის, ვითომდა ლომის ქანდაკება, რომლის ლომის ფაფარიც ანისის მეფის გაგიკ I-ის ხალათის დრაპირებული

⁷⁹ მელიქიშვილი 1951, 219, 220; Меликишвили 1959, 204.

⁸⁰ Башиева 1953, 31; Lamprich 1995. ყველაზე მოსახერხებელ საშუალებებს ურარტუში შეღწევისათვის ასურელთათვის უკიდურესი დასავლური და ჩრდილოური მიმართულებები წარმოადგენდნენ, ტავროსისა და ზავროსის მთავრეხილების გადალახვით (შდრ., Zimansky 1985, 95).

⁸¹ Allen 1932, 51, 52.



სახელო გამოდგა, ხოლო თვით "ლომის ქანდაკება" ამ მეფის ტიტულის ძირითადი ნაწილი.⁸²

სპეციალურ ლიტერატურაში ნავარაუდევია, დაიენის ქვეყნის სამხრეთი საზღვრის პალანდიოქენის ქედამდე გავრცელება და შესაბამისად, ერზურუმის მხარის მის ფარგლებში მოქცევა,⁸³ თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით მხედველობაშია მისაღები სალმანასარ III-ის ზემოხსენებული წარწერის ტექსტი, საიდანაც ირკვევა, რომ ტერიტორია მდ. ევფრატის სათავემდე ურარტუს მეფეს – არამეს ეკუთვნოდა და არა დაიენის მეფეს – ასიას. ამავდროს ცხადია, რომ ასიას ქვეყანა ევფრატის სათავეებთან მდებარეობდა⁸⁴ და რომ ეს სათავეც და მის მახლობლად მდებარე მაღლობებიც მისივე კონტროლის ქვეშ უნდა ყოფილიყო. არ არის გამორიცხული, რომ თანამედროვე ერზურუმ-ჰორასანს შორის მდებარე მხარე, ანუ შუა საუკუნეების საქართველოში შემაჯავლი პროვინცია ბასიანი, რომლის აღმოსავლეთ ნაწილშიც მიკვლეულია დიაუხის ქვეყანაში ურარტელთა ლაშქრობების ამსახველი წარწერები, ასიასათვის სამფლობელოდ სალმანასარს გადაეცა.

ურარტუს მეფის, მენუას (ძვ. წ. 810 – დაახლ. 785/80 წწ.) კლდეზე ამოკვეთილი წარწერები იაზილითაშიდან და ზივინიდან გვამცნობენ, ძვ. წ. IX საუკუნის დამლევსა და VIII საუკუნის დასაწყისის დიაუხის (უფრო ადრეული ხანების ასურული წყაროების დაიენის) ქვეყნის მთავარი ქალაქის სახელწოდებას – შაშილუ (^{URU}Šašilu(ni)). როგორც უკვე ვიცით, სალმანასარ III-ის წარწერაში არაფერია ნათქვამი დაიენის დედაქალაქის სახელწოდების თაობაზე, გარდა იმისა, რომ ეს ქალაქი სალმაც მდ. ევფრატის სათავესთან ახლო მდებარეობდა და რომ იგი სალმანასარს დანგრევის ნაცვლად თავისი ძეგლით „დაუმშვენებია“. ვინაიდან მენუას ეს წარწერები მხოლოდ ნახევარი საუკუნით თუ არიან დაშორებული სალმანასარის ლაშქრობის ხანიდან, არ არის გამორიცხული სალმანასარის წარწერაში მოხსენიებული ასიას ქალაქი, სწორედ "შაშილუ" ყოფილიყო. მით უმეტეს რომ, სალმანასარის შემკვიდრების – შამში-ადად V-ის (ძვ. წ. 823-811 წწ.) და ადადნიარ III-ის (ძვ. წ. 810-782 წწ.) დროინდელი, დასუსტებული ასურეთის მიერ დაიენის დალაშქვრის შესახებ არაფერია ცნობილი. არც ურარტუს სამეფო იყო ძვ. წ. IX საუკუნის მჯორე ნახევარში, მენუას გამეფებამდე, იმდენად ძლიერი, რომ დაიენი, ანუ ურარტული წარწერების დიაუხი, დაელაშქრა. მხოლოდ ძვ. წ. IX საუკუნის დამლევებიდან ხდება დიაუხი ურარტელთა აგრესიისა და ექსპანსიის ობიექტი. რაც შეეხება იაზილითა-

⁸² Kavtaradze 1999. აღსანიშნავია, რომ, მუხუევში მომუშავე ახალი თაობის სპეციალისტები ქანდაკებას ახალასურული ხანის რომელიღაც მეფის კუთვნილებად მიიჩნევენ.

⁸³ შდრ., Меликишвили 1959, 176, 177, 205.

⁸⁴ Salvini 1967, 22



შის წარწერაში მენუას ფრაზას: "ის ტყვეები (?), (რომლებიც) დაბრუნდნენ, (მან) დააბრუნა მთლიანად (?)",⁸⁵ ეს წარწერა არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ აღნიშნულ "ტყვეებში", აუცილებლად დიაუხური წარმომავლობის იმ ურარტელთა მონების დაბრუნება ვივარაუდოთ, რომლებიც ურარტუდან იყვნენ თავის ქვეყანაში გაქცეულნი.⁸⁶ შესაძლოა საქმე ეხებოდეს, დიაუხელთა მიერ ადრე დატყვევებულ ურარტუს ქვეშევრდომებს, რომლებიც დიაუხის მეფემ უკან დაუბრუნა მენუას, მითუმეტეს, რომ იმავე წარწერის დასაწყისში მენუა დიაუხს მოიხსენიებს, როგორც "ძღვეამოსილ" ქვეყანას. შენიშნულია, რომ მოწინააღმდეგე ქვეყნის ასეთი განმადიდებელი ეპიტეტით მოხსენიება, გამონაკლისი შემთხვევაა ურარტუს მეფეთა ტექსტებში.

მენუას იაზილითაშის (თანამედროვე ეშქ ილიასი, დელიბაბას სამხრეთით, ქ. პორასანიდან დაახლ. 40 კმ სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით) წარწერა იწვევს: "დავიპყარი მე დიაუხის ქვეყანა, იერიშით დავიპყარი ქალაქი შაშილუ, სამეფო ქალაქი, ქვეყანა ვადავწვი, ციხე-სიმაგრეები (დავაქციე). მივედი (?) შეშეთის ქვეყანაზე, ქალაქ ზუამდე. ქალაქი უტუხა... უტუხურმინი დიაუხის მეფე მეახლა, ფეხებში ჩამივარდა, თავსვე დაემხო".⁸⁷ სოფელ ზივინში (პასანკალე-პასინლურსა და სარიკამიშს შორის, ქ. პორასანიდან დაახლ. 20 კმ ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით) ნაპოვნ ქვის ფილაზე, რომლის მხოლოდ ორი ფრაგმენტია შემორჩენილი და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმშია დაცული, სწერია: "მენუა ამბობს: დავიპყარი მე ქალაქი შაშილუ: დაუდგი მე ეს წარწერა ღვთაება ზადის, ჩემს მუფეს".⁸⁹

ამ პერიოდში დიაუხთან გართულებულ ურთიერთობაზე უნდა მიგვანიშნებდეს უმუღუმ თეფეზე (კალორ თეფე), 18 კმ-ით ერზურუმის ჩრდილოეთით, ს. უმუღუმ ქოიდან (იგივე იმიდიმ ბაბა) 2 კმ-ით დასავლეთით, გალავანშემორტყმული 50 x 75 მ ფართის ე. წ. ციკლოპური წყობის ნაგებობის აღმოჩენა, რომელიც ძეგლის შემსწავლელის ა. ჩილინგიროვს აზრით, საიმედოდ უნდა დათარიღდეს ძვ. წ. გვიანი IX და ადრეული VIII საუკუნეებით ანუ ურარტუს მეფის იშპუინისა (ძვ. წ. დაახლ. 825 – დაახლ. 810 წწ.) და მისი ძის მენუას ზეობის წლებით, თუმცა ავტორი უფრო მენუას ხანით მისი დათარიღებისაკენ იხრება, ადრეულ VIII საუკუნის ურარტულ ციხე-სიმაგრეებში "ციკლოპური ტექნიკის"

⁸⁵ შდრ., ნ. არუთიუნიანის რუსული თარგმანი: "Тех пленников (?), (которые) возвратились, (он) вернул полностью ?" (Арутюнян 2001, 78, წარწერა 53:17-18).
⁸⁶ იხ. Меликишвили 1960, 158, 159, прим. 5.
⁸⁷ მელიქიშვილი 1951, 208.
⁸⁸ Меликишвили 1960, 157-159; Арутюнян 2001, 77-79.
⁸⁹ Меликишвили 1960, 159-160; Арутюнян 2001, 80.



გამოყენების შემთხვევების გამო.⁹⁰ მიჩნეულია, რომ უშუალოდ თეფე მისგან სამხრეთით მდებარე ერზურუმის ველს იცავდა ჩრდილოეთის მხრიდან მოსალოდნელი საფრთხისაგან.⁹¹

ვინაიდან ურარტუს მეფე მენუას წარწერები, დიაუზის "სამეფო ქალაქის" შაშილუს დაპყრობის შესახებ, ერთმანეთის მახლობლად მდებარე იაზილითაშსა და ზივინშია მიკვლეული, გ. მელიქიშვილი ვარაუდობდა, რომ იმხანად ეს მხარე დიაუზის შემადგენლობაში უნდა ყოფილიყო მოქცეული და არც ამავე მხარეში, კერძოდ ზივინის რაიონში, გამოირცხავდა დიაუზის "სამეფო ქალაქი" შაშილუს ლოკალიზების შესაძლებლობას,⁹² როგორც ჩანს, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ზივინში ნაპოვნ ზემომოყვანილ წარწერაში, მენუას მიერ ქალაქ შაშილუს დაპყრობაა ნაუწყები. ზივინთან შაშილუს ი. დიაკონოვიც აიგივებდა.⁹³ 1961 წელს გამოცემული სომხეთის ისტორიული ატლასის მიხედვით, ზუაინი (იხ. ქვემოთ), მდ. არაზის ჩრდილოეთით, ზივინის ადგილას, ხოლო შაშილუ, ამავე მდინარის სამხრეთით, იაზილითაშის ადგილას არიან განლაგებულნი. ორივე შემთხვევაში, დიაუზის ფარგლებს გარეთ, მის სამხრეთ-აღმოსავლეთით.

ა. ჩილინგიროღლუ დიაუზის ტერიტორიას ძირითადად დღევანდ. ქ. აშკალესა და ქ. თერჯანს შორის მდებარე ერზურუმის ველით განსაზღვრავს, თუმცა აღმოსავლეთის მიჯნას ჰასან-კალესთან ატარებს და თვლის, რომ ეს ქვეყანა აფერხებდა ტუშპა-აღრი-ელემქირთიდან მომდინარე და ზივინ-პორასან-სარიკამიშ-ყარსი-გიუმირიუსაკენ მიმართულ ურარტელთა სწრაფვას, რის გამოც საჭირო გამხდარა მენუას მიერ დიაუზის აღმოსავლეთი რეგიონების დაპყრობა (სადაც, მისი თქმით, უშუალოდ თეფე მდებარეობს).⁹⁵

ურარტული ხანის ზუაინა/ზუა(ნი)-ს (^{URU}Zuaina-Zua(ni)), თანამედროვე ზივინთან (დღევ. Süngütaşı, დაახლ. 35 კმ ქ. სარიკამიშიდან სამხრეთ-დასავლეთით) გაიგივებისა და იაზილითაშის წარწერაში შაშილუს მოხსენიების გამო, რომელიც ზუაინა/ზუა(ნ)თან ერთად არის არგიშთი I-ის (ძვ. წ. 785/80-დაახლ. 760 წწ.) ხორხორულ მატრიანეში ნახსენები, ნ. არუთიუნიანის აზრით, შაშილუ სადაც დიაუზის ვრცელი ტერიტორიის სამხრეთ ნაწილში, ზუაინა/ზუა(ნი)ს ანუ ზივინის

⁹⁰ Çilingiroğlu 1982, 191-203.
⁹¹ Çilingiroğlu 1982, 193.
⁹² მელიქიშვილი 1951, 203; იხ., აგრეთვე, Меликишвили 1959, 176, 205; Арутюнян 2001, 523.
⁹³ Diakonoff 1984, 171n.216.
⁹⁴ Атлас 1961, 102, карта: Государство Урарту и сопредельные страны в VIII-VII вв. до н. э.
⁹⁵ Çilingiroğlu 1982, 193, 194; იხ., აგრეთვე, Özkaya 1994, 385, 386.

მანლობლად უნდა ყოფილიყო განთავსებული და ამასთანავე გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ მენუას ხანაში დიაუზის ტერიტორია სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით, მდ. არეზის სამხრეთით იაზილითაშამდე ყოფილიყო გადაჭიმული ანუ ჰასანკალე-ჰასინლერსა და დელიბა-ბა-ველიბაბას რაიონამდე. თუმცა იგი იქვე შენიშნავს, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში საფიქრებელი ხდება, ურარტელებს ეს წარწერა დიაუზის სამფლობელოთა ფარგლების გარეთ, ურარტუსაკენ მიმავალი გზის პირას დაეტოვებინათ.⁹⁶ იაზილითაშის მანლობლად ურარტუსაკენ მიმავალ გზაზე (ჰორასანსა და ელემქირთ/ალაშქირთს შორის) მდებარე თაჰირის (საჩის) უღელტეხილს, ურარტული ციხე-სიმაგრე აკონტროლებდა.⁹⁷

როგორც არ უნდა ყოფილიყო დიაუზის სამეფო ქალაქის, შაშილუს ადგილმდებარეობა, ერთი რამ უდავოა, დაახლ. ნახევარი საუკუნით უფრო ადრე, სალმანასარ III-ის ძვ. წ. 844 წლის წარწერაში მოხსენიებული დაიანის მეფის, ასიას ქალაქი ვერ იქნებოდა იაზილითაშისა და ზივინის მანლობლად მდებარე, თუნდაც იმიტომ, რომ მანძილი ეფერატის სათავესა (ერზურუმიდან დაახლ. 40 კმ ჩრდილოეთის მიმართულებით) და ამ ადგილებს შორის დაახლ. 160-170 კმ-ს შეადგენს. იაზილითაში და ზივინი ერზურუმიდან 90 კმ-ით აღმოსავლეთით მდებარე დღევ. ქ. ჰორასანიდან, სამხრეთ-აღმოსავლეთითა და ჩრდილო-აღმოსავლეთით (შესაბამისად, დაახლ. 40-20 კმ) არიან განლაგებულნი. ამასთანავე, ნაკლებად მოსალოდნელია, დაიანი/დიაუზის ქვეყნის დედაქალაქს სალმანასარისა და მენუას ლაშქრობებს შორის გასულ ნახევარი საუკუნის განმავლობაში ასე კარდინალურად შეეცვალა ადგილმდებარეობა და შორს აღმოსავლეთისაკენ გადაენაცვლა.

გ. მელიქიშვილი საყურადღებოდ მიიჩნევს, რომ მენუას დროს დიაუზის "სამეფო ქალაქის" (რაც უნდა ნიშნავდეს სამეფო რეზიდენციასა თუ დედაქალაქს) ეპითეტით მოხსენიებული ქალაქი შაშილუ, არგიშთი I-ის დროს ურარტუს დაქვემდებარებაში გადადის, ხოლო დიაუზის "სამეფო ქალაქად" იხსენიება უფრო ჩრდილოეთით მდებარე ქალაქი ზუაინა/ზუა(ნი).⁹⁸

არც ურარტული წყაროების ზუა/ზუანის თანამედროვე ზივინთან გაიგივების ვარაუდი⁹⁹ ჩანს დამაჯერებელი. მართალია არგიშთი I-ის სურბ საპაკის (ვანის) წარწერა იუწყება, მის მიერ ზუაინა/ზუა(ნი)ში წარწერის

⁹⁶ Арутюнян 2001, 523. თუმცა იაზილითაში, ქ. ჰორასანიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ მიმავალი თანამედროვე გზიდან დაახლ. 5 კმ-ით უფრო დასავლეთით მდებარეობს (მდრ., Özkaya 1994, 387, Harita).

⁹⁷ Kleiss & Hauptmann 1976, 22, № 156.

⁹⁸ მელიქიშვილი 1955, 86.

⁹⁹ Капанцян 1947, 181; Арутюнян 2001, 79, прим. 3, 523, 530.



დატოვებას,¹⁰⁰ მაგრამ ზვიინში შაშილუს დაპყრობის მაუწყებელი მხედველი მენუას, და არა მისი ძის არგიშთის, წარწერაა მიკვლეული, ეს გარემოება, რა თქმა უნდა, არ გვაძლევს ზუაინა/ზუა(ნი)სა და ზვიინის გაიგივების საშუალებას. რაც შეეხება ამ ორი, ძველი (ზუაინა/ზუა(ნი)) და ახალი (ზვიინი) ტობონიმის ფონეტიკურ მსგავსებას, ანალოგიური ელვადობის სახელწოდებები სხვაც არაერთი მოიძებნება იმ ტერიტორიაზე რომელიც დიაუხის ქვეყანას ჰქონდა ადრე დაკავებული.¹⁰¹

დიაუხის ტერიტორიის ჩრდილოეთ ნაწილში ზუაინა/ზუა(ნი)ს ლოკალიზების სასარგებლოდ მოწმობს მენუას იაზილითაშის წარწერაში ამ ქალაქის დიაუხში შემავალ შემეთის ქვეყანასთან (თუ შემეს მთასთან) ერთ კონტექსტში მოხსენიება;¹⁰² "შეშეთი"-სა თუ "შემე"-ს დამთხვევას შეშეთ-იმერხვეთან ცხადყოფენ ასურულ-ურარტულ წყაროებში მოცემული მათი აღწერილობა (იხ. ქვემოთ). არგიშთი I-ის სურბ-საჰაკის წარწერების მიხედვით, შაშილუს ქვეყნის უშუალოდ ურარტუს შემადგენლობაში მოქცევის შემდეგ დიაუხის სამეფო ქალაქი უკვე ზუაინა/ზუა(ნი) ხდება და აღინიშნება მისი მდებარეობა ამჯერად უკვე "ულდინი"-ს (გ. მელიქიშვილის მიხედვით, "დიდი"-ს) ქვეყანაში.¹⁰³ აღნიშნული გარემოება შეშეთისა და "ულდინი"-ს (თუ "დიდი"-ს) ქვეყნების იდენტიურობაზე თუ არა, მათ ნაწილობრივ ტერიტორიალურ დამთხვევაზე მაინც უნდა მივანიშნებდეს, მითუმეტეს რომ ორივე ეს ქვეყანა, როგორც მენუას, ასევე არგიშთი I-ის

¹⁰⁰ Меликишвили 1960, 234-236; Арутюнян 2001, 186-189.

¹⁰¹ იქნებ "ზუას" სახელის გამოძახილი ისმოდეს იმერხვეის სოფლების – "ოქროს წუა"-ს, "ხიოსიძიოსი"-ს (თურქული სახელწოდებაა – Тербаши) (ხევწერილიწვლის მარჯვენა მხარეზე) და სოფლის საიესების – "ზუარეთი"-სა (ს. მიქელეთი, შავშეთი) და "ზუელ (ძველ) კარები"-ს (ს. დასამობი) (იხ. ყაზბეგი 1995, 87; სიხარულიძე 1988, 56; ფუტყარაძე 1993, 185; ცეცხლაძე 2000, 6, 31, 33, 40, 109, 182, 243, 253, 258) სახელწოდებებში.

¹⁰² ნ. არუთიუნიანს ეჭვი შეაქვს "შეშეთინას ქვეყნის" არსებობაში და ტივლათფილესერ I-ის წარწერაში მოხსენიებული "შემე-ს მთისა" და შეშეთინას დაბოლოების მსგავსი სიტყვების ურარტულ წარწერებში გამოვლენის (^(td)Dainali tini, Umešimi tini etc.) გამო, მენუას წარწერის "შეშეთინას ქვეყანას" (^(KUR)Sešetina) თვითნებურად "შაა შემედ" (^(ADU)Seše tina (resp. tini?)) ასწორებს (Арутюнян 2001, 79, прим. 2).

¹⁰³ აღნიშნული წარწერის ამ ტობონიმს ფ. ვ. კიონიძი "ულდინი"-ს, ხოლო გ. მელიქიშვილი "დიდი"-ს (^(KUR)Didi(ni)?) სახით კითხულობდა (შდრ., Меликишвили 1960, 234 (128, B12), 235; König 1955, 82 (უკანა მხარე); König 1957, 207). უკანასკნელ ხანებში ნ. არუთიუნიანი ფ. ვ. კიონიძის წაკითხვის სისწორეს ასაბუთებს და ტერმინ "ულდინი"-ის (^(KUR)Uldinic) შესახებ შენიშნავს: «Такое чтение, но в полной сохранности, предлагает Ф. В. Кенгуз. В тексте хорошо сохранилась лишь концовка знака, но остатку предыдущих клиньев как будто совпадают с началом знака ил. Что касается расшифровки здесь [d]i(?) у Г. А. Меликишвили, то наличие в конце знака двух "угловых" (а не горизонтальных!) клиньев друг над другом это чтение делает невозможным» (Арутюнян 2001, 186 (174, B12), 187, შენ. 7, იხ., აგრეთვე, 528).

წარწერაში, დიაუხის ქვეყანაში შემადგენლობაში იგულისხმება სპეციალისტები მათ დიაუხის ქვეყნის გადაღმა ანუ მის ჩრდილოეთ პერიფერიაზე მდებარედ მოიაზრებენ.¹⁰⁴

ურარტუს მიერ შაშილუს ალების შემდეგ დიაუხის სამეფო ქალაქად შაშილუს ნაცვლად ზუაინა/ზუა(ნი)ს გახდომა, თავისთავად უნდა მოწმობდეს შაშილუსთან მიმართებაში ზუაინა/ზუა(ნი)ს უფრო დიდი მანძილით დაშორებაზე ურარტუს საზღვრებიდან¹⁰⁵, რასაც ადგილი ვერ ექნებოდა ჰორასან-სარიკამიშის გზის დასავლეთ სექტორში მდებარე ზივინსა თუ იაზილითამის შემთხვევაში, რომლებიც ეფფრატის სათავის მხარესთან შედარებით ურარტუს საზღვრებთან უფრო ახლოს მდებარეობდნენ, ძველი ბასიანის აღმოსავლეთ ნაწილში, მდ. არეზის ხეობაში. აქ ზუაინა/ზუა(ნი)ს ლოკალიზაცია თითქოს არ შეესაბამება იმ ხანად ამ რეგიონში შექმნილ გეოპოლიტიკურ სიტუაციას.

მენუას ზემომოყვანილ იაზილითამის წარწერაში ერთიდაიმავე კონტექსტში შემეთის ქვეყნის, ქალაქ ზუასა და ქალაქი უტუხანის¹⁰⁶ მოხსენიებაც, თითქოს უფრო მდ. ჭოროხის შუა წელის მარჯვენა შენაკადების ზონაზე უნდა მიგვანიშნებდეს, ვიდრე მდ. არეზის ზემო წელსა და მის მახლობლად მდებარე მხარეებზე. ნ. არუთიუნიანის მიხედვით, ქალაქ

¹⁰⁴ შდრ., დიდის შესახებ: "next to the land of Diauehe" (Diakonoff & Kashkai 1981, 27). შავშეთ-იმერხეში ტერმინ "დიდის" პარალელი ექნება "დიობანი" ← დი(დი)+ობა-ნი+დიდი უბანი (იხ. ყაზბეგი 1995, 86, 93, 158; სიხარულიძე 1988, 52, 62; ფუტკარაძე 1993, 185; ცეცხლაძე 2000, 6, 28, 31, 33, 65, 93, 176, 248, 253, 258) (თურქული სახელწოდება – Meydancak-ი) სახელწოდების სახით, რომელიც იხსენიება "დიობანილი"-ს ფორმითაც (ახვლედიანი 1944, 93; სიხარულიძე 1988, 62). გ. მელიქიშვილი ამ სახელწოდებას საეარაულიდ აკავშირებდა კაპადოკიურ ფირფიტებში ხშირად დადასტურებულ სახელთან Didi (e, a) (მელიქიშვილი 1951, 213). ანლაუტში ლენტაღური ფონემის მერყეობის (დიდი/ადი) გათვალისწინებით (იხ. ქემოთ), შესაძლებელი იქნებოდა აგრეთვე ტომონიმი "იდი"-ს მხედველობაში მიღება, რაც განსაკუთრებით საგულისხმო იმ მხრივ იქნებოდა, რომ იდი ოლითისის-წყლის ზემო წელზე (შდრ., ბარამიძე 1923), ზუაინა/ზუა(ნი)-ად მიჩნეული ზივინის ჩრდილოეთით მდებარეობდა. ვახუშტის მიხედვით, "ნარუშკას (თვით ვახუშტის განმარტებით: "აწ ნარამიანი") ზეით..., ჭოროხის აღმოსავლეთ კიდულად, არს ღამა დიდი იდა..." (ვახუშტი 1973, 683, 684). აქ ვახუშტის ჭოროხი, ცხადია, ოლითისის-წყალი უნდა იყოს, ვინაიდან იგი შემდეგნაირად განსაზღვრავს ტაოს ფარგლებს: "აღმოსავლით ჭოროხის მდინარე; სამკრით თორთომილამ ჩამოსული მთა ადამდე; დასავლით თორთომის მთა; ჩდილოთ ჭოროხი და ისპირის მთა" (ვახუშტი 1973, 684). ანკარიშის გასაწვევ გარემოებად მიგვაჩნია ის, რომ ადის მდებარეობა თანხველბა, ფ. ვ. კონიპის მონაცემებზე დაყრდნობით, ნ. არუთიუნიანის მიერ, "ულდინი"-სათვის განსაზღვრულ ადგილს: «недалеко от царского города Зуани (совр. Зивин) страны Диавухи, где-то у верховьев реки Олту, притока Чороха» (Арутюнян 2001, 528; Кōnig 1957, 207).

¹⁰⁵ მართებული ჩანს ვარაუდი, რომ ქ. შაშილუს ქვეყანა დიაუხის გაერთიანების უკიდურეს სამხრეთ ოლქს წარმოადგენდა (იხ. გოგიტიძე 2002, 106-107).

უტუხაის მხარის სახელწოდება (^{URU}Uṭuḫai asuni) მეტათეზის დაშვებით შედეგად შესაძლოა უკავშირდებოდეს თორთუმ-ჩაის მარჯვენა შენაკადთან მდებარე "უხტა/ოხტა"-ს, ხოლო ი. დიაკონოვი და ს. ქაშკაი ამ ტოპონიმს "Uhta"-ს სახით წარმოადგენენ.¹⁰⁶

აღსანიშნავია, რომ დიმ. ბაქრაძის რუკაზე "ოხტა"-ს სამხრეთ-დასავლეთით "აზორად/აზორთ"-ია აღნიშნული.¹⁰⁷ ეს სახელი იმავე სამოსახლოსა და ზოგადად თორთომის ხეობის აღმნიშვნელად – "აზორდაცვორი" – ცნობილია ჯერ კიდევ "VII საუკუნის სომხური გეოგრაფიიდან".¹⁰⁸ ამ დასახლებული პუნქტის თანამედროვე თურქული სახელია უზუნდერე და მას სამხრეთიდან უშუალოდ ესაზღვრება შუა თორთომის ხეობის უძძლავრესი ციხე-სიმაგრე – ალჯა-ყალა (იხ. ქვემოთ). ხომ არ წარმოადგენდა თორთომის-წყლის შუა დინებაზე განლაგებული ალჯა-ყალა ზუაინა/ზუა(ნი)ს?

თუ ზუაინა/ზუა(ნი)ს ვერ გავაიგივებთ ზივინთან, მაშ რა უნდა ყოფილიყო იაზილითაშსა და ზივინში ურარტული წარწერების არსებობის გამოძწვევი მიზეზი? მ. სალვინი ყურადღებას ამახვილებს, იმ გარემოებაზე, რომ როგორც იაზილითაში, ასევე ზივინი, ერზურუმ-ყარსის შარავზაზთან მდებარეობენ, რომელიც უკვე ურარტელთა ხელში იქნებოდა იქ ნაპოვნი წარწერების შედგენის ხანაში,¹⁰⁹ ხოლო კ. საგონა იაზილითაშსა და ზივინს ათავსებს ძველ ურარტულ გზაზე, რომელიც თაპირის უღელტეხილის გავლითა და მდ. არეზის ზემო დინების გადაკვეთის შედეგად სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მიემართებოდა; იგი თვლის, რომ, იაზილითაშისა და ზივინის წარწერების ადგილმდებარეობა უკვე თავითავად უნდა მიგვანიშნებდეს აქ ურარტული გზის არსებობაზე.¹¹⁰ როგორც ჩანს, არცთუ იშვიათად ურარტელები წარწერებს დალაშქრული მხარეებისაკენ მიმავალ გზებთან ათავსებდნენ ხოლმე.

¹⁰⁶ Арутюнян 2001, 529; Diakonoff & Kashkai 1981, 97. დიმ. ბაქრაძის რუკაზე იმავე ადგილას "ოხტა" არის აღნიშნული (Бакрадзе 1878, карта: Чурук-су, Адчара и Гурия в 1873 году).

¹⁰⁷ Бакрадзе 1878, карта: Чурук-су, Адчара и Гурия в 1873 году.

¹⁰⁸ Hewsen 1992, 65-65A, 204n.243, 209n.253.

¹⁰⁹ Salvini 1995, 54. ყარსი-ერზურუმ-ერზინჯანის მხარეების ნაწილი სპეციალურ ლიტერატურაში ურარტუს მეორე დამორჩილებულ დიაუხის ქვეყნის ყოფილ ტერიტორიად არის ხოლმე მიჩნეული, რომელმაც დიაუხის დაპყრობის საშუალებით აღმოსავლეთ პონტოს მთების კალთებს მიაღწია (იხ., მაგ., Yakar 2000, 442).

¹¹⁰ Sagona 2004, 304, 306n.39.

¹¹¹ შდრ., არტან-ახალციხის გზაზთან ნაპოვნი თარიუნის ქვეყნის წინააღმდეგ არგიმთი I-ის დაშქრობის (იხ. ქვემოთ) ამსახველი ხანაიის წარწერა (Dinçol & Dinçol 1992, 109-117). არგიმთის ძის სარდური II-ის (დაახლ.760-დაახლ.730 წწ.) დაშქრობის ამსახველი კლდეზე ამოკვეთილი წარწერა ნაპოვნია უფრო სამხრეთ-აღმოსავლეთით, დამ კერპისთან

ის გარემოება, რომ მენუა შაშილუს აღების შემდეგ მიემართება შემოქმედისა და ქალაქ ზუაინა/ზუა(ნი)საკენ უნდა მიუთითებდეს ერთიდაიმავე ვექტორზე მათი განლაგების სასარგებლოდ, რომლის დასაწყისში ქალაქი შაშილო, ხოლო მის გადაღმა, სავარაუდოა ჩრდილოეთით, შეშეთის ქვეყანა და ქალაქი ზუაინა/ზუა(ნი) მდებარეობდნენ. თუ შეშეთის ქვეყანა შავშეთია, მაშინ გამოდის, რომ შაშილო ურარტუდან შავშეთისაკენ მიმავალ გზაზე მდებარეობდა და მისგან უფრო სამხრეთით უნდა ყოფილიყო განლაგებული. ამდენად დასაშვებია ხდება თორთომის-წყლის ხეობაში მისი ადგილმდებარეობის განსაზღვრა. ერზურუმის ზეგნის ჩრდილოეთ ნაწილზე გაბატონებულ, ეფრატის სათავის მხარეში ქვეყნის მთავარი ქალაქის მდებარეობა, ამ უკანასკნელს დიდ სტრატეგიულ უპირატესობას მიანიჭებდა და შესაბამისად ასიას ქალაქის აქ არსებობა, სალმანასარის წარწერაში ეფრატის სათავის მხარეში მისი ლოკალიზების შესახებ ცნობის გარეშეც, თავისთავად უფრო მოსალოდნელი იქნებოდა ვიდრე იაზილითაშ-ზივინის სექტორში.

"შაშილუს" ლოკალიზაციისათვის გასათვალისწინებელია, რომ მდ. ეფრატის (კარა-სუს) სათავე მდინარის, დუმლუ-სუს სათავეებიდან (როგორც ითქვა, აქ რამდენიმე ათეული ნაკადული იყრის თავს) დაახლ. 20-30 კმ-ით ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით, იმიერ-ტაოში, თორთომის-წყლის (თურქ. Tortum-çay) ზედა წელთან მდებარე თორთომის ციხე (თურქ. Tortum-kale) და მისი შემოგარენი.

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით: *"ამ (თორთომის - გ. ქ.) ხევს ზეით, თორთომის მდინარეზედ, არს ციხე თორთომისა, მავარი, კლდესა ზედა დიდშენებული. მის მიერ იწოდა ხეობა ესე თორთომის ხეობად".* მანვე თორთომის მხარის შემდგენიერი აღწერილობა დაგვიტოვა: *"...თორთომის მდინარის კიდე, ხახულს ზეითამდე ანუ ციხემდე, ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი, ხოლო მთის კერძონი ყოველგნით, ვითარცა ჯაყახეთი აღვსწერეთ, გარნა არს მოსავლიანი, პირუტყვანი, ფრინველიან-ნადირიან-თევზიანი, შემკობილი მთით და ბარით, კაცნი ვითარცა მესხნი, და აწ სრულიად მოჰმადიანნი, ენითა ქართულითავე, არამედ უბნობენ თურქულსა¹¹²".*

აღსანიშნავია, რომ თორთომის ციხისა და თორთომის ხეობის მეორე ციხის - ალჯა-ყალას მონაცემები, ერთმანეთშია აღრეული სამხრეთ საქართველოს 1917 წ. არქეოლოგიური ექსპედიციის მასალებში.¹¹³ ეს

(Taşköprü), ჩრდილის ტბიდან 2 კმ-ით დასავლეთით, ხოლო თვით არგიშთის წარწერიანი სტელა - სარიკამიშთან (ეს უკანასკნელი თბილისის სახელმწიფო მუზეუმშია დაცული, იხ. Lehmann-Haupt 1926, 58; Kleiss & Hauptmann 1976, 13, № 48; 15, № 62).

¹¹² ვახუშტი 1973, 686, 27-28, 687, 1-2, 20-25.

¹¹³ თაყაიშვილი 1960, გვ. 010, № 149 (შეცდომით აღნიშნულია, რომ "თორთომის ციხეა") და № 150 (შეცდომით აღნიშნულია, რომ "ალჯა-ყალა"), გვ. 3, ტაბ. 149, 150. სინამდვი-

აღრევა შეიძლება ვახუშტიდან მომდინარეობდეს; მისეული აღწერილობა
"...თორთომის მდინარეზედ, არს ციხე თორთომისა, მაგარი, კლდეა ზედა
დიდშენებული. მის მიერ იწოდა ხეობა ესე თორთომის ხეობად",¹¹⁴ უფრო
აღჯა-ყალას მონაცემებისას წააგავს, რომელიც მაღალ კლდეზეა აგებული
და თანაც ხეობის შუაგულშია; თორთუმ-კალე კი ხეობის განაპირას,
თორთუმ-ჩაის ზემო წელზე მდებარეობს. თორთომის ციხისა და აღჯა-
ყალას მონაცემების აღრევასთან დაკავშირებით, გასათვალისწინებელია
აგრეთვე ის გარემოებაც, რომ 1923 წლის საქართველოს ისტორიულ
რუკაზე აღჯა-ყალას ადგილზე "თორთომის ციხეა" აღნიშნული, ხოლო
თორთომის ციხის ნაცვლად "თორთომი" იკითხება.¹¹⁵

საგულისხმოა, რომ ურარტული ციხე-სიმაგრეები ძირითადად
განლაგებული იყო ხეობებისა და ველების განაპირა მხარეებში და არა
ცენტრში, განსხვავებით წინაურარტული ხანის ნაგებობებისა,¹¹⁶ ეს კი
შესაძლოა თორთომის ციხის აგების თარიღის განსაზღვრის
შესაძლებლობას იძლეოდეს, ვინაიდან რამდენადაც არ უნდა ყოფილიყო
დიაუხნი ურარტუსთან დაპირისპირებული, ამ სახელმწიფოებრივი
ერთეულისათვის დამახასიათებელი პოლიტიკური ხელისუფლების
მოდელი და ინსტიტუციონალური სტრუქტურა, ვარკვეულად გამოხატული
არქეოლოგიური და მიწისზედა ნაშთებით (ციხე-სიმაგრეები, მეგალითური
გალანგები), არ უნდა ყოფილიყო დიდად განსხვავებული ურარტულისაგან.
როგორც ჩანს, თორთომის ციხესთან ერთ დროს დიდი ქალაქი უნდა
არსებუდიყო.¹¹⁷

როგორც უკვე ითქვა, სალმანასარ III-ისა და მენუას ლაშქრობათა
შორის განვლილ ხანაში, დაიანნი/დიაუხის მიწაზე დიდ კატაკლიზმებს
ადგილი არ უნდა ჰქონოდა, ამიტომ საფიქრებელია, რომ ასიას სატახტო
ქალაქი სწორედ შემდეგდროინდელი დიაუხის დედაქალაქი შაშილუ უნდა
ყოფილიყო. ვინაიდან ბგერები: **s** და **š**, **r** და **l**, **o** და **u** ურარტულ
დამწერლობაში ერთმანეთისაგან არ განირჩევა,¹¹⁸ ხოლო ისტორიულ-
გეოგრაფიული ხასიათის კვლევისას რეკომენდირებულია **š**-ს **s**-დ და **u**-ს **o**-

ლემი № 149 – აღჯა-ყალა, ხოლო № 150 – თორთომის ციხე, რაშიც არაერთხელ
გვქონდა შესაძლებლობა პირადად დავრწმუნებულიყავით. შდრ., აგრეთვე, Sinclair 1989,
14, pl. 12.

¹¹⁴ ვახუშტი 1973, 686, 27-28, 687, 1-2.

¹¹⁵ ბარამიძე 1923. აღსანიშნავია, რომ ვერ კიდევ დღემ ბაქრძემ თავის 1873 წლის რუკაზე,
თორთომის ციხის ("Укр.Тортоми") ადგილმდებარეობა სათანადო ადგილას აქვს
მინიშნებული (Бакрадзе 1878, карта: Чурук-су, Адчара и Гурия в 1873 году.); ასევე
თ. ა. სინკლერის რუკაზეც (Sinclair 1989, 4-5).

¹¹⁶ Zimansky 1985, 96.

¹¹⁷ Sinclair 1989, 14.

¹¹⁸ Мелияшвили 1960, 46.

დ წაკითხვა,¹¹⁹ ტოპონიმი "შაშილუ" უნდა წავიკითხოთ, როგორც "სასიროს" ან "სასილო". გ. მელიქიშვილი ამ ტოპონიმს "სასილო"-ს ფორმით ალაღვენდა.¹²⁰

აღსანიშნავია, რომ თორთომის ციხეს დასავლეთის მხრიდან უშუალოდ ეკვრის თურქული სოფელი საირი (თურქ. Sağır ანუ "ყრუ", ამჟამად ს. Esen-durak-ი ანუ "ჯანსაღი ბანაკი", ვახუშტის თქმითაც თორთომი ადგილია "მოსავლიანი, პირუტყვანი, ფრინველიან-ნადირიან-თევზიანი"), რომლის ძველი ქართული სახელწოდებაა "სასირე",¹²¹ საკმაოდ ახლო მდგომი ურარტული სამეფო ანალებში დადასტურებულ ტოპონიმ "სასილო"-სთან. შესაბამისად, თუკი ტოპონიმი "სასირე" ურარტული წყაროების "შაშილუ"-სთან არის დაკავშირებული, ამ უკანასკნელის წაკითხვისას ფორმა "სასილო"-სთან" შედარებით უპირატესობა უნდა მიენიჭოს – "სასიროს". სა-სირ-ო-ს პარალელური ყალიბია სა-სირ-ე¹²² (თუმცა შავშეთში, სოფ. კუჭენში, ტყის აღმნიშვნელად დასტურდება ფორმა "სა-სილო-ე"-ც, რომელსაც "სა-სირ-ე"-დ ალაღვენენ).¹²³ ენათმეცნიერთა შეხედულებით, "სა-ო" სიტყვათსაწარმოებელი ცირკუმფიქსის მოდელის შემთხვევაში, უცნობი ფუძის კვლევა რამდენადმე კომპრომისული გზით უნდა წარიმართოს: უწინარეს ყოვლისა, სავარაუდებელი ხდება "ვინ" ჯგუფის სახელი, მაგრამ პრინციპულად არ გამოირიცხება "რა" ჯგუფის სახელიც, კერძოდ, ქართულ მიკროტოპონიმიკაში დასტურდება ტერმინები: "საცხენო", "სააქლემო ღელე", "საბამბო გზა", "საჯერნო" და სხვ.¹²⁴

რაც შეეხება სატომო სახელს – ^mŠaškīhī, მასთან ქალაქის სახელწოდება – Šašilu არ უნდა იყოს უშუალო კავშირში, როგორც ამას ზოგჯერ ვარაუდობენ ხოლმე;¹²⁵ არგიმთი I-ის ხორხორული მატანიის ერთსადაიმავე წარწერაში (B1), ისინი განსხვავებულ კონტექსტში გვხვდება, ქალაქ შაშილუს ქვეყანა კადასა (^{KUR}Qada) და აშკალაშის (^{KUR}Ašqalaši) ქვეყნებთან ერთად, ხოლო შაშკიების ტომი – არდარაკიხის (^mArdarakihī), ბალთულხისა (^mBaltulhī) და კაბილუხის (^mQabiluhī) ტომებთან.¹²⁶

თორთომის ციხესთან გადიოდა შავი ზღვის სანაპიროდან (დღევ. ქ. რიზეს მახლობლად) ისპირისა და ხახულის გავლით რიზედან ერზურუმისაკენ მიმავალი გზა, რომელიც შემდეგ ევფრატის სათავე მდინარის, დუმლუ-სუს

¹¹⁹ იხ. Diakonoff 1984, 194n.82; Diakonoff & Kashkai 1981, xi; Wilhelm 2004, 122.

¹²⁰ იხ. მელიქიშვილი 1970, 375, 377.

¹²¹ შდრ., ბარამიძე, 1923.

¹²² აფრიდონიძე/მაკალათია 1980, 287, 289.

¹²³ ცეცხლაძე 2000, 66, 247, შენ. 65.

¹²⁴ აფრიდონიძე/მაკალათია 1980, 287.

¹²⁵ მელიქიშვილი 1951, 211.

¹²⁶ იხ. Арутюнян 2001, 186, 187.



გაყოფებითა და ქართლის ყელის ("გურჯიბოლაზის") გავლით სამხრეთით ქ. ერზურუმისკენ მიემართებოდა. თორთომში ისპირ-ერზურუმის გზა მან-ოლთისის ვხით იკვეთება, ხოლო მესამე, ჩრდილოეთის ვზა, მდ. თორთომის-წყალს მიყვება და შემდეგ მდ. ჭოროხის გაყოფებით, ამ უკანასკნელის შესართავთან შავი ზღვის სანაპირომდე აღწევს.

შემთხვევითი არ ჩანს ის გარემოება, რომ სწორედ თორთომის ციხე წარმოადგენდა XV საუკუნის დასაწყისში თემურ-ლენგის ერთ-ერთ ძირითად ბანაკს ანატოლიასა და ამიერკავკასიაში მისი ლაშქრობების დროს;¹²⁷ ხოლო 1549 წ. დეკემბერში ფერდინანდ I-სადმი გაგზავნილ წერილში სულეიმან კანუნი იუწყება ოსმალთა მიერ თორთომის ციხისა და აღჯაყალას აღებას და თორთომს "გურჯისტანის ქვეყნების" დედაქალაქად მოიხსენიებს.¹²⁸ ბევრად უფრო ადრე, XIII ს. მეორე ნახევარში, თორთომის ციხის კედლებთან თურქი ურდოების წინააღმდეგ გმირული ბრძოლა გადაუხდია თაყა ფანასკერტელს, რომელმაც "...მცირე წყობა ყო ციხისა თორთომის ძირსა და (თურქთა) დიდად აწრო..." (II, 310, 17-19, 311, 9-11).¹²⁹ ისტორიულად თორთომის ციხე საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ მიჯნას დარაჯობდა. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, თორთომის სამხრეთ-დასავლეთის საზღვარი იყო ჯუანშერთან მიხსენიებული "გზა ქართლისა", ანუ ვახუშტის "საქართველოს ყელი", რომელსაც თურქებმა "გურჯიბოლაზი" უწოდეს.¹³⁰

ვინაიდან დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე თორთომის ციხე, ერზურუმის ზეგნისა და შავი ზღვის დამაკავშირებელ გზაზე მდებარეობდა და გაბატონებული მდგომარეობა ეკავა მდ. ეფფრატის სათავეებსა და საზოგადოდ ერზურუმის მხარეზე, სავარაუდოა, რომ აქვე ყოფილიყო დიაიენის მეფის, ასიას სატახტო ქალაქი და ამასთანავე დიაუხის ქვეყნის ადრეული ხანის დედაქალაქი **შაშილუ**, რაზედაც აქ ტოპონიმ "სასირეს" არსებობა უნდა მიგვანიშნებდეს (იხ., ზემოთ). გასათვალისწინებელია ისიც, რომ ურარტუს ისტორიის ცნობილი სპეციალისტი, ბ. პილტროვსკი, ქალაქ შაშილუს ათავსებდა X საუკუნის ქართული მონასტრის, ხახულის ადგილას, რომელიც თორთომიდან მხოლოდ ოციოდე კილომეტრით თუ არის დაშორებული.¹³¹ ხოლო რ. ჰ. ჰევენნი ამ ქალაქს ბევრად უფრო ჩრდილოეთით, ჭოროხის შუა დინებასთან ერთერთი მცირე შენაკადის შეერთების ადგილთან მდებარე არსის/ერსისთან ემებს.¹³²

¹²⁷ Clavijo 1928.

¹²⁸ აბულაძე 1993, 259.

¹²⁹ შდრ., ვახუშტი 1973, 249, 3-4, 11-14.

¹³⁰ ჯავახიშვილი 1965, 67.

¹³¹ კუფტინი 1949, 315.

¹³² Hewsen 1992, 206n.243, 210n.256.

აღსანიშნავია, რომ მკვლევართა ერთი ნაწილი დაიანინ/დიაუზის ანას ხურიტული, ხოლო მეორე ნაწილი ქართველური წარმომავლობის მოსახლეობით დასახლებულად მიიჩნევს.¹³³ გ. მელიქიშვილი ქალაქის სახელწოდებაში – Šašiluni და აგრეთვე მამრობითი სქესის პირთა სახელების დეტერმინატივით განსაზღვრულ სახელში – Šaški, გამოყოფს "šaš" ელემენტს, მრავალგზის დამოწმებულს ხურიტულ, კერძოდ ქ. ნუზის ონომასტიკონში.¹³⁴ ურის III დინასტიის ხანის მცირე ზაბის ხეობაში განლაგებულ დასახლებულ პუნქტთა სახელთა შორის დასტურდება მსგავსი სახელი – Ši-ši-il^{ki}-ის, ხოლო პარმალის ძველ ბაბილონურ სახელთა შორის Ši-il-ši-il^{ki}-ის სახით. თუქულთი-ნინურტა I-ის (ძვ. წ. 1243-1207 წწ.) წარწერაში და ახალასურულ გეოგრაფიულ ტექსტში ერთი და იგივე ქალაქი იკითხება, URU Šá-ši-la-sa და URU Ši-iš-lu-ს ფორმით.¹³⁵ შამილუსთან განსაკუთრებით ახლო მდგომი ფორმა, Ša-ši-il-la-ni, გვხვდება ისინ-ლარსის პერიოდის ლარსის მეფის სინ-იდდინამის ერთ-ერთ თიხის ტაბულაზე.¹³⁶ ზემოხსენებული სახელწოდებები განიხილება ტოპონიმიკური ინტერპრეციონალური დუბლიკაციის გამოვლინებად, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ მათი ეტიმოლოგია გაურკვეველად არის მიჩნეული¹³⁷ და ეს მნიშვნელოვან გარემოებად უნდა იყოს მიჩნეული წინამდებარე კვლევის თვალსაწიერიდან. ამ მხრივ გარკვეული დატვირთვა იქნებ ტოპონიმ "სასირო"-ს მიეცეს, რომელიც შესაძლოა დაიუზის მოსახლეობის ქართველურობაზე მიგვანიშნებდეს;¹³⁸ "სასირო" ხომ ძველქართულად "ჩიტების ადგილს" ნიშნავს. ტოპონიმი "სასირეთი" დასტურდება თემის ხეობაში და ცხინვალ-სამაჩაბლოს ხეობებში.¹³⁹ სოფელ აჭყვისთავთან (აჭარაში, ქ. ქობულეთის ჩრდილო-დასავლეთით) სამ ადგილას დასტურება ტოპონიმი – "სასირო".¹⁴⁰

¹³³ კერძოდ, ქართველური წარმომავლობის ტომთა კონფედერაცია, იხ., მაგ., Suny 1983, 3.

¹³⁴ მელიქიშვილი 1951, 211.

¹³⁵ Astour 1987, 35.

¹³⁶ Goetze 1950, 95.

¹³⁷ Astour 1987, 35.

¹³⁸ უკანასკნელ ხანებში შეიმჩნევა ტენდენცია, ჩრდილო-დასავლეთ კავკასიური, ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიური, სამხრეთ კავკასიური და ხური-ურარტული ენების ერთიანობაზე "Sprachbund"-ის შემადგენელ ნაწილებად წარმოდგენისა (იხ. Steiner 1992, 1-50; Steiner 1993, 5-7). ი. დიაკონოვს გამოთქმული აქვს განსხვავებული აზრი, ჩრდილო-დასავლეთ კავკასიური და ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიური (ხური-ურარტული ენების ჩათვლით) ენების (ანუ სამხრეთ კავკასიური ენების გამოკლებით) საერთო წარმომავლობის თაობაზე (Diakonoff 1993, 1-4).

¹³⁹ იხ. ბაგრატიანი 1980, 346, 367.

¹⁴⁰ სამივე ადგილი წარმოადგენს უღელტეხილთა მსგავს, დასახლებულ პუნქტთა შემაერთებელ გადასასვლელებს, რომლებსაც ფრინველებიც იყენებენ გადასაფრენად და სადაც ძველად ბადით ძირითადად მიმინოებს იჭერდნენ ხოლმე (ინფორმაციისათვის დიდი მადლობას მოვასწინებ ს. აჭყვისთავის მკვიდრს ბატონ კაკო რომანაძეს). იგივე ტოპონიმი გვხვდება

გ. კლიმოვმა ჩიტის აღმნიშვნელი *სირ-არქეტიპი აღადგინა ქართულ ზანური ერთიანობის ხანისათვის.¹⁴¹ თანამედროვე ქართულშიც სიტყვა "სირ-ი" "ჩიტის" მნიშვნელობით ასახულია სიტყვებში: სირ-აქლემი; სარ-სირ-ი - "ლობემპერალა".¹⁴² იმის შესაძლებლობას, რომ ტოპონიმი "სასირე/სასირო" საკუთრივ ქართული ენის წიაღში იყოს აღმოცენებული და არა სხვა წარმომავლობის სიტყვის ქართული გააზრების შედეგად მიღებული (რასაც, კვლევის მოცემულ ეტაპზე, ვერ გამოვრიცხავთ), იქნებ მოწმობდეს უკანასკნელ ხანებში გამოთქმული დაკვირვება, ქართულ ენაში ფრინველების სახელებიანი ტოპონიმების კავშირის შესახებ საკულტო მნიშვნელობის ადგილებთან.¹⁴³ საკულტო და საერო ცენტრების დამთხვევა, დამახასიათებელი მოვლენაა ძველი ახლოაღმოსავლური სამყაროსათვის.

აღსანიშნავია, რომ მდ. ეფერატის სათავეების მხარეში, მოგზაურები იუწყებოდნენ ხოლმე ფრინველთა გამორჩეულ სიჭარბეს. თორთუმ-ჩაისა (თორთომის-წყლის) და ოლთუ-ჩაის (ოლთისის-წყლის) წყალგამყოფ ქედს დღესაც თურქულად ეწოდება - Kargapazarlı dağları ანუ "ყვავთა ბაზრის მთები", ხოლო ეფერატის სათავე მდინარის, დუმლუ-ხუს შემადგენელი წყაროების სათავეების მქონე და ამავე დროს მტაცებელი ფრინველების ბუდეებით გამორჩეულ მთას - Kuş-kuşların baş-ი ანუ "ჩიტთა თავების მთას".¹⁴⁴

ვფიქრობ, გასაზიარებელია უკანასკნელ ხანებში გამოთქმული შეხედულება, რომ დიაუხის ტერიტორიაზე დადასტურებული ხურიტული წარმომავლობის სამიოდე ტოპონიმის საფუძველზე გაუმართლებელია ამ ქვეყნის ძირითადი მოსახლეობის ხურიტული წარმომავლობის მტკიცება; მითუმეტეს რომ, როგორც აღინიშნება, მოიპოვება ამ ქვეყნის ტოპონიმიკაში არაერთი ქართული თუ ქართველური ფერადობის სახელი. არც სახელწოდებაში "დაია-ენი/დიაუ-ნი" გამოვლენილი ხურიტულ-ურარტული სუფიქსები მიაჩნიათ ამ ტერმინებით სახელდებული მოსახლეობის ხურიტულობის დამამტკიცებლად, ვინაიდან ეს ეთნონიმები ხურიტებისაგან უნდა იყოს შეთვისებული.¹⁴⁵

სათესების აღმნიშველადაც, კერძოდ, ქვემო მაჭახელში მღებარე აჭარის აღმართის სასოფლო საკრებულოში შემავალ სოფელ ჭანიერში, ორ სათეს ადგილას დასტურდება ტოპონიმი "სასირე", ხოლო ქვემო აჭარის მახუნციეთის საკრებულოში შემავალ სოფელ ბზუბზუში - სათესი "სასირა" (სიხარულიძე 1958, 52, 128-129).

¹⁴¹ Климов 1964, 163.

¹⁴² ფენრიხ/სარჯველაძე 2000, 403.

¹⁴³ პირადი ინფორმაცია, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ ქ-ნ მანანა ჭირაქაძეს.

¹⁴⁴ იხ. Проскуряков 1905, 70, 71.

¹⁴⁵ მუსხელიშვილი 2004, 8, 9.

მართლაც, ძნელი წარმოსადგენია, -ქა- დაბოლოებით ნაწარმები ქორონიმი და ეინონიმი "კულხა/კოლხი" ოდესმე სურიტულენოვანი და არა ქართველურენოვანი მოსახლეობის აღმნიშვნელი ყოფილიყო.¹⁴⁶ არც ის არის მოსალოდნელი, რომ ამიერკავკასიის ქართველური მოსახლეობა სხვაენოვანი ხალხით ყოფილიყო მოწყვეტილი ჩრდილოეთ ანატოლიაში, ტრაპეზუნტ-კერასუნტის სექტორში ძველთაგანვე, კერძოდ ქსენოფონტის მიერ დადასტურებული და იქ ავტოქტონებად მიჩნეული კოლხური მოსახლეობისაგან (Xen., *Anab.*, IV, VIII, 22; V, II, 1; V, III, 2; შდრ., Diod., XIV, 30, 3), რისი წარმოდგენაც მოგვიწევდა დაიანი/დაიუსის მოსახლეობის სურიტულენოვნების ვარაუდის დაშვებისას.

არ არის გამორიცხული, რომ დაიანი ხეთური წყაროების ხაიასას (შდრ. ხალიბი/ხალდი/ხალიტუს¹⁴⁷ – ანატოლიური სამყაროსათვის დამახასიათებელი I და i ბგერების მონაცვლეობის გათვალისწინებით) ქვეყნის შემოქმედრე იყოს.¹⁴⁸ გარდა ორივე ქვეყნის ჭოროხისა და ეფფრატის ზემო წელის მხარეებში მდებარეობის ნაწილობრივი დამთხვევისა (უფრო ღღევანდ. ქ. ერზინჯანის მიდამოებში), შესაძლოა ამაზე მიუთითებდეს ამ ორი ქორონიმის (ხაია-სა, დაია-ენი) ფუძეებისა და ტერმინ "აია"-ს საერთო წარმომავლობის დაშვება,¹⁴⁹ თუკი აიხსნება ანლაუტში დენტალური¹⁵⁰ და ველარული ფონემების მონაცვლეობა ნულთან. ეს სრულიად ახალ პერსპექტივებს დასახავდა რეგიონის უძველესი ისტორიის საკითხთა კვლევისას. ეინო-ტოპონიმების მსგავსი პარალელური ვარიანტები დასტურდება ძველ წერილობით წყაროებში (შდრ. ხალიბი/ალიბე, ხარიმატი/არიმატი, ხაბარენი/ობარენი, ტოსარენე/ოსარენე, ქაღზევანი/აღზევანი, ტაპირი/აპირი, თო-

¹⁴⁶ ვ. მელიქიშვილი შენიშნავს, რომ სახელწოდება Qulixა შეიცავს სურიტულ კუთვნილებით სუფიქსს -ქა-, რომელიც ხშირად იხმარება სურიტულ ენაში, როგორც პირთა სახელების, ისე სატომო სახელების შედგენისას, ხოლო კულხას ქვეყნის დედაქალაქის Ildamuša-ს სახელწოდებაში გამოყოფს „muša“-ელემენტს, კარგად ცნობილ სურიტულ სიტყვას (მელიქიშვილი 1951, 209, 210).

¹⁴⁷ იხ. Дьяконов 1952, 111-112.

¹⁴⁸ შდრ., Пиотровский 1949, 46.

¹⁴⁹ ტერმინ "ხაიასას", ზოგიერთი მეცნიერი, "არგონავტების მითის" კოლხეთის აღმნიშვნელ "აიას" პროტოტიპად მიიჩნევს (იხ. Hüsing 1933, 51; Allen 1960).

¹⁵⁰ აღსანიშნავია, რომ იმერხევის სამ სოფელთან: ბაზვირეთთან, ზიოსთან და დასაბოძთან გვხვდება საძოვრები სახელწოდებით "ურისაკლაეი". ინფორმატორთა ცნობით, ადგილის სახელია "ტურის საკლაეი", ხოლო თავკიდური "ტ" დაკარგულია: "ზევლად გლები და ტურაბი ყოფილან ბერაჲ და საქონელი ეწროლი (თურქულად – "ხშირად") აქედან საღ-სალამათი ვერ მოდიოდნენ სახში. იმითეინ ეუბნევიან ურისაკლაე" (ცეცხლაძე 2000, 216, 248). თავკიდური "ტ" თანხმოვანი დაკარგულია დაბაწერილთან მდებარე სათიბის სახელში ბათანა←ტბათანა" (ცეცხლაძე 2000, 108).

რეტი/ორეტი, თუნი/უნი და ა. შ., ეკებ თ-ორთ-უმი/ოლთ-ისი, არდ-ი/ქართი¹⁵¹ და უფლისი/ტიფილისი¹⁵²).

ურარტულ წარწერებში ზოგიერთ შემთხვევაში გამოვლენილ დიაუხის და ზოგიერთი სხვა ქვეყნის ონომასტიკონის სურიტულ-ურარტული ელფერის ასახსნელად, ალბათ გასათვალისწინებელი უნდა იყოს აქადურ-ახალასურული ტიპის ურარტული დამწერლობის უშუალო წარმომავლობის ვარაუდი ერთ-ერთი სურიტული (სავარაუდოდ ალზის მხარის) ლურსმული სახეობიდან,¹⁵³ რასაც, შესაძლოა, განეპირობებინა უცხოენოვანი სახელების გაჟღერება წარწერათა შემდგენელთათვის შედარებით უფრო უკეთესად ცნობილ სურიტულ თუ ურარტულ სახელებთან მიმსგავსებით. საყურადღებოა, ისიც, რომ დაიაენი/დიაუხის ონომასტიკაში სურიტულად მიჩნეულ სახელთა ერთი ნაწილი გავრცელებული ჩანს ძველ ახლო აღმო-

¹⁵¹ ტერმინი არდ-ი სურიტულად "ქალაქს" აღნიშნავდა, გარდა "არდინი"-სა (ქ. მუსასირი), ცნობილია ეტიონის ქვეყნისა და რუსახინილის მახლობლად მდებარე ანალოგური სახელწოდებების ქალაქები (Арунония 2001, 496, 497). "შთა ქართლი/ქართი" ერქვა ქართველთა უძველეს ციხე-ქალაქს, შემდეგღარიონდელ არმაზციხეს. აღსანიშნავია, რომ არმაზის ციტადელის ნანგრევებში შესამჩნევია ურარტულ-აქემენიდური არქიტექტურული ტრადიციები (აფაქიძე 1959, 36 შმდ.). არდ-ფუტე საძიებელია ტაორონიებში: ართინი/ართ-ვანი/ართავანისი, არდოლა, არტანუჯი/არტანუჯი, არტაანი, არტახი, არდოტი, არადეთი, არდვისი, არდასა, ართან/ართანა, არდისუბანი/არდასუბანი, არდენი, არტივი, არტოზანი, ართიკი, კარდენახი/კარდანახი, ღართისკარი, არტსკე (ადილეკვაზი), ხარტონი/ხართი/ხალიდი (ლაზისტანის ქედთან). მდ. ჭოროხის შუა წელთან მდებარე სოფლის (აგრეთვე მთის) სახელი – ქართლა/ქართია, დასტურდება აგრეთვე „კასტლას“ ფორმით (იხ. სიხარულიძე 1985, 44 ; შდრ., ლათინური castellum – "ციხე-სიმაგრე, ფორტი, გამაგრებული ადგილი, თავშესაფარი, მთის სამოსახლო"), რაც შესაძლოა კიდევ ერთხელ მიგვანიშნებდეს ქართ(არდ/ართ)-ძირიანი სახელების სემანტიკურ კავშირს ციხე-სიმაგრისა თუ ქალაქის აღნიშნულ სიტყვებთან. შესაძლოა, მხედველობაში იყოს მისაღები აგრეთვე ურარტული 'A ბერის იგივეობა Ua-სთან (იხ. Арунония 2001, 439, 479, 499) და შესაბამისად, იმავე არდ-ფუტის ძიება ტაორონიებში: ვარციხე-ვარდციხე, ვარდა (<*vard-ia), ვარდის სოფელი და სხვ. ზოგიერთ შემთხვევაში გასათვალისწინებელია აგრეთვე სომხურ ენაში არსებული ვარდ- და ვარდან-ფუძიანი ტაორონიები, მაგ., ვარდაშენი, ვარდალესი, ვარდავანქი, ვარდანაკერტი (იხ. Hübschmann 1904, 471) და ა.შ.

¹⁵² მხედველობაში ვლებულია, რომ თბილისი პირველად VI საუკუნის II ნახევრის ისტორიკოსის თეოფანე ბიზანტიელის თხზულებაში (Theoph. in Phot. Bibl. Cod. 64) მოხსენიებულია როგორც ტიფილის-ი (Τιφιδ) (მესხია, გვირიტიშვილი, დუმბაძე, სურგულაძე 1958, 13; ჯოჯუა 1976, 446), ხოლო დიდოურ ენაზე თუფლის-ს სახით (ბურჭულაძე, შავხელიშვილი 1993, 324). შდრ., ტაორონი უფლის-ციხე, უმლაუტში დენტალური ფონემის მერყეობის გავითვალისწინებით, აგრეთვე უფლისციხის ძველთაგანვე საზღვრულით, კასპის უფლისციხის ("უფლისციხემ კასპისა") სახით მოხსენიება (იხ. მოქცევა ქართლისა - გვიანიეშვილი/გიუნაშვილი 1979, 81, 82), რაც სხვა უფლისციხის თუ უფლისციხეების არსებობაზე უნდა მიუნიშნებდეს.

¹⁵³ Diakonoff & Kashkai 1981, viii.

სავლეთში, კერძოდ დასტურდება ე. წ. კაპდოკიური ფირფიტების ტექსტებში და საზოგადოდ ხეთურ-მცირეაზიულ სამყაროში.¹⁵⁴

დაიანენ/დაიუზი ქვეყნის მოსახლეობის ქართული წარმომავლობის სამტკიცებლად მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს სომეხთა ქართული დასახელება "სომეხი", რომელიც მიღებულია დაიანენის უშუალოდ სამხრეთით მდებარე ქვეყნის სახელისაგან "სუხმი|სოხმე" მეტათეზისის "სოხმე" → "სომეხი" გზით.¹⁵⁵

დაიუზის ქვეყნის მოსახლეობის წარმომავლობის საკითხთან დაკავშირებით, ითვალისწინებენ ხოლმე, აგრეთვე, დაიუზის შემადგენელი ქვეყნების – შეშეთის, დიდის და სხვ. – სახელწოდებათა ქართულ უღერადობას. პირველ ტერმინში გამოყოფენ გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებელ ქართულ -et სუფიქსს და მას აიგივებენ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მდებარე მხარის – "შავშეთის" სახელთან,¹⁵⁶ თუმცა, ვინაიდან რეკომენდირებულია ურარტული š-ს დ-დ ვახშოვანება, ეს ტერმინი უნდა იკითხებოდეს, როგორც "სესეთი".¹⁵⁷ მენუას იაზილითაშისა და არგიშთი I-ის სურბ საჰაკის წარწერათა შეპირისპირება, როგორც უკვე ითქვა, ცხადყოფს, რომ შეშეთი დაიუზის ქვეყნის შემადგენელი ნაწილს წარმოადგენდა, ვინაიდან არგიშთის მიერ ნახსენები დაიუზის სამეფო ქალაქი ზუაინა/ზუა(ნი), მენუას წარწერის მიხედვით შეშეთის ქვეყანაშია. მეორეს მხრივ, დაიანენის ტერიტორიისა და შეშეთის თანხედენაზე შესაძლოა მიუთითებდეს ტივლათფილესერ I-ის წარწერა, რომლის მიხედვითაც დაიანენი ნაირის ქვეყანათა ჩამოთვლისას, ხოლო "შეშეს მთა" ნაირის მთებს შორის ყველაზე ბოლოს მოიხსენიებინან,¹⁵⁸ რაც მათ ყველაზე უფრო ჩრდილოურ მდებარეობაზე უნდა მიგვანიშნებდეს, მათთან ერთად ერთ კონტექსტში ჩამოთვლილ სხვა ქვეყნებთან და მთებთან შედარებით; შესაბამისად ამისა, მათ ადგილმდებარეობას მდ. ჭოროხის შუა დინების ჩრდილოეთით განსაზღვრავენ ხოლმე.¹⁵⁹ აქვე, შავშეთსა და ჭოროხს შორის, მდებარეობდა ვახუშტის ცნობით, მთა

¹⁵⁴ მაგ., მელიქიშვილი 1951, 212, 213, 215.

¹⁵⁵ იხ. მუსხელიშვილი 2004, 9. აღსანიშნავია, რომ მ. წერეთელი ტერმინს "სომეხი" აიგივებდა სახელწოდება "კუმუხთან" და იმის გათვალისწინებით, რომ ქართველები დღესაც ცოტა უპატრიოდ უწოდებენ სომეხს – "კომეხს" (მისი აზრით, ქართული ფონეტიკისათვის დამახასიათებელი ს-სა და კ-ს ურთიერთმონაცვლეობის შედეგად), ამ უკანასკნელს მიიჩნევს ქართულ ენაში სომეხთა აღმნიშვნელ უფრო ძველ ფორმად, დაკავშირებულს მესხების სამხრეთით მოსახლე კუმუხთა (იგივე კამმანუ-კომანას) ქვეყანასთან, რომელსაც შემდეგში კომაგენე ეწოდა (წერეთელი 1962, 42-44).

¹⁵⁶ Меликишвили 1954, 60; მას-ურაძე 1991, 18-22

¹⁵⁷ შლრ., მელიქიშვილი 1970, 375.

¹⁵⁸ იხ. Меликишвили 1959, 178.

¹⁵⁹ იხ. Арутюнян 1970, 417; Арутюнян 1985, 246.



შავშეთისა.¹⁶⁰ დაახლოებით ამავე ტერიტორიაზე ეძებენ სერაპიონ მხარის მელის ცხოვრებაში" მოხსენიებულ შემის მთასაც: "მთად ესე მაღალი არს. თავი ყოველთა ამათ ქელთად, რომელსა პრქვიან თავი შემეთად...".¹⁶¹ გამოთქმულია ვარაუდი, ტყიანი მხარის "შავშეთის" აღმნიშვნელი და ტერმინ "შემეთის" ახლო მდგომი სახელწოდების მიღების შესახებ სიტყვა "შავი"-სა და ძველ ქართულში "ხე" სიტყვის მნიშვნელობით ხმარებული სიტყვა "შეშა"-საგან, -et სუფიქსის დართვის შედეგად.¹⁶²

თუ კი დასაშვებია იქნებოდა შავშეთში დიაუზის სამეფო ქალაქ ზუაინა/ზუა(ნი)ს ლოკალიზება, ტოპონიმ "ზუა"-სთან მიმართებაში გასათვალისწინებელი გახდებოდა ქართული ფუძე ზუ-, აქედან მ-ზუ-არ-ე, რაც ნიშნავს "მზიან ადგილს".¹⁶³ სულხან-საბას მიხედვით: "მზუარე, ადგილი მზის ძღვეი (მზე-ძღვეი)".¹⁶⁴ ყურადღებას იპყრობს აგრეთვე მეორე ქართული სიტყვა – "ზუავ-ი", ანუ გოროზი, ამაყი: "ზუავი იგი ნაბუ-ქოდონოსორ" (მამათა ცხოვრება, 15ვ.).¹⁶⁵

ქართული თუ ქართველური კუთვნილების სახელებად მიჩნეულია, არგიშთი I-ის ძის, სარღური II-ის წარწერაში მოხსენიებული ცუდალა (^{URU} Sudala), რომელშიც ვ. მელიქიშვილი გამოიკვლია ქართულ სიტყვას – "ცუღ-ი"-ს და ქართულივე სუფიქსს – "(a)la"-ს და აგრეთვე იმავე წარწერიდან ცნობილი ტოპონიმები ფუზუნია და ალქანია.¹⁶⁶

ზემოაღნიშნული გარემოებანი და დაიანი/დიაუზის ქვეყნის უძველესი დედაქალაქის დღევანდელი თორთუმ-კალესა და ს. ესენ-დურაქის ადგილას, ზემოთ ნავარაუდები, ლოკალიზაცია, შესაძლოა, ძვ. წ. IX ს-ში არსებული უძველესი ქართული დედაქალაქის ადგილმდებარეობის განსაზღვრის საშუალებასაც იძლეოდეს. ამ საკითხის გარკვევა მხოლოდ ამ მხარის არქეოლოგიურ შესწავლას შეუძლია.¹⁶⁷

საგულისხმოა, რომ ძველი ქართული საისტორიო ტრადიცია საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ეძებს ქართული სახელმწი-

¹⁶⁰ ვახუშტი 1973, 680, 5.
¹⁶¹ იხ. მაისურაძე 1991, 21-22; ცეცხლაძე 2000, 10.
¹⁶² მაისურაძე 1991, 21-22.
¹⁶³ საინტერესოა, რომ ს. წერაქვის (ქვემო ქართლში) მიდამოებში მდებარე შუა საუკუნეების ციხის სახელია: "ღადი მზიგული".
¹⁶⁴ ორბელიანი 1966, 472.
¹⁶⁵ იხ. აბულაძე 1973, 169.
¹⁶⁶ მელიქიშვილი 1954, 115; Меликишвили 1960, 287.
¹⁶⁷ წინასწარული გამოკითხვით, ესენ-დურაქის მოსახლეობამ ზოთ სოფელში უხეში, ნაცრისფერი ჭურჭლის გამოვლენის შესახებ გვამცნო, რაც შესაძლოა აქ ერზურუმის მხარისათვის დამახასიათებელი ადრერკინის ხანის ნაწარმის არსებობაზე მიგვანიშნებდეს, რომელიც ურარტუს სამეფოს ადრეული პერიოდის სინქრონული უნდა იყოს.

ფოებრიობის სათავეებს.¹⁶⁸ კერძოდ, მხედველობაში გვაქვს "მოქცევაჲ ქართლისაჲს" აზონ, "მცხეთას შინა პირველი მეფის" წარმომავლობა არიან-ქართლიდან და "მეფეთა ცხოვრების" მიხედვით, აზონის დამარცხების შემდეგ ფარნავაზის გალაშქრება სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით, აგრეთვე არსენ იყალთოელის ცნობილი განმარტება, ქართველთა არიან-ქართლიდან წარმომავლობის თაობაზე.¹⁶⁹

გასათვალისწინებელია, რომ მტკვრის ზემო დინების რეგიონის დიაუხის ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილისადმი კუთვნილებას საკუთრივ ურარტული ეპიგრაფიკული მონაცემები მოწმობენ. კერძოდ, არტაანის ჩრდილოეთით (არტაან-ახალციხის გზაზე) მდებარე ხანაკის მახლობლად პატარა მდინარის პირზე მდებარე კლდეზე ორი ათეული წლის წინ აღმოჩნდა არგიშთი I-ის წარწერა. ურარტული ტექსტი გვამცნობს მისი ლაშქრობის შესახებ თარიუნის ქვეყნის (^{KUR}Tariuni) წინააღმდეგ რაც საქართველოს ტერიტორიაზე დიაუხის ქვეყნის ჩრდილოეთი საზღვრის გავრცელების მოწმობად მიიჩნევა.¹⁷⁰ თუ ადრე ამ ქვეყნის ლოკალიზებას ჩილდირის ტბის სამხრეთ-დასავლეთით ახდენდნენ, ხანაკის წარწერამ მეტი დამაჯერებლობა შესძინა ვარაუდს "თორის" მხარესთან მისი კავშირის შესახებ.¹⁷¹ როგორც ჩანს, მტკვრის დინება წარმოადგენდა სამხრეთ-დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შორის ეთნიკური სიახლოვის განმაპირობებელ ფაქტორს, ხელს უწყობდა რა მდინარის გაყოლებაზე მოსახლეობის გავრცელებას. აღსანიშნავია, რომ ყარსისა და არტაანის სანახებში მოპოვებული არქეოლოგიური მასალა გვიანბრინჯაო-ადრეული რკინის ხანის მცხეთა-სამთავროს კერამიკის ანალოგიური ჩანს.¹⁷²

დიაუხის ქვეყნის საპირისპირო, ჩრდილო-დასავლეთ პერიფერიაზე, ჭოროხის ხეობაში ყალიბდებოდა დიაუხის მეტოქე და მემკვიდრე ქვეყანა, ურარტული ლურსმული წარწერების "კულხა" (^{KUR}Qulḫa) – კოლხეთის ადრეული სახელმწიფო, ურარტუს სამეფოს ახალი მეტოქე ჩრდილოეთის სატრანზიტო გზებისათვის ბრძოლაში. დროის მსვლელობასთან ერთად ჭოროხის აუზში მდებარე კულხა შეცვლა შავიზღვისპირეთში მდებარე ძველბერძნული წერილობითი წყაროების "კოლხიდამ".¹⁷³ სწორედ ჭოროხის დი-

¹⁶⁸ ზაზარაძე 2001.

¹⁶⁹ გიგინეიშვილი/გონაშვილი 1979, 320; ქართლის ცხოვრება, I, 18; თეგორიყვა 1941, 283; იხ. ჭავთარაძე 1985, 40.

¹⁷⁰ Dinçol & Dinçol 1992, 109-117. აღსანიშნავია, რომ არტაანთან და ყარსის აღმოსავლეთით, ანისთან მიკლექულია სავარაუდოდ ურარტული კერამიკის შემცველი გორანა-მოსხლარები (Kleiss & Hauptmann 1976, 22, № 162; 20, № 131).

¹⁷¹ ასათიანი 1993, 14.

¹⁷² მუსხელიშვილი 2001, 16.

¹⁷³ ინაძე 1993, 43-52.

ნებას უნდა უკავშირდებოდეს კოლხეთის პოლიტიკური და კულტურული ცენტრის თანდათანობითი გადასაცვლება სამხრეთიდან ჩრდილო-დასავლეთისაკენ. ნავარაუდევია, რომ ძვ. წ. VII საუკუნიდან, როდესაც ადგილი აქვს ბერძნული ახალშენების მოწყობას შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ სანაპიროებზე, აქ ამ დროს არსებული დიდი პოლიტიკური წარმონაქმნის – კოლხას სახელი გადაიქცა ამ მხარეების ვრცელი ტერიტორიის ზოგად აღმნიშვნელად, კრებითი სახელწოდება "კოლხიდის" სახით.¹⁷⁴

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სამივე უმთავრესი მდინარე – მტკვარი, ჭოროხი და აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დამაკავშირებელი რიონი – ქვეყნის ერთიანობისათვის ძველთაგანავე სასიცოცხლო არტერიების ფუნქციას ასრულებდნენ, აკავშირებდნენ რა ერთმანეთთან ქვეყნის უმთავრეს აღმოსავლეთ, დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილებს. საქართველოს ძლიერების ხანაში ხდებოდა ამ სამი, ერთი შეხედვით განსხვავებული, თუმცა ერთი ძირიდან წარმომდგარი სახელმწიფოებრივი ტრადიციის მქონე, მხარის გაერთიანება, ხოლო დაუძღურებისას – ერთმანეთისაგან დაშორება.

ამრიგად, მდინარე ეფერატის გაყოლებაზე მდებარე ძველი მსოფლიოს ერთ-ერთი უმთავრესი კულტურული და პოლიტიკური განვითარების განმაპირობებელი შუამდინარეთის რეგიონის უმთავრესი მდინარის სათავის მხარეში განლაგებული დაიანი/დიაუხი ქვეყანა უნდა ყოფილიყო ამიერკავკასიის ცენტრალურ, დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ მხარეებში არსებული ქართული სახელმწიფოების წინაპარი ქვეყანა და შესაბამისად, ამ სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის რაობის გარკვევას სათანადო მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს საზოგადოდ ადრეული ამიერკავკასიური სახელმწიფოების აღმოცენება-განვითარების საკითხთა შესწავლის თვალთახედვით და კერძოდ ქართული სახელმწიფოებრივი ტრადიციის ფესვების ძიებისას.

¹⁷⁴ მელიქიშვილი 1955, 87, 88.

იბერიის სამეფო და მისი "არსებობის არსი"

აღმოსავლეთ საქართველოში ანუ ცენტრალურ ამიერკავკასიაში სახელმწიფოებრიობის ადგილობრივ საფუძველზე აღმოცენება დაკავშირებული ჩანს ალექსანდრე მაკედონელის მიერ აქემენიანთა იმპერიის დაპყრობასთან და *Pax Achaemenia*-ს *Pax Macedonica*-თი შეცვლასთან. ამ პერიოდისა და ყალიბდება ქართლის სამეფოს ისტორიული ფუნქცია გადაჯაჭვული სხვა ელინისტურ პოლიტიკურ წარმონაქმნთა ინტერესებთან და სათავეს იღებს დღევანდელი საქართველოს მრავალსაუკუნოვანი საზოგადოებრივი, პოლიტიკური და კულტურული განვითარების პროცესი.¹⁷⁵

კლასიკური ეპოქის ახალი სახელმწიფოების - იბერიის, ალბანეთისა და კოლხეთ-ვერისის (ლაზიკის) - პოლიტიკური ისტორია განპირობებული იყო ამიერკავკასიის გეოგრაფიული მდებარეობით დიდი კავკასიონის მთაგრებილის სამხრეთით და შესაბამისად მათი როლით ამ მთაგრეხილის სტრატეგიული ფუნქციის მქონე ზეკარების კონტროლის საქმეში. ამ სახელმწიფოთა "არსებობის არსი" (*raison d'être*) იყო *οίκουμένη*-ს, ანუ საერთო ინტერესების მქონე ხმელთაშუაზღვისპირეთულ-ახლოაღმოსავლური ცივილიზირებული სამყაროს, დაცვა ჩრდილოეთის მომთაბარე ტომებისაგან. თუმცა არსებობდა აშკარა სხვაობა იბერიის, და რამდენადმე ლაზიკის, დასავლურ (საბერძნეთი, რომისა და ბიზანტიის იმპერიები), და ალბანეთის აღმოსავლურ (ირანი, პართია), პოლიტიკურ ორიენტაციებს შორის.

კაცობრიობისთვის კავკასიონის მდებარეობის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ხატოვნად გამოთქვა, ჯერ კიდევ ორი ათასი წლის წინ, პლინიუს უფროსმა (*Plinius Magnus*), რომ კავკასიის კარი (ანუ დარიალის კარიბჭე) სამყაროს ორ ნაწილად განყოფს (*n.h.* VI, 30). XIII საუკუნის ინგლისელი ფილოსოფოსის როჯერ ბეკონის მიხედვითაც, სამყარო ორ ნაწილად იყოფა: ბარბაროსთა საუფლოდ და მოაზროვნე ადამიანის სამკვიდროდ (*Opus majus*, I, 301).

სამყაროს კონცეფცია ყოველთვის საჭიროებდა და დღესაც საჭიროებს მის დაყოფას სხვადასხვა რაოდენობის შემადგენელ ნაწილებად. ყოველთვის იყო საჭირო ზღვარი, აგებული მოაზროვნე ადამიანის მიერ ბარბაროსთა საწინააღმდეგოდ, ასეთი იყო, მაგალითად, *ჩინეთის დიდი კედელი* ან *აღრიანეს კედელი* (*Roman Limes*). კავკასიის კარიბჭეს ანალოგიური დაცვითი კედლის ფუნქცია ჰქონდა. უხსოვარი დროიდან იგი მძლავრი წინაღობა იყო საზიარო ინტერესების მქონე ახლოაღმოსავლურ-ხმელთაშუაზღვისპირეთულ ცივილიზირებულ სამყაროში, ანუ ოიკუმენეში, ევრაზიელი ნომადების შეღწევის საწინააღმდეგოდ.

¹⁷⁵ იხ., მაგ., ქავთარაძე 2003.

ვ. ე. დ. ალენისა და პ. მურატოვის განცხადებით, დიდი კავკასიონის მთაგრეხილი, მსოფლიოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყალგამყოფი სისტემა, მძლავრი წინაღობა იყო ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში ევრაზიელი ნომადების შეღწევისათვის.¹⁷⁶ საკმარისია ითქვას, რომ თვით უძველესი პომპეუსი მიზანშეუწონლად მიიჩნევდა სახმელეთო გზით - კავკასიონის მთაგრეხილის გადაკვეთითა და იმიერკავკასიის მტრულად განწყობილი მოსახლეობის გავლით - პონტოს მევის, მითრიდატე ევპატორის დადევნებას, ამ უკანასკნელის დამარცხებისა და თავისი წარმატებული კავკასიური კამპანიის შემდეგ ხანებში.¹⁷⁷

წინარე-ელისისტური, ელინისტური და პოსტ-ელინისტური ამიერკავკასიის ისტორიაში ჩრდილოეთის მომთაბარე მოსახლეობის - კიმერიელების, სკვითების, სარმატების, ალანების, ჰუნების, ბოლღარების, ხაზარების, ოსების და სხვ. - შემოსევების სისტემატურმა ხასიათმა და ამასთანავე, ანატოლიურ-მედიტერანული და ირანულ-მესოპოტამური ძალების მუდმივმა ურთიერთწინააღმდეგობამ, ჩანს არნოლდ თონინბისეული სტიმულის მეორე მოდელის - უწყვეტი, გარეგანი ზეწოლის სტიმულის - ფორმა მიიღო.¹⁷⁸ ხალხები, ქვეყნები და ქალაქები, რომლებიც განიცდიან ასეთ ზეწოლას, პოლიტიკური გეოგრაფიის ტერმინოლოგიით განეკუთვნებიან სხვადასხვა "ცივილიზაციებს" შორის მდებარე სასაზღვრო ზონებს.

ჯერ კიდევ ძვ.წ. VI-V საუკუნეების ბერძენი დრამატურგი ესქილე იუწყებოდა სკვითების გზის არსებობის შესახებ, რომელიც ეტყობა კავკასიონზე გადმოდიოდა. შავი ზღვის სანაპირო ზოლი იმდენად ციცაბოა და კლდოვანი, რომ პრაქტიკულად გაუვალი იყო. კ. ფ. ლემან-ჰაუპტი, ისევე როგორც მისი თანამედროვე სპეციალისტების დიდი ნაწილი, დარწმუნებული იყო, რომ სკვითებმა აზიაში შეჭრისას დარუბანდის კარიბჭე (დღევანდელი დერბენდი, არაბული ბაბ-ალ-აბეაბი ანუ "კართა კარი", საქვეყნოდ სახელგანთქმული ორმაგკედლიანი გალავანით) ანუ ჰეროლოტესთან მოხსენიებული კასპიის კარი გამოიყენეს (I, 103; IV, 1),¹⁷⁹ თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით უკვე პლინიუსი შენიშნავდა, რომ "კასპიის კარში" იბერიასთან მდებარე "კავკასიის კარი" უნდა იგულისხმებოდეს ანუ დარიალი. მისი განმარტებით, ამ კარიბჭის ნამდვილი სახელწოდება კავკასიის კარია, შეცდომით მრ-

¹⁷⁶ Allen & Muratoff 1953, 7.

¹⁷⁷ შდრ., Sherwin-White 1984, 199მმდ.

¹⁷⁸ Toynbee 1956 *passim*, ქავთარაძე 1997.

¹⁷⁹ Lehmann-Haupt 1931. ამ ხანების მეომართა სამარხების სიჭარბე, დ. ლანგისა და ჩ. ბიორნის აზრით, უნდა მოწმობდეს, რომ იბერიელთა ძალაუფლება მტკვრის ველზე შემოჭრილ სკვითებზე, კიმერიელებზე და სხვა ინდოევროპულ ტომებს არ იქნებოდა მიღწეული ბრძოლის გარეშე (Burney & Lang 1971, 194).

ვალთაგან კასპიურად მოხსენიებული (*n. h.*, VI, 30: *Ab his sunt Portae Caspasiae, magno errore multis Caspiae dictae*) საინტერესოა, რომ აქ პლინიუსი, როდესაც სტრაბონის მსგავსად იძლევა დარიალის გადმოსასვლელისა და გზის აღწერილობას, ისევე როგორც სტრაბონი, არაფერს ამბობს დარუბანდის კარზე, რაც შეიძლება იმის დამადასტურებელ გარემოებად მივიჩნიოთ, რომ ეს უკანასკნელი ამ დროისათვის რამდენადმე ინტენსიურად არ უნდა ყოფილიყო გამოყენებული.

თუ უძველეს ხანებში კასპიის ზღვის დონის უფრო მაღალი დონის შესახებ ს. მურავიოვის თეზისი სწორია,¹⁸⁰ გამოდის, რომ ძვ. წ. I საუკუნემდე მაინც კასპიის დაბლობი (დერბენდის ჩრდილოეთიდან დაახლოებით თანამედროვე რემშტამდე და ქვეყნის შიგნით ველახამდე აზერბაიჯანში) ჯერ კიდევ წყლის ქვეშ იყო, ასე რომ ალბანეთს შეეძლო ზღვამდე მიეღწია აღმოსავლეთის მიმართულებით თანამედროვე სანაპირო ზოლამდე გავრცელების გარეშე.¹⁸¹ საწურაღლებოა, რომ დარუბანდის მაღალი დონის გალავანი და სხვა საფორტიფიკაციო ნაგებობები, გამიზნულნი ჩრდილოეთის სტეპების მომთაბარე ბრბოების ახლო აღმოსავლეთის ცივილიზებულ ქვეყნებში შეჭრისაგან შესაკავებლად, არ ჩანს რომ ყოფილიყვნენ აგებული ახ. წ. VI საუკუნემდე, არც არავითარი საჭიროება არ ჩანს წყაროებში სანაპირო გასასვლელის გამაგრებისათვის ახ. წ. V საუკუნემდე. ეს ყველაფერი თავის ახსნას პოულობს თუ კასპიის ზღვის წყლები ერთ დროს მაღალი, არ დატოვებდა გასასვლელს სანაპირო ზოლთან გვიან რომაულ ხანებამდე, როდესაც სანაპირო ფორტიფიკაციები გახდა საჭირო. ტაციტუსთან გვხვდება მინიშნება უფრო ადრეული ხანის მდგომარეობაზე; ახ. წით. 32-37 წწ. დაკავშირებული მოვლენების აღწერისას, იგი თავის 109 წელს დაწერილ *ანალებში* შენიშნავს, რომ ვიწრობები კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროზე, ალბანეთის საზღვართან, ზღვასა და მთებს შუა, მაინცდამაინც გამოსადეგარი არ იყო, ვინაიდან იგი მხოლოდ ზამთრობით იყო ღია, როდესაც ქარი ნაპირიდან ერეკებოდა ტალღებს და ამიშველებდა მეჩქებებს ნაპირის გასწვრივ (VI, 33).

როგორც ჩანს, დერბენდის სიმაგრე პირველად სპარსეთის დიდი მეფის ზოსრო ანუშირვანის (531-579 წწ.) მიერ იყო აგებული. დღევანდლამდე შემორჩენილი კედლები, კოშკები და დედა-ციხე მართლაც სასანიდური ხასიათი აქვთ. თუმცა კარიბჭის გამაგრების შესახებ პირველი ცნობა ბიზანტიის იმპერატორის თეოდოსიუს II-ის (408-450 წწ.) ხანით თარიღდება. დერბენდი მდებარეობს კასპიის ზღვაზე იმ

¹⁸⁰ Муравьев 1983.

¹⁸¹ Hewsen 1992, 122.

ადგილას სადაც კავკასიონის ქედი სანაპიროსკენ ვრცელდება ტოვებს სამი კილომეტრის სიფართის გასასვლელს, რომლის გავლის შემდეგაც ჩრდილოეთის სტეპების მომთაბარე ტომებს შეეძლოთ დაერბიათ და გაეჩანაგებინათ სამხრეთის ცივილიზებული ქვეყნები.¹⁸²

თუმცა კასპიის კართან დაკავშირებული ძველი ქართულ-სომხური წყაროების მონაცემები, საგანგებოდ შესწავლილი მ. ინაძის მიერ, თითქოს უფრო უნდა მოწმობდნენ "დარუბანდის კარის" გამოყენებას პართიის დასალაშქრავად ჩრდილოელი ნომადების მიერ უკვე ახ. წ. IV-V საუკუნეებიდან, ხოლო IV საუკუნის მეორე ნახევრიდან აქ ირანელები ატარებენ გამაგრებით სამუშაოებს.¹⁸³ მ. ინაძის დაკვირვებით, დარიალი სპარსელთა ხელში გადადის მათ მიერ იბერიის სრული დამორჩილების შემდეგ ანუ VI საუკუნის პირველ ნახევარში და სწორედ ამ ხანიდან კისრულობენ ისინი ამ კარის დაცვაზე ზრუნვას. თანაც სწორედ VI საუკუნის პირველ ნახევარშია სავარაუდებელი მათ მიერ მხოლოდ საკუთარი ხარჯების გაღებით ამ კარის გამაგრება. 563 წლის საზავო-ხელშეკრულების თანახმად ბიზანტიელებს უკისრიათ დარიალისა და დარუბანდის კართა დაცვისათვის ხარჯების გაღება, სამაგიეროდ სპარსელები პირდებოდნენ, ამ კართა გადალახვის გზით მათ სამფლობელოებში არ შემოეშვათ არც ჰუნები, არც ალანები და არც სხვა ბარბაროსები.¹⁸⁴

ძველი და ახალი ავტორების საერთო აზრით, შავ და კასპიის ზღვებს შორის ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით გადაჭიმული კავკასიონი წარმოადგენდა ბუნებრივ ზღუდეს ევროპასა და აზიას შორის; ჩრდილოეთის სტეპების ბარბაროსებსა და სამხრეთის ცივილიზებულ ქვეყნებს შორის. ძირითადი ისტორიული ინტერესი ამ ქედის მიმართ მღვდმარეობს ჩრდილოელი ტომების (განსაკუთრებით ალანების, ხაზარების) პერიოდულ ლაშქრობებში ახლო აღმოსავლეთის მიმართულებით და იმ ღონისძიებებში, რომლებიც იყო განხორციელებული ამ მოლაშქრეთაგან თავის დასაღწევად.¹⁸⁵ ჩრდილოეთ კავკასიას ირანელი სკვითები ფლობდნენ დაახლ. ძვ. წ. 750-250 წწ., ხოლო ძვ. წ. 250 - ახ. წ. 250 წწ. მათი მონათესავე სარმატები. ამის შემდეგ და ახ. წ. IV საუკუნის ხალხთა დიდ გადასახლებებამდე აქ დომინირებდნენ სარმატელი ალანები. VII საუკუნით ეს მხარე ექცევა ხაზართა ხელში, რომელთაც ცენტრი თანამედროვე ქალაქ ასტრახანთან ჰქონდათ.¹⁸⁶

¹⁸² Hewsens 1992, 122.

¹⁸³ ინაძე 1996, 58-64.

¹⁸⁴ ინაძე 1996, 65-67.

¹⁸⁵ Hewsens 1992, 106.

¹⁸⁶ Hewsens 1992, 107.

ის გარემოება, რომ დარიალს პტოლემეაიოსი სარმატულ კარებს (V.9.11.15) უწოდებს, ხოლო სტრაბონი იბერიის მთიულებს სარმატებთან აახლოებს (XI, III, 3), უნდა გვაფიქრებინებდეს, რომ სტრაბონისა და პტოლემეაიოსის ცხოვრების წინა ხანებში იბერიას ჩრდილოეთიდან სარმატები გამეზობლებოდნენ და თუ ამასთანავე ამ უკანასკნელთა მომთაბარე ყოფასაც გავითვალისწინებთ, უნდა ვივარაუდოთ ამიერკავკასიაში დარიალის გზით განხორციელებული მათი ლაშქრობები, რაც აუცილებელს გახდიდა იბერიაში კავკასიის კარიბჭის მაკონტრილებელი ძალის მქონე სახელმწიფო ხელისუფლების აღმოცენების საჭიროებას.

არცთუ იშვითად სარმატელთა ჯგუფები ლაშქრობდნენ სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით და კავკასიის გადალახვით არბევდნენ მცირე აზიისა და ჩრდილო-დასავლეთ ირანის ვრცელ რეგიონებს, თუმცა უმეტესად ისინი დასავლეთის მიმართულებით ინაცვლებდნენ ხოლმე.¹⁸⁷ რჩებოდნენ რა ნამდვილ ნომადებად, ისინი არ ცდილობდნენ ტერიტორიების დაპყრობა-ათვისებას და ძირითადად ლაშქრობებით იფარგლებოდნენ.¹⁸⁸

ახ. წ. I საუკუნეში უკვე ალანები სახლობდნენ სამხრეთ რუსულ სტეპებში, დასავლეთისაკენ აზოვის ზღვასა და აღმოსავლეთისაკენ კასპიის ზღვეს შორის და ვრცელდებოდნენ აღმოსავლეთით კიდევ უფრო შორს, არალის ზღვამდე. ამავე დროს კავკასიონის ქედის სამხრეთით მდებარე მიწებიც არ იყო მათთვის უცნობი. ახ. წ. 35 წელს ისინი იყვნენ მიწვეული ტიბერიუსის მიერ, რომ მათ გაელაშქრათ იბერებთან ერთად სომხეთისაკენ და გადმოეგდოთ სომხეთის ტახტიდან იქ გამეფებული პართელი უფლისწული; ამ მიზნისათვის იბერებს ალანებისათვის გაუღიათ დარიალის გადასასვლელი, *Portae Caucasiae*, ტაციტუსის მიერ შეცდომით, კასპიის კარად მოხსენიებული (*Tac. hist.*, 1, 6,2).¹⁸⁹ ახ. წ. 290 წელს სომხეთის მეფემ ტირიდატმა თავის ჯარში გამოიყენა ალანი მექირავნეები. უფრო გვიან 317 წ. ამავე ქვეყნის სხვა მეფემ, ხოსრო II-მ ცოლად მოიყვანა ალანთა მეფის ქალიშვილი სათენიკი.

IV საუკუნის ბოლო მეოთხედში ჰუნები აღარ ჩანდნენ რომის იმპერიის ევროპულ ნაწილში, სამაგიეროდ, როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, ამ ხანებში მათ სამხრეთ რუსეთში დაიკავეს ადრე ალანებისა და აღმოსავლეთ ვოთების მიერ დასახლებული მხარეები. აქედან მათ დაიწყეს შეტევა რომის იმპერიის აღმოსავლეთ, აზიურ ნაწილზე. ამისათვის მათ გამოიყენეს ალანთა ნაკვალევი და კავკასიონის გადალახვით შეესიენ ახლო აღმოსავლეთის სხვადასხვა მომიჯნავე მხარეებს.¹⁹⁰

¹⁸⁷ McGovern 1939, 356.
¹⁸⁸ McGovern 1939, 357.
¹⁸⁹ Halfmann 1986, 43.
¹⁹⁰ McGovern 1939, 373.

პლინიუსის შემოყვანილი ცნობით, სამყაროს ორად გაყოფის კავკასიის კარი და მის მახლობლად აგებული ციხე-სიმაგრე კუმანია (დაკავშირებულია ქართულ კომლის-ციხესთან) გზას უღობავენ კავკასიის იქით მხარეს მყოფ უთვალავ ტომებს. პლინიუსი იქვე დასძენს, რომ ამ კარის პირდაპირ (ქვეყნის შიგნით) მდებარეობს იბერიის ქალაქი პარმასტუსი (გაიგივებულია არმაზთან). ეს უკანასკნელი გარემოება ააშკარავებს იბერიის ერთ-ერთი უძველესი დედაქალაქის, არმაზის, ისევე როგორც მცხეთის დანიშნულებას, არაგვის ხეობით ჩამომავალი გზის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში ჩაეკეტა ჩრდილოეთიდან კავკასიის კარით (ანუ დარიალით) გარდამავალი გზა ჩრდილოეთის უთვალავი ტომებისათვის. გეოპოლიტიკის მამამთავრის ფრიდრიხ რაცელის განმარტებით, მთების კიდებთან ქალაქები მდებარეობენ, რაც შეიძლება უფრო საპირისპიროდ გადასასვლელებთან, შედარებით მცირე ზომის დასახლებები უშუალოდ მთისძირთან, ხოლო მოზრდილები რამდენადმე უფრო ქვეყნის შიგნით, თითოეულ გადასასვლელთან მიხედვით, რათა მომხდარიყო ადამიანთა და ტვირთის რამდენიმე ნაკადის გაკონტროლება.¹⁹¹ დარიალის გადასასვლელზე კონტროლი, მხოლოდ საკუთრივ ამ კარიბჭით არ შემოიფარგლებოდა, თვით თბილისიც კი, მცხეთა-არმაზზე, რომ არაფერი ვთქვათ, ამ გადასასვლელის ჩამკეტი იყო. ე. ი. ფაქტურად აღნიშნული გადასასვლელი მოიცავდა ტერიტორიას დარიალიდან თბილისამდე. საკუთრივ თბილისის ციხე კიდევ უფრო სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ მიმავალ გზას აკონტროლებდა, კეტავდა რა მტკვრის დინების ვიწრობებს და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სამხრეთ-აღმოსავლეთ ამიერკავკასიისა და ირანის ხელისუფალთათვის.

არმაზციხე გაშენებულია ძნელად მისადგომ ადგილას, არმაზის ქედის უმაღლეს წერტილთან, საიდანაც შესანიშნავად მოჩანს ჩრდილოეთიდან - არაგვის ხეობით, ხოლო სამხრეთიდან და დასავლეთიდან მტკვრის ხეობით მომავალი გზები. ამავე ადგილიდან კარგად ჩანს მცხეთა, წიწამური, საპიტიახშო, ავჭალის კარი, მუხათგვერდის ზეგანი, ქართლი, ზადენ-ზედაზნის სანახები და თვით სარკინე - შიო მღვიმის მიდამო. ჩრდილოეთის მიმართულება მიუდგომელი ზღუდე-გალაზნით იყო ჩაკეტილი, რომელიც ამასთანავე ამ მხარის სიმაგრეთა სისტემის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა¹⁹². სპეციალისტთა დაკვირვებით, არმაზციხის მშენებელ ქართლის სამეფოს მესვეურებსა და ხუროთმოძღვრებს წინააზიური (ურარტულ-აქემენიდური) ტრადიციები მოსდგამდათ¹⁹³.

¹⁹¹ Ratzel 1891, 494.

¹⁹² აფაქიძე 1959, 56, 68.

¹⁹³ აფაქიძე 1959, 36, 37.

ძველი ქართული მატანების ავთენტურობის საკითხი. ქართულაწერლობითი წყაროების ძველი კორპუსის ისტორიული ფასეულობა, რომელიც წარმოადგენდა საქართველოს ოფიციალურ *corpus historicum*-ს ანუ ქართულ სამეფო ანალებს და ცნობილი იყო ქართლის ცხოვრების სახელით,¹⁹⁴ ინტენსიურად შეისწავლებოდა მეცნიერთა მიერ მეცხრამეტე საუკუნის შუა ხანებიდან და შეხედულებათა დიდი დაპირისპირება გამოიწვია.¹⁹⁵

ეს კორპუსი შედგება ცამეტი განსხვავებული ტექსტისაგან, რომლებიც დაწერილია მეცხრე და მეთოთხმეტე საუკუნეებს შორის.¹⁹⁶ ქართლის ცხოვრების კანონიზირებული ტექსტი დადგენილი იყო მეთვრამეტე საუკუნის დამდეგს ქართლის მეფის, ვახტანგ VI-გან დანიშნული კომისიის მიერ.¹⁹⁷

მეცნიერთა შორის ფართოდ გავრცელებული შეხედულების მიხედვით, ადრეული შუასაუკუნეების ქართული და სომხური მატანების შინაარსის განხილვისას რამდენაღმე რთულია იმის გარჩევა თუ სად არის შემატანების ფანტაზიის ნაყოფი და სად ისტორიული რეალობის ანარეკლი. საკმარისი სიზუსტით ასახული ისტორიული ფაქტები მათში ხშირად გადახლართულია მითიურ წარმოდგენებთან, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მკვლევრებმა გამოავლინეს მთელი რიგი დამთხვევები ისტორიულ წყაროებთან, მათ შორის კლასიკური ხანის ავტორების თხზულებებში. უახლესმა არქეოლოგიურმა ძიებებმა აგრეთვე დაადასტურეს მათი სანდობა. ამიტომ ქართლის ცხოვრებას ჩვეულებრივ მიიჩნევენ მატანად, რომელიც თუმცა აღძრავს ისტორიკოსისათვის მრავალ, იდუმალებით მოცულ კითხვას, მაგრამ ამავე დროს წარმოადგენს მათვისვე უმნიშვნელოვანეს, მრავლისმეტყველ წყაროს.¹⁹⁸

ქართლის ცხოვრების ყველაზე ადრეული მანუსკრიპტები, რომლებმაც კი მოაღწია ჩვენს ხანამდე, ანა და მარიამ დედოფლების ხელნაწერებია და განეკუთვნებიან, შესაბამისად, ანასეული - მეთხუთმეტე (1479 და 1495 შორის), ხოლო მარიამისეული - მეჩვიდმეტე (1638 და 1645

მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში, საქართველოს დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილების გაერთიანების შემდეგ, ტერმინი ქართლი ანუ საქართველო აღნიშნავს საქართველოს მთელ ტერიტორიას (იხ. ჯავახიშვილი 1914, 286).

¹⁹⁵ მ. ბროსეს, ფ. სენ-მარტენის, დ. ბაქრაძის, მ. ჯანაშვილის, პ. ინგოროვას, გ. წერეთლის, გ. მელიქიშვილის აზრით, ქართლის ცხოვრების მონაცემები ძირითადად დამაჯერებელია, მაშინ როდესაც კ. პატკანოვი, ი. ჯავახიშვილი და კ. კეკელიძე ბევრად უფრო სკეპტიკურად იყენებენ განწყობილნი.

¹⁹⁶ Rapp 1998, 14.

¹⁹⁷ ჯაუხიშვილი 1955, 024ff.

¹⁹⁸ მაგ. Patsch 1985, 14; Schyboll 1998, 946. კ. თუმანოვის აზრით, მისი მოწმობები ჩინებულად უძლებენ მეცნიერთა გამოწვლით შესწავლას და ამდენად მას ჩვენი ნდობა უნდა მიეცეს (Toumanoff 1963, 443).



შორის) საუკუნეებს.¹⁹⁹ ე.წ. კლავშვილისეული ნუსხის ძველი ნაწილი მეთექვსმეტე საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება. აღსანიშნავია, რომ ქართლის ცხოვრების სომხური თარგმანი (ორიგინალის შემოკლებული ვარიანტი),²⁰⁰ კლასიკურ სომხურ ენაზე უცნობი სასულიერო პირის მიერ უკვე მეთორმეტე საუკუნეებში ნათარგმნი, რომელშიც ზოგიერთი ახალი, სპეციფიკურად სომხური, მასალა იყო ჩართული, ცნობილია მეცამეტე საუკუნის მანუსკრიპტით.²⁰¹ სომხური ვერსია უეჭველად უნდა დათარიღდეს 1125 წლიდან 1270 წლამდე - ანუ უკანასკნელ მოვლენამდე, რომელიც მოხსენიებულია მის ტექსტში (გასათვალისწინებელია ისიც, რომ სომხური ადაპტაციის ავტორი იჩემებს პირად ნაცნობობას საქართველოს დიდ მეფესთან დავით IV, აღმაშენებელთან, რომელიც გარდაიცვალა 1125 წელს) და მისი ტექსტიდან ვარდან არეველცის მიერ პირდაპირ ციტირებამდე. ამავე დროს, შინაგანი მონაცემები მიგვანიშნებენ, რომ სავარაუდოდ იგი ნათარგმნი უნდა იყოს მეთორმეტე საუკუნის პირველ ნახევარში. ყველაზე ადრეული სომეხი ისტორიკოსი, რომელიც იცნობს ქართლის ცხოვრებას არის მხითარ ანელი, რომლის ისტორიაც 1187 წლამდე გრძელდება.²⁰²

ქართლის ცხოვრების ზემოაღნიშნული, ყველაზე ადრეული სომხური მანუსკრიპტი თარიღდება 1279 და 1311 წწ. შორის.²⁰³ ვინაიდან არცერთი ქართული ხელნაწერი ქართლის ცხოვრებისა არ თარიღდება მეთხუთმეტე საუკუნეზე ადრეული ხანით, სომხურ ვერსიას საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება მისი პირველადი შინაარსისა და ადრეული წარმომავლობის სამტკიცებლად.²⁰⁴ ს. რეპის დაკვირვებით, სომხური თარგმანი, რომელიც ქართული ისტორიული ტრადიციის საკმაოდ თანმიმდევრულ გადმოცემას წარმოადგენს, ქართლის ცხოვრების საწყისი ნაწილის სტრუქტურის შუასაუკუნეებრივ წარმომავლობას ნათელს ჰყენს.²⁰⁵

ს. რეპისავე შენიშვნით, ქართლის ცხოვრების სომხური ადაპტაციის შექმნა, რასაც ადგილი მეთორმეტე საუკუნის პირველ ნახევარში უნდა ჰქონოდა, გამოწვეული უნდა ყოფილიყო მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეების ეპოქალური პოლიტიკური სიტუაციით, როდესაც საქართველო აღმოცენდა უზარმაზარი იმპერიის სახით, რომელმაც მოიცვა სომხეთის

¹⁹⁹ ვაუხიშვილი 1955, 015; შდრ., აგრეთვე, Toumanoff 1947, 340-344.
²⁰⁰ ს. რაბი შენიშნავს, რომ იგი არის ერთიადიმავე დროს ამჟამად დაკარგული ქართული კვებელიარის თარგმანი, ადაპტაცია, შემოკლება და ამასთანავე არაზუსტი გადმოცემა (Rapp 1998, 31).
²⁰¹ Thomson 1996, v.; Rapp 1998a, 3.
²⁰² Thomson 1996, xlii, xliv, I. კ. თუმანოვისა და რ. ბედროსიანის აზრით, მას გამოყენებული უნდა ჰქონოდა სომხური ვერსია (Toumanoff 1943, 161; Bedrosian 1991).
²⁰³ იხ. აბულაძე 1953, 020).
²⁰⁴ შდრ. Меликишвили 1989, 22.
²⁰⁵ Rapp 1998a, 18.

უმეტესი ნაწილი, ჩრდილოეთ კავკასია, ჩრდილოეთ ირანისა და აღმოსავლეთ ანატოლიის ოლქები.²⁰⁶

ქართლის ცხოვრების პირველ ნაწილს: *ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთას*, ანუ შემოკლებით: *მეფეთა ცხოვრებას*, მიაკუთვნებენ მეთერთმეტე საუკუნის სასულიერო პირს, ლეონტი მროველს, რუისის მთავარეპისკოპოსს; თუმცა არსებობს იმის ნიშნები, რომ სინამდვილეში ლეონტი მროველმა მხოლოდ შეკრიბა და გადააწერინა ძველი ტექსტები.²⁰⁷ ს. რუპის მიხედვით, ნაწარმოების შინაგანი კრიტერიუმები - რომლებიც დაბეჯითებით მიგვანიშნებენ *ცხოვრება მეფეთას* შექმნის მიახლოებულ თარიღზე, 800 წელზე - და, ამავე დროს, ლეონტი მროველის მოღვაწეობის ხანის მეთერთმეტე საუკუნით განსაზღვრა - გვაიძულებს უარვეთ მისი თავდაპირველი ავტორობის ვარაუდი. იგი, როგორც რუისის მთავარეპისკოპოსი, შესაძლოა თავმჯდომარეობდა ტექსტის ხელახალ გამოცემას, მონაწილეობდა მის ქარგაში ცალკეული ბიბლიური ელემენტების შეტანისას ანდა იძლეოდა ტექსტის გამოცემის უფლებას.²⁰⁸ ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ლეონტი მროველი მართლაც არის *ქართლის ცხოვრების* საწყისი ნაწილის ავტორი და სინამდვილეში იგი ცხოვრობდა არა მეთერთმეტე საუკუნეში, არამედ მერვეში, ხოლო 1066 წლის წარწერა, რომელიც მიეწერება ამავე სახელის სხვა პიროვნებას, უნდა აიხსნას რამდენიმე ეპისკოპოსის სახელთა ჰომონიმით, რომელთაც სხვადასხვა დროს ეკავათ ერთიდაიგივე ეპარქია.²⁰⁹

ქართლის ცხოვრების მეოთხე წიგნი, *წამება წმიდისა და დიდებულისა არჩილისი*, თავის დასკვნით ნაწილში მოგვითხრობს: *"წიგნი ესე ქართველთა ცხოვრებისა ვიდრე ვახტანგისამდე აღიწერებოდა ჟამითი-ჟამად. ხოლო ვახტანგ მეფისა ვიდრე აქამომდე აღწერა გუანშერ გუანშერაიანმან, ძმისწულის ქმარმან წმიდისა არჩილისმან (I, 248)"*.²¹⁰ ეს კი მოწმობს, რომ ტექსტი მიკუთვნებული ლეონტი მროველისადმი არ განეკუთვნება ერთიადიმავე ავტორს. *წამება არჩილისის* იმავე ნაწილში მინიშნება გვაქვს იმაზეც, რომ დამატებები კეთდებოდა ხოლმე უფრო ადრე არსებულ ტექსტებზე: *"მეორითგან შემდგომი მომავალთა ნათესავთა აღწერონ ვითარცა იხილონ... (I, 248)"*. *ქართლის ცხოვრების* სომხური თარგმანი საზოგადოდ არ

²⁰⁶ Rapp 1998, 18.

²⁰⁷ Меликишвили 1959, 29-31; Rapp 1998, 20.

²⁰⁸ Rapp 1998, 20.

²⁰⁹ ინგოროვა 1941; Tarchnishvili 1957, 86-89; Toumanoff 1969, 136n.3. ყოველ შემთხვევაში, კ. თუმანოვს ეჭვი არ ეპარება, რომ იგი წინ უნდა უსწრებდეს 973 წელს (Toumanoff 1963, 24).

²¹⁰ აქაც და ქვევითაც ფრჩხილებში მოთავსებული *ქართლის ცხოვრების* გვერდები მითითებული გვაქვს ს. ფუხჩიშვილის გამოცემის მიხედვით, იხ. ფუხჩიშვილი 1955.



იცნობს ლეონტი მროველს. *ქართლის ცხოვრება* ცნობილი იყო სომხურ წყაროებში როგორც მხოლოდ *ქართველთა ისტორია (Patmut'iwn Vrac)*, თუმცა ს. ტიროანმა 1884 წლის ე.წ. "ვენეციური გამოცემის" რედაქტორმა და გამომცემელმა მთელი ტექსტი მიაწერა ჯუანშერ ჯუანშერიანს, არჩილ I-ის თანამედროვეს, ანუ მერვე საუკუნის მეორე ნახევრის მემატიანეს, რომელიც სინამდვილეში მხოლოდ *ქართლის ცხოვრების* ერთ-ერთი ნაწილის ავტორი იყო.²¹¹ სომხური თარგმნის ცნობით, ქართველმა ისტორიკოსმა ჯუანშერმა აპოვა ქართული მატიანე, რომელიც მხოლოდ ქართლის მეფის, ვახტანგ გორგასლის ხანამდე (მეხუთე საუკუნე) იყო დაწერილი, ხოლო მომდევნო ხანის მოვლენების შესახებ ცნობები თვით ჯუანშერის მიერ იყო დამატებული (104).²¹² *ნინოს ცხოვრების* მეტაფრასული რედაქციის ავტორი, დავით აღმაშენებლის სულიერი მოძღვარი, არსენ ბერი (იყალთოელი), *ქართლის ცხოვრებას* იცნობს მხოლოდ *ამბავი მეფეთას* სახელით, ანუ სახელწოდებით, რომლითაც შემდგომში ცნობილი იყო მხოლოდ მისი პირველი ნაწილი - *მეფეთა ცხოვრება*. ეს ფაქტი, ს. რუპის მიხედვით, ცხადყოფს, რომ არსენ ბერის წყაროს ფაქტიურად *ქართლის ცხოვრების* წინარე-ბაგრატიდული ტექსტი წარმოადგენდა.²¹³

მეფეთა ცხოვრება შედგება სამი მთავარი ნაწილისაგან: 1. ქართლის ისტორიის უძველესი პერიოდის აღწერა ალექსანდრე მაკედონელის ხანამდე, ამ ნაწილზე შეიმჩნევა *საღმრთო წერილის* ზეგავლენა, განსაკუთრებით, *დაბადების Tabula Popularum*-თან ადგილობრივი ეპონიმური გენეალოგიის დაკავშირების მცდელობისას;²¹⁴ 2. ალექსანდრე დიდის კაკასიაში ლეგენდარული ლაშქრობის ამბავი და საკუთრივ მეფეთა მატიანე; 3. *წმინდა ნინოს მიერ ქართლის მოქცევა*. მეორე და მესამე ნაწილი ეჭვს გარეშე უკავშირდება *მოქცევაი ქართლისაჲს*-ს ტექსტს. *წმინდა ნინოს მიერ ქართლის მოქცევის* მეშვიდე საუკუნის *მოქცევაი ქართლისაჲს*-ს მოკლე ტექსტის პავიოგრაფიულ შელამაზებად მიიჩნევენ, რომელიც მხოლოდ მეთერთმეტე საუკუნეში იყო დართული *მეფეთა ცხოვრებაზე*.²¹⁵

²¹¹ Thomson 1996, v, xxxviii. სომხური თარგმნის ტექსტი ფაქტიურად შედგება მხოლოდ ოთხი ავტორის ექვსი ნაწარმოებისაგან და მოიცავს პერიოდს დავით აღმაშენებლის გარდაცვალებამდე, ანუ 1125 წლამდე. რ. ვ. თომსონის აზრით, სომხური თარგმნის ახალი სათაური, "ქართული მატიანეები", მცდარ შთაბეჭდილებას სტოვებს, ვინაიდან ნაწილს მთელისაგან ვერ განასხვავებს - იგი მოიცავს მხოლოდ მცირე ნაწილს ქართულ ენაზე შექმნილ ანალოგიური ნაწარმოებების მთელი წყებიდან (Thomson 1996, xxxviii).

²¹² აკეელიძე 1958, 208; Меликишвили 1959, 30. აქ და ქვემოთ სომხური თარგმნის გამოყენებისას, მითითებულია *ქართლის ცხოვრების* სომხური ევრსიის 1884 წლის "ვენეციის გამოცემის" გვერდები.

²¹³ Rapp 1998a, I.

²¹⁴ Allen 1932, 16; Toumanoff 1943, 166.

²¹⁵ Rapp 1998, 253მდ.

ქართლის ცხოვრების შუასაუკუნეების ხანის ტექსტები, ს. რაპის მიხედვით, შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად, წინა-ბაგრატიდულად და ბაგრატიდულად, რომლებიც ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების განსხვავებულ ეპოქებს წარმოადგენენ.²¹⁶ მისი აზრით, შინაგანი მონაცემები მეფეთა ცხოვრებისა (რომელიც სინამდვილეში აღწევს მირიან მეფის მიერ ქრისტიანობის აღიარების ხანამდე) და ცხოვრება და მოქალაქობა ვახტანგ გორგასლისა საშუალებას იძლევიან მათი შეთხზვის დათარიღებას მიახლოებით 795 და 813 წწ. შორის მდებარე ინტერვალით, ხოლო უხეშად 800 წ. შეიძლება იყოს განსაზღვრული.²¹⁷ საქართველოში ადგილობრივი ისტორიოგრაფიის აღმოცენებას, ს. რაპი უკავშირებს უმეფობის, ანუ, უკეთ, სამეფოთა შორის არსებულ ხანას (*interregnum*-ს), რომელიც დაახლ. 580-888 წწ. მოიცავდა. იგი ამ მოვლენას განიხილავს მეზობელი ქვეყნების ისტორიოგრაფიულ შემოქმედებაში მიმდინარე თანადროული და ანალოგიური ტენდენციების ფონზე და მიიჩნევს მას სამეფო ძალაუფლების აღორძინების მოთხოვნის მანიფესტაციად - ადგილობრივი მემკვიდრეები ხოტბას ასხამდნენ სამეფო გვირგვინს და იღწვოდნენ მისი დაუყოვნებლივი აღდგენისათვის.²¹⁸

მეფეთა ცხოვრების მიერ გამოვლენილი, ადვილად შესამჩნევი არმენოფილური ტენდენციები, მეტად ძნელი წარმოსადგენი იქნებოდა რომ გამოხატულიყო მერვე საუკუნის პირველი მეოთხედის ანუ სომხურ-ქართული რელიგიური ურთიერთობების არნახული გამწვავების მომდევნო ხანაში. ეს ურთიერთობები უკვე რამდენადმე დაძაბული იყო ადრეული მეშვიდე საუკუნიდან, როდესაც ქართველებმა საბოლოოდ მიიღეს მართლმადიდებლობა; როგორც ჩანს, სომხურ მონოფიზიტურ ეკლესიაზე მზარდი სპარსული ზეგავლენის საწინააღმდეგოდ.²¹⁹ არმენოფილური ტენდენციების არსებობა კიდევ უფრო წარმოდგენილი იქნებოდა ქართული პოლიტიკური წარმონაქმნების უცილობელი პოლიტიკური პეგემონიის ხანაში - შეათე-მეთერთმეტე საუკუნეებში.²²⁰ მეფეთა ცხოვრების ტექსტში ჯერ კიდევ ტერმინ *გვირგვინის* გამოყენების ფაქტი, ნაცვლად ტერმინ *აფხაზეთისა*, რომელიც

²¹⁶ Rapp 1997, ob. Rapp 1998, 22.

²¹⁷ Rapp 1998, 18.

²¹⁸ Rapp 1998, 233მდ.

²¹⁹ სომხურმა ეკლესიამ შეაჩვენა ქართველები დეინის მესამე საკლესიო კრებაზე 608/609 წწ., თუმცა, განხეთქილებამ ფორმალური ხასიათი 726 წლის მანასკერტის სომხურ სასულიერო კრებაზე შეიძინა (იხ. Sarkissian 1965, 2, 206მენ.1, 215; Garsoian 1985, 236მდ.; Rapp 1998, 17).

²²⁰ Мелнишвили 1989, 24, 26. მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისის ხანის ქართულ საეკლესიო ლიტურატურაში არა მარტო წმიდა მამების ტექსტებში არსებული ხარვეზები იყო შეესებოდა, არამედ, აგრეთვე, იმხანად კონსტანტინეპოლში გამოყენებული ბიბლიური, ლიტურგიული და პავიოგრაფიული ტექსტების ახალი ვარიანტები იყო შექმნილი (Thomson 1996, xxxvii; შდრ. Tarnishvili 1955).



მერვე საუკუნის დასაწყისიდან უკვე გამოიყენებოდა დასავლეთ საქართველოში აღსანიშნავად, უნდა მიუთითებდეს ადრეულ მერვე საუკუნეზე, როგორც ამ ტექსტის ყველაზე ადრეული ნაწილების უგვიანეს შესაძლო თარიღზე.²²¹ ისიც უნდა იყოს მიღებული მხედველობაში, რომ *მეფეთა ცხოვრებაში* არაფერი ჩანს უშუალოდ ნასესხები ადრეული მერვე საუკუნით სავარაუდოდ დათარიღებული მოვსეს ზორენაცის *სომეხთა ისტორიის* ტექსტიდან, თუმცა ამ ორ თხზულებას შორის მრავალრიცხოვანი დამთხვევების არსებობა ყოველგვარ ეჭვს გარეშეა. ეს ფაქტი აიხსნება ხოლმე ორივე შემთხვევაში ერთიდაიგივე ზეპირი თუ წერილობითი სომხური წყაროების შესაძლო გამოყენებით.²²²

სკეპტიციზმი *ქართლის ცხოვრების* მიმართ მნიშვნელოვნად შეიცვალა *მოქცევა ქართლისაჲს*-ის ორი პალიმფსესტის, შატბერდისა და ჭელიშის ხელნაწერების, 1888 წ. და 1903 წ., პოვნის შემდეგ, რომლებიც, შესაბამისად, გვიან მეთუ (973 წ.) და მეთოთხმეტე-მეთოთხმეტე საუკუნეებს განეკუთვნებიან.

როგორც ცნობილია, *მოქცევა ქართლისაჲს* ტექსტი ჩართულია *ქართლის ცხოვრებაში*, მაგრამ, ამავე დროს, ამ უკანასკნელში შემონახული ვერსია განსხვავდება, როგორც შატბერდის, ასევე ჭელიშის რედაქციებისაგან, რაც უნდა მოწმობდეს კიდევ უფრო არქაული რედაქციის არსებობაზე. *ქართლის ცხოვრების მეფეთა* სია თითქმის იდენტურია *მოქცევა ქართლისაჲს*-ში გამოყენებული სიისა და ბუნებრივია ღებულობს უცხოურ წერილობით წყაროებში ასახულ თანადროულ მოვლენათა შესახებ არსებულ მონაცემებში ასეთსავე დადასტურებას (იხ. ქვემოთ). გარდა ამისა, ზოგიერთ დეტალს, წარმოდგენილს მხოლოდ *ქართლის ცხოვრებაში*, პარალელები ვეძებნება ტაციტუსის, კასიუს დიოს და სხვათა ტექსტებში²²³.

ორი ახალი ნუსხა *მოქცევა ქართლისაჲს*-ს აღმოჩნდა უკანასკნელ ხანებში სინას მთაზე მდებარე წმ. კატერინას მონასტერში, მეცხრე-მეთუ საუკუნეებით დათარიღებულ ასზე მეტ სხვა ქართულ ხელნაწერთან ერთად. პირველი მათგანი დაუთარიღებელია, თუმცა პალეოგრაფიული მონაცემებით უეჭველია, რომ იგი შატბერდულ კრებულზე უფრო ადრეული უნდა იყოს. მეორე ხელნაწერის ტექსტი თითქმის იწყება იქ სადაც წყდება პირველი; ვინაიდან ამ ეკზემპლარის მონასტრისათვის შემწირველი არის ვინმე იოანე, რომელმაც მეცხრე საუკუნის მიწურულს შესწირა სრულიად სხვა ხელნაწერი წმიდა საბას მონასტერს, აღნიშნული ეკზემპლარი უნდა დათარიღდეს

²²¹ ეკელიძე 1923, 53შმდ.; ინგოროვია 1941; Меликишвили 1959, 31შმდ.
²²² Меликишвили 1989, 26. მოვსეს ზორენაცის *სომეხთა ისტორიის* ნუსხები მეთოთხმეტე საუკუნეზე ადრეული ხანით არ თარიღდებიან, თუმცა კარგად არის ცნობილი, რომ თვით ბევრი კლასიკური (ბერძნულ-რომაული) ტექსტი შემოინახა მხოლოდ შუა საუკუნეების ხანის რედაქციით (Rapp 1998, 15).
²²³ Toumanoff 1943, 169; შდრ. Джанашивили 1905, 216-220.



არაუგვიანეს მათე საუკუნის საწყისი ხანისა. ორივე ეს ხელნაწერი წაკითხვის ბევრად უფრო კარგ შესაძლებლობას იძლევა, ვიდრე შატბერდისა და ჭელიძის ნუსხები. აღნიშნული გარემოებანი, სინას მთაზე მოპოვებული ტექსტების მკვლევარს ზ. ალექსიძეს აფიქრებინებს, რომ მათი სახით საქმე გვაქვს *მოქცევაი ქართლისაჲ*-ს იმ პროტორედაქციასთან, რომელიც უნდა გამოეყენებინა ლეონტი მროველს *ქართლის ცხოვრებაში* და რომლისგანაც უნდა მომდინარეობდეს, როგორც შატბერდული, ისე ჭელიძური რედაქცია.²²⁴

მართალია სწავლულნი *მოქცევაი ქართლისაჲ*-ს შექმნას ათარიღებენ განსხვავებულად, მეოთხედან მეცხრე საუკუნემდე, მაგრამ მათი უმეტესობა უპირატესობას მაინც მეშვიდე²²⁵ ან მეცხრე საუკუნეებს ანიჭებს. *მოქცევაი ქართლისაი* შედგება ორი ნაწილისაგან: *ქრონიკისაგან*, რომელშიც აღწერილია ქართლის ისტორია დასაბამიდან მეშვიდე საუკუნის შუა ხანებამდე (663 წ.), სტეფანოზ II ერისმთავრის მმართველობის, ანუ ბიზანტიის იმპერატორის ირაკლის კავკასიაში ლაშქრობის, ხანამდე და *წმ. ნინოს ცხოვრებისაგან*. დამატება შეიცავს მმართველთა და კათალიკოსთა ხაის მეშვიდე საუკუნის მეორე ნახევრიდან მეცხრე-შუათე საუკუნეების მიჯნამდე და დაწერილია ძალზე სქემატურად და მშრალი ენით. *ქრონიკის* პირველი ნაწილი - მირიან მეფის გარდაცვალებამდე ხანის მომცველი - ერთიანი და თანმიმდევრულია, მისი ენა მდიდარია მოკლე გამონათქვამებითა და ლაკონური სხარტი წინადადებებით; იგი ამჟღავნებს კავშირს სამხედრო სფეროსთან. ისტორიული მოვლენები, ერისმთავართა და კათალიკოსთა ცხოვრება და ქმედებანი დაწერილია ერთი ამოსუნთქვით, ნათლად და ცოცხლად. სტილის ეს სისხარტე და სიმარტივე ზოგჯერ განიხილება აღწერილ მოვლენებთან ამ ნაწილის ქრონოლოგიური სიახლოვის ნიშნად და შესაბამისად მეხუთე საუკუნით მისი დათარიღების მოწმობად.²²⁶

ის გარემოება, რომ *მოქცევაი ქართლისაჲ*-ს ძირითად ტექსტს ქვეყნის ისტორიის თხრობა მხოლოდ მეშვიდე საუკუნის პირველი ნახევრის დასასრულამდე მიჰყავს, ხოლო იმ პიროვნებათა სია (ერისმთავართა და კათალიკოსთა), რომლებიც ცხოვრობდნენ აღნიშნული ხანიდან მეცხრე საუკუნემდე მხოლოდ დამატებაშია მოცემული, *ქრონიკის* დაწერას მეშვიდე საუკუნის შუა ხანებით უნდა განსაზღვრავდეს, ხოლო რედაქტირების თარიღს - მეცხრე-ადრეული მათე საუკუნით.²²⁷ მათე საუკუნის დასაწყისისათვის *მოქცევაი ქართლისაჲ*-ს ოთხი, ერთმანეთისაგან განსხვავებული, რედაქციის არსებობა არა მხოლოდ საქართველოს ფარგლებში, არამედ მისგან საკმაოდ

²²⁴ Alexidze 1995.
²²⁵ მაგ. თაყაიშვილი 1909, 16; Thomson 1996, xxxviii; Toumanoff 1943, 149.
²²⁶ Tarchnishvili 1955, 87შმდ., 406.
²²⁷ მ. თარხნიშვილის ვარაუდით, *მოქცევაი ქართლისაი* 686 თუ 687 წწ. უნდა გამოეყენებინა სომეხ ავტორს, ფილონ ტირაკაცის (Tarchnishvili 1947, 33შმდ.; Tarchnishvili 1955, 87).

დაშორებულ მხარეებში (სინას მთაზე), საშუალებას აძლევს ზ. ალექსიძის მხარი დაუჭიროს შეხედულებას, რომლის მიხედვითაც ამ თხზულების არქეტაპის შექმნა მეცხრე საუკუნესთან შედარებით ბევრად უფრო სიღრმეში უნდა მიდიოდეს; ამასთანავე *ქრონიკას* და *წმ. ნინოს ცხოვრებას* იგი განიხილავს ორი სხვადასხვა ავტორის დამოუკიდებელ ნაწარმოებად, რომლებიც შატბერდული კრებულის შედგენამდელ ხანებში, შესაძლოა მეცხრე საუკუნეში, თემატურად დაუკავშირდნენ ერთმანეთს.²²⁸ მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ *მოქცევა ქართლისაჲს*-ს შედგენის თარიღად ძირითადად მეცხრე საუკუნეა მიჩნეული, მისი წყაროების ასაკი ადრეულ მეშვიდე საუკუნემდე უნდა ჩადიოდეს, ამაზე კერძოდ მიგვითითებს ტექსტის ხანმეტობა, პრეფიქსთა და ზმნათა შორის კავშირების ინტერპოლაციის ფაქტი და წინა-არაბული ხანის ლექსიკის გამოყენება.²²⁹

ჯერ კიდევ მეათე საუკუნის მეორე ნახევრის შატბერდული ნუსხის დამატებაში გვხვდება მითითება *მოქცევა ქართლისაჲს*-ს ძველ ასაკზე, კერძოდ, რომ თითქოს ეს წიგნი ნაპოვნი იყო მისი შექმნიდან მრავალი წლის გასვლის შემდეგ.²³⁰ რა თქმა უნდა დიდი სიფრთხილე გვმართებს ამ ინფორმაციის სანდოობის მიმართ. პ. ინგოროყვას მიხედვით, მეოთხე საუკუნეს განეკუთვნება გაქრისტიანებული ებრაელი სასულიერო ავტორის, აბიათარ მცხეთელის თხზულება: *ცხოვრება და მოქცევა ქართლისა და მოთხრობა ნათესავობისა, და თუ რომელნი რომელთა ტომთანი ვართ, ანუ თუ ვითარ მოვიქცეთ და მივიღეთ სჯული ქრისტიანობისა*, რომელიც დაკარგულად ითვლება.²³¹ თუმცა, ჩვენთვის ცნობილია, რომ ჯერჯერობით რამდენადმე სარწმუნო მოწმობები ქართული სამწერლობო ენის არსებობის შესახებ მხოლოდ მეხუთე საუკუნემდე აღწევს. იაკობ ცურტაველის *წმ. შუშანიკის მარტვილოდ* და *საზარების* თარგმანები, ისევე როგორც ეპიგრაფიკული მონაცემები, განეკუთვნებიან ამ საუკუნეს.²³² შეინიშნულია, რომ ქართველებმა

²²⁸ Alexidze 1995. *მოქცევა ქართლისაჲს*-ს ცნობები წმ. ნინოს მიერ ქართლის მოქცევის შესახებ მნიშვნელოვანწილად წარმოადგენენ ვერსიას აშბისა, რომელიც სათავეს იღებს რუფინუსის მეოთხე საუკუნის დასასრული ხანის თხზულებაში, *De Conversione Gentis Iberorum per Captivum Facto* (Такайшвили 1900, 80, 93, 104; Toumanoff 1943, 151).

²²⁹ იხ. Rayfield 1994, 49.

²³⁰ თაყაიშვილი 1890, xviii-xx, xlv-lxxix.

²³¹ ინფორმაცია ასეთი თხზულების არსებობის შესახებ მომდინარეობს ქართლის ცხოვრების უძველესი შემორჩენილი ხელნაწერიდან, ანა-დელიფისეული მეოთხთმეტე საუკუნის ნუსხიდან (ინგოროყვა 1939, 107შმდ., 137შმდ.; ინგოროყვა 1941a, 283შმდ.). ამავე დროს, *მოქცევა ქართლისაჲს* ტექსტში გრეციზმების ადვილად თვალშისაცემი სიუხვე მიჩნეულია ამ მატანიის წარმოქმნის თარიღის მეხუთე საუკუნეზე უფრო ადრეული ხანით განმსაზღვრელად (ვოვლ შემთხვევაში მისი საწყისი ეტაპისა) ანუ რამდენადმე ჩამოყალიბებული ეროვნული ფეოდალურ-საეკლესიო ლიტერატურის არსებობამდელი პერიოდით (იხ. Toumanoff 1943, 15შმდ.).

²³² მაგ. Toumanoff 1943, 148შმდ.; Fähnrich 1986, 12.



ისტორიოგრაფიული ტრადიცია სომხებისაგან განსხვავებული გზით განავითარეს - პავიოგრაფია გახდა მათთვის ყველაზე პოპულარული ჟანრით უფრო მეტიც, ხშირად ქართული ისტორიოგრაფია ადგილობრივი პავიოგრაფიიდან წარმოქმნილად განიხილება.²³⁴

მოქცევა ქართლისაჲს ქრონიკის მეფეთა სია მეტად მოკლეა და ქრონოლოგიურად არასრულყოფილი, თუმცა იგი მხარდაჭერას პოულობს უცხოური წყაროების მონაცემებში. მკვლევართა დაკვირვებით, იქ წარმოდგენილი ოცდაჩვიდმეტი მეფიდან თექვსმეტი, რომელთა ზეობის წლები ექცევა ძვ. წთ. მეოთხედან ახ. წთ. მეექვსე საუკუნემდე, ცნობილი არიან ტაციტუსის, აბიანუს, კასიუს დიოს, ამიანუს მარცელინუსის, ელიუს სპარტანუსის, პროკოპი კესარიელის (დაახლ. 500-562 წწ.) თხზულებებიდან, წმ. პეტრე იბერიელის ცხოვრების სირიული ტექსტიდან, აგრეთვე ახ. წთ. მეხუთე საუკუნის ეპიგრაფიკული მონაცემებიდან. როგორც ჩანს, ამ მეფეთა სახელები, მათთან დაკავშირებულ ზოგიერთ მოვლენებთან ერთად, საოცარი სიზუსტით თაობიდან თაობაში გადაეცემებოდა. ამასთანავე, ქართველთა ადმოსახლების ამბავი მათი პირველსაცხოვრისიდან და მათივე სამეფოს აღმოცენების ამბავი, ისევე როგორც საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის შესახებ შემონახული თანადროული ცნობები მიჩნეულია უძველესი ადგილობრივი ისტორიული წყაროებიდან და ტრადიციებიდან ნასესხებად.²³⁵ ს. რები არ გამორიცხავს თვით საქართველოს ადრეული ისტორიის ამჟამად დაკარგული ადგილობრივი წერილობითი წყაროების თავის დროზე არსებობის შესაძლებლობას.²³⁶ საესებით სწორედ იყო ამას წინათ მის მიერ შენიშნული, რომ უძველესი ქართული ისტორიული მემკვიდრეობის გამოყენების მცდელობისა და კლასიკური ხანის მონაცემებთან მათი შეპირისპირების გარეშე, საქართველოს ისტორიოგრაფიაში მოღვაწე ზოგიერთი მეცნიერის არგუმენტაცია საგრძნობლად უფასურდება.²³⁷

ქართლის ცხოვრებაში მოთავსებული *მოქცევა ქართლისაჲს* საწყისი ნაწილი, რომელიც შეიცავს ამბავს ალექსანდრე დიდის ქართლში ლაშქრობისა და პირველი ადმოსავლურქართული სახელმწიფოს ჩასახვის შესახებ, განსხვავდება *მოქცევა ქართლისაჲს* ტექსტიდან იქვე მოთავსებულ ყველა სხვა ნაწილისაგან დიდი სახეცვლილებით. ამის გამო *ქართლის ცხოვრების* აღნიშნული სიუჟეტი, ძალზე განსხვავებული *მოქცევა ქართლისაჲს* ოთხივე არსებული ნუსხისაგან, შეიძლება მიჩნეული იქნას ამ თხზულების სრულიად განსხვავებულ ვერსიად ან საკუთრივ ლეონტი

²³³ Thomson 1996, xxxvii; Rapp 1998, 9.

²³⁴ Rapp 1998, 19.

²³⁵ Toumanoff 1943, 150შმდ.; Меликишвили 1959, 47-62; Rapp 1998, 24.

²³⁶ Rapp 1998, 24.

²³⁷ Rapp 1998, 17.



მროველის კომპილაციად, რომელმაც მოქცევა ქართლისა-ს ტექსტთან ერთად, სავარაუდოდ გამოიყენა სხვა ჩვენთვის ჯერ კიდევ უცნობი მონაცემები. თუმცა, ყოველ შემთხვევაში, ქართლის ცხოვრების პირველი ნაწილის, მეფეთა ცხოვრების, და მოქცევა ქართლისა-ს ქრონიკის შესაბამისი სიუჟეტების მსგავსება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ორივე ამ თხზულების პარალელური შესწავლის შედეგად მეფეთა ცხოვრების ტექსტის ავთენტურობის საკითხი, აღარ უნდა იყოს მიჩნეული თანამედროვე კვლევის საგნად. ორივე ეს ნაწარმოები ავლენს არა მხოლოდ ხალხური შემოქმედების კვალს, არამედ, აგრეთვე, განმეორებითი ლიტერატურული რედაქტირების ანაბეჭდს.²³⁸

ამ ორ მატთანეს შორის არსებულ თანხვედნების მრავალ მომენტთა შორის, განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ინფორმაციას ალექსანდრე მაკედონელის შესახებ, რომლის სახელსაც ამავე მატთანეთა ცნობით მიეწერება აღმოსავლეთქართული (ქართლის) სამეფოს წარმოქმნა.

აპოკრიფული ალექსანდრე დიდი და ქართლის სამეფოს წარმოქმნა. მოქცევა ქართლისა-ს მიხედვით, ალექსანდრე დიდმა ქართლში მობრძანებისას მასთან ხლებული აზო მცხეთაში მეფედ დაადგინა. შატბერდული კრებულით: "...ესე აზოი წარვიდა არიან-ქართლად, მამისა თვისისა და წარმოიყვანა რვაი სახლი [3. ინგოროვას კონიუქტურით: "ათასი სახლი მდაბიოი უფლისაი"]²³⁹ და ათნი სახლნი მამამძებეთანი, და დაჯდა ძუელ მცხეთას და თანა-ყვანდეს კერანი ღმრთად - გაცი და გა, და ესე იყო პირველი მეფე მცხეთას შინა აზოი, ძმ არიან-ქართველთა მეფისა..." (320)²⁴⁰ მოქცევა ქართლისა-ს მეორე ნაწილის - წმ. ნინოს ცხოვრების - თანახმად, კერპები გაცი და გა ქართველთა ღვთაებები იყვნენ არიან-ქართლში. არსენი ბერი ამ მოვლენას შემდეგნაირად განმარტავს: "წუენ ქართველნი შეიღნი ვართ მათ არიან-ქართლით გამოსრულითანი, და ენად მათი უწყით, და ყოველნი მეფენი ქართლისანი ამათ მეფეთა შეიღის-შეიღნი არიან."²⁴¹

არავინ იცის დაბეჯითებით, თუ რა იგულისხმებოდა მოქცევა ქართლისა-ს არიან-ქართლში და სად მდებარეობდა იგი²⁴², ვინაიდან ეს

²³⁸ Меликишвили 1989, 25; Меликишвили 1989a, 255.

²³⁹ ინგოროვა 1941, 269შშდ.

²⁴⁰ აქაც და სხვაგანაც ფრჩხილებში მოთავსებული მოქცევა ქართლისა-ს გვერდებისათვის იხ. გიგინიეშვილი, გიუნაშვილი 1979.

²⁴¹ ინგოროვა 1941, 283.

²⁴² ფართოდ გავრცელებული შეხედულების თანახმად, არიან-ქართლში იგულისხმება ქართლის სპარსული (ე.ი. არიული, ძველსპარსული *ariyana*-დან) ანუ აქემენიდური ნაწილი, მდებარე მის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში (Меликишвили 1959, 278). არიან-ქართლი მიჩნეული იყო აგრეთვე პტოლემეაოსის *Αρηνη*-დ (V, 6, 18) და ხეთების Harrana-დ, რომელიც მცირე სომხეთში მდებარეობდა, თოგორმა/თეგარამა/თილ გარიმუს



მატიანე არ იძლევა არავითარ ახსნას ამ საკითხთან დაკავშირებით. ფუმცქეშის გამო, რომ *მეფეთა ცხოვრების* მიხედვით, ქართლის ახალმა მმართველმა, მეფე ფარნავაზმა, აზონის (შდრ. *მოქცევაჲ ქართლისაჲს აზო*) დამარცხების შემდეგ გაილაშქრა ბერძნების მომიჯნავე მხარეებზე, პონტოს მოსაზღვრე რეგიონებისა და კლარჯეთის დასაპრობად (I, 23)²⁴³, *მოქცევაჲ ქართლისაჲს არიან-ქართლი*, ფართოდ გავრცელებული აზრის თანახმად, უნდა მდებარეობდეს თანამედროვე საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით, თანამედროვე თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში.²⁴⁴ ამ ვარაუდს თითქოს მეტი საფუძველი ეძლევა ქართლის სამეფო კარის ღვთაებათა ანატოლიური ხასიათის გათვალისწინებით.²⁴⁵ აღსანიშნავია, რომ რაიმე სხვა ინფორმაცია, დასავლურ თუ სამხრეთ-დასავლურ ქართველური პოლიტიკური ორგანიზაციების მიერ ახ. წთ. მეექვსე საუკუნემდე ქართლის დაქვემდებარების თაობაზე, წერილობითი წყაროების მონაცემების მიხედვით არ მოიპოვება, გარდა ქართული მატრიანეების აზო/აზონის ამბის საკმაოდ ბუნდოვანი მინიშნებებისა.

გ. მელიქიშვილის განმარტებით, ქართული მატრიანეების ეს ცნობა ნათელს ხდის იმ აქტიურ როლს, რომელსაც ლეონტი მროველის თანახმად ფარნავაზის სამეფო (ქართლი) ასრულებდა საბერძნეთსა და ასურეთს (ანუ პონტოსა და სელევკიდების სამეფოებს) შორის არსებულ ურთიერთობებში; ამ გარემოებას იგი მიიჩნევს ძვ.წ. III ს. სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით ქართველთა ტერიტორიებს შორის განფენის მოწმობად.²⁴⁶ კლასიკური ხანის ავტორების ინფორმაციები, სელევკოს I-ის პროექტის, შავი და კასპიის ზღვების შემაერთებელი არხის გაყვანისა (Plin., *n. h.* VI, 12, 31) და პატროკლეს ძვ. წთ. 283/282 წწ. კასპიური ექსპედიციის შესახებ (Strabo II, I, 2-7; Plin., *n. h.* II, 67, 167-168; VI, 21, 58), კ. თუმანოვის აზრით, ასაბუთებენ ქართულ ტრადიციას, ადრეულ იბერიულ სახელმწიფოზე სელევკიდების სიუზერენობის თაობაზე.²⁴⁷ ს. რეპიც ხაზს უსვამს კავშირს ქართული სამწერლობო ტრადიციის მონაცემებსა და ალექსანდრე მაკედონელის

მახლობლად (Tseretheli 1935, 50-54; Toumanoff 1963, 90შენ.124). განსხვავებული ინტერპრეტაციის შესახებ, იხ. ქვემოთ.

²⁴³ "წარვიდა ფარნავაზ და მოტყუენა სზღუარი საბერძნეთისა ანდიანძორა, და კლდეცით შემოიქცა, მივიდა კლარჯეთს და დააპურა კლარჯეთი, და წარმოვიდა მეტეხიად სიხარულითა დიდითა".

²⁴⁴ ანალოგიური დასკვნა მიიღება ჯუანშერის *ცხოვრება და მოქალაქობა ვახტანგ გორგასლის* არაპირდაპირი ინფორმაციის საფუძველზე (I, 160) (ყაუხჩიშვილი 1955, 139-244). იხ., აგრეთვე, Kavtaradze 1996, 205შმდ.

²⁴⁵ Tseretheli 1935, 45-50; Меликишвили 1959, 112, 229შმდ.; Toumanoff 1963, 100შმდ., შენ. 151.

²⁴⁶ Меликишвили 1959, 47-50, 276-283, 291.

²⁴⁷ Toumanoff 1963, 81შენ. 104.



მემკვიდრეების, სელექციების, მისწრაფებას შორის, ხელში სტრატეგიული საეაჭრო გზა, რომელიც კავკასიაზე იყო გადაჭიმული და შავ ზღვასთან მთავრდებოდა.²⁴⁸

მეფეთა ცხოვრების მიხედვით, ალექსანდრე დიდთან ზღვებული პირისა და მისი თანამებრძოლის სახელია აზონი და მოქცევა ქართლისა-საგან განსხვავებით, იგი ალექსანდრეს მიერ დადგენილი იყო პატრიკად,²⁴⁹ და არა მეფედ: "დაიპყრა ალექსანდრე ყოველი ქართლი... და დაუტყვა მათ ზედა პატრიკად სახელით აზონ, ძე აარუდოსისი, ნათესავი მისი ქუეყანით მაკედონით, და მისცა ასი ათასი კაცი ქუეყანით პრომით, რომელსა ჰქვან ფროტათოს. ესე ფროტათოსელნი იყვნეს კაცნი ძლიერნი და მკნენი, და ეკართებოდეს ქუეყანასა პრომისასა. და მოიყვანნა ქართლად, მისცა აზონს პატრიკა. და დაუტყვა ქართლს ერისთავად აზონ, და მის თანა სპანი იგი, მყრობელად ქართლისა" (I, 18). ამ ტექსტის მეთორმეტე საუკუნის სომხური თარგმანის მიხედვით, "ალექსანდრემ ქვეყანაში (ქართლში) პატრიკად, რაც ნიშნავს 'უფროსის', დააყენა ვინმე მაკედონელი სახელად აზონ და ჩააბარა მას ასი ათასი ჯარისკაცი, რომლებიც წარმოადგენდნენ დამცველ რაზმს (protitosik), ძალზე მხნე და მამაც მებრძოლებს. ისინი მანამდე ძალზე ჩაგრავდნენ ბერძნებს მათსავე ქვეყანაში და ამიტომ ალექსანდრემ იქაურობას გაარიდა ეს მეომრები და აზონს ჩააბარა. აზონმა მათგან მეთაურები დანიშნა ქართველთა ქვეყნის მთელს გაყოლებაზე." (20)²⁵⁰

მეფეთა ცხოვრების ეს ინფორმაცია ეჭვს გარეშე აღებულია მოქცევა ქართლისა-დან, სადაც, პირველისაგან განსხვავებით, ალექსანდრეს თანამებრძოლის სახელი აზონა და არა აზონი და მას თან ახლავს არა რომაელი ჯარისკაცები, არამედ თანამემამულეები, რომლებიც მას წინარესაცხოვრისიდან, არიან-ქართლიდან მოპყვებიან და თან მოაქვთ მცხეთაში თავიანთი ძველი კერაები, გაცი და გა (320).²⁵¹

სომეხთა ისტორიის აუტორის, მოვსეს ხორენაცის სიტყვებით: სომეხთა მეფემ, ვალარშაკმა, "...კავკასიის მთის მოპირდაპირე მხარეს, ჩრდილოეთის განმგებლად დაადგინა დიდი და ძლევაძოსილი გვარი, რომლის უფალთ გუგარელთა პიტიაზშიბი დაურქვათ. ისინი იყვნენ შთამომავალნი დარეჰის ნახარარის მიპრდატისა, რომელიც წამოიყვანა ალექსანდრემ და

²⁴⁸ Rapp 1998, 24.

²⁴⁹ გ. ლორთქიფანიძე ტექსტის პატრიკს მიიხედავს "წინაპრის" მნიშვნელობის მქონე ბერძნული სიტყვიდან, πατριάρχ-იდან, ნაწარმოებად. იხ. Lordkipanidze 1998, 160. რ. ვ. თომსონის ინგლისურ თარგმანებში, როგორც ქართული ორიგინალის (I, 18), ისევე სომხური ადაპტაციისა (20), ეს სიტყვა ნათარგმნია, როგორც პატრიკი (patrician) (იხ. Thomson 1996, 25).

²⁵⁰ შტრ. Thomson 1996, 253მდ.

²⁵¹ მოქცევა ქართლისა-ს მერე ნაწილის - წმ. ნინოს ცხოვრების - მიხედვით, კერაები გაცი და გა წარმოადგენდნენ ქართველთა წინაპართა ღვთაებებს არიან-ქართლში (335).



მთავრად დაუსვა ნაბუქოდონოსორის მიერ ტყვედ მოყვანილ [ივერიელთა] მოღვაძეს. ამის შესახებ აბიღენოსი ამბობს: 'მღვებამოსილმა ნაბუქოდონოსორმა, რომელიც პერაკლეზე უფრო ღონიერი იყო, შეჰყარა ჯარი და მიადწია ლიბიელთა, აგრეთვე [ივერიელთა] ქვეყნებს, შემუსრა და დაიმორჩილა ისინი, მათი ერთი ნაწილი წამოასხა იქედან და პონტოს ზღვის მარჯვენა მხარეს დაასახლა.' [ივერია ქვეყნიერების დასავლეთ საზღვარზე მდებარეობს" (II, 8).²⁵² ინფორმაცია ბაბილონის მეფის, ნაბუქოდონოსორ II-ის მიერ, ძვ. წთ. VI ს. დასაწყისში, ლიბიიდან (აფრიკა) და იბერიიდან (იბერიის ნახევარკუნძული) მოსახლეობის გადმოსახლების შესახებ, ჯერ კიდევ კლასიკურ ხანაში მიეწერებოდა მეგასთენეს (ძვ. წწ. 304-297/293 წწ., ისტორიკოსს, სელევკოს I-ის მუდმივ წარმომადგენელს ინდოეთში)²⁵³ (Euseb., *Praep. Evang.*, IX, 41, 1; *Chron.*, I; შტრ. Josephus, *Con. Apion.*, I; Strabo XV, I, 6).²⁵⁴ ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ მინიშნება იბერიის (ქართლის) სამეფოს არსებობის ადრეულ ეტაპზე მის საკარაულო კავშირის შესახებ ჩრდილოაღმოსავლეთანატოლიურ, პონტოს მხარესთან თავისი ასახვა ჰპოვა აგრეთვე მოვსეს ხორენაცის *სომეხთა ისტორიაში*.

ამავე თხზულების სხვა ფრაგმენტში მოვსეს ხორენაცი გვამცნობს, რომ მეფე არტაშესმა, არშაკის ძემ და ვალარშაკის შეილიშვილმა თავისი და არტამაშა "მთათხოვა ვინმე მაპრდატს, ქართველთა დიდ პიტაჩხშს; იგი ნაშიერი იყო დარეპის ნახარარის მაპრდატისა, რომელიც, როგორც ზემოთ ითქვა, აღექსანდრემ [ივერიელთა] ქვეყნიდან [მოყვანილი] ტყვეების ხელისუფლად დაადგინა. [სომეხთა მეფემ] მაპრდატს მიანდო ჩრდილოეთის მთებისა და პონტოს ზღვის განშეკბლომა" (II, 11).²⁵⁵ საკვებით ცხადია, რომ არტაშესი (ბერძნული წყაროების არტაქსიასი) არტაშეს I-ია (ძვ. წთ. 189-161 წწ.), ხოლო მაპრდატი - მითრიდატე VI, ევპატორი (ძვ. წთ. 111-63 წწ.), სომეხთა დიდი მეფის ტიგრან II-ის (ძვ. წთ. 95-55 წწ.) სიმამრი. გ. მელიქიშვილი ამ მაპრდატს პონტოს სამეფოს მითრიდატიდთა დინასტიის წარმომადგენლად მიიჩნევს, რომელიც ამასთანავე შესაძლებელი ჩანს ქართული წყაროების აზო/აზონთან იყოს იდენტიფიცირებული.²⁵⁶ გასათვალისწინებელია, რომ მითრიდატე VI, ევპატორი, ხელს უწყობდა

²⁵² აბდალაძე 1984, 106შმდ.

²⁵³ შტრ., Olshausen 1979, 292.

²⁵⁴ შენიშნული იყო, რომ მოვსეს ხორენაცი, ევსების ზემომოყვანილი ცნობის ციტირებისას (*Chronicle. Aucher*, I: 58-9), სომხურ თარგმანს იყენებდა; ეს დასტურდება მის მიერ მეგასთენეს სახელის ზედსართავად მცდარი გადათარგმნით ("მძღაერი"), რომელიც თითქოსდა ნაბუქოდონოსორის შემამკობელ ეპითეტს წარმოადგენდა (იხ., მაგ., Thomson 1980, 141შენ.14).

²⁵⁵ აბდალაძე 1984, 111.

²⁵⁶ Меликишвили 1959, 39 და შენ.95.

ხოლომე ალექსანდრე დიდთან მისი პიროვნების შედარებას.²⁵⁷ ამავე მითრიდატე VI, პონტოს სხვა მითრიდატიდების დარად, იქმებდა დარიოსის, აქემენიდთა ირანის დიდი მეფის, ერთ-ერთი სატრაპის ჩამომავლობას.²⁵⁸

ქართული და სომხური მატრიანეების ზემოაღნიშნული მონაცემების შუქზე, ქართულ ისტორიოგრაფიაში მკვიდრად აქვს ფესვები გადგმული აზრს, რომ იბერიის (ქართლის) სამეფოს წარმოქმნა დაკავშირებული უნდა იყოს მცირე აზიის ელინისტური ხანის სახელმწიფოების ან სამხრეთქართული სატომო კავშირების ექსპანსიასთან.²⁵⁹

მიუხედავად იმისა, რომ *სომეხთა ისტორია*, ქართული მატრიანეების მსგავსად, იბერიის სამეფოს წარმოქმნას ალექსანდრე დიდის სახელს მიაწერს, სავსებით ცხადია, რომ ალექსანდრეს არასოდეს გაულაშქრებია კავკასიისაკენ. ქართული და სომხური მატრიანეების ეს ცნობები ეტყობა ნასესხებია ფსევდო-კალისტენეს პოპულარული თხზულებიდან, *ალექსანდრეს რომანიდან (Historia Alexandri Magni)*, რომელიც ადრეულ შუასაუკუნეებს (სავარაუდოდ ახ. წო. IV ს.) განეკუთვნება და დაკავშირებული ჩანს ფართოდ გავრცელებულ შეხედულებასთან, რომელიც კავკასიონის, იგივე კასპიური, კარიბჭის (იხ. ქვემოთ)²⁶⁰ გამაგრებას ალექსანდრეს მიაწერს.²⁶¹ კავკასიონის მთავარი ქედის ცენტრალური უღელტეხილი ხშირად მოიხსენება კლასიკური ხანის მწერლობაში, როგორც *ალექსანდრეს სვეტები* თუ *ალექსანდრეს ბურჯი* (Cl. Ptol., V, III, 16; Euseb. Hier., *Epist.*, 77, 8).

ამავე დროს, რაღაც მოვლენას ეტყობა მართლა უნდა ჰქონოდა ადგილი ძვ. წო. გვიან IV-ადრე III სს. იბერიაში. ჯერჯერობით შეუძლებელია იმის გარკვევა თუ ვის ან რას უნდა გამოეწვია იგი, თუმცა პლინიუსი და იულიუს სოლინუსი იუწყებიან მაკედონელთა გაბატონებას იბერიაში.²⁶² მოიპოვება აგრეთვე სრულიად სხვა სახის მონაცემებიც, არქეოლოგიური გათხრების შედეგად, კლასიკური ხანის შიდა ქართლში განლაგებულ

²⁵⁷ McGing 1986, 44.

²⁵⁸ რ. ვ. თომსონის მითითებით, მოვსეს ხორენაცს აურია, იბერიელი მეფისწულების წარმომავლობა იბერიის მეფე მიპრდატიხაგან, ძრეაღლიცხოვან პონტიულ მითრიდატებთან (Thomson 1980, 147შმდ., შენ. 7).

²⁵⁹ Меликишвили 1959, 47-50, 233, 283.

²⁶⁰ იგი ცნობილია აგრეთვე, როგორც დარალი, ოვსთა, სარმატიის, იბერთა და არაგვის კარიბჭე.

²⁶¹ შდრ., Anderson 1932, 15-19.

²⁶² პლინიუსის სიტყვებით: "Haec est Macedonia terrarum imperio potita quondam, haec Asiam, Armeniam, Hiberiam, Albaniam, Cappadociam, Syriam, Aegyptum, Taurum, Caucasum transgressa..." (n. h. IV, 39), იხ. Mommsen 1958, 66. სოლინუსი ასევე იმეორებს, რომ ალექსანდრემ დაიქვემდებარა: "Asiam, Armeniam, Hiberiam, Albaniam, Cappadociam Syrias Aegyptum Taurum Caucasumque transgressus est" (9, 19), იხ. Winkler 1988, 140შმდ.



ძეგლებზე - სამადლო I, ხოვლე გორა III (ძვ. წთ. IV ს. ფენა), უფლისციხე, ურბნისი - აღმოჩნდა კატაპულტისათვის გამოსაყენებელი ქვის ბირთვები. ვინაიდან, მხოლოდ მაკედონური არმია იყო აღჭურვილი ანალოგიური მექანიზმებით, გ. ლორთქიფანიძის აზრით, ალექსანდრე მაკედონელის ან მისი უახლოესი მეშვედრეების ლაშქრობას უნდა პქონოდა ადგილი აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრალურ ნაწილში.²⁶⁴

მაგრამ სტრაბონის (დაახლ. ძვ. წთ. 63 - ახ. წთ. 19 წწ.) იმ ცნობის შეპირისპირებით, რომ ალექსანდრე დიდმა მენონი გაგზავნა ფარისკაცებითურთ სისპირიტიისში, კაბაღის მახლობლად, სადაც ოქროს საბადოებია (XI, XIV, 9), მისავე მეორე ცნობასთან, რომლის თანახმადაც, აღმოსავლეთის იბერები ცნობილი არიან იმავე სახელით, რომლითაც დასავლეთის იბერები, ორივე ამ მხარეში ოქროს მადაროების არსებობის გამო (XI, II, 19), ცხადი ხდება, რომ საქმე უნდა ეხებოდეს არა იბერთა ცენტრალურადმიერკავკასიულ ნაწილს, არამედ მათივე ქვეყნის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს, სპერს (თანამედროვე თურქული ისპირი). საყურადღებოა, რომ სპერსის უშუალოდ აღმოსავლეთით, თორთომის მახლობლად მდებარე მეთე საუკუნის ხახულის ტაძრის გარე კედელზე, მეთოთხმეტე საუკუნით დათარიღებული, ცად ამაღლებული წარმართი მეფის (ალექსანდრე მაკედონელის) გამოსახულებაა ამოკვეთილი. ალექსანდრესადმი თაყვანისცემა იმდენად ძლიერი იყო საქართველოში, რომ ყველაზე უფრო სახელგანთქმულ ქართველ მეფეს, დავით IV, აღმაშენებელს, ქართული მატანიეები *მეორე* ანდა *ახალ ალექსანდრეს* უწოდებენ.

ადგილობრივ მმართველთა სურვილი, დაეკავშირებინათ საკუთარი მიზნები ალექსანდრე დიდის ინტერესებთან და გამოეყენებინათ მისი ძალაუფლება მათი რეალიზაციისათვის ასახულია, ახ. წთ. მეორე საუკუნის რომელი მწერლისა და პოლიტიკოსის, ფლავიუს არიანეს, თხზულებაში, *ალექსანდრეს ლაშქრობა*. მისი ინფორმაციით, ძვ. წთ. 329-328 წწ. შუააზიელი "ხორაზმიელების" მეფე ფარასმანესი ეახლა ალექსანდრეს შუა აზიაშივე მდებარე მდინარე ოქსის (თანამედროვე აშუ დარია) სანაპიროსთან და მზად იყო მას დახმარებოდა თუ კი ალექსანდრე გადაწყვეტდა იმ ტომების დამორჩილებას, რომლებიც სახლობდნენ პონტოს ევქსინოსამდე (ანუ შავ ზღვამდე) გადაჭიმულ მხარეში (XV, IV, 14, 15).

როგორც მე სხვა ადგილას შევეცადე მეჩვენებინა, ეს ინფორმაცია დაკავშირებული უნდა იყოს ქართული და სომხური მატანიეების იმ ცნობებთან,

²⁶³ კატაპულტის ბირთვებს, რომლებიც სამადლოს გვიან მეოთხე-ადრე შესამე საუკუნეების ფენებში აღმოჩნდა, აქეთ 21 სმ დიამეტრი და იწონიან 9,5 კგ (Гагошидзе 1979, 40, 48, 96; Лордкипანიძე 1998, 159შმდ.).

²⁶⁴ Там 1984, 113, 119; Лордкипანიძე 1998, 159შმდ.

რომლებიც იბერიის მმართველის ალექსანდრე დიდზე დამოკიდებულებას ეხებიან.²⁶⁵ თუ ერთის მხრივ, არიანეს მიერ მოხსენიებული *ხორაზმიელთა* მეფე ფარასმანესი, ალექსანდრეს დახმარებას ელოდებოდა თავისი მეზობლების - კოლხებისა და ამპონელების - წინააღმდეგ, მეორეს მხრივ, ქართული და სომხური მატანეების ცნობით, ალექსანდრე დიდმა ქართლში მოსვლის შემდეგ თავისი თანამებრძოლი დაადგინა ამ ქვეყნის მმართველად. ვინაიდან, *მეფეთა ცხოვრების ტექსტის* ფარნავაზმა აზონის (*მოქცევაი ქართლისაჲს აზო*) დამარცხების შემდეგ გაილაშქრა სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით, აღმოსავლეთ ანატოლიის სიღრმეში, ხოლო *სომეხთა ისტორიის* მიპრდატ/მითრიდატეში, როგორც ჩანს, პონტოს სამეფოს მითრიდატიდების დინასტიის წარმომადგენელია ნაგულისხმევი, მე ვფიქრობდი, რომ სწორედ ამ რეგიონში - ანატოლიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში - უნდა ყოფილიყო საქებარი, არა მხოლოდ ქართული მატანეების *არიან-ქართლი*, არამედ აგრეთვე ფარასმანესის - კოლხთა და ამპონელთა მოწინააღმდეგეს - ქვეყანა, რომლის სახელწოდებაც სავარაუდოდ აღრეული იყო შუაზიური ქვეყნის - ხორეზმის - სახელწოდებასთან.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, ყურადღება მივაქციე სტრაბონის ცნობას, რომ სომეხებმა თავისი ქვეყანა განადიდეს იბერიელთაგან გოგარენეს გარდა პარიადრის მთიანეთისა და ხორძენეს ჩამოჭრით (XI, XIV, 5).²⁶⁶ შესაბამისად, მე შესაძლებლად მივიჩნე, მეფექრა, რომ ფლავიუს არიანეს *ალექსანდრეს ლაშქრობის* ტექსტში *ხორაზმიელთა* მეფის, ფარასმანესის, სახელის ქვეშ იბერიელთა მხარის, ხორძენეს, მმართველი უნდა ყოფილიყო ნავარაუდევ; ასეთ შემთხვევაში, არიანეს ინფორმაცია და *მოქცევაი ქართლისაჲს* ცნობა *არიან-ქართლის* მეფის ძის აზოს შესახებ, რომელიც ალექსანდრე დიდის დახმარებით გამეფდა მცხეთაში, ერთიადამევე მოვლენის გამოძახილი უნდა ყოფილიყო.

ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ ძვ. წთ. გვიან IV - ადრე III სს. მოვლენები გარკვეულად უკავშირდებოდა იმ პროცესებს, რომლებმაც გამოიწვიეს იბერიის სამეფოს წარმოქმნა. ეს ცხადი ხდება საქართველოს აღრეული ისტორიის მთელი კონტექსტიდან; ქართული და სომხური

²⁶⁵ Kavtaradze 1996, 209-213.

²⁶⁶ როგორც ჩანს, სომხური მიწების გაფართოება მდინარე მტკვრამდე მოხდა იბერიული პროვინციის, ხორძენეს, მისაკუთრების შედეგად (შდრ., Strabo, XI, XIV, 5; I, III, 21; Plut., Pomp., XXXIV). ღირსშესანიშნავია, რომ *მეფეთა ცხოვრების* ცნობით, თუმცა კი უფრო გვიანდელი ხანების მოვლენების აღწერასთან დაკავშირებით, სომეხებმა ქართველებს მიწები წართვეს არტაანის (არდახანის) მხარეში მიმდინარე მტკვრამდე (I, 44-50). ამავე დროს, მოიპოვება შესაძლებლობა ტერმინ *ხორძენეს* გაერციობისა უფრო ვრცელ ტერიტორიაზე. არსიანის ქედი (თანამედროვე იაზღინჯამ დაღლარი) მოხსენიებულია *ხორძიანის მთის* სახელწოდებით ვიორგი მერჩულის მეათე საუკუნის პავიოგრაფიულ ნაწარმოებში, ცხოვრება წმ. გრიგოლ ხანთოელისა (იხ. Kavtaradze 1996).



მატიანეების მონაცემები ამ გარემოების ანარეკლია. კ. თუმანოვის განმარტებით, შეუძლებელია შეუძნეველი დაგვრჩეს მოქცევა ქართლის ცნობათა არსებითი ავთენტურობა და შესაბამისად მისი წყაროების სარწმუნოობა და სიმკვლე; განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ, ალექსანდრე დიდის მიერ აქემენიდთა იმპერიის დაპყრობასა და Pax Achaemania-ს Pax Macedonica-თი შეცვლის ფაქტიურ კავშირს ქართველების შემდგომ დამოუკიდებლობასა და მათი მონარქიის დაფუძნებასთან, რამაც სათავე დაუდო მათ ისტორიულ მახსოვრობასა და ერის უწყვეტ ორგანულ სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებას.²⁶⁷

მოქცევა ქართლისაჲს აზოს პიროვნების მორგების საჭიროებამ მეფეთა ცხოვრების კონცეპციასთან - ქართველთა ავტოქტონობისა და მათი პირველი, ადგილობრივი, მეფის ფარნავაზის შესახებ - აიძულა ამ უკანასკნელის ავტორი (თუ რედაქტორი) შეეცვალა აზო, "მაკედონელი" აზონით, ხოლო აზოს თანამემამულეები არიან-ქართლიდან, აზონის თანხლები "რომაელი ჯარისკაცებით" - ფროტათოსელებით (შდრ. I, 18). გ. მელიქიშვილის აზრით, ციკლები აზოსა (=მიპრდატს, მოვსეს ხორენაცის სომეხთა ისტორიიდან) და ფარნავაზის შესახებ, შესაძლოა ადრე ერთმანეთის დამოუკიდებლად არსებობდნენ ანდა იქნებ სულაც, იბერიის სამეფოს წარმოქმნის შესახებ არსებული, ერთიადიმავე ამბის ვარიანტებს წარმოადგენდნენ, რომლებიც მეფეთა ცხოვრების ავტორმა გვიანდელ ლიტერატურულ ვერსიაში გააერთიანა.²⁶⁸ მაგრამ თუ ამბავი, აზონის მიერ წამოყვანილი ასი ათასი (? - გ.ქ.) რომაელი ჯარისკაცის შესახებ, რომელთა ნაწილიც შემდგომში ადგილობრივ მოსახლეობაში იყო ასიმილირებული (I, 25), მთლიანად გამოვლილი იყო მემატიანის მიერ და დამატებული მოქცევა ქართლისაჲს სიუჟეტზე ქართველთა პირველი მეფის, აზოს შესახებ, როგორც ეს უკვე ადრე იყო ნაგარაუდები,²⁶⁹ რა მიზეზის გამო იყვნენ ისინი წოდებულნი ქართლის ცხოვრებაში "ფროტათოსელებად"? (I, 18), რაც შესაძლოა ფროტათოს ზღვს ნიშნავდეს. დანამდვილებით ხომ არავინ იცის ეს ტერმინი, "ფროტათოსელნი", რას ნიშნავს, ან სად იყო "ფროტათოს ზღვის" სამშობლო? (იხ., აგრეთვე, ქვემოთ).

o. გაგოშიძის შეხედულებით, ტერმინი "ფროტათოსელნი" შესაძლოა მომდინარეობდეს ბერძნული πρότατος-იდან, რაც ნიშნავდა დაწინაურებულს,

²⁶⁷ Toumanoff 1943, 142, 150შმდ., 443; შდრ., Gugushvili 1936, 109შმდ.

²⁶⁸ შდრ. Меликишвили 1959, 280შმდ.

²⁶⁹ Меликишвили 1959, 39. თუ ქართული ორიგინალის მიხედვით, მათ ძალად მდგომარეობას ფარნავაზის წყალობით მიაღწიეს (I, 25), სომხური თარგმანის ტექსტი, მათ დაწინაურებას, უფრო ლოგიკურად აზოს პერიოდს მიაწერს, ალბათ ქართლის ცხოვრებისეული იმ განმარტების გაზიარებით, რომ ტერმინი "აზნაური", აზოს მიმდევარს ნიშნავდა: აზონმა მათგან დანიშნა მეთაურები ქართველთა ქვეყნის მთელ გაყოლებაზე (20).

წინა ხაზზე მდგომს, მაგრამ ქართლის ცხოვრების ავტორმა იგი მნიშვნელოვანი გაგების გარეშე გამოიყენა.²⁷⁰ უკანასკნელ ხანებში, ნავარაუდები იყო ისიც, რომ ტერმინი "ფროტათოსელნი" შესაძლოა მომდინარეობდეს მოწინავე რაზმის აღმნიშვნელი ბერძნული სიტყვიდან: *πρό-τασις πρό-τασσω*, რომელიც გამოყენებული იყო ალექსანდრე დიდის დროინდელი სამხედრო კორპუსის აღმნიშვნელად.²⁷¹

ვფიქრობთ, ტერმინ "ფროტათოსელნის" ახსნა ბერძნული სიტყვის *πρότασις πρότασσω*-ის მეშვეობით, უფრო სარწმუნო გახდებოდა, თუ მხედველობაში მივიღებთ ამავე ბერძნული სიტყვის ატიკურ ფორმას: *πρόταστω*, უფრო ახლო მდგომს ქართულ ტერმინთან - "ფროტათოს". როგორც ცნობილია, ატიკური დიალექტი გამოყენებული იყო მაკედონელთა მიერ, ჯერ კიდევ ალექსანდრეს მამის ფილიპე II-ის ხანაში და ფართოდ გავრცელდა მთელს ელინისტურ სამყაროში ალექსანდრეს არმიის ექსპანსიასთან ერთად. ვინაიდან, ეს სიტყვა, ატიკურ დიალექტზე ნიშნავს "ადგილს ან სადარაჯოს წინა ხაზზე", "დგომას ეინმეს წინ მისი დაცვის მიზნით, წინ აფარებას",²⁷² იგი თვით იბერიის სამეფოსა და საზოგადოდ მთელი ამიერკავკასიური არეალის ისტორიულ დანიშნულებას გამოხატავს. *კავკასიის ჭიშკრისა* ანუ *ალექსანდრეს სვეტების* უშუალოდ სამხრეთით მდებარეობა და, ამასთანავე, ერთიანი ელინისტური სამყაროსადმი კუთვნილება, განაპირობებდა იბერიის სამეფოს მიერ, მის გადაღმა მდებარე ხმელთაშუაზღვისპირეთულ-წინააზიურ *οίκουμένην*-ს, საზიარო ინტერესების მქონე ცივილიზებული სამყაროს, ჩრდილოეთის მხრიდან მოსალოდნელი საფრთხის, მომთაბარე ტომების შემოსევებისაგან დამცველის ფუნქციის აღებას.

მიუხედავად იმისა, რომ ქართლის ცხოვრებისეულ ტერმინს "ფროტათოსელები", ამჟამად მიაკუთვნებენ მაკედონელთა არმიის ნავარაუდევ ექსპანსიას (იხ. ზემოთ), კარგად არის ცნობილი, რომ თავად ალექსანდრეს არასოდეს უღაშქრია კავკასიისაკენ. ამიტომ, საფიქრებელია, რომ ალექსანდრე დიდის სახელის კავშირი ქართულ სახელმწიფოებრიობასთან უნდა მიუნიშნებდეს მხოლოდ და მხოლოდ ამ სახელმწიფოს *raison d'être*-ზე (არსებობის არსზე), კერძოდ, მის დანიშნულებაზე, ყოფილიყო ცივილიზებული სამყაროს ფორპოსტი, ამ უკანასკნელის ბრძოლაში *გოგისა* და *მავოვის* საუფლოსთან, რომელსაც კავკასიონის მთავარი ქედის გადაღმა, *ჰიპერბორეელთა უდაბნოში* ედო ბინა.²⁷³

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ყურადღება უნდა შევანეროთ *მეფეთა ცხოვრების* განცხადებაზე (I, 17), რომ ალექსანდრე დიდმა ქართლში

²⁷⁰ Гагошидзе 1979, 97; შდრ., T'iroyan 1884, 12, იხ. Bedrosian 1991.

²⁷¹ Лордкипანიцидзе 1998, 160.

²⁷² Liddel & Scott 1950, 1534.

²⁷³ შდრ., Cary 1967.



შემოსვლისას: "...*მოსრნა ყოველნი იგი ნათესავნი აღრეულნი ქართლის მეოფნი, და უცხონი იგი ნათესავნი მოსრნა და დაატყუენა... და დაატყუენა ნათესავნი ქართლოსიანი*". მანვე უბოძა ქართველებს მმართველი და მისცა იდეოლოგიური საფუძველი - ყველა სახელმწიფოსათვის აუცილებელი კომპონენტი, - შხის, მთვარისა და ხუთი ვარსკვლავის თავყანისცემა და სამყაროს შემოქმედი უხილავი ღმერთის სამსახური (I, 18).²⁷⁴ საინტერესოა, რომ საქართველოს ყოფილ სახელმწიფო გერბზე გვხვება დიდი მეფის ლეგენდარული ხატების მიერ ბოძებული შხის, მთვარისა და ხუთი ვარსკვლავის გამოსახულება, ხოლო თეთრი გიორგის ცხენის ფლოქვებთან, წმ. გიორგის ხატის ურჩხულის ნაცვლად, ძვეს კავკასიონის მთები - ქვეყნის წინაშე მდგარი ბუნებრივი გამოწვევის სიმბოლო (არნოლდ თოინბისეული - *Challenge-ი*), სიმბოლო მისი ბედის კავშირისა დედამიწის გეოგრაფიული, ეთნო-კულტურული და პოლიტიკური დაყოფის ერთ-ერთ უმთავრეს ნიშანსვეტთან.

კავკასიონის უღელტეხილების მნიშვნელობა ძველი წერილობითი წყაროების მონაცემებით. ქართულ მატიაზეში ხატონად არის აღწერილი ალექსანდრე დიდის ქართლში შემოჭრის ამბავი; მას აქ უნახავს საზარელი ბარბაროსები, მდ. მტკვრისა და მისი ჩრდილოეთი შენაკადების (კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთი კალთებიდან ჩამავალი) გაყოლებით მოსახლე, ხალხი, რომელთაც ქართველები "ბუნ-თურქებსა" და "ვიჩალებს" უწოდებდა. ალექსანდრე გაცხადებული დარჩენილა, ვინაიდან არცერთი სხვა ხალხი არ იქცეოდა მათსავით უგვანად. მემატიაზეების განცხადებით, მათ არ ყოფნით სიტყვები მათი ქმედებების აღსაწერად. თუმცა მათ ჰქონიათ კარგად გამაგრებული ქალაქები და ყოფილან უშიშარი მეომრები.

ბუნ-თურქებსში, რომელთა სახელი ჩვეულებრივ ახსნილია ხოლმე, როგორც, "თავდაპირველი, ფუნდამენტური თურქები", ანდა, როგორც "პუნ-თურქები" და რომელთაც ვითომდა ალექსანდრე შეეჩნება კავკასიაში ლაშქრობისას, უნდა იგულისხმებოდნენ კავკასიის გადმოლახვის შედეგად იმიერკავკასიიდან შემოჭრილი ჩრდილოური წარმომავლობის ტომები. ეს გარემოება რამდენადმე დასტურდება *მეფეთა ცხოვრების ცნობითაც*, კერძოდ, რომ ალექსანდრეს ჯარის მიერ სარკინეს ციხე-სიმაგრეში გარშემორტყმულნი, ისინი კლდეში არსებული ხვრელით დაუსხლტნენ მას და თავშესაფარი კავკასიონის მთებში ჰპოვეს (I, 18).²⁷⁵ არსენი ბერის განმარტებით, ის რეგიონი

²⁷⁴ "და უბოძანა ალექსანდრე აზონს, რათა მათიესცემდნენ მზესა და მთივარესა და ვარსკვლავეთა ხუთთა, და კმსახურებდნენ ღმერთსა უხილავსა, და მამადებელსა ყოვლისასა".

²⁷⁵ "ხოლო სარკინელთა შესჭარდა, რამეთუ პრბძოდა თერთმეტ თუე. იწევს ფარულად კლდესა კაფა, და განჭურითეს კლდე იგი, რომელი ღობილ იყო და ადვილად საჭურვტელი. და

სადაც ბუნ-თურქები ქართლის მიტოვების შემდეგ გადასახლდნენ, მდებარეობდა ოსეთის (ოსთა ანუ ალანთა ქვეყანა)²⁷⁶ იქით და წარმოადგენდა წყლით მდიდარ ვრცელ მხარეს, სადაც უფრო გვიან ეივჩაღთა ძლიერი მოდგმა ბინადრობდა. უეჭველია, რომ არსენ იყალთოელს სამხრეთ რუსეთის სტეპები ჰქონდა მხედველობაში.

ვინაიდან, მხოლოდ მეფეთა ცხოვრების იმ ნაწილში, სადაც საუბარია კავკასიაში ალექსანდრეს ლაშქრობაზე, არიან ბუნ-თურქები მოხსენიებული, ხოლო ამავე ტექსტში უფრო ადრეულ და გვიანდელ ჩრდილოელ მომთაბარეებზე საუბრისას ძირითადად ბაზართა სახელი იჩენს თავს (I, 11-13, 27, 63, 65-66), ეს გარემოება დამატებით საბუთს უნდა წარმოადგენდეს მეფეთა ცხოვრების სწორედ ამ ნაწილის მოქცევა ქართლისათვის ტექსტიდან თუ არა, რომელიმე ჩვენთვის ჯერაც უცნობი მესამე წყაროდან ორივე ამ მატანიეში სესხების საგარაუდებლად.

მეფეთა ცხოვრებაში ალექსანდრეს წინადროინდელი მოვლენების აღწერისას ხაზარების მოხსენიება, ცხადია მოწმობს, რომ ეს ეთნონიმი აქ პირობითი მნიშვნელობით არის ნახმარი, იმიერკავკასიაში მოსახლე მომთაბარე ტომების აღსანიშნავად. მაგალითად, მეფეთა ცხოვრების ცნობით, ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის აღებად, ხაზარებს თურმე ჩრდილოეთ კავკასიაზე ულაშქრიათ: "მას ჟამსა შინა განძლიერდეს ბაზარნი და დაუწყეს ბრძოლად ნათესავთა ლეკისათა და კავკასიოსთა... და ითხოვეს შუელა ბაზართა ზედა. ხოლო შეკრბეს ყოველნი ნათესავნი თარგამოსიანნი, და გარდავლეს მთა კავკასია. და მოტყუენეს ყოველნი საზღვარნი ბაზარეთისანი, და აღაშენეს ქალაქნი პირსა ბაზარეთისასა, და წარმოვიდეს. ამისსა შემდგომად ბაზართა იჩინეს მეფე, და დაემორჩილნეს ყოველნი ბაზარნი მეფესა მას ჩინებულსა მათსა. და წარმოიძღუანეს იგი და გამოვლეს ზღვის-კარები, რომელსა აწ ჰქვან დარუბანდი. ვერ წინააღუდგეს თარგამოსიანნი, რამეთუ იყო სიმრავლე ურიცხვ ბაზართა, წარტყუენეს ქუეყანა თარგამოსიანთა, და შემუსრნეს ყოველნი ქალაქნი არარატისანი და მასისისანი და ჩრდილოისანი..." (I, 11-12).

იმიერკავკასიაში, ხაზარეთის შესასვლელთან სიმაგრეთა აგების შესახებ არსებული ცნობები, ეტყობა იმიერკავკასიის მოსახლეობის პერმანენტული სურვილის გამოხატულებას, თავის ხელში მოექცია კავკასიონის უღელტეხილები გადაღმა (ჩრდილოეთის) მხრიდანაც. ქართული მატანიეების ინფორმაციით, ქართველი მეფეები ჩრდილოთ კავკასიაში ლაშქრობისას დარიღის (სპარსული დარ-ი-აჟანი, ალანთა კარი) ხეობას

განკრბეს ჭურღლსა მას სარკინელნი ღამე, და შეივლტოდეს კავკასიად, და დაუტყვეს ცალიერად ქალაქი".

²⁷⁶ მეფეთა ცხოვრების განსაზღვრებით, ოსთა ქვეყანა წარმოადგენდა მდ. ლომეკის (თანამედროვე თურგი) დასავლეთით მდებარე კავკასიის ნაწილს (I, 12).



იყენებდნენ. ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა იუწყება, რომ: "წარვიდა ვახტანგ და დადგა თიანეთს. და მუნ მიერთნეს ყოველნი მეფენი კავკასიისა ორმოცდაათი ათასი მკვდარი. და წარემართა სახელსა ზედა ღმრთისასა, განვლო კარები დარიალანისა. შესლვასა მისსა ოვსეთად იყო ვახტანგ წლისა თექუსმეტისა. მაშინ მეფეთა ოვსეთისათა შეკრიბნეს საბანი მათნი და მოირთეს ძლი ბაზრეთით, და მოვეგებნეს მდინარესა ზედა, რომელი განვლის დარიალანსა და ჩავლის ველსა ოვსეთისასა" (I, 151). დავით აღმაშენებლის ხანასთან დაკავშირებით, ცხოვრება მეფეთა მეფისა დავითისი გვამცნობს, დავით მეფის მიერ კავკასიონზე გამავალი ყველა უღელტეხილის მისი კონტროლისადმი დაქვემდებარების თაობაზე; ეს განსაკუთრებით საშური ხდებოდა დავითის ლაშქრისათვის ჩრდილოეთიდან შემომართა გადმოყვანის უზრუნველსაყოფად. მატიანის ტექსტის მიხედვით, ისინი (მეფე დავითი და გიორგი ჭყონდიდელი): "შევიდეს ოვსეთს და მოვეგებნეს მეფენი ოვსეთისანი და ყოველნი მთავარი მათნი, და ვითარცა მონანი დადგეს წინაშე მისსა. და აღიხუნეს მძევლნი ორთავანვე, ოვსთა და ყივჩაყთა, და ესრეთ ადვილად შეაერთნა ორნივე ნათესავნი. და ვო შორის მათსა სიფუარული და მშველბა ვითარცა ძმათა. და აღიხუნა ციხენი დარიალასა და ვოველთა კართა ოვსეთისათა და კავკასიისა მთისათანი. და შექმნა გზა მშველბისა ყივჩაღათოვს, და გამოიყვანა სიმრავლე ფრად დიდი" (I, 336).

მეფეთა ცხოვრების ტექსტი, შემოსეულ ხაზართა მიმართ წინააღმდეგობის გაწევას სპარსელთა სარდალს, არღამს, მიაწერს: "მოვიდა ქართლად და შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და ციხენი ქართლისანი. და მოსრა ვოველი რაოდენი ხაზარი პოვა ქართლსა შინა" (I, 13). ეს მოვლენა ეხება ალექსანდრე დიდის ბუნ-თურქებთან ბრძოლის ხანაზე ადრეულ ეპოქას და, როგორც უკვე ითქვა, მიჩნეული უნდა იყოს შედარებით უფრო გვიანდელ დანამატად.

მეფეთა ცხოვრება, ჩრდილოეთიდან ამიერკავკასიაში შემოსატრეულ ორ გზაზე ამახვილებს ყურადღებას და, ამასთანავე, მიგვანიშნებს ამ ტექსტის შექმნის მოახლოებულ ხანაზე, ჩრდილოელი მოლაშქრეების ხაზარებად მოხსენიებით: "და ისწავეს ხაზართა ორნივე ესე გზანი, რომელ არს ზღვს-კარები დარუბანდი და არაგვს-კარები, რომელ არს დარიალა" (I, 14).²⁷⁷

სომეხთა ისტორიის ავტორი მოვსეს ხორენაციც, მოიხსენიებს ჩრდილოელ ტომებს მისი ეპოქის რეალობიდან გამომდინარე ხაზარებად და მასილიკებად, რომელთაც დარუბანდის კარის (ჭორას კარი, დერბენდი) გავლით გადმოსულებმა დალაშქრეს მტკვრის მარჯვენა სანაპირო: "...ჯალარშის დროს შეიკრიბნენ ჩრდილოელთა ბრძოები, ვგულისხმობ ხაზარებსა და მასილებს და გადმოლახეს ჭორას კარები. მათი წინამძღვარი და

²⁷⁷ კავკასიონის სამხრეთით ხაზართა თავდასხმებს ადგილი ჰქონდა გვიან მეშვიდე - ადრე მრვეუ საუკუნეებში.

მეფე იყო ვინმე ვნასე სურასი; მათ გადმოლაზეს მდინარე მტკვარში თაედაპრველად ვალარშმა, სომეხთა მეფემ, გაიმარჯვა, "მერმე დიდხანს სდია მტერს და განვლო ჭორას ხეობა. იქ მტრებმა კვლავ ერთად მოიყარეს თავი" და ვალარშიც მომდევნო ბრძოლაში იქნა მოკლული. მისმა შვილმა, ხოსროვმა, "შეჰყარა სომეხთა ჯარი და გადააირა დიდი მთა, რათა შური ეძია მამის მკვლელებზე. [ხოსროვმა] მახვილითა და შუბით შეუტუსრა იქაური ძლიერი ტომები და ყოველი ასი გამოსადევო [აღამიანიდან] ერთი მძევლად წამოიყვანა. თავისი ხელისუფლების [დამყარების] ნიშნად მან [იმ მხარეში] სვეტი აღმართა ბერძნული წარწერით. ამით ისიც აჩვენა, რომ იგი რომაელებს ემორჩილებოდა." (II, 65).²⁷⁸

ეს ინფორმაცია დაკავშირებული ჩანს, აკათანგელოსის, სავარაუდოდ გვიანი მეხუთე საუკუნის ავტორის, სომეხთა ისტორიის მონაცემებთან (§ 19), ჩრდილოური წარმომავლობის მოსახლეობის ამიერკავკასიაში შემოსვლის შესახებ, ორთავე, დარიალისა და დერბენდის კარის (ჭორას ციხე-სიმაგრე) გამოყენებით, თუმცადა, ამჯერად, სომეხთა მეფის მიპატივების შედეგად: "სომეხთა მეფემ ხოსრომ დაიწყო ძალების მოგროვება და ჯარის შეკრება. მან მოიხმო ალბანელთა და ქართველთა ჯარები, გააღო აღანთა და ჭორთა კარიბჭეები და გადმოიყვანა კუნთა ძალები, რათა შეეღთა სპარსელთა სამფლობელოებისათვის და შეჭრილიყო ასორესტანში, ქტესიფონის კარამდე". ჩრდილოელთა ასეთი ძალის შეტევის შესაძლო მნიშვნელობა, ცხადი ხდება შემდეგი სიტყვებიდან: "მან [ხოსრომ] უღაბნოდა და ნანგრევებდა აქცია მთელი ქვეყანა, მჭიდროდ დასახლებული ქალაქები და აფევებული დაბები. გააჩანავა და გაძარცვა ყოველივე. იგი შეეცადა ამოეძირკვა, დაენვრია, გაენადგურებინა და დაენარცხებინა ერთხელ და სამუდამოდ სპარსთა სამეფო; მისი მიზანი იყო მოესპო სპარსელთა ყოველი ნამოქმედარი".²⁷⁹

ეს ამბავი აირეკლა ქართლის ცხოვრებაშიც: "ხოლო სომხითს მეფე იქმნა კოსარო. და ამან კოსარო მეფემან უწყო ბრძოლად ქასრე მეფესა სპარსთასა, და შეწეოდა მას ასფაგურ, მეფე ქართველთა, და ამან ასფაგურ განუხუნის კარნი კავკასიანთანი და გამოიყვანნის ოვსნი, ლეკნი და ზაზარნი, და მივიდის კოსარო მეფისა თანა სომეხთასა ბრძოლად სპარსთა. და პირველსავე შესვლასა სპარსეთად ეწყო ქასრე, მეფე სპარსთა და აოტეს იგი და მოსრეს სპა მისი. და მიერთვან ვერღარა წინააღუდგა ამით მეფე იგი სპარსთა, და განამრავლეს შესვლა სპარსეთად და ტყუენვა სპარსეთისა... ვითარ იოტეს სომეხთა და ქართველთა და ჩრდილოსა ნათესავთა მეფე სპარსთა, და განამრავლეს შესვლა სპარსეთს და ოჭრება სპარსეთის; და ვერღარა ოდეს წინააღუდგა მეფე სპარსთა" (I, 59-60).

²⁷⁸ აბღლაძე 1984, 154.

²⁷⁹ შდრ. Thomson 1976, 37.



სომეხთა, ისევე როგორც ქართველთა, მიმართება ჩრდილოელებისადმი ამბივალენტური იყო. თუ, ერთის მხრივ, აუცილებლად იყო კავკასიონის უღელტეხილების დაცვა მათი შემოსევებისაგან, მეორეს მხრივ, დიდი იყო ცდუნება მათი ძალის გამოყენებისა უფრო სამხრეთით მდებარე ძლიერი მტრის წინააღმდეგ. მოვსეს ხორენაცის მიხედვით: "თრდატ მეფე სომხეთის მთელი ლაშქრით დაეშვა გარგარელთა ველზე; იქ იგი შეეჩხა და ბრძოლა გაუმართა ჩრდილოელებს... თრდატი გამოუდგა მათ და ჰუნთა ქვეყანაზე მისდია... ჩვეულებისამებრ, თრდატმა ძველები წამოიყვანა მტრის ქვეყნიდან და უკან გამობრუნდა. ამის შემდეგ მან მიიმხრო ყოველი ჩრდილოელი, გადმოიყვანა იქედან დიდძალი ჯარი, შეჰყარა მთელი თავისი ლაშქარიც და გაეშურა სპარსთა ქვეყნისაკენ შაპურ არტაშირის ძის წინააღმდეგ..." (II, 85).²⁸⁰ მეფეთა ცხოვრებაში შემავალი წმ. ნინოს მიერ ქართლის მოქცევის დასკენითი ნაწილის თანახმად, ქართლის მეფის, ვარაზ-ბაქარის, დროს: "...გამოგზავნა სპარსთა მეფემან ერისთავი სპითა დიდითა სომეხთა და ქართველთა ზარკისა დადებად. მაშინ სომეხთა მოგზავნეს ვარაზ-ბაქარისსა მოციქული და რქუეს, რათა შეკრებენ და მოირთონ ძალი ბერძენთაგან, და განახუნენ კარნი კავკასიანთანი, და გამოიყვანნენ ოვსნი და ლეკნი, და წინააღუდგენ სპარსთა. და წარჩინებულნი თესნიცა ეტყოდეს წინააღდგომასა სპარსთას" (I, 136). ანტისპარსული სომხურ-ქართული გაერთიანებული წინააღმდეგობის იდეის არსებობა, ასე ხშირად გამოვლენილი ძველ სომხურ და ქართულ მატრიანეებში, ადვილად გასაგები ხდება იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ამიერკავკასიის ორივე ეს ქვეყანა მრავალი მიმართებით ერთ სოციალურ ორგანიზმს წარმოადგენდა.²⁸¹

თუმცა, ჩვეულებრივ, ქართველ, სომეხ და სპარსელ მონარქთა ინტერესები თანხვედბოდა დერბენდის კარიბჭის დაცვის საკითხში - ჩრდილოეთიდან მომდგარი მტრის შემოღწევის საწინააღმდეგო ზომების მიღებისას. მეფეთა ცხოვრება გვამცნობს, რომ მეფე მირიანი, მომავალში პირველი ქართველი ქრისტიანი მეფე, იყო ყველაზე უფრო თანმიმდევრული გამტარებელი ასეთი პოლიტიკისა. მან "...იწყო ბრძოლად ზაზართა, და მარჯდის ჰბრძოდის: ოდესმე გააგდიან მირიანს ლეკნი და მათ გამოიყვანან რა ზაზარნი თანაშემწედ მათდა, მიეგების მათ წინა მირიან პერეთს ანუ მოვკანს და მუნ ეწევს მათ; და ოდესმე დურძუკთა და დიდოთა მოირთიან და გამოიყვანან ზაზარნი, მაშინ ეწევს და ვეროდეს სძლეს ზაზართა, და ყოვლადვე მირიან სძლის. და ესრეთ მრავალგზის გადაიკადა წყობა ზაზართა. და უფროსი ლაშქრობა მისი იყვის დარუბანდს. რამეთუ მოვიდიან ზაზარნი და მოადგან დარუბანდს, რათამცა წარიდეს და განადგეს კარები ფართო, და მუნით იწევს გასლვად სპარსთა ზედა. ხოლო ოდეს მოვიდიან ზაზარნი დარუბანდს,

²⁸⁰ აბღლაძე 1984, 170მმდ.
²⁸¹ Rapp 1998, 17.

მაშინ წარვიდის ძირიან შუელად დარუბანდისა: ოდესმე უომრად მიპრიდისა
ბაზართა მათ ძირიანს, და ოდესმე ბრძოლითა აოტნის" (I, 66). ძირიან მეფის
მიერ წარმოებული ბრძოლის არსი განსაკუთრებული სიცხადით არის
გადმოცემული მემატანის მიერ მისადმი მიწერილ სიტყვებში, რომ: "შუნ
ყოველნი დღენი ჩემნი დამეყოფიან ბრძოლასა შინა ბაზართასა, და მრავალე ზის
სისხლითა ჩემითა დამიცავს სპარსეთი ბაზართავან" (I, 67).

ცხოვრება ვახტანგ ვორგასლისა ნათელპყოფს, დარიალის გარდა,
აგრეთვე დერბენდის კარიბჭის დიდ მნიშვნელობაზე ჩრდილოეთის მხრიდან
ქართლის თავდაცვის საჭიროებისას: "მაშინ ვითარ იქმნა ვახტანგ წლისა
ათისა, გარდამოვიდეს ოვსნი სპანი ურიცხუნი და მოტყუენეს ქართლი
თავითვან მტკურისათ ვიდრე ხუნანამდე, და მოაოკრნეს ველნი არამედ ციხე-
ქალაქნი დაურჩეს, თენიერ კასპისა... და განელეს კარები დარუბანდისა, რამეთუ
თუთ ვ ბა სცეს დარუბანდელთა, და შევიდეს ოვსეთს გამარჯუებულნი" (I, 145-
146). მოვსეს ხორენაცი ასევე თუწყება, რომ შამაჰ: "შამუჰმა, ორმიზდის ძემ,
ჩვენი მეფის, ტირანის მიმართ დიდი სიყვარული გამოამელავნა, დაეხმარა მას,
დაიფარა ჩრდილოელ ტომთა შემოტევისაგან, რომლებიც გაერთიანდნენ,
გადმოლახეს ჭორას ვიწრობი და ოთხი წლის მანძილზე ალვანეთში
დაიბანაკეს." (III, 12)²⁸²

ხორენაცისავე ინფორმაციით, რომელიც ბევრად უფრო ადრეულ
ხანებს ეძღვნება, ვალარშაკის ძის "არშაკის დროს საშინელი არეულობა მოხდა
დიდი მთის, კავკასიის მიდამოებში, ბულღართა მხარეში. ბევრი მათგანი აიყარა
და ჩვენს ქვეყანას მოაშურა. ისინი დიდხანს მკვიდრობდნენ კოლის [სამხრეთ-
დასავლეთ საქართველოს მხარე, კოლა, თანამედროვე თურქულ ქალაქ
გიოლესთან, ქ. ყარსის დასავლეთით - გ. ქ.] ქვემოთ, ნოყიერ მიწებზე, პურიით
მდიდარ ადგილებში" (II, 9).²⁸³ როგორც ჩანს, ქართული მატანეების ბუნ-
თურქები და სომხურის - ბულღარები, ჩრდილოური წარმომავლობის ერთი და
იგივე ტომი უნდა ყოფილიყო. მათი ერთმანეთთან გაიგივება კიდევ უფრო
სავარაუდო გახდებოდა, თუ მხედველობაში მივიღებდით ხორენაცის ტექსტის
მონათხრობს "ველურ, მოსულ ტომზე", რომელიც წინ უსწრებს სიუჟეტს
ბულღარების შესახებ, და რომელთა დახასიათებაც მოგვაგონებს ბუნ-თურქთა
ზოგიერთ თვისებას და ამ უკანასკნელთა განსახლების არეალს - ცენტრალურ
ამიერკავკასიას. ამ ცნობის მიხედვით, ვალარშაკმა, ზემოხსენებული არშაკის
მამამ: "...მოუხმო ველურ, მოსულ ტომს; იგი ბინადრობდა ჩრდილოეთის
ველზე და კავკასიის დიდი მთის ფერდობზე, ჭალებსა და ვრძელ, ღრმა ხეუბებში,
რომელნიც მთის სამხრეთ კალთებიდან დიდი ველის თავამდე ჩადიოდნენ.

²⁸² აბღალაძე 1984, 188.
²⁸³ აბღალაძე 1984, 110.



[ვალარშაკმა] უბრძანა მათ, მოეშალათ ავაზაკობა და კაცთა ღალატით დაძორნილებოდნენ ხელშეწყობის ბრძანებებს, გადაეხადათ ზარკი..." (II, 6)

უეჭველია, რომ მოვსეს ხორენაცს ამ შემთხვევაშიც ისევ ის ბულღარები ჰყავს მხედველობაში. იგი ამ პარაგრაფში (II, 6) ზემო ბასიანს (ტერიტორია არეზისა და მტკვრის ზემო დინებებს შორის) ლტოლვილი ბულღარის, *ვლენდურ ეუნდაის* ახალშენად მიიჩნევს; სახელწოდება *კანანდი* (ყარსის სანახები) მას ამ უკანასკნელის სახელის მიხედვით უნდა დარქმეოდა.

როგორც ვხედავთ, მოვსეს ხორენაცი რამდენჯერმე მოიხსენიებს კაკასიის ჩრდილოეთით მდებარე მხარეების ბარბაროსულ მოსახლეობასა და მათ შემოსევებს ქედის სამხრეთითა და კერძოთ სომხეთის მიმართულებით. ამდენად, ვფიქრობთ, რომ მისივე ნაწარმოების სხვა, ზემოთ უკვე ციტირებულ ფრაგმენტში (II, 8, 11), რომელიც ეხებოდა სომხეთის მეფის მიერ ჩრდილოეთის მთების გამგებლობის ჩაბარებას ქართლის მმართველის, მითრიდატესადმი, ასახულია იბერიის სამეფოს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია, დაეცვა "ჩრდილოეთის მთებზე" (ანუ კაკასიონზე) არსებული გადასასვლელები ჩრდილოეთის მხრიდან ბარბაროსი ტომების შემოღწევისაგან.

ორი სამყაროს, ცენტრალური ევრაზიისა (ანუ შიდა აზიის) და მისი პერიფერიის, შორის არსებულ საკონტაქტო ზონაში განლაგებული საქართველო და მთლიანად კაკასია ღია იყო ზეგავლენისათვის, რომელსაც ქმნიდა კუმანური გარემო, მუდმივი გარეგანი ზეწოლის სახით. აქ მდებარე კაკასიის კარიბჭე (*Porta Caucasii*, დარიალი, იგივე კასპიის კარიბჭე), პლინიუს უფროსის სიტყვებით, სამყაროს ორ ნაწილად ჰყოფდა (იხ. ზემოთ). იგი კუმანიის ციხესთან (გაიგივებულია ჯვრის უღელტეხილის სამხრეთ კალთაზე მდებარე ქუმლისციხესთან) ერთად, გზას უკეტავდა კაკასიონის გადაღმა მყოფ უთვალავ ტომებს (*n. h. VI, 30*).

ზემოთ უკვე ითქვა, რომ რომის იმპერიის რღვევის ხანაში აღექსანდრე მაკედონელის სახელმა იტვირთა ჩრდილოეთის მომთაბარე ტომებთან ბრძოლის წინამძღოლის ფუნქცია - როგორც კი ცივილიზებული სამყარო ბარბაროსთა შემოსევის პირისპირ აღმოჩნდა, კვლავ გაცოცხლდა ძველი ლეგენდა აღექსანდრე დიდის მიერ, ბარბაროსთა წინააღმდეგ მოწყობილი *რკინის კარის* შესახებ. ამდენად, საკვებით დასაშვებია, რომ ქართული მატრიანების *ბუნ-თურქებში*, რომელთაც წააწყდა ქართლში აღექსანდრე, ნაგულისხმევი ყოფილიყო ჩრდილოეთის მომთაბარე, მეჯოგე მოსახლეობა, აქ *კაკასიის კარიბჭის* გადმოლახვით შემოღწეული ანუ იმ ადგილიდან, სადაც, მათი განდევნის შემდეგ, *რკინის კარი* აუგია თითქოს დიდ

284 აბლაძე 1984, 104.

მეფეს. თუმცა ისიც სათქმელაა, რომ პლინიუსის ცნობით, *კავკასიის კარის* ხელშეწყობა მორებზე რკინის ფურცლები ყოფილა გადაკრული (n.h. VI, 30).

აღსანიშნავია, რომ *რკინის კარის* ცნება, როგორც წესი, უკავშირდება ტოპონიმს - *კასპიის კარი*, რომელიც სხვადასხვა ისტორიულ ეპოქებში კასპიის ზღვის მახლობლად მდებარე სხვადასხვა გადასასვლელს უკავშირებოდა. თუ ეს ტერმინი - *კასპიის კარი*, და მასთან ერთად *რკინის კარის* ცნება, - თავდაპირველად დასავლეთ ირანში, სიღარის ხეობაში (ფირუზ-კუხი) მდებარე უღელტეხილს უკავშირდებოდა,²⁸⁵ სადაც ალექსანდრეს ლაშქარსაც გაუვლია, ახ. წთ. პირველ საუკუნეში იგი უკვე დარიალს (კავკასიის კარს) აღნიშნავდა, ხოლო უფრო გვიან ეს სახელწოდება დაუმკვიდრდა კასპიის ზღვის დასავლეთ ნაპირზე მდებარე დარუბანდის კარს (დერბენდს).²⁸⁶

ამასთანავე, გასათვალისწინებელია, ის ზემოაღნიშნული გარემოებაც, რომ დერბენდის კარის გამოყენების შესაძლებლობა ვერ იქნებოდა მაინცადაშინც ეფექტური ახ. წთ. მეხუთე საუკუნემდე, უფრო ადრეულ ხანებში კასპიის ზღვის ბევრად უფრო მაღალი ზღვის დონის გამო (მაგ. ძვ. წთ. I ს.)²⁸⁷ - მიზეზი, რომელმაც ალბათ განაპირობა ტერმინ *კასპიის კარის* გამოყენება დარიალის უღელტეხილის მნიშვნელობით. *მეფეთა ცხოვრება* დერბენდის კარის გამაგრებას მიაწერს ალექსანდრეს წინა ხანის ლეგენდარულ სპარსელ სარდალს - არდამს: "*ამან არდამ ერისთავემან აღაშენა ქალაქი ზღვის-კარს, და უწოდა სახელი დარუბანდი, რომელი ითარგმანების "დაკშა კარები"* (I, 13). დერბენდის კარიბჭის (არაბული ბაბ-ალ-აჰვაბი, "კართა კარი") დანიშნულება, ჩაეკეტა კასპიის ზღვის სანაპირო გასასვლელი ჩრდილოელი მომთაბარე დამპყრობლებისათვის, არ უნდა ყოფილიყო რამდენადმე აქტუალური ახ. წთ. VI საუკუნემდე, როდესაც იგი გამაგრებული იქნა სპარსელების მიერ. როგორც ჩანს, ამ დროისათვის კასპიის ზღვის დონე, ერთ დროს მაღალი, დაეცა და გზა მისცა სანაპირო გასასვლელს და შესაბამისად საჭირო გახდა სანაპირო საფორტიფიკაციო ნაგებობების არსებობა.²⁸⁸

რაც შეეხება დარიალის უღელტეხილსა და მის მიმართებას იბერიის სამეფოსთან, ქართველებმა არა მხოლოდ მოახერხეს კავკასიის კარიბჭის დაცვა მომხდურთაგან, არამედ მეტად ხელსაყრელად გამოიყენეს იგი თავისი სტრატეგიული მიზნებისათვის - საჭიროების შემთხვევაში ჩრდილოეთიდან

²⁸⁵ ხალიფა ვათიფმა, 842 წელს ცენტრალურ აზიაში გაგზავნა თავისი დესპანი სალამი, რათა მას რამე გაერკვია რკინისა და თითბურის კედლის თაობაზე, რომელიც თითქოს ალექსანდრე დიდს უნდა აღემართა ვარეთა სტეპის ბარბაროსი გოლიათების, *კოვისა* და *მკოვის* საწინააღმდეგოდ, როგორც ამის შესახებ *ჟურანშა* (XVIII, 82-96) მოთხრობილი (Bosworth 1996, XIII, 22).

²⁸⁶ შდრ., Cary 1967.

²⁸⁷ იხ. Муравьев 1983.

²⁸⁸ შდრ., Hewsen 1992, 122.



დამატებითი სამხედრო ძალები მოეზიდათ საკუთარი სამხრეთული მოწინააღმდეგების მოსათოკად. ვერ კიდევ ლეგენდარული არდამისევი ხაზართა წინააღმდეგ სპარსული კონტრშეტევის აღწერისას *მეფეთა ცხოვრება* მოგვითხრობს, ჩრდილოკავკასიელებთან ქართველთა თანამშრომლის შესახებ სპარსელების საზიანოდ: "ისინი [ქართველები - გ. ქ.] *ეზრანეს ოვისთა, გარდამოიყვანეს ოესნი და პოვეს ერისთავი სპარსთა ველსა გარე, და ენისობდა, და მოკლეს იგი. და რომელ პოვეს სპარსი, ყოველი მოსწყდეს ოვისთა და ქართველთა, და განთავისუფლდეს ქართველნი, ხოლო რანი და პერეთი დარჩა სპარსთა*" (I, 13-14).

პლინიუსი აკეთებს მეტად მნიშვნელოვან შენიშვნას, რომ იბერიული ქალაქი პარმასტუსი (იგივე ქართლის ძველი დედაქალაქი - არმაზი) *კავკასიის კარის* პირდაპირ მდებარეობდა (*n.h.* VI, 29). ეს გარემოება მიუთითებს პარმასტუსის ფუნქციაზე - გადაეკეტა გზა ჩრდილოეთიდან, *კავკასიის კარიდან* (ანუ დარიალიდან), შემოსული და თერგისა და არაგვის ხეობების გავლით წამოსული მოთარეშეებისათვის; რისი მსურველთა რიცხვი ქედს გაღმა ურიცხვი იყო. ვ. ე. დ. ალენის შენიშვნით, მცხეთა არმაზის ნაცვლად გადაქალაქდა, აღანებთან ბრძოლის პირობებში მისი შედარებით აღმატებული სტრატეგიული დანიშნულების გამო.²⁸⁹ ერეკლე II-ის კარზე მყოფი გერმანელი "ექიმის", იაკობ რაინეგსის²⁹⁰ აზრით, მცხეთის უაღრესად ხელსაყრელი სტრატეგიული მდებარეობა სომხეთ-აღბანეთის (იბერიის გარდა) გაკონტროლებისათვის უნდა გამხდარიყო მიზეზი აქ რომაელთა თუ ბერძენთა მიერ ციხე-სიმაგრის დაარსებისა. მას არც არაგვის გზით მცხეთის კავშირი ავიწყდება ჩრდილოეთის მომთაბარე ხალხებთან.²⁹¹ ი. რაინეგსის მოსაზრებით, მცხეთის სახელწოდება "ციხის" ქართული სახელწოდების გადასხვაფერების შედეგად უნდა წარმოქმნილიყო; ამის დამადასტურებელ საბუთს იგი მცხეთის ადგილმდებარეობის გარდა, აქ ციხე-სიმაგრეთა ნანგრევთა სიუხვეს მიიჩნევს.²⁹²

თუმცა მცხეთის უაღრესად მნიშვნელოვანი მდებარეობა რომაელთა აქ გამოჩენამდე იქნებოდა უკვე შენიშნული. ქართველი არქეოლოგების აზრით, არმაზის ციტადელის ნანგრევებში შესამჩნევია წინააზიური (ურარტულ-აქემენიდური) არქიტექტურული ტრადიციები.²⁹³

²⁸⁹ Allen 1932, 51.
²⁹⁰ ი. რაინეგსს ვრ. პოტიომკინისაგან, და კკატერინე II-თან შეთანხმებით, დეკლარებული პქონდა ერეკლე დეთანხმებინა რათა მას რუსეთის მფარველობა ეთხოვა (იხ. БУТКОВ 1869, 120).
²⁹¹ Reineggs 1797, 86f.
²⁹² Reineggs 1797, 86. შდრ., ქეთარაძე 1985, 85.
²⁹³ აფაქიძე 1959, 36შმდ.; შდრ., ქეთარაძე 1985, 85, 173შენ.361.

მოუხედავად იმისა, რომ არ გაგვანია რამდენადმე მაინც საბუთი, მაკედონელთა მიერ ცენტრალური ამიერკავკასიის დალაშქრის სამტიციცებლად, წინა აზიის ელინისტური სახელმწიფოების დიდი ინტერესი იბერიის მიმართ ყოველგვარ ეჭვს გარეშეა. აღმოსავლეთხმელთაშუაზღვისპირეთულ-წინააზიური არეალის სახელმწიფოთა ყველა დროის გამგებლებისათვის, მომთაბარეთათვის გზის გადაკეტი კავკასიის კარიბჭის ეფექტური კონტროლის დიდი საჭიროების გამო სასურველი იყო ცენტრალურ ამიერკავკასიაში, იბერიაში, მსგავსი ფუნქციის შესრულებისათვის საკმაო ძალის მქონე პოლიტიკური ორგანიზაციის არსებობა, რომელიც მოახერხებდა ამ ფუნქციის შესრულებას. ალექსანდრესეული რეინის კარიბჭის კონცეპციაშიც არეკლილი უნდა იყოს ქართული სახელმწიფოებრიობის კონკრეტული პოლიტიკური ფუნქცია, ყოფილიყო დამცველი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტის - კავკასიის კარიბჭისა.

იბერიის სამეფო და *Orbis Terrarum*-ი. თუმცა ქართული და სომხური მატანიეები იბერიის სახელმწიფოს წარმოქმნას კავკასიაში ალექსანდრე მაკედონელის აპოკრიფულ ლაშქრობას მიაწერენ, ორი გარემოება, *მეფეთა ცხოვრების ტექსტში* ალექსანდრეს ხანის ბერძნულ სამხედრო კორპუსთან *ფროთატოსელთა* გაიგივების თვალსაზრისით, არ არის ჩვენთვის სავსებით გასაკებო.²⁹⁴

უპირველეს ყოვლისა, გაუგებარია, რატომ არის მოხსენიებული მაკედონელი აზონისადმი დაქვემდებარებული სამხედრო ნაწილები - *რომაელ ჯარისკაცებად*. *მეფეთა ცხოვრების* ავტორისათვის, ისევე როგორც ადრეული შუასაუკუნეების ქართული ლიტერატურისათვის, ხომ კარგად არის ცნობილი განსხვავება *რომაელსა (პრომი)* და *ბერძენს* შორის. ამ საკითხთან გარკვეულ ინტერესს იწვევს *ქართლის ცხოვრების* სომხური ადაპტაციის ტექსტი (იხ. ზემოთ). საფიქრებელია, რომ სომეხმა მთარგმნელმა, იგონო რა ქართული ტექსტის ლოგიკური შეუსაბამობა, რომლის მიხედვითაც, ალექსანდრეს ბერძენ და მაკედონელ მოლაშქრეთა შორის დასახელებული იყო მნელად წარმოსადგენი რაოდენობის (ასი ათასი ჯარისკაცი) *რომაელი*, ისინი, როგორც ჩანს, ბერძნებად მიიჩნია; თარგმანში არცერთი სიტყვა არ გვხვდება რომაელებისადმი მათი კუთვნილების შესახებ, თუმცა იგივე ტექსტი იცნობს ცნებას "რომაელი". ამასთანავე სიტყვა "ფროთატოსელი", სომხურად ნათარგმნია, როგორც „*protitosik*“ "დამცველი რაზმი". რ. ვ. თომსონის აზრით, ეს სიტყვა არ შეიძლება ყოფილიყო წარმომდგარი ბერძნული *πρότακτος*-დან, როგორც ამას სომხური თარგმნის ტექსტის 1884

²⁹⁴ შდრ. Меликишивили 1989a, 256. რომელიც, აზონის რომელ თანამებრძოლებს ბერძნებად მიიჩნევს.



წლის ენეციის გამოცემის რედაქტორი ა. ტიროიანი ვარაუდობდა, ვინაიდან სომხური **პ'შეესაბამება ბერძნულ φ-ს, და არა π-ს** (როგორც ეს *patrik-ში* მის ზემოთ).²⁹⁵ პ. აჭარიანი ამ სიტყვას უკავშირებს ბერძნულ *φοσφα-*ს მნიშვნელობით, "გვარდია, დამცველი რაზმი" ანდა სიტყვას, რომელიც მისგან არის ნაწარმოები: *φοσιρητός* და რომელსაც სომხურში უნდა მოეცა სომხური ასოების *ჲ*, *ჲ*-ს, ერთის მხრივ, და *ჲ*-ს, მეორეს მხრივ, მსგავსების გამო ერთმანეთთან და გვთავაზობს კონიექტურას სიტყვისას „*p'rotitosik*“ სიტყვა „*p'roiritosik*“-ად მაგრამ ეს გარემოება ვერ გვიხსნის ტექსტის ქართულ ორიგინალში გამოყენებული სიტყვის - "ფროტათოსელნის" მნიშვნელობას.²⁹⁶

მეორეც ერთი, ტერმინი *πρότασση* თუ *πρόταται*, თავისი მნიშვნელობებით, მიუთითებს მის თავდაცვით ხასიათზე (იხ. ზემოთ), რაც ნაკლებად შეესაბამება, როგორც ალექსანდრე დიდის, ისე მისი მემკვიდრების ხანის პოლიტიკურ სიტუციას და უფრო რომის იმპერიის არსებობის გვიანდელ ხანას შეესატყვისება. როგორც ცნობილია, ამიერკავკასიას ცენტრალური ადგილი ეკავა რომის თავდაცვით გეგმებში აღმოსავლურ პროვინციებთან დაკავშირებით.

პონტოს მეფის, მითრიდატე VI ევპატორის სიკვდილისა და სომხეთის მეფის, ტიგრან II-ის კაპიტულაციის შემდეგ - ორივე ამ მოვლენას ადგილი ჰქონდა ძვ. წთ. 66 წ. -, რომაელებმა განსაკუთრებული მცდელობა გამოავლინეს ამიერკავკასიაში თავისი გავლენის გაფართოებისათვის. ისევე როგორც სხვა, აქ მათ წინამორბედ, ძალებს, მათთვისაც ამ რეგიონს განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც ჩრდილოეთის ბარბაროსი ტომების შემოსევის საწინააღმდეგო თავდაცვით ჯგუფებს. კავკასიონის მდებარეობის საკვანძო მნიშვნელობა, გარდა ზემოთ მოყვანილი პლინიუსის სიტყვებისა (კავკასიის კარიბჭის მიერ სამყაროს ორ ნაწილად გაყოფის შესახებ), მისთვის ჩვეული გამჭრიახობით აქვს შენიშნული სტრაბონს, რომ იბერია მდებარეობს ჩრდილოეთიდან მომავალ გზაზე და ბუნებრივად კეტავს მას; კერძოდ: "ჩრდილოეთიდან, მომთაბარეთა ქვეყნიდან იბერიაში გადასვლას სჭირდება სამი დღე, შემდეგ ოთხი დღის სავალი საკალაფებო ვაზ ჩაუყვება მდინარე არაგუსის [არაგვი - გ.ქ.] ვიწრო ხეობას, რომლის ბოლოსაც დარაჯობდა მხელად ასაღები ციხე-სიმაგრე [ალბათ, ბებრის ციხე - გ.ქ.]... ორი მდინარის [მტკვრისა და არაგვის - გ.ქ.] შეერთების ადგილამდე, მათი სანაპიროების გასწვრივ კლდეებზეა განლაგებული ქალაქები. ისინი დაბლობებით თქუქსმეტი სტატიით არიან ერთმანეთს დაშორებულნი - მხედველობაში მათეს პარძოზიკე კიროსზე [არამზციხე მტკვარზე - გ.ქ.] და სეესამორა მეორე მდინარეზე... [ვიწამური არაგვზე - გ.ქ.]"

²⁹⁵ Thomson 1996 25შენ.6.

²⁹⁶ აჭარიანი 1971; შდრ. აბულაძე 1953, 027 და Thomson 1996 25შენ.6.

(XI, III, 5).²⁹⁷ მოცემული სურათი მკაფიო მინიშნებას იძლევა იბერიის სამეფოს სიძლიერესა და დანიშნულებაზე უკვე წინა-რომაულ ხანაში. კასიუს დიოს (ახ. წთ. 155-235 წწ.) სიტყვებითაც, ღელა-ციხე (*Ἀκρόπολις*) [არმაზციხე - გ.ქ.] აგებული იყო იმ მიზნით, რომ დაეცვა უვიწროესი ადგილი, სადაც ერთ მხარეს მტკვარი (*Cyrus*) მოედინება, ხოლო მეორე მხარეს კაკასიონია აღმართული (*Dio XXXVII, 1, 4*)²⁹⁸.

ამიერკავკასია, ამასთანავე, აკავშირებდა სავაჭრო გზებით, შავი ზღვის არეალს, ერთის მხრივ, და ცენტრალურ აზიას, ინდოეთსა და ჩინეთს, მეორეს მხრივ. პლინიუსიდან მომდინარე ინფორმაციით, ჯერ კიდევ პომპეუს დიდის (გენუს პომპეუს მაგნუსი, ძვ. წთ. 106-48 წწ.) პირველი კავკასიული ექსპედიციის (ძვ. წთ. 65 წ.) წვერი მარკუს ვარო (ძვ. წთ. 116-27 წწ.) იუწყებოდა, რომ მათი ექსპედიციის ხანაში არსებული ინდოეთის სავაჭრო გზა, მდინარეების ბაქტრუსისა და ოქსის გავოლებით ბაქტრიაზე გამავალი, კასპიის ზღვას კვეთავდა, ხოლო შემდეგ მტკვრის ავოლებით ფასისამდე აღწევდა და იქიდან შავ ზღვამდე (*n.h. VI, 51f.*). პომპეუსის ექსპედიცია იყენებდა შავი ზღვის სანაპიროდან კასპიის ზღვამდე მიმავალ ძველ სატრანზიტო გზას - გარემოება, რომელიც ამ გზის მიმართ რომაელთა დიდ ინტერესზე მიგვანიშნებს.²⁹⁹ როგორც პლუტარქე გვამცნობს, პომპეუსს დიდი სურვილი ჰქონდა წინ, კასპიის ზღვისაკენ წაეწია თავისი სამხედრო ძალები, მაგრამ იქ არსებული მრავალრიცხოვანი შხამიანი გველების გამო იძულებული გახდა უკან დაეხია (*Plut., Pomp. 36*). რომაელთა მიერ, აღმოსავლეთისაკენ მიმავალი სავაჭრო გზების ძიების აუცილებლობა უნდა აიხსნას იმ ხანად პართული სახელმწიფოს არნახული გაძლიერებით, რომელმაც მოახერხა გადაკეცა მათთვის ინდოეთთან და შორეულ აღმოსავლეთთან ხმელთაშუაზღვისპირეთის დამაკავშირებელი ადრე არსებული გზები.³⁰⁰

ამიერკავკასიის ცენტრალურ ნაწილში მდებარე იბერიის სტრატეგიული მნიშვნელობა უნდა ჩანდეს თუნდაც იმ გარემოებაში, რომ სომხეთიდან წამოსულმა პომპეუსმა ჯერ იბერიაზე ილაშქრა, შემდეგ უფრო დასავლეთით მდებარე კოლხეთი დაიპყრო და მხოლოდ ამის შემდეგ გაეშურა, იბერიის აღმოსავლეთით მდებარე, ალბანეთის წინააღმდეგ, თუმცა ამჯერად იბერიის გაუვლელად სომხეთიდან გადასულმა (*Dio XXXVII, 3*). როგორც ჩანს, კავკასიის კარიბჭის მაკონტროლებელი ცენტრალური ამიერკავკასიის (იგივე იბერიის) დაქვემდებარების გარეშე, ლაშქრობის წამოწყება ამიერკავკასიის დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებში არ იყო საკლებით უხიფათო საქმე. კასიუს დიო შენიშნავს, რომ პომპეუსი, წინააღმდეგ მისი

²⁹⁷ შდრ., Jones 1924.

²⁹⁸ იხ. Cary 1969, 99.

²⁹⁹ Меликишвили 1959, 325; Дреер 1994, 31.

³⁰⁰ სანიციე 1956, 193შმდ.; Меликишвили 1959, 324შმდ.

ადრინდელი გადაწყვეტილებისა, იძულებული შეიქმნა უპირველეს ყოვლისა იბერებს შებრძოლებოდა (XXXVII, 1).

მას შემდეგ რაც იბერიის მეფე არტაგი და ალბანელთა ტომობრივი გაერთიანების ბელადი ოროსი დამარცხდნენ პომპეუსთან ბრძოლაში, რომაელებმა ისინი "შეგობრებდ და მოკავშირეებდ გამოაცხადეს" (Plut. Pomp. 34; Dio XXXVIIIff.; Strabo XI, III, 5). მაგრამ ეს "შეგობრობა" დიდხანს არ გაგრძელებულა - უკვე ძვ. წთ. 36 წ., მარკუს ანტონიუსის (ძვ. წთ. 83-30 წწ.) პართული ექსპედიციის დროს, რომაელთა ჯარი კანიდიუსის (პუბლიუს კანიდიუს კრასუსი) ხელმძღვანელობით გაგზავნილი იყო იბერთა³⁰¹ და ალბანელთა³⁰² წინააღმდეგ. დიოს ცნობით, იბერთა მეფის ფარნაბაზზე (ფარნავაზ II-გ.ქ.) და ალბანეთის მეფე ზობერზე მიღწეულმა გამარჯვებებმა და რომაელებთან მათი ერთიანობისა და შეგობრობისაკენ ხელახალმა იძულებამ გაამხნევა ანტონიუსი (Dio XLIX, 24f.). ამ სიმხნევის მიზეზი ალბათ ისევე კავკასიონზე გადასასვლელების დიდი მნიშვნელობა იყო, რომლებსაც ორივე ეს ქვეყანა (იბერია, ალბანეთი) აკონტროლებდა და რის გამოც პერსპექტიული ჩანდა კავკასიონის გადაღმა მყოფი მომთაბარე ტომების გამოყენება რომაელთა ინტერესების შესაბამისად და პართელთა საწინააღმდეგოდ.³⁰³ ტაციტუსი მართებულად აცხადებს, რომ მრავალ უღელტეხილზე გაბატონობებულ იბერებს შესაძლებლობა ჰქონდათ კასპიის გზით კავკასიონზე გადმოეყვანათ ჩრდილოელი მებრძოლები და წარმატებით გამოეყენებინათ ისინი საკუთარი პოლიტიკური მიზნების შესაბამისად (იხ. ზემოთ).

მომდევნო ასეული წელი იბერიის სამეფოს სიძლიერის ხანა იყო. იბერებმა არა მარტო წარმატებით განდევნეს სომხეთიდან პართელები, არამედ შეცვალეს კიდევ ისინი იქ რომაელთა ხელშეწყობითა და დარიალის უღელტეხილით გადმოყვანილი მომთაბარე მეომართა სამხედრო ძალის დახმარებით. კერძოდ, ტიბეროუსის ხანაში (ახ. წთ. 14-37 წწ.) რომაელებმა ეფექტური დიპლომატიის გამოყენებით, წააქეზეს იბერიელები და ალბანელები, რათა ისინი, იმიერკავკასიელი სარმატების დახმარებითა და რომაელთა არმიის აქტიური მონაწილეობის გარეშე, თავს დასზომოდნენ პართიას. იბერიის მეფემ ფარასმანეს I-მა (ფარსმან I - გ.ქ.) აიღო არტაქსატა, სომხეთის დედაქალაქი, და თავისი ძმა მითრიდატე (ახ. წთ. 35-52 წწ.) აიყვანა სომხეთის ტახტზე.

³⁰¹ სტრაბონის ინფორმაციით, კანიდიუსმა იბერიაში შესასვლელად იგივე გზა გამოიყენა, რომელიც მანამდე გაიარა სომხეთიდან იბერიაში გადასულმა პომპეუსმა (XI, III, 5).

³⁰² კასიუს დიოს (ახ. წთ. 155-235 წწ.) მიხედვით: „...პუბლიუს კანიდიუს კრასუსმა გაილაშქრა აზიაში იბერთა წინააღმდეგ, დაამარცხა ბრძოლაში მათი მეფე ფარნაბაზუსი, აიძულა ისინი რომაელებთან კავშირი დაედო და მათ მეფესთან ერთად შეიჭრა მომიჯნავედ მდებარე ალბანეთში; ამ უკანასკნელთა და მათი მეფის ზობერის ძლევის შედეგ, შემოიერთა აგრეთვე ისინიც“ (XLIV, 24, 1), იხ. Cary 1969a, 391.

³⁰³ Меликишвили 1959, 335მმდ.

საიდანაც იგი შემდეგ თავისივე ძმისწულისა და ფარასმანესის ძის, რადამის მიერ იყო ჩამოგდებული (Tac. *Ann.* VI, 31-6; XI, 8-9; XII, 44-51; XIII, 5-6, 37; XIV, 26; Plin., *n. h.* XV, 83; Dio LVIII, 26, 3; LX, 8; Jos., *Ant.*, 18, 97).³⁰⁴

ნერონმა (ახ. წთ. 54-68 წწ) თავისი ზეობის წლებს მიწურულს (66-67 წწ.) წამოიწყო ახალი კავკასიური ექსპედიციის გრანდიოზული გეგმა (Pliny, *n.h.* VI, 15, 40). არ არის გამორიცხული, რომ იმ ხანად იგი აპირებდა დარიალის ულელტეხილის გადაღახვით იმიერკავკასიის დალაშქრას.³⁰⁵ ტაციტუსის ინფორმაციით, ნერონმა მრავალ სამხედრო ნაწილს - გერმანიიდან, ბრიტანეთიდან, ილირიიდან - მოუყარა თავი კასპიის გადასასვლელებისაკენ გასაგზავნად, იმ ექსპედიციისათვის, რომელიც აღბანელთა წინააღმდეგ მზადდებოდა („*quos idem Nero electos praemissosque ad claustra Caspiarum et bellum quod in Albanos parabat*“) (Hist. 1,6,2)³⁰⁶. ჩვენ ვერ გამოვიცხავთ, რომ იმ ხანად აღბანეთი აღანთა ხელქვეით ყოფილიყო მოქცეული; იბერიისაგან განსხვავებით, აღბანეთი მხარს აღარ უჭერდა რომაელთა ლაშქრობებს³⁰⁷. ასეთ შემთხვევაში, ტაციტუსის ზემომოყვანილი ფრამენტის აღბანელების, თ. მოშენის მიერ, აღბანედ შესწორება, რეალურად არსებულ მდგომარეობაზე მხოლოდ ფაქტობრივი მინიშნება იქნებოდა.³⁰⁸ ტაციტუსის ინფორმაციით, რომელიც იბერთა მეფის ფარასმანეს I-ის გამონათქვამს ვეამცნობს, ახ. წთ. I საუკუნის შუახანებში ომი მიმდინარეობდა იბერიასა და აღბანეთს შორის (*Ann.* 12, 45). ფარასმანესმა, რომელმაც თავი დაოსტატებულ დიპლომატიად გამოიჩინა, ეტყობა მიაღწია რომაულ-აღბანურ ურთიერთობათა მკვეთრ და საბოლოო გაუარესებას და აიძულა აღბანელები რომაულ ორიენტაცია მათ მიმართ წინააღმდეგობის გაწევის პოლიტიკით შეეცვალათ.

³⁰⁴ იხ. Isaac 1990, 43; ქანთარია 1996, 25-47.

³⁰⁵ Isaac 1990, 43 შმდ.

³⁰⁶ დიოს მიხედვით, ნერონის მრავალრიცხოვან პატარ-პატარა ოხუნჯობების შორის იყო ერთი ზემოდა, რომ, თითქოს „აღბანელთა მიწაზე იმდენმა სისხლმა იწვიმა, რომ იქაურმა მდინარეებმა მიწა სისხლით დატბორა“ (LXIII, 26, 5), იხ. Cary 1968, 185. ეს ცნობა ეგებ მიგვანიშნებდეს აღმოსავლეთ იმიერკავკასიაში მომხდარ რაღაც არეულობაზე და ამავე დროს მოწმობდეს ტაციტუსის ინფორმაციის სანდოობას, ნერონის მიერ აღბანელთა წინააღმდეგ ექსპედიციის მომზადების შესახებ.

³⁰⁷ აღბანელთა და რომაელთა მტრობა დაიწყო იმიერკავკასიაში პომპეუსის შეჭრით, როდესაც, აღბანელთა მეფემ, ოროსესმა, გაილაშქრა მათ წინააღმდეგ საგანგებოდ ლატურაგლიის დროს, რათა დაესწრო აღბანეთში მათი შესვლისათვის (Dio XXXVI, 54, 1).

³⁰⁸ Mommsen 1909, 62 შენ. I. ამ შემთხვევისაგან განსხვავებით, ირანის სასანიანი შაჰის, შაპურ I-ის წარწერა ქაბად-ი-ზარდოსტიდან, ზოგიერთი სპეციალისტის აზრით, აღბანელთა კარის ნაცვლად შეცდომით აღანთა კარს მოიხსენიებს (იხ. Honigsmann & Maricq 1953, 88; შდრ. ყაუხჩიშვილი 1976, 255-260).

თუ ჩვენ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ რომის ურთიერთობა პართიასთან ამასთანავე გაუმჯობესდა ისე, როგორც არასდროს, ანაბედიშვილი შემთხვევაში, რომის იმპერიის აღმოსავლეთ რეგიონებისათვის უახლოეს მომავალში ჩრდილოეთიდან მომდინარე საფრთხის მოლოდინი და, შესაბამისად, ნერონის მიერ დაგეგმილი პრევენტული ზომების მიღების საჭიროება მეტად საეარაუდო ხდება. რა სახისაც არ უნდა ყოფილიყო იმ წამოწყების ხასიათი, რომელიც ნერონმა ჯერ დაგეგმა, ხოლო შემდეგ მიატოვა, იგი საფიქრებელია, რომ უფრო ითვალისწინებდა რომის პართიასთან ერთად მოქმედებას, ვიდრე მის საწინააღმდეგოდ - ამ ორ სახელმწიფოს შორის მშვიდობის შენარჩუნების საერთო ინტერესები იმჟამად შედუღაბებული იყო კაკასიონის გადაღმა მხრიდან მომდინარე საერთო საფრთხით.³⁰⁹ ჯერ კიდევ ლუკანი (მარკუს ანეუს ლუკანუსი, ახ. წთ. 39-65 წწ.) მოიხსენიებდა პართელებსა და ალანებს კასპიის კარიბჭესთან კავშირში (*Parsalia*, VIII, 222-225)³¹⁰:

*"და თქვენ, ქე პართელებო, თუ მე ოდესმე დავინახე
კასპიის კარიბჭე და მასთან ალა(უ)ნური ტომები
მტინვარე, მუდამ მებრძოლი, მძლე, მე დავრთეთ ნება,
რათა სპარსეთის მიწაზე გებორაღლათ, არ გაიბუღებდით
თავშესაფრად გეტებნათ ბაბილონის კედლები".*

ალანები, კაკასიონის სამხრეთით მდებარე ქვეყნებისაკენ მუდმივად მსწრაფნი, მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენდნენ ამიერკაკასიის სტაბილურობისათვის და რომაული სტრატეგია საკუთარ მონაწილეობას მოითხოვდა ამ მხარის დაცვაში.³¹¹ ჩრდილოელ მომთაბარეთა შემოსევის საშიშროება, ეტყობა, საკმაოდ აქტუალური იყო; იოსებ ფლავიუსი (ახ. წთ. 37 წ. - 93 წ. შემდეგ), ნერონის უშუალოდ მომდევნო ხანის მოვლენებთან შეხებისას, წერს, რომ: "ალან ზღბს - რომლებიც სკითები არიან და მეოტის ტბასთან [აზოვის ზღვა - გ.ქ.] ცხოვრობენ - აზრად ჰქონდათ მიდააზე და მის იქით მდებარე მხარეებზე ალაფის აღების მიზნით თავდასხმა. ასეთი ჩანფიქრის მქონეებმა ხელშეკრულება დაუდეს პირკანიის მეფეს; ვინაიდან იგი იყო გაატონიებული უღელტეხილზე, რომელიც მეფე ალექსანდრემ რკინის კარებით ჩაკეტა. მან [პირკანიის მეფეს - გ.ქ.] მისცა მათ [ალანებს - გ.ქ.] უფლება მის ქვეყანაზე გაეარათ; ისინი დიდი რაოდენობით მივიდნენ და მოულოდნელად დაეცნენ მიდაას, გაქარცვეს ეს ქვეყანა... და ვერვინ ვერ გაბედა

³⁰⁹ Syme 1995, 143. აღმოსავლეთიდან მომდინარე საფრთხის შიში დიდი ხნის განმავლობაში წარმოადგენდა რომაული პოლიტიკის დამახასიათებელ ნიშან-თვისებას (იხ. Sonnabend 1989, 319-345; Sonnabend 1998 191-206).

³¹⁰ იხ. Ridley 1896.

³¹¹ Sherk 1980, 992.

მათთვის წინააღმდეგობის გაწევა... ამიტომ ამ აღანებმა ეს წინააღმდეგობის გარეშე და ძალზე იოლად დაარბიეს და გადავიდნენ სომხეთში, რომელიც დაუცველად იყო გადაშლილი მათ წინაშე. ამ ქვეყნის მეფე, ტირიდატი შეეგება და შეებრძოლა მათ, მაგრამ ბრძოლაში კინაღამ ცოცხლად იყო შეპყრობილი; ვიღაცამ მას შორიდან ბაჟე ესროლა და თავისაკენ მოქანავდა და დაატყვევებდა მას იმწამსვე, თოკი ხმლით რომ არ გადაეჭრა და არ გაქცეულიყო ამის თავიდან ასაცილებლად. ამით შევუღლიანებულმა აღანებმა მთლად გააცამტვერეს ეს ქვეყანა და წაასხეს დიდი რაოდენობა ადამიანებისა და თან წაიღეს დიდი აღაფი, ორივე ამ სამეფოში ატეხული და უკან თავის ქვეყანაში დაბრუნდნენ" (ებრაელთა ომი, 7, 7, 4)³¹².

იოსებ ფლავიუსისეული ეს გადმოცემა დაკავშირებული ჩანს კასიუს დიოს ინფორმაციასთან, კერძოდ, რომ პართიის მეფე, ვოლოგესი, ინტენსიურად ცდილობდა ნერონის შემცველ ვესპასიანთან (ახ. წთ. 69-79 წწ.) თანამშრომლობას მიედწია აღანთა საწინააღმდეგოდ, თუმცა წარუმატებლად.³¹³ ვესპასიანეს ხანაში, კაბადოციის პროვინციის ორი ლეგიონითა და კონსულის რანგის მმართველით გაძლიერებას, ბარბაროსთა გამუდმებული თავდასხმების გამო³¹⁴, ჩვეულებრივ ამ მოვლენებს მიაწერენ ხოლმე.

თუმცა მოიპოვება რიგი ფაქტებისა, რომლებიც ამ ეპოქის რამდენადმე უფრო რთულ სურათს გვიხატავენ: სამხედრო კონფრონტაციას რომაელთა და პართელთა შორის.³¹⁵ საფიქრებელია, რომ ურთიერთობა რომსა და პართიას შორის მკვეთრად შეიცვალა ვესპასიანეს ეპოქაში, რომელიც ნერონისაგან განსხვავებით, სულაც არ იყო ანთებული სურვილით, ჰქონოდა პართელებთან საერთო თავდაცვითი პროექტები.³¹⁶ მას ერჩია, რომ მისი გეგმები არა მარტო

³¹² იხ. Whinston, 1895.

³¹³ დიოს სიტყვებით: „როდესაც პართელებმა, რომლებიც ჩაბმული იყვნენ ომში თავის ზოგიერთ მეზობელთან, თხოვეს მას [ვესპასიანეს - გ.ქ.] დახმარება, იგი არ დაეხმარა მათ და განაცხადა, რომ მის ჩვევაში არ არის სხვათა საქმეებში ჩარევა (LXV, 15,3), იხ. Cary 1968, 291. სევეტონიუსი (დაახლ. ახ. წთ. 69 - 140 წწ.) იძლევა დამატებით მონაცემებს საქმის ვითარების შესახებ: „როდესაც, პართელმა მეფემ, ვოლოგესმა, ითხოვა რომაელთა დახმარება გარეშის გაგზავნა ვესპასიანეს ერთ-ერთი შეილის ბელმძღვანელობით აღანთა წინააღმდეგ, დომიტიანემ ფელაფური გააკეთა, რათა იგი გაეგზავნათ იქ და არა მისი ძმა ტიტუსი; ხოლო მამის როდესაც ეს საქმე ჩაიშალა, შეეცადა საჩუქრებითა და შეპირებებით დაერწმუნებინა სხვა აღმოსავლელი მეფეები, რათა მათაც მიემართათ ანალოგიური მოთხოვნით" (Suet. Dom., 2, 1).

³¹⁴ Suet. Vesp. 8, 4: *propter adsidios barbarum incursus*.

³¹⁵ იხ. Halfmann 1986, 403მდ.

³¹⁶ სევეტონიუსის ცნობით, როდესაც ვოლოგესმა სენატს გაუგზავნა წარმომადგენლები პართულ-რომაული კავშირის განსახლებლად, ამავე დროს მოითხოვა პატივი მიეგებოდა ნერონის ხსოვნას. სევეტონიუსი ასევე გვამცნობს, რომ ნერონის საკვდილის შემდეგაც,



დამოუკიდებელი ყოფილიყო პართელებისაგან, არამედ გარკვეულად განპირობებულიც კი ყოფილიყო საჭიროებით, დაეძლია მათი ტრადიციული თუმცა არა ყოველთვის ადვილად შესამჩნევი ოპოზიცია აღმოსავლურ საკითხებში. რომაელთა მიერ ყველაფერი კეთდებოდა, რათა ჩამოყალიბებულიყო გადაულახავი ჯვბერი მათი აღმოსავლელი მოწინააღმდეგეებისათვის და ყოველნაირად ხელი შეწყობოდა იბერიისა და ალბანეთის რომაულ ორიენტაციას.³¹⁷

რომაული სამხედრო ძალების კონცენტრაცია აღმოსავლეთ საზღვარზე და თვით მისი კონტურების გარეთაც, ამასთანავე, უნდა აიხსნას არა მხოლოდ საკუთარი აღმოსავლური პროვინციების დაცვის საჭიროებით, არამედ მათი ძირითადი პოლიტიკური ამოცანის კონტექსტში: უპირატესობისათვის მიეღწიათ ისეთი უდიდესი საკვანძო მნიშვნელობის არეალზე პოლიტიკური დაწოლის ინტენსიურობის მზრივ, როგორც იყო კავკასია; ქედს გადაღმა, ჩრდილოეთით, უზარმაზარი სამხედრო რესურსები პერმანენტულ მზადყოფნაში იყო სამხრეთით მიმდინარე პროცესებში პოტენციური ჩარევისათვის. ამ ძალებს ნებისმიერ დროს შეეძლოთ დაერღვიათ წინააღმდეგობა აღმოსავლურ არეალში არსებული გეოპოლიტიკური *status quo*. კავკასიონის უღელტეხილების კონტროლის საშუალებით იქმნებოდა მეტად ხელსაყრელი შესაძლებლობა წინა აზიაში *Pax Romana*-ს ჩამოყალიბებისათვის. ნ. დებეუჯაზის შეხედულებით, ის გარემოება, რომ მესოპოტამიაში ჩატარებული თითქმის ყველა რომაული კამპანია სომხეთში ლაშქრობით იწყებოდა, უარსაყოფელს ხდის წარმოდგენას, თითქოს რომაული ინტერესები კავკასიაში მხოლოდ კომერციული და არა სამხედრო ხასიათისა ყოფილიყოს.³¹⁸ ამიერკავკასიაში რომაელთა ძირითადი ამოცანა, ეფექტობთ, იყო არა იმდენად კავკასიაში ჩრდილოეთიდან გადმოსული ბარბაროსებისათვის გზის გადაკეტვა, რამდენადაც მათი საკუთარი სტრატეგიული ინტერესებისათვის დაქვემდებარება. მხოლოდ ასეთი საშუალებების არსებობის შესაძლებლობაც კი უკვე მნიშვნელოვან იარაღს წარმოადგენდა რომაელთა ხელში, მიმართულს მათი აღმოსავლელი ოპონენტების საწინააღმდეგოდ.

ისეთი ძნელად სამართავი ძალებით მანიპულირება, როგორც ჩრდილოელი მომთაბარეები იყვნენ, უკიდურეს მძიმე და სახიფათო ამოცანას წარმოადგენდა და მოითხოვდა რეგიონში რომის სამხედრო ნაწილების ყოფნას. რომაელთა გეგმების განსახორციელებლად აუცილებელი ხდებოდა კაპადოკიაში არმიის ერთეულების, ხოლო ამირკავკასიაში გარნიზონების დგომა. მოკავშირე რეგიონალური ძალაუფლების არსებობა რომაელებს

ძრავალი წლის განმავლობაში მისი სახელი პართელთა შორის ისევ დიდ პატივში იყო (*Suet. Nero, LVII*).

³¹⁷ Sherk 1980, 995.

³¹⁸ Debevoise 1938, 201შენ.60.



გარკვეულ უპირატესობას მიანიჭებდა მეტოქეებზე. ამ თვალთახედვით იბერიის მიმხრობა უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი იყო. კავკასიის კარიბჭეზე გაბატონებულ იბერებს, ამავე დროს, გააჩნდათ ტრადიციულად მჭიდრო კავშირები ალანურ-სარმატულ, ნომადურ ტომებთან - რაც მეტად ხელსაყრელ გარემოებას წარმოადგენდა ორივე მხარისათვის და რაც მთელი შუასაუკუნეების ეპოქის განმავლობაში შენარჩუნებული იყო ცვალებადი წარმატებით.

ახ. წთ. 77 წ., რომელი ლეგიონის, *Legio XVI Flavia Firma*-ს, სირიიდან სატალაში, მცირე სომხეთში,³¹⁹ გადანაცვლების თარიღი და მისი გაერთიანება *Legio XII Fulminata*-თან, მ. პირიუს ფრონტოს საექსპედიციო კორპუსად, მიჩნეულია ალანთა შემოსევისა და ამავე დროს რომაელთა კონტრშეტევის მაუწყებლად. ეს თარიღი დადასტურებას პპოვებს და კიდევ უფრო დიდი სიზუსტითაც კი შეიძლება იყოს დაფიქსირებული რომაელთა მიერ იბერებისათვის ჰარმოზიკეს (ანუ არმაზციხეს),³²⁰ გამაგრებაში გაწეული დახმარების ხანის განსაზღვრით, რასაც ადგილი ჰქონდა ახ. წთ. 75 წ. საკვლევი თემიდან გამომდინარე დიდი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს იმის განსაზღვრას ეს მოვლენა მომხდარა, როგორც გამაფრთხილებელი ზომა მტრის თავდასხმის მოლოდინში, თუ მხოლოდ ამ თავდასხმის შედეგი იყო.³²¹ ეს გარემოება ნებისმიერ შემთხვევაში, მოწმობს, რომ ახ. წთ. 75 წ. რომაელთა საჯარისო ნაწილები და მშენებლები უკვე იბერიაში არიან და ამდენად მათი სამხედრო ექსპედიცია ამ თარიღზე უფრო ადრე უნდა დაწყებულიყო.³²² ინფორმაცია იბერიაში რომაელთა აქტიურობის შესახებ მიღებულია ბერძნულ ენაზე შესრულებული წარწერიდან, რომელიც მცხეთის, იბერიის დედაქალაქის, მახლობლად იყო ნაპოვნი: *"თეითმპერობელმა კეისარმა ვესპასიანე სებასტოსმა, დიდმა ქურუმთმთავარმა, შეიღჯერ ტრიბუნის ხელისუფლებით აღჭურვილმა, თოთხმეტჯერ თეითმპერობელად (არჩეულმა), ექვსჯერ კაპატოსმა, მეშვიდჯერ გამოცხადებულმა, სამშობლოს მამამ, ცენზორმა და თეითმპერობელმა ტიტე კეისარმა, სებასტოსის ძემ ხუთჯერ ტრიბუნის ხელისუფლებით აღჭურვილმა, ოთხჯერ კაპატოსმა, მეხუთედ*

³¹⁹ სატალის ადგილმდებარეობისათვის თანამედროვე სადაკთან (ყოფილი საზაქი), იხ. Olshausen & Biller 1984, 163.

³²⁰ იბერიის უძველესი დედაქალაქი - ამავე დროს ქართული წარმართობის წმინდა ალაგი - მოხსენიებულია, როგორც *Ἀρμαζიკი* სტრაბონის მიერ (XI, 3, 5), როგორც *Ἀρμακτικά* პტოლემეისის მიერ (V, 10, 2) და როგორც *Harmastus*-ი პლინიუსის მიერ (VI, 29). კასიუს დიო მხოლოდ მის ფუნქციურ მნიშვნელობას იძლევა - *Ἀκρόπολις* (XXXVII, 1, 4).

³²¹ Halfmann 1986, 48; უფრო გვიან გამოქვეყნებულ წერილში, პ. ჰალფმანი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პირიუს ფრონტოს მიერ აღმოსავლეთის მთავარსარდლობის მიღება, უკავშირდებოდა ალანთა შემოსევას, რომელიც კარგად არის დადასტურებული თანადროული წყაროების მეშვეობით და თარიღდება ახ. წთ. 75-76 წწ. (Halfmann 1991, 42).

³²² Halfmann 1986, 48.

გამოცხადებულმა, ცენზორმა და დომიციანე კეისარმა, სებასტოსის ძემ სამჯერ უპატროსმა, მეოთხედ გამოცხადებულმა, იბერთა მეფეს, მითრიდატეს მეფე ფარსმანისა და (ა) ამაზასპუხის ძეს, კეისრის მეგობარსა და რომაელთა მოყვარულს, და ზალხს ეს კვლევები გაუმავრეს³²³ საინტერესოა, რომ ქართლის ცხოვრება იცნობს ვესპასიანეს, თუმცა იერუსალიმში მის ლაშქრობასთან დაკავშირებით: "და მეფობდეს შემდგომად მისსა ძენი მისნი. ხოლო ამთსა მეფობასა [ქართლის მეფეების - ბარტომისა და ქართამის - გ.ქ.] უესპასიანოს პროძთა კეისარმან წარმოტყუენა იერუსალემი, და მუნით ოტებულნი ურიანი მოვიდეს მცხეთას და დასხდეს ძუელთავე ურიათა თანა, რომელთა თანა ერთნეს შეილნი ბარაბასნი, რომელი ჯვარცმასა უფლისასა განუტყვეს ურიათა უფლისა ჩუენისა იესოს წილ" (I, 44). ცხოვრება ვახტანგ გორგასლისაში, ისევე როგორც ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისაში, ვესპასიანე მის ძესთან, ტიტუსთან, ერთად არის მოხსენიებული: "ვითარცა იტყვს ესაია: ჯიღე და წარწყმდე ყოველი წული მათი, ტიტოს და სასიანიოსის მიერ" (I, 164).

ის გარემოება, რომ ზემომოყვანილი ბერძნული წარწერა ნაპოვნი იყო მცხეთიდან 7 კმ სამხრეთით და არა დარიალის უღელტეხილის მახლობლად, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ ეს თავდაცვითი ნაგებობები აღანთა წინააღმდეგ იყო აგებული, როგორც ამაში ეჭვი ეპარება მ. პაილს.³²⁴ ამ მხრივ რამდენადმე გასათვალისწინებელია ი. რაინეგსის ცნობა, რომ სწორედ მცხეთის ჩრდილოეთით, საქართველოში მის ჩასვლამდე (ანუ 1779 წ.), არცთუ მრავალი წლით უფრო ადრე, ერთ-ერთ მაღლობზე მკვიდრად ნაგებ ნახევრადმიტოვებულ ციხე-სიმაგრეში (აღბათ ბებრის ციხეს გულისხმობს - გ.ქ.) ნაპოვნი ყოფილა ბერძნულ ენაზე შესრულებული წარწერა, თუმცაღა დაუთარილებელი, რომელზედაც ადგილობრივი, ერუდირებული ქართველების მიერ ამოკითხული ყოფილა სიტყვა **აკროფთოპოლისი** (*Acroftopolis*). ი. რაინეგსი ვარაუდობს, რომ ეს უნდა ყოფილიყო მცხეთის ძველი სახელწოდება.³²⁵ მაგრამ, როგორც უკვე ვიცით კასიუს დიო აკროპოლისის (*Ἀκρόπολις*), არმაზციხეს უწოდებდა და არა მცხეთას.

ა. ბოსვორის მიხედვით, ვესპასიანეს წარწერის დიპლომატიურმა ენამ არ უნდა გააბუნდოვნოს ის ფაქტი, რომ რომის საჯარისო ნაწილები განლაგებულნი იყვნენ იბერიაში და რომ ნერონის გეგმა იმპერიის დასავლეთში მომხდარი აჯანყების გამო ჩაშლილი, ატაცებული და ძირითადად აღსრულებული იყო ფლავიუსი იმპერატორების მიერ. მისი აზრით, იბერიაში მდგომი რომაული ნაწილები, წარმოდგენილი *XII Fulminata*-ს ან *XVI Flavia*-

³²³ იხ. ვაუხნიშვილი 1976, 241-244.

³²⁴ Heil 1989, 174შმდ.

³²⁵ Reineggs 1797, 86.

ს ლეგიონერებით, კაპადოკიის ლეგატის ზედამხედველობის
იმყოფებოდნენ.³²⁶

ამავე დროს, მარკუს ჰირიუს ფრონტო ნერატიუს პანსას წარწერა სეპინ-უმიდან (თანამედროვე სეპინო, ტერავეკიაში, იტალია) შემდეგნაირად გვამცნობს მის თანამდებობას: „*leg(atus) pr(o) pr(aetore) [imp(eratoris) Caesaris Vespasiani Aug(usti) exercit]us qui in A[---]*“. ვინაიდან ამ წარწერაში გვხვდება გამოთქმა: „*exercitus qui in... est*“ და არა ჩვეულებრივ ასეთ შემთხვევაში გამოყენებული ფორმულა: „*exercitus qui est in...*“, მ. თორელი დაასკენის, რომ ამ შემთხვევაში აღნიშნულ თანამდებობას კავშირი არა აქვს საზღვარზე მყოფ *exercitus*-ის ჩვეულებრივ სარდალთან. მისი აზრით, ჰირიუს ფრონტოს თანამდებობა, წარწერის მიახლოებული თარიღის, ახ. წთ. 75 წ. (პართიაში ალანთა შეჭრისა და იბერთა მეფისათვის თავდაცვითი გალაუნის აგების ხანა), ისევე როგორც ფრონტოს განსაკუთრებული გამოცდილების გათვალისწინებით აღმოსავლეთის პოლიტიკურ და სამხედრო საქმეებში, ინტერპრეტირებული უნდა იყოს აღმოსავლური ექსპედიციის მთავარსარდლისა შესატყვისად და ამისდა შესაბამისად წარწერის ტექსტი დასრულებული უნდა იყოს შემდეგი სახით: „*leg(atus) pr(o) pr(aetore) [imp(eratoris) Caesaris Vespasiani Aug(usti) exercit]us qui in A[rmeniam Maiorem] n[on] in A[flanos] n[on] in A[flbanos] missus est--*“.³²⁷

ქართული მატრიანების მიხედვით, მცხეთის ბერძნული წარწერის იბერიის მეფის მითრიდატეს დაახლოებით თანამედროვენი გამოდიან ქართლის ორი მეფე, *აზორკი* არმაზში და *არმაზელი* მცხეთაში, რომელნიც ერთდროულად მართავდნენ ქვეყანას. ამიტომ სპეციალისტები ფიქრობენ, რომ სწორედ მითრიდატე II, იბერიის მეფე, უნდა იგულისხმებოდეს ორივე ამ სახელის, *აზორკისა* და *არმაზელის*, ქვეშ. გ. მელიქიშვილის მიხედვით, არ არის გამორიცხული, რომ ზოგიერთ იბერ მეფეს ორი სახელი ჰქონდა ერთი ადგილობრივად გამოყენებული და მეორე, მითრიდატე, რომელიც შესაძლოა წარმოადგენდა გარე სამყაროში გამოყენებულ იბერიის მეფეთა დინასტიურ სახელს და ცნობილი იყო თუნდაც მოვსეს ხორენაცის *სომეხთა ისტორიიდან*.³²⁸

სახელწოდება *არმაზელი* ქართული სადაურობის -*ელი* სუფიქსით არის გაფორმებული და საფიქრებელია, რომ იგი იყო არა მეფის სახელი, არამედ *აზორკის* სახელისადმი დართული ტერიტორიული ეპითეტი, რომელიც *ქართლის ცხოვრების* ტექსტის თანახმად არმაზში მეფობდა. თვით სახელწოდება *აზორკი*, თავის მხრივ, უეჭველად დაკავშირებულია ქართლის პირველი მეფის (*მოქცევაი ქართლისაჲს* ცნობის), *აზოს* სახელთან, რომელიც

³²⁶ Bosworth 1976, 75.
³²⁷ Torelli 1968, 172შმდ.
³²⁸ Меликишвили 1959, 56, 58.



(აზორის მსგავსად?) აგრეთვე ცნობილია *სომეხთა ისტორიებიდან* მიპრდატ/მითრიდატეს ფორმით (II, 8, 11). კ. თუმანოვის აზრით, მსგავს პოლინომიას უნდა აეძულებინა ლეონტი მროველის წყაროს ანონიმური ავტორი, ერთი მეფე ორად "გაეხლინა", რაც უკავშირდებოდა, ერთის მხრივ, ორ მეფეს შორის ქვეყნის ხანმოკლე დაყოფას ახ. წთ. 370-378 წწ., რომელთაგანაც ერთი რომელიცა, ხოლო მეორე - ორანის ვასალი იყო და, მეორეს მხრივ, ახ. წთ. პირველი საუკუნის შუა ხანებიდან მეორე საუკუნის შუა ხანებამდე იბერიაში *პიტიახშთა* ინსტიტუტის არსებობას.³²⁹

მეფეთა ცხოვრება ამ დაყოფას ათარიღებს ახ. წთ. პირველი საუკუნით: "ხოლო პირველსავე წელსა მეფობისა მისისა [ადერკის, ქართლის მეფისა - გ.ქ.] იშუა უფალი ჩუენი იესო ქრისტე, ბეთლემს ურიასტანისასა" (I, 35) და თვით კონკრეტულ მითითებას იძლევა ორივე ამ იბერიული სამეფოს ტერიტორიული განფენის შესახებ: "ხოლო ამას ადერკის ესხნეს ორნი ძენი, რომელთა ერქუა სახელად ერთსა ბარტომ და მეორესა ქართამ. და ამთ განუყო ყოველი ქუყვანა თვისა: მისცა ქალაქი მცხეთა და ქუყვანა მტკუარსა შიდა ქართლი, მუხნარით კერძი ქალაქი და ყოველი ქართლი მტკუარსა ჩრდილოეთი, პერეთითგან ვიდრე თავადმდე ქართლისა და ვერისისა - ესე ყოველი მისცა ბარტომს ძესა თვისსა, ხოლო არმაზით კერძი ქალაქი, მტკუარსა სამხრით ქართლი, ხუნანითგან ვიდრე თავადმდე მტკურისა, და კლარჯეთი ყოველი მისცა ქართამს ძესა თვისსა. და მოკულა ადერკი" (I, 43).³³⁰ *მეფეთა*

³²⁹ Toumanoff 1969, 3. იხ., აგრეთვე, აბაშიძე 1988, 141-144, ქართული ტერმინის პიტიახშის ლათინური შესატყვისისა *vitaxa* (ბერძნული - *πιτιαχσι*, სომხური - *hdešx-ი*. ვეულსე უფრო მისაღებ ეტიმოლოგიად ამ ტერმინისა, რომელიც კლასიკური ხანის ავტორთა მიერ ჩვეულებრივ ითარგმნებოდა როგორც მეფე ან *tetrarch-ი*, მიჩნეულია მისი წარმომავლობა ძველსპარსული **paliti-axšī/a*, რომლის პირველი ელემენტი აღნიშნავს "თავს"; ხოლო მეორე დაკავშირებულია სიტყვასთან - *xšayami* ("ემართავ") (Toumanoff 1963, 155შმდ.); ქართული ისტორიკოსები ამ ტერმინს აიგივებენ ქართულ წოდებასთან *ერისთავი* ("ერის, ჯარის ანუ ხალხის მეთაურის" მნიშვნელობით) (აფაქიძე 1959, 27შმნ. I). კ. თუმანოვის აზრით, თუ არა გვაქვს საქმე არშაკიდების (პართელების) მიერ ამ ტერმინის გამოყენების დოკუმენტური მონაცემების ნაკლებობასთან, ასეთ შემთხვევაში ეს ტერმინი კავკასიაში ძველი სპარსული ენის არსებობის ეპოქაში ჩანს შემოტანილი, თუმცა მეფის ნაცვალთა და მთავარმართებელთა აქემენიდური ინსტიტუტები (პიტიახშთა ფუნქცია), აგრეთვე წინარე-პართული ხანის სელევკიდურ კარზე იჩენდა თავს (Toumanoff 1963, 156, 158). ვინაიდან, ამ ტერმინის ქართული ფორმა, *patiaxšil pitiaxšī*, ძველ სპარსულ პროტოტიპთან უფრო მიახლოებულია ჩანს (შმდ. Toumanoff 1963, 158), მისი წარმომავლობის საწყისი საძებარი ხდება სელევკიდური ან თვით აქემენიდური ხანის მოვლენებთან დაკავშირებით.

³³⁰ მეთორმეტე საუკუნის სომხური თარგმანის მიხედვით: "ადრიკამ [ქართული ტექსტის ადერკი - გ.ქ.] თავისი გვირგვინი თავის ორ ძეს უბოძა, ვაჟო რა ქუყვანა მათ შორის. ქართლი თავისი ვრცელი საზღვრებით დაუტოვა ბარტომს [ქართული ტექსტის - ბარტომი - გ.ქ.]".

ცხოვრების თანახმად, ბარტოში და ქართამი იყვნენ შესაბამისად არმაზელისა და აზორკის პაპები (მამის მამები).

სომხეთში აღანთა ლაშქრობის თაობაზე იოსებ ფლავიუსის გადმოცემას, ამავე დროს ქართლის ცხოვრებისეულ აზორკისა და არმაზელის ამბავთან ეძებნება პარალელი: "ესე მეფენი არმაზელ და აზორკ იყვნეს კაცნი მკნენი და შემართებელნი. და შეითქუნეს ესენი და განიზრახეს ძიება საზღვართა ქართლისათა... ამით მეფეთა ქართლისათა აზორკ და არმაზელ მოუწოდეს ოვსთა და ლეკთა, და გარდამოიფვანნეს ოვსთა მეფენი, ძმანი ორნი გოლიათინი, სახელით ძაზუკ და აბაზუკ, სითა ოვსეთისათა. და მათ გარდამოიტანნეს თანა პაჭხანი და ჯიქნი. და გარდამოვიდა მეფე ლეკთა და გარდამოიტანნა დურძუქნი და დიდონი. და ამით მეფეთა ქართლისათა შემოკრიბნეს სპანი თვსნი და შკერბა ესე ყოველი სიმრავლე ურიცხვ. და სიმარჯვთ ფარულად შკერბეს, ვიდრე შკერბებოდეს სპანი სომეხთანი. და შევიდეს ესენი სომხითს და უგრძნეულად წარმოსტყუენეს შირაკუანი და ვანანდი ბაგრევანამდე და ბასიანამდე, და შეიქცეს და ჩატყუენეს დაშტი ვიდრე ნახტყევანამდე, და აიღეს ტყუე და ნატყუენავი ურიცხვ, და აივსნეს ყოვლითავე ბუასტავითა, და გამოვლეს გზა ფარისოსისა... ესე ყოველნი ჩრდილონი განსრულ იყვნეს მტკუარსა და მისრულ იყვნეს კამბეჩოანს, და დაებანკათ იორსა ზედა, და განიფოდეს ტყუესა და ნატყუენავსა" (I, 45-46).³³¹

რაც შეეხება მდინარე იორზე დაბანაკებულ ადგილს, შდრ. პრისკე პანიონელის (*Hist. Fr.* 47) და იოანე ლიდეს (*De Mag.*, 3, 52) ცნობები, კასპიის კარებთან მიმართებაში მოხსენიებულ იურომატის ან ვირომატის შესახებ, რომელიც შესაძლოა უდაბნოში, იორის ქვემო წელზე იყოს ლოკალიზებული, სადაც უკანასკნელ წლებში დიდი საფორტიფიკაციო კომპლექსი აღმოჩნდა, დათარიღებული გვიანი ბრინჯაოს ხანიდან ადრეულ შუასაუკუნეებამდე.³³² ზემონახსენები ქართლის ცხოვრების აბაზუკი (სომხურ თარგმანში -

ხოლო ქართამს უბოა ბუნანი კლარჯეთამდე. შემდეგ მან სული განუტკეა" (30). იხ. Thomson 1996, 52.

³³¹მეთორმეტე საუკუნის სომხური თარგმანის ტექსტის მიხედვით: "ქართველმა მეფეებმა აზუკმა და აზმაიორმა [აზორკი და არმაზელი - გ.ქ.] დახმარებისათვის მიმართეს მოქირავე ძალებს, ლეკებისა და ოსების მეფეებს, ძაზუკსა და აბაზუკს [აბაზუკი - გ.ქ.], მათ თან წამოიყვანეს პაჭხანები და ჯიქები, დურძუკები და დიდოელები. ქართული ნაწილები ერთ ადგილას შეიკრიბნენ და მოულოდნელად შევიდნენ სომეხთა მიწაზე, როდესაც ეს უკანასკნელნი ვერაღ მყოშბადებელნი იყვნენ, ააოხრეს შირაკი და ვანანდი მასენამდე [ბასიანი - გ.ქ.], შემდეგ მოძრუნდნენ ნახტყევანის ველზე. მათ აიღეს დიდი ალაფი და წაივდნენ ფარისოსის უღელტეხილით. მდინარე კური [მტკუარი - გ.ქ.] სიწმარეში გადალახეს, გადავიდნენ კამბეჩოში [კამბეჩოვანი - გ.ქ.] და დაბანაკდნენ მდინარე იორზე" (შდრ. Thomson 1996, 53შმდ.).

³³² შდრ., ვაუხიშვილი 1965, 240შმდ. შენ.2. იხ. იქვე, 239შმდ. კასპიის კარის შესახებ.

ანაზუკი), ოსეთის ორ მეფე-ძმათაგან ერთ-ერთი, როგორც ჩანს, ეფიფანე პროკოპი კესარიელის ომთა ისტორიის ანაზუკია, რომელიც რომელთან და მათი იმპერატორის, ანასტასი I-ის (დაახლ. 430-518 წწ.) მეგობრად ითვლებოდა, თუმცა ჰუნი იყო წარმომავლობით. ანაზუკის სურდა, მისი კუთვნილი და კასპიის კართან მდებარე ციხე-სიმაგრე ამ კართან ერთად რომაელებისათვის გადაეცა ჯერ კიდევ 502 წ. სპარსელებთან ომის დაწყების წინ (1, 10, 9ff.). ქართლის ცხოვრებაში მისი სახელის ორ ნაწილად ანაზუკად და ანაზუკად "გაყოფა" ალბათ ბიბლიურ გოგსა და მკვთთან ასოცირებით იყო გამოწვეული.

ქართლის ცხოვრების შემომოყვანილი სიუჟეტი გაერთიანებული ქართულ-ჩრდილოკავკასიური ლაშქრობის შესახებ, რომელსაც, სავარაუდოდ ადგილი უნდა ჰქონოდა ახ. წთ. პირველი საუკუნის მეორე ნახევარში, დიდი ექსპრესიით არის აღწერილი მოგვსე ხორენაცის სომეხთა ისტორიაში, თუმცა ავტორი მხოლოდ ქართლის ნახევარს (შდრ., ზემოთ, იბერიის სამეფოს ორ ნაწილად დაყოფის შესახებ) მიიჩნევს ალანთა მოკავშირედ: "იმ ხანებში აღანები შეუთანხმდნენ ყველა მთიელებს, მიიმხრეს ქართველთა ნახევარი ქვეყანაც და დიდძალი ლაშქრით მოეფინნენ ჩვენს მიწა-წყალს. არტაშესმაც შეჰყარა თავისი მრავალრიცხოვანი ჯარი და ატყდა ომი ორ მამაც, მშვილდოსან ნათესავს შორის. აღანებმა ცოტა უკან დაიწიეს, გადალახეს დიდი მდინარე მტკვარი და დაიბანაკეს მის ჩრდილო ნაპირზე. არტაშესი მიჰყვა მათ და დაისჯურა [მტკვრის] სამხრეთით; [მეტოქეებს] მდინარე ჰყოფდა ერთმანეთისაგან" (II, 50).³³³ ამავე ამბის მომდევნო ნაწილი უეჭველად ატარებს ფოლკლორული შემოქმედების ნიშნებს.

კავკასიის ისტორიის სპეციალისტთა შეხედულებით, ქართული და სომხური მატანიეების ეს მონაცემები შესათანაბრებელია იოსებ ფლავიუსის შემომოყვანილ ინფორმაციასთან და ამის გათვალისწინებით იყენებენ მათ მიდიაში ალანთა შესევის კავკასიური გზის (დარიალის უღელტეხილის გავლით) სამტკიცებლად.³³⁴

აღსანიშნავია, რომ იოსებ ფლავიუსის სახელი გვხვდება ქართლის ცხოვრებაში შემავალი თხზულების, მეთორმეტე საუკუნის პირველი ნახევრით დათარიღებული, ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისის ტექსტში

³³³ აბღლაძე 1984, 141.

³³⁴ Еремян 1935, 3; Манандян 1948, 69შმდ.; ინაძე 1955, 317; Меликишвили 1959, 345; Тревэр 1959, 126; Toumanoff, 1969. იმ ვარაუდის დასაბუთებისათვის, რომელიც ამ შემოსევას კასპიის ზღვის სამხრეთითა და რაგის (*Rhagae*) აღმოსავლეთით მდებარე კასპიის კართან აკავშირებდა, იხ. Taubler 1909, 17-22. ი. მარკვარტის აზრით, შუა სპარსული ენის მრავლობითის ფორმა - *Vtkan*, სომხური მრავლობითის - *Wir-k'*-იდან მიღებული და თავის მხრივ *Нуткани*-ების ბერძნულ-ლათინური დასახელებიდან ნაწარმოები, ზოგჯერ ქართველთა აღმნიშვნელადაც გამოიყენებოდა (იხ. Markwart 1930, 80; Chaumont 1976, 126შმდ.).



ეპრაელი იოსების სახით: "ხოლო ამჟამად რა თხრობად მოვიწიე, ვაუბრისა ღმერთისა შევრაცხენ დიდნი იგი და სახელოვანნი გამოშტეტულნი, ვიტყვი შემდეგ უმბროსსა და არისტოვლის ელინთა, ხოლო იოსიასოს ეპრაელსა, რომელთაგანმან ერთმან ტროადელთა და აქვეელთანი შეამკენ თხრობანი, თუ ვითარ აღამეძნონ და პრამოს, ანუ აქილევი და ეკტორი, მერმეცა ოდისეოს და ორენსტესი გეუეთენეს, და ვინ ვის მძლე ექმნა; და მეორემან აღექსანდრესნი წარმოთქუნა მძლეობანი, სიმკნენი და ძლევა-შემოსილობანი; ხოლო მესამემან ვესასანანე ტიტოზის-მიერნი მეტომეთა თვისთა-ზედანი ჭირნი მისცნა აღწერას"(1, 342).

მოვსეს ხორენაცმა შემოინახა ვარიანტი - სომეხთა მეფის, ტრიდატეს აღანთა მიერ მოსალოდნელი დატყვევებიდან დახსნის თაობაზე - იოსებ ფლავიუსის ტექსტის ზემომოყვანილი (ეპრაელთა ომი, 7, 7, 4) და აქვე ისევ განმეორებული ფრაგმენტისა: "ამ ქვეყნის მეფე, ტრიდატი [სომხეთის მეფე თრდატი - გ.ქ.], შევეკა და შეებრძოლა მათ, მაგრამ ბრძოლაში კინალამ ცოცხლად იყო შეჭრობილი; ვიდაცამ მას შორიდან ბაღე ესროლა და თავისაკენ მოქაჩავდა და დაატყვევებდა, მას იმწამსვე თოკი ხმლით რომ არ გადამეჭრა და არ გაქვევლიყო ამის თავიდან ასაცილებლად. ამით შევვლიანებულმა აღანებმა მთლად გააცამტვერეს ეს ქვეყანა და წაასხეს დიდი რაოდენობა ადამიანებისა და თან წაიღეს დიდი აღაფი, ორივე ამ სამეფოში აღებული და უკან თავის ქვეყანაში დაბრუნდნენ". თუმცა სომეხთა ისტორიაში ეს ამბავი უკავშირდება სხვა სახელწოდების მქონე ჩრდილოელ ხალხს - მასილებს - და ამასთანავე ბრძოლის საბოლოო შედეგი სრულიად განსხვავებულად არის აღწერილი, თითქოს ავტორს წინ ედო იოსებ ფლავიუსის ტექსტი და წინასწარი განზრახვით შეეცადა მის ჩანაცვლებას: "თრდატი მეფე სომხეთის მთელი ლაშქრით დაეშვა ვარგარელთა ველზე; იქ იგი შეეჩება და ბრძოლა გაუმართა ჩრდილოელებს. როცა მოწინააღმდეგეები ერთმანეთს მიეტყვენ, [თრდატმა] გმირულად შეუტია მტერს და ორად გააპო მათი ჯარი... ეს რომ მასილთა მეფემ დაინახა, მიუახლოვდა თრდატს, ცხენის აღკაზმულობიდან ამოაძრო გამოქნილი ტყავით დაფარული, მყვისივან დაწნული საბელი და უკნიდან ძლიერად სტყორცნა მას, ოსტატურად მოსდო მარცხენა მხარეზე და მარჯვენა იდლიაზე მაშინ როცა [თრდატს] შემართული ჰქონდა ხელი, რათა დაეკრა ვინმესთვის ხმალი. მას ეცვა იმგვარი ჯაჭკურტაკი, რომელსაც ისრები ვერც კი კაწრავდნენ. რახან [მტრის მეფემ] ვერ შეძლო ხელით დაეძრა ვოლიათი, მან თავისი ცხენის მკერდზე [გამოაბა იგი], მაგრამ ვიდრე ცხენს მთრახხს ვადაუჭერდა, თრდატმა დაასწრო, მარცხენა ხელით სწვდა საბელს და საშინელი ძალით მოჰქაჩა თავისკენ, მარჯველ დაჰკრა ორღესული, შუაზე გააპო მხედარიცა და ცხენის თავ-კისერიც. როცა [მტრის] მთელმა ჯარმა თავისი მეფე და სარდალი ეგზობ

საშინში მკლავით გაჩეხილი იხილა, პირი იბრუნა და გაიქცა. თრღატი გამორდეს მათ და ჰუნთა ქვეყნამდე მისდია...” (II, 85).³³⁵

ქართლის ცხოვრებად იუწყება, აზორეისა და არამაზელის ხანაში ციხე-სიმაგრეთა გამაგრების თაობაზე, მაგრამ მხოლოდ სომეხთა მიერ ჩრდილოური კოალიციის დამარცხების მომდევნო პერიოდში: “...შემოიხუეწეს ორნივე მეფენი ქართლისანი მცხეთას, მოწყლულნი. მაშინ სუმატ [სომეხი სარდალი - გ.ქ.] გამარჯვებული შემოვიდა ქართლად, და მოაოხრა ქართლი, რომელი პოვა ციხეთა და ქალაქთა გარე; ხოლო ციხე-ქალაქთა არა პბრძოდა, რამეთუ არა მზა იყო მსწრაფელ გამოსვლისაგან... ხოლო მეფენი ესე ქართლისანი, არზოკ და არამაზელ, სიფიცხლითა გულისა მათისათა არა შეუშინდეს, არამედ განამაგრნეს ციხენი და ქალაქნი თვისნი...” (I, 47).

ასე, რომ ქართულ-სომხური წყაროების მონაცემები მთლიანობაში ემთხვევიან ახ. წთ. I საუკუნის მეორე ნახევრის შუა ხანებისათვის ისტორიული წყაროების მიერ აღდგენილ სურათს.

ამავე დროს, ჩვენ არა ვართ სავსებით დარწმუნებული, რომ ვესპასიანეს მიერ არამაზციხის გალაგნის გამაგრება მხოლოდ და მხოლოდ ალანთა წინააღმდეგ იყო მიმართული. როგორც ცნობილია, ქვა ვესპასიანესა და მისი შეილების წარწერით ნაპოენი იყო მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის მახლობლად მდებარე რკინიგზის ხიდთან,³³⁶ სამხრეთ-სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან არამაზციხეში შესასვლელის ჩამკეტ საუკეთესო ადგილას.³³⁷ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ვესპასიანეს მოკავშირის, მითრიდატე II-ის ხანის არამაზციხის ნეკროპოლის ერთ-ერთ არამეულ წარწერაში იბერიის პიტიახშის, შარაგასის, სომხეთში მიღწეული გამარჯვებება მოხსენიებული;³³⁸ კ. თუმანოვის განცხადებით, მითრიდატე ყოველ შემთხვევაში ცდილობდა მანც განეგრძო თავისი მამის, ბიძის და ძმის სომხური პოლიტიკა.³³⁹ ნ. დებეუვაში ხაზგასმით შენიშნავს, რომ მაშინ როდესაც ისეთი გამაფრთხილებელი ღონისძიებები, როგორიცაა რომაელთა მიერ იბერიაში ციხე-სიმაგრეების გამაგრება, უტყობა ძირითადად ალანთა მოსათოკად ტარდებოდა, არ არის გამორიცხული, რომ

³³⁵ ად.ალაძე 1984, 169შმდ.

³³⁶ მკ. Меликишвили 1959, 348.

³³⁷ შდრ., Heil 1989, 174შმდ. მეფეთა ცხოვრების მიხედვით, დაახლოებით ამავე ადგილას უნდა მომხდარიყო აღექსანდრემდელი ხანის ლეგენდარული სპარსელი სარდლის არდამის მიერ გალაგნის აგება: “მანვე მოზღუდა მცხეთა ქალაქი ქეთიკართა. და აქამომდე არა იყო ქართლს შინა საქმე ქეთიკართისა. და ამის გამო დაისწავლეს ქეთიკარი. ამანვე არდამ მოჰკიდა კირი-ზღუდე ციხესა არამაზისასა და აქათ მტკურამდის, და წარმოზღუდა ცხური არამაზის ვიდრე მტკურამდე” (I, 13).

³³⁸ აფაქიძე 1959, 72შმდ., ტაბ. LXI.

³³⁹ Toumanoff 1963, 102შ.ნ.154; შდრ., აფაქიძე 1959, 73.



იმავე დროს პართელთა წინააღმდეგაც ყოფილიყო მიმართული. რეგულუსის ცნობილია, ახ. წთ. 76 წ. მ. ულფიუს ტრაიანემ, მომავალი იმპერატორის მამამ, მიიღო ტრიუმფალური ინსიგნიები პართიის მეფის, ვოლოგეს I-ზე მიღწეული რომელიც დიპლომატიური გამარჯვების გამო.³⁴⁰

რომაული სამხედრო ნაწილების ცენტრალურ და აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ყოფნა, როგორც ირკვევა არ იყო ხანმოკლე მოვლენა, რომ არაფერი ვთქვათ ამიერკავკასიის დასავლეთ ნაწილზე, რომელიც თითქმის მუდმივად მათი ძალაუფლების ქვეშ რჩებოდა. ახ. წთ. 95 წ. დაწერილ სტატიუსის (ახ. წთ. 45-96 წწ.) პოემაში "სილვა" კასპიის კარიბჭე წარმოდგენილია კაპადოკიის არმიის მოქმედების ბუნებრივ რეგიონად (*Silv.* 4, 4, 63f.).³⁴¹ ამიერკავკასიაში ფლავიუსთა გვიანდელი ხანის რომაელთა ყოფნის დამატებით მოწმობას წარმოადგენს კავკასიონის ქედსა და კასპიის ზღვას შორის მდებარე გობუსტანში, ქ. ბაქოს სამხრეთ-დასავლეთით, ნაპოვნი წარწერა: "*Imp(eratore) Domitiano Caesare Aug(usto) Germanic(o) L(ucius) Iulius Maximus (centurio) leg(ionis) XII Ful(minatae)*". იგი ამოკვეთილი იყო ბეიუქ დაშის ("დიდი ქვა") კლდეზე და ახ. წთ. 84 წ. მომდევნო ხანით უნდა დათარიღდეს, როგორც ამაზე იმპერატორის წოდება *Germanicus*-ი მიუნიშნებს.³⁴² ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინ ლ. ელნიციკიმ ივარაუდა, რომ ლ. იულიუს მაქსიმუსი, XII ლეგიონის ნაწილიდან, განეკუთვნებოდა აბსარონის, ფაზისის ან პარმოზიკეს რომაულ გარნიზონს.³⁴³ თუმცა იბერიაში, კოლხეთისაგან განსხვავებით, რომელიც რომის იმპერიის ნაწილს წარმოადგენდა, რომაულ სამხედრო ერთეულებს მხოლოდ იბერიის ხელისუფლების ნება-სურვილით შეეძლოთ დგომა. ის გარემოება, რომ იბერიის მეფეები დიდი მეფის ტიტულს ატარებდნენ, უნდა მოწმობდეს იბერიის სამეფოს მნიშვნელოვან პოტენციალზე. არმაზციხის *ნეკროპოლის* სამარხებში გამოვლენილ, ბერძნულ და არმაზული ტიპის არამეულ წარწერებში სხვა იბერ მეფეთა შორის, მეფე მითრიდატეც (რომელსაც ფლავიუსები გალაუნის გამაგრებაში დაეხმარენ) არის მოხსენიებული: *მეფე მითრიდატე, დიდი მეფე, ძე მეფე ფარასმანესი* [ფარსმან I-ი - გ.ქ.], დიდი მეფისა.³⁴⁴

ლეგიონი *XII Fulminata* მოხსენიებული იყო აგრეთვე მდ. არზნის მარცხენა ნაპირზე, კარიაგინოსთან (აზერბაიჯანის რესპუბლიკა) ნაპოვნი და ამაჟამად დაკარგულ ქვაზე.³⁴⁵ აზერბაიჯანშივე, ბუიუქ დელნესთან ნაპოვნი

³⁴⁰ Debevoise 1938, 201შმდ.
³⁴¹ Bosworth 1977, 227.
³⁴² Алиев 1992, 76; Mitford 1980, 1194შნ.57.
³⁴³ Ельницкий 1950, 194.
³⁴⁴ იხ. აფაქიძე 1959, 72შმდ., ტაბ. LXI.
³⁴⁵ Mitford 1980, 1194.

ბერძნული ეპიტაფია განეკუთვნებოდა ახ. წთ. მეორე საუკუნეს საგარეჯოსთან მდებარე შექვესე საუკუნის ნინოწმინდის ტაძრის კედელში ჩასმულ და ვარდულის ბარელიეფებით შემკულ დიდი ზომის ოთხკუთხა ქვიშაქვაზე ამოტვიფრულია უცნაური სახის წარწერა. გამოყენებული ქვიშაქვა ადგილობრივი წარმომავლობის უნდა იყოს და საფიქრებელაა, რომ ეკლესიის აგების დროს მეორადად ყოფილიყო გამოყენებული. მიუხედავად იმისა, რომ ეს წარწერა შეიცავს ცალკეულ ლათინურის მიმსგავსებულ ასოებს, იგი ნამდვილად არ არის ლათინური და არ არის გამორიცხული, რომ რომაელი ჯარისკაცების მიერ გამოყენებულ საიდუმლო დამწერლობით შესრულებულ წარწერას წარმოადგენდეს.

ლათინური და ბერძნული წარწერების გამოვლენის ფაქტი იბერიასა და კასპიის ზღვას შორის მდებარე მხარეში, სავარაუდოდ დაკავშირებული უნდა იყოს რომაელთა და იბერთა ზემოაღნიშნულ საერთო სტრატეგიულ ინტერესებთან, კონტროლის ქვეშ ჰყოლოდათ ამ არეალში განლაგებული უღელტეხილები. იბერიელთა სამფლობელოების აღმოსავლეთის მიმართულებით გაერთელება, რაც ამავე დროს აღმოსავლელი მეტოქეების ხარჯზე მათი პოლიტიკური ძალაუფლების ექსპანსიის გარანტიას იძლეოდა, რა თქმა უნდა, რომის იმპერიის ინტერესებშიც შედიოდა. ამის გამო, *Legio XII Fulminata*-ს მონაწილეობა რომაელი იმპერატორის *კლიენტის*, იბერიის მეფის ლაშქრობაში პართელთა მოკავშირე, ალბანელების წინააღმდეგ, მოსალოდნელი იქნებოდა.³⁴⁷

არმაზისხევში ნაპოენი, ახ. წთ. II საუკუნის ორენოვანი - ბერძნულ-არამეული - ეპიტაფია დამატებით საბუთს იძლევა, იბერიაში რომაელთა, თუ მათ შთამომავალთა ყოფნის მტკიცებების სასარგებლოდ. არამეული წარწერა (ბერძნულსაგან ოდნავ განსხვავებული) გვამცნობს: "*შე სერაფიტი, ასული ზევაზისა, მცირისა პიტაზშისა ფარსმან მეფისა, მეუღლე იოლმანგანისა - ძლევა მოსილისა და მრავალი გამარჯვების მომპოვებელი ეზოსმოძღვრისა ხსეფარნუგ მეფისა ძისა აგრიაფა ეზოსმოძღვრისა ფარსმან მეფისა, ეაება ეაებისა. ის რაც იყო... არადასრულებული და იმდენად კეთილი და მშვენიერი იყო, რომ არავინ იყო მსგავსი სილამაზით, და გარდაიცვალა 21 წლისა*",³⁴⁸ ხოლო ბერძნული ტექსტი იძლევა სერაფიტის მამამთილის სრულ სახელს - *პუბლიკიუს აგრიპა* და მას *პიტაზშად* მოიხსენიებს: "*სერაპიტია, მცირისა პიტაზშის ზევაზის ასული, პიტაზშ პუბლიკიოს აგრიპას ძის, იბერთა დიდი მეფის ქსეფარნუგის მრავალი გამარჯვების მომპოვებელი ეზოსმოძღვრის, იოლმანგანის მეუღლე გარდაიცვალა ახალგაზრდა, 21 წლისა, რომელსაც*

³⁴⁶ Алиев 1992, 76.

³⁴⁷ შდრ., Меликишвили 1959, 351მმდ.

³⁴⁸ წერეთელი 1942, 16.

ჰქონდა უძაღლო სილამაზე".³⁴⁹ ეს პიროვნება, ა. ბოსვორსის შენიშვნით, იქნებოდა იბერიელი დიდებული, რომელმაც რომაული მოქალაქეობა მიიღო. მოქალაქეობის მინიჭება კლიენტო-სახელმწიფოს გამორჩეული წევრებისათვის ხდებოდა იმპერატორის მიერ ბოძებით და მსგავს შემთხვევაში მოსალოდნელი იყო, რომ რომაული მოქალაქეობის მიღებს ეტარებინა იმპერიული ნომენი, თუმცა აგრიპას ძე, იოდმანგანი უკვე სავსებით "გაიბერიელებული" უნდა ყოფილიყო.³⁵⁰

იბერიის სამეფო სახლში დასტურდება რომაული სახელის მატარებელი პიროვნება - ფლავიუს დადესი. მისი სახელი ამოტვიფრულა არმაზციხის ნეკროპოლის ერთ-ერთ სამარხში ნაპოვნ ვერცხლის ლანგარზე: "მე მეფე ფლავიუს დადესმა ვაჩუქე ბერსუმა პიტახშს." "ბერსუმა პიტახშის ქვემოთ ამოკაწრულა სხვა ხელით, დაუღვერად და მკრთალად MAKEΔΟΝΙ - "მაკედონს"³⁵¹. ფლავიუს დადესის სახელის მატარებელი ეტყობა ადგილობრივი პირი იყო, რომლის წინაპრებმა რომაული მოქალაქეობა პრივილეგიის სახით მიიღეს ფლავიუსი იმპერატორისაგან. ამ თასის შემცველი სამარხის კონტექსტი მოწმობს, რომ იგი არ უნდა ყოფილიყო მოწყობილი ახ. წთ. 251 წ. უფრო ადრე, ხოლო თვით თასი, თავისი მოყვანილობითა და შემკულობით მეტად ახლოა ახ. წთ. მესამე საუკუნის შუახანების ვერცხლის თასებთან.³⁵²

მონაცემები ტრაიანეს (ახ. წთ. 98-117 წწ.) დროს იბერიისა და რომის ურთიერთობის შესახებ წარმოდგენილია რომში ნაპოვნი ეპიტაფიით, რომელშიც მოხსენიებულია ახ. წთ. 115 წ. ნიზიბისში პართელთა მიერ მოკლული იბერიის მეფის, მითრიდატეს III-ის ძმა, ამაზასი: "მეფის სახელოვანი ძე ამაზასი, მითრიდატე მეფის ძმა, რომლის მშობლიური მიწაც არის კასპიის ბჳესთან, იბერი იბერის ძე, აქ მარხია წმინდა კლაუსთან, რომელიც აკვო ნიკატორმა მიკლონის ზეთისხილოვან მღინარესთან. გარდაიცვალა თანამგ ზერი ავზონთა წინამძღოლი მეუფისა, მოსული პართელებთან საბრძოლველად, (გარდაიცვალა) უწინ ვიდრე გაისერიდა ხელს (ვაი რომ ძლიერ ხელს) მტრის სისხლში შუბსა, მშვილდსა და მახვილის პირზე, (იყო) ქვეითიცა და მხედარიც, თვით - მორცხვი კლწულულების მსგავსი".³⁵³ ნაერაუღვევა, რომ ამაზასი იყო ტრაიანეს დასახმარებლად ნიზიბისში მისული იბერიელთა ლაშქრის წინამძღოლი.³⁵⁴

³⁴⁹ ვაუხნიშვილი 1976, 246.

³⁵⁰ Bosworth 1977, 231.

³⁵¹ ვაუხნიშვილი 1976, 252.

³⁵² იხ. Braund 1993, 48შმდ.

³⁵³ ვაუხნიშვილი 1976, 245.

³⁵⁴ Debevoise 1938, 222.



მეგობრული ურთიერთობა რომსა და იბერიას შორის შენარჩუნებული იყო მომდევნო საუკუნეებშიც. ერთ-ერთი ასეთი ეპიზოდი, ანტონიუს პიუსის ზეობის (ახ. წთ 138-161 წწ.) ადრეული წლებით დათარიღებული, უკვდავო კასიუს დიომ: "როდესაც ფარასმანესი [ფარსმან II ქველი - გ.ქ.], იბერიელი, რომს ეწვია თავის მეუღლესთან ერთად, ანტონიუსმა განავრცო მისი სამფლობელოები, დართო ნება მას, რათა კაპიტოლიუმში მსხვერპლი შეეწირა და მისი ცხენზე ამხედრებული გამოსახულმა დაღვა ქანდაკებად ბელონის ტაძარში. ანტონიუსი დაესწრო შეიარაღებულ ვარჯიშს, რომელშიც გარდა ფარასმანესი, მისი ძე და სხვა გამოჩენილი იბერიელი დიდებულები მონაწილეობდნენ" (LXIX, 15, 3).³⁵⁵

არმაზციხეზე (ბაგინეთში) უკანასკნელ ხანებში ჩატარებული გათხრების შედეგად აღმოჩენილმა ეპიგრაფიკულმა მასალამ დამატებით გაგვაცნო მეფე ამაზასპის უზოსმოძღვრის ანაგრენესის, აგრეთვე დედოფალ დრაკონტიცისა და მსახურთუხუცესის ანიონის სახელები (ქართული პრესის ცნობა). სავარაუდოა, ეს მეფე ამაზასპ I (ახ. წთ. II ს. პირველი ნახევარი) ყოფილიყო, ამაზასპ II (ახ. წთ. III ს. შუახანები) გამოირჩეოდა მკვეთრი პრო-ირანული ორიენტაციით.

როგორც რომის იმპერიაში, ასევე იბერიაში, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარება, კიდევ უფრო განამტკიცებდა ადრევე არსებულ კავშირურთიერთობებს. IV ს. ერთი ეპიტაფიის თანახმად მცხეთის მხატვართუხუცესი და ზუროთმოძღვარი ყოფილა ვინმე ავრელი აქოლისი.³⁵⁶

ზემომოყვანილი ფაქტები მიუთითებენ არა მხოლოდ რომაელებსა და იბერების ახლო თანამშრომლობაზე, დაფუძნებულზე კავკასიაში მათ საერთო სტრატეგიულ ინტერესებზე, არამედ ზოგიერთი რომაელის ჭეშმარიტ ინტეგრაციაზე იბერიულ საზოგადოებაში. იბერია არ წარმოადგენდა იმდენად ძლევაგამოსილ სახელმწიფოს, რომ სრულიად დამოუკიდებლად შესძლებოდა თავისი პოლიტიკური მიზნების ხორცშესხმა - მრავალი ქვეყნის განსხვავებული ინტერესი კვეთდა ერთმანეთს კავკასიონზე გადაძაველი უმთავრესი უღელტეხილის უშუალოდ სამხრეთით მდებარე ცენტრალურ ამიერკავკასიაში. კ. თუმანოვის აზრით, იბერიის პრეტენზია კავკასიურ *οικουμενη*-ზე და მრავალსაუკუნოვან სრულიად კავკასიურ კოსმოკრატიულ ტრადიციაზე, გაძლიერებული იყო მეზობელი სომხეთის კოსმოკრატიაზე მიღწეული გამარჯვებით, როდესაც ახ. წთ. 35 წ., რომის მოკავშირე იბერიის მეფემ ფარსმან I-მა აიღო სომხეთის დედაქალაქი არტაქსატა.³⁵⁷ როგორც ჩანს, სწორედ რომაული ხანებიდან მომდინარეობს ქართული სახელმწიფოს ხანგრძლივი სწრაფვა, გაერთიანებინა თავის ხელქვეით შავი ზღვიდან კასპიის

³⁵⁵ იხ. Cary 1968, 471.
³⁵⁶ ფაუნჩიშვილი 1943, 577-583.
³⁵⁷ Toumanoff 1963, 1013მდ



ზღვამდე არსებული კავკასიონის ყველა გადასასვლელი, რაც ამჟამად უკვე აღარ არსებობს, გამოიჩაბა ამ ქვეყნის ტერიტორიალური მთლიანობის ფორმულაში "ნიკოფსიდან დარუბანდამდე". როგორც ვხედავთ, აღნიშნული ფორმულა განსაკუთრებულ მახვილს ჩრდილოეთის საზღვრის გაყოლებაზე სვამდა, რომელიც გადაჭიმული იყო დაახლოებით თანამედროვე ტუაფსედან, შავ ზღვაზე, თანამედროვე დერბენდამდე, კასპიის ზღვაზე, და რომლის დაცვა და კონტროლი ამ შუასაუკუნეებრივი სამეფოს ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას წარმოადგენდა.

ცენტრალურ ამიერკავკასიურ მოვლენებში რომაელთა მონაწილეობის კვალი არქეოლოგიურ მონაცემებშიც გამოვლინდა. უკანასკნელ ხანებში, მცხეთის არქეოლოგიური გათხრების წარმოებისას, არმაზციხის ტერიტორიაზე, ახ.წთ. პირველი საუკუნის ტაძრის ცენტრში ნაპოვნი იყო ოთხკუთხა ფორმის კვარცხლბეკი (70 სმ x 70 სმ, სიმაღლე - 32 სმ). იგი დაშხადებულია მონოლითური ქვისაგან და მისი ფრიზი შექმნილია ე. წ. *იონური კოლონადის* გამოსახულებით. კვარცხლბეკის ზედაპირზე შესამჩნევია ადამიანის ტერფის ფორმის ღრმულები, რომლებიც ეჭვს გარეშე ადამიანის ქანდაკებას უნდა განეკუთვნებოდეს. გამოთქმულია აზრი, რომ ეს ქანდაკება რომაელ იმპერატორს (ვესპასიანეს, ტიტუსს ან დომიციანეს) გამოსახავდა და აღმართული უნდა ყოფილიყო მისი თანამედროვე იბერიელი ძეგლის მიერ, რომელიც რომის მოკავშირე იქნებოდა და ალბათ ფლავიუსის *ნომენის* გარდა, რომის მოქალაქეობის მატარებელიც იქნებოდა.³⁵⁸

აღსანიშნავია, რომ ი. რაინეგსის ცნობის თანახმად, მეთვრამეტე საუკუნის მცხეთელები არმაზციხეს (*Hermozika*) ჰორომის ციხეს (*Horum Zighe*) ანუ *რომაელთა ციხეს* უწოდებდნენ; ხოლო მტკვრის საპირისპირო, მარცხენა ნაპირზე არსებული გალაენის ნაშთებს (როგორც ჩანს, ე.წ. "პომპეუსის ხიდის" მახლობლად - გ.ქ.), რომლებიც საკმაო მანძილზე გასდევდნენ მდინარეს და აღიებული წყლისაგან იცავდნენ ნაპირს, ი. რაინეგსი რომაულ ან ბერძნულ ნახელავად მიიჩნევს და კატეგორიულად გამორიცხავს მათ ადგილობრივ ან სპარსულ კუთვნილებას.³⁵⁹

³⁵⁸ ნონეშვილი 1999, 176.

³⁵⁹ Reineggs 1797, 86-88. ი. რაინეგსი აშკარა უკიდურესობაში ვარდება და თვით ქართველთა თვითდასახელებას "ქართველი" ლათინური *ქართულარიორუმოდან* (*Cartulariorum*) წარმოქნილად მიიჩნევს (Reineggs 1797, 70n). თუმცა თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს ტერმინი არმაზციხის, იგივე "დედა ციხე - აკროპოლისის", ანუ *მთა ქართლის* სახელწოდებიდან მომდინარედ არის მიჩნეული (მელიქიშვილი 1965, 238მმდ.). საკითხის ისტორიის თვალთახედვით, საინტერესოა, რომ ე. თაყაიშვილი, ერთ-ერთი ბეჭდის თვალზე (გემაზე) ამოკვეთილ ბერძნულ წარწერას: *Οὐσας πατρίδος Ἰβήρων καρπηδαν* - "უმა პიტიახში კარქედთა იბერთა", კითხულობს როგორც: "უმა, პიტიახში იბერთა-ქართულთა" (თაყაიშვილი 1948, 99მმდ. შტრ.: ვაუხნიშვილი 1976, 253მმდ. უფრო ვრცლად ამის შესახებ, იხ., ქვემოთ).

მონაცემთა ერთობლიობა შესაძლებლობას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ალექსანდრე დიდის მიერ იბერიაში მმართველად დადგენილი თანამებრძოლი *ფროტათოსელის* შესახებ *ქართლის ცხოვრებისეული* ამბავი (I, 18) რომაულ ხანას უნდა უკავშირდებოდეს. როგორც ზემოთ იყო ხაზგასმული, *ქართლის ცხოვრების* ტექსტში აზონის მებრძოლნი მოიხსენიებიან არა მაკედონელებად, არამედ *რომაელ ჯარისკაცებად*. მხოლოდ ახ. წთ. I საუკუნის შუა ხანებში წარმოიქმნა ცენტრალურ ამიერკავკასიაში რომაული სამხედრო ნაწილების დგომის საჭიროება, რათა აღკვეთილი ყოფილიყო ჩრდილოეთიდან მოსალოდნელი შემოსევა, ისევე როგორც სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთის სახელმწიფოების რომაელთათვის არასასურველი მისწრაფებები, გაეფართოვებინათ თავიანთი კონტროლი აღნიშნულ რეგიონზე.

ვინაიდან, *ქართლის ცხოვრებაში* გამოყენებული სიტყვა "ფროტათოსელი" (I, 18) არ შეიძლება ყოფილიყო ბერძნული *πρότατος*-იდან მომდინარე, ქართული *ფ* გადმოსცემს ბერძნულ *ფ*-ს, და არა *პ*-ს (იხ. ზემოთ), უფრო შესაძლებელი თითქოს უნდა ჩანდეს სიტყვა "ფროტათოსელი", რაც *ფროტათოს*-ს ხალხს უნდა ნიშნავდეს, დაუუკავშიროთ ვესპასიანეს ხანის აღმოსავლური ექსპედიციის მთავარსარდლის, მ. პირიუს *ფრონტოს* სახელს (იხ. ზემოთ); ამავე დროს, ეს გარემოება გამოდგებოდა ფრონტოს მიერ მსგავსი თანამდებობის მიღების დასტურად. ცნობილია, რომ მაშინაც კი, როდესაც სამხედრო ნაწილებს მუდმივი სახელი ჰქონდათ მინიჭებული, ისინი მაინც, სიმარტივისათვის თუ პირფერობისათვის, მათი სარდლის სახელით მოიხსენიებოდნენ.³⁶⁰ შესაძლოა, რომ ეს ტერმინი - "ფროტათოსელი" - თავდაპირველად აღნიშნავდა პირიუს ფრონტოს ხელქვეით მყოფ სამხედრო ერთეულს და შემდგომში (ჯერ კიდევ *ქართლის ცხოვრების* შედგენამდე) გაგებული იყო, როგორც ბერძნული სიტყვა, *πρόταται*, მნიშვნელობით "ადგილი ან პოსტი რაიმეს წინ"³⁶¹ (იხ. ზემოთ).³⁶¹ გარდა ამისა, *ქართლის ცხოვრების* ფროტათოსელთა წინამძღოლის *აზონის* წოდება - "პატრიკი" (I, 18), ჩვეულებრივ თარგმნილი ხოლმე - "პატრიციად" (*patrician*),³⁶² შესაძლოა პირიუს ფრონტოს ტიტულის - *adlectio inter patricos* - გამოხატულებას

³⁶⁰ Speidel 1982, 165-172.

³⁶¹ *ბ*-თანხმოვნის უკონხობა მასში შეიძლება აიხსნას ტექსტის რედაქტირებისას მისი ამოღებით. აღსანიშნავია, რომ დამატებითი *ბ*-ბგერის გაჩენა ზოგიერთი თანხმოვნის წინ ტიპური მოვლენაა ზოგიერთი ქართული დიალექტისათვის, მაგ. *კატრა* > *კანტრა*, (მდრ. ჟღერტი 1953, 99შმდ.). ასეთ შემთხვევაში "სუფიქსი" -*ადო-სელნი* უნდა შედგებოდეს წარმომავლობისა და სადაურობის ბერძნული სუფიქსისაგან - *ates/atis* და წარმომავლობის მრავლობითი რიცხვის ქართული სუფიქსისაგან - *სელნი*.

³⁶² Thomson 1996, 25.

წარმოადგენდეს, რომელიც მან ახ. წთ. 73/74 წწ. მიიღო,³⁶³ ანუ უშუალოდ აღმოსავლური ექსპედიციის დაწყებამდე.

თუ მხედველობაში მივიღებთ ალბანელთა ტრადიციულ წინააღმდეგობას რომაელთა მიმართ და ამავე დროს *Legio XII Fulminata*-ს სახელის დამაფიქსირებელი ბეიუქ დაშისა და კარიაგინოს წარწერების აღმოჩენის ფაქტს ყოფილი ალბანეთის ტერიტორიაზე, ასეთ შემთხვევაში პირიუს ფრონტოს მიერ ექსპედიციის ჩატარება ალბანელთა წინააღმდეგ მოსალოდნელად უნდა ჩაითვალოს და ამისდა შესაბამისად შესაძლებელი გახდებოდა სეპინუმის (*Saepinum*) წარწერაში მნიშვნელოვანი *ლაკუნის* ახლებური შევსება,³⁶⁴ ნაცვლად ფართოდ მიღებული რეკონსტრუქციისა, *exercitus qui in Armeniam maiorem*, გვექნებოდა: *exercitus qui in Albanos*.³⁶⁵

რომაულ-ქართული ურთიერთობების თვალთახედვიდან გამომდინარე, მხედველობაშია მისაღები, რომ იბერიის უზუნაესი ღვთაება, არმაზი, რომელიც თუმცაღა ანატოლიური წარმომავლობისა უნდა იყოს, ავლენს ზოგიერთ ნიშან-თვისებას, ტიპურს რომის იმპერიის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ღვთაებისათვის - *Juppiter Optimus Maximus Dolichenus*-ისათვის. ამავე დროს *მეფეთა ცხოვრება* განიხილავს სახელწოდება "არმაზს" მეფე ფარნაეაზის სახელწოდების სპარსულ სახესხვაობად: "და ამანვე ფარნაეაზ შექმნა კერაი დიდი სახელსა ზედა თვისსა: ეს არს არმაზი, რამეთუ ფარნაეაზს სპარსულად არმაზ ერქვა. ამართა კერაი იგი არმაზი თავსა ზედა ქართლისასა, და მიერთიან ეწოდა არმაზი კერაისა მისთვის. და ქმნა სატფურება დიდი კერაისა მისთვის აღმართებულისა" (I, 25).³⁶⁶ კ. თუმანოვის შეხედულებით, ეს ინფორმაცია მოწმობს, რომ ფარნაეაზის სახელი წარმოქმნილია ავესტ. *xarenahvant*, - "ბრწყინვალე", "შესანიშნავე"³⁶⁷ ანდა იმ

³⁶³ შტრ. Halfmann 1991, 41; Eck 2000, 844.

³⁶⁴ *M. Hirri[s] --f. ---n. F]ron[to Neratius Pansa, cos.,] | curotor a[edium sacraru]m et operum locorumq. Publicorum, adlectus ab] | imp. Caesare Ves[pasiano Aug. inter pat]ricios, ab [eodem donatus hastis puris IIII, vexillis IIII, coronis IIII,] murali, vallari, [classica, aurea (?) ----] im [---- | c]ensendo regionis) (decimae), leg. pr. pr[ae]t. imp. Caes. Vespasiani Aug. exercitus qui in Ar[meniam maiorem (?) missus est ----,] | XV vir s. f., leg. pr. pr. imp. [Caes. Vespasiani Aug. pro]vinciae Ca[ppadociae Galatiae Armeniae minoris]-----]". შტრ. Torelli 1968, 173, ტაბ. XI.*

³⁶⁵ შ. პაილის წინადადების შესახებ, განვიხილათ აფრიკა ფრონტოს ექსპედიციის მიზნად და შესაბამისად შევესოთ ზემომოცემული *ლაკუნა*, როგორც: *Africae (exercitus qui in Africae)* (Heil 1989, 165-184), იხ. Halfmann 1991, 41-43), შტრ., აგრეთვე, Eck 2000, 844.

³⁶⁶ სომხური თარგმანით: "მან დაამზადა თავისი დიდი გამოსახულება, ეს არის არმაზი; ვინაიდან ფარნაეაზს არმაზი ერქვა სპარსულად. მან აღმართა ეს გამოსახულება ქართლის შესახელდელთან, რომელსაც დღევანდლამდე ქვეთა არმაზის მთა" (24). შტრ. Thomson 1996, 36.

³⁶⁷ ფარნაეაზის სახელი დაფუძნებულია *farnah*, ანუ *სამეფო დიდების ცნებაზე* (იხ. Rapp 1998, 25).



ეპითეტებიდან, რომელიც განეკუთვნება *თეშუბის* ხეთური ვერსიის კულტს, მიუხედავად *არმაზის ლუნარული* ხასიათისა და მისი კავშირისა *ხეთური* მთვარის ღვთაებასთან - *არმაზთან*,³⁶⁸ არ უნდა გამოირიცხოს მისი არსებითი იდენტურობა *თეშუბთან*, ვინაიდან, ქარიშხალი, წვიმა და ნაყოფიერება - *თეშუბის* საუფლო - იოლად ასოცირდება მთვარის კულტთან, ხოლო ხარის რქები ასევე წარმოადგენენ მთვარის სიმბოლოს.³⁶⁹

მეფეთა ცხოვრების დასკვნითი ნაწილის, *წმიდა ნინოს მიერ ქართლის მოქცევის* მიხედვით, *არმაზის* კერა ადწერილია, როგორც: "...*კაცი ერთი სპილენძისა, და ტანსა მისსა ეკუა ჯაჭვ ოქროსი, და თავსა მისსა ჩაძალახი მყარი, და თუჯანი ესხნეს ზურმუხტი და ბივრილი, და ველთა მისთა აქუნდა კრძალი ბრწყინვალე, ვითარცა ელვა, და იქცეოდა ველთა შინა... და კუალად იყო მარჯუენით მისსა კაცი ოქროსი და სახელი მისი გაცი; და მარცხენით მისსა უღვა კაცი ვეცხლისა, და სახელი მისი გაიმ, რომელნი-იგი ღმერთად უწნდეს ერსა მას ქართლისასა*" (I, 89-90). იგივე ტექსტი სომხურ თარგმანში შემდგენიარად არის წარმოდგენილი: "...*კაცი შემოსილი ბრინჯაოს გულსაფარით და ოქროს მუზარადით, თვალები შემკული ჰქონდა ზურმუხტითა და ბივრილით, ხელში კაკა მახვილი, მსგავსი ელვათა კონისა. ამოძრავებდა მას და შიშში ავლებდა შეკრებილთ... მისგან მარჯვნივ იღვა ოქროს გამოსახულება სახელად გაცი, და მის მარცხენა ხელთან ვერცხლისა - სახელად გაიმი*" (47).

"ელვათა კონა", "მახვილი", "ჯაგშანი" („ქერცილიანი-ჯაგშანი“ ან "გულსაფარი"), *ფრიგიულ ჩართან* ერთად, რომელ სამხედროთა (და არა მხოლოდ მათი) ღვთაების, *Iuppiter Optimus Maximus Dolichenus*-ის დამახასიათებელი ნიშნებია, რომელიც, *არმაზის* მსგავსად, ხეთური რელიგიური პანთეონის ქარიშხლის ღვთაებიდან იღებდა სათავეს. ვინაიდან *Iuppiter Dolichenus*-ი, ანუ სირიული ღვთაება *Hadad*-ი დოლიჩენდან (თანამედროვე დიულიუქი, გაზიანთეფეს ჩრდილოეთით, სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთში), გაბატონდა რომელ დამპყრობლებზე, როდესაც მათ, ძვ. წთ. 64 წ., დაიპყრეს და შეიერთეს სირია. მან მიიღო რომელთა უმაღლესი ღვთაების - *Iuppiter Optimus Maximus*-ის - სახელი და განასახიერებდა არა მხოლოდ აღმოსავლურ, არამედ აგრეთვე ბერძნულ აზრობრივ წარმოდგენებს. *Iuppiter Dolichenus*-ი იყო „მთელი სამყაროს დამცველი“, რომელთა ხელისუფლებისა და მათი იმპერატორის ძირითადი

³⁶⁸ Tarchnishvili 1961, 36-40. ქართულ-მცირეაზიულ ღვთაებათა მსგავსების შესახებ, იხ. ვიორგაძე 1985, 147-157.

³⁶⁹ Toumanoff 1963, 100შენ.151. ხარის კულტი, ადგილობრივი პაგანიზმის გადმონაშთი, მკაფიოდ არის აღბეჭდილი ქართული ქრისტიანობის ადრეული სტადიის რელიგიურ მონუმენტებზე.

მხსნელი და ამავე დროს, რომაული ძალაუფლების ხელშემწყობი აღმოსავლეთში მისი გავრცელებით.³⁷⁰

განსაკუთრებით საინტერესოა არმაზის თავსაბურავის აღწერა, როგორც *მყარი ჩაბლაბისა* (I, 89). ზედსართავი "მყარი" არმაზის თავსაბურავთან მიმართებაში მოსალოდნელი გახდებოდა თუ საქმე გვექნებოდა "ფრიგიული ჩაჩის" მსგავს საგანთან, ვინაიდან საკუთრივ ქართული ტიპის "ჩაბლაბი" (*ყაბლაბი*) წარმოადგენს სინამდვილეში მეტად "არამყარ" ქსოვილის ნაჭერს სამკუთხად გამოჭრილი ზედა ნაწილით, *ფრიგიული ჩაჩის* მსგავსად, და მკერდსა და ზურგზე შემოკრული გრძელი ტოტებით.

არმაზის მარჯვენა და მარცხენა მხარეს განლაგებულ ოქროსა და ვერცხლის კერპებს, *გაცსა* და *გაიმს* (*მოქცევაი ქართლისაჲს - გაცი* და *გა*), როგორც ჩანს, შზისა და მთვარის გამოსახულებებს, პარალელი ეძებნებათ დოლიქენური პანთეონის ღვთაებების *Apollo Citharoeus*-ის და *Diana Lucifera*-ს სახით. ნავარაუდევია იყო, რომ *Diana* იყო *ლუნარული* პარტნიორი *სოლარული Apollo*-სი და რომ მათ ზუსტად განსაზღვრული მუდმივი დოქტრინალური პოზიცია ეკავათ *Iuppiter Dolichenus*-ის თეოლოგიაში.³⁷¹

შზისა და მთვარის ღვთაებების მკაფიოდ გამოხატული დაქვემდებარებული მდგომარეობა *Iuppiter Dolichenus*-ისადმი გვხვდება საკუთრივ დოლიქეში ნაპოვნ ბრინჯაოს ფილაზე, რომელზედაც ორივე ეს ასტრალური ღვთაება გამოსახულია ვარსკვლავებით გარემოცული *Iuppiter Dolichenus*-ის ფერხთ (შდრ. *ქართლის ცხოვრება*, I, 18). არა მხოლოდ *Appolo*-სი და *Diana*-სი, არამედ აგრეთვე სხვა ღვთაებების ხშირი გამოსახულება *Iuppiter Dolichenus*-თან - *Hercules*-ის და *Minerva*-სი, *Isis*-ს და *Serapis*-ის, ღვთაებრივი ტყუპების, *dioscur*-ების, *Castor*-ის და *Pollux*-ის, *Juno Dolichena*-სი და *Asclepius*-ის და ა.შ. - მისი კულტის ერთ-ერთი ვველაზე უფრო თავისებური გამოხატულებაა.³⁷²

მეცნიერთა შეხედულების თანახმად, *გაცი* და *გა* (*გაიმი*) შეესაბამებოდნენ ანატოლიურ ღვთაებებს, *Attis*-სა და *Kibela*-ს, მაშინ როდესაც იბერიული თეოლოგიური იერარქიის მეორე ღვთაება, *ზადენი*, იყო იგივე *Sandaš/Santaš*-ი, ვეგეტაციისა და ნაყოფიერების ხეთური ღვთაება.³⁷³ იბერიის რელიგიური პანთეონი უტყობა ძირითადად შედგებოდა სინკრეტული ხასიათის ღვთაებებისაგან, რომელთა დამახასიათებელი თვისებები შემდგომში გამბიდრებული იყო რომაული ცივილიზაციისათვის დამახასიათებელი

³⁷⁰Speidel 1978, 1; Speidel 1980, 7-13, 17-18, figs. 7, 9, 11, 21, 38, 41; Schwertheim 1991, 40.

³⁷¹ Speidel 1978, 21-24. აღსანიშნავია, რომ ოქროსა და ვერცხლის ჭურჭლეული გამოყენებული იყო *Iupiter Dolichenus*-ის კულტში (Speidel 1980, 17).

³⁷²Speidel 1980, 12, 16, 18, fig. 31.

³⁷³ Tseretheli 1935, 45-50.



თავისებურებით. ცენტრალური ამიერკავკასიის მოვლენებში რომაელთა მონაწილეობის ინტენსიურობას შეეძლო დაემჩნია თავისი კვალი ადგილობრივად არსებულ რელიგიურ წარმოდგენებზე.

ქართულ და სომხურ მატიანეებში მოხსენიებული, პირველი ქართველი მეფის აზოს თუ მითრიდატე/მიპრდატის შესახებ არსებულ ინფორმაციებში ნაგულისხმევი პრობლემის მნიშვნელობასთან დაკავშირებით, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გვიან IV - ადრეულ III საუკუნეების ცენტრალურ ამიერკავკასიაში მართლაც ჰქონდა ადგილი გარკვეულ მოვლენებს, რომლებიც დაკავშირებული იყო აღმოსავლეთ საქართველოს (იბერიის) ისტორიული განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნიშანს ეკავებოდა - სახელმწიფოებრიობის წარმოქმნასთან. მოქცევა ქართლისა და სომხთა ისტორიის მონაცემები აღადგენენ იმ მოვლენებს, რომელთაც საწყისი სტიმული აღექვსანდრე დიდის მიერ აქემენიდთა იმპერიის დაპყრობით მიეცა და რომლებმაც გამოიწვია პოსტ-ალექსანდრულ ხანაში აღმოსავლეთქართული (იბერიული) სახელმწიფოს წარმოქმნა-ჩამოყალიბება.

მეორეს მხრივ, იბერიის პირველი მეფის, აზოს უკვე დამახინჯებული ამბავი, სუბლიმირებული ქართლის ცხოვრების სიუჟეტში იბერიის მაკედონელი დამპყრობელის, აზონის შესახებ, როგორც ჩანს, თავის მხრივ აღრეულია, რომელიმე ვერაჯერობით უცნობ წყაროსთან, მიძღვნილთან ცენტრალურ ამიერკავკასიაში რომაელთა მიერ (სავარაუდოდ ფლავიუსთა ხანაში - ახ. წით. 69-96 წწ.) ჩატარებული ღონისძიებებისადმი.

რომაელთა ერთ-ერთი კარდინალური ამოცანის - ახლო აღმოსავლეთში Pax Romana-ს შენარჩუნების - ვეელაზე უფრო ხელსაყრელ შესაძლებლობას კავკასიის უღელტეხილებზე განხორციელებული კონტროლი იძლეოდა. ამიერკავკასიაში რომაელთა ძირითადი ამოცანა, არა იმდენად კავკასიაში ჩრდილოეთიდან გადმოსული ბარბაროსებისათვის გზის გადაკეტვა იყო, რამდენადაც მათი საკუთარი სტრატეგიული ინტერესებისათვის დაქვემდებარება. მხოლოდ ასეთი საშიშროების არსებობის შესაძლებლობაც კი უკვე მნიშვნელოვან იარაღს წარმოადგენდა რომაელთა ხელში, მიმართულს მათი აღმოსავლელი ოპონენტების საწინააღმდეგოდ. იბერიელები, რომელთა ძალაუფლება კავკასიის კარიბჭეზე ვრცელდებოდა, ამ ცნების ვეელაზე ფართო გაგებით, დარიალის უღელტეხილიდან მცხეთა-არმაზამდე - რეგიონში რომაელთა ვეელაზე მნიშვნელოვან მოკავშირეები იყვნენ. მრავალ უღელტეხილზე გაბატონებულ იბერებს შესაძლებლობა ჰქონდათ კავკასიონზე გადმოეყვანათ ჩრდილოელი მეძობოლები და წარმატებით გამოეყენებინათ ისინი საკუთარი და თავიანთი მოკავშირეების პოლიტიკური მიზნების შესაბამისად. იბერიის ხელისუფალნი პერმანენტულად და დიდი წარმატებითაც იყენებდნენ თავიანთი ქვეყნის ხელსაყრელ სტრატეგიულ



მდებარეობას, რათა გაეწონასწორობინათ გარესამყაროს ვეველა მხრიდან მომდინარე ძალთა ზეწოლა.

როგორც იბერიის სამეფოს “არსებობის არსი”, ასევე კლასიკური ეპოქის სხვა ახალი სახელმწიფოების, ალბანეთისა და კოლხეთ-ლაზიკის (ეგრისის), მნიშვნელობა განპირობებული ჩანს, ამიერკავკასიის საერთო გეოგრაფიული მდებარეობით დიდი კავკასიონის მთაგრეხილის სამხრეთით და შესაბამისად, აღნიშნული სახელმწიფოების როლით ამ მთაგრეხილის სტრატეგიული ფუნქციის მქონე ზეკარების კონტროლის საქმეში. ისინი წარმოადგენდნენ ცივილიზებული სამყაროს (ბერძნული - *ოიკუმენე*, რომაული - *orbis terrarum*) ძნელად გადასალახავ ბასტიონებს *კავკასიის კარიბჭის* გადაღმა მდებარე და იქიდან შემოჭრილი მომთაბარე ტომებისათვის. თუმცა, არსებობდა აშკარა სხვაობა იბერიისა და ნაწილობრივ ლაზიკის - დასავლურ (ბერძნული სახელმწიფოები, რომისა და ბიზანტიის იმპერიები), და ალბანეთის, სომხეთთან ერთად, აღმოსავლურ (ირანი, პართია) პოლიტიკურ ორიენტაციას შორის.

რომაელებსა და იბერებს, ერთიდაიმავე *orbis terrarum*-ის შემადგენელ ნაწილებს შორის არსებული მჭიდრო თანამშრომლობა, დაფუძნებული საერთო სტრატეგიულ ინტერესებზე, მოითხოვდა იბერიულ საზოგადოებაში რომაელთა სამხედრო კონტიგენტის ინტეგრაციას - კაპადოკიასა და ამიერკავკასიაში განთავსებული რომაელთა სამხედრო ძალები მათივე გვეგემების განხორციელების გარანტებს წარმოადგენდნენ. სავარაუდოა, რომ სწორედ ამ გარემოებით უნდა ყოფილიყო განპირობებული ქართულ საზოგადოებაში *ფროტათოსელთა* გათქვების შესახებ *ქართლის ცხოვრებისეული* ცნობის აღმოცენება.

ასეთი შესაძლებლობის არსებობის არაპირდაპირ საბუთს იქნებ წარმოადგენდეს *მეფეთა ცხოვრებაში* სავესებით ცხადად გამოხატული, ქართველების სპარსელებთან აღრევის საწინააღდეგო ტენდენცია. მატანემ შემოგვინახა ქართული არისტოკრატიის დამოკიდებულება სპარსეთის მეფის ძის (მომავალი მეფე მირიანი) ქართლის მეფედ მოვლენისა და ქართლის სამეფო ოჯახის ერთადერთი წარმომადგენლის, მეფის ასულის აბეშურას მეუღლედ გახდომის მიმართ: *“ვითხოვთ მისგან [სპარსეთის მეფისგან - გ.ქ.] დამჭირვა სჯულსა ზედა მამათა ჩუენთასა, და ვითხოვთ ჩუენ თანა არა აღრევა სპარსთა და წარჩინულად პერობა ჩუენი. ნუ უკუე შეიწყნაროს ვედრება ესე ჩუენი... მაშინ სიკუდილი უმჯობეს არს თავთა ჩუენთათვის ვიდრე მონაზვასა ესევითარიასა. დავსხხნეთ თავნი ჩუენნი ციხეთა და ქალაქთა შინა და მოვსწედეთ ყოველნი”* (I, 63).

მეფეთა ცხოვრების თითქმის მთელი ტექსტის გაყოლებაზე შეიმჩნევა მკვეთრად გამოხატული ნეგატიური დამოკიდებულება სპარსეთის მონარქიისადმი. ასეთი განწყობილების ჩამოყალიბება ძნელად წარმოსადგენი



იქნებოდა ახ. წთ. VII საუკუნის შუახანების მომდევნო პერიოდში, მას მერე რაც სპარსელებმა არაბებისაგან სრული მარცხი განიცადეს. თვით პერმანენტულ არიულ-თურანულ დაპირისპირებისას ქართველი მემატიანის სიმპატიები თურქების მხარეზეა, რომლებიც ჯერ კიდევ ალექსანდრეს გამოჩენამდე მოსულან მცხეთაში და სპარსელთაგან დამარცხებულები იქ თავშესაფერს ეძებდნენ. მისი სიტყვებით: "და იყვნეს ესე თურქნი და ქართველნი ნებისყოფელ ერთმანერთისა, მოულოდეს მოსლვასა სპარსთასა, ამაგრებდეს ციხეთა და ქალაქთა. მას ეამსა შინა სდათააც ვინ მივიდის ტყრის-მოქმედთაგან საბერძნეთით, ვინა ასურით ოტებული, ვინა ბაზრეთით, ყოველივე დაიმგობრიან ქართველთა შემწეობისათვის სპარსთა ზედა" (I, 15).

ადმოსავლურ პოლიტიკურ ფორმაციებისადმი მკვეთრად გამოვლენილი საწინააღმდეგო განწყობა და პროდასავლური ორიენტაცია გამოვლენილი კლასიკური ხანის შემომოხსენიებული წერილობითი და ეპიგრაფიკული წყაროებისა და ქართული მატიანეების მიერ, წარმოადგენდა საქართველოს მთელი ისტორიის ლათიმოტივს, ჩასახულს ჯერ კიდევ წინაკლასიკური ხანებიდან, და შესაძლოა ეს იყო ერთ-ერთი უძთავრესი მიზეზი მეოთხე საუკუნის პირველ ნახევარში იბერიის გაქრისტიანებისა.

ამასთანავე, პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი წინა- და ადრექრისტიანულ იბერია/ქართლში ზსიათდება საკმაოდ მკვეთრი დაპირისპირებებითა და ხშირი მერყეობებით. ამის საილუსტრაციოდ გამოდგებოდა ცნობები კართაგენელთა ამიერკავკასიაში აქტიურობის შესახებ.

კართაგენელთა შესახებ ამიერკავკასიულ მასალებში არსებული ცნობები. ახ. წ. V ს. პირველი ნახევრის სომხეთში მომხდარი ამბების აღწერისას, VII ს. სომეხი ისტორიკოსი სებეოსი თითქოს იუწყება მის ქვეყანაში კართაგენელთა ხანმოკლე გაბატონების შესახებ. კერძოდ, სებეოსის ისტორიის მიხედვით, არშაკიდებისა და ვარამ შაპუჰის ხანის დამთავრების შემდეგ სომხეთში გაბატონებულა ხალხი „კარქელოვმაეცის“ (ყარქნოქსკახეჩი)³⁷⁴ სამთავროდან; დიდ მოგვებთან და სამეფოს უმთავრეს ნახარებთან ერთად შემუშავებულა სომხეთში ქრისტიანობის ამოძიკვის გეგმა. სებეოსი იქვე განმარტავს, რომ ეს ამბავი შეეხება

³⁷⁴ ცნობილია, რომ ბევრად უფრო ადრე, ძვ. წთ. II ს-ის დასაწყისში, სომხეთში იმყოფებოდა დიდი კართაგენელი მხედართმთავარი და სახელმწიფო მოღვაწე ჰანიბალი (ძვ. წთ. 247/246-183 წწ.). იგი სომხეთში მეფე არტაშეს I-ის მიერ ყოფილა შეფარებული და, პლუტარქეს ცნობით, სომხეთის მეფეს ეხმარებოდა „არმენიის კართაგენად“ (έν Αρμενίης Καρχεδόν) წოდებული სომხეთის სამეფო ქალაქის არტაშატის დაგვემარებაში. კართაგენის ფინიკიურ-პუნიკური სახელწოდება – Kart Hadašt-ი ბერძნულში Καρχεδάων-ის ფორმით დამკვიდრდა. აქედან იღებს იღებს სათავეს კართაგენის აღმნიშვნელი სომხური ფორმაც - ყარქნოქსკახეჩი.

ბოროტი იაზკერტის მეფობის ხანას. „ბოროტი იაზკერტში“ ირანის სანიათი შაჰი იაზდგერდ II იგულისხმება, რომლის ზეობის წლები (438-457 წწ.) ქრისტიანთა და სხვა არაზოროასტრელთა განსაკუთრებული ჩაგვრით იყო გამორჩეული.

თუ სებეოსის ცნობას დავეყრდნობით, სომხეთში *კარქედოვმაეციის* სამთავროს ხალხის გაბატონების ხანა მოქცეული უნდა იყოს ვარამ შაჰუჰის გარდაცვალების ხანიდან იაზდგერდ II-ის მეფობის დამთავრების ხანამდე ანუ უნდა განისაზღვროს დაახლ. 417-457 წწ. შუალედით³⁷⁵.

სებეოსის ტექსტის კომენტატორების აზრით, *კარქედოვმაეციელებში* სპარსელები იგულისხმებიან, ვინაიდან უშუალოდ მომდევნო წინადადებაში ნახსენებია დიდ მოგვებთან და სამეფოს უმთავრეს ნახარაგებთან ერთად სომხეთში ღვთისმოსაობის მოსაბობის გადაწყვეტილების არსებობა. სებეოსის რუსულად მთარგმნელი კ. პატკანიანი შენიშნავს, რომ მან ვერ შეძლო ამ სახელის განსაზღვრა, თუმცა კი იგი სპარსელებს უნდა აღნიშნავდეს³⁷⁶. ეს ვერც მეორე მთარგმნელს, ს. მალხასიანცს მოუხერხებია, რომელმაც, V ს. სომეხი ისტორიკოსის ელიშეს ცნობასთან შეთანაბრებით, სადაც შესაბამის ადგილას სასან სპარსის შთამომავლობის მიერ სომხეთის დაპყრობის შესახებ არის საუბარი³⁷⁷, სებეოსის მიერ მოხსენიებული, „*კარქედოვმაეციის* სამთავროს ხალხი“ შეცვალა „*კარქედოვმაეციის* დინასტიის გვართ“ (*род Карк'edomской династии*), თუმცა იქვე შენიშნა, რომ მისთვის უცნობია, თუ რატომ უნდა შერქმოდათ სასანიანებს ეს სახელი³⁷⁸.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, გასათვალისწინებელია პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის მედალიონთა განყოფილებაში მე-19 საუკუნიდან დაცული და გაურკვეველი წარმომავლობის ონიქსის ბეჭედი (მისი ანაბეჭდი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ინახება). ბეჭდის თვალი წარმოადგენს გემას, სასანიანთა ყაიდაზე ამოკვეთილი მამაკაცის პროფილს, ხოლო გამოსახულებას ირგვლივ დართული აქვს მისი ძალაუფლების დამამოწმებელი წარწერა ბერძნულ ენაზე – [Α]ϪΟΥϪΑϪ

³⁷⁵ როგორც ცნობილია, ვრამშაჰუჰის შემდეგ გამეფებულა ხოსრო IV (417-418 წწ.), ხოლო 418-422 წწ. სომხეთის ტახტზე შაჰის იაზდგერდ (იუზდიგერდ) I-ის (399-420 წწ.) ძე შაჰუჰი; 422 წელს ტახტს იბრუნებს ვრამშაჰუჰის ძე არტაშესი/არდაშირი. 428 წლიდან სომხეთში დადგა უმეფობის ხანა და ძალაუფლება გადაეცა იაზდგერდ I-ის მეორე შვილის, ახალი და წარმატებული შაჰის ვაჰრაამ V-ის (420-438 წწ.) მიერ დანიშნულ მარზპანს, რითაც დაიწყო სომხეთში მარზპანატის ეპოქა არაბობის ხანამდე გაგრძელებული. დაახლ. 442 წელს არმენიის მარზპანი ხდება ვასაკ I სვინიელი, რომელიც ქვეყანას 451 წლამდე განაგებდა.

³⁷⁶ Патканьян 1862, 22-23.

³⁷⁷ Малхасянц 1939, 148, прим. 38.

³⁷⁸ Малхасянц 1939, 26, 148, прим. 38.



მართალია, წარწერაში სავსებით ნათლად იხმის კართაგენის სახელი, მაგრამ მკვლევრები ერთთავად გამორიცხავენ მასში ჩრდილოეთ აფრიკაში მდებარე ქალაქის დანახვის შესაძლებლობას და არც იქვე მოხსენიებულ იბერებს უკავშირებენ პირენეს ნახევარკუნძულზე მცხოვრებ იბერებს. ამას თუნდაც ის გარემოება უშლის ხელს, რომ პიტიახშის ინსტიტუტის არსებობა მხოლოდ ირანსა და მის მომიჯნავე ტერიტორიებზეა საგულგებელი და დასტურდება კიდევაც ამიერკავკასიაში. მიუხედავად იმისა, რომ სიტყვა „კარხედის“ მნიშვნელობა გაურკვეველი რჩება, თ. ყაუხჩიშვილის აზრით, იგი აშკარად განსაზღვრავს ეთნონიმს „იბერი“ და მიანიშნებს ბეჭდის მფლობელი პიტიახშის „კარხედ“ იბერობაზე და შესაძლოა ამით „ქართველ იბერთა“ განსხვავებაზე „ესპანელი იბერებისაგან“.

„კართაგენელი“ იბერებისა და მათი პიტიახშის „უსას“ იდენტიფიცირების საკითხთან დაკავშირებით არაერთი აზრი არის გამოთქმული: პ. პეეტერსი შემდეგნაირად თარგმნიდა წარწერას: „აშუშა პიტიახში კოლხელი იბერებისა“³⁷⁹, პ. ინგოროვია: „აშუშა პიტიახში იბერთა-კარქედისა (ანუ კლდეკარის)“³⁸⁰, ექ. თაყაიშვილი: „უშა, პიტიახში იბერთა-ქართლელთა“³⁸¹. ფრ. აკინეანის აზრითაც, *კართაგენელ იბერებში* გუგარქის ხალხი, გოგარენელები უნდა იგულისხმებოდნენ. კ. თუმანოვს ეს მოსაზრება სავსებით დასაშვებად მიაჩნია, თუმცა შენიშნავს, რომ ამას ხელს უშლის ამ ორ სიტყვას შორის არსებული დიდი ფონეტიკური დაშორება³⁸². აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ ვ. ვესტერგარდი აკავშირებდა ქართველებთან სებეოსისეულ „კარქედოვმაეცის“ ხალხს³⁸³.

აღნიშნული ბეჭდის „კარხედონთან“ სებეოსის ისტორიაში მოხსენიებული კარქედოვმაეცის“ შესაძლო კავშირზე წურადლება, პირველად კ. კეკელიძემ გაამახვილა³⁸⁴. მის მიერ ტერმინ „იბერონ კარხედონში“ ე. წ. სასანიანთა იბერების დანახვა, ძირითადად, დამყარებულია სებეოსისეული ტექსტის ს. მალხასიანცის ზემოაღნიშნულ კონიექტურაზე და შესაბამისად მასაც პიტიახშის ბეჭდის წარწერაში სასანიანთა დინასტია აქვს ნაგულისხმევი; ამის შედეგად კი წარწერა შემდეგნაირად იმიფრება: „აშუშა,

³⁷⁹ Peeters 1935, 274-279.

³⁸⁰ კეკელიძე 1949, 125-132.

³⁸¹ კუფტინი 1949, 315-322.

³⁸² Toumanoff 1963, p. 188, n. 188. კერძოდ, იგი არადაამაჯერებლად თვლის ფრ. აკინეანის ვარაუდს, „გუგარქისაგან“ ნათესაობითი ბრუნვით ნაწარმოები ფორმის გუგარაჩის შესაძლო კავშირს ტერმინ კარქედოვმაეცთან

³⁸³ Патканьян 1862, 181, прим. 48.

³⁸⁴ კეკელიძე 1949, 125-132.

სასანელთა (ანუ სპარსეთის) იბერების პიტიახში“ (*πιτιάχης τῆς περιουχῆς Ἰβηρίας*)³⁸⁵. თუმცა კ. კეკელიძესთან, ისევე როგორც ს. მალხასიანცის კომენტარში, გაურკვეველი რჩება ტერმინ *კარქედოვმაეცი*ს ეტიმოლოგია.

კარქედოვმაეცელების უშუალოდ სპარსელებთან გაიგივებას ხელს უნდა უშლიდეს ის გარემოებაც, რომ სებუოსთან ეს „ხალხი“ (*αἰχμ* – ერი, people, народ) მხოლოდ „სამთავროს“ (*ἡγεμονία* – სათავადო/საერისთავო, principality, княжество) მფლობელია (*αἰχμ*ს *Καρκεδονία*ს *ἡγεμονία*ს – კ. პატკანიანის მიხედვით, „народ Кархедомского княжества“; რ. ბედროსიანცი: „the people of the Kark'edovmayets'i principality“), სასანიანთა ძლევამოსილი იმპერიისაგან განხვავებით, რომელსაც უფრო შეესაბამება მომდევნო წინადადება, სადაც საუბარი შეეხება, სომხეთში ღვთისმოსაობის განადგურების განზრახვის დაგეგმვას მოგვებთან და „სამეფოს“ (*βασιλεία*ს – kingdom, царство) (და არა „სამთავროს“ – გ. კ.) დიდებულებთან (*ἐπισημοὶ*ს) კავშირში. ვინაიდან თვით სებუოსი აცხადებს, რომ სხვა ავტორების მონაცემების მიხედვით, ეს ამბავი (*კარქედოვმაეცი*ს სამთავროს ხალხის გაბატონებისა და სომხეთში ღვთისმოსაობის მოსპობის გეგმის) შეეხება ბოროტი იაზკერტის შეფობას, საგარაუდოა, რომ მოხდა ორი განსხვავებული, თუმცა შინაარსობრივად და ქრონოლოგიურად რამდენადმე ახლო მდგომი ამბავის ერთმანეთში აღრევა: 1. *კარქედოვმაეცი*ს „სამთავროს“ ხალხის გაბატონების; 2. ბოროტი იაზკერტის მიერ ძლევამოსილი მოგვებისა და მისი „სამეფოს“ უმთავრესი დიდებულების თანადგომით სომხეთში ღვთისმოსაობის აღმოფხვრის. სხვა შემთხვევაში, ძნელი ასახსნელია ერთმანეთის მომდევნო ორ წინადადებაში, ჯერ „სამთავროსა“ და შემდეგ „სამეფოს“ მოხსენიება.

როგორც ვხედავთ, ძირითადი წინააღმდეგობა საკითხის გარკვევასს მაინც ტერმინოლოგიური ხასიათისაა. არც ის არის გამოსარიცხი, რომ პიტიახშის ბეჭდის წარწერაში მართლაც „კართაგენი“ ყოფილიყო მოხსენიებული და აქ შესაძლებელია თავს იჩინდეს ის ტრადიცია, რომელიც კ. კეკელიძის განმარტებით, ამა თუ იმ დაწინაურებული გვარის გენეალოგიას იწყებს ხოლმე რომელიმე გამოჩენილი და ცნობილი ადგილისა ან პირისაგან, როგორც მაგ., ბაგრატიონები „დავითიან-სოლომონიანს“ უწოდებდნენ თავიანთ თავს და იერუსალიმიდან გამოჰყავდათ საკუთარი გვარი³⁸⁶. ამ მხრივ გასათვალისწინებელია, რომ მოვსეს ხორენაცის გადმოცემით, დარეჰის (სპარსეთის მეფის დარიოს III-ის)

³⁸⁵ კეკელიძე 1949, 128.

³⁸⁶ კეკელიძე 1949, 130.



ნახარარი მიჰრდატი წამოიყვანა ალექსანდრე დიდმა და მთავრად დაუსვა ნაბუქოდონოსორის მიერ ლიბიელთა და ივერთა ქვეყნებიდან ტყვედ მოქცეული და პონტოს ზღვის მარჯვენა მხარეს დასახლებულ ივერიელთა მოღმას, ხოლო მის ნაშიერს, ასევე მიჰრდატს, სომეხთა მეფემ არტაშესმა ჩრდილოეთის მთებისა და პონტოს გაშვებლობა მიანდო (Strab., II, 8, 11). კ. თუმანოვის ვარაუდით, შესაძლოა სწორედ ინტალიოს წარწერაში იმალებოდეს პიტიახშის მიერ იბერიაზე გაცხადებული უფლებები, ალექსანდრე მაკედონელის მიერ დადგენილი დარიოსის სატრაპის მიჰრდატისაგან (მითრიდატე) თავისი წარმომავლობის მინიშნებით.

თუმცა უფრო მეტი მნიშვნელობა წარწერაში მოხსენიებული ტერმინებთან — „იბერონ“ და „კარხედონ“ — დაკავშირებით უნდა ჰქონდეს მოვსეს ხორენაცის შენიშვნას, ივერიის (ვერიის) ქვეყნიერების დასავლეთ საზღვარზე მდებარეობის თაობაზე (Strab., II, 8), რომლის მეშვეობით ცხადი ხდება, რომ ივერიაში პირენეს ნახევარკუნძული იგულისხმება. კლასიკური ეპოქის მწერალთა მითითების თანახმად, ამბავი ბაბილონის მეფის ნაბუქოდონოსორ II-ის (ძვ. წთ. 605-562 წწ.) მიერ ლიბიისა და იბერიის დალაშქრისა და იქაური მოსახლეობის პონტოს მარჯვენა მხარეს დასახლების შესახებ ეკუთვნის ძვ. წთ. IV-III სს. ისტორიკოსსა და პოლიტიკურ მოღვაწეს, „ინდოეთის ისტორიის“ ავტორს მეგასტენეს (Euseb., *Praep. Evang.*, IX, 41, 1)³⁸⁷. ცნობა ნაბუქოდონოსორ II-ის მიერ აფრიკისა (ლიბია) და პირენეს ნახევარკუნძულის (იბერია) დალაშქრის შესახებ, რა თქმა უნდა ლეგენდარულია³⁸⁸. აღსანიშნავია, რომ გ. მელიქიშვილი არ გამორიცხავდა, *მოქცევაჲ ქართლისაჲს* „არიანქართლის“ არიანის მიღების შესაძლებლობას „პერენეს“ (პირენეს) დამახინჯების შედეგად³⁸⁹.

კლასიკურ და მომდევნო ხანებში ვადმოცემა პონტოსთან მცხოვრები იბერების დასავლეთის იბერიიდან და ლიბიიდან გადმო-

³⁸⁷ აბიდნოსისადმი („ასურელთა შესახებ“ წიგნის ავტორი) მიწერილი ეს ცნობა მოვსეს ხორენაცს აუღია ასურელი ისტორიკოსის მირ აბას კატინას თხზულებიდან (Strab., II, 8-9).

³⁸⁸ თუმცა ცნობილია, რომ ნაბუქოდონოსორმა ძვ. წთ. 597-586 წწ. თუღვიდან ბაბილონში გადაასახლა ადგილობრივი მოსახლეობის 20% და შესაძლოა შეაღწია ეგვიპტეშიც. ლიბიიდან და იბერიიდან ნაბუქოდონოსორის მიერ ხალხის პონტოს ზღვის რაიონში გადმოსახლების ამბის წამოყალიბებისათვის, გ. მელიქიშვილის აზრით, ბიძგი შეეძლო მიეცა პეროდოტეს ცნობას, კოლხების ეგვიპტური წარმომავლობის შესახებ (Her., II, 103-105) და ევროპული და კავკასიელი იბერების სახელების იდენტურობას; ხოლო ნაბუქოდონოსორს ეს ამბები იმის გამო მიეწერება, რომ მას სახელი ჰქონდა განთქმული დაპყრობილი ხალხების (კერძოდ, ებრაელების) გადასახლებით (მელიქიშვილი 1962, 233).

³⁸⁹ შენ. 183: მელიქიშვილი 1965, 16.

სახელების თაობაზე ფართოდ იყო გავრცელებული და სავსებით მოსალოდნელია მას თავისებური გამოხატულება იმდროინდელ თხზულებებშიც უკონა და იბერიის გამგებლის ერთ-ერთ ძირითად *ინსიგნიაზეც* ასახულიყო.

კავკასიის იბერიასთან დაკავშირებით მემატიანეებს ძველთაგანვე ჰქონდათ წარმოდგენა ამ ქვეყნის კავშირის თაობაზე პირენეს იბერიასთან,³⁹⁰ რაც, ძირითადად, მათი სახელწოდებების იდენტურობით იყო განპირობებული. ეს იდენტურობა ადგილობრივი სახელების ბერძნულ-ლათინურ სამყაროსათვის უფრო ჩვეულ სახელებთან მიმსგავსებისა თუ თარგმნის შედეგად იქმნებოდა ხოლმე. ამგვარად უნდა აღმოცენებულიყო კავკასიაში ჯერ კიდევ ძვ. წთ. IV ს-მდე სახელწოდება „იბერია“, უფრო გვიან კავკასიის „ალბანია“ და ა. შ. შესაძლოა ადგილობრივი ტერმინების ბერძნულ-ლათინურად გააზრების იგივე მოდელი ყოფილიყო გამოყენებული ტერმინ „კარხელონის“ ჩამოყალიბებისას.

საკითხავია, რომელი იბერიული სახელწოდება შეიძლება მივიჩნიოთ „კარხელონის“ პროტოტიპად თუ წინა-ფორმად? თუ გავითვალისწინებთ, რომ კართაგენის ფინიკიურ სახელწოდებაში – *Kart Hadašt* – შემავალი სიტყვა „kart“ აღნიშნავს „ქალაქს“, ხოლო ტოპონიმი „ქართლი“³⁹¹, მკვლევართა ზემომოყვანილი აზრის თანახმად, წარმომდგარი უნდა იყოს ინდოევროპული სუბსტრატის ნიშნად მიჩნეულ სიტყვა „ქართა“-საგან (ქართული დეტერმინანტი-სუფიქსის *ლ-ს* დართვით), რომელიც თავდაპირველად აღნიშნავდა „შემოღობილ ადგილს“ ხოლო შემდეგ – გალაყანას, ნაგებობას, ციხე-სიმაგრეს, ასეთად, ალბათ, თვით იბერიის ქართული სახელწოდება „ქართლი“ უნდა მივიჩნიოთ. როგორც ვიცით, „მთა ქართლი/ქართი“ ერქვა ქართველთა უძველეს ციხე-ქალაქს, შემდეგდროინდელ არმაზციხეს (შდრ. აგრეთვე ტოპონიმი „კარდანახი“). თუმცა არსებობს უფრო „ეკონომიკური“ ვარაუდის გამოთქმის შესაძლებლობაც, ვინაიდან „ქალაქის“ აღმნიშვნელი არამეული სიტყვაა – „karta“, რომელიც თავის მხრივ, ციხე-ქალაქის აღმნიშვნელ ხურიტულ ტერმინ „ard“-თან უნდა იყოს დაკავშირებული (გარდა ურარტული ქალაქი მუსასირის სახელწოდებისა – „არდინი“, ანალოგიური სახელწოდებების ქალაქები ცნობილია რუსახინილის მახლობლად მდებარე მხარიდან და ეტიუნის ქვეყნიდანაც), სავსებით დასაშვებია, სწორედ სიტყვა „karta“ დასდებოდა საფუძვლად ტერმინ „ქართლს“ ანდა ქართულში უფრო ადრეული ხანებიდან შემოსულ ხურიტულ ტერმინს „ard“-ს სწორედ არამეული სიტყვის ზეგავლენის შედეგად შეეძინა ანლაუტში ველარული ფონემა. ამ უკანასკნელ შესაძლებლობას უფრო იმიტომ ვანიჭებ უპირატესობას, რომ ქართულ სინამდვილეში,

³⁹⁰ იხ. ჯაფარიძე 2006, 52-53, 210-215.

³⁹¹ ეონონიმ ქართველის შესახებ, იხ. ფუტყარაძე 2005, 160-181.



როგორც უკვე ითქვა, დასტურდება არაერთი ციხე-სიმაგრის აღმნიშვნელი და „ard“-ძირიანი ტოპონიმი: „ართვინი/ართვანი“, „არტაანი“, „არტანუჯი“ და სხვ. ამავე დროს, არამეული ტერმინის ქართლში გამოყენების სასარგებლოდ უნდა მეტყველებდეს ის გარემოებაც, რომ ფინიკიურის ახლომონათასავე არამეული ენა ერთ-ერთი ძირითადი სახელმწიფო ენა იყო არმაზციხის ადრეულ ბინადართა შორის; სავარაუდოა, მცხეთის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სიმაგრის არაგვისპირთან მდებარე „ბელტის ციხის“ სახელიც (ამჟამად ცნობილი – ბებრის/ბერის ციხედ), რომელიც მცხეთა-არმაზციხის საერთო საფორტიფიკაციო სისტემის ნაწილს წარმოადგენდა და ჩრდილოეთის შესავლელს კეტავდა, თავისი სახელწოდება მიიღო ციხე-სიმაგრის აღმნიშვნელი არამეული სიტყვიდან – „birta“³⁹². საინტერესოა, რომ იმავე შინაარსისა და მსგავსი ფურადობის სახელწოდება – „birtha“ – გვხვდება კართაგენშიც, ადგილობრივი აკროპოლისის აღმნიშვნელად.

გარდა „kart“-ძირიანი სახელების არსებობისა, ქართულ სამყაროსთან ტერმინ „კარხელონი“ დასაკავშირებლად ანგარიშგასასწევია თვით კართაგენის მოსახლეობის მიმართ ტერმინ „ლიბიელის“ გამოყენება; როგორც ცნობილია, კართაგენელების აღსანიშნავად, რომლებიც ფინიკიელთა და ავტოქტონთა ნაჯვარს წარმოადგენდნენ, ფართოდ იხმარებოდა ტერმინი – „ლიბიელი ფინიკელი“ (Λιβυφοίνικες), საპირისპიროდ ლეგანტიელი ანუ „სირიელი ფინიკიელი“ (Συριοφοίνικες).

ლიბიისა და იბერიის მოსახლეობის პონტოს აღმოსავლეთით გადმოსახლების შესახებ ზემომოყვანილი ცნობის შუქზე, დასაშვებია უნდა ჩანდეს „ლიბიის“ ჩანაცვლება „კარხელონით“, რასაც ამავე დროს კონკრეტული გეოგრაფიული შინაარსიც ექნებოდა „მთა ქართლის“ ანუ არმაზციხის სახით და შესაბამისად ბეჭედზე გამოსახული პიტიანშიც არმაზციხის ანუ იგივე „მთა ქართლის“ იბერიის გამგებლად უნდა მივიჩნიოთ, რაც ჩვეულებრივ მტკვრის მარჯვენა ნაპირის ქართლად (იბერიად), ხოლო ზოგიერთ სომხურ და ბერძნულ წყაროში გულგარქისა (Γουλγαρχ) და გოგარენეს (Γαγαρην) სახელით არის ცნობილი³⁹³.

³⁹² შდრ., ქავთარაძე 1985, 85, 173შენ. 361.

³⁹³ კ. კეკელიძის შენიშვნას, რომ ამანე მარცელინუსის ცნობით (XXVII, 12, 4, 17), ამიერკავკასიაში 368 წლიდან IV საუკუნის დამლევამდე მანც არსებობდა ორი იბერია: ერთი სასანიანთა იბერია, ირანზე დამოკიდებული, მეორე – სავარაუდოდ რომის პოლიტიკურ სფეროში შემავალი (კეკელიძე 1949, 128, 130). იქნებ გასათვალისწინებელი იყოს მტკვარგამოღმა (არმაზციხის, იგივე „მთა ქართლის“) და მტკვარგამო (მცხეთის) მხარეთა მეფეების ქართამისა და ბარტომის სახელთა შესაძლო

კავკასიონი - სასაზღვრო ზონა

კომუნისტური სისტემის ანიჰილაციისა და აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში მომხდარი ძირეული ცვლილებების შემდეგ, მოსალოდნელი ხდება იმ ქვეყნების მნიშვნელობის გადაფასება, რომლებიც მდებარეობდნენ დასავლური და აღმოსავლური სამყაროების სასაზღვრო ზონაში.

ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში პალფორდ მაქქინდერის მიერ შემუშავებული სქემის მიხედვით, მსოფლიოში გამოიყოფა *ღერძული არეალი (Pivot Area*, იგივე *შუაგული ქვეყანა*, დ. სინორის განსაზღვრებით - *ცენტრალური ევრაზია*), რომელიც მოიცავდა რუსეთის იმპერიისა და ჩრდილოეთ ირანის იმ ტერიტორიებს, რომელთა მდინარეთა სისტემა ჩრდილოეთ-ყინულოვან ოკეანეს ან კასპიის ზღვას განეკუთვნებოდა; ხოლო რუსეთის იმპერიის უკიდურესი დასავლეთი, სამხრეთ-დასავლეთი რეგიონები და დასავლეთ კავკასია, აგრეთვე ირანის სამხრეთ სანაპირო ევროპასთან, ახლო აღმოსავლეთთან, ინდოეთთან და ჩინეთთან ერთად შეადგენდა *შიდა ანუ განაპირ ნახევარმთვარეს (Inner or Marginal Crescent*, დ. სინორის ევრაზიის პერიფერია), განსხვავებით *გარეთა ანუ კუნძულოვანი ნახევარმთვარისაგან (Outer or Insular Crescent*), რომელიც თავის მხრივ შეიცავდა ამერიკას, აფრიკას, ინდონეზიას, ავსტრალიას, იაპონიას და რუსეთის უკიდურეს შორეულ აღმოსავლეთს (უფრო ვრცლად კ. მაქქინდერის სქემის შესახებ, იხ., ქვემოთ).³⁹⁴

შუაგულ ქვეყანასა და განაპირ ნახევარმთვარის მხარეებს შორის არსებულ მწვავე კონფლიქტში, პირველს ჩვეულებრივ აგრესორის ფუნქცია ეკისრებოდა. აღსანიშნავია, რომ თუ შუაგული ქვეყნის ეკონომიკა

კავშირი ციხე-სიმაგრეების აღმნიშვნელ არამულ სიტყვებთან „karta“-სთან და „birtā“-სთან და შესაბამისად, ამ სიტყვებით მოხსენიებულ მათ რეზიდენციებთან – არმაზციხესთან და მცხეთა-ბებრის ციხესთან. გაიხსენოთ *ქართლის ცხოვრების* ცნობა, ქართლის მეფის ადერკის ძეთა შესახებ: „*ადერკის ესხნეს ორნი ძენი, რომელთა ერთჟა სახელად ერთსა ბარტომ და მეორესა ქართამ. და ამან განუყო ყოველი ქვეყანა თესი: მისცა ქალაქი მცხეთა და ქვეყანა მტკუარსა შინა ქართლი, მუხნარით კერძი ქალაქი და ყოველი ქართლი მტკუარსა ჩრდილოეთი, პერეთითგან ვიდრე თავადმდე ქართლისა და ევრიისისა – ესე ყოველი მისცა ბარტომსა ძესა თესსა, ხოლო არმაზით კერძი ქალაქი, მტკუარსა სამხრით ქართლი, ზუნანითგან ვიდრე თავადმდე მტკუარისა, და კლარჯეთი ყოველი მისცა ქართამს ძესა თესსა...*“ თუმცა ქართველ მეფეთა და ციხე-სიმაგრეთა არამულ სახელთა შესაძლო ურთიერთკავშირის კვლევა არაერთი სირთულის გადალახვას საჭიროებს.

³⁹⁴ Mackinder 1904.

ბევლთაგანვე ძირითადად მესაქონლეობაზე იყო დაფუძნებული, განსაკუთრებით ნახევარმთვარის მომცველ რეგიონებში მიწათმოქმედება იყო წამყვანი, თუმცა ძირითადი მიზეზი დაპირისპირებისა იყო ქონება-უქონლობა, მომთაბარე უქონელები თავს ესხმოდნენ მქონებელ ბინადარ მოსახლეობას.³⁹⁵

გარკვეულწილად ანალოგიური კონფლიქტია ასახული ქართულ ხალხურ ლექსში *შემომეყარა ვივჩალი*, რომლის სიუჟეტიც მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეებს უნდა განეკუთვნებოდეს, ანუ იმ ხანას, როდესაც, დავით აღმაშენებლის მიერ თურქ-სელჯუკებთან საბრძოლველად გადმოყვანილი, ვივჩალები საქართველოში სახლობდნენ:

*"შემომეყარა ვივჩალი
სამზღვარს მუხრანის ვზისასა,
პური მთხოვა და ვაჭმევ,
ვურჩევდი თათუხისასა.
ხორცი მთხოვა და ვაჭმევ,
ვურჩევდი ხოხობისასა,
ღვინო მთხოვა და ვასმევ,
ვურჩევდი ბადავისასა.
ცოლი მთხოვა და ვერ მივეც,
მიმეყანდა სიდედრისასა...
ვაგჭერი ცხენი და კაცი,
წვერიც მომიხვდა ქვიშასა..."³⁹⁶*

საკვებით მომარაგებას შეეძლო გადატაკებული მოსახლეობის შემოსევის თავიდან აცილება და ამას, მართლაც, მრავალგზის ჰქონია ადგილი ზემოაღნიშნულ ორ სამყაროს შორის არსებულ ურთიერთობებში. ეს დაპირისპირება არა მარტო *კავკასიის კარიბჭის* ანალოგიური ფუნქციის მქონე დაცვითი კედლების არსებობას მოითხოვდნენ, როგორც, მაგალითად, იყო *ჩინეთის დიდი კედელი* ან *აღრიანეს კედელი (Roman Limes)*, არამედ საჭიროს ხდიდნენ ამ კედლებზე ბევრად უფრო ძნელად დასანგრევეი მორალური ჯებირის აგებას ადამიანთა სულში, ვინაიდან მუდმივი მტრობა უცხოთა მიმართ ზრდიდა საზოგადოებრივი სოლიდარობის ერთიანობას და იგი (საზოგადოება) უფრო იოლად დასაქვემდებარებელი ხდებოდა მმართველი წრეებისათვის. მმართველის უპირველეს მოვალეობად ბარბაროსებთან ბრძოლა ხდებოდა. ბარბაროსების განდევნა *οίκουμένη*-ს თუ *orbis terrarum*-ის საზღვრებს იქით და მათი შემდგომი შემოსევების აღკვეთა იყო ის სულისკვეთება, რომელმაც უბიძგა ალექსანდრე დიდის *ლეგენდარულ* სახეს *რკინის კარიბჭის* მიღმა,

³⁹⁵ იხ. Sinor 1987, 2, 43მდ.

³⁹⁶ ხარანაული 1985, 205მდ.



შუღწევად მთებში ჩაკეცა გოგისა და მგოვის უწმინდური ტომების
 "კენტესენციური ბარბაროსის" მითიური განსახიერება.³⁹⁷

შუასაუკუნეების ამიერკავკასიის ისტორიაში შუაგული ქვეყნიდან ანუ ცენტრალურერაზიული მოსახლეობის გარკვეული ნაწილის, თურქ-სელჯუკების, ხორეზმელების, მონღოლების, თემურ-ლენგის ურდოების, აკ-კოინლუსა და კარა-კოინლუს შესაქონლე ტომების შემოსევები, ერთი შეხედვით, შესაძლებელი ჩანს ა. თოინბისეულ სტიმულთა პირველ მოდელს მიეწეროს, რომელიც ადამიანური გარემოს მიერ იყო ინსპირირებული და უეცარი გარეგანი დარტყმის ფორმით იყო გამოხატული, თუმცა ცენტრალურაზიული მოსახლეობის თავდასხმების სისტემატური ხასიათის გამო უფრო მეორე მოდელის - უწყვეტი გარეგანი დაწოლის სტიმულის - ფორმას ლებულობდა.³⁹⁸ ასეთ შემთხვევაში, ამ უკანასკნელი მოდელის ძირითადი გადამწყვეტი ფაქტორი - სასაზღვრო ზონის (marches) ფუნქცია - არა მარტო ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის იყო გაზარებული, არამედ, აგრეთვე, აღმოსავლეთსა და დასავლეთს. სხვა სიტყვებით, ცენტრალურერაზიული მოსახლეობის შემოსევებს არა მარტო ჩრდილოეთიდან ჰქონდა ადგილი, კიმერიელების, სკვითების, სარმატების, ალანების, ჰუნების, ბოლღარების, ხაზარების, ოსების სახით, არამედ სამხრეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდანაც.

სასაზღვრო ზონის ფუნქცია, საქართველოსა, და საზოგადოდ მთელი კავკასიისათვის, ნაკარნახევი იყო არა იმდენად ზემოჩამოთვლილი ევრაზიული წარმომავლობის ტომების ზეწოლით, რამდენადაც თვით აღნიშნული რეგიონის მდებარეობის თავისებურებებით. კავკასიის მდებარეობის საშუალებდო ხასიათი, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, მკაფიოდ არის ასახული ძველ წერილობით წყაროებში.

ახლოაღმოსავლურ-ხმელთაშუაზღვისპირეთული მაღალგანვითარებული საზოგადოებების დაინტერესება ამიერკავკასიით გარდუვალი იყო, ამ უკანასკნელის მდებარეობის გამო ცივილიზებული და ბარბაროსული სამყაროების შეხების ზონაში, ან უფრო ზუსტად, ამ ორი სამყაროს გამყოფ რეგიონის ზაზზე. მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ ამიერკავკასიის ასეთი მდებარეობა განაპირობებდა მის სივრცეში ისტორიული განვითარების ორი დიაპეტრალურად საწინააღმდეგო მოდელის შეჯახებას, კავკასიონის მთავარი ქედის ფაქტორი, რომლის სამხრეთითაც ეს რეგიონი მდებარეობდა, განსაზღვრავდა მის ბედს - ყოფილიყო მაღალგანვითარებული განაპირა ნახევარმთავრის (ევრაზიული პერიფერიის) ფორპოსტი განვითარების დაბალი ტემპის მქონე შუაგული ქვეყნის (ცენტრალურ ევრაზიის) წინააღმდეგ, ანუ, სხვა სიტყვებით, ყოფილიყო ცივილიზებული

³⁹⁷ Sinor 1987, 173მდ.

³⁹⁸ Toynbee 1956, 31, 101, 208ff.; იხ. ჭავთარაძე 1997

სამხრეთისა და დასავლეთის ბურჯი ბარბაროსული ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის წინააღმდეგ.

გარდა ამისა ჩრდილოეთის უღელტეხილზე გაბატონებულ იბერებს შესაძლებლობა ჰქონდათ კავკასიონზე გადმოეყვანათ ჩრდილოელი მებრძოლები და წარმატებით გამოეყენებინათ ისინი საკუთარი და თავიანთი მოკავშირეების პოლიტიკური მიზნების შესაბამისად. იბერიის ხელისუფალნი ჯერ კიდევ კლასიკური ხანებიდან³⁹⁹ დაწყებული პერმანენტულად და დიდი წარმატებითაც იყენებდნენ თავიანთი ქვეყნის ხელსაყრელ სტრატეგიულ მდებარეობას, რათა გაეწონასწორობინათ გარესამყაროს ყველა მხრიდან მომდინარე ძალთა ზეწოლა. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ქართულ ქვეყნებს არსებითად ასცილებია ის დიდი კატაკლიზმები, რომელიც რომის იმპერიის დამხობას მოჰყვა მრავალ ქვეყანაში ("ხალხთა დიდი გადასახლება", "გოთობა" და ა.შ.) და რომელმაც ძლიერ უცვალა სახე კავკასიონს ჩრდილო თუ ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ქვეყნების პოლიტიკურსა და კულტურულ ვითარებასაც. გ. ლომთათიძის დაკვირვებით, ჩვენში თითქმის არა ჩანს (ჩრდილო განაპირა ზღვისპირს გარდა) ახალი, გარეშე, უხეში ძალის შემოჭრისა და დადგინებული ცხოვრების, კულტურული დოვლათის ანგრევა-გატლანქების ნიშნები.⁴⁰⁰

იბერიელები, რომელთა ძალაუფლება კავკასიის კარიბჭეზე ვრცელდებოდა, ამ ცნების ყველაზე ფართო გაგებით - დარიალის უღელტეხილიდან მცხეთა-არმაზამდე -, რეგიონში რომელთა ყველაზე მნიშვნელოვანი მოკავშირეები იყვნენ. რომაელებსა და იბერებს (ერთიდაიმავე *orbis terrarum*-ის შემადგენელ ნაწილებს) შორის არსებული მჭიდრო თანამშრომლობა, საერთო სტრატეგიულ ინტერესებზე იყო დაფუძნებული.

სწორედ, რომაული ხანებიდან უნდა მომდინარეობდეს ქართული სახელმწიფოს ხანგრძლივი სწრაფვა, გაეერთიანებინა თავის ხელქვეით შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე არსებული კავკასიონის ყველა გადასასვლელი, რაც ამავე დროს გამოიხატა ამ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ფორმულაში "ნიკოფსიიდან დარუბანდამდე". როგორც ვხედავთ, აღნიშნული ფორმულა განსაკუთრებულ მანვილს სვამს ჩრდილოეთის საზღვრის გაყოლებასზე, რომელიც გადაჭიმული იყო დაახლოებით თანამედროვე ტუაფსევდან, შავ ზღვაზე.

³⁹⁹ უპირატესად დასავლურ ქვეყნებში გამოყენებული ტერმინით "კლასიკური", ისევე როგორც ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში ხმარებული ტერმინით "ანტიკური", აღინიშნება ძველი ბერძნებისა და რომაელების ხელოვნება, ლიტერატურა და კულტურა, ასევე მათი მწერლები და ხელოვანნი. ფართო გაგებით გამოყენებული ტერმინი "კლასიკური პერიოდი" ძირითადად გამოიყენება ძველი ბერძნული და რომაული ცივილიზაციების გამოხატვისთვის.

⁴⁰⁰ ლომთათიძე 1973, 231. თუმცა იგი დასძენს, რომ მაინც შესაძლებელია ის ახალი ნაკადები, — უპირატესად გემოვნებისა და "შიდის" მხრივ სახეთა ახალ რეპერტუარშიც რომ ჩანს... (ლომთათიძე 1973, 231).

დერბენდამდე, კასიის ზღვაზე, და რომლის დაცვა და კონტროლი საშუალო საუკუნეებში არსებული ამ სამეფოს ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას წარმოადგენდა.

ახლო აღმოსავლურ-ხმელთაშუაზღვისპირეთის არეალის სახელმწიფოთა ყველა დროის მესვეურთათვის, მომთაბარეთათვის გზის გადამკეტი კავკასიის კარიბჭის ეფექტური კონტროლის დიდი საჭიროების გამო, სასურველი იყო შუაგულ ამიერკავკასიაში, იბერიაში, მსგავსი ფუნქციის შესრულებისათვის საკმაო ძალის მქონე პოლიტიკური ორგანიზაციის არსებობა. როგორც ვხედავთ, ახლო აღმოსავლურ-ხმელთაშუაზღვისპირეთული საზოგადოებების დაინტერესება ცენტრალური ამიერკავკასიაში გარდაუვალი იყო, არა მხოლოდ ამ რეგიონის აბსტრაქტული დაცვითი ფუნქციის გამო, არამედ ძირითადად ამ უკანასკნელის მდებარეობის გამო ცივილიზებული და ბარბაროსული სამყაროების შეხების ზონაში, ან უფრო ზუსტად - ამ ორი სამყაროს გამყოფ რღვევის ხაზზე (*fault line*). მიუხედავად იმისა, რომ ამიერკავკასიის ასეთი მდებარეობა განაპირობებდა მის სივრცეში ისტორიული განვითარების ამ ორი დიამეტრალურად საწინააღმდეგო მოდელის შეჯახებას, კავკასიონის მთავარი ქედის ფაქტორი, რომლის სამხრეთითაც ეს რეგიონი მდებარეობდა, განსაზღვრავდა მის ბედს - ყოფილიყო მაღალგანვითარებული და წარმატებული ახლო აღმოსავლურ-ხმელთაშუაზღვისპირეთული ოიკუმენის ფორპოსტი სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების დაბალი ტემპის მქონე ევრაზიის ვრცელი სტეპების მრავალრიცხოვან და აგრესიულ მომთაბარეთა წინააღმდეგ, რომელთაც ახლო აღმოსავლეთში ლაშქრობისას პლაცდარმად ესაჭიროებოდათ ამიერკავკასიის ტერიტორია. *ზეტა. სოკოინს*⁴⁰¹ ფიქვა ამიერკავკასიის ისტორიული დანიშნულება იყო, ყოფილიყო ცივილიზებული სამხრეთისა და დასავლეთის ბურჯი ბარბაროსული ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის წინააღმდეგ საბრძოლველად.

კ. თუმანოვის დაკვირვებით, იბერიასა და კავკასიაზე ირანელთა ბატონობის პრეტენზია სათავეს იღებს აქემენიანთა ხანაში, ხოლო რომაელთა მათზე უფლებები მათ მიერ მითრიდატე ევპატორისა და მათი მოკავშირეების დამარცხების დღეებიდან.⁴⁰¹ ძვ. წ. IV საუკუნეში *Pax Achaemenia*-ს მარცხმა და *Pax Macedonica*-თი მისმა შეცვლამ, ანუ *translatio imperii*, უდიდესი მნიშვნელობის შედეგების მომტანი იყო ამიერკავკასიის ხალხებისათვის, ამ მოვლენამ ბიძგი მისცა აღმოსავლურქართული სახელმწიფოებრიობის წარმოქმნას. აქემენიანთა ხანაში შეძენილ "ირანიზმს" იბერიამ დაამყნო ელინიზმი, რომელსაც დაეკუთმებოდა, როგორც სელევკიელი იმპერატორების ვასალი და შესაბამისად იბერიის ახალგაზრდა სამეფო ჩამოყალიბდა აქემენიურ-სელევკიური მოდელის მიხედვით.⁴⁰² კ. თუმანოვი

⁴⁰¹ Toumanoff, 1963, 360.
⁴⁰² Toumanoff, 1963, 80, 443.



შენიშნავდა, რომ კავკასიის ფლობა, ორივესთვის, ირანისთვისაც და რომისთვისაც სასიცოცხლოდ იყო საჭირო. იგი წარმოადგენდა ამ ორ იმპერიის შორის მდებარე უდიდეს ბუნებრივ სიმაგრეს, საიდანაც თითოეულ მათგანს შეეძლო გაეკონტროლებინა ქვემოთ, სამხრეთით მათ შორის მდებარე სასაზღვრო ზოლი. აქედან გადაშლილი იყო ორივე მხარის მგრძობიარე წერტილები - ქტეზიფონი და "რომაული ტბა" ანუ შავი ზღვა, უფრო გვიან კონსტანტინეპოლი.⁴⁰³

ვფიქრობთ, სრულიად ნათელია იბერიაში სახელმწიფოებრიობის წარმოქმნა-ჩამოყალიბებისა და მისი შემდგომი განვითარების კავშირი ჩრდილოეთის ნომადი ტომების შემოღწევისაგან კავკასიონის მთავარი ქედის უდელტეხილების დაცვის საჭიროებასთან. საყურადღებოა, რომ დარიალის მახლობლად მცხოვრები მთის ქართული მოსახლეობა უფრო კიდევ ერთი საუკუნის წინ საქართველოს მეფეთა ძველ მეციხოვნეთა შთამომავლებლად მიიჩნევადა თავს.⁴⁰⁴ *ვახტანგ გორგასლის ცხოვრების* ერთ-ერთი ინტერპოლაცია, მათი ამ ფუნქციის ჩამოყალიბებას ვახტანგ გორგასალს მიაწერს: *"ხოლო დაიმორჩილა ოვსნი და ყივჩაყნი, და შექმნა კარნი ოვსეთისანი, რომელთა ჩუენ დარაიანსად უწოდთ. და აღაშენა მას ზედა გოდოლნი მაღალნი, და დაადგინა მცველად მახლობელნი იგი მთეულნი. არა ჰელეწიფების გამოსლვად დიდთა მათ ნათესავთა ოვსთა და ყივჩაყთა თენიერ ბრძანებისა ქართველთა მეფისა"*⁴⁰⁵.

ქართული სახელმწიფოებრიობის ბედის კავშირი კავკასიის კარიბჭის უშიშროების მოთხოვნასთან მკაფიოდ იკვეთება მთელი მისი ისტორიის განმავლობაში. მეთვრამეტე საუკუნის დამლევვისა თუ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისის, ანუ რუსეთის იმპერიისმიერ აღმოსავლურქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმებისდროინდელ ხალხურ ლექსში *"ჯრეკლეს დაჭირება"* ვკითხულობთ:

*"ვერ გაიგეთა ქართველნო,
შაგეხსნათ რკინის კარიო,
მზე ჩავევიდა უკულმა,
ჩავარდა შუა ზღვაშიო...
ვერ გაიგეთა ქართველნო,
შაგეხსნათ რკინის კარია?
იმისა სანუფო ზელა
იცელებიან სხვანია..."*⁴⁰⁶

⁴⁰³ Toumanoff 1971, 114.
⁴⁰⁴ Allen 1932, 31.
⁴⁰⁵ ფაუნტიშვილი 1955, 156 ჩანართი თკ.
⁴⁰⁶ იხ. ხარანაული 1985, 81, 83.

თუ გაეიხსენებთ ზემომოყვანილ ცნობას, რომ კავკასიაში გადამკვეთი დარიალის უდელტეხილი ძველ დროში ცნობილი იყო აგრეთვე რკინის კარის სახელით, აქ მოყვანილი ხალხური ლექსი უნდა ჩავთვალოთ ქართული სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციის დაკარგვის კონკრეტული ფაქტის ამსახველად, დაეცვა თავისი მთავარი ჩრდილოეთის კარიბჭე. როგორც ჩანს, რკინის კარის კონცეპცია წარმოადგენდა გამოჩატულებას ქართული სახელმწიფოებრიობის კონკრეტული პოლიტიკური ფუნქციისა - ყოფილიყო დამცველი მსოფლიოს ერთ-ერთი ვეულაზე უფრო მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტისა.

აღნიშნული სახელმწიფოებრივი ფუნქცია იყო ერთ-ერთი ძირითადი გადამწყვეტი ფაქტორი, რომელმაც გამოიწვია ქართული სახელმწიფოს წარმოქმნა ამიერკავკასიის ცენტრალურ ნაწილში ძვ. წთ. პირველი ათასწლეულის დასკვნით საუკუნეებში. როგორც ითქვა, *შუაგულ ქვეყანასა და განაპირა ნახევარმთვარეს* შორის არსებულ საკონტაქტო, თუ გამყოფ, ზონაში საქართველოს მდებარეობა იყო ძირითადი მიზეზი ჩრდილოეთიდან მასზე მუდმივი გარეგანი ზეწოლისა ანუ “გამოწვევის” (*Challenge*) და განაპირობებდა მის კუთვნილებას იმპულსების ა. თონიბისეული მეორე მოდელისადმი. გამუდმებული გარეგანი დაწოლა თუ *გამოწვევა* განაპირობებდა *პასუხს* (*Response*), რომელმაც თავის მხრივ გამოიწვია ცენტრალურ ამიერკავკასიაში სახელმწიფოს - იბერიის სამეფოს აღმოცენება. ამრიგად, გეოპოლიტიკური ხასიათის ფაქტორებმა არა თუ გამოიწვიეს კლასიკური ხანის ცენტრალურ ამიერკავკასიაში სახელმწიფოებრიობის წარმოქმნა, არამედ განსაზღვრეს კიდევ მომდევნო ხანებში მისი ისტორიული განვითარება. ამ სახელმწიფოს *არსებობის არსს* (*raison d'être-ს*) წარმოადგენდა დანიშნულება, ყოფილიყო ცივილიზებული სამყაროს (*oikouμένη, orbis terrarum*) ფორპოსტი, ამ უკანასკნელის ბრძოლაში კავკასიის კარიბჭის გადღმა მდებარე *ბარბაროსული სიბნელის საუფლოსთან*. ამასთანავე, იბერიის ხელისუფალნი პერმანენტულად და დიდი წარმატებითაც იყენებდნენ თავიანთი ქვეყნის ხელსაყრელ სტრატეგიულ მდებარეობას, რათა გაეწონასწორებინათ გარესამყაროს ვეულა მხრიდან მომდინარე ძალთა დაწოლა. ამრიგად, გეოპოლიტიკური ხასიათის აღნიშნულმა ფაქტორებმა არა თუ გამოიწვიეს კლასიკური ხანის ცენტრალურ ამიერკავკასიაში სახელმწიფოებრიობის წარმოქმნა, არამედ განაპირობეს კიდევ მომდევნო ხანებში მისი ისტორიული განვითარება.

მუდმივი დაპირისპირება ბარბაროსსა და ცივილიზებულს, მიმთვისებელსა და მეურნეს, ყაჩაღსა და შემოქმედს შორის იყო ის კვესი და აბედი, რომლის საშუალებითაც დაინთო სახელმწიფოებრიობის ცეცხლი კავკასიონის მთავარი ქედის ცენტრალური ნაწილის გადმოღმა მდებარე ქართლში.



ერთ-ერთი ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორი, რომელსაც უნდა განეპირობებინა აღმოსავლურქართული სახელმწიფოებრიობის აღმოცენება და შემდგომი განვითარება უნდა ყოფილიყო კონკრეტული სახელმწიფოებრივი ამოცანის განხორციელება - დიდი კავკასიონის მთაგრებილის გადასასვლელების დაცვა.⁴⁰⁷

კანონზომიერი ჩანს, რომ კავკასიონის სამივე ზეკარის გადმომლა აღმოცენდა ამიერკავკასიის, ანუ კავკასიონის უშუალოდ სამხრეთით მდებარე, სამივე სახელმწიფო: დასავლეთით - კოლხეთი, აღმოსავლეთით - აღბანეთი, ხოლო ცენტრალურ ნაწილში - იბერია (ქართლი). რუსი ისტორიკოსის, ტ. უსპენსკის განცხადებით, ლაზები და იბერები იყვნენ ბუნებრივი დარაჯები კავკასიონის ზეკარებისა და, ამ თვალსაზრისით, საიმედო მოკავშირეები იმ იმპერიისა, რომლის პოლიტიკურ გავლენასაც კჰონდა უპირატესობა მოცემულ მომენტში⁴⁰⁸. იბერიის მიერ ლიხსიქით მდებარე არგვეთის ფლობა, რომელზედაც მამისონის უღელტეხილით კავკასიაზე გადმოშავალი გზა გადიოდა, იბერიის მიერ კავკასიონის ცენტრალურ ნაწილზე კონტროლის დაწესების მანიშნებელი უნდა იყოს.

თბილისი, აღმოსავლეთ საქართველოს დედაქალაქი ახ. წთ. V საუკუნიდან, კეტავდა რა მტკვრის ხეობის შუა დინების ვიწრობებს, აკონტროლებდა სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებას და ამდენად მას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა სამხრეთ-აღმოსავლეთ ამიერკავკასიისა და დასავლეთ ირანისათვის.

იბერიის სამეფოს ცენტრალური ნაწილის - შიდა ქართლის - სტრატეგიული მნიშვნელობა ხაზგასმულია *მეფეთა ცხოვრებაში*, ქართველთა მცდელობის აღწერისას, მიეღოთ ახ. წთ. გვიანი მესამე საუკუნის სპარსეთის

⁴⁰⁷ Kavtaradze 2001. გ. ყორანაშვილის აზრით, ქვეყნის დამოუკიდებლობის შენარჩუნებაში, უუკველად დიდი როლი თამაშა ბუნებრივმა პირობებმა, ერთმანეთისაგან ციცაბო ხეობებით დაშორებულმა მაღალმა მთებმა. ის რაც ზღვამ, ჰავამ ან იზოლაციამ გააკეთა სხვა ქვეყნებისათვის, იგივე შესარულია საქართველოსათვის კავკასიონის მთაგრებილმა, ჩრდილოელი ნომადებისაკენ მიმართულმა ბუნებრივმა ზღუდემ. ერთადერთი რაც, ქართულ სახელმწიფოებს უნდა გაეკეთებინათ, ვიწრო და მაღალ სიმაღლეებზე განლაგებული კავკასიონის გადასასვლელების ჩაკეტვა იყო, რათა დაცულად ეგრძნოთ თავი ჩრდილოეთიდან (Koranashvili 1978, 259-260). რ. სუნის აზრითაც, კავკასიონზე კონტროლი, ნიშნავდა ჩრდილოეთის იმ გადასასვლელების კონტროლს, საიდანაც სტეპებიდან მომავალი მოლაშქრეები ეშვებოდნენ და რომის აღმოსავლეთ სამფლობელოებისა და ირანის დასარბევად (Sury 1989, 328n.). თუმცა აღმოსავლეთ საქართველოში სახელმწიფოს აღმოცენებაში ბუნებრივი თავდაცვითი პირობების მნიშვნელობაზე ეს ავტორები არაფერს ამბობენ.

⁴⁰⁸ Успенский 1913, 492.

შპის მხარდაჭერა: "ხოლო გამოიკითხა სპარსთა მეფემან პირველად ქალაქისა მცხეთისა, და უთხრეს სიერცე და სიმავრე მისი და მახლობელობა ზაზართა და ოვსთა..."⁴⁰⁹ კეთილად სთნდა სპარსთა მეფესა, და შეიწყნარა ვედრება ქართველთა. რამეთუ თვთცა უკუთესად გამოარჩია მცხეთას დასუმა ძისა მისისა მეფედ. რამეთუ ყოველთა ქალაქთა სომხითისა და ქართლისათა, რანისა და მის კერძოთა, ყოვლისა უფროსად და უმაგვრესად გამოარჩია და მახლობელად ჩრდილოთა მტერთა, რათა პბრძოდეს მათ მუნით და აჰფრობდეს ყოველთა კავკასიანთა. აღუსრულა ყოველი იგი სათხოველი ქართველთა, და მისცა ყოველსა ზედა ფიცი და აღთქმა... და მისცა ქართლი, სომხითი, რანი, მოკაკანი და ჰერეთი..." (I, 63-64).

იბერიისა და სპარსეთის კავშირი მიუღებელი იქნებოდა როგორც ბიზანტიისათვის, ასევე ლაზიკისათვის, უპირველეს ყოვლისა სწორედ იმ დიდი საფრთხის გამო, რასაც კავკასიის კარიბჭის კონტროლის სპარსეთის ხელში გადასვლა განაპირობებდა და მათ წინააღმდეგობასაც ხანგრძლივად არ უნდა დაეყოვნებინა. ამასთან დაკავშირებით, გარკვეულ ყურადღებას იმსახურებს გვიანი VI ს. ინფორმაცია ბიზანტიელი ისტორიკოსის, მენანდრე პროტიქტორისა, კერძოდ, რომ იბერია (ქართლი), სუანიის (სვანეთი) მსგავსად დაპყრობილი ჰყავდა ლაზიკას (6, I, 278-280).⁴¹⁰ ამ ცნობას აშკარად ეხმიანება VI ს. შუა ხანებამდე მოღვაწე გოთური წარმომავლობის ავტორი იორდანე, რომელიც თავის თხზულებაში *გოთთა წარმომავლობისა და საქმეთა შესახებ (De origine actibusque Getarum)* ნათელს ხდის, თუ რა უნდა ყოფილიყო ლაზთა ექსპანსიის მიზანი. იორდანე იუწყება, რომ მის დროს *კასპიის კარის* (ანუ დარიალის - გ.ქ.) ზედამხედველობას ლაზები ჰხორციელებდნენ ბიზანტიის იმპერიის ინტერესების დაცვის მიზნით (VII, 50).⁴¹¹ ასე რომ, როგორც კი იბერიას (ქართლს) აღარ ძალუძდა კავკასიის კარიბჭეზე საკუთარი კონტროლის შენარჩუნება და ინციატივას სპარსეთი, აღმოსავლური ძალა, ეუფლებოდა, აუცილებელი ხდებოდა დასავლური საზოგადოებების (ბიზანტია, ლაზიკა) მიერ კარდინალური ზომების განხორციელება მდგომარეობის (მათი თვალთახედვით) გამოსასწორებლად. როგორც ჩანს, საქმე ეხება 523-542 წწ. - გურგენ მეფის სპარსთა წინააღმდეგ აჯანყებისა და მისი დამარცხების შემდგომი ხანის ქართლში დამდგარ უმეფობის პერიოდის დასაწყისსა და

⁴⁰⁹ სომხური თარგმანის მიხედვით: "და ჩვენთან ახლოს მდებარეობენ ოსები, და ალანები, და ლუკები, და სონები, და ზაზარები, და ჩრდილოეთის ველა მზარენი", (40). იხ. Thomson 1996, 75.

⁴¹⁰ Blockley 1985, 68შმდ. საყურადღებოა, რომ ახ. წთ. მეოთხე საუკუნის კომენტატორის სერვიუს პონორატუსის განმარტებით, იბერია პონტოს ნაწილია და მდებარეობს პერსიდასა და არმენიას შორის (Serv. in Verg., IX, 579).

⁴¹¹ იორდანე ბიზანტიის სამსახურში მყოფი აღანი მხედართმთავრის, გუნტიგის ბზას, მდივანი იყო და კარგად გათვითცნობიერებული ჩანს ჩრდილოეთ შავზღვისპირეთისა და იმერკავკასიის საქმეებში.

ვერისის მეფის გუბაზ II-ის ბიზანტიელთა წინააღმდეგ აჯანყების დაწყების შორის მდებარე დროის მონაკვეთს.

მენანდრესა და იორდანეს ზემომოყვანილ ცნობათა ურთიერთშეპირისპირება ცხადყოფს, რომ ქართლში უმეფობის ხანა სულაც არ იყო აქ მხოლოდ სპარსთა ჰეგემონობის ეპოქა და რომ ამ დროისათვის მომძლავრებულ ვერისის სამეფოს (ლაზიკას) მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინა კავკასიის კარიბჭისათვის ბრძოლაში.⁴¹² შესაძლოა, სწორედ ეს გარემოება განაპირობებდა კავკასიის გასასვლელების დაცვის საკითხის ბიზანტიისა და სპარსეთის დიპლომატიურ მოლაპარაკებათა ცენტრში ხელახალ მოქცევას ახ. წთ. VI ს. პირველი მეოთხედის დასასრულიდან.⁴¹³

კავკასიონის უღელტეხილების მნიშვნელობა კრიტიკული იყო აგრეთვე არაბებისათვის. მათი მისწრაფება ხელთ ეგდოთ უღელტეხილების კონტროლი ასახულია ქართულ მატიანებში. *ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა* გვამცნობს, არაბთა მიერ ქალაქების განადგურებასა და თითქმის მთელი კავკასიის დამორჩილებას, კავკასიონის მთავარ ქედზე გარდამავალი ორივე ძირითადი კარიბჭის ჩათვლით: *"და ყოველნი მთავარნი და პატიახში, ნათესავნი ერისთავთა და წარჩინებულთანი შეიმოტნეს კავკასიად, და დაიმალნეს ტყეთა და ღრეთა. და მოვლო ყრუმან ყოველი კავკასია, და დაიპყრა კარები დარეილისა და დარუბანდისა, და შეტუსრნა ყოველნი ქალაქნი და უძრაველსნი ციხენი ყოველთა საზღვართა ქართლისათა"* (I, 234). ბევრად უფრო ამბივალენტურია ქართლის მატიანის მონათხრობი ჩრდილოელი მოწინააღმდეგის მიმართ არაბი სარდლის მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ: *"მან [ბუღა თურქმა, არაბმა სარდალმა - გ.ქ.] კანჯოი კარები დარუბანდისა და გამოიყვანნა ბაზარნი, სახლი სამასი, და დასხნა ივინი მანქორს. დარიჯლანით გამოიყვანნა ოვსნი ვითარ სახლი ასი, და დასხნა ივინი დამანისს, და ენება ზაფხულის შესვლა ოვსეთად. ხოლო ამირ-მუჰმან ვითარ ცნა, ვითარმედ ბაზართა, ტომთა მისთა, ზრაზავს, მოუვლინა ბუღას, რათა დაუტეოს ქართლი ჰუმედს, ხალილის ძესა"* (I, 256-257). როგორც ჩანს,

⁴¹² ზემომოყვანილი გარემოებანი შესაძლოა შუქს უნდა ჰყენდეს წინართა წარმომავლობის საკითხს, რომელთაც მდ. თერგის ზემო წელზე, ხევის ტერიტორიაზე, უშუალოდ დარაილის მახლობლად უნდა ეცხოვრათ. მათი სახელწოდება ტანებისას უნდა უკავშირდებოდეს მეგრულ-ლაზურ *ჭ*-ს, ქართულში *წ*თანხმოვანი შეესაბამება (მდრ. ჭყონი-წყანი), ხოლო *არ*, მეგრულ-ჭანურში ადამიანის სადაურობა-წარმომავლობის გამოშატველი სუფიქსია, ქართული *ჯ*-ს შესატყვისი. ყურადღებას იმეორებს აგრეთვე XIII ს. სომეხი ისტორიკოსის ვარდან დიდის *მსოფლიო ისტორიის* ცნობა, რომ კავკასიის მთის ძირას დასახლებული წინარები წარმომავლობით ხალდეები ყოფილან, ხოლო მოვსეს ხორენაცის ცნობით: *კანიეჟი, ივიეუ ბალტიქა* (II, 76).

⁴¹³ ინაქე 1996, 49-68. აღსანიშნავია, რომ უახლესი მონაცემების მიხედვით, VI ს. შუახანებში, სწორედ სპარსელებს აუგიათ კელასურის, ანუ *აფხაზეთის დიდი კედელი*, ბიზანტიელთა და მათ მოკავშირეთა საწინააღმდეგოდ (იხ. Alexidze 2002, 15).

თურქული წარმომავლობის მქონე ბულა თურქის მიერ მიღებულმა ზღაპრებმა ჩაესახლებინა ამიერკავკასიაში "თავისი მეტომეები", ეჭვები აღუძრა არაბ ხელმძღვანელობას. ბულა თურქის ეს ნაბიჯი, როგორც ჩანს, განპირობებული იყო მისწრაფებით, დაესუსტებინა ამიერკავკასიის მოსახლეობის უნარი, საჭიროების შემთხვევაში მოეხერხებინა ჩრდილოეთის ტომების გამოყენება სამხრეთელ მომხდურებთან საბრძოლველად. ჯერ კიდევ, ტაციტუსი შენიშნავდა, რომ იბერიელები "დიდი ხელოვანები" იყვნენ სხვადასხვა პოზიციები თავის სასარგებლოდ გამოყენებინათ და შეეძლოთ უმცრად "გადმოესხათ" მოქირავნეები კავკასიონის გადაღმა მხარეებიდან თავიანთი მტრების წინააღმდეგ მისამართად (*Ann.* VI, 33).

თვით ევროპის პოლიტიკური გეოგრაფია ნაწილობრივ შედგება ახ. წ. IV საუკუნიდან დაწყებული პროცესის – თურანული წარმომავლობის ხალხის ერთმანეთის მომდევნო ტალღების ევროპის კონტინენტზე მიწყდომისა. უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ საკუთრივ თანამედროვე ევროპის სტრუქტურა საგრძნობლად არის თურანელთა შემოსევების შედეგად ჩამოყალიბებული.⁴¹⁴ გერმანული ტომების დასავლეთისაკენ გადაადგილება, როგორც დროში, ასევე სივრცეში, თანხვედა ჰუნების აღმოსავლეთიდან გამოჩენას. ჩინელების მიერ აზიიდან გამოდევნილმა ჰუნებმა ლტოლვილებად აქციეს ტრანსილვანიაში მცხოვრები გერმანული ტომები, რომელთა ტალღებმაც გადაუარეს და გაანადგურეს რომი. ამდენად ჰუნები გადაიქცნენ ძირითად ფაქტორად, რომელმაც მთლიანად უცვალა სახე დასავლური სამყაროს მთელ ისტორიას.⁴¹⁵

უფრო გვიან VII საუკუნის არაბულ-ისლამური დაპყრობების დიდმა ტალღამ, როგორც პოლიტიკურად, ასევე კულტურულად, დააშორა აფრიკა (ეგვიპტის ჩათვლით), პალესტინა, სირია და მესოპოტამია ევროპას და გადააქცია იგი აღმოსავლური სამყაროს ნაწილად, ხოლო ცენტრალური აზიიდან წამოსულმა და სპარსეთის დამაქცევარმა თურქ-სელჯუკებმა XI საუკუნის მეორე ნახევარში მოახერხეს ის რაზედაც არაბები ვერც კი იოცნებებდნენ, დაიპყრეს მცირე აზიის უმეტესი ნაწილი და კულტურული ევროპა გეოგრაფიული ევროპის ფარგლებამდე დაიყვანეს.⁴¹⁶

უილაიმ მაკ გოვერნის აზრით, თუმცა მცირე აზია გეოგრაფიულად აზიაში მდებარეობს, ისტორიულად იგი ევროპას განეკუთვნება. მიუხედავად მისი აზიური წარმომავლობისა ქრისტიანობა ვახდა ის კულტურული ბორკილი, რომელმაც ერთმანეთს გადააბა რომის იმპერიის სხვადასხვა პროვინციები.⁴¹⁷ სწორედ ამიტომ მას მერე, რაც თურქებმა დაიპყრეს მცირე

⁴¹⁴ McGovern 1939, 11.
⁴¹⁵ McGovern 1939, 12, 380.
⁴¹⁶ McGovern 1939, 13-14.
⁴¹⁷ McGovern 1939, 21.

აზია, ისინი განიხილებოდნენ ევროპელთა მიერ, აზიელებად, რომლებიც განაგრძობდნენ ცხოვრებას ევროპის მიწაზე, ხოლო თურქეთი ბუფერულ ქვეყნად ნამდვილ ევროპასა და ნამდვილ აზიას შორის.⁴¹⁸

არც IV საუკუნიდან მოკლებია ქართლის ჩრდილოეთიდან დაცვის საჭიროება მეფე მირიანს *ქართლის ცხოვრების* მიხედვით ხშირად უწყვედა ბრძოლა გადამთიელებთან და ბევრჯერაც ულაშქრია მას ჩრდილოეთიდან მომდგარი მტრისაგან დარუბანდის დასაცავად.

ირანელთა წინააღმდეგ 450-451 წლებში სომხეთ-ალბანეთის აჯანყებისას ჩრდილო კავკასიიდან, კასპიის გზით შემოიჭრნენ აჯანყებულითა მოკავშირე ჰუნები, რომლებმაც ააოხრეს ირანის რამდენიმე ოლქი. აჯანყების თანამედროვე სომეხი ისტორიკოსის ელემეს ცნობით, სომხეთის მარზაპანს ვასაკ სიუნის უღალატია აჯანყებულებისათვის. აჯანყებულთა მოკავშირე ჰუნებისათვის გზის გადასაკეცათ ვასაკს ჯარები გამოუყვანია, რომელთა შორის ქართველი მთიულებიც კი ყოფილან.⁴¹⁹ ირანელებმა შესძლეს ამ აჯანყების ჩახშობა. უფრო გვიან ირანის შაჰის პეროზის დროს (459-484 წწ.) ქართლის მღვდმარობა ისევ გართულებულა ჩრდილოეთის საზღვართან, სადაც კავკასიონის გადასასვლელებს თვით ირანელები იცავდნენ. 60-იანი წლების შუა ხანებში ჰუნთა ზოგიერთმა ტომებმა (სარაგურებმა, აკატირებმა და სხვებმა) გადმოლახეს კავკასიონის ქედი გადმოსასვლელქით,⁴²⁰ რომელსაც V ს. ბიზანტიელი ისტორიკოსი პრისკე პანონელი იურობაპახის სახელით იხსენიებს. მკვლევართა აზრით, ეს ციხე

ციხის

⁴¹⁸ McGovern 1939, 22. უ. მაკ გოვერნისავე საყურადღებო შეხედვლებით, ახალი თურქეთი, მიუხედავად მისი შეზღუდული ზომისა, კვლავაც იქნებოდა მნიშვნელოვანი ფაქტორი მსოფლიო პოლიტიკის მსვლელობაში. (McGovern 1939, 22). ამ მხრივ საკულისხმოა, რომ თურქეთსა და საბერძნეთს შორის არსებული მეტად დაძაბული ურთიერთდამოკიდებულების მიუხედავად, 1997 წლის მარტში საბერძნეთის საგარეო მინისტრმა პანგალოსმა მხარი დაუჭირა თურქეთის კანდიდატურას ევროკავშირში გასაწევრიანებლად და აღნიშნა, რომ *"თურქეთი ევრს ვარეშე განკუთუნება ევროპას"*. სპეციალისტთა აზრით, ეს ნაბიჯი იმისთვის ჩანს გამიზნული, რომ შეუმსუშუქოს საბერძნეთს მისი ბუფერული როლი დასავლეთ ევროპის "აღმოსავლური" შიშებისა და ცრურწმენების საწინააღმდეგოდ – საბერძნეთს ხომ დაკისრებული აქვს ხან ხიდის და ხანაც ზღუდის როლი დასავლეთ-აღმოსავლეთისა თუ ევროპა-ბალკანეთის ურთიერთობებში. როგორც ჩანს, საბერძნეთი შიშობს რომ არ იყოს ამ როლში "მუდის ქვეშ ამოდებული", რაც საესებით შესაძლებელია მოხდეს, ვინაიდან შეერთებულ შტატებს კარგად აქვს შეგნებული თურქეთის სტრატეგიული მნიშვნელობა (Kurop 1998, 11).

⁴¹⁹ იხ. ჯანაშია 1973, 88-89.

⁴²⁰ ლ. ჯანაშიას აზრით, საფიქრებელია, რომ ცენტრალურ აზიაში ომების დროს, ან უფრო ადრე (გამოყვებამდე პეროზს ორი წლის განმავლობაში მოუხდა თავის უფროს ძმასთან პორმიზთან ბრძოლა), ირანელებმა ყურადღება მიაღწუნეს გადასასვლელების დაცვაზე (ჯანაშია 1973, 92).

უნდა აღნიშნავდეს დარიალის ან ივრის გადმოსასვლელებს⁴²¹. გადმოწეულ ტომებს დაურბევიათ და აუოსრებიათ ქართლისა და სომხეთის სოფლები. ირანელებისთვის მეტად სასიფათო მდგომარეობა შეიქმნებოდა, თუ ცენტრალურ აზიაში მძაფრი ომების დროს, ზურგში ასალი მტერი გამოუჩნდებოდათ. ამიტომ ირანელებს ბიზანტიელებისათვის უთხოვიათ ან ფული გაეგზავნათ მათთვის ან ჯარი იუროიპაახის დასაცავად, მაგრამ ბერძნები ამასე არ დათანხმებულან.⁴²²

ვარაუდობენ, რომ ჰუნთა ეს ლაშქრობა უნდა იგულისხმებოდეს ჯუანშერთან აღწერილ ჩრდილოეთიდან შემოსევის ამბავში, საიდანაც ვეზულობთ, რომ, ჯერ კიდევ ვახტანგის მცირეწლოვანობის დროს ქართლი დაულაშქრავათ ოსებს, რომელთაც *"შოატყუნეს ქართლი თავითვან მტკურისათ ვიდრე ზუნანამდე, და შოაკრნეს კელნი, არამედ ციხე-ქალაქნი დაურჩეს, თუნიერ კასპისა"*. დაუტყვევებიათ მათ, აგრეთვე, მეფის და მირანდუხტი (I, 145-146)⁴²³. ლ. ჯანაშიას ვარაუდით, თუ ეს ცნობა ჰუნების იმავე ლაშქრობას არ ეხება, კავკასიონზე გადმოსასვლელებით ჰუნებზე ადრე ოსები შემოჭრილან.⁴²⁴

ლ. ჯანაშია შენიშნავს, რომ ირანელებთან მომავალ ბრძოლაში წარმატებისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კავკასიონზე გადასასვლელებს, რომლებიც ამ ხანაში ირანელებს ეკავათ. მათი ხელში ჩაგდება საშუალებას მისცემდა ვახტანგ გორგასალს ზურგი გაემაგრებინა, არ გადმოეშვა ჩრდილოეთიდან მოთარეშეები და თვით გადმოეყვანა დამხმარე სამხედრო ძალა.⁴²⁵ ამ მხრივ ლ. ჯანაშია განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებს ცნობას, რომელიც მოიპოვება წმ. ნინოს ცხოვრების ზოგიერთ რედაქციაში. ამ ცნობით ვახტანგ გორგასალმა *"დაიმორჩილა ოვსნი და ყოვჩაღნი და შექმნა კარნი ოვსეთისანი და აღაშენა მას ზედა გოდოლი და დააყენა მას ზედა მცველნი მახლობელნი მის ადგილისანი და უწოდა მას კარად დარიალისა, და აწ თუნიერ ბრძანებისა მეფისა ვერ კელენიფების გადმოსლვად ოვსთა და ყოვჩაღთა"*.⁴²⁶ ამ ცნობის თანახმად, თითქოს ვახტანგმა ეს გადასასვლელი წაართვა ოსებსა და ყოვჩაღებს და არა ირანელებს, რომელთანაც ეს გადასასვლელი ჰქონდათ დაკავებული,

⁴²¹ იხ. გამყრელიძე/ყაუხჩიშვილი 1961, 260, შენ. I. ხოლო მ. ინაძის აზრით, იუროიპაახში დარუბანდი უნდა იგულისხმებოდეს (ინაძე 1996).

⁴²² გამყრელიძე/ყაუხჩიშვილი 1961, 259-260; ჯანაშია 1973, 91-92.

⁴²³ ყაუხჩიშვილი 1955, 145-146.

⁴²⁴ ჯანაშია 1973, 92.

⁴²⁵ ჯანაშია 1973, 100. მართალია, ჯუანშერი ვრცლად მოგვითხრობს ვახტანგის ჩრდილო კავკასიაში ლაშქრობის ამბავს, მაგრამ ეს მოთხრობა საესეა ზღაპრული აღწერილობით. მიუხედავად ამისა, მკვლევართა აზრით, მასში მაინც უნდა იყოს რეალური ამბების გამოძახილი (ჯანაშია 1973, 100).

⁴²⁶ ჟორდანი 1892, 50.

მაგრამ ლ. ჯანაშიას განცხადებით, ამ გარემოებას ადვილად შეიძლება მოექცნოს ახსნა, ვინაიდან ხდებოდა ისეც, რომ ჩრდილოეთიდან შემოჭრილი მოთარეეშები ღროებით იკავებდნენ ხოლმე მათ და შესაძლოა ვახტანგ გორგასალს სწორედ ასეთი ვითარებით ესარგებლა და ვითომცდა ირანელთათვის გაენთავისუფლებინა ეს გადასასვლელიები, სინამდვილეში კი სათავისოდ დაეკავებინა ისინი.⁴²⁷

ვახტანგის მიერ კავკასიონის გადასასვლელიების დაჭერას, ლ. ჯანაშიას დაკვირვებით, ადასტურებს ისიც, რომ მას მოლაპარაკება გაუმართავს ჰუნებთან და პირობაც მიუღია მათგან, რომ საჭიროებისას ჯარს მიაშველებდნენ. ლაზარ ფარაბეცი გადმოგვცემს, რომ აჯანყების წინ ვახტანგს განუცხადებია, მე ბრძოლას არავის დავანახებ, იმდენ ჰონს გადმოვიყვან, რომ სპარსთა ჯარები წინ ვერ დაუდგნენო.⁴²⁸

483 წ. გაზაფხულზე ირანელებმა ქართლსა და სომხეთში ორი დიდი ლაშქარი გამოეჭაუნეს. ვახტანგმა დაინახა რა, რომ ირანელებს ვერ გაუმკლავდებოდა, თავი შეაფარა სომხეთის მთებს ქართლის საზღვრის მახლობლად. იქიდან მან დახმარება სთხოვა სომხებს, თან იტყობინებოდა, რომ სულ ახლო მომავალში ელოდა ჰუნების მაშველი ჯარების მისვლასაც. ჰუნების გარეშე ბრძოლის დაწყება სომხებს მიზანშეწონილად არ მიიჩნდათ და უმჯობესად თვლიდნენ მთებში დარჩენას, სადაც ირანელები ვერ გამოიყენებდნენ თავის რიცხობრივ უპირატესობას.⁴²⁹

ლაზარ ფარაბეცის გადმოცემით, ვახტანგი ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა დაერწმუნებინა სომხები მისი გეგმა მიეღოთ და ბარში ჩასულიყვნენ - ის ამკარა ტყუილზეც კი მიდიოდა სომხების გასამხნეველად, ვითომ ჰუნები უკვე მოვიდნენო. ვახტანგს ასეთი ხერხიც უხმარია: სომეხთა და ქართველთა ჯარიდან გაუგზავნია მზვერავები, რომელთაც შორიდან დაანახეს დანთებული ცეცხლი და მეომართა მსგავსად გამოწყობილი ხის კუნძები. ვახტანგის განმარტებით ეს ჰუნთა ლაშქარი იყო, რომელიც ბარში დაბანაკებულიყო და მთაში არ ადიოდა, რადგან ვითომც თავის მხრივ არ სჯეროდა სომხების მოსვლა. ვახტანგს უთქვამს, ჰუნები მეუბნებიან, ოღონდ სომხები აქ ჩამოიყვანე და დაგვანახე, მერე კი სპარსელები ჩვენ დაგვანებთ და თქვენ თავს ნუ შეიწუხებთო. ვახტანგი ეუბნებოდა სომხებს, თუ თქვენ ბარში არ ჩახვალთ, ჰუნები არ დამიჯერებენ და ადვილიდან ფეხს არ მოიცვლიან, მიპრანი კი მიბრუნდება და ქართლს ააოხრებსო. მამ რაღა

⁴²⁷ ჯანაშია 1973, 100. ჯუანშერის ცნობითაც, ვახტანგის ექსპედიცია ჩრდილო კავკასიაში ხომ ოსთა ლაშქრობის საპასუხო აქტს წარმოადგენდა (ჯანაშია 1973, 100).

⁴²⁸ ჯანაშია 1962, 243-244. შემდეგში ვახტანგი, მართლაც, ელოდა ჰუნთა ჯარს, მაგრამ პირობა რატომღაც არ შესრულდა - მას მხოლოდ რამდენიმე ასულიისაგან შემდგარი რაზმი მოუვიდა (ჯანაშია 1973, 92, 101).

⁴²⁹ ჯანაშია 1973, 102.

სარეგლობა ექნება ჩემთვის თქვენს აქ მოსვლასო. ბოლოს და ბოლოს კახე-
ტანგე თავისი გაუტანია, აჯანყებულთა ლაშქარი ველზე ჩასულა და
მტკერის ნაპირას დაბანაკებულა.⁴³⁰

ზემომოყვანილი პასაჟი მოწმობს თუ რა დიდ ძალას წარმოადგენდ-
ნენ ჩრდილოელი მომთაბარე გადამთიელები ამიერკავკასიის მოსახლეო-
ბისათვის და რაოდენ დიდი შიში თუ იმედი იყო აქ დაკავშირებული მათ სახ-
ელთან.

VI ს. 30-იან 40-იან წლებთან დაკავშირებით უნდა იუწყებოდეს
მოქცევაჲ ქართლისაჲ ირანელთა მომძლავრებას ამიერკავკასიაში, კერძოდ,
მათ გამაგრებას ცენტრალურ კავკასიაში. ნაწარმოებში აღინიშნება, რომ
ირანელებმა *"ქართლი უმეტესად დაიპყრეს და კავკასიანთა შევიდეს და
კარნი ოვსეთისანი აიგნეს და ერთი დიდი კარი ოსეთსკე და ორნი დვალებს
და ერთი პარჭუანს დურბუქეთისა, და იგი მთიულნი მომარდად დაადგინეს.
და სხუად ვინმე კაცი დაადგინეს მთავრად წანარეთისა კვესა და მორჩილე-
ბაჲ დასდევს მისი"*. კავკასიაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე ბი-
ზანტია ცდილობს მოკავშირეებად აქ ხაზარები გამოიყენოს. ხაზარები ხალ-
ისით გამოქსმაურებიან ბიზანტიელთა მოწოდებას, მათი დიდძალი ლაშქარი
თავდაპირველად დარუბანდს დაესხა თავს და მიწასთან გაასწორა. აღ-
ბანეთის შემუსვრის შემდეგ ხაზარები თბილისისაკენ გამომართულან.
*"დაიძრა ნიაღვარი მოვარდნილი და მდინარე აღიდებული ქართველთა
ქვეყნისაკენ, გარს შემოადგა და ალყა შემოარტყა ნებიერს, მოვაჭრესა და
სახელგანთქმულ დიდ ქალაქს ტფილისს"*, წერდა მოსე კალანკატვაცი.
თბილისთან ხაზარებს 627 წ. შემოდგომაზე ლახიკიდან დიდი ჯარებით
გადმოსული ჰერაკლე შეგებებია.⁴³¹

VII ს. სომეხი ანონიმი გეოგრაფი, როგორც ირკვევა იგი ანანია
შირაკაცი უნდა იყოს, პირდაპირ უთითებს, რომ ალანთა კარი წანართა ქვეყ-
ანაში არის, ხოლო X ს. არაბი ისტორიკოსის, მასუდის ცნობითაც, წანართა
ქვეყანა ქართლსა და ალანთა ციხეს შორის არის მოთავსებული. ამდენად,
წანართა პირველსაცხოვრისი დარიალის ხეობაში, დღევანდელი "ხევის"
რაიონში უნდა ყოფილიყო განლაგებული.⁴³² როგორც ირკვევა, არაბთა გა-
მოჩენის წინა ხანაში და საკუთრივ არაბთა ბატონობის ხანაშიც, როდესაც
ქართლი განსაკუთრებით იყო დასუსტებული, დარიალი წანართა ხელში
ჩანს მოქცეული.⁴³³

⁴³⁰ ჯანაშია 1962, 250-251; ჯანაშია 1973, 103.

⁴³¹ ბოგვერაძე 1973, 280-281.

⁴³² ლორთქიფანიძე 1973, 391-392.

⁴³³ წანარებმა შემდგომში დიდი წვლილი გაიღეს კახეთის სამეფოს გაძლიერებაში (იხ.
ქვემოთ).

კავკასიონის გადასასვლელების ხელში ჩაგდების მიზნით, VIII საუკუნის დამდეგიდან არაბებსა და ხაზარებს ერთმანეთთან განუწყვეტელი ბრძოლა აქვთ - კავკასია ამ ორი მეტად დინამიური და მომთაბარე ძალის დაუნდობელი შეტაკებების ასპარეზი ხდება. ხაზარები ან დამოუკიდებლად, ანდა ბიზანტიელებთან კავშირში მოქმედებდნენ. ხალიფა ჰიშამის (724-743 წწ.) ზეობის პირველსავე წლებში ქართლში შემოვიდა ხაზარების წინააღმდეგ გამოგზავნილი სარდალი ჯარაჰ იბნ-აბდ-ალ-ლაჰი. მალე ხალიფამ თავისი შვილი მონა ქალისაგან მასლამა გამოგზავნა კავკასიაში, რომელმაც 728-729 წელს დარიალის კარის გავლით წარუმატებლად ილაშქრა ხაზარეთში. მომდევნო წელს ხალიფა ჰიშამმა ისევ ჯარაჰ იბნ-აბდ-ალ-ლაჰი გამოგზავნა. თბილისიდან დარიალის გავლით ხაზარეთში შეჭრილმა არაბებმა მდინარე ვოლგის ქვემო წელი დალაშქრეს ამის საპასუხოდ ხაზარებმა დიდი სამხედრო ექსპედიცია მოაწყვეს აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, რამაც ჯარაჰიცა და მთელი მისი ჯარი შეიწირა. 732-733 წელს (პიჯრიდან გადმონაგარიშებით) კავკასიაში სარდლად ხდება ხალიფას ბიძაშვილი მერვან იბნ-მუჰამედი (იგივე ქართული წყაროების მერვან ყრუ). 737 წელს მერვანმა თავისი ლაშქარი ერთდროულად ორი მიმართულებით, დარიალისა და დარუბანდის გზით, დაძრა ხაზარეთისაკენ. თვითონ მერვანი მთავარი ძალებით დარიალის გასასვლელით გაემართა.

როგორც ჩანს, ქართველი საზოგადოებრიობა არაბთა ოკუპაციისაგან თავდასაღწევად გარკვეულ იმედებს ამყარებდა მათი მოსისხლე მტრებისაგან, ხაზარებისაგან შესაძლო დახმარებაზე. VIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ნერსე ქართლის ერისთავი არაბებთან წინააღმდეგ ბრძოლისას სამხედრო დახმარებას სწორედ ხაზარებისაგან ელოდებოდა. იგი მთელი თავისი ოჯახითა და სამასკაციანი ამალით ქართლიდან დარიალის გზით ხაზარეთში გადავიდა. მიუხედავად იმისა, რომ მისი არჩევანი შემთხვევითი არ ყოფილა, იგი უკან იმედგაცრუებული დაბრუნდა.⁴³⁵

ხაზართა შემოსევების საფრთხის აქტუალურობაზე უნდა მიუნიშნებდეს ის გარემოება, რომ თვით არაბები მიიჩნევდნენ თბილისის საამიროს ბურჯად ბიზანტიელთა და ჩრდილოეთიდან ხაზართა შემოსევების საწინააღმდეგოდ.

VIII საუკუნის შუა წლებიდან წანარები აქტიურობენ აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკურ სარბიელზე. წანართა მოთავეობით იწყება კახეთის შეკრება და ბრძოლა არაბთა წინააღმდეგ, მათივე მოთავეობით ხორციელდება კახეთის გაერთიანება და დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად, სამთავროდ ჩამოყალიბება. ამასთან დაკავშირებით ფარ-

⁴³⁴ იხ. ბოგვერაძე 1973, 288-290.
⁴³⁵ ბოგვერაძე 1973, 246-293.

თოვდება ცნება "წანარეთის" მნიშვნელობა და საკუთრივ ხევიდან ისინი დათან მთელ კახეთზე და ზოგ შემთხვევაში კახეთთან შემოერთებულ გაერთიანებულ ქვეყნებზეც ვრცელდება.⁴³⁶ VIII საუკუნის დასასრულს შიდა ქართლი კახეთის მთავარს გრიგოლსა აქვს დაპყრობილი (I, 252-253). შიდა ქართლის დაპყრობა შესაძლებლობას უქმნის კახეთის მთავარს თავისი კონტროლის ქვეშ მოაქციოს ამიერკავკასიის სავაჭრო გზის ის მონაკვეთები, რომელნიც ალაზნის, ივრისა და არაგვის ხეობებს მიჰყვებოდნენ. აქედან ეხსნებოდა კახეთის მთავარს ჩრდილოეთისაკენ მიმავალი გზა და მისი კონტროლის ქვეშ აყენებდა დარიალის ხეობას.⁴³⁷

IX საუკუნის 80-იანი წლებიდან კი უკვე ეგრის-აფხაზეთის სამეფოს ჩარევა შიდა ქართლისათვის წარმოებულ ბრძოლაში მთლიანად ცვლის აქ არსებულ პოლიტიკურ სურათს. ნიშანდობლივია, რომ ეგრის-აფხაზეთის მეფე ერთდროულად იბრძვის იმ გზებისათვის, რომლებიც გადის შიდა ქართლზე, ერთი მხრივ, დარიალის გზისათვის და ამავე დროს ბარდავიდან საქართველოსაკენ მიმავალი გზის იმ მონაკვეთისათვის, რომელიც ალაზნის გაყოლებით გავაზზე გადიოდა.⁴³⁸ მ. ლორთქიფანიძის განმარტებით, სწორედ შიდა ქართლზე გადიოდა და აქ უკავშირდებოდა ერთმანეთს უდიდესი მნიშვნელობის სავაჭრო გზები. შიდა ქართლი გზებით იყო დაკავშირებული დასავლეთ საქართველოსთან (სურამის უღელტეხილი), "ქართველთა სამეფოსთან" (მტკვრის ხეობით), ჩრდილოეთ კავკასიასთან (დარიალით), კახეთთან (გომბორით), სამხრეთით სომხეთთან და სხვ. სწორედ ეს ტერიტორია "არაგვიდან ტაისის კარამდე" წარმოადგენდა ამ გზათა საყარს, რომელთა ნაწილს (მტკვრის ხეობას, დარიალის გზას და სხვ.) ადგილობრივ (კავკასიურ) მნიშვნელობასთან ერთად, უძველესი დროიდანვე მსოფლიო სავაჭრო გზების მნიშვნელობა ჰქონდა.⁴³⁹

თუმცა არც მომდევნო ხანებში იყო ხოლმე ნაკლებობა დარიალის გადასასვლელის გამოყენებით ჩრდილოეთ კავკასიიდან დამხმარე ძალების გადმოყვანისა; კერძოდ როდესაც ბაგრატ IV-მ განძის ამირა ფადლონის საგანგებოდ დასჯა გადაწყვიტა, ჩრდილო კავკასიიდან ოსთა დამხმარე რაზმები გადმოიყვანა. ბაგრატის ცოლისძმა ოსთა მეფე დორლოლელი მის დასახმარებლად დიდი ლაშქრით მოვიდა. ბაგრატმა ჯარს უფლისწული გიორგი უთავა; ქართველთა მხედრობამ "შოაკრა განძა, და აღილო ტყუე და ნატყუენავი ურიცხე". (I, 313)⁴⁴⁰

⁴³⁶ ლორთქიფანიძე 1973, 392.

⁴³⁷ ლორთქიფანიძე 1973a, 516.

⁴³⁸ ლორთქიფანიძე 1973, 440-441.

⁴³⁹ ლორთქიფანიძე 1973a, 514.

⁴⁴⁰ იხ. ლორთქიფანიძე 1979, 200-201.

საქართველოს მეფემ, დავით აღმაშენებელმა, 1118 წელს "აღიხუნა ციხენი დარიალისა და ყოველთა კართა ოვსეთისათა და კავკასიისა მთინათანი" (I, 336). ამჟამად, რომ დავითი უდიდეს ყურადღებას უთმობდა ჩრდილოეთის გადასასვლელებს. ვახუშტის ცნობით, გველეთს ქვეით "არს ციხე დავითისა, არაგვის აღმოსავლეთ კიდეა ზედა, აღმაშენებლის აღშენებული", ხოლო "ამას ქვეით ნასახლევი მეფეთა ოდეს გაილაშქრიან ოვსეთად, მუნ დადვიან"⁴⁴¹. სწორედ დარიალის ზეკარით გადმოიყვანა თურქ-სელჯუკებისაგან მომდინარე დიდი საფრთხის მოლოდინში მყოფმა დავითმა ყივჩაღები. მისი ისტორიკოსის ცნობით, ამ მიზნით დავით მეფემ „აღიხუნა ციხენი დარიალასა და ყოველთა კართა ოვსეთისათა და კავკასიისა მთისათანი“. ივანე ჯავახიშვილის კომენტარით, ის რომ ჩრდილოეთის ყველა კართა ციხენი საქართველოს ხელშეწყობის ხელში მოექცა დიდი პოლიტიკური გამარჯვება იყო⁴⁴². ნიკო ბერძენიშვილიც განმარტავს, რომ, დარიალის კარების ხელში აღება იყო არა თავდაცვის აქტი ჩრდილოეთიდან მოწოდებულ მომთაბარეთა შემოსევის წინააღმდეგ, არამედ ღონისძიება შეტევისა და გავლენის მიზნით კავკასიის მთიანეთსა და იმიერკავკასიის ხალხებზე.⁴⁴³

დავით აღმაშენებლის დროს საქართველო კონტრშეტევაზეც კი გადავიდა სელჯუკური იმპერიის წინააღმდეგ, რასაც კირილ თუმანოვი ქართულ ჯვაროსნულ ლაშქრობას უწოდებს და რამაც ჩრდილოეთით, საქართველოსკენ მიიზიდა სელჯუკთა ძალის გარკვეული ნაწილი და ამით დახმარება გაუწია პირველ ჯვაროსნულ ლაშქრობას.⁴⁴⁴

სწორედ დავით აღმაშენებელმა შეძლო იმიერკავკასიისათვის ერთიანი სტრატეგიის ჩამოყალიბება. ამის ამსახველია თუნდაც 1125 წლის შემდეგ დავით მეფის სახელით შეთხზული ანდერძი, რომელშიც საქართველო დასავლეთიდან აღმოსავლეთამდე განისაზღვრება „ნიკოფსითგან დარუბანდისა საზღურამდე“, ანუ კავკასიონის მთავარი ქედის მთელ გაყოლებაზე, კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთიდან აღბანეთის უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთამდე. ამით რეალობად იქცა არა მხოლოდ იბერიის, არამედ ძველი ცივილიზებული სამყაროს მიზანსწრაფვა, შეექმნა კავკასიონის გასწვრივ, შავი ზღვიდან კასპის ზღვამდე, ადგილობრივი, იმიერკავკასიური, ძალების საშუალებით, კავკასიონის საუღელტეხილო გადასასვლელების სამეთვალყურეო ერთიანი თავდაცვითი სისტემა. ფორმულა „ნიკოფსით დარუბანდამდის“, უკვე სავსებით ჩამოყალიბებული სახით, როგორც საქართველოს გეოგრაფიული

⁴⁴¹ ვახუშტი 1973, 358.

⁴⁴² ჯავახიშვილი 1965, 199.

⁴⁴³ ბერძენიშვილი 1966, 56.

⁴⁴⁴ Toumanoff 1967, 364.



პარამეტრებისა და იმავდროულად პოლიტიკური ფუნქციის განმსაზღვრელად ასახულია XIII საუკუნის თხზულებაში „ისტორიანი და შარავანდედიანი“. გარდა სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობისა, კავკასიონის ზეკარებს სრულიად გარკვეული სავაჭრო-ეკონომიკური მნიშვნელობაც ჰქონდათ და ცხადია ამ კუთხითაც საქართველოს გაძლიერება-გამდიდრების წყაროს წარმოადგენდნენ⁴⁴⁵.

კავკასიონის ქედის ზეკარების, და ამდენად ჩრდილოეთის მომთაბარეთა სამხრეთისაკენ მოძრაობის, ერთპიროვნული კონტროლის გამო საქართველო ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთ დომინანტურ ძალად იქცა. ანტიოქიის სამთავროს კანცლერის, 1119-1126 წწ. ანტიოქიის ქრონიკის ავტორის გოტიუს (Galterius) წარმოდგენით, საქართველო იყო ის დიდი ზღუდე, რომელიც ელობებოდა წინ თურქ-სელჯუკებს ქრისტიანი ხალხებისა და ჯვაროსნების წინააღმდეგ ბრძოლაში, ხოლო იერუსალიმელი ბერის, ანსელუსის თვალსაზრისით, საქართველო იყო ევროპელთა ავანპოსტი მიდიელებისა და სპარსელების წინააღმდეგ⁴⁴⁶. მაგრამ აღმოსავლეთიდან ჯერ ხვარაზმელებისა და მონღოლების, ხოლო შემდეგ თემურ-ლენგის თათართურქმანთა, თურქთა და ყიზილბაშთა ურდოების შემოსევებმა, რომლებიც ისევე როგორც ჩრდილოელი მომთაბარეები ერთიდაიმავე ცენტრალურაზიული კერიდან იღებდნენ სათავეს, ძირფესვიანად შეცვალეს მდგომარეობა. ნიკო ბერძენიშვილის სიტყვებით, „საფრთხე დაუდგა ახლო აღმოსავლეთის ცივილიზაციას. ეს იყო მსოფლიო მნიშვნელობის შეფერხება, რეაქცია, უკანდახევა... ეს იყო ველურთა დიდი გადმოსახლება (არა ველურს არც შეუძლია გადმოსახლება), ახლო აღმოსავლეთის ცივილიზაციის წალეკვა. საქართველო "ველურთა" ზღვაში მოქცეულ კუნძულსა ჰგავს, ისიც პოლიტიკურად დაიფლითა...“⁴⁴⁷

იმდენად დიდი ჩანს "ოქროს ხანიდან" ახალი გამოსული და მონღოლთა ყველაფრის წამლეკავი საფრთხის წინაშე დაუცველად მდგარი ქართველთა სასოწარკვეთა, რომ თუ თავის დროზე იოანე საბანისძე შემდეგნაირად ახასიათებდა ხაზარებს: *"არიან ხაზარნი, კაც ველურ, საშინელ პირითა, მკეცის ბუნება, სისხლის მჭამელ"*, რამდენიმე საუკუნის შემდეგ ქართველი მწერლის გემოვნება დიამეტრალურად იცვლება და ჟამთააღმწერელისათვის მონღოლები პირმშვენიერი ხალხია: *"იყვნეს ტანითა სრულ, გუამითა ახოვან და ძლიერ ფერკითა, შუენიერ და სპეტაკ კორცითა, თუალითა მცირე ჭურით და ვრემან, განზიდულ და საჩინო; თავითა დიდ, თმითა შავ და კშირ, შუბლ-პრტყელ, ცხურითა მდაბალ ესოდენ, რომელ ღაწუნი უმაღლეს იყენიან ცხვირთა და მცირედნი ოდენ ნესტუნი ჩნდიან ცხვირთა;*

⁴⁴⁵ ჯანაშია 1949, 183-184, 199; იხამე 1955, 315-321.

⁴⁴⁶ ავალიშვილი 1929.

⁴⁴⁷ ბერძენიშვილი 1974, 239-240.

ბავენი მცირე, კბილნი შეწყობილნი და სპეტაკ, ყოვლად უწყურადნი, ესევითარი აქუნდა უმსგავსო სახე. და ნუ ვის გიკურს, რომელ აღმატებული რამე შეუნიერება აქუნდა ამით ყოველთა, მამათა და დედათა" (II, 158). უნებურად მონღოლთა ცენზურის არსებობას წარმოიდგენ შუასაუკუნეების საქართველოში, თუ არა კლასიკური ხანებიდან გადმოსული ხელოვნების კრიტიკიუმების მთლიან შეცვლას, რაც მხოლოდ მსოფლალქმის ძირფესვიან გარდაქმნას შეეძლო გამოეწვია.

ცენტრალურაზიული კერიდან წამოსულ და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან შემოჭრილ დამპყრობელთა ტალღებს საქართველომ ადგილობრივთან ერთად, ისევე როგორც დავით აღმაშენებლის დროს ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოყვანილი ძალებიც დაუპირისპირა. ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს, რომ მეფე რუსუდანმა "მოუწოდა ყოველთა სპათა თესთა, იმერთა და ამერთა" და ამასთანავე "ვანუხუნა კარნი დარი-ალისანი და გარდამოიფუანსა ოსნი, დურძუკნი, ამით თანა ყოველნი მთიულნი" (II, 182-183). ჩრდილოკავკასიელი ხალხების მონაწილეობას კოალიციურ ლაშქარში ადასტურებენ აგრეთვე ნასავი, ჯუჯენი და რაშიდ ად-დინი.⁴⁴⁸ ასევე გიორგი VII-მ (1393-1407 წწ.) თემურლენგი ინდოეთში რომ გაიგულა საღალატოდ გაამზადა მთელი საქართველოს სამხედრო ძალა; გარდა ამისა, დარიალიდან გამოიყვანა "სრულიად კავკასნი", ე. ი. ჩრდილოეთ კავკასიის სხვადასხვა ტომი და დაიძრა ნახჭევანში, მდინარე არეზთან დაბანაკებული მტრისაკენ.⁴⁴⁹

იმდენად მნიშვნელოვანი იყო საქართველოს სტრატეგიული მდებარეობის უპირატესობა, რომ როდესაც 1264 წელს დავით ულუ და სარგის ჯაყელი ჰულაგუ ყაენის წინაშე გასასამართლებლად წარდგნენ მონღოლთა საწინააღმდეგო საქმიანობისათვის, ჟამთააღმწერელის გადმოცემით (II, 246-248), ყაენის შიკრიკი პირდაპირ სხდომაზე შევიდა და ყაენს აცნობა: რა დროს ლაპარაკია ("არა არს ჟამი მეტყველებად"...), ჩრდილოეთიდან, დარუბანდის გზით ბერქა ყაენი დიდი ჯარით ჩვენზე მოდისო, დაუყრნებლად დადგა აღმოსავლეთ საქართველოსთან მშვიდობიანი და მეგობრული ურთიერთობის დამყარების საჭიროება, რათა უკმაყოფილო ქართველები ოქროს ურდოს ყაენს არ მიმხრობოდნენ და დარიალი შემოსასვლელად მისთვის არ დაეთმოთ. ჰულაგუ ყაენმა სასამართლო შეწყვიტა, სასწრაფოდ ჯარი შეყარა და ქართველი მოლაშქრენი დავითისა და სარგის ჯაყელის მეთაურობით წინანდებურად წინა რიგებში ჩაიყენა.⁴⁵⁰

XV საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც ალექსანდრე I-ის დროს (1412-1442 წწ.) საქართველოს გაერთიანება თითქოს უკვე ახლოს

⁴⁴⁸ კიკნაძე 1979, 544.

⁴⁴⁹ ტაბატაძე 1979, 690.

⁴⁵⁰ ლომინაძე 1979, 574.



იყო და იგი "ორსავე სამეფოს მტკიცედ" მპყრობელად ითვლებოდა, ჩრდილოეთის კარიც, დარიალიც და ამ კუთხის მთის მოსახლეობაც საქართველოს ეკუთვნოდა,⁴⁵¹ ოსმალთა მიერ კონსტანტინეპოლის აღებამ, საქართველო დიდი ხნით მოწყვიტა დასავლეთის ქრისტიანულ სამყაროს და თურქთა და სპარსელთა აგრესიის წინაშე განმარტოებული დატოვა.⁴⁵² თურქების მიერ 1453 წელს კონსტანტინეპოლის აღება ყოველთვის და სამართლიანადაც განიხილება შებრუნების წერტილად ევროპის ისტორიაში. რომის დაცემიდან კონსტანტინეპოლის დაცემამდე პერიოდში, ევროპული კულტურის გრავიტაციის ცენტრი აღმოსავლეთში მდებარეობდა და არა დასავლეთში.⁴⁵³

XV საუკუნის დამლევისათვის ცენტრალური ხელისუფლების დეზინტეგრაცია საქართველოში თითქმის სრული იყო. ყველაზე სამწუხარო ამაში მაინც ის იყო, რომ ეს მოხდა იმ ეპოქაში, როდესაც ევროპაშიცა და ახლო აღმოსავლეთშიც ადგილი ჰქონდა საყოველთაო მისწრაფებას სახელმწიფო ძალაუფლების ცენტრალიზაციისა და გაძლიერებისაკენ, რამაც⁴⁵⁴ საფუძველი ჩაუყარა შემდგომი ხანების ძლიერი ქვეყნების აღმოცენებას. ქართლის მეფის ვახტანგ V შაჰნავაზის (1658-1676 წწ.) ყველა ცდა ქვეყნის გასაერთიანებლად მიმართული, უნაყოფო გამოდგა, არც სპარსეთი და არც ოსმალეთი თავისი ნებით არ დაუშვებდა კავკასიონის ქედის სამხრეთით არსებული სტატუს ჟუო-ს დარღვევას ანუ ორ ნაწილად გახლეჩილ რომლისგანაც აღმოსავლეთი სპარსეთის მფლობელობაში მყოფად განიხილებოდა, ხოლო მეორე – ოსმალეთის.⁴⁵⁵

ქართლის გაერთიანებას

⁴⁵¹ საქართველოს ერთიანობის დაშლის შემდეგაც კი ქართლის სამეფოს ჩრდილოეთი საზღვარი ორ ადგილას – დარიალის ხეობასთან და დვალეთში – მთავარ ქედს იქით გადადიოდა. დვალეთის აღმოსავლეთ ნაწილი ქართლის მეფეს დავით X-ს (1505-1525 წწ.) ემორჩილებოდა, დასავლეთი კი – იმერეთის მეფეს (გუჩუა 1973, 226).

⁴⁵² Lang 1957, 17, 19.

⁴⁵³ McGovern 1939, 14. ხელოვნება და მწერლობა ჯერ ისე დაფასებული და შესწავლილი იყო კონსტანტინეპოლში და იმ მხარეებში რომლებიც ბიზანტიური ძალაუფლების ქვეშ იმყოფებოდნენ (McGovern 1939, 14). კონსტანტინეპოლის დაცემამდე აქტიურ ვაჭრობას ჰქონდა ადგილი ერთი მხრივ ევროპასა და მეორეს მხრივ ჩინეთსა და ინდოეთს შორის (McGovern 1939, 15).

⁴⁵⁴ შდრ., Lang 1957, 20.

⁴⁵⁵ Lang 1957, 102.

მრავალსაკუთრის ქართული მონარქიული სახელმწიფოებრიობის აღსასრული

ცენტრალური ევრაზიიდან გადმოსახლებული მეჯოგე ტომების საქართველოში სამხრეთიდან შემოსევამ, ჩვენს ქვეყანას საორიენტაციო კრიტერიუმში თითქოს საბოლოოდ შეუცვალა. სამხრეთ-დასავლეთით ერთმორწმუნე ბიზანტიის ადგილას აგრესიული, მუსლიმური, ოსმალეთი აღმოცენდა. როგორც ყოველთვის სამხრეთის მოძალებისას საქართველომ ხსნისათვის თვალი ჩრდილოეთს მიაპყრო, სადაც მეჯოგე ტომთა გაერთიანების ნაცვლად სწრაფი ტემპით რუსეთის მართლმადიდებლური იმპერია ყალიბდებოდა.

ა. ცაგარელი შენიშნავს, რომ, ჯერ კიდევ ალექსანდრე კახთა მეფის მიერ მოსკოვის დიდი მთავრის ივანე III-ისადმი მიმართვიდან ჩანს, რომ ქართველთათვის თავდაპირველად რუსეთი წარმოდგებოდა ბიზანტიის ფუნქციის შემცველად და ის იმედები და განწყობა, რომელსაც ისინი ატარებდნენ კონსტანტინეპოლ გვირგვინოსანის მიმართ გადატანილი იყო მოსკოვის ხელისუფალზე.⁴⁵⁶ იმ ხანად რუსეთი გულმოდგინეთ ინარჩუნებდა ყოვლის შემძლე მართლმადიდებლური ქვეყნის სახეს, რომლის ერთადერთ მიზანს იმ მომენტის მოახლოება წარმოადგენდა, როდესაც იგი შესძლებდა თავისი გულმოწყალე ძალაუფლების კალთის გადაფარებას მაჰმადიანთა უღლის ქვეშ მყოფ წამებულ ქრისტიანებზე.⁴⁵⁷

რუსეთის "ხელმწიფე-იმპერატორი" აღმოსავლელ ხალხთა მიერ არცთუ იშვიათად იწოდებოდა "თეთრ ხელმწიფედ", რაც აიხსნება "ოქროს ურდოს" თავდაპირველი სახელწოდებით "თეთრი ურდო", ასე ეწოდებოდა ჯუჩის (ჩინგიზ ხანის შვილის) ულუსს. ეს სახელწოდება წარმოსდგება ჩინელებისაგან, რომლებიც ხალხებს კომპასის სხვადასხვა მხარეების ფერების მიხედვით აღნიშნავდნენ, მაგ. კარვად ცნობილი "თეთრი ჰუნები". რუსეთის ავტოკრატი, ჯუჩის ულუსის მემკვიდრე, თავის თავს "თეთრ ხელმწიფეს" (*белый царь*) უწოდებდა. უ. ალენის განმარტებით, ეს გარემოება მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ ფაქტორს წარმოადგენდა რუსეთის პრეტენზიების გამოხატვისას ადრე "თეთრ (ანუ ოქროს) ურდოში" შემავალი ტომების დასაქვემდებარებლად, ჯერ ისევ მეთურამეტე საუკუნეში რუსეთის იმპერატორი ყალმუხებისა და ბურიატებისათვის "თეთრი ხანია".

რუსეთის ასეთი პრეტენზიების ქონა აღმოსავლეთში, ანალოგიურია დასავლეთში ამავე სახელმწიფოს მიერ მართლმადიდებელ-ქრისტიანულ მოსახლეობის მიმართ ბიზანტიელი იმპერატორების

⁴⁵⁶ Цагарели 1891, 8.

⁴⁵⁷ Lang 1957, 103.



მემკვიდრეობისა და ადგილის დაკავების აღიარების მოთხოვნისა.⁴⁵⁸ ამდინაო
 რუსეთში ბიზანტიური-ხეთური წარმომავლობის მქონე იანუსისებურია
 ორთავიანმა არწივმა ახალი ფუნქცია და უფრო ვრცელი სივრცეების
 (ხმელთაშუაზღვისპირეთიდან წყნარ ოკეანემდე) შემცველი შინაარსი შეიძ-
 ინა. მიჩნეულია, რომ მოსკოვის რუსეთი იყო სინთეზი ორი სამყაროსი, -
 მართლმადიდებლურ-ბიზანტიურისა და თათრულ-მონღოლურისა. უ.ე.დ.
 ალენის შეფასებით, „იპერბორეელების ქვეყანა“ - რუსეთი, პეტრე დიდის
 რეფორმების შემდგომ წარმოადგენდა თანამედროვე ტანსაცმელში
 გამოწყობილ უცნაურ შუასაუკუნებრივ სხეულს, რომელსაც გერმანული
 ტვინი, ბიზანტიური გონება, თათრული ხელები და სლავური სული ჰქონდა.⁴⁵⁹

შუა საუკუნეების საქართველოს მესვეურთა პოლიტიკური
 ორიენტაციის ძირითადი განმსაზღვრელი კრიტერიუმი რელიგიური
 აღმსარებლობა იყო. ძლიერი, ერთმორწმუნე და გარეგნულად დასავლური
 რეგალიების მქონე ქვეყნის - რუსეთის დაინტერესება კავკასიით, აქ „ახალი
 რომის“, ბიზანტიის მემკვიდრე ქვეყნის გამოჩენის ილუზიას ქმნიდა. მაგრამ
 ქართველ პოლიტიკოსებს მხედველობიდან გამორჩათ ერთი მეტად
 მნიშვნელოვანი გარემოება: რომი და ბიზანტია, თავისი გეოგრაფიული
 მდებარეობით და გეოპოლიტიკური მიზნებით დაინტერესებულნი იყვნენ
 თაყიანთი სამფლობელოების აღმოსავლეთის განაპირას კოლხეთის/ლაზეთის
 და იბერიის სახით ჰვოლოდათ საკმაო ძალის მქონე, „ერთმორწმუნე“
 მოკავშირეები, რომლებიც ამ იმპერიების აღმოსავლური საზღვრების
 უსაფრთხოებას უზრუნველყოფდნენ კავკასიის გადაღმა მობინადრე ნომადი
 ტომების შემოსევებისაგან, მათთვის კავკასიონის ზეკარების გადაკეტვით.

1555 წლის სპარსეთ-ოსმალეთის ზავს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა
 საქართველოს ბედ-იღბალისათვის. ლიხთიმერეთი ოსმალეთის, ხოლო
 ლიხთაძერეთი სეფიანთა სპარსეთის ზეგავლენის ზონებად გამოცხადდა,
 შესაბამისად, ამით დასრულდა შუასაუკუნობრივი საქართველოს განრი-
 ანებული სამეფოს განვლური განფენა ჩრდილოეთიდან ხალხთა მასების
 გადმოსასვლებისათვის გზის ჩამკეტი, მერიდიონალური ზღუდის ფუნქციის
 მქონე დიდი კავკასიონის სამხრეთი კალთების გასწვრივ ბიჭვინთიდან და-
 რუბანდამდე. თანდათანობით აღმოცენდა ეკონომიკურ განსაზღვრებებით
 დადასტურებული ახალი პოლიტიკური ურთიერთშეთანხმება, თუმცა სი-
 ნამდვილეში ბევრად უფრო ადრეულ ხანებში უკვე ტრადიციულად არსე-
 ბული და იქ არსებულ მდინარეთა დინებების მიმართულებით განპირობე-
 ბული, დასავლეთ საქართველოს "პონტოური" ორიენტაცია, მიმართული
 ამჟამად უკვე სტამბოლისა და ყირიმისაკენ და შავ ზღვაზე თურქთა ბა-
 ტონობაზე დაქვემდებარებული და აღმოსავლეთ საქართველოს კასპიური

⁴⁵⁸ შლრ., Allen 1972, 353-354.
⁴⁵⁹ Allen & Muratoff 1953, 10; Allen 1932, 161-162.

ორიენტაცია, დაკავშირებული შემახასა და თავრიზისაკენ მიმავალ "ბტრე შუმის გზაზე".⁴⁶⁰

XVI საუკუნის დამლევს რუსეთის ჩრდილოკავკასიური პოლიტიკა ძირითადად მიმართული იყო ოსმალეთისა და ყირიმელი თათრების წინააღმდეგ, რათა მათ არ მოეხერხებინათ თავისი ძალაუფლების გავრცელება ჩერქეზეზსა და ყაბარდოელებზე და არ გაემტკიცებინათ თავისი ზეგავლენა შამხალზე და სუნიტური მიმდევრობის დაღესტნის სხვა მხარეებზე. ამ გარემოებას მეთექვსმეტე საუკუნის შუახანებში რუსების მიერ ასტრახანის ათვისებასთან ერთად, გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა კავკასიონის ქედის სამხრეთით ოსმალებსა და სპარსელებს შორის მიმდინარე ბრძოლებში სპარსელთა წარმატებებისათვის, რომლებმაც მოახერხეს XVII საუკუნის პირველ დეკადაში შირვანსა და აღმოსავლეთ საქართველოზე კონტროლის დამყარება.⁴⁶¹

თუ XVI საუკუნის პირველ სამ მეოთხედში საქართველო მსხვერპლი იყო ოსმალთა და სეფიანთა სახელმწიფოების იმპერიული პოლიტიკის, ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთის გამოჩენის შემდეგ კავკასიის მთელ ყელზე სამხედრო კონტროლისა და დიპლომატიური გავლენისათვის მიმდინარე ბრძოლა გახდა სამ – ანდა ოთხმხრივი, ვინაიდან ყირიმის ხან გირეები, თუმცა კი ოსმალეთის ვასალებს წარმოადგენდნენ, მაგრამ ხშირად საკუთარი ინტერესებისათვის იღწვოდნენ.⁴⁶² ამ ხანაში რუსეთის გააქტიურების მაჩვენებელი არის ის გარემოება, რომ 40 წლის განმავლობაში, 1564-1605 წწ. შორის, რუს და კახელ ხელისუფალთ შორის მოხდა გაცვლა არანაკლებ 17 საელჩო მისიისა.⁴⁶³

ვერ კიდევ სასანური ხანებიდან კასპიის ზღვის სანაპირო ზოლის ვიწროების დარაჯად მდგარი დარუბანდის (დღევანდელი დერბენდი) ორმაგკედლიანი გალავანი და ამავდროულად ადგილობრივი დაღესტნური ტომები იოლად ახერხებდნენ XVI და XVII საუკუნეებში ჩრდილოელ მომხდურთაგან გადმოსასვლელის დაცვას; მხოლოდ პეტრე I მოახერხა მისი მცირე ხნით დაკავება 1723 წელს. შემდეგაც მას რუსული ასტრახანის სტრატეგიული კონტრბალანსის დანიშნულება ენიჭებოდა. ამიტომაც, საზღვაო გზებით ბლოკირებულ რუსეთს ისლა რჩებოდა, ცენტრალური კავკასიონის ორად გამყოფი თერგის ხეობით განვეითარებინა სამხრეთის მიმართულებით თავისი მიზანსწრაფვა და უკვე XVI საუკუნის მეორე

⁴⁶⁰ შდრ., Allen 1972, 52.
⁴⁶¹ Allen 1972, 47.
⁴⁶² იხ. Allen 1972, XVI.
⁴⁶³ იხ. Allen 1972, XVII.

ნახევარში მოახერხა ქედის სამხრეთი მდებარე კახეთის სამეფოსთან პოლიტიკური ურთიერთობის დამყარება.⁴⁶⁴

რუსეთის პოლიტიკა ქართული სამეფოების მიმართ სულაც არ იყო არათანმიმდევრული. ი. ცინცაძის დაკვირვებით, რუსეთი თანმიმდევრულად და მისთვის ჩვეული ხერხებით ისწრაფვოდა თავისი პოზიციების განმტკიცებას კავკასიაში. ამა თუ იმ პოლიტიკური ერთეულის ვასალურ დამოკიდებულებაში მოქცევის შემდეგ მოსკოვის მეფის შორეული მიზანი ამ ქვეყნის შემოერთებაც იყო ხოლმე (მაგ., რუსეთთან „მეგობრობამ“ იმსხვერპლა ასტრახანისა და ყაზანის სახანოები). რაკი-ღა რომელიმე პოლიტიკური ერთეულის უმწეო მდგომარეობა ნათელი იყო, ხოლო ეს ქვეყანა რუსეთის სახელმწიფოებრივი გეგმების რეალიზაციისათვის გამოსადეგი ჩანდა, იწყებოდა მასთან მოლაპარაკება „ფიცის წიგნზე“ ხელის მოსაწერად⁴⁶⁵. თუმცა, მიუხედავად აღქმანდრე კახთა მეფესთან XVI საუკუნის დამლევეს „ფიცის წიგნის“ დადებისა, სპარსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესების მიზნით, რუსეთმა კახეთის სამეფო სპარსეთს შეატოვა და შაჰ აბას I-მაც „ორგულობისათვის“ კახეთი ააოხრა და გაანადგურა, ხოლო მოსახლეობა ირანს, ფერეიდანსა და სხვა რაიონებში გადაასახლა.

1713-1716 წლებში დასავლეთ ევროპაში დიპლომატიური მისიით სულხან-საბა ორბელიანის ყოფნის შემდეგ, საქართველოში საკმაოდ მძიმე პოლიტიკური მდგომარეობა იყო შექმნილი; 1722 წელს ნოემბერში ქართლის მეფემ ვახტანგ VI-მ კიდევ ერთხელ მიმართა დახმარებისათვის დასავლეთ ევროპას - რომის პაპს ინოკენტი XIII-სა და ავსტრიის იმპერატორს კარლოს VI-ს. იმავე წელს რუსეთის პირველმა იმპერატორმა პეტრე I-მა ქართველები სპარსეთის წინააღმდეგ ომში ჩაითრია, კერძოთ, ვახტანგ VI სპარსეთის წინააღმდეგ ერთობლივ ლაშქრობაზე დაითანხმა. როგორც ჩანს, პეტრე I-ს რუსეთთან ამიერკავკასიის შეერთება ჰქონდა გამიზნული. ამიერკავკასიაში ფეხის მოკიდებით რუსეთი არა მხოლოდ იმტკიცებდა საკუთარ პოზიციებს სამხრეთით და აფართოებდა ვაჭრობის არეალს ინდოეთამდე, არამედ გამორიცხავდა თურქეთის მიერ ამიერკავკასიისა და კასპიისპირა ოლქების დაკავების ყოველგვარ შესაძლებლობას⁴⁶⁶.

სპარსელთა მფლობელობაში მოქცეულ ტერიტორიაზე ოცდაათიან ათასიანი ლაშქრით მღვარი და შემახაში პეტრეს გამოჩენის მომლოდინე ქართლის მეფე გაწვილებული დარჩა. პეტრემ მოულოდნელად ირანზე გალაშქრების გეგმა ჩაშალა და დერბენდიდან უკან რუსეთში გაბრუნდა. ამასობაში თურქებმა დრო იხელთეს და თბილისი აიღეს. რუსეთის დაღატაკის გამო უტახტოდ და უგვირგვინოდ დარჩენილმა ვახტანგ VI-მ თავი

⁴⁶⁴ შდრ., Allen 1972, 11.

⁴⁶⁵ ცინცაძე 1956, 285, 293-294.

⁴⁶⁶ Галоян 1976, 68.



ისევ რუსეთს შეაფარა, ხოლო პეტრემ ქართლი თურქეთს დაუთმო მეფეთაგან 1724 წელს პეტერბურგში დადებული ხელშეკრულებით. ვახტანგი კარგა ხანი ელოლიაებოდა ფიქრს, რუსეთიდან დაშხმარე ძალების გამოჩენის შესახებ, თუმცა 1724 წლის ზაფხულისათვის მისი მდგომარეობა უიმედო გახდა. იგი გულნატკენი იწერებოდა: ყველა მასხარად მიგდებს, ვიდრე პეტრე მოვიდა, პავლეს ტყავი გააძრესო. ამავე წლის ივლისში პეტრემ ზავი შეკრა ოსმალეთთან, რომლის ძალითაც რუსეთის მოკავშირე და მის იმედად მყოფი ქართლი ოსმალეთს გადაეცა, ხოლო თურქებმა ცნეს რუსეთის უფლება კასპიისპირეთის ირანულ პროვინციებზე.

დ. ლენგის განმარტებით, ვახტანგ VI-მ ვერ განსჭვრიტა, რომ სპარსეთის დაცემა, რაშიც თვით მას დიდი წვლილი მიუძღვოდა, ადრე არსებულ ძალაუფლების ბალანსს შექმნიდა პოლიტიკურ ვაკუუმს, რომლის შევსებაც ყველაზე უფრო ოსმალეთს ხელეწიფებოდა. ვიდრე ლტოლვილი ვახტანგ მეფე რუსეთის დედაქალაქში ჩააღწევდა, 1725 წლის თებერვალში პეტრე გარდაიცვალა.⁴⁶⁷ სპარსეთის წინააღმდეგ ქართველთა ავანტიურაში ჩათრევიტ პეტრე I-მა, ხოლო შემდეგ მათი მტრის წინაშე უმწეოდ მიტოვებით და მტრისათვის გაცემით, ვახტანგ VI-ს და მის მომხრეებს საქართველოდან გახიზვნის მეტი აღარაფერი დაუტოვა⁴⁶⁸. არ არის გამორიცხული, რომ ამ აქტით იმპერია შორს მიმავალ გეგმებს ისახავდა; ამით რუსეთი ფაქტობრივად ვახტანგ მეფის მემკვიდრეობას უუფლებოდა და ქართლის სამეფოს შინაურ საქმეებში ჩარევის შესაძლებლობის ხელსაყრელი პერსპექტივა ესახებოდა. ქართლის სამეფო ტახტის მიმართ გარკვეული უფლებები რუსეთს სწორედ ვახტანგ VI-ის მთელი მისი ოჯახითა და დიდი აძალიტ მოსკოვში გადასახლების შემდეგ უნდება. აშკარაა, რომ რუსეთის მმართველმა წრეებმა დიდი ოსტატობით გამოიყენეს ქართველი ბატონიშვილების რუსეთში ყოფნა ერეკლესთან გამართულ მოლაპარაკებებში მასზე ზეწოლის განსახორციელებლად. ქართლის ტახტზე ლეგიტიმური უფლებების მქონე უფლისწულების რუსეთში ყოლიტ და ქართლის ტახტზე მისი კანონიერი უფლებების ცნობის სანაცვლოდ იოლად დაითანხმეს ერეკლე II გეორგიევსკის 1783 წლის ტრაქტატის ხელმოწერაზე. ვახტანგ VI-ემიგრაციაში გაყოლილ 1200 ქართლის საუკეთესო ოჯახთა ნაშვირნი და თვით ბატონიშვილებიც მეთურამეტე საუკუნის გვიან ხანებში, როდესაც 1762 წელს მოხდა ქართლ-კახეთის სამეფოს გაერთიანება, უკვე უფრო რუსეთს ერთგულები შეიქნენ, ვიდრე თავისი ძველი სამშობლოსი. ერეკლე მათთვის უზურპატორი იყო და ისინი ცდას არ აკლებდნენ რუსეთის მმართველი წრეების მის წინააღმდეგ განწყობაში. მათი ინტრიგები არცთუ უშედეგო

⁴⁶⁷ Lang 1957, 103.

⁴⁶⁸ იბ. Бутков 1869, 6, 19, 30-32; Цагарели 1919, 5-6; ჯავახიშვილი 1953, 65-66.

გამოდგა და გარკვეული წვლილი შეიტანა რუსეთის ხელისუფლების საწყვეტილებაში, გაუქმებინა 1801 წელს აღმოსავლეთქართული მონარქია, რაც თავისთავად ქართული სახელმწიფოებრიობის სწრაფ აღსასრულს მოასწავებდა.⁴⁶⁹

ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანის აზრით, "მეფე ვახტანგმა დაანგრია საქართუშლო"⁴⁷⁰. როგორც ირკვევა, მას მხედველობაში ჰყოლია ვახტანგ VI-ის რუსეთში მცხოვრები შთამომავლები, რომლებიც არ ასვენებდნენ ერეკლე II და შეთქმულებებს უწყობდნენ. აი რას სწერს იგი: "...სხუა რაღა უნდოდათ იმ მეფის ირაკლის წინააღმდეგებსა? ვონების მიხედვით უნდა დამორჩილებოდნენ არა მეფეს ირაკლის, არამედ მამულს მამულის სიყვარულისათჳს, მაგრამ არა, მამულის სიყვარულსა მეფის ირაკლის მტრობა ირჩიეს, სადაც შაიკა გაკეთდა საქართუშლოს დაღუპვისა... ახლა შევათანასწოროთ ნადირშა მეფე ვახტანგთან, რა განსხუებაა იმათში? იმ მაჰმადიანმა ნადირშა მეფემ ქართლი და კახეთი შეაერთა ერთს ქრისტიანეს სამეფოთ და ქრისტიანმა მეფე ვახტანგმა კი ქრისტეს მომხრებითა საქართუშლო დააქციეს."⁴⁷¹

თუ საქართველოს გადამწყვეტი ადგილი ეკავა სპარსეთის დაპყრობისა და ინლოეთისაკენ მიმავალი სავაჭრო გზების ხელში ჩაგდებისაკენ მიმართულ პეტრე I-ის გრანდიოზულ, თუმცა წარუმატებელ სტრატეგიაში, უფრო გვიან ეკატერინა II-ის დროს, კონსტანტინეპოლში ქრისტიანული იმპერიის აღდგენის გრ. პოტიომკინის ამბიციურ გეგმაში ამავე ქვეყანას უკვე საჭადრაკო პაიკის ფუნქცია დაეკისრა. საბოლოოდ ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ საქართველო ოკუპირებული იყო ალექსანდრე I-ის მიერ და სოლიდით ზაისვა აზიაში რუსეთის ორ უმთავრეს მტერს, ოსმალეთსა და სპარსეთს შორის. კავკასიის ყელზე რუსეთის წინსვლას მოჰყვა მსოფლიო გამოძახილი. საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის პოლიტიკურ წრეებში ეჭვმა და შიშმა იჩინა თავი, ხოლო ტფილისში მუდმივი რუსული გარნიზონის დასადგურება, შეიძლება ითქვას, რომ აღმოსავლური საკითხი ახალ ფაზაში გადაიყვანა.⁴⁷²

XVIII საუკუნის დამლევს მოყვრის ნიღბით სწორედ ჩრდილოეთიდან გადმოსული გადამთიელი აღმოჩნდა ის ერთადერთი ძალა, ვინც მოახერხა ორი ათასზე მეტი ხნის განმავლობაში უწყვეტად არსებული ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმება. ჩრდილოეთის მხრიდან ქართული სახელმწიფოებრიობისათვის საბოლოო, მომაკვდინებელი საფრთხის გამოჩენა მოსალოდნელიც იყო, ვინაიდან, როგორც ზემოთაც ითქვა, ჩვენგან

⁴⁶⁹ Lang 1957, 103.

⁴⁷⁰ ჯამბ.-ორბელიანი 1914, 13.

⁴⁷¹ ჯამბ.-ორბელიანი 1914, 15.

⁴⁷² Lang 1957, X.

სამხრეთითა და დასავლეთით მდებარე სამყაროს აწყობდა ამიერკავკასიაში საკმაო სიძლიერის სახელმწიფოს არსებობა, რომელიც ჩრდილოეთის მხრიდან გადაულახავი ბასტიონის მოვალეობას დაიკისრებდა მათი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და მათი ლაშქრობები ამიერკავკასიის მიმართულებით ძირითადად ამ საფრთხის პრევენციისაკენ იყო მიმართული.

მ. დუმბაძის დაკვირვებით, რუსეთის მეფის ისტორიკოსთა მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტებში ძნელი როდია დავინახოთ ცარიზმის შენიღბული პოლიტიკა, რომელიც ცდილობდა, რომ თვით ქართველი მეფის "სურვილების" განხორციელებად დაეხატა ქართლ-კახეთის სახელმწიფოს გაუქმება.⁴⁷³

XIX საუკუნის რუსი ისტორიკოსის რ. ფადეევის განმარტებით, კავკასიისა და მისი შიდა აუზის, კასპიის ზღვის, გადალახვით რუსეთი უშუალო კონტაქტში შედიოდა მუსლიმური აზიის უდიდეს ნაწილთან. სწორედ აქედან შეეძლო რუსეთს გავრცელებულიყო ყველა იმ მიმართულებით საიდანაც კი მას საჭიროება ექნებოდა. მისი აზრით, კავკასია რუსეთისათვის ხილია, გადებული რუსული ნაპირიდან აზიის კონტინენტის შუაგულის მიმართულებით, ამავე დროს იგი ვალავანია, რომელიც იცავს ცენტრალურ აზიას მანე ზეგავლენისაგან და ორივე – შავი და კასპიის – ზღვის დამცველი წინ წაწეული ბასტიონია. ამიტომ ამ მხარის დაპყრობადამორჩილება წარმოადგენდა ქვეყნის უმთავრეს სახელმწიფოებრივ საჭიროებას.⁴⁷⁴ მართლაც, საქართველოს დაუფლებით, რუსეთმა პირველად გადააბიჯა კავკასიონის ქედს და არნახულად გაიფართოვა თავისი საზღვრები.⁴⁷⁵ რუს ხელისუფალთა ძირითადი მიზანი საქართველოს მიმართ იყო მისი იმ ზომამდე დასუსტება, რომ ამ ქვეყნის შთანთქმა იმპერიის მიერ გარდაუვალი გამხდარიყო. ეს პოლიტიკა განუხრელად ხორციელდებოდა თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში, ვახტანგ VI-ის დროიდან და საბოლოოდ წარმატებით დასრულდა. ეკატერინე დიდი მოძღვრავდა კავკასიაში მყოფ თავის წარმომადგენლებსა და გენერლებს, რომ მათ "არაფერი ელონათ ისეთი, რაც საქართველოს გააძლიერებდა."⁴⁷⁶

გენერლების ტოტლებენისა და სუხოტინის მიერ გაგზავნილი ინსტრუქციების ანალიზი მოწმობს ჯერ კიდევ გეორგიევსკის ტრაქტატის დადებამდე უკვე არსებულ რუსეთის მთავრობის განზრახვას, ჩამოეგდოთ ერეკლე II ტახტიდან და თავისი საჯარისო ნაწილებით დაეკავებინათ თბილისი.⁴⁷⁷ გენერალი ტოტლებენი არც მალავდა თავის განზრახვას სამეფო

⁴⁷³ დუმბაძე 1973, 812.

⁴⁷⁴ Фадеев 1889, 10.

⁴⁷⁵ Цагарели 1919, 14.

⁴⁷⁶ Villari 1906, 31.

⁴⁷⁷ Цагарели 1919, 6-7, 30.



ტახტიდან გადმოვდო ერეკლე და რუსეთში გადაესახლებინა იმ ქართველ წარჩინებულებთან ერთად, რომლებიც მის ამ გეგმას მხარს არ დაუჭერდნენ.⁴⁷⁸ საყურადღებოა, ამასთან დაკავშირებით, კაპიტან-პორუჩიკ ი. ლვოვის პოლკოვნიკ პერფილიევისადმი 1770 წ. მისში ანანურიდან გაგზავნილი წერილის ცნობა, რომ რუს სამხედროებს გადაწვევტილი ჰქონიათ: „...*дождав Томский полк, с царя Ираклия орден отобрать и его самого в Россию отправить, князей противной партии так же, сколько можно будет прижать и всю Грузию в подданство ее величества привести...*“⁴⁷⁹

ერეკლემ დიდი ხარჯი გასწია რუსეთ-თურქეთის ომის დროს. ქვეყნის უშიშროების განმტკიცების მიზნით საჭირო იყო მუდმივი ჯარის შექმნა, ქვეყნის ისტორიული საზღვრების აღდგენა-განმტკიცება. საამისოდ კი ერეკლეს არც სპეციალისტები ჰყავდა და არც ფული ჰქონდა. ამიტომ რუსეთს სთხოვა ფული სესხის სახით. მაგრამ რუსეთიდან პასუხი არ ჩანდა. ამიტომ ერეკლემ გადაწყვიტა ასეთივე თხოვნით მიემართა ევროპის სახელმწიფოებისათვის.⁴⁸⁰

ევროპასთან კონტაქტის დასამყარებლად ერეკლე II-ს გამოუყენებია ევროპელი კათოლიკე-მისიონერები. 1781 წლის ზაფხულში ერეკლემ წერილებით აღჭურვილი მისიონერი დომინიკე გაგზავნა დასავლეთ ევროპაში კონსტანტინეპოლის გავლით. მაგრამ დომინიკე იმავე წლის ივლისში “გარდაიცვალა” კონსტანტინეპოლში. ერთი წლის შემდეგ, 1782 წლის ნოემბერში, ერეკლემ ისევ გაგზავნა თავისი წარმომადგენელი ევროპაში, ამჯერად მოსკოვის გზით. ახლა ერეკლეს წერილები მიჰქონდა კათოლიკე-მისიონერს პატრ მავროს ვერონელს; მან მიადწია პოლონეთის ქალაქ ბერდიჩევამდე, სადაც გარდაიცვალა. 1783 წლის მისში, ერეკლეს წერილები ბერდიჩევიდან ვენაში ჩაუტანიათ.⁴⁸¹

ერეკლე ავსტრიის იმპერატორს იოსებ II-ს წერდა, რომ საქართველომდე ხმებს მოუღწევია, ავსტრია თურქეთის წინააღმდეგ ომისათვის ემზადებო და ვინაიდან საქართველოს გარეშე მტრებისაგან საშიშროება მოელოდა და საჭირო ძალები არ გააჩნდა, ითხოვდა დახმარებას, რათა: „...*ორი პოლკის ჯარის ჯამგირი გვებოძოს, რომ კაცი ჩვენ ვიშოვოთ და იმ ჯამგირით ის ჯარი ვაუწყოთ ევროპის რიგ ზე, რომ მტერი იმ ჯარის რიგს საბოლოოდ რომ სცნობს, ვერას დროს ჩვენს მტრობას ველარ ვაბედავს*“. ხოლო სხვებს: საფრანგეთის მეფეს, ვენეციის რესპუბლიკას, სიცილიის მეფეს, სარდინიის მეფეს ერეკლე სთხოვდა თანხას თითო პოლკის შესაქმნელად.

⁴⁷⁸ Lang 1957, 169.

⁴⁷⁹ Потто 1899, 103-104.

⁴⁸⁰ ტაბაღა 1971, 4.

⁴⁸¹ თამარაშვილი 1902, 403; ტაბაღა 1971, 4.

ერეკლეს წერილები დათარიღებულია 1782 წლის 18 ოქტომბრით.⁴⁸² ერეკლე
ცდილობდა საკმაო ტაქტით დაესაბუთებინა ევროპელი მონარქებისადმი
დანმარებისათვის თავისი მიმართვის საჭიროება, რუსეთის გვერდის ავლით.

1783 წლის 16 ივლისს კარდინალი პერცანი რომიდან ვენაში
აღყობინებდა, რომ ერეკლეს მათ მიერ ნათარგმ წერილებში ნათქვამია, რომ
იგი ითხოვს დანმარებას; კარდინალის სიტყვებით: *“ვიმედოვნებთ, რომ ეს
ნაბიჯი რუსეთის სამეფო კარის მიერ სწორად იქნება გაგებული, ის კი ცხადია,
რომ ეს მეტად ძვირფასი საჩუქარი ხელმწიფე ერეკლესადმი უნდა იქნას”*.⁴⁸³
წერილის ამ ფრაგმენტის გაცნობა ცხადყოფს, რომ ჯერ კიდევ ტრაქტატის
დადებამდე რუსეთს თვალი ეჭირა საქართველოზე.

3 სექტემბერს კანცლერი ფონ კომნიცი იმპერატორ იოსებ მეორეს
მოახსენებდა: ხელმწიფე ერეკლეს წერილები რომში თარგმნეს და ვენაში
დააბრუნეს. ამ დროისათვის უკვე ხელმოწერილი იყო გეორგიევსკის
მფარველობითი ტრაქტატი რუსებსა და საქართველოს შორის, ხოლო 6
სექტემბერს ავსტრიის ელჩი პეტერბურგიდან იუწყებოდა, რომ “საქართველოს
მეფე ერეკლემ თავისი სამფლობელოები აქაურ სამეფო ტანტის
უდიდებულესობას დაუმორჩილა”. 1783 წლის 18 ოქტომბერს ავსტრიის
პეტერბურგელმა ელჩმა ვენაში გადააგზავნა იმავე წლის ივლისში რუსეთსა და
საქართველოს შორის გეორგიევსკში ხელმოწერილი მფარველობითი
ტრაქტატის ტექსტის სრული თარგმანი გერმანულ ენაზე. ვენაში ამ ტექსტის
შინაარსის გაცნობის შემდეგ ავსტრიის სამეფო კარზე შეწყდა ყოველგვარი
მსჯელობა ერეკლეს წერილების გარშემო. ანალოგიურად მოიქცნენ ევროპის
სხვა სატახტო ქალაქებშიც.⁴⁸⁴

ამკარაა, რომ ერეკლემ იქპარა რუსეთთან ხელშეკრულების დადება,
ამ დროისათვის უკვე მოიაზრებოდა ევროპიდან რეალური მატერიალური
დანმარების მიღების შესაძლებლობა, ამასთან შეგუება ოსმალეთ-
სპარსეთისათვის ბევრად უფრო იოლი იქნებოდა, ვიდრე ამიერკავკასიაში
რუსეთის პოლიტიკურ და სამხედრო ყოფნასთან.

ქართლ-კახეთთან ტრაქტატის დადება რუსეთს სწორედ ავსტრიის
იმპერატორ იოსებ II-ისადმი და სხვა ევროპელ ხელისუფალთადმი ერეკლეს
1782 წ. ზემოსხსენებულმა მიმართვამ დააჩქარებინა. რუსეთმა, რომელიც
ყოველთვის მეტად მტკივნეულად რეაგირებდა საქართველოს ყოველგვარ
კავშირზე ევროპულ სახელმწიფოებთან, მიიღო სათანადო ზომები ქართველ

⁴⁸² ტაბალუა 1971, 4.

⁴⁸³ 1780 წლის 17 აპრილის თარიღით დაწერილ წერილში უნგრელი გრაფი იანოშ კოპარი,
რომელიც თბილისში ცხოვრობდა და ახლო ურთიერთობაში იყო ერეკლესთან, ვენის
სამეფო კარის ყურადღებას მიაქცევდა თურქეთის სისუსტეს, სპარსეთში არეულობას და
რუსეთის წარმატებით წინსვლას კავკასიაში (ტაბალუა 1971, 4).

⁴⁸⁴ ტაბალუა 1971, 4.

ხელისუფალთა და ავსტრიის იმპერატორის ურთიერთობის თაობაზე საფურაღლებოა, ეკატერინე II-ის დირექტივა გრ. პოტიომკინისადმი: „отключить всякое их знакомство с Императором Римским и с другими христианскими державами, сказав, что они имеют условие не мешаться в дела до азиатских наших соседей касающиеся“.⁴⁸⁵

ჯერ კიდევ XVI საუკუნის დამლევს რუსეთთან „ფიცის წიგნის“ ხელმოწერა აღექვანდრე კახთა მეფის მოსკოვში გაგზავნილ დესპანებს რუსეთის სამეფო კარის მიერ აკრძალული ჰქონდათ უცხოელებთან მოლაპარაკება ან საქმის დაჭერა. რუსეთის მთავრობის განსაკუთრებული ნებართვის გარეშე ქართველი ელჩების თვით მხლებლებსაც არ შეეძლოთ მათთვის განკუთვნილი შენობიდან გარეთ გასვლა. ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, რუსეთის მთავრობა ალბათ დარწმუნებული არ იყო, რომ ქართველი ელჩების უცხოელებთან ლაპარაკისა და მათგან ამბების შეტყობის შემდეგ, ისინი რუსთა მიერ საქართველოსთან განზრახული პოლიტიკური დამოკიდებულების დამყარებას ხელსაყრელად ჩათვლიდნენ და თავიანთი ქვეყნისათვის დახმარებას სხვაგან სადმე რუსეთის გარეშე არ მოძებნიდნენ⁴⁸⁶. რუსეთს თავის აგენტებად ერეკლე II-ისა და სოლომონ I-ის კარზე ჰყავდა მოწოდებული „ექიმები“, იაკობ რაინეგსი და ნიკოლას ფონ ვიტენბურგი. ი. რაინეგს გრ. პოტიომკინისაგან და ეკატერინე II-თან შეთანხმებით დაეკავებული ჰქონდა ერეკლე დაეთანხმებინა რათა მას რუსეთის მფარველობა ეთხოვა⁴⁸⁷.

შემთხვევითი არ არის, რომ გეორგიევსკის ტრაქტატის ძალით, საქართველოს ურთიერთობა უცხოურ ქვეყნებთან მთლიანად რუსეთის კონტროლის ქვეშ გადავიდა. ტრაქტატი, უ.ე.დ. ალენის თვალსაზრისით, რუსეთის პოლიტიკის ტრიუმფს წარმოადგენდა⁴⁸⁸ და შესაბამისად ამისა, იგი ქართული პოლიტიკის სრულ მარცხად უნდა იქნას მიჩნეული.

რუსეთის უმაღლესი მმართველი წრეების მიერ გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერის მნიშვნელობის შეფასების დამახასიათებლად საკმარისია გრ. პოტიომკინისა და ეკატერინე II-ს მიმოწერის გაცნობა: „Вот и грузинские дела приведены к концу“ - წერდა გრ. პოტიომკინი იმპერატორს - „Какой государь составил столь блестящую эпоху как вы? Не один блеск, польза еще большая. Земли, на которые Александр и Помпей, так сказать лишь поглядели, те вы привязали к скипетру российскому“. 1783 წ. 23 აგვისტოს რუსკრაპტი ეკატერინე პასუხობდა: „Удовольст-

⁴⁸⁵ Бутков 1869а, 120; Вешапели 1917, 9-11; Allen 1932, 210-211.

⁴⁸⁶ ჯავახიშვილი 1948, 311.

⁴⁸⁷ Бутков 1869а, 118.

⁴⁸⁸ Allen 1932, 210-211.

вие о совершении сего дела есть равное славе, из того приобретаемой и пользе несомненно ожидаемой“⁴⁸⁹

საქართველოში რუსული ორიენტაცია, ლ. ტუხაშვილის აზრით, შეამზადა ორმა იდეოლოგიურმა ფაქტორმა, ხსნის მესიანისტურმა იდეამ და ქრისტიანულმა სარწმუნოებამ; მხოლოდ ეს ორი ფაქტორი საკმარისი აღმოჩნდა საქართველოში რუსეთის, როგორც აუცილებელი მოკავშირის, საყოველთაო აღიარებისათვის. მიუხედავად ამისა, იმავე ავტორის დაკვირვებით, თუ ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობისას ადგილი ჰქონდა საქართველოს განუხრელ აღმავლობას და ბიზანტიის ნელ დეგრადაციას, რუსეთთან ურთიერთობაში გვაქვს საპირისპირო მოვლენა, რუსეთი ინტენსიურად ძლიერდებოდა, ქართული სახელმწიფო კი ინტენსიურად კნინდებოდა. ამის ძირითად მიზეზად მიჩნეულია ის გარემოება, რომ პოლიტიკური ხსნის მესიანისტური იდეა, XVIII საუკუნეში საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის იდეოლოგიური საფუძველი, წინ უსწრებდა რუსეთიდან მომდინარე კულტურულ ნაკადს და რომ თვით ეს ნაკადიც შესუსტებული იყო რუსეთის მკვეთრი ჩამორჩენის გამო, სწორედ კულტურულ სფეროში⁴⁹⁰.

საქართველოს დაცემის ძირითადი მიზეზი, ჩვენი აზრით, ატარებდა არა იდეოლოგიურ თუ კულტურულ ხასიათს, არამედ პოლიტიკურს, რომელიც გამოიხატებოდა ქვეყნის ძირითად ფუნქციაზე - ჩრდილოეთიდან სამხრეთზე გადმომავალი კავკასიის კარის დაცვის მოვალეობაზე - უარის თქმასა და კარის მეორე მხარეს მდებარე (ანუ იმისათვის, ვის წინააღმდეგაც იყო მოწყობილი ეს კარი), მძლავრი და აღმავალი ჩრდილოური ძალისათვის აღნიშნული ფუნქციის ჩაბარებაში. ამ გარემოებას ლ. ტუხაშვილიც უნდა გრძნობდეს, როდესაც შენიშნავს, რომ ქართლის კატასტროფა ირანის ნგრევას მოჰყვა და რომ სამანევრო ირანული ორიენტაციის საფარველის ჩამოშორებამ განაპირობა საქართველოს ახალი კატასტროფა⁴⁹¹. საყურადღებოა, რომ 1792 წელს, თბილისის აღებამდე სამი წლით ადრე, აღა-შაჰმად-ხანმა შესთავაზა ერეკლეს, ირანთან 1783 წლამდე არსებული ურთიერთობების აღდგენის სანაცვლოდ, ელიარებინა მისი სიუზერენობა განჯა, ერევნის, ყარაბაღის, შაქისა და შირვანის მხარეებზე და გადაეცა მისთვის თავრიზის აზერბაიჯანის მართველობის უფლება⁴⁹².

რუსეთისათვის დაუშვებელი იყო კავკასიონის ქედის გადაღმა დამოუკიდებელი და, მით უფრო, ძლიერი სახელწიფოს არსებობა, თუნდაც იგი მისი ერთმორწმუნე და მოკავშირე ყოფილიყო. ეს უნდა იყოს ძირითადი მიზეზი

⁴⁸⁹ Маркова 1966, 171.
⁴⁹⁰ ტუხაშვილი 1994, 265.
⁴⁹¹ ტუხაშვილი 1994, 264.
⁴⁹² Brosset 1850, 258-259.

იმისა, რომ ყოველგვარი „მოკავშირეობა“ თუ „მეგობრობა“ რუსეთსა და საქართველოს შორის უკანასკნელის ოკუპაციითა და ანექსიით თუ ინკორპორაციით მთავრდებოდა. საქართველოს მოსახლეობის ერთმორწმუნოება და სიმპატიები რუსეთისათვის ხელსაყრელ გარემოებას წარმოადგენდა საქართველოს „ათვისებისათვის“ და შემდგომი ექსპანსიისათვის პლაცდარმად გადასაქცევად. რუსეთს კავკასიის კარის გასაღების ხელში ჩაგდება სჭირდებოდა საიმისოდ, რომ ფართოდ გაეღო ეს კარი თავისი დამპყრობლურ ზრახვათა განსახორციელებლად არა მხოლოდ კავკასიის მასშტაბით, არამედ, საზოგადოდ, ახლო აღმოსავლეთისა და პერსექტივაში ინდოეთის მიმართულებით. თვით რუსი მოღვაწეების აღიარებით, შვე და კასპიის ზღვებზე ბატონობა რუსეთის „სასიცოცხლო“ ინტერესთა სფეროს განეკუთვნებოდა, ამიტომ კავკასიის დაკავება წარმოადგენდა ამ ქვეყნის პირველად სახელმწიფოებრივ საჭიროებას. კავკასიის ყელიდან რუსეთისათვის ადვილად მისაღწევი ხდებოდა მისთვის სასურველი ნებისმიერი რეგიონი ახლო და შუა აღმოსავლეთში: კავკასია იყო ის საფრენი რუსეთისათვის, საიდანაც მის სამხედრო შენაერთებს შეეძლოთ დასავლეთის მიმართულებით, ანატოლიის გავლით, ხმელთაშუაზღვისპირეთში, სამხრეთის მიმართულებით, სპარსეთის გავლით, ინდოეთის ოკეანის სანაპიროებზე, ხოლო აღმოსავლეთის მიმართულებით, კასპიის ზღვის გადაღაზევით, შუაგულ აზიაში შეეღწიათ⁴⁹³.

რუსეთის იმპერატორ ეკატერინე II-თან დაახლოებული, ცნობილი საზოგადო მოღვაწის პლატონ ზუბოვის მიხედვით, საქართველოს შემოერთება ნაწილი იყო პეტრე I-ის დიადი იდეის ხორცშესახსმელად, დაეფუძნებინა უხიფათო სახმელეთო გზა, რომელიც ხელს შეუწყობდა სავაჭრო კავშირებს რუსეთსა და ინდოეთს შორის⁴⁹⁴. თუმცა, რუსეთის ინტერესები კავკასიაში მხოლოდ ვაჭრობის საჭიროებით არ შემოიფარგლებოდა და XVIII საუკუნის სამოცდაათიან წლებში თურქები უკვე ყოველნაირი ზომების მიღებით ცდილობდნენ შეესუსტებინათ რუსების გაბატონებული მდგომარეობა კავკასიონის ქედის ცენტრალურ ნაწილში არსებულ გადასასვლელებზე, მათ წინააღმდეგ ვაბარდოელების, ჩერქეზებისა და ჩეჩნების ამხედრებით, მაგრამ უშედეგოდ. უ. ალენისა და პ. მურატოვის აზრით, რუსეთის ექსპანსია აზიაში წარმოადგენდა კონფლიქტს მსოფლიო სახელმწიფოებს შორის: შავი და კასპიის ზღვების აუზების კლასიკური ტიპის აღმოსავლურ სახელმწიფოებს, ოსმანთა იმპერიასა და სპარსეთს, ერთი მხრივ, და ახალ, ევრაზიის ტრამალებში აღმოცენებულ, ნახევრადევროპულ რომანოვების რუსეთს შორის, მეორე მხრივ⁴⁹⁵. თურქეთიცა და სპარსეთიც, საფრანგეთისა და

⁴⁹³ Фадеев 1889, 10; Потто 1899, 15, 154.

⁴⁹⁴ Зубов 1834, 184-185.

⁴⁹⁵ Allen & Muratoff 1953, 17.

ინგლისის მიერ წაქეზებულნი, ცდას არ აკლებდნენ ამიერკავკასიის დასამორჩილებლად, რათა კავკასიონის ქედი შეენარჩუნებინათ მძლავრ ბარიერად რუსეთის შეტევის საწინააღმდეგოდ⁴⁹⁶.

საქართველოს რუსული ორიენტაციის გამო დასავლეთის სახელმწიფოებს აწყობდათ ამიერკავკასიაში თურქეთისა და სპარსეთის გაბატონება და ამ მიზნით ამარაგებდნენ მათ სამხედრო აღჭურვილობითა და ინსტრუქტორებით. ამრიგად, ჩრდილოეთზე საქართველოს პოლიტიკურმა ორიენტაციამ განაპირობა მის წინააღმდეგ მთელი გარე სამყაროს დაპირისპირება, როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის, ზოლო საკუთრივ ჩრდილოეთი (რუსეთი) დანტერესებული იყო ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმებით, რათა თავად დაეკავებინა ამიერკავკასიაში მისი ადგილი. საქართველოს ბედი, მისი ხელისუფალთა არასორსმჭვრეტელური პოლიტიკის წყალობით განწირული იყო. თეიმურაზ II-ის და ერეკლე II-ის წარმატებებმა საფუძველი გამოაცალეს ვახტანგ VI-ის რუსულად აღზრდილ მეძვეიდრებს, ებრძოლათ ქართლის ტახტის დასაბრუნებლად. ამ აქტით სპარსეთის ნადირ შაჰს, საფიქრებელია, რომ ვახტანგ VI-ის პრორუსული დასისა და მასთან ერთად რუსული ორიენტაციის მომხიბვლელობის შესუსტება სურდა ქართულ მოსახლეობაში.

თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის დროს ქრისტიანული მმართველობის აღდგენასთან ერთად ქვეყანაში მტკიცე წესრიგი დამყარდა. აყვავდა ვაჭრობა, ვითარდებოდა ეკონომიკა, გამოცოცხლდა კულტურული ცხოვრება. ქართლ-კახეთი ამიერკავკასიაში ჰეგემონად გადაიქცა; მას ემორჩილებოდნენ ამიერკავკასიის მუსლიმანური სახანოები, აღმოსავლეთის ხალხებში წარმოიშვა პროქართული ორიენტაცია. ქართლ-კახეთთან კავშირისაკენ მისწრაფოდნენ მაჰმადიანი ქურთები, ყაბარდოელები, აზერბაიჯანელები, ქრისტიანი უდები, ბერძნები, სომხები, ასირიელები. ქართველ მეფეებთან ქართულ-სომხური ერთიანი სახელმწიფოს პროექტით ჩამოვიდა ინდოეთის სომხური ბურჟუაზიის წარმომადგენელი იოსებ ემინი; ისაია ასირიელთა ეპისკოპოსმა წამოაყენა საქართველოსთან ასირიელი და იუზიდი თემების კავშირის იდეა. გაიზარდა ქართლ-კახეთის პოლიტიკური წონა ურაველ და ეგვიპტელ მამლუქებში, ისტორიულ მესხეთში, აჭარასა და ლაზეთში, განსაკუთრებით კი დასავლეთ საქართველოში⁴⁹⁷. აღსანიშნავია, რომ გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერის პირველსავე წლებში რუსეთის სამეფო კარმა ბევრ სხვა სიკეთესთან ერთად ეფექტურად გამოიყენა ერეკლეს მრავალრიცხოვანი და მრავალმხრივი კავშირები არა მხოლოდ კავკასიისა და

⁴⁹⁶ Lang 1957, 221-222.

⁴⁹⁷ იხ. ტუხაშვილი 1983, 20, 60, 80; შდრ. Allen 1932, 174-178.

ირანის ხელისუფლებთან, არამედ ერაყის, სირიის, ეგვიპტის მმართველებთან რომელთა დიდი ნაწილიც ქართული წარმომავლობისა იყო⁴⁹⁸.

ამ პერიოდში რუსეთთან მიმართებაში ერეკლეს თავი ერთობ გამოძწევად ეჭირა. ქართლ-კახეთის პოლიტიკური მდგომარეობის სტაბილურობისა და პერსპექტიულობის ფონზე რუსეთის ხელისუფალთათვის მიუღებელი არ უნდა ყოფილიყო, ერეკლე II-ის პატივმოყვარეობის მოსათოკად, პაატა ბატონიშვილის 1765 წლის შეთქმულების ნაწილობრივი მხარდაჭერა. ამავე დროს რუსი დიდი მოხელეები ერეკლეს „ქართლისა და კახეთის ბრწყინვალე მეფეს“ უწოდებდნენ. ერეკლეს პატივი არც ევროპელთაგან აკლდა; ქართლ-კახეთის ვიცე-კანცლერის სოლომონ ლიონიძის მიერ ერეკლეს დაკრძალვაზე წარმოთქმულ სიტყვიდან ირკვევა, რომ პრუსიის მეფეს ფრიდერიკოს დაუწერია: „ევროპაში მე ვარო და აზიაში - ღერკულეს უძღვეელი, საქართველოს გეორგიანთ მეფეო“⁴⁹⁹. იმავე ცნობას, ფრანგი ორიენტალისტი მარი ბროსეც იმეორებს, როდესაც შენიშნავს, რომ პრუსიის მეფეს ფრიდრიხ II დიდს (1711-1786 წწ.) მიეწერება სიტყვები: *“Moi en Europa, et en Asie l'invisible”*⁵⁰⁰.

ერეკლეს სახელის ასეთი განდიდება შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო, საქართველოს ელჩი რუსეთში თავადი გარსევან ჭავჭავაძე რუსეთის საგარეო კოლეგიისადმი 1799 წ. 18 იანვარს მიწერილ წერილში, ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიას შემდგენიარად განსაზღვრავდა: „სამეფო საქართველომსა მოცულ არს ერთგვრძოდ კავკასიის მთებითა და ჭარელთა ერთა, ესრეთვე მეორე ადირბეჯანის მხარეს თვით არეზით...“⁵⁰¹ ერეკლე II-სა და საქართველოს იმდენად დიდი პრესტიჟი პქონიათ, რომ ჯერ კიდევ საქართველოს რუსეთთან დაახლოებად, საფრანგეთი ცდილა მიემხრო გაერთიანებული ქართლ-კახეთის ტახტზე ასული ერეკლე, რუსეთთან დასაპირისპირებლად, რათა ამით რამდენადნე მაინც შეემსუბუქებინა პოლონეთის უმძიმესი მდგომარეობა⁵⁰². აღსანიშნავია, რომ ფრანგ ფილოსოფოს ვოლტერისადმი მიწერილ წერილში, ეკატერინე დიდი იუწყებოდა, რომ თურქებთან წინააღმდეგ ბრძოლაში მას ეხმარებოდა ერეკლე, ვველაზე ძლიერი კავკასიის ხელისუფალთა შორის, მეფე, უზვად დაჯილდოვებული ინტელექტითა და მამაცობით⁵⁰³. როგორც ჩანს, ერეკლეს სახელის შარაუანდელი მის ძეს, გიორგი XII გადასწვდენია, ვინაიდან მისთვის 1799 წ. აპრილში ეგვიპტის ექსპედიციაში მყოფ ნაპოლეონ ბონაპარტეს

⁴⁹⁸ Маркова 1966, 175.

⁴⁹⁹ ლიონიძე 1957, 38.

⁵⁰⁰ Brosset 1850, 266n.2.

⁵⁰¹ Царяпин 1898, 162.

⁵⁰² Lang 1957, 159-160.

⁵⁰³ Lang 1957, 169.

დესპანი გამოუგზავნია, თუმცა იგი ახალციხის ფაშას დაუკავებია და სიკვდილითაც დაუსჯია⁵⁰⁴.

პაატა ბატონიშვილის შეთქმულების განადგურების შემდეგ ერეკლე კურსს რუსეთთან დაახლოებაზე იღებს. რუსეთმა თავისდა სასიკეთოდ გამოიყენა მის მიერ უიღბლო ბატონიშვილის თავიდანვე წარუმატებლობისათვის განწირული ეს ამბოხი, ისევე როგორც ალექსანდრე ბაქარის ძის შეთქმულება. აღსანიშნავია, რომ 1782 წ. ერეკლეს მიმართვა რუსეთის მფარველობაში მიღების თაობაზე, განპირობებული ჩანს თვით რუსეთის საიმპერატორო კარის მიერ ინსპირირებული ერეკლეს მოთხოვნით აღიარებული ყოფილიყო ქართლ-კახეთის ტახტზე მისი უფლებები; ერეკლე II-ის განცხადებით, რათა, ვინმე სხვას, ისეთივე შემოიღოს, როგორც ბაქარის ძე ალექსანდრეა, ხალხის გონება არ აერია თავისი უვიცილობით.⁵⁰⁵ თუმცა, მიუხედავად ამ გარემოებისა, როგორც ჩანს, ევროპიდან მის მიერ გაგზავნილი წერილების მოლოდინში მყოფი, ერეკლე აყოვნებდა თავისი რწმუნებულების რუსეთში გაგზავნას და რუსეთის ხელისუფლებას, თურქეთთან მოსალოდნელი ომის სამზადისში, საკმაო ძალისხმევა დაჭირდა გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერის დასაჩქარებლად⁵⁰⁶.

1783 წ. გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმებით ერეკლე II-მ საყრდენი გამოაცალა რუსეთის კარზე არსებულ ვახტანგ VI-ის შთამომავალთა მიერ ნასაზრდოებ ლეგიტიმისტურ ტენდენციებს - რუსეთის მიერ ერეკლე II და მისი შთამომავლობა აღიარებული იყო ქართლ-კახეთის ტახტის ერთადერთი კანონიერ მფლობელად⁵⁰⁷.

ძირითადი ფაქტორი, რომელმაც განაპირობა ერეკლე II-ის რუსეთთან დაახლოება, საფიქრებელია იყო თავად გრიგორი პოტიომკინ-ტავრიჩესკისა და ძმების პლატონ და ვალერიან შუბოვების ე. წ. ბერძნული პროექტი. ეს პროექტი ითვალისწინებდა ოსმანთა იმპერიის დანაწევრებასა და მის ადგილზე ძველად არსებული ქრისტიანული სახელმწიფოების აღორძინებას, რომელთა შორისაც იმ დროისათვის მხოლოდ საქართველოა იყო შემორჩენილი. გრ. ვეშაპელის შეფასებით, ერეკლე II-ის პანქართული იდეისა და ეკატერინე II-ის პანქრისტიანული იდეის თანხვედრის შედეგად თბილისმა მიიღო რუსული პროტექტორატი, ხოლო რუსეთმა აღიარა მომავალში გაერთიანებული საქართველოს არსებობა, ვინაიდან 1783 წ. 24 ივლისის (ახალი სტილით - 3 აგვისტო) აქტის სამართლის ნორმები მოიცავენ არა მხოლოდ ქართლ-კახეთს, არამედ ისტორიული საქართველოს მთელს ტერიტორიას⁵⁰⁸. ამის შემდეგ

⁵⁰⁴ Lang 1957, 229.

⁵⁰⁵ Цагарели 1902, 25; Маркова 1966, 167.

⁵⁰⁶ Маркова 1966, 167-171.

⁵⁰⁷ ტუხაშვილი 1983, 77, 84, 127-128.

⁵⁰⁸ Вешапели 1917, 7-8, 12.



რუსეთი დიდხანს ევლინებოდა საქართველოს, მისი მიწების გამაერთიანებლად ნიღბით.

ევროპული სახელმწიფოებიდან რუსეთის გაბატონება კავკასიაში განსაკუთრებით მტკივნეულად თავდაპირველად ფრანგებმა აღიქვეს. მათთვის მიუღებელი იყო ამიერკავკასიაში ძალთა ადრე არსებული ბალანსის დარღვევა. 1786 წელს საფრანგეთის დესპანი სეგური უცხადებდა თავად პოტიომკინს, რომ მისი ქვეყანა პროტესტს აცხადებდა რუსული სამხედრო ნაწილების კავკასიონის გადაღმა გაგზავნის გამო, მისი სიტყვებით, "კავკასიონი ბუნების მიერ აგებული ზღუდეა ორი იმპერიის (ანუ რუსეთისა და ოსმალეთის - გ.ქ.) ერთმანეთისაგან გამოსაცალკევებლად".⁵⁰⁹ სეგურმა განაცხადა, რომ ორი იმპერიის (რუსეთისა და ოსმალეთის - გ.ქ.) ერთმანეთისაგან გამყოფი, თვით ბუნებისაგან ბოძებული ბარიერის გადალახვამ რუსეთის მიერ, ძალზე მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა სტამბულში და აღუთქვა, რომ მოსალოდნელი კავკასიური ომი რუსეთს ყოველწლიურად 12 ათასი კაცის სიცოცხლეს წაართმევდა. გრ. პოტიომკინის პასუხის მიხედვით, რუსეთის ერთადერთ ამოცანას კავკასიაში თურმე მისი ეასალის, საქართველოს ქრისტიანი მეფის, დაცვა წარმოადგენდა თათრებისა და ლეკებისაგან⁵¹⁰. ფრანგები ყოველნაირად აგულიანებდნენ სპარსელებსაც საქართველოს წინააღმდეგ, აღნიშნავდნენ რომ იქ ფეხის მოკიდებით რუსეთი მუდმივ სასიცოცხლო საფრთხეს შეუქმნიდა მათ ქვეყანას და ამასთანავე უბძებდნენ საქართველოს მთლიანი დაპყრობისაკენ (იმერეთ-სამგარელოს ჩათვლით), რათა შავ ზღვაზე გასვლით, იოლად დაემყარებინათ ეფექტური სავაჭრო ურთიერთობები ევროპულ სახელმწიფოებთან.⁵¹¹

ჯერ კიდევ 1782 წელს ეკატერინე II უბრძანებდა ვიცე-კანცლერ ა. ბეზბოროდკოსა და თავად გრ. პოტიომკინს, დაუყონებლივ დაედონ ხელშეკრულება ქართველ მეფეებთან (ერეკლესთან და სოლომონთან) და მოიხსენიონ ისინი არა ქვეშევრდომებად, არამედ რუსეთის იმპერიის მფარველობის ქვეშ მყოფ მოკავშირეებად, ვინაიდან მათთან ურთიერთობა ყოველად აუცილებელია მსოფლიოს ამ ნაწილში ქვეყნის თავდაცვისათვის. ა. ცაგარელი დაასკვნის, რომ აღნიშნული გარემოება მოწმობს, რომ საქართველო ასრულებდა ბარიერის ფუნქციას, როგორც ჩრდილოელი ბარბაროსების შემოსევების საწინააღმდეგოდ, ასევე სამხრეთელი დამპყრობელებისაგან ჩრდილოეთის ქვეყნების დასაცავად. იგი შენიშნავს, რომ უძველესი ხანებიდან დერბენტს იცავდა სპარსეთი, ხოლო დარიალს - საქართველო.⁵¹² ა. ცაგარელი შენიშნავს, რომ რომაელთა ხანიდან დაწყებული, დარიალის

⁵⁰⁹ Lang 1957, 209.

⁵¹⁰ Lang 1957, 208-209.

⁵¹¹ Lang 1957, 220-222.

⁵¹² Цагарели 1919, 29.

ხეობის გასაღები ქართველ გუშაგთა ხელში იყო და ისინი იცავდნენ არა მხოლოდ საკუთარ, არამედ რომაელთა სამფლობელოებსაც ჩრდილოელი ბარბაროსების შემოსევებისაგან. მისი თქმით, საქართველო კავკასიის კარის გასაღებს ორი ათასი წლის განმავლობაში ფლობდა.⁵¹³

როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა წინამდებარე ნაშრომში, ქართული სახელმწიფოებრიობის ბედის კავშირი კავკასიონის გადასასვლელების გაკონტროლების მოთხოვნასთან მკაფიოდ იკვეთება მთელი მისი ისტორიის განმავლობაში. ჩემი აზრით, ძირითადად ქვეყნის ამ ფუნქციის არსებობით უნდა იყოს გამოწვეული ის გარემოება, რომ, საქართველო წარმოადგენდა ერთადერთ სახელმწიფოს მთელ ქრისტიანულ სამყაროში, რომლის სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული განვითარება, როგორც უკვე ითქვა ზემოთ, სპეციალისტთა მიერ უწყვეტად არის მიჩნეული, კლასიკური ხანებიდან დაწყებული XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის მიერ მისი ანექსიის ხანამდე.⁵¹⁴ საქართველოს ხელისუფალნი ქმედითად იყენებდნენ ქვეყნის ხელსაყრელი სტრატეგიული მდებარეობით ბოძებულ უპირატესობას, თუმცა, აღსანიშნავია, რომ ჩრდილოეთიდან ძალთა გადმოყვანა მკაცრ კონტროლს ექვემდებარებოდა, რათა ქვეყნის უსაფრთხოებას ზიანი არ მისცემოდა და არც არასოდეს, თითქმის XIX საუკუნემდე, საქართველოს ხელისუფალთ არ გადაუციათ კავკასიის ზეკარისა და შემოსასვლელი გზების კონტროლის უფლება ჩრდილოეთის მხარისათვის, რაც, თავისთავად ცხადია, საკუთარი ქვეყნისათვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანის ტოლფასი იქნებოდა, ვინაიდან სახელმწიფო დაკარგავდა თავის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას. თუ რომის იმპერიისა და პართიის, ბიზანტიისა და ირანის, ოსმალეთისა და სპარსეთის ურთიერთბრძოლისას კავკასიონის ზეკარებზე ადგილობრივი ამიერკავკასიელი მოსახლეობის კონტროლი ძირითადად მისაღები იყო ორივე დაპირისპირებული მხარისათვის, სრულიად სხვა მდგომარეობა იქნება რუსეთის იმპერიის კავკასიაში ექსპანსიის დროს. რუსეთს ახლო აღმოსავლეთისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, სულაც არ ესაჭიროებოდა კავკასიონის გადასასვლელების დამცველი ძალა. ჩრდილოეთიდან მომდგარი რუსეთის სულ უფრო მზარდი გეოპოლიტიკური ინტერესები კავკასიონის მთავარი ქედის გადალახვას ისახავდნენ მიზნად; ამ ქვეყანას ესაჭიროებოდა კავკასიონის ზეკარებზე არა „ტიხრებისა“ თუ „რკინის კარების“ აგება-მოწყობა, არამედ მათი „მოშლა“ და „შემტვერვა“. ცხადია ეს საქართველოს საკუთარი ისტორიული ფუნქციის, „არსებობის არსის“, დაკარგვით ემუქრებოდა. XIX საუკუნის დასაწყისში აღნიშნული ფუნქციის დაკარგვამ საქართველოს დამოუკიდებელ არსებობას აზრი დაუკარგა და თითქმის ორი საუკუნე ქვეყანა

⁵¹³ Цагарели 1919, 28-29.

⁵¹⁴ Toumanoff 1943.

ადარ ჩანდა მსოფლიოს რუკაზე. "კავკასიონის კარიბჭეთა მფლობელებს" მეტად მნიშვნელოვანი ფუნქცია არსებითად განაპირობებდა და როგორც ჩანს, მომავალშიც განაპირობებს საქართველოს სეპეზებს.

საქართველოს ურთიერთობა რუსეთთან უპირველეს ყოვლისა მოტივირებული იყო საქართველოს მხრიდან მუსლიმური სამყაროსაგან დაცვის საჭიროებითა და წარმოადგენდა უკანასკნელ იმედს, მას მერე რაც ყველა სხვა ცდა უკვე ამოიწურა მიღწეული ყოფილიყო იგივე დახმარება დასავლეთისაგან. ორივე ამ ქვეყნის მართლმორწმუნე მრწამსი მხოლოდ დამატებითი ფაქტორის როლს თამაშობდა.⁵¹⁵

მიუხედავად ალექსანდრე კახთა მეფისა და ვახტანგ VI-ის მწარე გამოცდილებისა, ერეკლე II, ზემომოყვანილი მიზეზებიდან გამომდინარე, მაინც მიენდო რუსეთს. ზურაბ ავალიშვილი მართებულად შენიშნავს, რომ XVIII საუკუნის ქართული პოლიტიკა გასაოცარია თავისი აღმოსავალი პრინციპებისა და შეცდომების უცვლელობით - ვახტანგის კატასტროფამ მათ ვერაფერი ვერ ასწავლა, ვინაიდან მათი ინტერესები და კულტურა იგივე დარჩა. ქართველების პოლიტიკური მისწრაფებანი შეფერაილი იყო რელიგიური წარმოდგენებით, ისინი სრული გულუბრყვილობით იყვნენ დაფუძნებულნი მართლმადიდებლობისა და „ურჯულოთა წინააღმდეგ ბრძოლის“ იდეებზე; მათ არ მიეცათ შესაძლებლობა ამადლებულიყვნენ უფრო რთული პოლიტიკური იდეების აღსათქმელად, ვინაიდან არ გააჩნდათ უფრო რთული ინტერესები - პრიმიტიული წყობა იწვევდა პრიმიტიულ აზროვნებას და პრიმიტიულ პოლიტიკას⁵¹⁶. ინგლისელი ისტორიკოსი დეივიდ ლენგიც შენიშნავს, რომ ქართველი მმართველები რუსეთის მიმართ აელენდნენ ბრმა და გულის ამაწულებელ ოპტიმიზმს⁵¹⁷. შედეგმაც არ დააყოვნა მას შემდეგ რაც ტრაქტატის ძალით რუსეთმა პოლიტიკური უფლებები მიიღო საქართველოზე და სრულიად აღჭურვილი, როგორც მეთოდური დიპლომატიით, ისე რეკულარული ჯარით, მოადგა კავკასიონის ქედს, მისთვის უკვე საქართველოს ინკორპორაცია გახდა მისაღები ფორმა და არა პროტექტორატი. რუსეთს საქართველოს ტერიტორია უკვე აუანაოსტად ესაჭიროებოდა შემდგომი წინსვლისათვის. საქართველო გადაიქცა, კავკასიონის ქედის გადაღმა მდებარე, რუსეთის სამხედრო და პოლიტიკურ ბაზად⁵¹⁸.

1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის ძალით რუსეთი კისრულობდა ქართლ-კახეთის სამეფოს მფარველობას და ამავე დროს პირობას დებდა არ ჩარეულიყო მის შინაურ საქმეებში. რუსეთმა ხელშეკრულების ორივე ეს მუხლი დაარღვია. ალექსანდრე ცაგარელი აღნიშნავს, რომ

⁵¹⁵ Toumanoff 1967, 365.

⁵¹⁶ Авалов 1901, 76.

⁵¹⁷ Lang 1957, 102.

⁵¹⁸ Сумбагов 1919, 153; Авалов 1901, 52, 149.



ტრაქტატის მიხედვით, რუსეთი ვალდებული იყო არა მარტო შეენარჩუნებინა საქართველოს მეფის ყველა სამფლობელო ხელუხლებლად – ხელშეკრულების დადების მომენტში, მასში ჩამოთვლილი მის ხელქვეით მყოფი ხალხებითა და მიწებით, შესაბამისად მისი მოხარკე ერევნისა და განჯის სახანოებითურთ, – არამედ დაებრუნებინა მისთვის სხვადასხვა დროს სპარსეთისა და თურქეთის მიერ ქართული სახელმწიფოსათვის წართმეული პროვინციებიც.⁵¹⁹

ყირიმის აღებით შემფოთებული თურქეთის გალიზიანება კიდევ უფრო საგრძნობი ვახდა როდესაც ერეკლე II რუსეთის მფარველობა აღიარა. ეს ქმედება თურქეთმა საკსებით სამართლიანად აღითქვა საფრთხედ მთელი კავკასიისათვის.⁵²⁰ რუსული სამხედრო ნაწილების საქართველოში გამოჩენამ მნიშვნელოვნად გაართულა ერეკლეს ურთიერთობა მეზობელ მაჰმადიან ხანებთანაც. ეს ურთიერთობა ძირითადად აგებული იყო ამ ხანთა შორის არსებულ ურთიერთქიშპობების გამოყენებაზე და ერეკლესთან მათი მოკავშირეობის მეტად ფაქიზ სისტემაზე; რუსულმა საფრთხემ მთელი ეს სისტემა მოშალა და ხანებიც ერთმანეთთან გააერთიანა საქართველოს წინააღმდეგ.⁵²¹ ამას ისიც დაერთო, რომ რუსეთმა 1787 წელს თავისი სამხედრო რაზმები საქართველოდან გაიწვია და ქვეყანა სამართლიანად გაბოროტებული მეზობლებისაგან მოსალოდნელი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა.

დაიწყო შიდა და გარე ძალების პროვოცირებისა და წაქეზებით ქვეყნის ნგრევისა და გაჩანაგების თვრამეტწლიანი პროცესი. რუსი ისტორიკოსი, ამ ამბავთა მხილველი, იმ ხანად სამხედრო პირი, პეტრე ბუტკოვი, რუსეთის კავკასიური პოლიტიკის თაობაზე წერდა: *„В то время наблюдаемо было правило древних римлян, чтобы для пользы Кавказского края ссорить между собой разных кавказских народов, дабы они, ослабляя свой силы, оставляли большие нас в покое“*. ერთ-ერთ მაგალითად ამისა, პ. ბუტკოვს, ჩეჩნებისა და ინგუშების ერთმანეთზე გადაკიდების ფაქტი მოჰყავს.⁵²² კავკასიელი ხალხების ერთმანეთზე წაკიდების მცდელობა თვით საიმპერატორო კარის მიერ იყო რეკომენდირებული თავისი მოხელეებისადმი. 1790 წ. 6 სექტემბერს რუსეთის ჯარების მთავარსარდალი გრ. პოტიომკინი წერდა კავკასიის გამაგრებული ხაზის სარდალს დე ბალმენს: *„Ваше Сиятельство должны войти, как можно короче, в обстоятельства взаимные между горскими народами, и старайтесь питать ме-*

⁵¹⁹ Цагарели 1919, 8-9.

⁵²⁰ Thomson 1947, 186.

⁵²¹ Lang 1957, 207.

⁵²² Бутков 1869a, 111.

жду ними несогласие“.⁵²³ ო. მარკოვა შენიშნავს, რომ რუსეთის მთავრობის თვალსაზრისის მიხედვით, იმპერიასთან კავკასიელი ხალხების შერწყმა ამ უკანასკნელთათვის სასიკეთო იქნებოდა.⁵²⁴

ქართლ-კახეთის მდგომარეობა ერეკლეს მეფობის საწყისს და შუა პერიოდში, ერთის მხრივ, და ბოლო პერიოდში, მეორეს მხრივ, განსაცვიფრებელ სხვაობას წარმოადგენდა. მთლიანად პარალიზებული იყო ერის ნება. ნ. დუბროვინი შენიშნავს, რომ ქართული ჯარები ისე იყვნენ დაშინებული, რომ რუსების დახმარების გარეშე ყველაზე სუსტ მოწინააღმდეგესთანაც კი ბრძოლა აღარ შეეძლოთ.⁵²⁵ გასაოცარი მეტამორფოზაა. 1783 წლამდე, ქართველებმა არაერთი ბრწყინვალე ბრძოლა მოიგეს „პატარა კახის“ წინამძღოლობით. დ. ლენგის შეფასებით, 1800 წლისათვის საქართველოს სახელმწიფოს დეზინტეგრაციის პროცესმა კრიტიკულ სტადიას მიაღწია: ცენტრიდანული ძალები ზეიმობდნენ, განდევნილი იყო ცხოვრებიდან ცენტრალიზებული სამეფო ძალაუფლებისა და მმართველობის მოწყვრებიებული სისტემის თვით კონცეპციაც კი.⁵²⁶

არეულობამ და დეგრადაციამ დაისადგურა სამეფო ოჯახში. დარეჯან დედოფლის ინციპტივითა და მეფის 1794 წ. 6 მარტის გადაწყვეტილებით ქვეყანა დაყოფილი იქნა ბატონიშვილების მამულებად, რომელთაც ქვეყნის უმეტესი ნაწილი გადაეცა. ამით სამეფო დომენის მთლიანობა დაირღვა. ერთმანეთთან დაპირისპირებული ბატონიშვილები თავს არ იწუხებდნენ ქვეყნის სატყეურით და მხოლოდ საკუთარი სამფლობელოების გამოცალკევებასა და მოწყობაზე ფიქრობდნენ. თითოეულ მათგანს კრწანისის ბრძოლისათვის 10 ათასი მეომარი უნდა გამოეყო, ნვარაუდვე იყო 80 ათასიანი ლაშქრის შეგროვება. მაგრამ, სინამდვილეში, ერეკლემ, იმერეთიდან სოლომონ II-ის მეთაურობით გამოფხანული 2 ათას კაციანი ცხენოსანთა რაზმის ჩათვლით, სულ 5 ათასი კაცი შეაგროვა, რომელთაგან ბრძოლის წინ 1500 მეომარი შერჩა (ზოგიერთი ცნობით 2500-დან 3000-მდე). ბატონიშვილები მეფესა და მამას აღარაფერში უწევდნენ ანგარიშს.⁵²⁷ სიცოცხლის ბოლო წლებში ერეკლეს თავადების ნაწილი განუდგა და ფმადნაფიცმა ხანებმაც უღალატეს. ერეკლე II გარდაიცვალა თელავში, 1798 წლის 11 იანვარს.

1795 წლის დასაწყისში გარსევან ჭავჭავაძემ საიმპერატორო კარს პეტერბურგში წარუდგინა წერილი, სადაც აღინიშნებოდა ალა მამქაძე ხანის მოსალოდნელი ლაშქრობა საქართველოზე. ერეკლე II ატყობინებდა

⁵²³ Дубровин 1895, 155; იხ. Маркова 1966, 163.

⁵²⁴ Маркова 1966, 162.

⁵²⁵ Дубровин 1897, 99, 206.

⁵²⁶ Lang 1957, 282.

⁵²⁷ Потто 1899, 269, 275; Бутков 1869а, 335-336, 338.

მფარველ ქვეყანას - რუსეთს - მოსალოდნელი საფრთხის შესახებ და დაიმედებული უცდიდა ჩრდილოეთიდან 3 ათასი ჯარისკაცის შემოშველებას არტილერიითურთ. 28 მაისს სახელმწიფო საბჭომ უფლება დართო ი. გუდოვიჩს გაეგზავნა ჯარი ერეკლეს დასახმარებლად, თუმცა იგი იქვე დასძინდა, რომ არსებული მომენტი სათვის ამის გაკეთება ვერ მიიჩნევდა მიზანშეწონილად. იმავე წლის ივლისში გ. ჭავჭავაძე დაბეჯითებით ითხოვდა რუსეთისაგან პასუხს, ეცნობებინათ მისთვის, შეასრულებდა თუ არა ეს ქვეყანა გეორგიევსკის ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს და გაუწევდა თუ არა საქართველოს დახმარებასა და მფარველობას.⁵²⁸ იმ შემთხვევაში, თუ რუსეთს ჯარების გამოგზავნა არ შეეძლო, ერეკლე II ითხოვდა არ შეეშალათ მისთვის ხელი, ჩერქეზულ-ყაზარდოული ცხენოსანთა რაზმები დაეჭირავებინა, რასაც იგი ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე აკეთებდა ჩრდილოეთ კავკასიაში რუსული მმართველობის გაძლიერებაზე. თუმცა იქ ფეხის მოკიდების შემდეგ რუსი სამხედრო მეთაურები უფლებას აღარ აძლევდნენ ქართველებს თავის ჯარში გამოეყენებინათ მათთვის ეს მეტად სასურველი მეჭირავნეები.⁵²⁹ მხოლოდ როდესაც ტფილისის აღების საფრთხე უკვე გარდაუვალი იყო, რუსეთის მონაპირე ჯარის უფროსს ი. გუდოვიჩს გაეგზავნა თავისი მთავრობისაგან საქართველოს მეფის დახმარების ბრძანება და მიეცა უფლება სამხედრო ნაწილები საქართველოში გადაეგზავნა. ეს ბრძანება გუდოვიჩმა მიიღო 1 ოქტომბერს - ტფილისის 11 სექტემბერს აღებისა და დაქცევის 18 დღის თავზე - და მშველი ორი ბატალიონი საქართველოში 1795 წ. დეკემბრის დამდეგს შემოვიდა.⁵³⁰ მას ორი თვე დასჭირდა კავკასიონის გადალახვისათვის, მაშინ როდესაც ალა მაჰმად ხანმა განჯიდან ტფილისში ხუთ დღეში ამოაღწია და 1795 წლის 11 სექტემბერს ტფილისი უკვე აღებული, გამარცხული და გადაშვარი იყო.⁵³¹

საქართველოს ხელისუფალნი „არ ხვდებოდნენ“ მოვლენების განვითარების მიმართ რუსეთის ხელისუფალთა წინასწარგანწრახვას და მხოლოდ მთავარსარდლებსა და სარდლებს სდებდნენ „ბრალს“. თითქოსდა ჯერ კიდევ გენერალ გოტლიბ კ. ჰ. ფონ ტოტლებენს, რომელსაც ერეკლე II-ის დამარცხება სურდა ოსმალებთან ბრძოლაში მისი ჩაბმით, საკუთარი ინციატივით ჰქონოდა გადაწყვეტილი ერეკლეს ტახტიდან ჩამოგდება, მისი და

⁵²⁸ Lang 1957, 214.

⁵²⁹ Lang 1957, 224.

⁵³⁰ Бутков 1869a, 335; Авалов 1901, 153, 155-157; Цагарели 1919, 10; ჯავახიშვილი 1953, 84-85.

⁵³¹ Lang 1957, 220.

მისი მომხრეების რუსეთში გადასახლება და ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთება⁵³².

გიორგი XII კანცლერ ა. ბეზბოროდკოსადმი მიწერილ წერილში იხსენებდა: „არა დროს მაგ კარზედ (იგულისხმება საიმპერატორო - გ.ქ.) შემწე და ჩვენთვის მზრუნველი არა გვეოლია; სანატრელ მამა ჩვენს (ერეკლე II-ს - გ.ქ.) ჰქონდა სასოება დიდებულ კნიაზ პატეჟინზედ, მაგრამ ის ჩვენ გვატყუებდა, ის მხოლოდ თავის სახელის განდიდებას ეძებდა და არავის სხვისთვის ზრუნავდა“. ხოლო იმპერატორ პავლე I-ს გიორგი XII წერდა: „სანატრელსა შევესა, მამასა ჩემსა, აქუნდა ჩვეულუბად მოწერა დამჭირნეობისა თვისისა მოსაზღვრის მთავრისა მიმართ (იგულისხმება ალბათ გენერალი ი. გუდოვიჩი - გ.ქ.), და ამით ესოდენ გრძელდებოდა და გვიანდებოდა საქმე - რაოდენ ავრძნა თფილისმან ზელითა მტაცებლისა აღამამადხანისათა, ამისათვის ვითხოვ რათა მაქუნდეს ნება მოწერად პირისპირ თქუნდა“; და შემდეგ დასძინდა: „...თუ ოდესმე სპარსთა, ან სხვის მძღაურ ჯარს ჩვენზედა მოსვლა ეგულეობდეს, ამისათვის ლინიაზე მყოფს ლენერალს ჰქონდეს ბრძანება მოუხსენებლად შეიდი ათასი საღლათი მოგვაშველოს და არა უშუტეს ამისა (ხაზი ჩვენია, აშკარად ჩანს მეფის შიში რუსთაგან ქვეყნის შესაძლო ოკუპაციისა - გ.ქ.), ჩვენის პურით“⁵³³.

სწორი უნდა იყოს, ზ. ავალიშვილის შენიშვნა, რომ გენერალი ი. გუდოვიჩი საკუთარი ნებით ვერ გადაწყვეტდა ერეკლესათვის დახმარების გაწევის საკითხს, ვინაიდან ჯერ კიდევ 1792 წლის ეკატერინე II-ის რესკრიპტით მას მოხსენდა, რომ საქართველოში ჯარის გაგზავნა: „за нлазо не приемлется“⁵³⁴.

ტრაქტატის დადების შემდეგ შემოყვანილი ორივე რუსული ბატალიონი გაყვანილი იყო საქართველოდან 1787 წელს და მიუხედავად პეტერბურგში მყოფი ქართველი წარგზავნილების არაერთიგზის მოთხოვნისა და თვით კავკასიის ხაზის (ლინიის) უფროსის, გენერალ გუდოვიჩის გაფრთხილებისა სპარსეთის მხრიდან საქართველოსათვის გარდაუვალი საფრთხის მოახლოების თაობაზე, რუსეთმა, 1783 წლის ტრაქტატის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ, არცერთი თავისი ჯარისკაცი არ გააგზავნა იქ 1799 წლამდე, როდესაც ორი პოლკი იყო თბილისში გაგზავნილი ვითომდა გარეშე მტრისაგან საქართველოს დასაცავად, სინამდვილეში კი მოსალოდნელი ანექსიის შემდეგ მის დასაკავებლად. ა. ცაგარელის განმარტებით, რუსეთის მიერ თავისი სახელშეკრულებო მოვალეობათა ამგვარი აშკარა დარღვევის შედეგად საქართველოს სრული უფლება ჰქონდა შეეწყვიტა რუსეთთან ყოველგვარი კავშირი და გაეუქმებინა მასთან დადებული

⁵³² იხ. Lang 1957, 169; ჯავახიშვილი 1953, 65-66; Цагарели 1919, 5-6.

⁵³³ Цагарели 1898, 155-157.

⁵³⁴ Авалов 1901, 155-156.



1783 წლის ხელშეკრულება.⁵³⁵ დ. ლანგის აზრითაც, 1787 წელს თავისი სამხედრო რაზმების გაწვევის, 1795 წ. ალა მაჰმად ხანის შემოსევის დროს მათი უკან არ დაბრუნებისა და 1797 წელს პავლე I-ის მიერ თავისი სამხედროების კიდევ ერთხელ გაყვანის შედეგად, რუსეთმა ყოველგვარი ეჭვს გარეშე ყოველგვარი იურიდიული უფლება დაკარგა საქართველოსათვის მოეთხოვა გეორგიევსკის ხელშეკრულების ერთგულება.⁵³⁶

ნიშანდობლივია, კრწანისის ბრძოლის ერთი თვის თავზე, 1795 წ. 15 ოქტომბერს, ბაღდადში საფრანგეთის კონსულის რუსოს მიერ გამოთქმული თვალსაზრისი მომხდარ მოვლენათა შესახებ; რუსოს განცხადებით: „*იმის გამო, რომ რუსებმა არანაირი შესაძენვეი დიპლომატიური ან სამხედრო ნაბიჯი არ გადადგეს თავიანთი მოკავშირის, საქართველოს, მხარდასაჭერად, ამ უკანასკნელისადმი სპარსელების ვეელა მტრული ქმედების საპასუხოდ, ბაღდადში იმ ხანად მყოფი ზოგიერთი სპარსელი და ქართველი დიდებული, ისევე როგორც ბევრი სხვა კარგად ინფორმირებული პირი* (ხაზი ჩვენია - გ.ქ.), ფიქრობს და მიდის სავსებით მართებულად იმ დასკვნამდე, რომ ეს გარემოება წარმოადგენს რუსეთის სამეფო კარის ბარბაროსულ პოლიტიკას ერეკლესა და საქართველოს გასანადგურებლად ალა-მაჰმად-ხანის მიერ, რათა შემდეგ თავის ძლათა შემოტევით სპარსელებს წაართვას საქართველო და სამუდამოდ შეინარჩუნოს იგი დამპყრობლის უფლებით“⁵³⁷. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ივ. ჯავახიშვილი იზიარებდა რუსეთის ჯარის სარდლის შტაბის ადიუტანტის, ისტორიკოს პ. ბუტკოვის აზრს, რომლის თანახმადაც ეკატერინე დიდს იმიტომ აწყობდა სპარსელების მიერ საქართველოს ააოხრება, რომ ამ საბაბით და ალა- მაჰმად-ხანის დასჯის მომზეზებით, სპარსეთთან რუსეთის ვაჭრობა განსაკუთრებით განემტკიცებინა⁵³⁸.

თუმცა, მიზეზთაგან დამოუკიდებლად ამკარაა, რომ რუსეთს საქართველოს მომძლავრება ხელს არ აძლევდა და ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა საქართველოს არ მისცემოდა დაწინაურებული სამხედრო ტექნიკისა და მეტადრე ზარბაზნების ჩამოსხმა-მოხმარების შესწავლის შესაძლებლობა. რუსეთის ასეთი პოლიტიკა საქართველოს მიმართ ახალი არ იყო, ჯერ კიდევ XVI საუკუნეში ალექსანდრე კახთა მეფის ყოველ თხოვნას ზარბაზნების გადაუღებელი მოწოდების საჭიროების თაობაზე, მოსკოვის სამეფო კარი მქადაგებლების გამოგ ზაენით პასუხობდა⁵³⁹.

რუსეთის საიმპერატორო კარი შეეცადა ტფილისის განადგურება თავისათვის სახიროდ გამოეყენებინა. ეკატერინე II და მისი ფავორიტი,

⁵³⁵ Цагарели 1919, 10-11, 31.

⁵³⁶ Lang 1957, 227.

⁵³⁷ Lang 1957, 219.

⁵³⁸ Бутков 1869a, 367-368; ჯავახიშვილი 1953, 88.

⁵³⁹ ჯავახიშვილი 1953, 84-85, 92; ჯავახიშვილი 1948, 323-324.



პლატონ ზუბოვი შეეცადნენ გაეცოცხლებინათ პეტრე დიდის გეგმა სპარსული კასპიისპირეთის დაპყრობით დაეარსებინათ ინდოეთისა და დანარჩენი აღმოსავლეთისაკენ მიმავალი სტრატეგიული სავაჭრო გზა.⁵⁴⁰ ა. ცაგარელი შენიშნავს, რომ სპარსელთა მიერ თბილისის დაქვევამ ეკატერინე II-ს მისცა სპარსეთის წინააღმდეგ დიდი ხნით უფრო ადრე ჩაფიქრებული ლაშქრობისათვის „კაზუხ ბელლი“ და უკვე ერთი წლის შემდეგ 1796 წ. გამოუცხადა ომი სპარსელებს, თითქოსდა მათ მიერ საქართველოსათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებისა და ამ ქვეყნის ადრეული სამფლობელოების აღდგენის მიზნით მდინარე არეზამდე და ოსმალეთამდე, როგორც ეს ყოფილა გაცხადებული ეკატერინას მიერ დადასტურებულ ბრძანებაში.⁵⁴¹

ერეკლე II სიცოცხლის ბოლომდე ელოდებოდა რუსეთის დახმარებას. გარსევან ჭავჭავაძეს ევალებოდა მიეღწია პავლესაგან დედამისის, ეკატერინე დიდის მიერ დადებული 1783 წლის ხელშეკრულების ცნობასა და მისი ძალით საქართველოს მიმართ რუსეთის მიერ აღებული მოვალეობების აღიარებას. იმ შემთხვევაში, თუ ეს არ ხერხდებოდა საქართველო ითხოვდა უფლებას თავისი უსაფრთხოების დასაცავათ სამეკავშირეო ურთიერთობებში შესულიყო მეზობელ მაჰმადიან სახანოებთან და დაღესტნის ტომის ბელადებთან.⁵⁴² მამის სიკვდილის შემდეგ 1798 წელს ქართლ-კახეთის სამეფოს ტახტზე ასულმა და გამოუვალ მდგომარეობაში ჩაყენებულმა გიორგი XII-ემ ერთი პირობა ოსმალეთის მფარველობაში შესვლაც კი განიზრახა და ასლან ორბელიანი გააგზავნა ახალციხის ფაშასთან, თუმცა შემდეგ გონს მოეგო და უკან დააბრუნა.⁵⁴³

პავლე I-მა გიორგის XII-ს მიუჩინა საიმპერატორო დესპანი და სახელმწიფო მრჩეველი პეტრე კოვალენსკი, რომელსაც ევალებოდა ყური ეღვენებინა საქართველოს მეფის საქმეებისათვის, რათა *"არაფერი მომხდარიყო იქ საიმპერატორო კარის საზიანო"*.⁵⁴⁴ შეიძლება ითქვას, რომ ამის შემდეგ მეფე გიორგის ყველა ნაბიჯი მნიშვნელოვანწილად იქნებოდა განპირობებული ყოვლისშემძლე რუსი მოხელის მიერ.

გიორგი მეფე ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, როცა 1800 წ. 18 დეკემბერს პეტერბურგში, პავლე იმპერატორის კარზე შემუშავდა მანიფესტი საქართველოს შემოერთების შესახებ. ამავე დროს ქართველ ელჩებს – ავალიშვილსა და ფალავანდიშვილს საქართველოსაკენ მოჰქონდათ პავლეს მიერ დამტკიცებული გიორგი მეფის "სათხოვართა პუნქტები" (1800 წ. 24 ივნისის), რომლებიც არსებითად პავლე I-მა აიძულა გიორგი XII შეედგინა

⁵⁴⁰ Lang 1957, 220-221.
⁵⁴¹ Цагарели 1919, 10.
⁵⁴² Lang 1957, 224.
⁵⁴³ Lang 1957, 228.
⁵⁴⁴ Lang 1957, 230.



და ამით გაეზარდა რუსეთისაგან საქართველოს დამოკიდებულება.⁵⁴⁵ 18 დეკემბრის მანიფესტის ტექსტი გადაუგზავნეს წინაკავკასიაში განლაგებული ჯარების სარდალს გენერალ კ. კნორინგს. ამაზე ადრე კ. კნორინგს მიღებული ჰქონდა საიდუმლო ბრძანება, რომ გიორგის სიკვდილის შემდეგ ქართლ-კახეთში მეფის ხელისუფლება უნდა გაუქმებულიყო. კ. კნორინგს ამისათვის მეფისა და ფეოდალთა "თანხმობა" სჭირდებოდა.⁵⁴⁶

1800 წლის მანიფესტი 1783 წ. ტრაქტატის ბუნებრივი შედეგი იყო. ზ. ავალიშვილი შენიშნავდა, რომ მას შემდეგ რაც ქვეყნის ძირითადი უფლებები გადაეცა რუსეთს, საქართველოს სამეფო ძალაუფლების მხოლოდ ფორმა შერჩა შინაარსის გარეშე, მსგავსად კვერცხის ცარიელი ნაჭუჭისა და აუცილებელი გახდა მისი შორს მოსროლა.⁵⁴⁷

მანიფესტთან ერთად თბილისში ჩამოტანილი იქნა გენერალ კ. კნორინგის წერილები ბატონიშვილებისადმი, რომლებიც მიწვეულნი იყვნენ სანკტ-პეტერბურგში. ქალბატონებს ელოდათ სრული მატერიალური უზრუნველყოფა, "ვაჟბატონებს" - ჯილდოები და რუსული სოფლები საკუთრებაში; ხელმწიფე-იმპერატორის სამსახურში შესვლის შემთხვევაში მათ მიენიჭებოდათ მათი წოდების შესაბამისი ჩინები. 18 დეკემბრის მანიფესტი მხოლოდ 1801 წ. 16 თებერვალს წაუკითხეს ქართულ და რუსულ ენებზე, სომხური წარმომავლობის რუსი გენერლის ი. ლაზარევის მიერ საღვთო ლიტურგიაზე მიწვეულ თბილისელ წარჩინებულებს, ხოლო მეორე დღეს, იგივე მანიფესტი, რომლის მიხედვითაც საქართველო რუსეთს უერთდებოდა *"на вечные времена"*, რუსულ, სომხურ და ქართულ ენებზე წაკითხული იყო სომხურ ვანქში, სადაც ამ მოვლენას ესწრებოდა ენმაიძინში მიმავალი და იმ დღეს თბილისში „შემთხვევით მყოფი“ სომეხთა კათალიკოსი ოსეფ არღუთინსკი-დოლოგორუკოვი⁵⁴⁸, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღოდა ერეკლეს დათანხმებაში ქართლ-კახეთის რუსეთის მფარველობაში შეყვანაზე⁵⁴⁹. რამდენიმე დღის შემდეგ, 21 თებერვალს, კ. კნორინგისადმი მიწერილ წერილში ი. ლაზარევი შენიშნავდა, რომ მას არასოდეს, არსად, არ უნახავს ისეთი დიდი სიზარული, როგორიც მანიფესტის გამოქვეყნებას გამოუწვევია თბილისელ მოქალაქეებში. ამ მოქალაქეთა გამო იგი დასძენდა: *„...они, даже можно сказать, что сердятся, если их назовут грузинами, а не говорят, что они русские“*.⁵⁵⁰

⁵⁴⁵ Toumanoff 1967, 368.

⁵⁴⁶ დუმბაძე 1973, 812-813. მ. დუმბაძის შეხედულებით, გიორგი მეფის "სათხოვართა პუნქტები" ძირითადად 1783 წ. ტრაქტატის პირობებს იცავდა.

⁵⁴⁷ Авалов 1901, 198.

⁵⁴⁸ Дубровин 1897, 198-199, 201.

⁵⁴⁹ Маркова 1966, 168;

⁵⁵⁰ Дубровин 1897, 201.

ინტერესს იწვევს პავლე I-ის მიერ კ. კნორინგისადმი გაგზავნილი 1801 წ. 20 იანვრის რესკრიპტი, რომელშიც იმპერატორი მოუწოდებდა მთავარსარდალს მოემარაგებინა საქართველოში რუსეთის ტახტის ერთგულნი და განსაკუთრებით მიუთითებდა ამ მხრივ სომხობის მიმხრობა-დაახლოების საჭიროებაზე, რათა მათი საშუალებით უზრუნველყოფილიყო მომავალშიც მულმიეჟოქმედი არხის არსებობა. ამ მხრივ, საყურადღებოა, რომ იმ პირთა შორის, რომლებიც, როგორც ყველაზე უფრო ღირსეულები, პირველ რიგში იმსახურებდნენ რუსული ჯვრებით დაჯილდოებას, რუს დიდ მოხელეთა მიერ დასახელებულნი იყვნენ მხოლოდ თავადები ეგნატე თუმანოვი, დარჩი ბებუთოვი და სოლომონ არღუთინსკი-დოლგორუკოვი. ანექსიის დროს ქართლ-კახეთის სომხური მოსახლეობის ნაწილის აქტიურობის თაობაზე თავადი ალ. ჯამბაკურ-ორბელიანიც იუწყება⁵⁵¹. გასათვალისწინებელია, რომ ჯერ კიდევ საქართველოს შეერთებამდე პავლე I-მა დაავალა თავის ელჩს, საქართველოში სახელმწიფო მრჩეველს, პ. კოვალენსკის, შეეწყო ხელი საქართველოში სომხურ თემთა ჩამოსახლებისათვის, მელიქბითურთ, და აეძულებინა მეფე გიორგი მათთვის პრივილეგიების მინიჭებაზე. პავლე პირდებოდა სომეხ მელიქებს, რომ სპარსეთიდან და თურქეთიდან საქართველოში გადმოსახლების შემთხვევაში მათ მიეცემოდათ საქართველოს ფარგლებში თავიანთი მოსახლეობის ავტონომიური მართვის უფლება⁵⁵². სომხური წარმომავლობის თანამედროვე ამერიკელი ისტორიკოსის გრეგორ სუნის შეფასებით, მართალია, საქართველოს სამეფოს გაუქმებით, სომხებმა დაკარგეს თავისი ძველი პროტექტორი - ქართველი მონარქი, მაგრამ მათ მეტი ფიზიკური უსაფრთხოება შეიძინეს რუსი სამხედროების ზურგს უკან⁵⁵³. ამას თუ დაუმატებთ რუსეთის იმპერიის თვალუწვდენელი სივრცეების უპირატესობებსა და რუსეთის მოქალაქეობის შეღავათებს, გასაგები გახდება სომეხი ვაჭრების - სომეხი ერის ძირითადი წარმმართველი ძალის - პოზიცია აღნიშნულ საკითხში.

თანამედროვე პოლიტიკური მოღვაწის, გრაფ აპოლონ მუსინ-პუშკინის ცნობით, ერეკლეს შემკვიდრის, მძიმედ ავადმყოფი გიორგი XII-ის ძმები ამჯობინებდნენ საქართველო რუსეთს რგებოდა, ოღონდ კი გიორგის სიკვდილის შემდეგ, მისი ძე, დაეთით არ გამეფებულყოფი. თვით გიორგი XII ძალზე დაინტერესებული ჩანდა რუსის ჯარის საქართველოში შემოყვანით, რათა მის ძმებს მის ძეზე არ ეძალათ. ამ გარემოებით კარგად ინფორმირებული რუსეთის იმპერატორი პავლე I, საქართველოს ოკუპაციისათვის სათანადო ზომებს იღებდა და თავისი ჯარების მთავარსარდალს, გენერალ-ლეიტენანტ კ. კნორინგს 1799 წ. 8 აგვისტოს მიწერილი რესკრიპტით ავალებს იმპერატორის

⁵⁵¹ ჯამბ.-ორბელიანი 1914; Дубровин 1897, 186-187.

⁵⁵² Lang 1957, 230, 235.

⁵⁵³ Suny 1989, 59.



სახელით განაცხადონ, რომ რუსეთის ჯარის საქართველოში შემოყვანა არ მოხდებოდა, ვიდრე საქართველოს სამხედრო გზა არ იქნებოდა წესრიგში მოყვანილი და მართლაც, გიორგი XII-ის მცდელობით, იმავე წლის 12 ოქტომბრისათვის მთელი გზა მოზღოკიდან თბილისამდე მოწესრიგებული იყო და უკვე 20 ოქტომბერს თბილისისაკენ მიმავალმა გენერალ-მაიორ ი. ლაზარევის პოლკმა თურგი გადალახა⁵⁵⁴. გიორგი XII-მ საკუთარ ტახტს ფაქტობრივად თავისივე ხელით ძირი გამოუთხარა - გიორგი XII ჯერ კიდევ არ იყო გარდაცვლილი, როდესაც პავლე I-მა საქართველოს სამეფო ხელისუფლება გააუქმა. პავლე I-ის მთავრობა ფიქრობდა გიორგი XII-ისა და თავად-აზნაურობის მოტყუებას, უარს ამბობდა რა ყოველგვარ დაპირებებზე და ყველაფერს ქართველთა "ნებაყოფლობის" საფუძველზე აკეთებდა. 1800 წ. 22 დეკემბერს სანკტ-პეტერბურგში ხელი მოეწერა 18 დეკემბრის მანიფესტს საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ, ხოლო ექვსი დღის შემდეგ, 28 დეკემბერს, გარდაიცვალა გიორგი XII (ახალი სტილით 1801 წ. 9 იანვარს)⁵⁵⁵. გიორგი XII ისე გარდაიცვალა, რომ რუსეთიდან მომავალმა ელჩებმა მას ცოცხალს ვერ მოუსწრეს. პეტერბურგელ დიპლომატებს კოვზი ნაზარში ჩაუვარდათ, გიორგი XII-ის გარდაცვალებამ ახლად შედგენილი ხელშეკრულების ხელმოწერამდე, ეს უკანასკნელი კანონიერი ძალის გარეშე დატოვა.⁵⁵⁶ ამრიგად, გენერალმა კ. კნორინგმა სასურველი "თანხმობა" ვერ მიიღო და საქართველოს საქმეებიც გართულდა. შექმნილ მძიმე ვითარებაში კ. კნორინგი ფრთხილობდა. მისი აზრით, სამეფოს საბოლოო გაუქმებისათვის საჭირო იყო უფრო ხელსაყრელი სიტუაცია. 1801 წ. 5 იანვარს იგი პავლე იმპერატორს სწერდა, რომ ვერ ბედავდა 18 დეკემბრის მანიფესტის გამოქვეყნებას, ვინაიდან ქართველი ხალხი და სამეფო ოჯახის წევრები ჯერ არ იყო "სათანადოდ შემზადებული მისი საიმპერატორო უმაღლესობის მფარველობაში შესასვლელად". შემდეგ გენერალი მიუთითებდა კიდევ ერთ მთავარ მიზეზზე, რის გამოც იგი ახლა საქართველოს ოკუპაციაზე დროებით ხელს იღებდა - ზამთარში შეუძლებელია დარიალის გზით ჯარების გადაყვანა "საქართველოს დასაკავებლად", ამიტომ გაზაფხულს უნდა დაველოდოთ.⁵⁵⁷

მიუხედავად ამისა, უკვე 1801 წლის 18 იანვრის მანიფესტით პავლე I-მა გამოაცხადა რუსეთთან საქართველოს მიერთება, ხოლო უკვე 20 იანვარს სწერდა კავკასიის ხაზის უფროსს გენერალ კ. კნორინგს, რომ მას საქართველო უნდოდა ენახა რუსულ გუბერნიად და მოითხოვდა მოექციათ

⁵⁵⁴ Дубровин 1897, 80, 164.
⁵⁵⁵ Потто 1899, 332.
⁵⁵⁶ Toumanoff 1967, 368.
⁵⁵⁷ ლუმაბე 1973, 813.

იგი სამოქალაქო ხაზით სენატის, ხოლო სასულიერო ხაზით წმინდა სინოდის ძალაუფლების ქვეშ.⁵⁵⁸

ამრიგად, მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ გეორგიევსკის ტრაქტატი იღებოდა საუკუნოდ და მისი შეცვლისათვის ორივე მხარის კეთილი ნება იყო აუცილებელი, რუსეთმა ცალმხრივად დაარღვია იგი და ძალით მიიერთა ქართლ-კახეთის სამეფო.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 1783 წ. ტრაქტატის მიღებით გამოწვეული შედეგების გამო საქართველოს ეკონომიკური ნგრევის მასშტაბები და შესაბამისად მოსახლეობის რიცხვის შემცირება. არასრული მონაცემებით, ქართლ-კახეთის სამეფოს შემოსავალი თუ XVIII საუკუნის ორმოციან წლებში 700 ათას მანეთს შეადგენდა, იმავე საუკუნის დასასრულს 500 ათას მანეთს ძლივს აღწევდა, ხოლო ვაჭართა და ხელოსანთა რიცხვი ქ. თბილისში 18%-ით იყო შემცირებული. დროის იმავე ხანმოკლე პერიოდში ქართლ-კახეთის მოსახლეობა 350 ათასი კაციდან 200 ათას კაცამდე შემცირდა.⁵⁵⁹ გენერალ კ. კნორინგის მიერ 1801 წ. 28 ივლისს სანკტ-პეტერბურგში გაგზავნილი პატაკის მიხედვით, ქართლ-კახეთის მოსახლეობის 61 ათასი კომლიდან 35 ათასამდე დასვლა გამოწვეული ყოფილა ალა-მაჰმად-ხანის შემოსევით.⁵⁶⁰

იმ დროისათვის პოლიტიკური სექტორი საქართველოს დედაქალაქში შემდეგნაირად ნაწილდებოდა: პირველ პარტიას წარმოადგენდნენ ბატონიშვილ დავითის მიმდევრები, რომლებიც მხოლოდ ქართულ მეფეთა ტახტის შენარჩუნებაზე ზრუნავდნენ და სხვა მხრივ, ყველაფერში, რუსეთის საიმპერატორო კარს იყვნენ მინდობილნი; მეორე, უფრო მრავალრიცხოვანი „პარტია“ ერეკლეს ძის იულიანის მეთაურობით, საქართველოს მომავალს მხოლოდ რუსეთის პროტექტორატის ქვეშ ხედავდა და ქვეყნის შინაურ საქმეებში სრულ ჩაურევლობას ითხოვდა; და ბოლოს, მესამე „პარტია“, ყველაზე მცირერიცხოვანი, მაგრამ ძალზე საზიფათო პირველი ორისათვის ქვეყანაში რუსის ჯარის დგომის გამო, საქართველოს „დამოუკიდებლობაზე“ უარის თქმასა და რუსეთთან სრულ შეერთებას მოითხოვდა. საქართველოს სამეფოს გაუქმების შემდეგ, პირველი ორი პარტია დაუფარავად დაუპირისპირდა რუსებს, ხოლო, მესამე, რუსოფილური, პარტიის უმეტესობა, რომელიც მთავრობის მიერ ბოძებული უანგარო სიკეთის მოლოდინში იმყოფებოდა, სულ მალე, თვალახელილი ჩამოშორდა საქართველოს რუს მოხელეებს, რომელთა „ერთგულიც“ დარჩა მხოლოდ შექმნილი

⁵⁵⁸ თავისი ხელით დაწერილ გენერალ კ. კნორინგისადმი გაგზავნილ რეკრატში პავლე წერდა: „Я хочу, чтоб Грузия была губерния“ (იხ. Цагарели 1919, 11).

⁵⁵⁹ Думбадзе 1963, 68-69.

⁵⁶⁰ Дубровин 1897, 236.

მდგომარეობის გამოყენების გზით პირადი სარგებლობისათვის „მებრძოლად“ ანგარებიანი ადამიანების მცირე ჯგუფი⁵⁶¹.

1801 წლის 12 მარტს, მას შემდეგ რაც პავლე I შეთქმულების მსხვერპლი გახდა, რუსეთის ახალმა იმპერატორმა ალექსანდრე I-მა, იმ მიზნით, რომ მამამისის მიერ საქართველოს დაპყრობის ფაქტით, ევროპის დიდი სახელმწიფოების მესვეურთა თვალში რუსეთს ჩირქი არ მოსცხებოდა, საქართველოს საკითხი რუსეთის სახელმწიფოს წინაშე დასვა. შექმნილი მდგომარეობა რუსეთს საზარბიელო სახეს არ უქმნიდა; გიორგი XII-ის მემკვიდრე დავითი, თავის 1801 წ. 27 მაისის წერილით იტყობინებოდა, რომ მეფე გიორგის იმპერატორ პავლესათვის იმ მიზნით შეუწირავს თავისი სამეფო, რომ ამ უკანასკნელს მისი ძე, დავითი, დაეტოვებინა კანონიერ ტახტზე⁵⁶².

იმპერიის სახელმწიფო საბჭო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ „Простая протекция, какую с 1783 г. давала Россия Грузии, вовлекла сию несчастную землю в бездну зол, которыми она приведена в совершенное изнеможение и продолжение оной на тех же основаниях неминуемо свергнет её в совершенную погибель“⁵⁶³. მართლაც, რომ ძალზე საყურადღებო შეფასება გეორგიევსკის ტრაქტატის შედეგებისა საქართველოს მიმართ, გაკეთებული თვით პროტექტორი მზარის მიერ. მაგრამ, მიუხედავად საქართველოსათვის თავისი მფარველობის ამკარად უარყოფითი შედეგებისა, რაც, როგორც ჩანს, არცთუ უკანასკნელ რიგში, ამ ქვეყნის საბოლოო და მთლიანი დაუფლებისათვის, საკუთრივ რუსეთის იმპერიული პოლიტიკის წინასწარგანზრახულ ქმედებას წარმოადგენდა, ვერც „სამართლიანობის აღდგენის“ მოსურნე ალექსანდრე I შეეღებოდა საქართველოს. სახელმწიფო საბჭოს დასკვნით, რუსეთისათვის განსაკუთრებით საზიანო იქნებოდა საქართველოს დატოვება, რადგან ამ შემთხვევაში ღონემიხდილ ქვეყანას ოსმალეთისათვის შეეძლო ეთხოვა მფარველობაში მიღება, ეს კი ტრაგიკულ შედეგებს გამოიღებდა რუსეთისათვის, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში ოსმალეთი რუსეთს კავკასიონის მთავარი ქედის გაყოლებაზე გაუმეზობლდებოდა. საბჭო შემდეგნაირად სვამდა საკითხს: „Какими средствами оградить пространство более 800 верст, где с российской стороны представляется неприятелю свободный вход в места ровные, ничем неприкасаемые; с неприятельской же при первом шаге встречаются неприступные горы?“⁵⁶⁴

⁵⁶¹ Авалов 1901, 222; ჯავახიშვილი 1953, 102-103.

⁵⁶² Дубровин 1897, 223; Авалов 1901, 289-290.

⁵⁶³ Архив... 1878, 1197.

⁵⁶⁴ Дубровин 1897, 218.

რუსეთის სახელმწიფო საბჭოს ამ წინადადებაში დაუფარავად არის გაცხადებული ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, რის გამოც რუსეთის სასისოცხლო მოთხოვნილებას წარმოადგენდა საქართველოს ტერიტორიის დაუფლება. ნიშანდობლივია, რომ გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერის მომდევნო წელსვე, 1784 წ., საქართველოს სამხედრო გზის ჩრდილოეთ კიდეში პაველ პოტიომკინის მიერ აგებულ ფორტს **ვლადიკავკაზი** ეწოდა. ჯერ კიდევ 1770 წ. 16 ივლისს წერდა გრაფი ნ. პანინი გენერალ გ. ტოტლებენს, რომ მანძილის სიშორე და კავკასიონის ქედის გადაღაზვის სიძნელე იმხანად შეუძლებელს ხდიდა საქართველოს მისაკუთრებას. ამ მიზნის განსახორციელებლად პირველ რიგში აუცილებელი იყო რუსული ძალაუფლების გავრცელება თერგის ნაპირებიდან კავკასიონის მთების ძირამდე და ციხე-სიმაგრის აგება დარიალის ხეობის შესასვლელთან, ჩრდილო კავკასიის აგრესიული ტომების მოსათოკავად. ამ ამოცანის შესრულება თავადმა გრიგორ პოტიომკინმა თავის ნათესავს გენერალ-პორუჩიკს, თავად პაველ პოტიომკინს დაავალა⁵⁶⁵. რუსეთის ექსპანსიონისტური მიზნებისათვის, ისევე როგორც კავკასიონის ქედის ჩრდილოეთიდან მომდგარ ყველა ცენტრალურევრაზიული ძალისათვის, კიმერიულ-სკვითური ხანებიდან დაწყებული (თუ უფრო ადრე არა) ბუნებრივ მოთხოვნილებას წარმოადგენდა ისეთი მნიშვნელოვანი წინააღობის გადაღაზვა, როგორიც „სამყაროს ორად გამყოფი“ კავკასიონის მთავარი ქედი იყო. რაღა თქმა უნდა, ალექსანდრე I-მა, სახელმწიფო საბჭოს კარნახით, გადაწყვიტა საქართველოს „გაბედნიერება“ რუსეთთან მისი შეერთებით, რაც აღესრულა კიდევ 1801 წ. 12 სექტემბერს ახალი „უმაღლესი მანიფესტით“, რომელიც პლატონ ზუბოვის მიერ იყო შედგენილი. მანიფესტი მოგვიანებით, მომდევნო წლის 8 მაისს გამოცხადდა თბილისში მოწვეულ წარჩინებულთა შეკრებაზე. ფიცის დადებისას მიპატიჟებულნი გარშემორტყმულნი იყვნენ რუსის ჯარით, რომელსაც დავალება ჰქონდა წინააღმდეგობის ყოველგვარი ცდა იარაღის ძალით ჩაეხშო. უკმაყოფილონი დააპატიმრეს⁵⁶⁶. გიორგი მეთორმეტის ძეს, დავით „მეთორმეტეს“ საქართველოს ტახტის ნაცვლად ალექსანდრე ნეველის ორდენი ერგო⁵⁶⁷.

ალექსანდრე I-მა გამეფებისთანავე განუცხადა სახელმწიფო საბჭოსა და სახელმწიფო სათათბიროს, რომ იგი მომხრეა საქართველოსთან ურთიერთობა დაუბრუნდეს 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატით განსაზღვრულ პირობებს და რომ იგი *"никакого приращения чужой земли не желает"*, თუმცა უკვე 1801 წლის 12 სექტემბრის მისი მანიფესტი თითქმის მთლიანად იმეორებდა პაველს 18 იანვრის მანიფესტის გადაწყვეტილებას. ა.

⁵⁶⁵ Потто 1899, 121-122.

⁵⁶⁶ ჯავახიშვილი 1953, 101-102.

⁵⁶⁷ Потто 1899, 26.

ცაგარელის განცხადებით, ალექსანდრე I-ის სიტყვები, რომ მას არავითარ სურვილი არა აქვს სხვისი მიწა-წყლის მიერთებისა და ამასთანავე მისი მერყეობა საქართველოს საკითხის გადაწყვეტისას, მოწმობს რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის უკანონობასა და უსამართლობას. ამასვე, მისივე აზრით, უნდა მოწმობდეს რუსთა ბატონობის წინააღმდეგ მიმართული გლეხთა მუდმივი აჯანყებები და თავადაზნაურობის შეთქმულებები.⁵⁶⁸ ქვეყანამ დაკარგა არა მხოლოდ სახელმწიფოებრიობა, არამედ თვით გეოგრაფიული დასახლება, ამოირიცხა პოლიტიკურად არსებული ხალხებისა და ქვეყნების დასიდან და მთელი მსოფლიოს თვალწინ დამცირებული და შეურაცყოფილი მოიხსენიებოდა მხოლოდ ტფილისის, ქუთაისის და სხვა გუბერნიათა თუ ოლქთა სახელის ქვეშ.⁵⁶⁹

ა. ცაგარელი შენიშნავს, რომ, თუ 1801 წელს ალექსანდრე I აცხადებდა, მის მიერ სხვისი მიწების მიერთების მიუღებლობის შესახებ, უკვე 1806 წელს, მასვე განუცხადებია საფრანგეთისათვის, რომ *"საქართველო წარმოადგენს რუსეთის სამფლობელოს და არავითარი საუბარი არ შეიძლება იყოს რუსეთისაგან მისი ჩამოშორების თაობაზე"*. სპარსეთის სიუზერენის ფეთ-ალი-შაჰის სიტყვების მიხედვით, ნაპოლეონ ბონაპარტეს თვით სურდა საქართველოზე საფრანგეთის "პროტექტორატის" გამოცხადება. ა. ცაგარელის ვარაუდით, ეს გეგმა, ისევე როგორც მის მიერ ჩაფიქრებული ინლოეთის კამპანია, მას შეეძლო განეხორციელებინა მხოლოდ რუსეთზე წარმატებული ლაშქრობის შემთხვევაში.⁵⁷⁰ ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ ევროპა რუსული ან ინგლისური გზის არჩევანის წინაშე დადგა. თვით ნაპოლეონი აცხადებდა, რომ ევროპა ან რესპუბლიკური ან "კაზაკური" უნდა გამხდარიყო. რუსულ მონარქიული ინტერვენციის პოლიტიკას ინგლისმა ლიბერალური და ნაციონალური კონსტიტუციონალიზმის სისტემა დაუპირისპირა და ამით ევროპის კონტინენტზე რევოლუციური იდეების ზემოქმედება გადააჯაჭვა საკუთარ მსოფლიო პოლიტიკურ მიზნებს. შესაბამისად ამისა, 1830 წლის ივლისის რევოლუციის შედეგად ხდება საფრანგეთის გადახრა ლიბერალური კონსტიტუციონალიზმისაკენ და რუსული ალიანსიდან ინგლისის მხარეზე გადასვლა.⁵⁷¹

1828 წლის თურქმენჩაის ხელშეკრულების ძალით რუსეთის ხელში მოექცა მდ. არეზის ჩრდილოეთით მდებარე კავკასია და ამავე მდინარის სამხრეთით მდებარე თალიშის მხარე. ამავე ხელშეკრულებამ, უ. ალენისა და პ. მურატოვის შენიშვნით, დაასრულა კავკასიაში ირანის ორი

⁵⁶⁸ Цагарели 1919, 12.

⁵⁶⁹ Цагарели 1919, 13-14.

⁵⁷⁰ Цагарели 1919, 19.

⁵⁷¹ Rein 1924, 673-674.



ორივე ქართული სამეფოს გაუქმების შემდეგ (რუსებმა იმერეთი 1810 წელს დაიპყრეს), რუსებმა შენიშნეს რა, რომ ეკლესია ხდებოდა ქართული ეროვნული სოლიდარობის ცენტრი, არ დააყოვნეს და უკვე 1811 წელს გააუქმეს მისი ავტოკეფალია და უშუალოდ დაუქვემდებარეს რუსეთის სინოდს; კათოლიკოსი ანტონ II რუსეთს გადაასახლეს, ხოლო მის ნაცვლად რუსეთიდან ეგზარქოზი მოავლინეს; ქართული ეკლესია საბოლოოდ გალატაკდა 140 მილიონი მანეთის ღირებულების ქონების კონფისკაციითა და რუსთა მიერ დანიშნული იერარქების სიხარბის შედეგად; სკოლებსა და სემინარიებში ქართული ენა აიკრძალა და თვით ლიტურგიის დროსაც კი ძველსლავურით იყო შეცვლილი.⁵⁷³ დ. ლენგის შენიშვნით, ეროვნული ეკლესიის ასეთი სრული ჩახშობა თანამორწმუნე ქრისტიანი ხელისუფლების მიერ უპრეცედენტო მოვლენაა ცივილიზებული ერების თანამედროვე ანალებში.⁵⁷⁴

ალექსანდრე I-ის ბრძანებით საქართველოში დაბრუნებულმა გენერალმა კ. ქნორინგმა გააერთიანა მთავარსარდლისა და მთავარმმართველის სამხედრო და სამოქალაქო ფუნქციები და პირველივე ნაბიჯი, რომელიც მან გადადგა ალექსანდრეს დავალებით, იყო ის, რომ „საქართველოს კეთილდღეობისათვის“ მიზანშეწონილად მიიჩნია ბოლო ხანების მტრების შემოსევების წინააღმდეგ (იგულისხმება რუსეთ-საქართველოს 1783 წლის ტრაქტატის ხელმოწერის შემდგომი პერიოდი - გ.ქ.) ადგილობრივი შეთხელებული მოსახლეობის შესავსებად მეზობელი ამიერკავკასიული სახანოებიდან არაქართული ქრისტიანული მოსახლეობის გადმოსახლება. მასვე იმპერატორისაგან დავალებული ჰქონდა ახალმოსახლეთათვის საკმარაოდენობის მიწის გამოყოფა და მეურნეობის მოსაწყობად საჭირო მატერიალური დახმარების გაღება.⁵⁷⁵ ა. სურგულაძის შეფასებით, საქართველოს ტერიტორიაზე რუსი და სხვა არაქართველი ეროვნების ხალხთა ჩამოსახლება რუსეთის იმპერიის კოლონიური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი იყო - კოლონისტები უნდა გადაქცეულიყვნენ საიმედო დასაყრდენად ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ. 1817 წლიდან იწყება ამიერკავკასიაში გერმანელთა ჩასახლება; იმავე საუკუნის ოციანი და ოცდაათიანი წლების მიჯნაზე რუსეთის მთავრობამ საქართველოში მასობრივად ჩამოსახლა ქრისტიანი სომხები და ბერძნები; სომხური მოსახლეობის მომდევნო ტალღებს მოჰყვა ასირიელებისა და ქურთი-იეზიდების

⁵⁷² Allen & Muratoff 1953, 21.

⁵⁷³ Toumanoff 1967, 368.

⁵⁷⁴ Lang 1962, 56.

⁵⁷⁵ Дубровин 1897, 246.

იმიგრაცია. ოცდაათიანი წლების მიწურულიდან საგანგებო ყურადღება შექმნა საქართველოში რუსი სამხედრო დასახლებების მოწყობას; შავი ზღვის სანაპიროზე დაგეგმილი იყო და დაიწყო კიდევ კაზაკთა ჩამოსახლება⁵⁷⁶, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი შემდეგ კოლხეთის ციებთანაა პავამ იმსხვერპლა.

რუსული კაზაკობა რუსეთის ექსპანსიის მძლავრი და უმთავრესი იარაღი იყო კავკასიისა და შუა აზიის მიმართულებით; მიუხედავად ანარქიული მისწრაფებების სიმრავლისა, ისინი ქმედითად ასრულებდნენ თავიანთ სამხედრო და კოლონიზატორულ ფუნქციებს. უ. ალენისა და პ. მურატოვის აზრით, კაზაკობა თავისებური გამოვლენა იყო რუსული გენისა⁵⁷⁷. თუმცა, ცნობილი ორიენტალისტის ვ. მინორსკის შენიშვნით, ამ მოვლენას ბევრი რამ ჰქონდა საერთო ანატოლიის საზღვრებთან თურქული ექსპანსიის მიმდინარეობასთან⁵⁷⁸. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში იმპერატორ ანას უცხოელმა მრჩეველებმა მიუნიპმა და ლაქიმ კაზაკთა გავრცელებისა და კოლონიზაციის არსებული სისტემა დაუქვემდებარეს იმპერიის ტაქტიკას და ეს ნახევრადანარქიული თემები აქციეს კალკუირებული და შორსმჭვრეტელური პოლიტიკის იარაღად. კაზაკური გამაგრებული ზაზები (ლინიები), „სტანიციები“ თუ სამხედრო დასახლებები, ერთმანეთთან ციხე-სიმაგრეებით (ფორტებით) დაკავშირებულნი, ფართოდ იყო გავრცელებული რუსეთის საზღვრების სამხრეთის მთელს გაყოლებაზე⁵⁷⁹, მათ შორის კავკასიაშიც.

საიმპერატორო კარი, გარდა საქართველოს კოლონიზაციისა, ცდილობდა კავკასიონის კალთების ოსური მოსახლეობის მიმხრობას და წარმატებითაც. გაქრისტიანების საბაბით ხდებოდა მათი ბატონყმობისაგან (ქართველი, მათ შორის ნაოსარი თავადაზნაურობისაგან) განთავისუფლება, რაც განსაკუთრებული შემთხვევა იყო ბატონყმობის უკიდურესად ველური ფორმების მქონე რუსეთის ცხოვრებაში. ახალმოქცეულებს, რუსი სამღვდელოების ლოცვა-კურთხევით, შესაძლებლობა ეძლეოდა ერბია და ეძარცვა მკვიდრი ქართული მოსახლეობა, რა თქმა უნდა, არა მხოლოდ თავადაზნაურობა, არამედ ყმა-გლეხობაც. ამ მხრივ, დამახასიათებელია 1816 წელს, თბილისის სამოქალაქო გუბერნატორის გენერალ-მაიორ ჰოვენის შეკითხვა მთავარსარდლის, ა. ერმოლოვის სახელზე: *«Как должны поступать жители Карталинии с теми из крещеных осетин, кой будут уличены в разбое, ибо новокрещенцы сии, имея под видом единоверия свободный вход в Карталинию, позволяют себе, в надежде на покровительство тамошнего духовенства, грабежи и разбой. а карталины,*

⁵⁷⁶ სურგულაძე, სურგულაძე 1991, 220.

⁵⁷⁷ Allen & Muratoff 1953, 10.

⁵⁷⁸ Minorsky 1952, 254.

⁵⁷⁹ Allen & Muratoff 1953, 11.

*боясь ответственности за убийство христианина, не смеют не только их преследовать, но даже и защищаться...»*⁵⁸⁰

რუსეთის იმპერიის მესვეურთა მიერ ჩატარებულმა დემოგრაფიულმა პოლიტიკამ საგრძნობი ცვლილებები გამოიწვია საქართველოს ეთნიკურ შემადგენლობაში, კერძოდ, ძალზე მნიშვნელოვანი იყო ამის შედეგი ქართველთა ხვედრით წილზე ამიერკავკასიის მოსახლეობაში. რუსეთის იმპერიაში ინკორპორაციის შედეგად, მართალია, ქართული მოსახლეობის აბსოლუტური რაოდენობა განუხრელად იზრდებოდა, ისევე როგორც იმავდროულად მსოფლიოს ერთა თითქმის აბსოლუტური უმრავლესობისა, მაგრამ მისი ხვედრითი წილი ეცემოდა. 1800 წ. მონაცემებით, ქართველები ამიერკავკასიის მოსახლეობის 43,0% შეადგენდნენ და ეს მიუხედავად რუსეთის პროტექტორატის პირობებში, 1783 წ. მომდევნო პერიოდში, მათი რიცხვის თითქმის განახევრებისა; 1832 წ. მონაცემებით, ქართული მოსახლეობის ხვედრითი წილი 38,4%-მდე დაეცა, 1865 წ. - 35,6%, 1886 წ. - 30,7%, 1897 წ. - 28,8%-მდე. ეს პროცესი XX საუკუნეში გრძელდებოდა, თუმცა 1926 წ. მონაცემებით ქართველთა პროცენტულმა რიცხვმა ამიერკავკასიის მოსახლეობაში რამდენადმე მოიმატა და 31,2% შეადგინა, როგორც ჩანს, 1917 წ. რევოლუციის შედეგად იმპერიული პოლიტიკის უქონლობისა და საქართველოს ჭეშმარიტი დამოუკიდებლობის რამდენიმეწლიანი პერიოდის არსებობის გამო, თუმცა ოცდაათიანი წლებიდან საბჭოთა იმპერიის პირობებში ისევ აღინიშნა ქართული მოსახლეობის ხვედრითი წილის შემცირების ტენდენცია: 1959 წ. - 27,3%, 1970 წ. - 25,5%⁵⁸¹. 1988 წ. მონაცემით ქართველების რიცხვი ამიერკავკასიის მოსახლეობის ოც პროცენტზე ოდნავ მეტს შეადგენდა, ხოლო ამჟამად ქართული მოსახლეობის მზარდი ემიგრაციის გამო, ალბათ კიდევ უფრო შემცირდებოდა.

მსოფლიოში არცერთი ერი არ ცხოვრობს და ვერც იცხოვრობს იზოლირებულად სხვათაგან, და ამდენად, ერის ხვედრითი მონაცემები, მისი დემოგრაფიული დინამიკა, სხვა, განსაკუთრებით მეზობელ ერთა მონაცემებთან შეფარდებით, არის ძირითადი საზომი ამა თუ იმ ერის თანამედროვე ადგილისა თუ მომავალი პერსპექტივის განმსაზღვრელი. ამ ასპექტით არ შეიძლება შემოფოთებას არ იწვევდეს ქართველი ერის ბუდი.

რუსეთის იმპერიული პოლიტიკის სტრატეგიული მიზნებისათვის, რა თქმა უნდა, დაუშვებელი იქნებოდა ცენტრალურ ამიერკავკასიაში მზარდი, სტაბილური და სიცოცხლისუნარიანი ეროვნული ორგანიზმის არსებობა, რომლის სიძლიერეც უკუპროპორციულია იქ რუსეთის ბატონობის ხარისხისა.

როგორც ჩანს, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის განმავლობაში საკმარისად იყვნენ რეალური ძალაუფლების მქონე პირები, რომელთათვისაც

⁵⁸⁰ Потто 1904, 484-489.
⁵⁸¹ გუგუშვილი 1973, 17, ცხრილი I.

სასურველი იყო ა. ლობანოვ-როსტოვსკის ლოზუნგი: „Грузия без грузин“⁵⁸². იყვნენ ისეთი „მოამბეგნიც“, რომელთაც, ნ. ბერძენიშვილის სიტყვებით, საქართველო მხოლოდ დამონებული და პოლიტიკურად მკვდარი უყვარდათ; მართლაც კლასიკურია ერთი მათგანის: „Люблю Грузию, только под властью России“.⁵⁸³

საქართველო არ ურიგდებოდა რუსეთის მიერ ანექსიას. ამის მოწმობაა 1804 და 1812 წლების აჯანყებები, 1832 წლის შეთქმულება. რ. სუნის სიტყვებით, რუსების მიერ შემოტანილი ცვლილებებისადმი წინააღმდეგობა დაიწყო მაშინათვე, როგორც კი პირველმა რუსმა ჯარისკაცმა გადმოლახა დარიალის კარიბჭე. რუსული ოკუპაციის პირველივე წლებიდანვე, ერთ ან მეორე რეგიონში მცხოვრები, თუ ერთ ან მეორე საზოგადოებრივი კლასის წევრი ქართველები წინ უღებოდნენ რუსული ძალების ქვეყანაში ყოფნას.⁵⁸⁴

ერთი წელიც არ იყო გასული რუსეთთან ქართლ-კახეთის შეერთებიდან, რომ საქართველოში იფეთქა აჯანყებამ სამეფოს აღდგენის მოთხოვნით. თითქმის XIX საუკუნის მთელი პირველი ნახევრის განმავლობაში ქვეყანაში არ წყდებოდა აჯანყებები და შეთქმულებები რუსული მმართველობის წინააღმდეგ. ადვილი არ იყო ორიათასსამასწლოვანი სახელმწიფოებრივი ტრადიციის გაუქმება, ერმა უდიდესი მორალური ტრავმა მიიღო. რუსეთის უმაღლეს კარზე საქართველოს „სრულშემძლებელი“ დესპანი, თავადი გარსევან ჭავჭავაძე 1801 წელს სანკტ-პეტერბურგიდან იწერებოდა, რომ საქართველოს გაუქმების შესახებ იმპერატორის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება მოხდა ქართველ წარმომადგენლებთან ყოველგვარი კონსულტაციების გარეშე და რომ რუსებმა არ შეასრულეს მეფე გიორგის არცერთი თხოვნა და ისე მოსპეს სამეფო და სამეფო ძალაუფლება. გარსევან ჭავჭავაძის სიტყვებით, არცერთი ქვეყანა არასოდეს არ ყოფილა ისე დამცირებული, როგორც საქართველო⁵⁸⁵. რუსეთის მმართველობისადმი კახეთის მოსახლეობის 1802 წ. 21 ივლისის მიმართვაშიც ნათქვამია, რომ არცერთ ურჯულო მტერს, რომელსაც საქართველო დაუპყრია, იმასაც კი არ გაუუქმებია არც სამეფო ძალაუფლება, არც მღვდელმთავრობა, არც თავადაზნაურობა და არც გლეხობა და მით უფრო ერთმორწმუნე რუსეთის მფარველობაში შესვლით მეფე და ერი ბუნებრივია დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მათ ღირსება და პატივი არ მოაკლდებოდათ⁵⁸⁶. სპარსეთში ბრიტანეთის ელჩის მალქოლმის შენიშვნით, თითქოს საყოველთაოდ იყო ცნობილი, რომ

⁵⁸² შტრ., Вешапели 1917, 18.

⁵⁸³ ბერძენიშვილი 1966, 342.

⁵⁸⁴ Suny 1989, 83-84.

⁵⁸⁵ იხ. Suny 1989, 59.

⁵⁸⁶ Авалов 1901, 252, прим. 1.

რეკომენდაციით, აუცილებელია ამ მოხელეების საყოველთაო გამოცხადება საქართველოდან.⁵⁹⁰

1830-32 წლების შეთქმულება იყო არა ლიბერალურ-რუსპუბლიკური, რაც ამ ხანის ევროპისათვის უფრო იქნებოდა დამახასიათებელი, არამედ უფრო მონარქისტული და იმავდროულად ნაციონალისტური. შეთქმულებს გადაწყვეტილი ჰქონიათ, გენერალ-გუბერნატორის ბარონ გრ. როზენისა და გარნიზონისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლების ტფილისში გამართულ დიდ ბალ-მასკარადზე მიწვევა და იქ მათი ამოხოცვა. ამის შემდეგ უნდა მომხდარიყო დარიალის გადასასვლელის გადაკეტვა, რათა რუსეთიდან არ შემოსულიყო ხელისუფლების დამხმარე ძალა⁵⁹¹ და მეფედ უნდა ეკურთხათ სპარსეთიდან გამოწვეული ერეკლე მეფის ძე ალექსანდრე ბატონიშვილი, რუსების ბატონობის წინააღმდეგ შეურიგებელი მებრძოლი.⁵⁹² დ. ლენგის განცხადებით, მისმა მარცხმა მთელი ეპოქა დაასრულა საქართველოს ისტორიაში. ბაგრატიონთა დინასტიის აღდგენის ყველა იმედი საბოლოოდ დაიმსხვრა.⁵⁹³ კოლუმბიის უნივერსიტეტის მიერ 1957 წელს გამოცემული დევიდ ლენგის წიგნის "ქართული მონარქიის უკანასკნელი წლები, 1658-1832 წწ." წინასიტყვაობაში აღინიშნება, რომ წიგნის დაწერის ხანაში, როდესაც ახალ და მწვავე ფაზაში შედის რუსეთის საუკუნოვანი მისწრაფება ახლო აღმოსავლეთის მიმართულებით, ისტორიული პერსპექტივის ასლებური რაკურსით წარმოდგენის თვალთახედვით აქტუალური ხდება ცარისტული რუსეთის მიერ საქართველოსა და სხვა ოდესღაც თავისუფალი კავკასიური ერების შთანთქმის გათვალისწინება და იმის ჩვენება თუ რა სარგებელი შეიძლება მოუტანოს რუსული საგარეო პოლიტიკის მესვეურთ ახლო აღმოსავლეთში არსებულმა განხეთქილებამ და დაძაბულობამ.⁵⁹⁴

⁵⁹⁰ Lang 1957, 269.

⁵⁹¹ იმ ხანის ქართულ საზოგადოებრიობას კარგად ჰქონია გააზრებული ამიერკავკასიისა და კერძოდ საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობის ხელსაყრელი სტრატეგიული მნიშვნელობა; ცნობილი მამულიშვილის, ალექსანდრე ორბელიანის 1832 წლის 18 დეკემბრის ჩვენებით, თვით 1832 წლის შეთქმულების გამცემსა და პროეკატორს თურმე ასე უღიარებდა, რომ „ამ რუსებს (საქართველოში მყოფთ - გ.ქ.) რაკო გაიფიქრანთ ველარადროს ველარ შემოგვიელენო. აქ სამი ადგილი არის შესაკერელიო, ერთი შავი ზღვაო, მეორე არაგვის მთაო, და შესამე დერბენტის ზღვაო. ესენი რომ შეიკერის ველარ შემოგვიელენო“ (გოზალიშვილი 1935, 200).

⁵⁹² იხ. Lang 1957, 280. ტახტის მემკვიდრე, გიორგი XII-ის ძე დავითი გარდაიცვალა 1819 წელს სანკტ-პეტერბურგში, ერთ-ერთი ვერსიით ამის მიზეზი უნდა ყოფილიყო ჯავრი ალექსანდრე I-ის საყვდურის გამო, რომლისთვისაც ცნობილი გამხდარა ზოგიერთი უცხოელი ელჩებისადმი დავითის მიერ გამოთქმული უკმაყოფილება საქართველოს მიმართ რუსეთის მოპყრობის გამო (Lang 1957, 279).

⁵⁹³ Lang 1962, 68-69.

⁵⁹⁴ Lang 1957, IX.

რუსული მართველობის ხანაშიც არ კარგავდა ქართული საზოგადოებრიობა სახელმწიფოებრიობის აღდგენის იმეღს. 1839 წელს პეტრე ბაგრატიონის ცხედრის გადასვენებისას, ხელმწიფე-იმპერატორს ნიკოლოზ I წერილობით და სიტყვიერად ეთხოვა, რუსეთის წინაშე სარდლის მიერ გაწეული ღვაწლის გათვალისწინებით მომხდარიყო 1783 წლის ხელშეკრულების ძალაში აღდგენა.⁵⁹⁵

⁵⁹⁵ Цагарели 1919, 13.

საქართველოს ახალი ისტორიის ზოგიერთი საკითხი

XIX ს-ის შუა ხანებში, კერძოდ, მიხეილ ვორონცოვის მმართველობის ხანაში (1844-1854 წწ.) მოხდა ცხოვრების მზარდი ევროპეზაცია. ტფილისში სახლების დაქირავება და უკანასკნელი პარიზული მოდის მიღწევა აიძულებდა თავადაზნაურობას ყოფილიყო მიმართული მოხმარებაზე და ცოტა რამ გაეკეთებინა შემოსავლების გაზრდის მხრივ. შესაბამისად, აღარ არის მოულოდნელი, რომ ვორონცოვის ადმინისტრაციის წლებში ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურობის ვალი 100 000 მანეთიდან გაიზარდა 1 800 000 მანეთამდე.⁵⁹⁶ რევოლუციამდელი ქართველი მარქსისტების თვალსაზრისით, მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა საქართველოს ქართველებისათვის დაბრუნება, როდესაც რევოლუცია ამოძირკვავდა რუსული ბიუროკრატისა და სომხური ბურჟუაზიის ორმაგ ბატონობას, ამისთვის კი საჭირო იყო, ჯერ პოლიტიკური, ხოლო შემდეგ სოციალისტური, რევოლუციების მოწყობა.⁵⁹⁷ გ. სუნის აზრით, საქართველოში პოლიტიკური გამოღვიძება და სოციალური განვითარება ხდებოდა განსაკუთრებულ მულტინაციონალურ კონტექსტში – რუსებს ეკავათ ადმინისტრაციული იერარქია, ხოლო სომხებს ეკონომიკური სიმაღლეები. ქართველები მიუხედავად იმისა, რომ ყველას ჭარბობდნენ ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში, პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლების მხრივ ყველაზე უძლურ ეროვნებას წარმოადგენდნენ.⁵⁹⁸ ავტორი, როგორც ჩანს, ვერ ითვალისწინებს, რომ ეს იყო სწორედ შედეგი დამპრობელი ძალის მიერ გატარებული კოლონიური პოლიტიკისა.

საყურადღებოა მოსაზრება, რომ ვინაიდან, XIX საუკუნის საქართველოში პოლიტიკური ძალაუფლება რუსული ბიუროკრატის ხელში აღმოჩნდა, ხოლო ეკონომიკური - სომხური ბურჟუაზიისა, მარქსიზმი გახდა ის არანაციონალისტური იდეოლოგია, რომელიც მძლავრი იარაღი გამოდგა ქართველთა ორივე ეთნიკურ მოწინააღმდეგესთან საბრძოლველად - რუსულ მმართველ კლასთან და სომხურ ბურჟუაზიასთან.⁵⁹⁹

ფ. კაზეშხაძეს აზრით, ერთი შეხედვით მეტად უცნაური ჩანს, რომ ერთი, რომელსაც მეტად მცირე მრეწველობა გააჩნდა და უმნიშვნელო რაოდენობის პროლეტარიატი, ასეთ დიდ მიდრეკილებას იჩენდა სოციალიზმის მიმართ, თუმცა მოიპოვებოდა მრავალი მიზეზი, რომელთა გამოც სოციალიზმი გახდა ყველაზე უფრო პოპულარული პოლიტიკური მიმდინარეობა საქართველოში. ქართველებს პრაქტიკულად არ გააჩნდათ ეროვ-

⁵⁹⁶ იხ. ანთელავა 1975, 12-13; Suny 1989, 74.
⁵⁹⁷ Suny 1989, 145.
⁵⁹⁸ Suny 1989, 181.
⁵⁹⁹ Suny 1989, 145.

ნული ბურჟუაზია და მის როლს აქ სომეხ ვაჭართა ფენა ასრულებდა. ვინიდან ამავე დროს კაპიტალისტი ანუ დამჭირავებელი იყო ასევე სომეხი, შესაძლებელი იყო მისი, როგორც ექსპლოატორის, ექსპლოატირებულის სახელით შეძლება. ამდენად ადვილი ხდებოდა ამ გრძობისათვის ფსევდო-ფილოსოფიური გამართლებების მოძებნა. იგივე ვრცელდებოდა რკინიგზის მესაკუთრე რუსებზე და ევროპელებზე, რომელთაც ინვესტიციები ჰქონდათ ჩადებული საქართველოს მალარობსა და ბაქოს ნავთში. გარკვეულად ეროვნული ცნობიერება ერთიანდებოდა კლასობრივ ცნობიერებასთან – ეროვნული ბრძოლა ერწყმოდა კლასობრივ ბრძოლას.⁶⁰⁰

ფ. კაზეშაძეს დაკვირვებით, ქართველ სოციალისტებს ცხარე დებატებისას შეეძლო ნაციონალიზმი, მაგრამ საფუძველში მათთვის სოციალიზმი უპირატესად იყო მათივე ნაციონალური მისწრაფებების რეალიზაციის გარანტი.⁶⁰¹ ამის ერთ-ერთი განმაპირობებელი მიზეზი, ვფიქრობთ, ისიც უნდა ყოფილიყო, რომ რუსეთი განსაკუთრებული შეუბრალებლობით ცდილობდა არა-სლავური ეროვნებების გარუსებას, რაც წინააღმდეგობას იწვევდა დაპყრობილ ერებში. დ. ლენგის სიტყვებით, განსაკუთრებით დიდი იყო გულისწყრომა ქართველთა შორის, რომლებსაც დამოუკიდებელი და მაღალგანვითარებული სამეფო გააჩნდათ ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში, როდესაც რუსთა წინაპრები გამჭოლქარიან სტეპებში მომთაბარეობით ირჩენდნენ თავს.⁶⁰² არ არის მართალი, რომ თითქოს საქართველოში განათლება კომუნისტური წეს-წყობილების სიკეთეს უნდა მიეწეროს. არაფერი რომ აღარ ვთქვათ ისტორიულად განათლებისადმი ქართველობის სწრაფვაზე, მეფის რუსეთის შემადგენლობაში მყოფი ქუთაისის გუბერნიაში გაუნათლებელ პირთა პროცენტული მაჩვენებელი ერთ-ერთი უმაღლესი იყო მთელი იმპერიის მასშტაბით.⁶⁰³

გასათვალისწინებელია ამიერკავკასიის ეთნიკური შემადგენლობის თავისებურებებიც, მაშინ როდესაც ჩრდილოეთ კავკასია გახდა უპირატესად რუსული მხარე, ამიერკავკასიაში რუსები უცხოელებად რჩებოდნენ. 1897 წლისათვის ისინი შეადგენდნენ მთელი მოსახლეობის საერთო რიცხვის მხოლოდ ხუთ პროცენტზე ოდნავ მეტს, ხოლო 1912 წელს შეიძსა და ნახევარ პროცენტს.⁶⁰⁴ ა. ცაგარელის ინფორმაციით, პირველი მსოფლიო ომიდან თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლის შემდეგ 1917 წელს ფრონტიდან

⁶⁰⁰ Kazemzadeh 1951, 12-13.
⁶⁰¹ Kazemzadeh 1951, 14.
⁶⁰² Lang 1962, 108.
⁶⁰³ Villari 1906, 68.
⁶⁰⁴ Kazemzadeh 1951, 23.



დაბრუნებული რუსი ჯარისკაცები აცხადებდნენ, რომ ისინი კავკასიაში გაჩერდებოდნენ: *"мы уходим в Россию, здесь не Россия!"*⁶⁰⁵

თუმცა რუსები არც თავისი მოსახლეობის კოლონიების ჩამოსახლებისაგან იკავებდნენ თავს და ყოველ მათთვის ხელსაყრელ შემთხვევაში ცდილობდნენ ადგილობრივი კავკასიური მოსახლეობისაგან მხარის დაცლას და არც მისი გენოციდისაგან იკავებდნენ თავს. როდესაც 1915 წელს ბათუმზე წარუმატებელი იერიშის მიმტან თურქებს ადგილობრივი მაჰმადიანი ქართველები და ლაზები მიემხრნენ, მთავარმართებელმა ვორონცოვ-დაშკოვმა დაავალა გენერალ ლიახოვს ადგილობრივი მოსახლეობის დაჭრა. ლიახოვმა თავისი ჯარით გააჩანაგა და მოსახლეობისაგან დაცალა მთელი ჭოროხის მხარე, შესართავიდან ქალაქ ართვინამდე, სადაც ადრე მოსახლე 52 000 ქართველი მაჰმადიანიდან მხოლოდ 7 000 ვადარჩა ცოცხალი.⁶⁰⁶

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ საქართველოში ახალი სახე მიიღო; ილია ჭავჭავაძისა და სხვა „თერგდალეულების“ თაოსნობით, იგი საერთო ევროპული დონის ანალოგიურ მიმდინარეობებს გაუთანაბრდა თავისი შესაძლებლობებით, საშუალებებითა და მიზნებით. XX საუკუნის დასაწყისში ქართული საზოგადოებრობა განაგრძობდა ზომების მიღებას დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენის მიზნით. 1907 წელს ქართულმა დეპუტაციამ ჰააგის სამშვიდობო კონფერენციის წინაშე დასვა რუსეთის მიერ 1801 წლის საქართველოს ანექსიის საკითხი. ნიკოლოზ II იძულებული იყო საგარეო საქმეთა მინისტრის წინაშე დაესვა შეკითხვა, თუ რის საფუძველზე მოხდა საქართველოს რუსეთთან მიერთება. ქართველი ხალხის პეტიციის განხილვას ხელი შეუშალა რუსეთის წარმომადგენელმა ნელიდოვმა იმ მიზეზით, რომ თითქოსდა იგი არსებული წესების დაცვით არ იყო ტრიბუნალის წინაშე წარდგენილი. პეტიციაში აღინიშნებოდა, რომ 1783 წლის 20 აგვისტოს ერეკლე II-ისა და ეკატერინე II-ს წარმომადგენლებმა ქალაქ გეორგიევსკში დადეს ხელშეკრულება საქართველოს რუსეთის მფარველობაში შესვლის შესახებ. ეკატერინე თავისი შთამომავლების სახელით საზეიმოდ აღიარებდა საქართველოს ავტონომიურ მმართველობას, ქართული ეკლესიის ავტოკეფალობას, ეროვნული კანონმდებლობის, სასამართლოს, ვალუტის, სამხედრო მოვალეობის ხელშეუხებლობას. აღნიშნული ხელშეკრულება იმავე წლის 30 სექტემბერს იქნა რატიფიცირებული და იგი შევიდა რუსეთის იმპერიის კანონების 21 ტომში. ხელშეკრულების 12 პარაგრაფით მისი შეცვლა მხოლოდ ორივე მხარის სურვილის არსებობის შემთხვევაში

⁶⁰⁵ Цагарели 1919, 14.
⁶⁰⁶ იხ. Lang 1962, 185.

შეიძლებოდა. 15 წლის შემდეგ ქართლ-კახეთის მეფის გიორგი XII-ის რუსეთის იმპერატორის პავლე I-ის გადაწყვეტილებით, აღმოსავლეთ საქართველო უნდა შესულიყო იმპერიის შემადგენლობაში გარკვეული ავტონომიურობის შენარჩუნებითა და ადგილობრივი სამართლის დაცვის პირობებით, მაგრამ რუსეთ-საქართველოს შორის ახალი ხელშეკრულების რატიფიცირება აღარ მოესწრო ორივე ხელშეწყობის, გიორგი XII-სა და პავლე I-ის, გარდაცვალების გამო და საქართველო რუსეთის ახალმა იმპერატორმა ალექსანდრე I-მა 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტის ძალით შეიერთა. საქართველოს ანექსირების შედეგად რუსებმა გარდა მეფობისა მაქსიმალურად შეზღუდეს ქართული ენის გამოყენება, გააუქმეს ქართული რჯული და კანონი და შემდეგ უშუალოდ დაიქვემდებარეს და ძველსავე ენაზე გადაიყვანეს ქართული ეკლესიის მღვდელმსახურება. დაიწყო აჯანყებები: 1804 წელს აჯანყდა მთიულეთი, 1812 წელს კახეთი. რუსული საბაჟო იმდენად დიდ გადასახადს ადებდა ევროპიდან შემოტანილ ნაწარმს, რომ კავკასიის მოსახლეობა იძულებული ხდებოდა შეეძინა ბევრად უფრო მდარე ხარისხის რუსული საქონელი. რუსული მმართველობის პირობებში პრაქტიკულად გამოირიცხებოდა კავკასიაში ევროპული კაპიტალის დაბანდების შესაძლებლობა. ეკლესიის შემოსავალი (დაახლ. 2 400 000 მანეთი) მთლიანად რუსეთის ცენტრალურ ხელისუფლებას გადაეცემოდა და არაფერი ხმარდებოდა ადგილობრივი საყდრების რესტავრაციას. ქართველი ახალგაზრდობა სამხედრო ბეგარას ციმბირსა და ჩრდილოეთ რუსეთში იხდიდა, სამხედრო სტატისტიკით მათგან 47% იხოცებოდა ან ავადდებოდა. ხელმომწერნი ითხოვდნენ 1783 წლის ხელშეკრულებით დადგენილი უფლებებისა და ქვეყნის მთლიანობის აღდგენას, აგრეთვე ეროვნულ ავტონომიას რუსული სახელმწიფოს ფარგლებში.⁶⁰⁷

სააპელაციო სასამართლოს წევრის, ბრიუსელის უნივერსიტეტის პროფესორის ერნესტ ნისის (Ernest Nys) 1906 წლის 24 ნოემბრის საექსპერტო დასკვნის მიხედვით, ქართველობა მოცემული მომენტისათვის იმყოფებოდა სამართლიანი აჯანყების ზღვარზე, ხოლო მათი ქვეყნის მდგომარეობა იყო რევოლუციური. რუსული მმართველობა საქართველოში მას უკანონოდ მიაჩნია, როგორც თავისი არსით, ასევე ისტორიული წარმომავლობით, ვინაიდან იგი დაფუძნებულია ვერაგობაზე, მოტყუებაზე და ღალატზე და მთელი საუკუნის განმავლობაში სასტიკი და ტირანული სახით არის განხორციელებული; მან თავი გამოიჩინა როგორც ქართული ენისა და კულტურის უღმობელმა მტერმა; ყოველგვარი კანონიერი უფლების გარეშე წვევამდელ ქართველ ახალგაზრდობას სამშობლოდან საგანგებოდ შორეულ მხარეებში აგზავნიდა, ხოლო პატრიოტებს საპატიმროებსა და სასიკვდილო

⁶⁰⁷ იხ. Tseretheli 1915, 59-65.

განაჩენებს უსჯიდა. ყოველივე ამის შემდეგ აჯანყება და რევოლუცია რომ მოვალეობად უნდა იქცეს.⁶⁰⁸

1914 წ. აგვისტოში დაწყებულმა პირველმა მსოფლიო ომმა კალიედოსკოპური სისწრაფით დააჩქარა მოვლენები, რომლებიც შემზადებული იყო დროის მსვლელობით - მსოფლიო ისტორიული განვითარების კანონზომიერებით. განსაკუთრებით დიდი ძვრებით აღინიშნება ეს ეპოქა რუსეთის, ავსტრია-უნგრეთის, ოსმანთა და გერმანიის იმპერიებისათვის, რომლებიც კიდევაც შეეწირნენ ამ ომს.

პირველი მსოფლიო ომის მსვლელობისას მიხაკო წერეთელი დახმარებისათვის მიმართ⁶⁰⁹ ცენტრალური ბლოკის სახელმწიფოებს და აღნიშნავდა, რომ საქართველო არ იყო რუსული იარაღის მიერ დაპყრობილი ქვეყანა. იგი წარმოადგენდა დამოუკიდებელ ქვეყანას, რომელიც 1783 წელს თავისი ნებითა და საერთაშორისო კანონიერი ნორმების დაცვით რუსეთის პროტექტორატს დაექვემდებარა. მაგრამ როდესაც რუსეთმა საქართველოსათვის მიცემული დაპირება არ შეასრულა, არც საქართველო თვლის თავს მოვალედ იყოს შეზღუდული აღნიშნული ხელშეკრულებისა და დე იურე თავს დამოუკიდებელ ქვეყნად მიიჩნევს, რომლის უფლებები რუსეთისაგან საზეიმოდ დადებული ხელშეკრულების გათვლითა და კანონის სრული უგულვებელყოფით დარღვეული იყო და რომელიც ყოველგვარი ომის გარეშე, ვერაგული და ძალისმიერი ანექსიის შედეგად იყო რუსულ პროვინციად გადაქცეული.⁶⁰⁹

პირველ მსოფლიო ომში საქართველომ გაეზავნა 320 ათასი კაცი, მაშინ, როდესაც იმპერიაში თავისი ხვედრითი წილისა და მობილიზაციის მასშტაბების მიხედვით უნდა გაეგზავნა მხოლოდ 160 ათასი, ანუ ორჯერ ნაკლები. ის რაოდენობა, რომელიც უნდა გაეგზავნა, დარჩა ბრძოლის ველზე⁶¹⁰; ხოლო 1921 წ. თებერვალში ბოლშევიკური რუსეთის თავდასხმის დროს, დედაქალაქის დასაცავად რამდენადმე მნიშვნელოვანი ძალის შეგროვებაც კი ვაჭირდა, ისევე როგორც 1795 წლის კრწანისის ბრძოლისას. მეორე მსოფლიო ომში საქართველოდან 750 ათასამდე მებრძოლი წავიდა. დამაფიქრებელი ფაქტია!

რუსეთის იმპერიის ნგრევის შედეგად საქართველომ 1918 წ. 26 მაისს აღიდგინა თავისი სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი და გახდა თავისუფალი ქვეყანა. გერმანელებმა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე მიაღწიეს თურქების არმიის შეტევის შეჩერებას საქართველოს წინააღმდეგ. 1918 წლის 13 ივნისს ტფილისში გამოქვეყნებული საქართველოს მთავრობის დეკლარაციით, აღინიშნა, რომ გერმანიის ჯარი ქვეყანაში

⁶⁰⁸ Tseretheli 1915, 69-71.

⁶⁰⁹ Tseretheli 1915, 38.

⁶¹⁰ Сумбатов 1919, 87.

საქართველოს მთავრობის მიერ იყო მიწვეული და მას დემოკრატიული რეჟიმის სპუბლიკის საზღვრების დაცვა ევალებოდა.⁶¹¹ ფ. კაზემზადეს აზრით, იმ ხანად ქართველებისათვის სიტყვა "გერმანელი" ნიშნავდა გადარჩენას. როდესაც გერმანელი ჯარისკაცები თავისი წვეტიანი მუზარადებით საქართველოში გამოჩნდნენ, მისმა მოსახლეობამ შვებით ამოისუნთქა. შორეულ საქართველოში საჯარისო ნაწილების გაგზავნა ნამდვილი მსხვერპლშეწირვა იყო გერმანიის უმაღლესი სარდლობის მხრიდან. ახლო აღმოსავლეთში, პალესტინის ფრონტზე უაღრესად საჭირო ეს ნაწილები, მიუხედავად ისეთი გამოცდილი ექსპერტის წინააღმდეგობისა, როგორც იყო ლიბან ფონ სანდერსი გადაადგილებული იყო კავკასიის მიმართულებით. ძირითადად ნავთობის საჭიროებამ და თურქთა არასაიმედობამ აიძულა გერმანიის სარდლობა გადაედგა ეს ნაბიჯი.⁶¹²

გერმანელებს ამიერკავკასიაში თავისი დანიშნულების საკმაოდ უფრო ფართო გაგება გააჩნდათ. კარლ კაუტსკი თვლიდა, რომ გერმანელები სამრეწველო ძალების ორგანიზებისათვის იყვნენ აქ მოსული, ვინაიდან მათ ქართული ნედლეული ესაჭიროებოდათ, განსაკუთრებით მარგანეცი და თავის მიზანს დიდი უნარით ახორციელებდნენ. გერმანელ ოფიცერთა მეგობრულმა განწყობამ და მათ მოხელეთა ეფექტურობამ გერმანული ოკუპაცია საქართველოს მოსახლეობაში საკმაოდ პოპულარული გახადა. კ. კაუტსკის სიტყვებით, საქართველო იმ მცირე რაოდენობის ქვეყნებს განეკუთვნება, სადაც ამ ომის დროს გერმანულმა არმიამ თავისი ქვეყნის ხელსაყრელი პროპაგანდა ჩაატარა. ვილჰელმ II და ლუდენდორფი იზიარებდნენ ფონ ლოსოვის იდეას, რომ გერმანიასა და საქართველოს შორის უფრო ახლო ურთიერთობა უნდა ყოფილიყო. სამეფო კარზე ადგილი ჰქონდა საუბარს, საქართველოში მონარქიის აღდგენისა და მის ტახტზე რომელიმე გერმანელი პრინცის აყვანის თაობაზე.⁶¹³

საქართველოთი გერმანიის დიდ დანტერესებას მოწმობს რუსეთთან მისი მოლაპარაკება საქართველოს საკითხზე. 1918 წლის ივლისში გერმანელები შეეცადნენ დაეყოლებინათ რუსები არ წასულიყვნენ გერმანიის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის წინააღმდეგ. თავის მთავრობასთან მოლაპარაკების შემდეგ ბერლინში საბჭოთა ელჩმა იოზეფ განაცხადა, რომ რუსეთი თანახმაა გერმანიის მიერ ამ ამიერკავკასიული რესპუბლიკის ცნობისა.⁶¹⁴ იმავე წლის 27 აგვისტოს ბერლინში ხელმოწერილი იყო ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების დანამატი, რომლის მეექვსე თავი ეხებოდა კავკასიას. აღნიშნული თავის 13 მუხლი აცხადებდა, რომ

⁶¹¹ Kazemzadeh 1951, 147.

⁶¹² იხ. Kazemzadeh 1951, 147.

⁶¹³ Kazemzadeh 1951, 148.

⁶¹⁴ Авалов 1924, 111.

რუსეთი არ ეწინააღმდეგება გერმანიის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობას, ხოლო 14 მუხლის განმარტებით გერმანია არ დაეხმარებოდა რომელიმე მესამე სახელმწიფოს საქართველოს ფარგლებს გარეთ, კავკასიაში, ჩასატარებელ შესაძლო სამხედრო ოპერაციებში.⁶¹⁵ ს. შაუმიანისადმი მიწერილ ტელეგრამაში ი. სტალინი მას განუმარტავს, რომ ზოგადად ამიერკავკასიის მიმართ საბჭოთა პოლიტიკა უნდა მიისწრაფოდეს განუმარტოს გერმანელებს, რომ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის პრობლემები განეკუთვნებიან რუსეთის შინაურ საქმეს, თუმცა იქვე დასძენდა, რომ შესაძლებელია ჩვენ საბოლოოდ ანგარიში გავუწიოთ გერმანელებს საქართველოს საკითხში, მაგრამ ასეთი დათმობა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს თუ ისინი გამოაცხადებენ თავის ჩაურევლობას სომხეთისა და აზერბაიჯანის საქმეებში.⁶¹⁶

ის გარემოება, რომ გერმანული ოკუპაცია ხელსაყრელი იყო საქართველოსთვის, თვით მენშევიკებს უღიარებიათ სოციალისტური ინტერნაციონალის ბიუროსადმი მიწერილ წერილში, სადაც აღნიშნეს, რომ 1918 წლის გაზაფხულზე შექმნილ ისტორიულ ვითარებაში გერმანია იყო ერთადერთი სახელმწიფო, რომელსაც კი შეეძლო საქართველოს ხსნა თურქული დანისაგან.⁶¹⁷ აღსანიშნავია, რომ გერმანული ჯარების შემცველი ინგლისელი ჯარისკაცები, არ იქცეოდნენ საქართველოში ისე კარგად როგორც გერმანელები.⁶¹⁸

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის ხანა, 1918 წ. მაისიდან 1921 წ. თებერვლამდე, სახელმწიფოებრივი ტრადიციის აღდგენის გარდა, იმითაც იყო უაღრესად მნიშვნელოვანი ქვეყნისათვის, რომ სწორედ ამ სამმა წელმა იხსნა ქვეყანა იმ ქაოსისა და ნგრევისაგან, რაც სამოქალაქო ომმა დაატეხა რუსეთს. ადვილად წარმოსადგენია, რა მდგომარეობაში ჩაგარდებოდა საქართველო, თუ იგი მონაწილეობას მიიღებდა „თეთრებისა“ და „წითლების“ ურთიერთანგარიშსწორებაში. დემოკრატიული საქართველოს მთავრობის მეთაური, ნოე ჟორდანი, დენიკინური თეთრი არმიისა და ინგლისის სარდლობასთან მოლაპარაკებისას, ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „*Грузия не имеет ни малейшей охоты связываться в эту борьбу*“.⁶¹⁹ იმავე ხანებში გერონტი ქიქოძე წერდა: „ქართველმა ხალხმა ნეიტრალიტეტი უნდა დაიცვას რუსეთის სამოქალაქო ომში თავდაცვის ელემენტარული პრინციპის გამო,

⁶¹⁵ Kazemzadeh 1951, 150.

⁶¹⁶ Kazemzadeh 1951, 135.

⁶¹⁷ Kazemzadeh 1951, 160.

⁶¹⁸ Kazemzadeh 1951, 172.

⁶¹⁹ Жордания 1968, 62.

ვინაიდან ჩვენი ბიოლოგიური ენერგია ასმილიონიან ხალხთან შედარებით განსაზღვრულია და ჩვენ არ შეგვიძლია ხანგრძლივი კრიზისების ატანა⁶²⁰.

ნოე ჟორდანიასა და საქართველოს დელეგაციის დენიკინელებთან და ინგლისელებთან მოლაპარაკების ძირითადი საკითხი იყო მეხადარისა და ბზიფის შუამდინარეთის სტატუსი. ეს ტერიტორია, ე.წ. გაგრის დეფილე, რომელსაც გენერალი ა. დენიკინი ომის მუქარით ითხოვდა, საქართველოს დელეგაციის მიერ განიხილებოდა, როგორც საქართველოს მთელი ტერიტორიის სტრატეგიული გასაღები⁶²¹. ინგლისელი გენერლის უოქერის აზრით, სასაზღვრო ზონაში ინგლისური პიკეტების განლაგებით შესაძლებელი გახდებოდა საქართველოზე მოხალისეთა არმიის შეტევის შეჩერება. ნ. ჟორდანიამ მიუხედავად თავისი პრაქტიკული ქმედებებისა გენერლის ოპტიმიზმი თეორიულად არ გაიზიარა; იგი ამბობდა: „Генерал, очевидно не знает русских; мы же их изучили очень хорошо. Не будучи в состоянии идти на север, добровольческая армия развивает наступление в сторону наименьшего сопротивления“⁶²². თეორეტიკული გეგმებზე აღბათ ის გარემოებაც მოწმობს, რომ მოწინავე ნაწილების შემადგენლობაში მათ ადგილობრივი სომხები ჰყოლიათ⁶²³.

ნ. ჟორდანიას შეფასებით, დემოკრატიული საქართველოს არსებობის ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში ყველაზე რთული 1919 წ. იყო - გარედან დენიკინელები უტევდნენ, ხოლო ქვეყნის შიგნით არეულობას იწვევდნენ თურქოფილები და განსაკუთრებით „ბოლშევიკები“, რომელთაც დარიალის ხეობით ჩრდილოეთიდან გადმოყავდათ დამხმარე ძალები აჯანყების მოსაწყობად. მოსკოვი, თურქეთი და თეთრგვარდიელები სხვადასხვა გზებითა და საშუალებებით, თითქოსდა ერთმანეთთან შეთანხმებით ცდილობდნენ ქვეყნის დაქცევას. ნ. ჟორდანიას თვალსაზრისით, საქართველოს ორი მეზობელი, თურქეთი და რუსეთი, იყვნენ და არიან მისი ძირითადი მტრები⁶²⁴.

გენერალმა ანტონ დენიკინმა 1919 წლის ნოემბერში წამოიწყო დამოუკიდებელი საქართველოსა და აზერბაიჯანის ბლოკადა. ა. დენიკინი შენიშნავდა, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანის მოქმედებანი მიმართული იყო არა იმდენად "ღობროარმიის", რამდენად საზოგადოდ რუსეთის წინააღმდეგ, მისი სიტყვებით: "საბოლოოდ ძირითადი, ან უფრო ერთადერთი მიზეზი კავკასიაში ბრძოლისა იყო კონფლიქტი ერთიანი რუსეთის იდეასა და ახალი კავკასიური წარმონაქმნების სრული დამოუკიდებლობის იდეას შორის, სხვა ყველაფერი იყო მხოლოდ დიდი და მცირე,

⁶²⁰ ქიქოძე 1920, 141-142.

⁶²¹ Сед 1928, 56, 60-61, 89.

⁶²² Сед 1928, 26.

⁶²³ Сед 1928, 78.

⁶²⁴ Жордания 1968, 98.

მნიშვნელოვანი ან უმნიშვნელო პრეტენსტი ამისათვის".⁶²⁵ მან განაცხადა, რომ არ დაუშვებდა რუსეთის სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის საზიანო და რუსული სახელმწიფოებრივი იდეისადმი ერთმნიშვნელოვნად მტრულად განწყობილი, ამ თვით გამოცხადებული წარმონაქმნების საკვებით მომარაგებას, რუსეთის იმ მხარეების ხარჯზე, რომლებმაც თავი დააღწიეს ბოლშევიკებს.⁶²⁶

ბრიტანელები იძულებული შეიქნენ დაეცვათ ა. დენიკინის პრეტენზიებისაგან ამიერკავკასიური რესპუბლიკების ტერიტორია, კერძოდ კავკასიაში ბრიტანეთის მთავარსარდალმა ქორეიმ, დაადგინა სადემარკაციო ხაზი, შავ ზღვაზე მდინარე ბზიფის შესართავიდან დაწყებული და კასპიის ზღვაზე ხუთი მილით ქალაქ პეტროვსკ-პორტის (თანამედროვე მაჰაჩ-ყალა) სამხრეთით, რომლის გაწლახვაც დენიკინელებს ეკრძალებოდათ. გენერალი ა. დენიკინი ყოველგვარი ხალისის გარეშე და მრავალი შემაფერხებელი გარემოებების მოხმობით იძულებული გახდა დათანხმებოდა ამ მოთხოვნას, თუმცა, რა თქმა უნდა, მას არასოდეს არ უარყვია ამიერკავკასიის დაპყრობის მისწრაფება.⁶²⁷ სწორედ ამ ხანებში გაითვითცნობიერა მოკავშირეთა უზენაესმა საბჭომ, რომ თეთრგვარდიელები უნუგემოდ იყვნენ დამარცხებული და სეროიზულად დაიწყეს ფიქრი ამიერკავკასიური რესპუბლიკებისათვის ხელის გასამართად, რომლებსაც საბჭოთა რუსეთის ექსპანსიისათვის შესაძლო ზღუდის ფუნქცია უნდა შეესრულებინათ.⁶²⁸

პირველი მსოფლიო ომის მოვების შემდეგ გამარჯვებული ქვეყნები, საფრანგეთი და ინგლისი, სიმპატიით იყვნენ განწყობილი თავისი უიღბლო მოკავშირის, რუსეთის, მიმართ და ცდილობდნენ მას დახმარებოდნენ. ევროპელთა თვალთახედვით, მეოცე საუკუნის დასაწყისისათვის რუსეთმა სხვა იმპერიებისაგან განსხვავებით, მოახერხა ყველა დაპყრობილი ტერიტორიების შემომტკიცება; ის გარემოება, რომ რუსეთი არ იყო ზღვებითა და ოკეანეებით თავისი კოლონიებისაგან დაშორებული, გარე თვალისათვის მისთვის თითქოს ბევრად უფრო ადვილს ხდიდა ამ მხარეების შთანთქმას.⁶²⁹ შესაბამისად სომხების, ქართველებისა და აზერბაიჯანელების ეროვნულმა იდეებმა, მიმართულმა რუსეთის იმპერიის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფისაკენ, დასავლეთში მხარდაჭერა ვერ ჰპოვა. პარიზსა და ლონდონში თავისი ინტერესებისათვის მოღვაწე ქართველები საგრძნობ სიძნელეებს აწყდებოდნენ. ამისთანავე, ევროპის ოფიციალურ წრეებში ფართო კონტაქტების მქონე ცარისტული რუსეთის დიპლომატები ცდას არ

⁶²⁵ Kazemzadeh 1951, 241-242.

⁶²⁶ Lang 1962, 218.

⁶²⁷ Kazemzadeh 1951, 245.

⁶²⁸ Lang 1962, 220.

⁶²⁹ Villari 1906, 15.

აკლებდნენ რათა მოეხდინათ კავკასიური სეპარატიზმი დისკრედიტაცია დასავლეთის თვალში. თუმცა ინგლისში არსებობდა ტრადიციული უნდობლობა რუსეთის მიმართ და ასევე საუკუნოვანი იმპულსი, ეფექტური ზღვარი დაედო ამ ქვეყნის ექსპანსივისათვის ახლო აღმოსავლეთის მიმართულებით. 1918 წლის დამლევისათვის საქართველოს წარმომადგენელთა აქტიურობამ დიდი ბრიტანეთის საგარეო სამინისტროში შედეგი გამოიღო, ისინი ინფორმირებული იყვნენ, რომ მისი უმაღლესობის ხელისუფლება სიმპატიით უყურებდა საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობას და მზად იყო ხელი შეეწყო მისთვის პარიზის საზავო კონფერენციაზე, რომელიც 1919 წლის 18 იანვრიდან 1920 წლის 21 იანვრამდე პერიოდულად იკრიბებოდა.⁶³⁰

ოღნავ უფრო ადრე 1918 წლის 14 დეკემბერს სომხეთი ომის გამოუცხადებლად თავს დაესხა საქართველოს; 31 დეკემბრისათვის ქართულმა ჯარმა აღადგინა კონტროლი თავის ტერიტორიაზე და მტერი ყოფილი ერევნის გუბერნიის საზღვრებისაკენ გარეკა.⁶³¹ ფ. კაზიმზადე თვლის, რომ მხოლოდ მოკავშირეთა დახმარების იმედმა გააბედინა სომხებს საქართველოზე თავდასხმა: ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ ინგლისი და საფრანგეთი არ იქნებოდნენ წინააღმდეგი დასჯილიყო ხალხი, რომელიც ომის დროს გერმანელებთან თანამშრომლობდა. მათი აზრით, დასავლეთი მათ წინაშე ვალში იყო, ვინაიდან უილიამ გლადსტონს ჰქონია ნათქვამი, რომ სომხეთის სამსახური, ცივილიზაციის სამსახური არისო. მაგრამ როგორც გამოირკვა ქართველებმა არა მხოლოდ გერმანელების გამოყენება შეძლეს თავისი ინტერესებისათვის, არამედ ანტანტიმაც. ფ. კაზიმზადეს მოჰყავს ანტონ დენიკინის სიტყვები, რომ ქართველებს ინგლისელები მიუძხრიათ, საქართველოს წინააღმდეგ სომხებისა და "დობროარმიას" შეთქმულების ვითომდა არსებობით. როგორც ირკვევა, სომხებისა და თეთრი არმიის საქართველოზე კოორდინირებული თავდასხმის შემთხვევაში ბრიტანეთი მზად იყო საქართველოსთვის დახმარება აღმოეჩინა.⁶³²

როდესაც პარიზის კონფერენცია გაიხსნა, ყველა დამსწრეს გულითადი სიმპატია სომეხთა მხარეს იყო, მაშინ როდესაც ქართველებს, როგორც გერმანელთა ყოფილ ფავორიტებს რამდენადმე ცივად შეხვდნენ. მიუხედავად ამისა, სომეხთა მძინარებამ მალევე დააკარგინა მათ გავლენიანი მეგობრები, მაშინ როდესაც ქართველთა მომხიბვლელობამ და შეუცდომელმა ტაქტმა სასურველი შთაბეჭდილება მოახდინა.⁶³³ სომხებმა პარიზის კონფერენციაზე მოითხოვეს მათ გადასცემოდათ შვიდი თურქული

⁶³⁰ Kazemzadeh 1951, 169.

⁶³¹ იხ. Hovannisian 1971, 111-113, 118-119.

⁶³² Kazemzadeh 1951, 181.

⁶³³ Lang 1962, 219-220.

ვილაიეთი, ოთხი სანჯაყი კილიკიაში, საქართველოს დიდი ნაწილი⁶³⁴ თუმითურთ და თბილისის გუბერნიის ნაწილებით.

ფ. კაზიმზადეს აზრით, პარიზის საზავო კონფერენციაზე ტერიტორიულ საკითხებთან დაკავშირებით სომხეთისა და საქართველოს კინკლაობამ დაარწმუნა მონაწილენი ანგარიში აღარ გაეწიათ მათთვის და ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგეებს შესანიშნავი მასალა ჩაუგდეს ხელთ იმის სამტკიცებლად, რომ სომხეთის, საქართველოსა და აზერბაიჯანის მმართველ დაშნაეებს, მენშევიკებსა და მუსავატისტებს ხელთ არ ეწიფებოდათ წესრიგის შენარჩუნებისა და თავიანთი ხალხების მშვიდობიანი თანაარსებობის გარანტიებლად ყოფნა და შესაბამისად გაჩნდა ეჭვი, რომ ამ ქვეყნებს არ შეეძლოთ საკუთარი ძალებით ფეხზე დგომა.⁶³⁵ ბათუმისათვის დავამ ამიერკავკასიის რესპუბლიკები წარმოაჩინა მეტად არასახარბიელო შუქში. მოკავშირეთა უზენაეს საბჭოს მოხსენდა, რომ ვინაიდან ამ რესპუბლიკებს არ შეუძლიათ ერთმანეთთან შეთანხმება, არ უნდა მოველოდეთ, რომ ისინი მოახერხებენ შეასრულონ რაიმე სასარგებლო როლი ბოლშევიკური რუსეთის წინააღმდეგ განსახორციელებელ თავდაცვით სისტემაში. ამით ლორდ ქერზონის კავკასიურმა პოლიტიკამ განიცადა მთავარი მარცხი, ლოიდ ჯორჯის ცუდათ დაფარული საზეიმო განწყობის სასარგებლოთ, რომელიც ძალზე მოხარული იყო მოეცილებინა ქერზონისა და ჩერჩილის რუსეთში ინტერვენციის პოლიტიკა და მიეღწია შეთანხმებისათვის კომუნისტურ რუსეთთან და ამით გაეუმჯობესებინა ომის შემდგომი ბრიტანეთის ეკონომიკის დაძაბული მდგომარეობა. მითუმეტეს, რომ რუსების მიერ ბაქოს ალების შემდეგ ბათუმის დაცვას აზრი აღარ ჰქონდა, სულ ერთია ბაქობათუმის ნავთობსადენით ნავთი ევროპისაკენ აღარ წამოვიდოდა.⁶³⁶

შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ერთა ლიგაში 1920 წლის 16 დეკემბერს გამართულ კენჭისყრისას, საქართველოს მიღების წინააღმდეგები სხვებთან ერთად იყვნენ ინგლისი, კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია, ინდოეთი და საფრანგეთი.⁶³⁷

რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველო წარმატებით ახერხებდა მტერთან გამკლავებას. საქართველოს ჯარების მთავარსარდალი გ. კვინიკაძე მიიჩნევდა, რომ რუსეთის იმპერიაში შემავალ ერთა შორის, ქართველებს ჰყავდათ ოფიცერთა შემადგენლობის ყველაზე მაღალი პროცენტი და რომ ეს ოფიცრები, ისევე როგორც ქართველი ჯარისკაცები, საუკეთესო მხრით იყვნენ გამოჩენილნი რუსეთის არმიაში და დიდი გამოცდილებაც ჰქონდათ

⁶³⁴ Lang 1962, 219.

⁶³⁵ Kazemzadeh 1951, 183.

⁶³⁶ Lang 1962, 222, 231.

⁶³⁷ Lang 1962, 223.



მიღებული, როგორც მშვიდობიან, ისე საბრძოლო ვითარებაში⁶³⁸. გ. კვინიკაძის თვალსაზრისით, მით უფრო უცნაურია ის ფაქტი, რომ საქართველო ბოლშევიკური რუსეთის ტალღამ, ხოლო სხვა, ასევე მცირე ზომის, სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები განაგრძობდნენ არსებობას. საქართველოს მთავარსარდლის შეფასებით: „*Все эти образования ни в коем случае не обладали теми благоприятными данными какими обладали мы. Кроме того нас отделял от России Кавказский хребет и такого помощника не было ни у Польши, ни у Латвии и Финляндии*“⁶³⁹.

ის გარემოება, რომ საქართველოს ჩამოშორება რუსეთისაგან ხანგრძლივი არ გამოდგა, უნდა აიხსნას ბოლშევიკური რუსეთის მისწრაფებით, ჰქონოდა კავკასიონის ბუნებრივი ბარიერის გადაღმა არსებული პლაცდარმი, ოღონდ ამჟამად უკვე კომუნისტური იდეოლოგიის გასავრცელებლად. ამიერკავკასიაში რუსეთის შეღწევა თანდათანობით და მეთოდური იყო. ჯერ კიდევ 1920 წ. 7 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის „ცნობის“ სანაცვლოდ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ხელი მოაწერა „მეგობრობის“ ხელშეკრულებას რუსეთის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობასთან. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ კომუნისტურ რუსეთსა და დემოკრატიულ საქართველოს შორის 1920 წლის 7 მაისის მოსკოვში დადებული ხელშეკრულების თანახმად, საზღვრის მთელი გაყოლება მდ. ფსოლდან მთა აჩახჩამდე 1922 წლის 1 იანვრამდე ცხადდებოდა ნეიტრალურად და ორივე მხარეს ეკრძალებოდა საზღვარზე ჯარის ყოლა ანდა მისი გამაგრება, ფაქტიურად იგულისხმება, რომ საქართველოს, ვინაიდან ძნელი წარმოსადგენია ეს უკანასკნელი თავს დასხმოდა რუსეთს. ამ გარემოებას ისიც ადასტურებს, რომ დარიალის უღელტეხილის შემთხვევაში ნეიტრალურად იყო გამოცხადებული მონაკვეთი დარიალიდან კობამდე, ხოლო მამისონის – ზარამაგიდან ონამდე. სხვა გადასასვლელებთან მიმართებაში ნეიტრალურად იყო მიჩნეული ხუთვერსიანი სექტორი თანაბრად საზღვრის ორივე მხარიდან. ეს უკანასკნელი ცხადია შედარებით ნაკლებად იყვნენ გამოყენებული და მცირე სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდათ.⁶⁴⁰

მიუხედავად კრემლის "აღმოსავლეთის ფანატიკოსების" მიერ თავისი დეკლარირებული სიძულვილისა, ნოე ჟორდანიამ გონივრულად მიიჩნია, წამოეწყო საიდუმლო მოლაპარაკებები მოსკოვთან საქართველოს ცნობის მოთხოვნით.⁶⁴¹ ამის სანაცვლოდ რუსეთმა მოითხოვა, საქართველოს ოფიციალურად განეცხადებინა, რომ იგი არ შემოუშვებდა

⁶³⁸ Квиникадзе 1985, 14-15.
⁶³⁹ Квиникадзе 1985, 16.
⁶⁴⁰ იხ. Мирный..., 28.
⁶⁴¹ Lang 1962, 225.

რუსეთისადმი მტრულად განწყობილ ქვეყანათა სამხედრო ნაწილებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, ეს წინადადება საქართველოს ნაციონალური სუვერენიტეტის შეზღავდ მიიჩნია და უარი განაცხადა, მაგრამ ჟორდანია იმდენად იყო მოწადინებული მიეღო ყველა წამყვანი სახელმწიფოსაგან საქართველოს დე ფურე ცნობა, რომ გადასძალა თავისივე მინისტრის წინააღმდეგობა და თანხმობა განაცხადა. ხელშეკრულების ხელმოწერა შედგა მოსკოვში 1920 წლის 7 მაისს. ხელშეკრულების თანახმად საქართველომ კიდევ უფრო დიდი მსხვერპლი გაიღო, მან დაუშვა ქვეყანაში კომუნისტური პარტიის არსებობა და შეუზღულავი ფუნქციონირება და დათანხმდა დაუცველად დაეტოვებინა კავკასიონის გადასასვლელი, მათ შორის დარიალი.⁶⁴² ამ შეთანხმებით საქართველომ ფაქტიურად პირობა დადო გაემეკებინა მოკავშირეები თავისი ტერიტორიიდან და ამას კიდევაც მოჰყვა ინგლისელების მიერ ბათუმის დატოვება. 1920 წლის 7 ივლისს ინგლისელები ბათუმში ქართველებმა შეცვალეს. ისინი ზეიმობდნენ ინგლისელი იმპერიალისტების განდევნას და ანგარიშს არ უწევდნენ იმ გარემოებას, რომ მათ უკვე ბევრად უფრო ძლიერი და დაუნდობელი მტერი უახლოვდებოდა.⁶⁴³

მართებული ჩანს იმ ისტორიკოსების აზრი, რომლებიც შენიშნავენ, რომ თუ, ერთის მხრივ, რუსეთთან სამშვიდობო და სამოკავშირეო ხელშეკრულების დადებას განამტკიცა საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო ერთეულის საერთაშორისო ავტორიტეტი, მეორეს მხრივ, მანვე შექმნა ხელსაყრელი პირობები რუსეთის მიერ საქართველოს დასაპყრობლად და რომ ასეთი შედეგებით 1920 წ. ხელშეკრულება ჩამოგავდა 1783 წ. გეორგიევსკის ტრაქტატს, როდესაც რუსეთის მფარველობაში შესვლით საქართველო თვით სთავაზობდა მას პლაცდარმს საქართველოში და კავკასიაში გასაბატონებლად⁶⁴⁴. ეს კი საქართველოს არსებობას რეგიონში ზედმეტს ხდიდა. დ. ლენგის დაკვირვებით, როგორც ხელშეკრულების დებულებების მხრივ, ასევე თავისი შედეგებით, რუსეთ-საქართველოს 1920 წლის ხელშეკრულება უეჭველად წარმოადგენს საოცარ მსგავსებას 1783 წელს ეკატერინე II-სა და ერეკლე II-ს მიერ დადებულ ხელშეკრულებასთან, რომელიც გამოდგა საქართველოს სრული ანექსიის პრელუდია. მიუხედავად ამისა, ვარაუდის გამოთქმა, რომ 1920 წლის ხელშეკრულებაც ასეთივე შედეგით დამთავრდებოდა, ძნელად ვინმეს თუ შეეძლო მაშინ, როდესაც ხელმოწერა შედგა.⁶⁴⁵ დ. ლენგი თვლიდა, რომ 1920 წლის 7 მაისის რუსეთ-

⁶⁴² შდრ., Lang 1962, 226.

⁶⁴³ Lang 1962, 219.

⁶⁴⁴ სურგულაძე, სურგულაძე 1991, 225.

⁶⁴⁵ Lang 1962, 226.

საქართველოს ხელშეკრულება მხოლოდ ტაქტიკური მანევრი იყო, იმავე წლის ნოემბერში ი. სტალინი აცხადებდა, რომ საქართველო გადაიქცა ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალისტური ოპერაციების ძირითად ბაზად და ამდენად აღმოჩნდა მტრულ დაპირისპირებაში საბჭოთა რუსეთთან; მისი სიტყვებით: "საქართველო ამჟამად ითვლის თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს". დ. ლენგის შეფასებით, ქართველი სტალინი იყო ის პიროვნება ვინც მომაკვდინებელი დარტყმა მიაყენა დამოუკიდებელ საქართველოს.⁶⁴⁶ ცხადია სტალინს ეს რომ არ ჩაედინა, იგი ვერასდროს განდებოდა პარტიის გენერალური მდივანი და ამდენად რუსეთის ხელისუფალი, ვინაიდან დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის პირობებში იგი იქნებოდა რუსეთში მცხოვრები სხვა ქვეყნიდან ლტოლვილი ემიგრანტი.

1920 ხელშეკრულებით საქართველომ თანხმობა განაცხადა ყველა უცხოური სამხედრო ძალის გაყვანაზე მისი ტერიტორიიდან და საქართველოს ბოლშევიკური პარტიის ლეგალიზაციაზე⁶⁴⁷. ხელშეკრულების დადებისთანავე ციხიდან გამოშვებულმა ბოლშევიკებმა დაიწყეს აქტიური პროპაგანდა გვარდიაში, გლეხების ფართო მასებში, რისთვისაც გულუხვად იყენებდნენ საზღვარგარეთიდან შემოტანილი ფულის დიდძალ მასას, და ყველაფერს აკეთებდნენ საქართველოში არსებული ხელისუფლების ჩამოსაგდებად.⁶⁴⁸ უკვე, ერთი თვის შემდეგ, 1920 წელს ვლადიკავკაზში ბოლშევიკთა რევიონალურმა კომიტეტმა ჩამოაყალიბა და შეიარაღა ოსური ჯარი, რომელსაც იმავე წლის ივნისში ევალებოდა საქართველოს საზღვრის გადაკვეთა, ქართული სასაზღვრო ნაწილების განდევნა და „სამხრეთ ოსეთის“ დაკავება. საქართველოს მთავრობა მზად იყო მოვლენათა ასეთი განვითარებისათვის და რევიონში საკმაო ძალის სამხედრო შენაერთები გაგზავნა. ამ საკითხთან დაკავშირებით ფ. კაზიმზადეს მოჰყავს სახალხო გვარდიის უფროსის ვალიკო ჯუღელის დღიურიდან ამონარიდი, რომ "ოსი ნაციონალისტები არიან ჩვენი ყველაზე უარესი და ყველაზე მოუსვენარი მტრები... ჯერ ისინი ეხმარებოდნენ დენიკინს და ახლა ბოლშევიკებთან ერთად არიან. ეს რამდენიმე ათასი მეამბოხე შეუბრალებლად უნდა დაისაჯოს. სხვა ვა არ არის".⁶⁴⁹ ფ. კაზიმზადეს აზრით, ეს აჯანყება რამდენადმე გაუგებარი ჩანს, ვინაიდან მენშევიკების დროს გლეხები უკეთ გრძნობდნენ თავს, ვიდრე ოდესმე მანამდე.⁶⁵⁰

⁶⁴⁶ Lang 1962, 237.

⁶⁴⁷ რუსეთ-საქართველოს 1920 წ. 7 მაისის ხელშეკრულება, იხ. სურგულაძე, სურგულაძე 1991, 336-345.

⁶⁴⁸ Lang 1962, 227.

⁶⁴⁹ Джугели 1920, 229; Kazemzadeh 1951, 192.

⁶⁵⁰ Kazemzadeh 1951, 192.

1920 წ. ივნისში, შიდა ქართლში, ჯაეისა და როკის მხარის სოფლებში დაიწყო ბოლშევიკური ამბოხი, რომლის შესახებაც 1921 წ. „სახალხო საქმის“ საახალწლო გამოშვება აღნიშნავდა: „საქართველო დემოკრატიული ქვეყანაა, იგი მცირე ერებსაც შესაფერისი პატივისცემით მოეპყრობა, მაგრამ ჩრდილოეთის კარებს ვერავის გაუღებს და კარების დარაჯად ორგულთ ვერ დააყენებს. ეს უნდა შეივნიონ ყველა მათ, ვინც ერთა თვითგამორკვევის სახელით ჯაეის ხეობის ცალკე სახელმწიფოდ გამოცხადების მომზრედ გამოდიოდა. ნაწილი უნდა ემორჩილებოდეს მთელს და ეს უკანასკნელი ვერასოდეს ვერ გასწირავს თავს უმცირესობის საამებლად“⁶⁵¹.

როგორც ირკვევა, მხოლოდ საკუთარი ადამიანური და მატერიალური რესურსებით საქართველოს „ბოლშევიკებს“ სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა არ შეუძლოთ, ისინი უფრო უცხო სახელმწიფოს „მეხუთე კოლონას“ წარმოადგენდნენ ვიდრე ერის შემადგენელ ნაწილს. საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები, იმხანად, ბრიტანეთის ხმელთაშუაზღვის რეგიონში მყოფი სამხედრო ძალების მთავარსარდლის მოხსენების თანახმად, თითქმის მთლიანად რუსებისა და სომხებისაგან შედგებოდნენ⁶⁵². საქართველოში ბოლშევიკური ორგანიზაციების სისუსტეზე მიუთითებს თუნდაც ის გარემოება, რომ იოსებ ჯულაშვილსა და მის მეგობრებს სტოკპოლმის 1906 წლის რუსეთის სოციალ-დემოკრატთა პარტიულ კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად ჩატანილი ჰქონიათ მანდატები ბორჩალოს მაზრისა, სადაც სინამდვილეში არავითარი პარტიული ორგანიზაციები არ არსებულა და, შესაბამისად, სამანდატო კომისიამ მათი მანდატები არ სცნო⁶⁵³.

სამაგიეროდ, რუსეთის სოციალ-დემოკრატთა შორის დიდ ძალას ქართველი „მენშევიკები“ წარმოადგენდნენ, რასაც რუსი „ბოლშევიკები“, რომლებიც ამ პარტიის მართლაც დიდ უმრავლესობას შეადგენდნენ, ვერ მოიწონებდნენ. ლევ ტროცკისაც და ბოლშევიკებსაც გარკვეულად ეშინოდათ კარლო ჩხეიძეს, ირაკლი წერეთლისა და ნოე ჟორდანიასი, რომელთაც ისინი დამცინავად ნათლავდნენ "ქართულ ჟირონდად" და ადანაშაულებდნენ პარტიულ ორგანიზაციებში დომინირების სურვილში და რუსული რევოლუციის დამახინჯების ცდაში, ისინი მათი აზრით, თავს ახვევდნენ რუს თანაპარტიელებს თავის საკუთარ პროვინციულ ინტერესებსა და იდეოლოგიას.⁶⁵⁴ დამახასიათებელია ამ მხრივ 1907 წლის ლონდონის პარტიულ ყრილობაზე საქართველოდან 29 „მენშევიკის“ ჩასვლასთან

⁶⁵¹ გაზ. „სახალხო საქმე“, 1921 წ., I იანვარი.

⁶⁵² British Foreign Office 371, V. 6272 E 3389, იხ. Hirsch 1973, 91.

⁶⁵³ Жордания 1968, 47.

⁶⁵⁴ Lang 1962, 196.

დაკავშირებით ვ. ლენინის მიერ ნ. ჟორდანიასათვის ნათქვამი სიტყვები: „Грузины, не вмешивайтесь в наши дела. Вы не знакомы с нашим народом, с его психологией, с его жизнью и бытом. И почему вы мешаете нам уладить наши дела по-русский. Получите автономию и делайте в Грузии что хотите, мы не будем вмешиваться и вы не вмешивайтесь в наши дела“.⁶⁵⁵ „მენშევიკთა“ მიერ „რუსული საქმის“ ერთგულება დიდხანს არ გაგრძელებულა, დ. ლენგი შენიშნავს, რომ ფაქტიურად ირონიით იყო აღსავსე გარემოებების ძალით სოციალ-დემოკრატიის ქართველი ლიდერების შოვინისტური მხურვალუბის მქონე შეუდრეკელ ნაციონალიზტებად ტრანსფორმაციის დანახვა, რომლებიც მანამდე, თვით 1918 წლამდე ილწვოდნენ ერთიან და განუყოფელ რუსეთში დემოკრატიული სოციალიზმის ტრიუმფისათვის.⁶⁵⁶

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ და ოციანი წლების დასაწყისში დაპირისპირება ქართველ „ბოლშევიკებსა“ და „მენშევიკებს“ შორის, სერგო ორჯონიკიძის შეხედულებით, გამოწვეული იყო მათი განხევავებული პოლიტიკური ორიენტაციით, რაც, თავის მხრივ, იმ ხანად არსებული მსოფლიო ძალთა დაპირისპირებით იყო განპირობებული; თუ „ბოლშევიკები“ კაკასიიდან რევოლუციური იდეებისა და თვით რევოლუციის „ექსპორტს“ ლამობდნენ ინდოეთისაკენ და საზოგადოდ მთელ აღმოსავლეთში, „მენშევიკები“ ორი ზღვით გარემოცულ კავკასიონის მასივს განიხილავენ როგორც ინგლისელთათვის საჭირო მძლავრ საყრდენს, ბურჯს, რომელიც სამუდამოდ გზას გადაუკეტავდა რუსეთს მესოპოტამიისა და ინდოეთის ოკეანისაკენ და დასავლეთის ფლანგიდან საფრთხეს შეუქმნიდა იმიერკასპიისპირეთსა და თურქესტანში გამავალ რუსეთის კომუნიკაციებს ინდოეთის მიმართულებით ანუ სთავაზობდნენ ინგლისს უმოკლეს და ყველაზე ხელსაყრელ გზებს ევროპიდან შუა აზიისა და სპარსეთის მიმართულებით და საუკეთესო ბაზას სპარსეთზე და განსაკუთრებით თურქეთზე ეფექტური ზემოქმედებისათვის⁶⁵⁷. აღსანიშნავია, რომ თუ „ბოლშევიკები“ „მენშევიკებს“ რეაქციონერებად და იმპერიალიზმის აგენტებად მიიჩნევდნენ, ნაციონალიზტები მათ ბოლშევიზმის წინამორბედებად თვლიდნენ.⁶⁵⁸

ს. ორჯონიკიძის შემომოყვანილ შეხედულებაში, როგორც ჩანს, ასახულია ბოლშევიკური რუსეთის შიში, საქართველოს ინგლისური ორიენტაციის შესაძლო შედეგების გამო და ეს ალბათ უნდა ყოფილიყო ძირითადი მასტიმულირებელი ფაქტორი რუსეთისათვის საქართველოსთან 1920 წ. 7 მაისის ხელშეკრულების დადებისა. ამ ხელშეკრულებას ზ.

⁶⁵⁵ Жордания 1968, 53.

⁶⁵⁶ Lang 1962, 211.

⁶⁵⁷ Тифлисская... 1923, 141-142.

⁶⁵⁸ Lang 1962, 210.



ავალიშვილი სამართლიანად უწოდებდა „ვეროპული ორიენტაციის“ დასასრულს საქართველოს საგარეო პოლიტიკაში⁶⁵⁹. ავსტრიელი სპეციალისტის ე. მ. ჰირშის განცხადებითაც, მიუხედავად, ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოსკოვის მიერ საქართველოს *expressis verbis* ცნობისა, დადებული ხელშეკრულება უნდა იყოს განხილული როგორც ამკარა ნიშანი საქართველოს დასასრულის დასაწყისისა⁶⁶⁰.

აღსანიშნავია, რომ უკვე 1920 წლის შემოდგომაზე, რუსეთმა რამდენჯერმე გააპროტესტა, ვითომდა საქართველოს სამხედრო ძალების მზარდი აღმშენებლობა, რაც, მისი განცხადებით, საფრთხეს უქმნიდა ამ ქვეყანას.⁶⁶¹ არადა სინამდვილეში ადგილი ჰქონდა რუსული წითელი არმიის აქტიურობას საქართველოს საზღვრებთან. ლოიდ ჯორჯისაგან შეგულიანებულმა კრემლმა აღარაფრად ჩააგდო ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მდივნის ლორდ ქერზონის ტელეგრამა, რომელიც პროტესტს გამოთქვამდა საქართველოს საზღვართან რუსული ჯარების მობილიზაციის გამო. ჩიჩერინმა უპასუხა, რომ „საბჭოთა რუსეთს არასოდეს ჩაუდენია და არც მომავალში ჩაიდენს რაიმე მტრულ ქმედებას საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ“. ქერზონი იძულებული გახდა დაკმაყოფილებულიყო ამ „გარანტიებით“.⁶⁶²

1920 წლის ნოემბერში ყირიმში ვრანგელის დამარცხების შემდეგ წითელი არმიის ძალები გადასროლილი იყო კავკასიის ფრონტზე. ა. გეკერი, მეთერთმეტე არმიის მეთაური, დეკემბერში აწვდის მოსკოვს საქართველოს სამხედრო დაპყრობის პერსპექტივების საილუმლო შეფასებას. იგი შენიშნავს, რომ უპირველეს ყოვლისა საჭიროა მიღწეული იყოს აღმოსავლეთ ანატოლიაში განთავსებული თურქეთის ჯარების მმართველის კაზიმ კარაბეკირ ფაშას კეთილგანწყობილი ნეიტრალიტეტი. შეტევა საქართველოზე, მისი რეკომენდაციით, გარდა აზერბაიჯანის ტერიტორიისა უნდა განხორციელდეს შავიზღვისპირეთში სოჭის სექტორიდან, აგრეთვე ცენტრალური კავკასიონის გადმოლახვით ვლადიკავკაზ-დარიალის გადასასვლელის მხრიდან. გეკერი განსაკუთრებულად ხაზს უსვამდა შეტევის დაწყებამდე ანკარის ქმედისტებთან ურთიერთგაგების მიღწევის აუცილებლობას, რომელთანაც კრემლს უკვე კარგა ხანია მეგობრული ურთიერთობები ჰქონდა დამყარებული.⁶⁶³ აღსანიშნავია, რომ თბილისის დაცემამდე ორი დღით ადრე, 1921 წლის 23 თებერვალს, ანკარის ხელისუფლებასთან და მოსკოვთან ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ, კაზიმ

⁶⁵⁹ Авалов 1924, 287.

⁶⁶⁰ Hirsch 1973, 98.

⁶⁶¹ Lang 1962, 232.

⁶⁶² Lang 1962, 231.

⁶⁶³ Lang 1962, 233.

კარაბეჯიმა გამოაქვეყნა ულტიმატუმი, რომლითაც საქართველოს სთხოვა არტანისა და ართვინის დაცლა.⁶⁶⁴

მიუხედავად იმისა, რომ 1920 წლის ზაფხულ-შემოდგომაზე რუსეთი და თურქეთი ძირითადი მოთამაშეები უყვნენ კავკასიის სცენაზე, საქართველოს მთავრობის პრიორიტეტი ისევ დასავლეთის ქვეყნებთან ურთიერთობა წარმოადგენდა და შედეგმაც არ დააყოვნა, 1921 წლის 27 იანვარს საქართველომ მიიღო მოკავშირე სახელმწიფოების დე ჟურე ცნობა, წითელი არმიის მიერ მისი გადათელვიდან რამდენიმე კვირით უფრო ადრე.⁶⁶⁵ ამასთან დაკავშირებით 7 თებერვალს თბილისში გაიმართა დიდი ბანკეტი. რუსეთის ელჩმა შაინემანმა მეორე დღეს პრესაში გააკეთა განცხადება, რომ რუსეთი მოხარულია დასავლეთის ქვეყნების მიერ საქართველოს ცნობის და გამოთქვა რუსეთის ერთადერთი სურვილი საქართველოსთან ჰქონოდა მშვიდობიანი და მეგობრული მეზობლობა. ამ დროისათვის მეთერთმეტი წითელი არმია სრულ მზადყოფნაში იყო საქართველოზე შესატყვევად.⁶⁶⁶ აგრეთვე, საქართველო, ამ დროისათვის ბოლშევიკური რუსეთის მიერ დაპყრობას გადარჩენილი ერთადერთი ამიერკავკასიული რესპუბლიკა, მოესწრო დიპლომატიურ ტრიუმფს – მოკავშირეთა პარიზის კონფერენციის მონაწილე ქვეყნების მიერ მის დე ჟურე ცნობას. ერთი თვის შემდეგ, 1921 წლის 25 თებერვალს, აკაკი ჩხენკელმა, საქართველოს პირველმა მინისტრმა, თავისი სრულუფლებიანობის მანდატი გადასცა საფრანგეთის პრეზიდენტს. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ იმავე დღეს რუსული სამხედრო ნაწილები შედიოდნენ ქვეყნის დედაქალაქში ტფილისში...⁶⁶⁷

როდესაც წითელი არმია ომის გამოუცხადებლად საქართველოს თავს დაესხა, რუსეთის ელჩი შაინემანი აცხადებდა, რომ რუსეთი არავითარ სამხედრო გადაადგილებებს არ მიმართავს ამ რეგიონში და თვლიდა, რომ ადგილი უნდა ჰქონოდა სომეხ კომუნისტთა სპონტანურ გამოსვლებს. როდესაც საქართველოს მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა და წითელმა არმიამ სომხეთ-აზერბაიჯანის მხრიდან შემოტევის გარდა, საზღვრები გადმოლახა შავი ზღვის რეგიონში, სოხუმის მიმართულებით და დარიალისა და მამისონის უღელტეხილები,⁶⁶⁸ საგარეო საქმეთა საბჭოთა კომისარმა გამოაქვეყნა მთელი სერია განცხადებებისა, რომლებშიც უარყოფდა ყოველგვარ ინფორმაციის არსებობას საქართველოს ჯარსა და წითელ არმიას ბრძოლების შესახებ და მზადყოფნასა და სურვილს გამოთქამდა მონაწილეობა მიეღო საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის

⁶⁶⁴ Lang 1962, 234.

⁶⁶⁵ Lang 1962, 230.

⁶⁶⁶ Lang 1962, 231.

⁶⁶⁷ იხ. Kazemzadeh 1951, 275.

შესაძლო შინაგანი დისპუტების აღმოცენების შემთხვევაში სიტუაციის დასარეგულირებლად.⁶⁶⁸

1921 წ. 25 თებერვალს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით, მართლაც, „ხელშეკრული“, გარე სამყაროსაგან იზოლირებული და ამის შედეგად დამარცხებული საქართველოს რესპუბლიკის დედაქალაქი, თბილისი, სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ რუსეთის XI წითელი არმიის მიერ იყო აღებული.

მომხდარის გამო ერთა ლიგამ პროტესტი გამოთქვა. ძალზე წუხნენ საქართველოს ბელზე დასავლეთეუროპელი სოციალისტები და ემიგრაციაში მყოფი რუსი „მენშევიკები“ საქართველოს მოსკოვის იმპერიალიზმის მსხვერპლად მიიჩნევდნენ: აღინიშნებოდა რომ „ბოლშევიკებმა“ მეფის რუსეთის კავკასიური პოლიტიკა აღადგინეს და რომ ამ აქტით აშკარა ხდებოდა რუსეთის მისწრაფება ახლო აღმოსავლეთში ჰეგემონიისაკენ⁶⁶⁹.

გენერალი გ. კვინიკაძე რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის ძირითად მიზეზად ბაქოს ნავთის საკითხს მიიჩნევს. მისი აზრით, საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი რკინიგზის, ნავთსადენისა და ნავთსადენის ტერმინალის - ბათუმის - ხელში ჩაგდების გარეშე საბჭოთა რუსეთი ვერ გამოაყენებდა ბაქოს ნავთს და შესაბამისად არც სხვა სახელმწიფოებს ექნებოდათ სტიმული მასთან ხელშეკრულებების დადებისა⁶⁷⁰. ზ. აუალიშვილიც იუწყება, რომ 1920 წელს საბჭოთა წარმომადგენლის ლ. კრასინის ლონდონში მოლაპარაკებისას, ცხადი გახდა, რომ ბაქოს ნავთი, რომელსაც მაშინ უკვე საბჭოთა რუსეთი განაგებდა, ძალზე უფასურდებოდა რუსეთისათვის ნავთსადენის მნიშვნელოვანი ნაწილისა და ბათუმის დამოუკიდებელი საქართველოს ფარგლებში მოქცევის გამო⁶⁷¹ და ნავთობსადენის ქართულ სექტორზე სრული რუსული კონტროლის გარეშე, შეთახმებას აზრი ეკარგებოდა.⁶⁷² მენშევიკებს ძვირი დაუჯდათ ბათუმში 1920 წლის 7 ივლისის ზეიმი. საქართველოს პურობა, რომელიც ამიერკავკასიის დასაუფლებლად გასაღებს წარმოადგენდა, გ. კვინიკაძის მიხედვით, ამავრება რუსეთის მდგომარეობას, ვინაიდან თავისუფალი საქართველოს არსებობა დაპურობილი აზერბაიჯანისა და სომხეთის მოსახლეობისათვის ძლიერი ფსიქოლოგიური სტიმული იყო განმათავისუფლებელი მოძრაობის გასაჩაღებლად⁶⁷³. საკუთრივ რუსეთში, როგორც „წითელი“ მთავრობის მიერ კაპიტალისტური ანტიანტიის წინააღმდეგ ამხედრებული მუშურ-გლეხური

⁶⁶⁸ Lang 1962, 234.

⁶⁶⁹ Hirsch 1973, 120.

⁶⁷⁰ Квиникадзе 1985, 349.

⁶⁷¹ Авалов 1924, 310-311.

⁶⁷² Lang 1962, 231.

⁶⁷³ Квиникадзе 1985, 349.



მასები, ასევე რუსი „ველიკოდერჟავნიკები“, მხურვალედ უჭერდნენ მხარს საქართველოს დაპყრობას, როგორც, რუსეთის განუყოფელი ნაწილისას, რომელიც იმხანად რუსეთის მტრებთან იყო დაკავშირებული და რომლის მუშები და გლეხები თითქოს რუსეთს დახმარებას თხოვდნენ. ეს გარემოება გარკვეულად უფრო განამტკიცებდა მოსკოვის მთავრობის მდგომარეობას ქვეყნის შიგნით და მოსახლეობის ყურადღება გადაქონდა ეკონომიკური სიდუხჭირისაგან⁶⁷⁴. გარდა ამისა, დამოუკიდებელი საქართველო სოლივით იყო შეჭრილი ბოლშევიკურ რუსეთსა და ქვეალისტურ თურქეთს, ორ მოკავშირე ქვეყნას შორის, და როგორც დასავლეთის სახელმწიფოების ბაზას, მას საფრთხეც კი შეეძლო შეექმნა ბაქოს ნავთისათვის⁶⁷⁵.

ამდენად, როგორც საგარეო, ისე შიდა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, როგორც სამხედრო-სტრატეგიული, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით, საქართველოს დაპყრობა აუცილებლობას წარმოადგენდა რუსეთის მთავრობისათვის⁶⁷⁶, სხვა საქმე იყო თუ თვით საქართველო დათანხმდებოდა განხორციელებულიყო რუსეთის ეს „აუცილებლობა“.

აღსანიშნავია, რომ დემოკრატიული საქართველოს მთავრობა ყოველგვარ, მათ შორის სამხედრო, დახმარებას უწევდა ჩრდილოკავასიელთა, ე. წ. მთიელთა რესპუბლიკას, რადგან ხედავდა, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში ძლიერი და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის არსებობა აუცილებელი იყო საქართველოს ჩრდილოეთი საზღვრის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ნ. ჟორდანიას სიტყვებით, მთიელთა რესპუბლიკა იყო ციხე-სიმაგრე მოსკოვის წინააღმდეგ⁶⁷⁷. თურქი ქვეალისტების პოზიცია ამ საკითხში სრულიად საპირისპირო იყო - ისინი ყველა ღონეს ხმარობდნენ მთის რესპუბლიკისა და აზერბაიჯანის გასაბჭოებისათვის და მათი რუსეთთან შეერთების დასაჩქარებლად, რათა ამით საერთო საზღვარი მიეღოთ რუსეთთან და შემდეგ იქიდან (ჩრდილოეთიდან) დამხმარე ძალა გადმოეყვანათ „დასავლეთის იმპერიალისტებთან“ საბრძოლველად. სწორედ თურქი აგენტების წაქეზებით განიარაღეს აზერბაიჯანელებმა ქართული რაზმები, რომლებიც მათი ტერიტორიის გავლით, ჩრდილოეთ კავკასიაში, მთიელთა რესპუბლიკის დასახმარებლად და „ბოლშევიკთა“ წინააღმდეგ საბრძოლველად მიდიოდნენ⁶⁷⁸. ნ. ჟორდანიას განცხადებით, 1921 წ. თებერვალ-მარტის საქართველოს მოვლენებისას რუსეთმა თურქეთის ნეიტრალიტეტი ართვინისა და არტაანის ოლქების დათმობით იყიდა, რაც დადასტურდა წითელი არმიის შემოტევასთან ერთად თურქეთის თავდასხმით⁶⁷⁹.

⁶⁷⁴ Квиникадзе 1985, 351.

⁶⁷⁵ Квиникадзе 1985, 350.

⁶⁷⁶ Квиникадзе 1985, 351.

⁶⁷⁷ Жордания 1968, 103.

⁶⁷⁸ Жордания 1968, 106-107.

⁶⁷⁹ Жордания 1968, 115.

1921 წლის 17 მარტს საქართველოს ხელისუფლებამ, ნოე ჟორდანიას თანხლებით, ბათუმის პორტიდან ფრანგული გემით საქართველო სამუდამოდ დატოვა. დ. ლენვის დაკვირვებით, ნიშანდობლივია, რომ ერთი დღით უფრო ადრე, 16 მარტს, დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა მთავრობებმა ხელი მოაწერეს სავაჭრო ხელშეკრულებას, რომლის მეშვეობითაც ლიონ ჯორჯმა თავის თავზე აიღო პასუხისმგებლობა შეჩერებულიყო ყოველგვარი ანტი-საბჭოთა ქმედებანი იმ ტერიტორიებზე, რომლებიც ადრე მეფის რუსეთს განეკუთვნებოდა. ეს გარემოება ფაქტიურად გამორიცხავდა საქართველოში ბოლშევიკთა წინააღმდეგ ბრიტანელთა ინტერვენციის ყოველგვარ შესაძლებლობას, ქვეყანაში, რომელიც სულ ორი თვით უფრო ადრე დიდმა ბრიტანეთმა აღიარა დამოუკიდებელ, სუვერენულ ქვეყნად. იმავდროულად მოსკოვში დაიდო მეგობრობის ხელშეკრულება საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის.⁶⁸⁰

საქართველოს გასაბჭოებიდან ორი წლის თავზე რუსეთის კომუნისტური პარტიის XII ყრილობაზე აღინიშნებოდა, რომ საქართველოს მხოლოდ საბჭოთა რუსეთთან მჭიდრო ეკონომიკური და სამხედრო კავშირით შეუძლია თავისი დამოუკიდებლობის „შენარჩუნება“⁶⁸¹. მიჩნეული იყო, რომ რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხების თვითგამორკვევის შემდეგ ამ ხალხთა სოციალისტები თავისი ნებით შეეცდებიან ერთმანეთთან დაამყარონ კავშირი, ვინაიდან ეკონომიკურად ეს მათთვის მომგებიანი იქნებოდა და სამართლიან საფუძველზე მოხდებოდა რუსეთის იმპერიაში შემავალ ხალხთა ხელახალი გაერთიანება⁶⁸². აქ არ შეიძლება არ ითქვას, რომ დემოკრატიული საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა ბევრად უფრო მყარი იყო, ვიდრე იმავე ხანების საბჭოთა რუსეთისა.

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ქართულმა ეროვნულმა ძალებმა სცადეს „ბოლშევიკებთან“ თანამშრომლობა, ისინი მაიცდამაინც დიდ სხვაობას ვერ ხედავდნენ „მენშევიკებსა“ და „ბოლშევიკებს“ შორის⁶⁸³. ნ. ჟორდანიას შენიშნავდა, რომ ვერცერთი ხალხი სხვა ხალხისაგან ვერაფერს ვერ სწავლობს და ვერ იყენებს სხვის გამოცდილებას, გულისხმობდა რა ბოლშევიკური ტერორის საშინელებებს რუსეთში და მის გაუთვალისწინებლობას 1921 წლის საქართველოს საზოგადოებრიობის მიერ; მისი სიტყვებით, მიუხედავად ჩვენი პროპაგანდისა ხალხი ვერ ხედავდა მოსკოვის ჭეშმარიტ ფიზიონომიას⁶⁸⁴.

⁶⁸⁰ Lang 1962, 236.
⁶⁸¹ Тифлисская... 1923, 43.
⁶⁸² Тифлисская... 1923, 40.
⁶⁸³ Жордания 1968, 100.
⁶⁸⁴ Жордания 1968, 100.



საქართველოს „გაწითლების“ შემდეგ ხელისუფლება პირველ ხენებშივე ძირითადად ე. წ. ქართველი ნაციონალ-უკლონისტების ხელში გადავიდა, რომლებიც ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ დამოუკიდებლობის გარკვეული ერზაცი მაინც, რასაც ვ. ლენინიც უწყობდა ხელს, როგორც ჩანს, ქართული ელემენტის რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში არასასურველი მოძალების გამო, თუმცა ოციანი წლების შემდეგ საქართველოში გაბატონდა სტალინ-ორჯონიკიძის კურსი. ეს ვითარება სპეციალისტთა აზრით, საქართველოს ფაქტობრივ ანექსიას წარმოადგენდა⁶⁸⁵. როგორც ვხედავთ, გასაბჭოების შემდეგაც საქართველოში გრძელდებოდა დაპირისპირება ადგილობრივ „ბოლშევიკებს“ შორის არსებულ „ეროვნული“ და „ინტერნაციონალური“ სულისკვეთების მქონე დაჯგუფებებს შორის.

20-იანი წლების საქართველოში არსებული განწყობის ამსახველია იმ დროს თბილისში მცირე ხნით ჩამოსული ქართველი მოღვაწეების მეგობრის, დიდი ბერძენი მწერლის ნიკოს კაზანდაკისის შენიშვნა, რომ "იდილიური სიზმარი დამოუკიდებელი საქართველოსი მოაზროვნე ადამიანისათვის შეუფერებელი ქიმერაა. საქართველო გადამწყვეტ გეოგრაფიულ და ფსიქოლოგიურ არეალშია. იგი ორი ძალის შუაში მოქცეული. ახალი საბჭოთა ძალისა - რომლის მიზანიცაა შთანთქას მთელი აზია - და ძველი კაპიტალისტური ძალისა, რომელიც ცდილობს მას შეეწინაღმდეგოს. საბრალო საქართველო ორ უზარმაზარ დოლაბს შორის მოქცეულ ხორბლის მარცვალსა ჰგავს."⁶⁸⁶

ერთ-ერთი ძირითადი ბრალდება, რომელიც 1923 წ. იანვარში წაუყენა ს. ორჯონიკიძემ ბუღუ მდივანსა და სხვა ქართველ ნაციონალ-უკლონისტებს იყო ის, რომ მათ საზღვარი გადაუკეტეს ჩრდილოეთ კავკასიიდან და ვოლგისპირეთიდან საქართველოს შესულ, შიმშილს გამოქცეულ ლტოლვილებს⁶⁸⁷. იმავე წლის შუა აპრილში მოსკოვში გამართულ რუსეთის ბოლშევიკური პარტიის ყრილობაზე დიდი ყურადღება დაეთმო პარტიის ნაციონალურ პოლიტიკას. ს. ორჯონიკიძე ისევ ბრალს სდებდა ქართველ ბოლშევიკებს იმაში, რომ მათ ჩაუკეტეს საქართველოს საზღვრები ჩრდილოეთ კავკასიაში თავმოყრილ და საქართველოში გადასვლის მომლოდინე მშვიერ ლტოლვილებს, რაც უადრესად საყურადღებო ფაქტია ჩვენი საკვლევი თემიდან გამომდინარე - ისტორიაში მართლაც ყველაფერი მეორდება - და დასძენდა, რომ "ასეთი ქცევისათვის იგი მათ მოაშთობდა და მომავალშიც განაგრძობდა მათ მოშთობას".⁶⁸⁸ ოდნავ უფრო ადრე, 1923 წლის 25 თებერვალს, ანუ საქართველოს ნამალადევი გასაბჭოების მეორე წლის-

⁶⁸⁵ სურგულაძე, სურგულაძე 1991, 246.

⁶⁸⁶ კაზანდაკისი 1990, 8.

⁶⁸⁷ იხ. Suny 1989, 218.

⁶⁸⁸ Suny 1989, 218.

თავზე იგივე პიროვნება აცხადებდა და სხვათა შორის სავესტით თლიანადაც, რომ ქართული ინტელიგენცია საბჭოების სამსახურში შევიდა იმ მიზნით, რომ შიგნიდან მის წინააღმდეგ ემოქმედა.⁶⁸⁹

ეროვნული მიმდინარეობის აღმოცენება საქართველოს მმართველ კომუნისტებს შორის, სპონტანურად უნდა მომხდარიყო, საქართველოს რუსეთისაგან განსხვავებულ ფიზიკური გეოგრაფიისა და გეოპოლიტიკურ სივრცეში მდებარეობის ფაქტის ზეგავლენის შედეგად. ვფიქრობთ, გარკვეული კორექტივებით, გასათვალისწინებელია ნიკო ნიკოლაძის სიტყვები, რომ ქვეყნის პოლიტიკურ ორიენტაციას ყოველთვის მისი გეოგრაფიული მდებარეობა განსაზღვრავს.

კავკასიის კარიბჭის დაცვა და კონტროლი ქართული სახელმწიფოების უმნიშვნელოვანესი ფუნქცია ჩანს ისტორიის გადასახედიდან. ეს არ იყო იოლად საზიდი ტვირთი, საქართველო არაერთხელ იყო წაღეკილი და დაოსებული, მაგრამ ქვეყნის ეს „არსებობის არსი“ განუხრელად ზორციელდებოდა. როგორც ზემოთ აღინიშნა, ახლო აღმოსავლეთისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ცივილიზებული სამყარო ანუ "ოიკომენე" საუკუნეთა განმავლობაში "გოგისა და მაგოგის უწმინდური ტომებისა" თუ "აპოლიკალიპსის შეუბრალებელი მხედრების" შემოსევის მოლოდინში იყო და კავკასიონის ზეკარების დაცვა მისი სასიცოცხლო ინტერესების სფეროს განეკუთვნებოდა.

დიდი კავკასიონის მთაგრენილი ყოველთვის იყო ძირითადი ფაქტორი კავკასიის ყელის ეკონომიკასა და პოლიტიკურ და სამხედრო ცხოვრებაში. იგი ერთმანეთისაგან გამოყოფდა ჩრდილოეთისა და სამხრეთის მდინარეთა აუზებს. ამასთანავე, როგორც უ. ალენი შენიშნავს საკუთრივ კავკასიის ყელი იყოფა ორ ნაწილად, შავი ზღვისა და კასპიის ზღვის აუზების კუთვნილად, რომელთაგანაც პირველი ასე "ვეროპულია", ხოლო მეორე ასე "ცენტრალურ აზიურია" თავისი ბუნებრივი და კულტურული მახასიათებლებით.⁶⁹⁰ გეოპოლიტიკის პიონერის ფრიდრიხ რაცელის შეხედულებით, მთები ფართო ისტორიული თვალთახედვით წარმოდგებიან, როგორც დაცვითი მდგომარეობის მქონენი, ისევე როგორც სტეპები და ზღვები დიდი შეტევითი ხასიათის გადაადგილების საწყის პუნქტებს წარმოადგენენ.⁶⁹¹ კავკასიაში რუსეთის გაბატონების შედეგად კავკასიონის მთაგრენილმა შეწყვიტა საუკუნეებრივი ზღუდის ფუნქციის შესრულება, რომელიც ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს ჩრდილოელთა შესევებისაგან იცავდა. ამის სანაცვლოდ, კავკასია გახდა საყრდენი პუნქტი, საიდანაც რუსული სახელმწიფოს პოლიტიკური და სამხედრო ძლევამოსილება მის-

⁶⁸⁹ Suny 1989, 226.

⁶⁹⁰ Allen, 1972, 8-10.

⁶⁹¹ Ratzel 1882, 198.

წრაფოდა დასავლეთისაკენ ანატოლიის გადალახვით ხმელთაშუა ზღვისაკენ, სამხრეთით სპარსეთის გადაღმა მდებარე ინდოეთის ოკეანისაკენ და აღმოსავლეთით კასპიის იქით მდებარე აზიის გულისაკენ.⁶⁹² ფრ. რაცელის აზრით, რუსების კავკასიური ომები სრული უფლებით შეიძლება იყოს მიჩნეული, დიდი სააღყო მოქმედებების მთელ რიგად.⁶⁹³

როგორც ჩანს, იმიერკავკასიელებსა და ამიერკავკასიელებს შორის კონფლიქტური ურთიერთდამოკიდებულებაში, პირველს ჩვეულებრივ აგრესორის ფუნქცია ეკისრებოდა ხოლმე. დაპირისპირების ძირითადი მიზეზი ამ ზონებში განთავსებულ საზოგადოებათა ქონება-უქონლობა უნდა ყოფილიყო; შეიძლება ითქვას, რომ უპირატესად მომთაბარე უქონელები თავს ესხმოდნენ ხოლმე მქონებელ ბინადარ მოსახლეობას. ამ ორ რეგიონს შორის სასაზღვრო ზონის ფუნქცია, როგორც ითქვა, კავკასიისათვის თვით ბუნების მიერ იყო განპირობებული. დიდი კავკასიონის მთაგრეხილი, მსოფლიოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყალგამყოფი სისტემა, მძლავრი წინააღობა იყო ახლო აღმოსავლეთსა და ხმელთაშუაზღვისპირეთში მომხდურების შეღწევისათვის.

ფეიქრობ, სწორედ „კავკასიის კარიბჭეთა მფლობელობას“ უნდა ეუმაღლოთ იმ, წინამდებარე ნაშრომში არაერთხელ საზვასმულ, გარემოებას, რომ საქართველო ერთადერთ სახელმწიფოს წარმოადგენს მთელ ქრისტიანულ სამყაროში, რომლის სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული განვითარება უწყვეტად გრძელდებოდა ანტიკური ხანიდან მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისამდე ანუ რუსეთის მიერ მის ანექსიამდე.⁶⁹⁴

რომანოვების რუსეთის კოლაქსმა საქართველოსათვის მდგომარეობა ფაქტობრივად ვერ შეცვალა. საბჭოთა რეჟიმმა თავისი არსებობის ადრეული წლებიდანვე ერთმნიშვნელოვნად დაიწყო ახალი სახელების ქვეშ რუსეთის იმპერიის იმ პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური ორგანიზაციების აღორძინება, რომლებიც თავად დაანგრია რევოლუციის მსვლელობისას.⁶⁹⁵ ცნობილი ემიგრანტი და მოღვაწე ალექსანდრე ცომაია შენიშნავდა, რომ არავითარი პრინციპული განსხვავება არ არის ნიკოლოზ I-ის ცნობილ ბრძანებას კავკასიის შესახებ, როდესაც გენერალ პასკევიჩს ნიშნავდა აქ მეფისნაცვლად – "დაიპყარ და გაანადგურეო" – და საბჭოთა პოლიტიკურს დეკრეტებს შორის. მისი აზრით, ძველი ცარიზმისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკის მსგავსება კავკასიელი ხალხების მიმართ შემამოთებლად აშკარაა და რომ თეთრი და წითელი რუსეთის მიზნები ერთმანეთს ემთხვევა. ხელშეკრულებათა დარღვევა, ეროვნული კულტურების,

⁶⁹² Allen & Muratoff 1953, 21.
⁶⁹³ Ratzel 1882, 199.
⁶⁹⁴ შტრ., Toumanoff 1943.
⁶⁹⁵ Sprengler 1940, 99n.1.

ტრადიციების, ადამ-წესების განადგურება, ძალდატანებითი რუსიფიკაცია, წინააღმდეგობის გატეხვა ყველანაირი საშუალებებით და კავკასიის რუსეთის კოლონიად გადაქცევა – ეს ტრადიციული რუსული პოლიტიკა მოირგეს და გააგრძელეს ბოლშევიკებმაც⁶⁹⁶.

აღსანიშნავია, საბჭოთა რეჟიმი დროის მსვლელობასთან ერთად სულ უფრო ნაკლებად შემწყნარებელი ხდებოდა დაქვემდებარებული ხალხებისადმი, კერძოდ კავკასიელებისადმი. ვიდრე საბჭოთა ისტორიოგრაფიაში გაბატონებული იყო მ. პოკროვსკის სკოლა, რუსეთის მიერ კავკასიის ანექსია განიხილებოდა რუსეთის იმპერიის მიერ ჩადენილ სისხლიან ძალადობის აქტად და კეთილგანწყობა გამოიხატებოდა ხოლმე კავკასიელი ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიმართ. მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალა მომდევნო ხანაში, როდესაც კომპარტიის ხელმძღვანელთა საამებლად რუსეთის მიერ საქართველოს დამორჩილება ერთადერთ სწორ ნაბიჯად იყო განხილული ამ ქვეყნის მომავლისათვის. იმის მოწმობას, რომ ქართველი ერის მისწრაფება სრულიად საპირისპირო იყო ამ საკითხის მიმართ ოფიციალური საბჭოური მიდგომისაგან, ვხედავთ იმ გარემოებაში, რომ როგორც კი იმპერიული წნეხი შესუსტდა და ისტორიული სიტუაცია შეიცვალა, მან დაუყოვნებლივ აღადგინა თავისი ეროვნული დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრიობა, თუმცა კი ეს პერიოდი საკმაოდ ხანმოკლე გამოდგა 1918 წლიდან 1921 წლამდე, როდესაც საბჭოთა რუსეთის ჯარმა ისევ დაიპყრო საქართველო და იძულებით მოაქცია საბჭოურ სისტემაში. ამიტომ, ექსპერტთა აზრით, არ არის მოულოდნელი, რომ საბჭოთა ისტორიკოსები დაედებითად აფასებდნენ არა მხოლოდ საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციას, არამედ უფრო ადრეულ, ცარიისტული რუსეთის მიერ განხორციელებულსაც⁶⁹⁷.

⁶⁹⁶ ცომაია 2000, 260.

⁶⁹⁷ Alexander 1960, 91-92.

ისტორიული გამოცდილება და თანამედროვე პერსპექტივები

უკანასკნელი ათი-თხუთმეტი წლის მანძილზე ქართველი პოლიტოლოგები და ფართო საზოგადოება ცდილობს გადაჭრას ქვეყნის წინაშე მდგარი სამმაგი არჩევანი:

1. "CHI"-ს ფარგლებში არსებულ თავდაცვით სისტემასთან (ანუ რუსეთთან) მიერთება;
2. ნეიტრალიტეტის გამოცხადება;
3. ევრო-ატლანტიკურ დემოკრატიულ საზოგადოებებში ინტეგრირება.

პრორუსული გადახრა ფაქტიურად ნიშნავს ჩვენი ქვეყნის უკან გამობრუნებას სახელმწიფოებრიობის შენების გზიდან და რუსული "ხანის" მიერ მის საბოლოო (თუმცა კი ალბათ თანდათანობით) შთანთქმას, რაც რუსული პოლიტიკური წრეების საუკუნოვანი ზმანებაა. ნიშანდობლივია, რომ მიუხედავად საერთაშორისო გადაწყვეტილებებისა, რუსეთი ყველა ხერხებით ცდილობს საქართველოში შეინარჩუნოს სამხედრო ბაზების ნაწილი, გააფართოოს აქ თავისი ეკონომიკური და პოლიტიკური ყოფნა და თან ამავე დროს სამშვიდობო მისიის ნიღბით ფაქტიურად მიიტაცოს საქართველოს ტერიტორიები. ნეიტრალური სტატუსი ირელევანტურია ქვეყნისათვის, რომელიც პოლიტიკური პროცესების შარავზაზე განლაგებული და გარემორტყმულია აგრესიული მეზობლებით – უპირველეს ყოვლისა, რუსეთით. თურქეთი და რამდენადმე ირანი (ყოველ შემთხვევაში ბოლო ხანებში საკუთარი ბირთვული პროგრამების გააქტიურებამდე), თავისი კავკასიური პოლიტიკის ხელახალი განსაზღვრის შემდეგ და საკუთარი ისტორიული ტრადიციებისაგან განსხვავებით, ცდილობენ შეძლებისდაგვარად დაიცვან რეგიონში მშვიდობა და უსაფრთხოება. საინტერესოა, რომ რუსეთი, თურქეთისა და ირანისაგან განსხვავებით, თავს მოვალედ თვლის მაქსიმალურად ჩაერიოს ამიერკავკასიის ქვეყნების შინაურ საქმეებში, კავკასიური (უფრო ზუსტად ჩრდილო კავკასიური) სამყაროსადმი თავისი კუთვნილების გამო. ამისათვის გარკვეულ იდეოლოგიურ საფუძველს მას აძლევს უკანასკნელ დროს ტერმინ "ამიერკავკასიის" რატიონალაც "სამხრეთ კავკასიით" შეცვლა და შესაბამისად კავკასიური ოთხეულის საპარლამენტო საბჭოს ჩამოყალიბება: აზერბაიჯანის, რუსეთის, საქართველოსა და სომხეთის შემადგენლობით. არადა, ამიერკავკასიული ქვეყნების პოლიტიკური ისტორია, ძირითადად განპირობებულია ამიერკავკასიის მდებარეობით დიდი კავკასიონის მთაგრებილის, მსოფლიოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყალგამყოფი სისტემის, გადმოღმა. შესაბამისად, ვფიქრობ, ტრადიციულ ტერმინ "ამიერკავკასიას" უპირატესობა უნდა მიენიჭოს უკანასკნელ დროს სულ უფრო

ხშირად გამოყენებულ ტერმინ "სამხრეთ კავკასიასთან"⁶⁹⁸ შედარებით სავსებით გამოხატავს ქედს გადმოღმა მდებარე რეგიონის არსს და უნდა, როგორც შინაარსობრივად, ასევე ენობრივი თვალსაზრისით (შდრ., მაგ., ერთმანეთს "სამხრეთ-დასავლეთ ამიერკავკასია" და "სამხრეთ-დასავლეთ სამხრეთ კავკასია").

კავკასიონის სამხრეთით მდებარე მხარის აღსანიშნავად ოპონენტათვის ძირითადად მიუღებელია რუსული და ევროპული ტერმინები "Закавказье", "Transcaucasia/Transkaukasien", რომლებიც რეგიონის მდებარეობას მხოლოდ ჩრდილოეთის მხრიდან განსაზღვრავდნენ. ამ თვალთახედვით, ქართული ტერმინი – "ამიერკავკასია" სავსებით შეესაბამება ჩვენი ქვეყნის განლაგებას კავკასიონის ქედის გადმოღმა, სამხრეთით. გარდა ამისა, ამიერკავკასიის ქვეყნების მრავალსაუკუნოვანი პოლიტიკური ისტორია, ძირითადად განპირობებული ჩანს, სწორედ ამიერკავკასიის მდებარეობით კავკასიონის მთავარი მთაგრეხილის, მსოფლიოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყალგამყოფი სისტემის, "ამიერ" მხარეს. შესაბამისად, ვფიქრობ, ტერმინ "ამიერკავკასიას" (ყოველ შემთხვევაში ქართულ ენაში მაინც) უპირატესობა უნდა მიენიჭოს ტერმინ "სამხრეთ კავკასიასთან" შედარებით.

საკუთრივ ამიერკავკასიაში 5 რეგიონი გამოიყოფა: 1. დასავლეთ ამიერკავკასია ანუ დასავლეთ საქართველო, 2. ცენტრალური ამიერკავკასია ანუ აღმოსავლეთ საქართველო, 3. აღმოსავლეთ ამიერკავკასია ანუ აზერბაიჯანის რესპუბლიკა, 4. სამხრეთ ამიერკავკასია ანუ სომხეთი, 5. სამხრეთ-დასავლეთ ამიერკავკასია ანუ ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთი⁶⁹⁹; შესაბამისად, თითქოს უფრო გამართლებული ჩანს, ამიერკავკასიული საკითხები, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ამიერკავკასიულმა ოთხეულმა გადაწყვიტოს – აზერბაიჯანმა, თურქეთმა, საქართველომ და სომხეთმა და არა ერთპიროვნულად კავკასიონის მთავარი ქედის გადაღმა, იმერკავკასიაში მდებარე ქვეყანამ, რისი მცდელობაც სულ უფრო დაუფარავი ხდება.

დღითიდღე სულ უფრო ცხადი ხდება, ევრო-ატლანტიკურ დემოკრატიულ საზოგადოებებში ინტეგრირება, ერთადერთი არჩევანია, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს საქართველოს თავისუფალი განვითარება.

მაგრამ რამდენად შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ, რომ დროის ხანგრძლივი პერსპექტივიდან ეს არჩევანი უპასუხებს ქვეყნის ეროვნულ

⁶⁹⁸ იხ. Gamkrelidze 1998, 77-79.

⁶⁹⁹ აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი ხანის სამეცნიერო ლიტერატურაში ვგვხვდება ამიერკავკასიის სიერცობრივი განზომილების მსგავსი გაფართოებული ინტერპრეტაცია, ტერმინის – "თურქეთის ამიერკავკასიის" სახით, რომელიც, მაგალითად, გამოიყენება, მდარეზის სათავეებთან უკანასკნელ ხანებში გათხრილ მრავალფენიან ძეგლიან – სის ჰოიუქთან მიმართებაში (Marro 2000, 477).

ინტერესებს? რატომ ხდება აღნიშნული მესამე არჩევანი, დასავლური ორიენტაცია, ქართული საზოგადოების motto? რამდენად საფუძვლიანია ქართულ "პოლიტიკოსთა" ერთი ნაწილის წუხილი, რომ დასავლური ორიენტაციის გამო, ქვეყანა და მისი მოსახლეობა იმყოფება დასავლეთის დემოკრატიული საზოგადოების მტერთაგან მომდინარე, წინასწარ განუჭვრეტელი და გარდაუვალი დასჯის საფრთხის ქვეშ, რის გამოც, მათი აზრით, ქვეყნის პოლიტიკური ორიენტაცია შესაცვლელია?

დასმული კითხვები ცხადყოფს, რამდენად დაძაბული და გაურკვეველია საქართველოში უკანასკნელი წლების პოლიტიკური სიტუაცია. მწელი წარმოსადგენია, რომ მოიპოვებოდეს იოლი პასუხი ყველა იმ კითხვაზე, რომელიც აწუხებს დღევანდელ ქართულ საზოგადოებრიობას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შეძლებისდაგვარად მაინც უნდა შევეცადოთ მდგომარეობა უფრო გასაგები გავხადოთ ქვეყნის ისტორიული განვითარების თვალთახედვიდან გამომდინარე.

თანამედროვე მოვლენების საფუძველში ადრეული ხანებისათვის დამახასიათებელი პროცესების ხასიათის შეცნობისათვის, საჭირო ხდება რეტროსპექტიული ხედვის გამოყენება. საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის ისარი სხვადასხვა დროს განსხვავებული მხარეებისაკენ იხრებოდა; მაგრამ რა სახის მექანიზმი განაპირობებდა ამ ცვალებადობას? რომელი იყო უდიდესი მაგნიტური ძალის მქონე მხარე, ისტორიის მანძილზე ქართული ვექტორის განმსაზღვრელი? დღევანდლობაში გასარკვევად აუცილებელი ხდება ამ კითხვებზე პასუხის გაცემა.

სამწუხაროდ, სპეციალურ ლიტერატურაში სათანადო ყურადღების გარეშე დარჩენილი, ცენტრალურ ამიერკავკასიაში სახელმწიფო ძალაუფლების აღმოცენებასა და კავკასიონის უღელტეხილების კონტროლის საჭიროებას შორის არსებული ურთიერთკავშირი. არადა, ეს ურთიერთკავშირი მკაფიოდ არის აღბეჭდილი რეგიონის ისტორიულ განვითარებაში. ასეთი უგულვებელყოფა ძირითადად განპირობებული იყო, უკანასკნელი ორასი წლის განმავლობაში ამიერკავკასიის ინკორპორაციით ჯერ რუსეთისა და შემდეგ საბჭოთა იმპერიაში. ბუნებრივია, ამ იმპერიათა არცერთი ქვეშევრდომი დაწესებულება არ დაუშვებდა მსგავსი თემატიკის დამუშავებას და ვერც პოსტსაბჭოთა ხანაში იქნებოდა იგი მაინცდამაინც წახალისებული. ორივე ეს ქვეყანა (რუსეთის იმპერია და საბჭოთა კავშირი) საკმაოდ წარმატებული გამოდგა ამიერკავკასიის ტერიტორიის ტოტალურ დაქვემდებარებაში; ამას სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა მათი ექსპანსიონისტური მიზნებისათვის მთელი ახლოაღმოსავლური-ხმელთაშუაზღვისპირეთული არეალის მიმართ. მეორე მხრივ, ის გარემოება, რომ უკანასკნელი ორასი წლის განმავლობაში არცერთი კავკასიელი ვერ არ იყო ფაქტიურად წარმოდგენილი მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე, მიზეზი გახდა დასავლელი სპეციალისტების მიერ



კავკასიის ისტორიის უგულვებელყოფისა. ამ მხრივ, ბოლო მდგომარეობა სასიკეთოთ იცვლება; მით უფრო საშურია ქართველი ისტორიკოსებისა და პოლიტიკოსების მეტი აქტიურობა, საკუთარი თვალთახედვის საფუძვლიანი ჩამოყალიბებისათვის. დღეს, როდესაც ინტენსიურად მიმდინარეობის განათლების ერთიანი ევროპული სივრცის ჩამოყალიბება და საქართველოს ეძლევა ევროპული ქვეყნების განათლების სისტემებთან დაახლოება-პარმონიზაციის პროცესში მონაწილეობის მიღების საშუალება, ე.წ. ბოლონიის პროცესის ფარგლებში შეიმჩნევა ზოგიერთი თავისებურება. კერძოდ, ისტორიული დისციპლინების სწავლება ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში მჭიდროდ არის დაკავშირებული ეროვნული კულტურისა და წარსულის ტრადიციულ აღქმასთან, ვინაიდან, იმ ქვეყნებში სადაც ისტორია საერთო კულტურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ასპექტად მოიაზრება, სწავლების ტრადიცია ხშირად ერთმანეთისაგან მკვეთრად არის განსხვავებული. ეს კი ძნელად გადასალახავ გარემოებას წარმოადგენს ისტორიის ერთიანი საერთოევროპული სასწავლო პროგრამების ჩამოყალიბებისას. აღნიშნული გარემოება, ვფიქრობ, საკმაო სივრცეს უტოვებს ისტორიულ დარგებში მოღვაწე ჩვენ სპეციალისტებს, ეროვნული ისტორიული სკოლის მდიდრული ტრადიციებისა და ამასთანავე დროის მოთხოვნათა გათვალისწინებით, შეიმუშაონ ისტორიის სწავლების საკუთარი კონცეფცია, რასაც მეცნიერთა კოორდინირებული მუშაობა და სათანადო ძალისხმევა დასჭირდება.

დღევანდელი სწრაფად ცვალებადი მსოფლიოს კონტექსტში ისტორიული დისციპლინების წინაშე ისახება, ერთი მხრივ, განსაკუთრებული გამოწვევები, ხოლო, მეორე მხრივ, ჩინებული შესაძლებლობები; ისტორია, სოციალური ცნობიერების ერთ-ერთი უპირველესი სახეობა, წარმოადგენს საზოგადოების შეკავშირების მნიშვნელოვან ფაქტორს. მართებულად შეფასებული და გამოყენებული ისტორიული ინფორმაცია შესაძლებლობას იძლევა დაძლეული იყოს ერებსა და მოსახლეობის ცალკეულ ჯგუფებს შორის წარმოქმნილი აგრესიული კონფრონტაციები. ისტორიის ობიექტური გაგება ახლებურ პერსპექტივებს სახავეს საზოგადოებრივი განვითარების ორიენტირების შერჩევაში. საგანგებო კვლევის მიზანი უნდა გახდეს საქართველოს პოლიტიკურ ორიენტაციაში შესაძლო მიმართულებათა მონახაზის წარმოდგენა, საკუთრივ საქართველოს, საზოგადოდ ამიერკავკასიისა და უფრო ვრცელი (შავი და კასპიის ზღვების აუზების მომიჯნავე) არეალის პოლიტიკურ ცხოვრებაში არსებული ტენდენციების ფონზე და ამ ტენდენციათა ურთიერთმიმართების ხასიათის გარკვევა.



პირველი და მეორე მსოფლიო ომებისა და კომუნისტური სისტემის კოლაპსის შემდეგ, მსოფლიოს სხვადასხვა ადგილას აღმოცენდნენ მრავალრიცხოვანი სახელმწიფოები. ამ პროცესს დღესაც აქვს ადგილი, ძირითადად პოსტსაბჭოთა სივრცეში, მათ შორის საქართველოში, სადაც რამდენადმე მსგავსი ვითარება იყო რუსეთის იმპერიის დაშლის შედეგად აღმოცენებულ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობისას. მიუხედავად იმისა, რომ ეს ქვეყანა უკვე სამი წლის შემდეგ, 1921 წლის თებერვალ-მარტში, იყო დაპყრობილი საბჭოთა რუსეთის მიერ, ქართული სახელმწიფოებრიობის ათასწლოვანი ტრადიციის არსებობის გამო თავისუფლებისაკენ სწრაფვა ჩვენში არასდროს განელებულა; ყოველთვის იყო ამ იდეისათვის თავდადებული ასეულ ათასობით ადამიანი.

უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში რუსეთის კავკასიური პოლიტიკისა და ამასთანავე თანამედროვე მისწრაფებების გასაგებად აუცილებელია რუსეთის იმპერიის ანუ რუსული „ღერძის“ არსის შეცნობა. არის კი იგი მართლაც „მესამე რომი“, როგორც ეს ზოგიერთ რუს ავტორს, რუსულსავე საეკლესიო ტრადიციებზე დაყრდნობით, წარმოუდგენია. თანამედროვე რუს პოლიტიკოსებს ძალიან იზიდავთ, ჯერ კიდევ 1905 წელს ამერიკელი გეოპოლიტიკის ფუნდამენტლის ჰ. მაქქინდერის მიერ შემუშავებული (და 1943 წ. გადამუშავებული) სქემა, რომლის მიხედვით, მსოფლიოში გამოიყოფა 1. „ღერძული არეალი“ (*Pivot Area*, იგივე „შუაგული ქვეყანა“ ანუ ევრაზია), რომელიც ძირითადად მოიცავდა რუსეთის იმპერიის ტერიტორიას, 2. „შიდა ანუ განაპირა ნახევარმთვარე“ (*Inner or Marginal Crescent*) ევროპის მომცველი, ახლო აღმოსავლეთთან, ინდოეთთან და ჩინეთთან ერთად, 3. „გარეთა ანუ კუნძულოვანი ნახევარმთვარე“ (*Outer or Insular Crescent*), რომელიც ამერიკას, აფრიკას, ინდონეზიას, ავსტრალიასა და იაპონიას შეიცავდა. ჰ. მაქქინდერის მიხედვით, ვინც დომინირებს აღმოსავლეთ ევროპაში (რაზედაც რუსეთს ყოველთვის ჰქონდა და აქვს პრეტენზიები - ვ.ქ.) ის ფლობს „ღერძულ არეალს“, ვინც ფლობს „ღერძულ არეალს“, ის ბატონობს „კუნძულოვან ნახევარმთვარეზე“ ხოლო ვინც ბატონობს „კუნძულოვან ნახევარმთვარეზე“ მას ემორჩილება მთელი მსოფლიო.

პირველ და მეორე ზონებს შორის ანუ „ღერძულ არეალში“, და „განაპირა ნახევარმთვარის მხარეებს“ შორის მწვევე კონფლიქტი ძველთაგანვე არსებობდა და იგი ძირითადად ემთხვევა იმიერკავკასიიდან ვადმოსული მოსახლეობისა და ამიერკავკასიის ბინადარ მოსახლეობას შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულების ზემოაღნიშნულ ხასიათს. კავკასიონი და ამიერკავკასია გადაულახავ ბასტიონს წარმოადგენდა "ოიკოუმენში" ანუ „განაპირა ნახევარმთვარის მხარეებში“ იმიერკავკასიიდან ვადმოსულ ევრაზიელ გადაძთიელთათვის.

თუმცა აღსანიშნავია, რომ იმავე ჰ. მაქკინდერს (1861-1947) 1919 წელს გამოცემულ წიგნში “დემოკრატიული იდეალები და რეალობა“, რამდენადმე განსხვავებული სქემა აქვს წარმოდგენილი, რომელიც ჩემი აზრით, უფრო ლოგიკურია, ისახავს რა ამოსავალ გარემოებად ევრაზიის ტერიტორიებზე მდინარეთა დინების ხასიათს, კერძოდ “ღერძული არეალში“ მოქცეულია რუსეთის იმპერიისა და ჩრდილოეთ ირანის ის ტერიტორიები, რომელთა მდინარეთა სისტემა ჩრდილოეთ-ყინულოვან ოკეანეს ან კასპიის ზღვას განეკუთვნება და ამდენად, მსოფლიო საოკეანო სისტემასთან მიმართებაში, გარკვეულად ჩიხში ექცევა, არა აქვს რა მასში გასავალი; ხოლო რუსეთის იმპერიის უკიდურესი დასავლეთი ნაწილი (ძირითადად პოლონეთი, ფინეთი, ბალტიისპირეთი და უკრაინა), დასავლეთი კავკასია, ირანის სამხრეთ სანაპირო, ევროპასთან, ახლო აღმოსავლეთთან, ინდოეთთან და ჩინეთთან ერთად, ანუ მსოფლიო ოკეანეთა სისტემაში გამავალ და მის მოსაზღვრე მხარეებთან ერთად, შეადგენდა „განაპირა ნახევარმთვარეს“, განსხვავებით „კუნძულოვანი ნახევარმთვარისაგან“, რომლის შემადგენლობა იდენტურია 1905 წ. შემუშავებული სქემისა.⁷⁰⁰

როგორც ვხედავთ, ჰ. მაქკინდერის სქემებში საქართველოს საკმაოდ განსხვავებული ადგილები აქვს მიკუთვნებული, პირველ შემთხვევაში, 1905 წ. შემუშავებული სქემით, “ღერძულ არეალში“, ანუ რუსეთთან ერთად, ხოლო მეორე შემთხვევაში, 1919 წ. სქემით, „განაპირა ნახევარმთვარეში“. ხომ არ უნდა აიხსნას ეს იმ გარემოებით, რომ 1919 წელს საქართველო არსებობდა დამოუკიდებელი ქვეყნის სტატუსით. უნდა ვიფიქროთ, რომ არსებული პოლიტიკური კონსტელაცია ყოველთვის დიდ გავლენას ახდენს გეოპოლიტიკათა ნააზრევებზე და მათ მიერ შემუშავებულ სქემებზე და პირუკუ, გეოპოლიტიკოსთა ნააზრევები ზოგჯერ განაპირობებენ ქვეყნების მიერ ამა თუ იმ ისტორიული გზის არჩევას. ჰ. მაქკინდერის მიერ, რუსეთის უნიკალური, ცენტრალური გეოპოლიტიკური მდებარეობის პოსტულირების გამო, ალბათ არსად დედამიწის ზურგზე დღეს არა ჰყავს გეოპოლიტიკას იმდენი მიმდევარი, რამდენიც რუსეთში. ჩარლზ ქლოვერის მახვილგონიერი გამოჩნატქვამით, თუ რუსი ინტელექტუალები ადრე თავისი ქვეყნის მსოფლიოზე გამარჯვების დასაბუთებას ისტორიულ კანონზომიერებად მიიჩნევდნენ, ამჟამად თავის იმედებს უკავშირებენ თეორიას, რომელიც დიალექტიკური მატერიალიზმის სრულიად საპირისპიროა. ისინი რუსეთის გამარჯვებას ისტორიის ნაცვლად უკვე გეოგრაფიაში ეძებენ ანუ უფრო სივრცეში, ვიდრე დროში.⁷⁰¹

⁷⁰⁰ იხ. Mackinder 1942, map.

⁷⁰¹ Clover 1999, 9.

ამ ნააზრევთა კვინტესენციას წარმოადგენს ა. ლუგინის ნაშრომები, რომელთა დედააზრის მიხედვით, ორპოლარული მსოფლიოს დასასრული (იგულისხმება სსრკ-ს დამლა) წარმოადგენს სტრატეგიულ დარტყმას მიყენებულს საყოველთაო ევრაზიული კონტინენტალიზმის იდეისა და ამავე დროს უკლებლივ ყველა ევრაზიული სახელმწიფოს შესაძლო სუვერენიტეტის მიმართ. მისი აზრით, რუსეთის გეოპოლიტიკური და სტრატეგიული სუვერენიტეტის იმპერატივი, არა მხოლოდ "ახლო საზღვარგარეთის" დაკარგული რეგიონების დაბრუნებასა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან ე. წ. სამოკავშირეო ურთიერთობების აღდგენაში გამოიხატება, არამედ ევრაზიის სტრატეგიულ ბლოკში კონტინენტური დასავლეთისა (პირველ რიგში ფრანგულ-გერმანული ბლოკის, რომელიც თითქოსდა ესწრაფვის პროამერიკული ნატო-ს მუუვრეობისაგან განთავისუფლებას)⁷⁰² და კონტინენტური აღმოსავლეთის (ირანი, ინდოეთი და იაპონია) სახელმწიფოების ჩართვაში.⁷⁰³ რუსეთისათვის "იმპერიის გეოპოლიტიკური შემოკრეფა", ა. ლუგინის აზრით, წარმოადგენს არა მხოლოდ განვითარების ერთ-ერთ შესაძლო მიმართულებას, სივრცესთან სახელმწიფოს ერთ-ერთ შესაძლო მიმართებას, არამედ საწინდარსა და აუცილებელ წინაპირობას დამოუკიდებელი სახელმწიფოს სახით მისი არსებობისა ანუ დამოუკიდებელ კონტინენტზე არსებული დამოუკიდებელი სახელმწიფოს სახით. უფრო მეტიც, რუსეთი დაუყოვნებლივ თუ არ შეუდგება დიდი სივრცის აღდგენას, ანუ დროებით დაკარგული ევრაზიული სივრცის დაბრუნებას თავის სტრატეგიულ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროში, თურმე იგი კატასტროფაში მოაქცევს საკუთარ თავსაც და ყველა იმ ხალხსაც, რომელიც კი "მსოფლიო კუნძულზეა" განსახლებული. ყოველი დაყოვნება "იმპერიის შემოკრეფაში", აღარაფერი რომ არ ვთქვათ რუსეთის მიერ გეოპოლიტიკურ ექსპანსიაზე უარის თქმას, თურმე გარდაუვლად გამოიწვევს დიდ ევრაზიულ სისხლისღვრას, ვინაიდან მაშინ სხვა ძალები შეეცდებიან ევრაზიის ციტადელად ქცევას, ეს კი გამოიწვევს მესამე ძალის - აშშ-ს და მონდიალური პროექტიდან მისი კოლეგების - გაძლიერებას. ევრაზიის ტერიტორიების რუსეთის ხელქვეით "ისტორიის ღერძად" კვლავ გაერთიანება, ა. ლუგინის განცხადებით, სადღეისოდ გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული, თუმცა ეს სირთულეები არაფერია იმ კატასტროფების წინაშე, რომლებიც თურმე გარდაუვლად იჩენენ თავს, თუ დაუყოვნებლივ არ დაიწყება "იმპერიის ეს შემოკრეფა".⁷⁰⁴

⁷⁰² მას მერე რაც დასავლეთი იყო დაყოლიებული, ამასთანავე გაჩნდა უცნაური იდეები, თითქოსდა რუსებს მოსწონდეთ ნატო, ვინაიდან იგი აკავებს გერმანულ ბუნდესვერს ამერიკული მმართველობის ქვეშ (იხ. Mastny 1999, 178).

⁷⁰³ Лугин 1999, 170-171.

⁷⁰⁴ Лугин 1999, 172-173.

3. მაქსინდერის თანამედროვე შეორე ამერიკელი გეოპოლიტიკონის ნიკოლას სპაიქმენის (1893-1943) შესწორებით, ის ვინც ფლობს „განაპირა ნახევარმთვარეს“ ანუ გარეთა მიწებს (*Rimland*), იგი ბატონობს „ღერძულ არეალზე“ და ამდენად მთელ მსოფლიოზე. მესამე და ყველაზე ადრეული ამერიკული გეოპოლიტიკის კლასიკოსის, ალფრედ მეჰემის (1840-1914) აზრით კი, ძირითადი წინააღმდეგობები კონტინენტურ ანუ ევრაზიულ და საზღვაო ანუ ატლანტურ ძალებს შორის არის საძებარი. თანამედროვე რუსეთის მთელი გეოპოლიტიკური ნააზრვეიც ძირითადად სწორედ მევეთრი ანტი-ატლანტური ხასიათის მქონე ევრაზიული სექციების შემუშავებამდე დაიყვანება. ჩ. ქლოვერისეული ფორმულირებით, ევრაზიელები ევრაზიის ცენტრს (ანუ რუსეთს) განიხილავენ გადამწყვეტი იერიშის გეოგრაფიულ სასტარტო მოედნად, საიდანაც სათავე უნდა დაედოს გლობალურ ანტი-დასავლურ მოძრაობას, რომლის ძირითადი მიზანია ევრაზიიდან „ატლანტური“ (ანუ „ამერიკული“) გავლენის საბოლოო განდევნა.

რუსეთის ორგანული კავშირი ევრაზიის პოლიტიკურ ტრადიციებთან მკაფიოდ არის ასახული თანამედროვე ნეოევრაზიული გეოპოლიტიკური სკოლის წარმომადგენელთა ნაშრომებში. რუსი ევრაზიელები თუმცა კი არიან იმპერიალისტები, მაგრამ არ არიან ტრადიციული ნაციონალისტები, ფაქტიურად ევრაზიელთა უმეტესობა ცდილობს განასხვავოს თავი რუსი ნაციონალისტებისაგან, მხარს უჭერენ რა კავშირს რუსეთის აზიელ მეზობლებთან, განსაკუთრებით მუსლიმი მრწამსისას. როგორც ა. პროხანოვი აცხადებს: *„ევრაზიის იდეა ინტეგრაციის იდეაა. რუსული ნაციონალიზმი ევრაზიელობის საწინააღმდეგოა; ეს ორი იდეოლოგია არსებითად ერთმანეთთან შეუთავსებელია. წმინდა ეთნიკური (რუსული) კონცეპცია მხედველობაში არ იღებს თათარსტანსა ანდა კავკასიას“*.⁷⁰⁵ ევრაზიელთა ნააზრვეით, რუსები წარმოადგენენ არა მხოლოდ აღმოსავლელი სლავების განშტოებას, არამედ განსაკუთრებულ ეთნოსს, რომელიც თათრულ და სხვა თურქულენოვან ტომებთან სლავების შერწყმის შედეგად ჩამოყალიბდა და ამის გამო გამართლებულია რუსების მიერ ევრაზიის იმ ვრცელი ტერიტორიების გაკონტროლება, რომლებიც თურქულენოვანი ეთნიკური ჯგუფებით არის დასახლებული. საზოგადოდ, ნეოევრაზიულ მოძღვრებას საფუძვლად უდევს კონტინენტური რუსულ-ისლამური ალიანსის იდეა, რომლის ერთ-ერთი ძირითადი თეზაა, რუსეთის უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ მოკავშირედ, ისლამური ქვეყნების, განსაკუთრებით ირანის, აღიარება. ამ ალიანსის დოქტრინულ დონეზე დასაბუთება ეფუძნება, ანტიტრადიციული, პრაგმატული და საერო თვისებებით გამოირჩეული დასავლეთისაგან

⁷⁰⁵ Clover 1999, 13.

განსხვავებით, რუსული და ისლამური ცივილიზაციების ტრადიციული ხასიათს.

ეს უკანასკნელი გარემოება განსაკუთრებით არის მხედველობაში მისაღები დღევანდელ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების გადასახედიდან. დღეს მოსკოვს საქართველოზე ზემოქმედებისათვის, გარდა ველური ძალის გამოყენებისა, რჩება მხოლოდ დასავლურისაგან განსხვავებული და რუსული და ისლამური ცივილიზაციების ვითომდა მსგავს ადგილობრივ ტრადიციულ ხასიათზე ანუ ორთოქსულ ფუნდამენტალიზმზე აპელირება, რაც ჭეშმარიტი ქართული მართლმადიდებლობისათვის და ტრადიციული ქართული კულტურისათვის ყოველთვის უცხო იყო. ქართული საზოგადოების რუსული და ისლამური საზოგადოების ანალოგიურად წარმოჩენა მოსკოვს ევრაზიულ წიაღში მისი მოქცევისათვის ესაჭიროება, მსოფლიო ცივილიზაციურ სისტემათა იმ რღვევის საზღვრების გაველებისას, რომლებიც სემუელ ჰანთინგტონის წარმოსახვით, თანდათანობით პოლიტიკური კავშირების გამყოფ საზღვრებად ჩამოყალიბდებიან.⁷⁰⁶ თუმცა საქართველოსათვის დასავლური ფასეულობანი, წარმოდგენილი თავისუფლების, თანასწორობის, დემოკრატიის, ლიბერალიზმით, ინდივიდუალიზმით, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის, თავისუფალი ბაზრის, კონსტიტუციონალიზმისა და ეკლესიისა და სახელმწიფოს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლობის იდეებით ძალზე მნიშვნელოვანია და არცერთ დასავლურ თუ სხვა ქვეყანაზე ნაკლებად მისაღები არ არის. შესაბამისად თითქოს არ უნდა მოიპოვებოდეს საფუძველი დასავლური ცივილიზაციისაგან საქართველოს დასაშორებლად და ევრაზიულ სივრცეში მისი გაერთიანებისათვის. კომუნისტური იდეები აქ უკვე საბჭოთა კავშირის დაშლამდე დიდი ხნით ადრე იყო საბოლოოდ უარყოფილი, ხოლო რუსული ცხოვრების წესისაკენ მისწრაფება თითქმის ყოველთვის ნულოვან წერტილზე იმყოფებოდა.

როგორც ჩანს, რუსეთის მმართველ წრეებს ჯერ ისევ ეიძებებათ საქართველოში მომხრეების გამოჩენა, მაგრამ „ორჯონიკიძის სინდრომი“ ქვეყანაში არსებითად აძლევს, ქართველები ძირითადად თავმოყვარე ხალხია, ხოლო პოტენციურ ქართველ მოლაღატეებს პატივმოყვარეობა არ აძლევს ქვეყანაშეღვარობის საშუალებას; დღეს პუტინის რუსეთის რეიტინგი იმდენად დაბალია ჩვენში, რომ ძნელად თუ რომელიმე მოლაღატე გაბედავს მისი მიმდევრისა და ამდენად საკუთარი ქვეყნის აშკარა მოლაღატის იარაღით იაროს. თუმცა თითო-ოროლა ხელაღებული ნაძირალა მაინც მოიძებნება, რომელიც მუდმივად ეწვევა თვითლუსტრაციას, რაც ამავე დროს, სამწუხაროდ ლუსტრაციის ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს ჩვენს

⁷⁰⁶ Huntington 1996.

ქვეყანაში. ამჟამად, რომ „პომო სოვეტიკუსების“ რიცხვი საქართველოში ბევრად უფრო ნაკლებია, ვიდრე ეს ამიერკავკასიაში და კერძოდ საქართველოში რუსული პოლიტიკის დამკვეთებს წარმოუდგენიათ.

ამავე დროს, გარკვეულ იმედებს ბადებდა ის მიმდინარეობა რუსულ საზოგადოებრივ აზროვნებაში, რომელიც ალექსანდრე სოლჟენიცინის სახელს უკავშირდებოდა და ფაქტიურად მარგინალური ადგილი უკავია დღევანდელი რუსეთის საჭეთმყრობელთა გვეგებში. ა. სოლჟენიცინის განცხადებით, მეცხრამეტე საუკუნის დამლევს რუსეთის იმპერიამ დაგვიმღ ან, როგორც მაშინ იტყოდნენ, ამ დაუცველი, უზარმაზარი ქვეყნის შესახებ, თავის „ბუნებრივ“ ტერიტორიულ სიდიდეს მიაღწია. ბევრ ადგილას საზღვრები შეესაბამებოდნენ ბუნებისაგან ბოძებულ გეოგრაფიულ პირობებს, მაგრამ ეს იყო ძალზე უცნაური იმპერია. ყველა სხვა იმპერია ყოველ დროს ცდილობდა მეტროპოლიის მამლარი ცხოვრების ტვირთი კოლონიების მხრებზე გადაეტანა და არსად სხვაგან სახელმწიფო სტრუქტურა არ იყო ისე მოწყობილი, რომლის თანახმადაც კოლონიის მცხოვრებელს მეტი უფლება და პრივილეგია ექნებოდათ, ვიდრე მეტროპოლიაში მყოფ ადამიანებს, როგორც ეს რუსეთში იყო.⁷⁰⁷ იგი ხაზს უსვამს, რომ ამიერკავკასიულ და ცენტრალურაზიური ქვეყნებიდან, სადაც რუს ხალხს ძნელად რომ რაჟე კარგი ელოდებოდეს, საჭიროა იმ მოსახლეობის სისტემატური გამოყვანა და რუსეთში მყარი პირობებით დასახლება, მაგრამ სულაც არა მეტისმეტად შეზღუდული დროის განმავლობაში, ხოლო ადგილზე დარჩენილების დასაცავათ, ან ორმაგი მოქალაქეობა უნდა დაწესდეს ანდა ეს ფუნქცია გაერომ უნდა იტვირთოს.⁷⁰⁸ სოლჟენიცინის განცხადებით, დროა რუსებმა ერთხელ და საბოლოოდ შეიგნონ, რომ ამიერკავკასიას, მოლდავეთს, ბალტიისპირეთსა და განსაკუთრებით ცენტრალურ აზიას თავისი საკუთარი გზა აქვთ მომავალში - არარუსული.⁷⁰⁹

მსგავსი განწყობების საპირისპიროდ, ჯერ კიდევ 1997 წლის მაისში ბ. ელცინმა განაცხადა, რომ "დასავლური ალიანსის ექსპანსიონისტური გეგმების" წინააღმდეგობის გასაწევად, მისმა ადმინისტრაციამ მიიღო გადაწყვეტილება საგარეო პოლიტიკის უმთავრეს მიზნად დაესახა „CHI“-ს ინტეგრაცია და ჩინეთთან კავშირების გაძლიერება. მოსკოვი ამასთანავე განაგრძობდა ირანისა და სხვა ფუნდამენტალისტური მუსლიმი ქვეყნების თავის სასარგებლოდ დამუშავებას. კასპიის ზღვის ნავთობის მიმართ დასავლური სახელმწიფოების ინტერესისა და ამავე რეგიონის ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების „CHI“-ში საბოლოო გათქვეფისაკენ მიმართული რუსული წინხისაგან თავდასაღწევად თურქეთისაკენ სწრაფვის გათვალისწინებით,

⁷⁰⁷ Solschenizyn 1994, 84.
⁷⁰⁸ Solschenizyn 1994, 125.
⁷⁰⁹ Solschenizyn 1994, 124.



რ. პაიპსის თვალსაზრისით, მოიპოვება იმის ვარაუდის შესაძლებლობა, რომ რუსეთის სამხრეთი საზღვრის გაყოფებით ახალი პოლიტიკური ვითარება ყალიბდება, რომლის გათვალისწინებით მოსალოდნელია წარმოიქმნას ცენტრალურ აზიასა და კავკასიაზე გამავალი ახალი აღმოსავლურ-დასავლური გეოპოლიტიკური რღვევის ხაზი (*fault line*).⁷¹⁰ მისივე აზრით, ამავე დროს ეს იქნებოდა ისტორიული თანაფარდობის დარღვევა თუკი რუსეთი არ გამოიყენებს შესაძლებლობას გახდეს სამყაროში არსებული ჭეშმარიტი ძალა და ისევ დაადგება მუქარასა და იძულებაზე დაფუძნებულ ძალის ილუზიას, ვინაიდან ცივი ომის ხანაში რუსეთი მიჩნეული იყო ზე-სახელმწიფოდ არა მისი ეკონომიკური ძლევამოსილებისა და ტექნოლოგიური დაწინაურების გამო, ანდა კულტურული მიღწევებისათვის, არამედ მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ფლობდა შეიარაღებას, რომელსაც შეეძლო გამოეწვია დედამიწაზე საყოველთაო განადგურება - ანუ ამ ქვეყნის შესაძლებლობის გამო ეწარმოებინა შანტაჟი. ზე-სახელმწიფოს სტატუსზე რუსეთის პრეტენზიების უსაფუძვლობა აშკარა გახდა უშუალოდ საბჭოთა კავშირის დაცემის შემდეგ: დიდიხნით დაყოფილი საშინაო რეფორმების ჩატარების მიზეზით მეტოქეობაზე უარის თქმამ, გამოაშკარავა, რომ რუსეთი სინამდვილეში წარმოადგენდა უცხოურ სესხებზე და ნედლი მასალის ექსპორტზე დამოკიდებულ მეორე-კლასის სახელმწიფოს.⁷¹¹

პუტინის რუსეთის მიერ დემოკრატიის სულ უფრო მზარდმა შეზღუდვამ და ირანის ბირთვული პროგრამების ხელშეწყობამ, შესაძლოა ამ ქვეყნის თანდათანობითი მოკვეთა გამოიწვიოს საერთაშორისო თანამეგობრობიდან, რაც მას კიდევ უფრო თავშეუკავებელსა და საწინააღმდეგო გახდის მეზობლებისათვის. იგი თავისი სუსტი მეზობლების სულ უფრო მეტი ინტენსივობით ჩათრევას შეეცდება საკუთარ ორბიტაში, რათა მარტო არ აღმოჩნდეს მსოფლიო „იზოლის“ არასახარბიელო როლში. მეორეს მხრივ რუსეთისადმი დამოკიდებულების მკვეთრი შეცვლა არ უნდა იყოს მთლად გამართლებული; რუსეთის ისტორიის კარგ მცოდნეებს თავიდანვე ექვევბოდათ რუსეთის „გადემოკრატიულობის“ არა თუ უმტკივნეულო მიმდინარეობა, არამედ საზოგადოდ ასეთი შესაძლებლობის არსებობაც კი. დასავლეთელი სპეციალისტები თანდათანობით სულ უფრო ხვდებიან, რომ რუსეთის პრობლემა მხოლოდ ბოლშევიკურ იდეოლოგიაში, მბრძანებლური მეთოდებით მართვად ეკონომიკასა და პოლიტიკურს ძალაუფლებაში არ ყოფილა, მათი მოცილების შემდეგაც იქ დემოკრატიამ ვერ იზეიდა; ამის მიზეზები ბევრად უფრო ღრმად არის საძიებელი. ზოგიერთი ფიქრობს, რომ რუსებისათვის სატანჯველად იქცა ზესახელმწიფოს სტატუსის დაკარგვა,

⁷¹⁰ Pipes 1997, 76.
⁷¹¹ Pipes 1997, 77.

რამაც გამოიწვია საყოველთაო დაბნეულობა და დიდი ტკივილი. ⁷¹² გასათვალისწინებელია, რომ რუსეთს, არც ბონაპარტიკულ საფრანგეთზე და არც ნაციონალურ გერმანიაზე გამარჯვების შემდეგ არ ჰქონია დემოკრატიული გარდაქმნებისაკენ სწრაფვის არავითარი ცდუნება.

ზბიგნიევი ბრეჟნისკი, გეოპოლიტიკის მამამთავართა დარად, აცხადებს, რომ ევრაზია მსოფლიოს ღერძული სუპერკონტინენტია და ის სახელმწიფო, რომელიც აქ გაბატონდება განახორციელებს გადამწყვეტ გავლენას მსოფლიოს ორ ყველაზე უფრო ეკონომიკურ პროდუქტიულ რეგიონზე სამიდან: დასავლეთ ევროპაზე და აღმოსავლეთ აზიაზე. ამავ დროს ევრაზიაში დომინირებული ქვეყანა ავტომატურად აკონტროლებს ახლო აღმოსავლეთსა და აფრიკას. ევრაზიისათვის, რომელიც ამჟამად ფუნქციონირებს როგორც საჭადრაკო დაფა, უკვე აღარ არის საკმარისი გამოიყენოს ერთი პოლიტიკა ევროპისათვის, ხოლო მეორე აზიისათვის. იმაზე თუ როგორ მოხდება ძალაუფლების განფენა ევრაზიის ვრცელ ფართობზე, დიდად არის დამოკიდებული ამერიკის პირველობა და ისტორიული მემკვიდრეობითობა. ⁷¹³ ამერიკის ხელმძღვანელობის ერთადერთი რეალური ალტერნატივა არის საერთაშორისო ანარქია. ბრეჟნისკის აზრით ქლინთონი მართალი იყო, როდესაც ამბობდა, რომ ამერიკა გახდა მსოფლიოსათვის "სრულიად აუცილებელი ქვეყანა". ⁷¹⁴ ბრეჟნისკი დარწმუნებულია, რომ თუ არჩევანი უნდა გაკეთდეს უფრო დიდ ევრო-ატლანტიკურ სისტემასა და რუსეთთან კარგ ურთიერთობას შორის, უპირატესობა პირველს უნდა მიენიჭოს. ბრეჟნისკის აზრით, იმის ნიშანი, რომ რუსეთმა გაწყვიტა კავშირი თავის იმპერიულ წარსულთან, იქნებოდა ახალი დამოუკიდებელი პოსტ-საბჭოთა ქვეყნების სიცოცხლისუნარიანობა და სტაბილურობა. მათი სიცოცხლისუნარიანობა გაანელებს რუსული იმპერიალისტური ცდუნებების ყოველ ნაშთებს. ახალი ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური მხარდაჭერა ინტეგრალური ნაწილი იქნება უფრო ფართო სტრატეგიის, რუსეთის ინტეგრაციისა კოოპერაციულ ტრანსკონტინენტურ სისტემაში. მისი აზრით, სუვერენული უკრაინის არსებობა კრიტიკულად მნიშველოვანი კომპონენტი იქნებოდა ასეთი პოლიტიკის, ისევე, სხვა საყრდენი ქვეყნების, როგორცაა, მაგალითად, აზერბაიჯანი ან უზბეკეთი. ასეთ შემთხვევაში არა-იმპერიალისტური რუსეთი, შესაძლებელი გახდებოდა განხილული ყოფილიყო, რეგიონის ძირითად ეკონომიკურ პარტნიორად, თუმცა უკვე აღარ მის იმპერიულ მმართველად. ⁷¹⁵

⁷¹² იხ. Sestanovich 1996, 3-4.

⁷¹³ Brzezinski 1997, 50-51.

⁷¹⁴ Brzezinski 1997, 52.

⁷¹⁵ Brzezinski 1997, 56-57.

რუსეთში დემოკრატიული ფასეულობების შეზღუდვა არ უნდა იყოს კარგი ნიშანი სხვა, პირველ რიგში მეზობელი, ქვეყნებისათვის. ეს ჯერ კიდევ ნიკოლოზ I-ის დროინდელი რუსეთის თვითმხილველმა და კარგმა მცოდნემ მარკიზ დე კიუსტინმა შენიშნა. მისი აზრით: "რუსი ხალხის ვულში გაღვივებული ზღვარგადასული და უზომო ამბიციაც, ერთ-ერთი იმ ემოციათაგანია, რომელიც მხოლოდ დაბეჩავებულთა შორის შეიძლება აღმოცენდეს და მთელი ერის უბადრუკობით ისაზრდოს. ეს არსებითად აგრესიული და ხარბი ხალხი – ხელმოკლეობის შემოქმედების შედეგი – დამამცირებელი მორჩილებით წინასწარ ინანიებს სხვა ერების მიმართ თავისი ტირანიის განხორციელების განზრახვას: ნანატრი დიდებისა და სიმდიდრის მოლოდინით წინასწარული ტკობა ნუგეშის მომგვრელია იმ შეურაცყოფისას, რომელსაც იგი განიცდის. ყველა საზოგადოებრივი და პიროვნული უფლებების სამსხვერპლოზე მიტანის მერე "განსაწმენდელად", ეს მუხლებზე მღვარი მონა მსოფლიოს დაპყრობაზე ოცნებობს".⁷¹⁶ იმავე, მეცხრამეტე, საუკუნის დამლევს ნ. ლესკოვი თავის "Загон"-ში გულნატკენი წერდა, რომ რუსეთში სულ უფრო ხშირად გაისმოდა ხმები ევროპისაგან "ჩინური კედლით" ქვეყნის გამოცალკეების მოთხოვნით. რუსეთს იგი ადარებდა ჩაბნელებულ ბაკს, "...темный загон, окруженный стеною, в которой кое-где пробивались трещинки, и через них в сплюснутую тьму сквозили к нам слабые лучи света".⁷¹⁷ რუსეთის ეს მხატვრული სახე ცხოვრებაში დიდი წარმატებით განახორციელეს ბოლშევიკებმა, რომლებმაც მოახერხეს ამ ქვეყნის გარე სამყაროსაგან თითქმის მთლიანი მოწყვეტა სამოცდაათწელზე მეტი ხნის განმავლობაში.

მეცხრამეტე საუკუნის გამოჩენილი რუსი მწერალი კ. სლუჩევსკი ერთგან ამბობს: "არიან მთელი ხალხები, თავიანთ თავს და სხვებსაც ცხოვრებას რომ არ ანებებენ..." ეს ყველაზე მეტად, სამწუხაროდ, თვით რუსებზე ითქმის. რუსეთთანაც, ისიც ალბათ გარკვეულ ფარგლებში, საქართველომ შეიძლება მხოლოდ კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობა იქონიოს, თუ კი თვით რუსეთი ამას დაყაბულდება.

უკანასკნელ ხანებში რუსეთმა კიდევ უფრო გაამკაცრა ზომები საქართველოს მიმართ. უფრო ადრე - მაგანმა ჩვენი ქვეყანა ყოველგვარი დასაბუთების გარეშე ტერორისტებთან ალიანსში დაადანაშაულა. საინტერესოა, რატომ დაგვადანაშაულეს, იქნებ მართლა ტერორისტები ვართ და არ ვიცით? მაშინ, რატომ არის რომ ამდენი წელია ვერ გადაგვიჭრია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა? ტერორისტები

⁷¹⁶ მარკიზ დე კიუსტინი 1990.

⁷¹⁷ Лесков 1988, 458-459.

თავიანთი ცივისსხლიანი გათვლებით, ხომ ხშირად აღწევენ ხოლმე დასახულ მიზნებს, გაიხსენეთ თუნდაც „დიდი ოქტომბრის რევოლუცია“.

რუსეთის პრაგმატული პრეზიდენტი „რუსული 11 სექტემბრის“ ანუ ბესლანის ტრაგედიის თავისი ქვეყნის იმპერიული მიზნებისათვის დიდი დენდების მისაღებად დაუყონებლივ გამოყენებას შეეცადა. არიელ ქონი შენიშნავს, რომ კრიზისების დროს ქვეყნები და მათი ლიდერები უბრუნდებიან ხოლმე დროის მიერ გამოცდილ პოლიტიკურ ინსტინქტებსა და შაბლონებს⁷¹⁸. გარდა ამისა ადგილი უნდა ჰქონოდა ძალაუფლების აქტიური ცენტრალიზაციისა და დემოკრატიზაციის კურსისაგან ფაქტიური გადახვევის დიდი ხნის ნანატრ მისწრაფებას. სთივენ სესტანოვიჩი განცხადებით, უკანასკნელი წლის განმავლობაში სულ უფრო მეტი ადამიანი მიდის იმ დასკვნამდე, რომ რუსეთში პოლიტიკური პროცესი სულ უფრო ნეგატიური მიმართულებით იწყებს განვითარებას და რუსეთის პრეზიდენტის იმიჯიც, შესაბამისად, თანდათანობით უარესდება⁷¹⁹.

ვლადიმერ პუტინი ბესლანის ტრაგედიის სათავეს საბჭოთა პერიოდთან შემორჩენილ პრობლემებში ეძებს, კერძოდ, მისი აღიარებით, საბჭოთა იდეოლოგიამ ჩაახშო რეალურად არსებული ეთნიკური კონფლიქტები და არ დაგვიტოვა ახალი უსაფრთხო საზღვრები. ამ სიტყვებმა პირადად მე შთაბეჭდილება შემიქმნა, რომ ისინი დაწერილი უნდა ყოფილიყო (და იქნებ წარმოსახვაში ზოგჯერ თავისებური სიტყობითი განმეორებულებაც) სულ სხვა შემთხვევის მოლოდინში, მაგ., ქართული სამხედრო ნაწილების ცხინვალში შესვლისა და შემდეგ რუსეთის არმიის მიერ იქიდან ძალით მათი გამოძევებისა და საერთაშორისო აუდიტორიის წინაშე "სამხრეთ ოსეთის" რუსეთისათვის იძულებითი მიერთების გასამართლებლად (ვითომდა ქართველთა მიერ მოწყობილი ენოციდისაგან თადარიგთანად გარუსეთებული ოსების გადარჩენის მიზნით). რუსეთის პრეზიდენტი, რა თქმა უნდა, ვერ იტყოდა, რომ საბჭოთა რეჟიმი კი არ ახშობდა, არამედ ხელოვნურად ქმნიდა და შემდეგ რუსეთის ინტერესებისდა მიხედვით აღვივებდა ხოლმე ეროვნულ კონფლიქტებს. რაც შეეხება შენიშვნას ახალი, უხიფათო საზღვრების სასურველობის შესახებ, ეს რა თქმა უნდა ნიშნავს, უსაფრთხოსა და ხელსაყრელს რუსეთის იმპერიული თვალთახედვით და სახიფათოს სხვათათვის, კერძოდ, საქართველოსათვის. მაგალითად, ე.წ. სამხრეთ ოსეთის საზღვრის უკიდურესი სამხრეთ-აღმოსავლეთი პუნქტი, რუს სამხედროთა სასიხარულოდ, საქართველოს დედაქალაქიდან სულ რამდენიმე ათეული კილომეტრითაა დაშორებული.

⁷¹⁸ Coen 2004.

⁷¹⁹ იხ. Блинов 2004.

გასათვალისწინებელია, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთის ფლობის საშუალებით რუსეთს საუკეთესო პლაცდარში ექმნება დანარჩენი საქართველოს წინააღმდეგ. როგორც ჩანს, ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისშიც ისევ ისეა აქტუალური კავკასიონის ზეკარებისა თუ გასასვლელების ხელში ჩაგდების პრობლემა, როგორც ანტიკურ ხანაში ან შუა საუკუნეებში. არავინ მისცემს ჩრდილოეთიდან მომდგარ რუსეთს ბირთვული რაკეტებისა და ბომბდამშენების გამოყენების უფლებას სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ, ხოლო როკის გვირაბით კაზაკი მოხალისეების შემოსვლა და „სამხრეთ ოსეთში“ მცხოვრები „რუსეთის მოქალაქეების“ „დასაცავად“ ტექნიკის შემოყვანა შედარებით განსხვავებული ჟღერადობის საკითხია. ამიტომ ნუ გვექნება იმის იმედი, რომ როდესმე რუსეთი თავისი ნებით მოგვეცემს როკის გვირაბის გაკონტროლების უფლებას ან ჩვენ, ან მსოფლიო ორგანიზაციების წარმომადგენლებს. ამას, თუ არ იქნა საერთაშორისო საზოგადოებრიობის ძალისხმევა, ვერავითარი შერეული საკონტროლო კომისიის სხდომები ვერ უშველის. ეგ გვირაბი მაგისტრის არ გამოუყვანიათ! შიდა ქართლის ჩრდილოეთ ნაწილში რუსეთი კარგა ხანია ქმნის თავისთვის საყრდენს ანუ ხელოვნურ წარმონაქმნს – „სამხრეთ ოსეთს“. ამ მხრივ, საყურადღებოა ჯერ კიდევ 1816 წელს, თბილისის სამოქალაქო გუბერნატორის გენერალ-მაიორ ჰოვენის ზემოძოყვანილი შეკითხვა მთავარსარდლის ა. ერმოლოვის სახელზე, რომელიც შიდა ქართლში არსებულ გაუსაძლის პირობებს ასახავა აქ რუსული ხელისუფლების მიერ ინიცირებული ოსთა ჩამოსახლების პროცესთან დაკავშირებით⁷²⁰. შიდა ქართლში ოსებისათვის განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობების შექმნა, განპირობებული იყო სურვილით, რომ აქ მათი კომპაქტური დასახლების შექმნის შემდეგ, იმპერიის ხელისუფალთ მიერ კავკასიონის ქედის გადაღმა მდებარე პლაცდარში, რომელიც რუსეთს თბილისის ეფექტური კონტროლის საშუალებას მისცემდა იქ მისთვის არასასურველ მოვლენათა აღმოცენების შემთხვევაში.

ზემოთ დასახელებულ წერილში ა. ქონი აღნიშნავს, რომ რუსეთი თანდათანობით ახდენს ქართული პროვინციების – აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის – შთანთქმას, ხოლო ჩეჩნებს თავისი ქვეყნიდან გამოყოფის უფლებას არ აძლევს, თუმცა ქართული პროვინციების მიმართ თავისი დამოკიდებულებით, თვითონვე ხელს უწყობს ჩეჩნური სეპარატიზმის გაძლიერებას და ბიძგს აძლევს პოსტ-საბჭოთა სივრცის სხვა რეგიონებში საზღვრების გადასინჯვის ტენდენციას. ავტორის შეფასებით, მეზობელთა ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა მიუღებელია ამერიკის შეერთებული შტატებისათვის და სახიფათოა რუსეთისათვის. ა. ქონი ეტყობა არ აცნობიერებს იმ გარემოებას, რომ „СНГ“-ს ჩამოყალიბება რუსეთს სწორედ

⁷²⁰ Потто 1904, 484-489.

იმისთვის სჭირდებოდა, რომ სხვათა ჩაურევლად ეჭრა და ეკერა ეს სფერო ისე, როგორც მოესურვებოდა. სწორედ „CHI“-ში 1993 წლის დამლევს საქართველოს შეთრევით რუსეთმა გარკვეული "ლეგიტიმიზაცია" გაუკეთა მის მიერ აფხაზეთის ფაქტობრივ ოკუპაციასა და თავისი საჯარისო ფორმირებების სხვადასხვა ფორმით იქ ყოფნას. ა. ქოენი, ვფიქრობ, მეტად რბილ ფორმულირებებს იძლევა, როდესაც აცხადებს, რომ რუსეთი კითხვის ქვეშ აყენებს საქართველოს სუვერინიტეტს და თავის საზღვრებთან ცვალებად პოლიტიკას ატარებს. სინამდვილეში რუსეთი არავითარ შემთხვევაში არ სცნობს ფაქტიურ დონეზე საქართველოს სუვერინიტეტს, რომელსაც ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში არღვევს კიდევაც; ვერც ცვალებადს ვერ ვუწოდებთ რუსეთის დამოკიდებულებას საქართველოსადმი, იგი ყოველთვის მაქსიმალური მიზანსწრაფვით და დაუფარავი ცინიზმით ცდილობდა მხოლოდ მისი იმპერიული ზრახვებისადმი მომგებიანი პოლიტიკა გაეტარებინა რეგიონში და სეპარატისტების წახალისებით საქართველოსათვის ფეხზე წამოდგომის საშუალება არ მიეცა.

აღნიშნულ ტექნოლოგიას რუსეთის მმართველები, როგორც ირკვევა, საკმაოდ კარგად იცნობენ; ბესლანის ტრაგედიიდან სამი დღის მერე, ვ. პუტინმა განაცხადა, დასავლეთი მხარს უჭერს ჩეჩნებს, რათა რუსეთს მიწაზე მყარად დადგომის საშუალება არ მისცესო და დასძინა, რომ არავის არ უნდა აწყობდეს დედამიწის ნებისმიერ წერტილში ტერორისტების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდება. ამას აცხადებს იმ ქვეყნის პრეზიდენტი, რომელმაც ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ აფხაზეთში ძალაუფლება ხელში ჩაეგდოთ ტერორისტებს, რომლებიც იმავე ქვეყნის შესვეურთა წაქეზებითა და ხელშეწყობით ხოცავდნენ მშვიდობიან მოსახლეობას მხოლოდ მათი ქართველობის ნიშნით და ამის შემდეგაც, თორმეტი წლის განმავლობაში, ყოველნაირ მფარველობასა და დახმარებას უწევენ იმავე ტერორისტებს.

ძირითადი მიზეზი მთელი ჩვენი უბედურებისა თავისუფლებისადმი ჩვენი დაუოკებელი სწრაფვაა, რაც ვერავითარმა წინააღმდეგობამ ვერასოდეს ვერ ჩაკლა და აგრეთვე ჩვენი ქვეყნის სტრატეგიული მდებარეობა, რომელიც უარყოფითთან ერთად ბევრ დადებით ასპექტსაც შეიცავს თავისუფლების მისაღწევად. ჩვენი ქვეყნის მთელი ისტორია ხომ გამუდმებული თავდაცვაა, ალბათ ამიტომ განგებამ თავდასაცავად მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე უფრო თვალშეუღღამი საოცრება – დიდი კავკასიონის მთაგრებილი ვალაუნად შემოგვავლო და ამით თითქოს ჩრდილოეთის უკიდვანო ტრამალებიდან მომდინარე საფრთხეს გავგარიდა. მაგრამ მეთვრამეტე საუკუნის დამლევს სწორედ ჩრდილოეთიდან გადმოსული ერთ-მორწმუნე რუსეთი აღმოჩნდა ის ერთადერთი ძალა, ვინც მოახერხა ქართული სამეფოს საბოლოო გაუქმება.

ომიერკავკასიიდან მომდგარი ნებისმიერი ძალისა და განსაკუთრებით აგრესიული რუსეთის იმპერიის მიზნები ბუნებრივია კავკასიონის ქელს გადმოღმა არსებული წარმოდგენების სრულიად საპირისპირო იქნებოდა. ეს უნდა იყოს საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის მიერ უკანასკნელ ხანებში, ანუ მას შემდეგ რაც საქართველომ გამოავლინა დამოუკიდებელი განვითარებისა და დაკარგული თავისუფალების დაბრუნების სურვილი, განხორციელებული მტრული პოლიტიკის მიზეზი. აღნიშნული გარემოება ქვეყანას დიდი გასაცდელს უშზადებს და შესაბამისად ძალთა და რესურსების სრული მობილიზებისაკენ უნდა უბიძგებდეს. რუსეთი, ბუნებრივია, ცდილობს არ მოგვეცეს ამის საშუალება და ამის განხორციელებას არცთუ იშვიათად ისევ ჩვენივე საშუალებით ახერხებს ხოლმე.

არადა მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში საქართველოსთან ამჟამინდელი დაპირისპირება რუსეთისათვის წამებებიანია. ეს არ არის მხოლოდ დიდი და პატარა ქვეყნის კონფლიქტი, იგი სულ უფრო იღებს იმპერიული აზროვნების ძლიერი ქვეყნის დაპირისპირების ხასიათს დემოკრატიული გარდაქმნების გზაზე მდგარ პატარა და დიდი მეზობლის მიერ ხელოვნურად დაუძღურებულ ქვეყანასთან. ასეთი პოზიცია საქართველოს განუზომლად დიდ მორალურ უპირატესობას ანიჭებს რუსეთთან მიმართებაში და ყოველად დაუშვებელია პოპულიზმისა თუ რომელიმე ოპოზიციურად განწყობილი ძალის საამებლად მისი დათმობა. ამიტომ ცდილობს მოსკოვი სეპარატიზმის მაქსიმალურად გაღვივებას საქართველოს ტერიტორიაზე და თბილისის პროვოცირებას შექმნილი მდგომარეობის თვალთახედვიდან არაადეკვატური ნაბიჯების გადასადგმელად. რუსეთს არა იმდენად აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის შთანთქმა ესაჭიროება, რამდენადაც მათი ფაქტიური გაკონტროლებით საქართველოს არშემდგარ სახელმწიფოდ წარმოჩენა და არა მარტო პოლიტიკურად მისი ჩამოყალიბებისათვის ხელის შეშლა, არამედ სრული ეკონომიკურ სტაგნაციაში მოქცევა; ყოველივე ეს კრემლის ჩანაფიქრით, მისთვის საქართველოს ადვილად დაუფლების პერსპექტივას უნდა ქმნიდეს.

ადვილი საფიქრებელია, რომ თუ არა დასავლეთის, პირველ რიგში შეერთებული შტატების დახმარება, თბილისი უკვე დიდი ხანია იქნებოდა რუსეთის გენერალიტეტის მსხვერპლი. ამიტომ გაკვირვების გარდა, არაფერს იწვევს ზოგიერთ ჩვენს ვითომდა პატრიოტულ წრეებში გავრცელებული გამოთქმა, რომ „ოსმანა და აღია, ორივე თათარია!“, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ეროვნულობისა და თავისუფლების შესანარჩუნებლად, ორივემ, რუსეთმაცა და ამერიკამაც, თავი უნდა დაგვანებონ. თითქოს ამერიკაც რუსეთის მსგავსად შემოჭრილია ჩვენს ქვეყანაში, მოწყობილი აქვს სამხედრო ბაზები, სადაც მოთავსებული ჰყავს ფაქტობრივად საოკუპაციო ჯარი, ხოლო ჩვენგანვე მიტაცებული რეგიონები დაცული აქვს ვითომდა

თავისი "შშვიდობისმყოფელებით" და ამასთანავე ტოტალური ძირგამომ-
თხრელი საქმიანობით დღენიდავ ჩვენს დაქცევასა და ამოძირკვას
ცდილობდეს და თითქოს ჩვენც მათგან ორივესაგან ("ოსმანასა და ალიასა-
გან") ჩვენი საშობლოს განთავისუფლებას უნდა ვესწრაფოდეთ. რაც ყვე-
ლაზე უფრო საინტერესოა, ეს გამოთქმა, თითქმის ყოველთვის, მხოლოდ
ამერიკელების მისამართით არის ხოლმე ნათქვამი. როგორც ჩანს, „მთქმე-
ლები“ იმედოვნებენ, რომ "ოსმანა" (ანუ პირობითად ამერიკა) წავა "თავის
სახლში", დედამიწის დასავლეთ ნახევარსფეროში, ანუ საბოლოოდ ზურგს
შეგვაქცევს და "ალიას" (ანუ პირობითად რუსეთს) დარჩება „ბურთი და
მოედანი“. ეს გაკვეთილი უკვე წარმატებით ჩაგვიტარეს 1920 წელს,
როდესაც ე. წ. ინგლისელი იმპერიალისტები განუდევნეთ და ამის შემდეგ
მხოლოდ ნახევარი წელი გაეძელით. ამის შემდეგ საქართველოში სისხლის
გუბეები ჩაღვა.

არადა შეერთებულ შტატებს თავისი წილი პასუხისმგებლობა
აწევთ მთელ იმ უბედურებაში, რაც ჩვენ ქვეყანას უკანასკნელი თხუთმეტი
წლის განმავლობაში გადახდომია. მხედველობაში მაქვს ის გარემოება, რომ
მოუხედავად რიტორიკული მხარდაჭერისა ვამინგტონმა ნება დართო
რუსეთს, გადაემტებინა ამიერკავკასიაში თავისი უფლებებისათვის (გასათ-
ვალისწინებელია, რომ საზოგადოდ ამერიკის პოლიტიკას რუსეთის მიმართ,
ჰენრი ჟისინჯერმა უკვე კარგა ხანია, რაც უწოდა "ფსიქიატრიის ერთ-ერთი
განშტოება". მისი აზრით, აზიაში აგრესიული პოლიტიკით რუსეთი თავისი
დაკარგული პრესტიჟის აღდგენას ცდილობს), რითაც ფაქტობრივად ძირი
გამოუთხარა საქართველოს სუვერენიტეტს. კერძოდ, ბილ ქლინთონის ად-
მინისტრაციამ იმ იმედით რომ რეგიონში ახალი, დემოკრატიული რუსეთი
სასიკეთოდ გაისარჯებოდა, მას აქ ხელი გაუხსნა და რეგიონის რუსეთთან
ნებაყოფლობითი რეინტეგრაცია დასაშვებად მიიჩნია.⁷²¹ სწორედ ამის შემ-
დეგ იყო, რომ მგონი წისქვილის ქვაც კი დატრიალდა ჩვენს თავზე, განსა-
კუთრებით კი აფხაზეთში მცხოვრებ ჩვენს თანამამულებზე. იმედის მომცე-
მია, რომ დღეს მსოფლიო საზოგადოებრიობა ბოლოს და ბოლოს ხვდება თუ
რა ხდება კავკასიაში. დროა ერთმნიშვნელოვნად ითქვას, რომ რუსეთი და
განსაკუთრებით ამჟამინდელი რუსეთი ვერ იქნება სიკეთის, შშვიდობისა და
განვითარების მომტანი კავკასიაში (თუმცა კი „კულტურტრევერობის“
პრეტენზია მას აქ ყოველთვის ჰქონდა და რამდენადაც უცნაურად არ უნდა
ჟღერდეს დღესაც აქვს). რუსეთის თითქმის სამსაუკუნოვანი ძალისხმევის
შედეგად, ძველი, რაინდი კავკასიელების ნაცვლად დაუნდობელი ტერორ-
ისტები ან ყოვლად უბადრუკი, ზომბირებული „პომო სოვეტიკუსები“ მოგ-
ვევლინენ.

⁷²¹ იხ. Starr 1997, 20, 27.

საკუთრივ საქართველოშიც, სადაც რუსეთმა შედარებით ნაკლები მენტალური დაღის დასმა მოახერხა, დროა მივხვდეთ, რომ რუსეთი, ვიდრე ის თავის იმპერიულ პოლიტიკას თავს არ დაანებებს, სინამდვილეში ერთადერთი ჩვენი არაკეთილმოსურნეა, რომელსაც არ შეიძლება აწყობდეს კავკასიონის ქედის გადმომლა მისი იმპერიული მიზნებისათვის გზის ჩამკეტი ქვეყნის არსებობა, მას ჩვენი მიწა-წყალი მხოლოდ პლაცდარმად ესაჭიროებოდა ყოველთვის და დღესაც ესაჭიროება. თავისი ნებით იგი არასოდეს არ შეურიგდება არც საქართველოს დამოკიდებულ სახელმწიფოებრივ არსებობას და არც ჩვენი ერის თავისუფალ განვითარებასა და ერთიანობას. არ უნდა დაგვავიწყდეს ჯერ კიდევ 1919 წელს ივანე ჯავახიშვილის მიერ ნათქვამი სიტყვები, რომ *“თუ საქართველო თვითონ დამოუკიდებლად აწარმოებდა პოლიტიკას, მაშინ იყო მისი რენესანსიც. როდესაც კი საქართველო უახლოვდებოდა რუსეთს, მაშინ მისი საქმეები აირეოდა, რადგანაც რუსეთის პოლიტიკაში სრულებითაც არ შედიოდა საქართველოსათვის დახმარების გაწევა. რუსეთს თავისი მიზნები ჰქონდა...”*⁷²²

რაოდენ დიდი წარმატებებისათვისაც არ უნდა მიეღწია რუსეთს კულტურასა და მეცნიერებაში, ამ ვეებერთელა ქვეყნის უკიდევანო სივრცეები ანუ ევრაზია მთლიანობაში ყოველთვის იყო მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უფრო რეტარდულ და დამანგრეველ ძალთა საბუდარი. აქ იღებდა სათავეს და თანდათანობით ყალიბდებოდა ბარბაროსული ძალების შეტევა დანარჩენ სამყაროზე. უკანასკნელ ასეთ გამოვლინებას აქ კომუნისტური საზოგადოების გაბატონება წარმოადგენდა. ყველა ნიშანი მოიპოვება იმის სავარაუდოდ, რომ ეს სამწუხარო ევრაზიული ტრადიცია დღესაც იკრებს ძალებს და მის პირველ მსხვერპლად საქართველოა გამიზნული. ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში რუსეთის პრეზიდენტი და მმართველი წრეები ისევ ადრეული შუა საუკუნეების წარმოდგენებით საზრდოობენ და თავისი ავადმყოფური იმპერიული მისწრაფებებით იმპულს აძლევენ და ძალას მატებენ გლობალურ ტერორიზმს. ყოველი ქმედება ხომ უკუქმედებას იწვევს, ეს არ არის მხოლოდ ფიზიკური კანონი, ეს საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების კანონიცაა.

თავის ორბიტაში საქართველოს დასაბრუნებლად და თავის ხელში საბოლოოდ მის ჩასაგდებად, რუსეთს აუცილებელ წინაპირობად გარესამყაროსაგან საქართველოს იზოლირება ესაჭიროება, ეს კი აქ რელიგიური შეუწყნარებლობისა და ქსენოფობიის აღზევებით თუ მიიღწევა. საბედნიეროდ, არც ერთი ეს სენი, როგორც უკვე ზემოთ ითქვა, ჩვენი ხალხის ხასიათში არასოდეს არ ყოფილა და იმედია არც ერთი ჭეშმარიტად ქართულ ტრადიციებზე აღზრდილი ადამიანი ჩვენი რწმენის, ქვეყნის, ერის,

⁷²² ჯავახიშვილი 1919.

კულტურისა და მომავლის დამღუპველ ამ ანკესზე არ წამოეგება, რადგან საც ზოგიერთები, სხვათა დავალებითა თუ უვიცობით, ცდილობენ გლობალიზაციის "მაწე" პროცესებისაგან ჩვენს ერთადერთ გადამრჩენ საშუალებად წარმოგვიდგინონ. ეროვნული კულტურის განვითარებისათვის გლობალიზაციის ხელისშემშლელ გარემოებებზე ალბათ აჯობებდა ფრანგებს, ჩინელებს, ინგლისელებს, რუსებს, გერმანელებს, იტალიელებსა და სხვ. „ძლიერეთა ამა ქვეყნისა“ ემსჯელათ, ჩვენ კი ჩვენი ჯერ კიდევ გავერანებული და გაგლეჯილი ქვეყნის ფეხზე წამოსაყენებლად უნდა ვიღვაწოთ; თორემ გასული საუკუნის ათიანი წლების მსგავსად, ისევ ტრაგიკომიკურ მდგომარეობაში აღმოვჩნდებით, როდესაც ერი და ქვეყანა ხელიდან გვეცლებოდა, ქართველი სოციალისტები კი მსოფლიო რევოლუციის ბედზე ზრუნავდნენ.

რაც შეეხება თვით გლობალიზაციის პროცესს, მასთან დაპირისპირება ქარის წისქვილებთან ბრძოლას თუ შეედრება, რომელთა სასიკეთო, დანიშნულებისამებრ გამოყენება აჯობებდა. ამასთან დაკავშირებით არ იქნებოდა ურიგო მკითხველისათვის შეგვეხსენებინა, რომ თავისი ეპოქის „გლობალიზაციური“ ხასიათის პროცესმა – ელინიზმმა განაპირობა ამჟამად არსებული ქართული სახელმწიფოებრიობის წარმოქმნის დაჩქარება, ხოლო უმნიშვნელოვანესი მსოფლიო მოვლენის – ქრისტიანობის საქართველოში შემოსვლამ, ჩამოაყალიბა ქართული კულტურა, მენტალიტეტი და მნიშვნელოვანწილად განაპირობა ქვეყნის ისტორიული ბედი და მომავალი. ამავე დროს მრავალი ერი და ქვეყანა, ვინც ვერ შეძლო შევუება დროის მოთხოვნებთან „აღიგავა პირისაგან მიწისა“.

რუსეთს დღეს, რა თქმა უნდა, აწყობს ისეთივე არადემოკრატიული, კორუპტირებული და ოლიგარქიული ნომენკლატურის მქონე გარემოს აღორძინება, როგორც თვით რუსეთშია, მაშინ აღარაფერი დააბრკოლებდა ერთნაირი რეჟიმის მქონე „იზგოების“ დაახლოებას, უფრო ზუსტად, დიდი „იზგოს“ მიერ პატარა „იზგოს“ შთანთქმას, ვინაიდან ამ უკანასკნელს საშველად აღარავინ გამოუჩნდებოდა. სწორედ აქეთკენ მიექანებოდა საქართველო წინა წლებში და სწორედ ამიტომ არ უნდა დავუშვათ ჩვენთვის უცხო და დიდი რუსეთისათვის ტრადიციულობით ჩვეულად შენიღბული ფუნდამენტალიზმის აღმოცენება ქვეყანაში. არადა ჩვენში მოვლენათა ასეთი განვითარებისათვის ყველა წინამძღვრები შეიქმნა. ასეულ ათასობით ადამიანების დევნილებად ქცევა საკუთარ სამშობლოში, ათეულ ათასობით დახოცილი, გადაშწვარი ან წართმეული სახლები, მთელ საქართველოში ცხოვრების ყოვლად გაუსაძლისი, არაადამიანური პირობების ჩამოყალიბება; განა ყოველივე ამის შემდეგ ამ ხალხისაგან ვინმე ძმობას, მეგობრობას და კეთილშეზობლურ დამოკიდებულებას უნდა ელოდოს? რა

თქმა უნდა არა! ამ აქციის ერთ-ერთი ჩაფიქრებული შედეგი მათი საბრძოლო გაბოროტება და საქართველოში ფუნდამენტალიზმის აღმოცენებისათვის გზის გაკაფვაა. ამის შემდეგ კი ერთიანი იდეოლოგიური და მენტალური ფონის ჩამოყალიბების შემდეგ ალბათ უფრო ადვილი გახდებოდა ისევ აღდგენა „ძმური კავშირისა“ – *ღვთის პირისაგან გადავარდნილთა და დაწყველილთა კავშირისა.*

საქართველო ერთნაირი სისხლის ჯგუფისა თუ გენეტიკური კოდის მქონე მოსახლეობის მიერ შექმნილი ქვეყანა კი არ არის, არამედ თანამოაზრეთა ერთობლიობა, რომელიც იზიარებს ამ ქვეყნის არსებობის პრინციპებსა და მიზნებს, საქართველო ერთი ნებითა და სულით შედუღებული ადამიანების ნაერთია. ქართველობა, ახლო აღმოსავლეთისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის უძველესი ცივილიზაციების შექმნელთა და ჩრდილოეთიდან შემოსულ, ადრეულ ხანებიდანვე ჩვენი ჭირ-ვარამის გამზიარებელ და ჩვენთან ერთად საქართველოსთვის თავდაუზოგავ მებრძოლ იმიერკავკასიელთა, ნაჯვარია. მომხდურთა ცალკეული ჯგუფები არცთუ იშვიათად სახლდებოდნენ საქართველოს ტერიტორიაზე და ქართველ მეფეთა ერთგული ქვეშევრდომები და საიმედო საყრდენი ხდებოდნენ ევრაზიის მუდმივად ფეთქებადი სამყაროდან გადმოსულ გადამთიელთა შემდგომი ტალღების მოგერიების დროს. შეიძლება ითქვას, რომ ამ პროცესს ქვეყნის ისტორიაში პერმანენტული ხასიათი ჰქონდა. სხვა საკითხია, რომ ამ ნაერთმა სრულიად უნიკალური შედეგი მოგვცა, ხალხი, ყველასაგან განსხვავებული ენის, კულტურისა და მენტალიტეტის შემოქმედი. „ენა, მამული და სარწმუნოება“ იყო ქართველი ერის შემოქმედი და არა ამ ერის შემადგენელთა ბიოლოგიური მონაცემები, რომლებიც ერთმანეთისაგან, თვით ცალკეული კუთხვების მოსახლეობის წიაღშიც კი, ჩვენ უფრო მეტად განსხვავებული გვაქვს, ვიდრე ეს სხვა ქვეყანათა უმრავლესობაში შეინიშნება, რაც, ქართული ენის მონაცემებთან ერთად, ჩვენი ერის დიდი სიძველისა და გრძელი და აქტიური ისტორიული გზის გავლის უტყუარი მოწმობაა.

კავკასიონის ქედის გადაღმა-გადმოდმა ადამიანის ცხოვრება პოლიტიკურ პოზიციასა და მენტალიტეტსაც კი თვისობრივად ცვლიდა. ახალმოსახლენი საერთო ამიერკავკასიული მისწრაფებებითა და ცხოვრებით არსებობდნენ და ყოველი მომხდური მათთვისაც ძირძველი მოსახლეობის მსგავსად, არასასურველი და საზიფათო ხდებოდა. როგორც უკვე დღევანდელი დღის გადასახედიდან ვიცით, მდგომარეობა რადიკალურად განსხვავებული ხდება, გარეშე დამპყრობელი ძალის მიერ გადმოსახლებულთა მენუთე კოლონად გამოყენების შემთხვევაში.

რუსეთის მიერ ადრე განცდილი წარუმატებლობით დაჭრილ პატივმოყვარეობას და ამჟამინდელ მზარდ ამბიციებს საქართველოს ანექსია

დაედებოდა მაღამოდ. დაბალი ღობეების გადათელვა ხომ ამ ქვეყნის მმართველთა ტრადიციული და საყვარელი საქმიანობაა. რუსეთში ქართველოფობიის მთელი დღევანდელი პარპაშვიც იმის მანიშნებელი უნდა იყოს, რომ საქმე საკმაოდ სერიოზულადაა და „ჩრდილოელი დათუნიაც“ მოსალოდნელი ლუკმით პირის ჩაგემრიალებას აპირებს. ჩვენი სახელმწიფოებრიობის ხელყოფის ყოველ ცდას საღი გონებითა და მტკიცე ნებით ანუ ღირსეულად უნდა დაუხვდეთ. ღირსება არა მარტო ადამიანებისთვის არის საჭირო, ქვეყნისათვის მას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

ჩვენი და სხვათა სისხლისღვრა თავიდან რომ იყოს აცილებული, ეს დიდი ქვეყანა უნდა დარწმუნდეს, რომ მას აქ ძლიერი და ძნელად გადასალახავი წინააღმდეგობა დახვდება. თავდაცვისათვის მზადყოფნა ხომ მშვიდობის ყველაზე ნაღდი გარანტიაა. სხვა ვერაინ, დიდი სურვილიც რომ ჰქონდეს, ჩვენ გასაკეთებელ საქმეს ვერ გააკეთებს. სხვა საქმეა, რომ მსოფლიო პოლიტიკურ ძალთა კონსტელაცია თითქოს იმედის გადაწურვის უფლებას არ უნდა გვაძლევდეს.

დღევანდლობის გადასახელიდან, ამიერკავკასია (და კერძოდ საქართველო) მდებარეობს არა მხოლოდ გეოგრაფიულად – დედამიწის ოთხივე მხარის გზაჯვარედინზე – არამედ გზაჯვარედინზე ქრონოლოგიური თვალთახედვითაც – ძველ, ტოტალიტარულ და ახალ, დემოკრატიულ სამყაროებს შორის. ორივე ეს გზაჯვარედინი ამავე დროს ერთმანეთთან არის გადახლართული; ამიერკავკასიის ჩრდილოეთითა და აღმოსავლეთით ჯერ ისევ არიან განლაგებული ფაქტობრივად ტოტალიტარული ქვეყნები, ხოლო დასავლეთითა და სამხრეთით – მეტნაკლებად დემოკრატიული ცხოვრების წესის მქონე, ან დემოკრატიული გარდაქმნების გზაზე მდგარი საზოგადოებები. აღსანიშნავია, რომ დღევანდელ მსოფლიოში ქვეყნები განიჩქევიან არა გეოგრაფიული ან გეოპოლიტიკური დაჯგუფების პრინციპებით, არამედ უფრო თავისი კუთვნილებით თუ დაპირისპირებით ლიბერალურ-დემოკრატიული ფასეულობებისადმი. ყოველ შემთხვევაში, ევრო-ატლანტიკური ერთობისადმი კუთვნილება, მასში შემავალი ქვეყნების მიერ სწორედ ამ ფასეულობათა გაზიარების კრიტერიუმებით განიზომება.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, საკონტაქტო, თუ გამყოფ, ზონაში საქართველოს ოდინდელი მდებარეობა იყო ძირითადი მიზეზი მასზე ბარბაროსული საზოგადოებებიდან მომდინარე მუდმივი გარეგანი ზეწოლისა ანუ “გამოწვევის” (*challenge*), რაც, ბუნებრივია, განაპირობებდა მისივე სიმეტრიულ რეაქციას ანუ “პასუხს” (*response*). ამრიგად, გეოპოლიტიკური ხასიათის ფაქტორებმა არა თუ გამოიწვიეს თავის დროზე ცენტრალურ ამიერკავკასიაში სახელმწიფოს წარმოქმნა-ჩამოყალიბება, არამედ განსაზღვრეს კიდევაც მისი “არსებობის არსი” (*raison d'être*). შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს პოლიტიკური ისტორია, სხვა ამიერკავკასიული

ქვეყნების მსგავსად, ძირითადად განპირობებული იყო ამიერკავკასიის მდებარეობით დიდი კავკასიონის მთაგრებილის სამხრეთით. ეს მთაგრებილი ქმნიდა ტენილს (გეოლოგიური "რლვევის ხაზის" მსგავსად) არა მხოლოდ გეოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური ეთნო-კულტურული, არამედ მსოფლიოს გეოპოლიტიკური დაყოფის თვალსაზრისითაც. კავკასიონის წყალგამყოფი ქედის, მსოფლიოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ბუნებრივი გამყოფის, გადმოღმა საქართველოს მდებარეობა, როგორც ჩანს, თავისთავად არის მისი გეოპოლიტიკური პოზიციის დეტერმინანტი, ხოლო კავკასიონის ზეკარების კონტროლის საჭიროება - უმთავრესი სახელმწიფოებრივი ფუნქცია მსოფლიო პოლიტიკის გადასახედიდან.

საქართველოს კატასტროფა შეეძლო განეპირობებინა მხოლოდ თვით ამ ქვეყნის ხელისუფალთა მიერ საკუთარ „არსებობის არსზე“ ნებაყოფლობით ხელის აღებას. რუსეთისათვის კავკასიის კარის გასაღების გადაცემით საქართველომ თავის სახელმწიფოებრიობას სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა, კავკასიონის ზეკარის „მეციხოვნემ“ თავისი არსებობის აზრი, ფუნქცია, დაკარგა; ფუნქციის გარეშე კი ბუნებაში ვერაფერი იარსებებს, ვერც ცოცხალი ორგანიზმი და ვერც სახელმწიფო. საკუთარი არსებობის აზრზე ნებაყოფლობით უარის თქმას განსაკუთრებით იმ მიზეზის გამო აქვს გადამწვევტი მნიშვნელობა, რომ ამ დროს ქვეყანას აღარავითარი ნება აღარ რჩება რათა „გამოწვევას“ გასცეს „პასუხი“ და შესაბამისად ამისა იგი, ყოველგვარ სტიმულსა და ენერგიას მოკლებული, ჩიხში ემწვევდეს. სახელმწიფოებრივად ფუნქციადაკარგული ქვეყნის მოსაზობა მტრისათვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს; ასეთ მდგომარეობაში მყოფ ქვეყანას არც შექმედ, არც მოსარჩლედ და არც მოკავშირედ არაეინ გამოუჩნდება. რუსეთის მიზანი საქართველოსთან მიმართებაში, ჩვენი აზრით, ყოველთვის იყო უკანასკნელისათვის „არსებობის არსის“ დაკარგვა, რუსეთისათვის ეს პრაქტიკული გეოპოლიტიკური ამოცანებით იყო ნაკარნახევი.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი კონცეპცია, ძირითადი იდეა თუ „არსებობის არსი“, გარდა დასავლეთ-აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ-სამხრეთის კულტურულ-ეკონომიკური დაკავშირებისა, იყო კავკასიონის ქედის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილზე გადმომავალ ზეკარებზე კონტროლის განხორციელება, რაც, თავის მხრივ, შემოაღნიშნულ დასავლეთ-აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ-სამხრეთის კავშირთიერთობათა ეფექტური ფუნქციონირების წინაპირობასაც წარმოადგენდა. ქვეყნის ეს გეოპოლიტიკური დანიშნულება, უპირველეს ყოვლისა, მისი ფიზიკურ-გეოგრაფიული მონაცემების ერთობლიობით იყო განპირობებული, რომელთა ძალდატანებითი შეცვლა ქვეყნის არსებობის ხელყოფის ტოლფასია.

THE PROBLEMS OF STATE DEVELOPMENT OF GEORGIA

(from the earliest times)

(Summary)

If we throw a glance through the main - Eurasian - part of the Eastern Hemisphere we can easily find Transcaucasia, located between two seas. It has quite an extraordinary, I dare say, even central position on the Hemisphere. In the north of it, across the Great Caucasian Range, is situated typical northern country - Russia, in the south - genuine Middle Eastern Turkey and Iran, in the west the Black Sea divides it from Eastern Europe, and in the east - the Caspian Sea from Central Asia. Such an intermediate location of the Caucasus should be the reason of its ethno-cultural diversity noticed already by Greco-Roman authors.

Georgia (ancient Colchis and Iberia) - the country of the *Golden Fleece* of Classical Greek mythology is located in the central and western parts of Transcaucasia. It is chained to the Caucasus like Prometheus who found his last abode in the same mountains. Even on the former state emblem of Georgia, under the hoofs of the horse of *Tetri* (White) *Giorgi* (the image of Georgia) the Caucasian mountains are depicted - instead of the dragon of St. George's icon - a symbol of natural challenge of the country, representing the link of its destiny with one of the main markers of the geographical, ethno-cultural and political division of the world.

Georgia, and Transcaucasia generally, lies not only at the crossroads of all four sides of world, but at the cross-roads also from the temporal standpoint between the old and new worlds - the old world of totalitarianism and the new world of democratic society. Both these cross-roads are at the same time intertwined with each other. The areas north and east of the Caucasus are still embodiments of totalitarian societies, the areas west and south - of societies with a democratic way of life, or on the path of democratic transformation.

The beginnings of Georgian statehood is one of the most controversial problems of the Georgian historiography. Some scholars are connecting the beginnings of Georgian statehood with Colchis of the legendary king Ayetes or with the country of Daiaene/Diaukhi of Assyrian and Urartian cuneiform inscriptions.

At the same time the very beginning of Georgian statehood by the indication of ancient Georgian historical tradition should be searched in the southwestern part of ancient Georgia, where the land of Daiaene/Diaukhi existed from the late second millennium BC. By the information of the inscription of



the Assyrian king, Shalmanasar III, which was dated to 844 B.C., the land of Daiaene was located near the source of the Euphrates (*i. e.* the Western Euphrates or the Kara-su) in the territory which is known by Georgian and Armenian tradition as Tao or Taik.

Except for the obvious similarity between the archaeological material of the Early Iron Age of the central and south-western parts of Transcaucasia (*i. e.* central part of eastern Georgia and south-western part of historical Georgia), some toponyms characteristic of Daiaene/Diaukhi are also often considered of Kartvelian origin.

An additional evidence in this connection might be provided by the name of the "Royal city" of Diaukhi – "Šašilu", mentioned nearly half a century after the Shalmanasar's campaign in the inscription of Urartian king Menua which possibly was situated on the place of the Medieval Georgian village of Sasire (immediately west of the well known castle of Tortomi or Tortumkale, ca 20-30 km north-west of the Dumlu-su, the source river of the Euphrates) which means in the old Georgian the "place of birds" (სასობრე). When identifying Šašilu as Sasire we take into account the fact that in Urartian cuneiform script it is impossible to distinguish from each other the sounds *š* and *s*, *l* and *r*, *u* and *o* and the information of the above inscription of Shalmanasar III that he erected his statue in the anonymous city of Asia when the latter came to him exactly to the source of the Euphrates.

Though the period of replacement of the *Pax Achaemenia* by the *Pax Macedonica* marks out the emergence of Iberian (East Georgian) kingdom and the beginning of unbroken state tradition of Georgian monarchy till the beginning of 19th century.

Numerous states were created in all parts of the world after the First and Second World War and the collapse of Communistic system. In our days this process takes place mainly in new countries of the post-Soviet space, among them in Georgia, where an analogous situation was known already after the annihilation of the Russian Empire and the three year period of the time of existence of the Georgian Democratic Republic, occupied by Soviet Russia in February-March 1921. Though the tradition of statehood in Georgia counts thousands of years.

It seems that the factors of geopolitical character caused not only the emergence of statehood in Central Transcaucasia in the Classical period but also determined its historical development in Medieval, New and Newest times.

The main purpose of the future studies is to outline the possible trends in Georgia's political orientation against the background of existing tendencies in the political life of Georgia itself, of Transcaucasia generally, and of a more wide area - adjacent to the basins of the Black and Caspian seas.

Discussions under way among Georgian politicians and public of how to solve the triple choice which faces the country:

1. to join the security system of the CIS (i.e. Russia),
2. declare neutrality,
3. integrate with the Euro-Atlantic democratic societies.

Pro-Russian trend actually means turning back from the process of state creation to final dissolution (though gradual) in the *Russian maw* – the age-long dream of Russian political circles. In spite of the decisions of various summits Russia tries to retain by all means its military presence in Georgia and at the same time to widen its economic and political positions in the country.

Neutral status is irrelevant for a country lying on the highway of political processes and surrounded by aggressive neighbours - primarily by Russia; Turkey and Iran to some extent, during the reinterpretation of their Caucasian policy after the breakdown of the Soviet Empire, are trying to ensure peace and security of the region – different with their old historical traditions. At the same time, Turkey could be considered itself as a member of the Transcaucasian family. We have in mind the fact that Transcaucasian southern boundary is confined by the flow of the Araxes River. The upper reaches of it form a boundary between Transcaucasia and Anatolia, going west from the same river along the Palandöken and Kop ranges; and further to the north, the presumable border runs along the middle and lower flow of the Çoruh River. We could use the term *Turkish Transcaucasia* as the manifestation of a widening interpretation of Transcaucasia.

The pro-Western trend seems the only option, which can secure the independent development of Georgia. But can we be sure that this choice answers the national interests of the country? Why the pro-Western orientation becomes a *motto* of Georgian society? How trustworthy are the fears spreading among a part of Georgian public that because of their pro-Western orientation the country and its population are under the unforeseeable and imminent threat of punishment coming from rivals of the Western democratic societies and, therefore, in the opinion of this part of public, the political orientation of the country should be changed?

These questions show how tense and uncertain the political situation in Georgia is today. I don't think that there exists an easy answer to all questions that are facing Georgian public today, but historians could try to make the situation more understandable from the standpoint of the historical development of this country.

Therefore, we need to throw a glance from the historical perspective to gain an insight into the character of developments underlying modern processes. The pointer of Georgia's political compass was directed at various sides of the world in different times, but what kind of mechanism caused

such a shift of orientation? Which point, having strong *magnetic power*, was most determinative for the Georgian pointer throughout the history? These are the questions that should be answered.

Unfortunately nobody paid attention in the special literature to the interconnection between the existence of state power in Central Transcaucasia and the necessity to control the passes through the Caucasus, indicated by the historical development of the area. This must be mainly due to the fact that during the last two hundred years Transcaucasia was incorporated in the Russian and Soviet empires and no governmental employee in charge of these totalitarian states would allow, or will encourage even now in a much more democratic Georgia, to carry out such a study. Both these countries (the Russian Empire and the Soviet Union) succeeded in total subjection of the Transcaucasian territory which was of vital importance for their expansionistic plans against the entire East Mediterranean-Middle Eastern area. On the other hand, the fact that no Caucasian nation was represented on the political map of the world over the last two centuries, with the above-mentioned short exception, is the main reason why Caucasian history was actually neglected by Western specialists even when studying the areas adjacent to it.

The breakdown of the Communist system gave specialists of countries belonging to this system the possibility of using such methodological principles that are far removed from the dogmas of Marxism-Leninism and that were sometimes already obsolete in other parts of the world. In connection with the early Caucasian political history the use of Arnold Toynbee's *Challenge-and-Response* model seems preferable, as the emergence and development of the idea of statehood in the Caucasus finds its stimulus (*Challenge*) in the reaction (*Response*) of the local natural and social environment.

The political history of Georgia, like other Transcaucasian countries, was mainly dominated by the fact of the geographical location of Transcaucasia south of the Great Caucasian mountainous chain, one of the most important watershed systems of the world. These mountains form a fracture (something like a geological *fault-line*) not only from the geographical and ethno-cultural points of view, but also from the geopolitical division of the world. The key importance of the location of the Caucasus was picturesquely stated by Pliny the Elder (Plinius Magnus), already two thousand years ago, namely that the *Caucasian Gate* (i.e. the Darial Pass, crossing the central part of the Great Caucasian Range), divides the world in two parts (*n.h.* VI, 30).

There was always a need for a barrier to be erected by the world of reasonable men against the world of barbarians, such as the Great Wall of China or Hadrian's Wall (*Roman Limes*). The *Caucasian Gate* had the same function for the Middle East. From times immemorial it barred the descent of the Eurasian nomads into the civilised world of common interest - the Mediterranean-Middle Eastern *oikoumene*.



The *Caucasian Gate* is frequently called the *Pillars, Stronghold or Iron Gate* of Alexander the Great by the Classical (Greco-Roman) authors. The linkage of Alexander's name of the legend with the emergence of the Iberian statehood, known from the evidence of old Armenian and Georgian chronicles, indicates the *raison d'être* of this state, namely to be the outpost of the civilised world in its struggle with the realm of *Gog and Magog* lying beyond the *Caucasian Gate*. Today too, the above-mentioned emblem of Georgia, bears the sun, the moon and the five stars, supposedly bestowed on the Georgians by the legendary image of Alexander of old Georgian chronicles as an ideological basis of their state religion. Thus the concept of Alexander's *Iron Gate* was the reflection of the concrete political function of the Georgian State - the control of one of the most important strategic passes of the world.

This function of the state seems to have been one of the main decisive factors that challenged the emergence of the Georgian State in the central part of Transcaucasia in the Early Hellenistic period. The location of Georgia, south of the Great Caucasian Range, in the contact zone of the Eurasian nomads and the Middle Eastern civilised societies, had predetermined the continual external pressure from the north, a *Challenge*, which for its part caused a *Response* - the creation of a state (*i.e.* the Iberian Kingdom) in Central Transcaucasia. The *raison d'être* not only of Iberia, but also of other new states of the Classical period, Albania and Lazica (the successive state of Colchis), were to become strongholds of the civilised world (Greek *oikoumene* or Roman *orbis terrarum*) in its struggle with the barbarian *Realm of Darkness* beyond the *Caucasian Gate*. However, there was undoubtedly a difference between the western political orientation (the Greek states, Roman and Byzantine empires) of Iberia and also to a certain degree of Lazica, on the one hand, and the eastern orientation (Persia, Parthia) of Albania (together with Armenia), on the other.

The control of the Caucasian passes could create the most favourable opportunity for the preservation of Pax Romana in the Middle East. The Iberians (eastern Georgians) were the most important allies of the Romans in the region, having supremacy over the *Caucasian Gate*.

The close collaboration between the Romans and the Iberians, based on their joint strategic interests as parts of one and the same *orbis terrarum* was the leit-motif of their interrelations.

At the same time, the rulers of the Iberian Kingdom successfully used the favourable strategic location of their country to balance the pressure of the powers coming from all sides of the world, often changing the direction of their orientation. Already Tacitus noted that the Iberians were "masters of various positions" and could suddenly "pour" mercenaries from across the Caucasus against their southern enemies (*Ann.* 6, 33).

The long-term aspiration of the medieval Georgian monarchy, going back presumably to the times of the Roman Empire, to bring under its sovereignty not only the *Caucasian Gate*, but all existing Caucasian passes from the Black to the Caspian Sea, is expressed by the formula of its territorial integrity in the Georgian chronicle of the eleventh century the "Life of Georgia": "from Nikopsia to Daruband", i.e. from the northeastern Black Sea littoral to the Derbent gateway (the second important pass of the Caucasus), on the western shore of the Caspian Sea. This formula, emphasising especially the northern borderline along the Caucasus, enables us to interpret the main function of that kingdom in a more general context.

Faced with the necessity of effective control of the Caucasian passes, which barred the way of the northern invaders, the rulers of the states of the Eastern Mediterranean-Middle Eastern area were always eager to have in Central Transcaucasia - in Iberia - a political organisation with sufficient strength to fulfil such a defensive function. The concept of the *Caucasian Gate* predetermined the fate of the Georgian State from the Early Hellenistic time till the beginning of the nineteenth century, when Georgia's annexation by Russia meant the loss of this important function of this state. I think, this function was the reason that Georgia, as pointed out by Cyril Toumanoff, is the only country of Christendom where sociopolitical and cultural development ran an uninterrupted course from the Classical period to the beginning of the nineteenth century.

This overwhelming interest of the Near Eastern-Mediterranean societies in Georgia was caused not only by the abstract defensive function of this country, but mainly by its concrete location at the edge of the civilised and barbarian worlds. Though Georgia and Transcaucasia were open to the influences of these two opposite models of historical development, the factor of the Great Caucasian Range determined its destination to be the stronghold of the highly developed and prosperous Middle Eastern-Mediterranean *oikoumene* against the vast area of Eurasian steppes - an embodiment of the powerful and aggressive forces with their slow rate of social, political, economic and cultural development; or in other words, to be the stronghold of the civilised South and West against the barbarian North and East. On the other hand, the northern nomads required a bridgehead for their raids towards the Middle East. The territories of Georgia and Transcaucasia represented best opportunities for this task.

The constant opposition between the barbarian and civilised peoples, aggressors and producers, brigands and creators, were two firestones with the help of which the *fire of statehood* south of the central part of the Great Caucasian Range, in Central Transcaucasia, was kindled.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბაშიძე 1988 = დ. აბაშიძე. ორმეფობა ძველ ქართლში. – ცისკარი, №11.
2. აბდალაძე 1984 = ა. აბდალაძე. მოვსეს ხორენაცი. სომხეთის ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმანა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ალექსანდრე აბდალაძემ. თბილისი.
3. აბულაძე 1953 = ი. აბულაძე. ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი. ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოკვლევითა და ლექსიკონით. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
4. აბულაძე 1973 = ი. აბულაძე. ძველი ქართული ენის ლექსიკონი. თბილისი: "მეცნიერება".
5. აბულაძე 1993 = ც. აბულაძე. საქართველოსა და მისი პოლიტიკური წარმონაქმნების სახელწოდებანი ოსმალურ წერილობით ძეგლებში. წგნ.: საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია. რედ.: გ. პაიჭაძე. თბილისი: "მეცნიერება".
6. ავალიშვილი 1929 = ზ. ავალიშვილი. ჯვაროსანთა დროიდან (ოთხი საისტორიო ნარკვევი). პარიზი.
7. ანთელავა 1975 = ი. ანთელავა. კონსტანტინე მამაცაშვილის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი, წგნ.: საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II. თბილისი.
8. ასათიანი 1993 = შ. ასათიანი. ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ონომასტიკა ასურულ და ურარტულ წერილობით წყაროებში. წგნ.: საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია. რედ.: გ. პაიჭაძე. თბილისი: "მეცნიერება".
9. აფაქიძე 1959 = ა. აფაქიძე. მცხეთა – ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქი. თბილისი.
10. აფრიდონიძე/მაკალათია 1980 = შ. აფრიდონიძე, ფ. მაკალათია. ქართული ოიკონიმები. 3. განმეორებადი პრეფიქსები (ნა-; სა-). – ტოპონიმთა II, შ. ძიძიგურის საერთო რედაქციით. თბილისი.
11. აჭარიანი 1971 = პ. აჭარიანი. ჰაიერენ არმატაკან ბარარან. ერევანი (სომხურ ენაზე).
12. ახვლედიანი 1944 = ხ. ახვლედიანი. ნარკვევი აჭარის ისტორიიდან. ბათუმი.
13. ბაგრატიონი 1980 = იოანე ბაგრატიონი. ქართლ-კახეთის აღწერა, – ტოპონიმთა II (შ. ძიძიგურის საერთო რედაქციით). თბილისი.
14. ბარამიძე 1923 = საქართველოს ისტორიული რუკა. შედგენილი ტოპოგრაფ ვვ. ბარამიძის მიერ, პროფ. ივ. ჯავახიშვილის რედაქტორობით. თბილისი: შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გამოცემა.
15. ბერძენიშვილი 1966 = ნ. ბერძენიშვილი. გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში. თბილისი.
16. ბერძენიშვილი 1974 = ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VII. თბილისი.

17. ბოგვერადე 1973 = ა. ბოგვერადე. ადრეეგოდალური ქართული სახელმწიფოები VI-VIII საუკუნეებში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი II, საქართველო IV-X საუკუნეებში, ტომის რედაქტორი შოთა მესხია, თბილისი.
18. ბურჭულაძე, შავხელიშვილი 1993 = გ. ბურჭულაძე, გ. შავხელიშვილი. "ქართლის", "საქართველოს" აღმნიშვნელ სიტყვათა თაობაზე ნახურდალესტნურ ენებში. საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია. რედ.: გ. პაიჭაძე. თბილისი: "მეცნიერება".
19. გამყრელიძე/ყაუხჩიშვილი 1961 = გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტომი პირველი. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოცეცეს და განმარტებები დაურთეს აღ. გამყრელიძემ და სიმონ ყაუხჩიშვილმა. თბილისი.
20. გვიგინიშვილი/გონაშვილი 1979 = ბ. გვიგინიშვილი, ვ. გონაშვილი. შატბერდის კრებული X საუკუნისა. თბილისი: მეცნიერება.
21. გიორგაძე 1985 = გრ. გიორგაძე. ხეთურ-არმაზული "ტრიადები". – მნათობი, № 7.
22. გიორგაძე 2002 = გრ. გიორგაძე. უძველესი ახლოაღმოსავლური ეთნოსები და ქართველთა წარმომავლობა, "ქართველოლოგიური ბიბლიოთეკა", 8. თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა.
23. გოგიტიძე 2002 = ს. გოგიტიძე. სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს საისტორიო გეოგრაფია (ძვ. წ. XII-IV სს.). თბილისი: ს.ს. "გამომცემლობა აჭარა".
24. გოგოლაძე 1973 = დ. გოგოლაძე. ბრძოლა ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის XIX ს. პირველ მესამედში, წგნ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი IV, საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე. ტომის რედაქტორი მამია დუმბაძე. თბილისი.
25. გოზალიშვილი 1935 = გ. გოზალიშვილი. 1832 წლის შეთქმულება, ტ. 1. ტფილისი.
26. გუგუშვილი 1973 = პ. გუგუშვილი. საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების საკითხები. თბილისი.
27. გუჩუა 1973 = ვ. გუჩუა. საქართველოს პოლიტიკური რუკა XVI-XVII სს., წგნ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი IV, საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე. ტომის რედაქტორი მამია დუმბაძე. თბილისი.
28. დაბაძე (ბიბლია) 1884 = დაბაძე (ბიბლია), ნაწილი მეორე (დაიბეჭდა საქართველო-იმერეთის უწმიდესის სინოდის კანტორის განკარგულებით). ტფილისი: ექვთიმე ხელაძის სტამბა.
29. დუმბაძე 1973 = მ. დუმბაძე. ქართლ-კახეთის სახელმწიფოს გაუქმება და რუსეთთან შეერთება, წგნ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი IV, საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე. ტომის რედაქტორი მამია დუმბაძე. თბილისი.

30. ვახუშტი 1973 = ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველისა **ქართლის ცხოვრება**, ტ. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი: "საბჭოთა საქართველო".
31. თამარაშვილი 1902 = მ. თამარაშვილი. **ისტორია კათოლიკობის ქართველთა შორის**. თბილისი.
32. თაყაიშვილი 1890 = ე. თაყაიშვილი. **სამი ისტორიული ზრინიკა**. ტფილისი.
33. თაყაიშვილი 1909 = ე. თაყაიშვილი. მოქცევაჲ ქართლისამს ჭელიშური ვარიანტი. – **ძველი საქართველო**, I, 5. ტფილისი.
34. თაყაიშვილი 1948 = ე. თაყაიშვილი. როდის შეიცვალა იბერთა სახელმწიფო ქართველთა სახელმწიფოდ. – **მნათობი**, № 8.
35. თაყაიშვილი 1960 = ე. თაყაიშვილი. 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
36. ინაძე 1955 = მ. ინაძე. იბერიისა და რომის ურთიერთობა მეორე საუკუნის პირველ ნახევარში. – **ისტორიის ინსტიტუტის შრომები**, I.
37. ინაძე 1993 = მ. ინაძე. ტერმინები "კოლხი" და "კოლხეთი" ანტიკურ მწერლობაში, წგნ.: საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია. რედ.: გ. პაიჭაძე. თბილისი: "მეცნიერება".
38. ინაძე 1996 = მ. ინაძე. კასპიის კარი (დარიალი, დარუბანდი) ახ. წ-ის I-VI საუკუნეთა სერთაშორისო დიპლომატიურ ურთიერთობებში. – **ქართული დიპლომატია. წელიწადური** 3. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
39. ინგოროყვა 1939 = პ. ინგოროყვა. ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა. – **მნათობი**, № 4.
40. ინგოროყვა 1941 = პ. ინგოროყვა. ლეონტი მროველი, ქართველი ისტორიკოსი. "სამბავთა მწერალი" მე-8 საუკუნისა. – **ენიქის მოამბე**, № X.
41. ინგოროყვა 1941a = პ. ინგოროყვა. ძველ-ქართული მატთანე "მოქცევაჲ ქართლისაჲ" და ანტიკური ხანის იბერიის მეფეთა სია. – **საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე**, ტ. XI-B.
42. კაზანბაკისი 1990 = ნ. კაზანბაკისი. ტოდარაბა, – **ლიტერატურული საქართველო**, 06.07.90.
43. კეკელიძე 1923 = კ. კეკელიძე. ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები. – **თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე**, III.
44. კეკელიძე 1949 = კ. კეკელიძე აშუშა პიტიახშის ბეჭდის წარწერის გაგებისათვის. – **ლიტერატურული ძიებანი**, ტ. V.
45. კეკელიძე 1958 = კ. კეკელიძე. **ქართული ლიტერატურის ისტორია**, I. თბილისი: სახელგამი.
46. კიქნაძე 1979 = რ. კიქნაძე. საქართველოს დაპყრობა მონღოლების მიერ, წგნ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი III, საქართველო XI-XV საუკუნეებში, ტომის რედაქტორები: ზურაბ ანჩაბაძე, ვიქტორ გაგუა. თბილისი.
47. კიუსტინი, მარკოზ დე 1990 = მარკოზ დე კიუსტინი. ნიკოლოზ I დროინდელი რუსეთი ("რუსეთი 1839 წელს"). თბილისი.

48. კუფტინი 1949 = ბ. კუფტინი. საქართველოს ძველი ეთნო- და ტოპონომიკის ზოგიერთ გაურკვეველ შემთხვევაზე უცხო წყაროებით. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. X, № 5.
49. ლიონიძე 1957 = ს. ლიონიძე. **სიტყვა თქმული ვრცელ მეორეს დაკრძალვაზე**. XVIII საუკუნის ხელნაწერის მიხედვით. თბილისი.
50. ლომთათიძე 1973 = გ. ლომთათიძე. ქართული კულტურა IV-V საუკუნეებში, წგნ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი II, საქართველო IV-X საუკუნეებში, ტომის რედაქტორი შოთა მესხია, თბილისი.
51. ლომინაძე 1979 = ბ. ლომინაძე. მონღოლთა ბატონობა საქართველოში და ბრძოლა მის წინააღმდეგ (XIII ს. 40- XIV ს. 10-იანი წწ), წგნ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი III, საქართველო XI-XV საუკუნეებში, ტომის რედაქტორები: ზურაბ ანჩაბაძე, ვიქტორ გაგუა. თბილისი.
52. ლორთქიფანიძე 1973 = მ. ლორთქიფანიძე. ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა, წგნ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი II, საქართველო IV-X საუკუნეებში, ტომის რედაქტორი შოთა მესხია, თბილისი.
53. ლორთქიფანიძე 1973a = მ. ლორთქიფანიძე. ქართული ფეოდალური მონარქიის შექმნა, წგნ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი II, საქართველო IV-X საუკუნეებში, ტომის რედაქტორი შოთა მესხია, თბილისი.
54. ლორთქიფანიძე 1979 = მ. ლორთქიფანიძე. საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება X ს. 80-იანი წლებიდან XI ს. 80-იან წლებამდე, წგნ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი III, საქართველო XI-XV საუკუნეებში, ტომის რედაქტორები: ზურაბ ანჩაბაძე, ვიქტორ გაგუა. თბილისი.
55. მაისურაძე 1991 = გ. მაისურაძე. აღმოსავლურქართულ ტომთა კვალი ძვ. წ. XII საუკუნის სამხრეთ-დასავლეთ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე (ერთი ტოპონიმის იდენტიფიკაციის მაგალითზე), წგნ.: ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევები. თბილისი: "მეცნიერება", 1991.
56. მელიქიშვილი 1951 = გ. მელიქიშვილი. უძველესი სამეფო სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე. – მიმომხილველი (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტი), II.
57. მელიქიშვილი 1955 = გ. მელიქიშვილი. საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის. თბილისი.
58. მელიქიშვილი 1962 = გ. მელიქიშვილი. ძველი ქართული, სომხური და ბერძნული საისტორიო ტრადიცია და ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნის საკითხი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, 1962, № 2.
59. მელიქიშვილი 1965 = გ. მელიქიშვილი. საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისთვის. თბილისი: მეცნიერება.
60. მელიქიშვილი 1970 = გ. მელიქიშვილი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უძველესი გაერთიანებები, წგნ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I. თბილისი.
61. მესხია/ვერიტიშვილი/ლუმბაძე/სურგულაძე 1958 = შ. მესხია, დ. ვერიტიშვილი, მ. ლუმბაძე, ა. სურგულაძე. თბილისის ისტორია. თბილისი.



62. მუსხელიშვილი 1980 = დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II. თბილისი: გამომცემლობა "მეცნიერება".
63. მუსხელიშვილი 2001 = დ. მუსხელიშვილი. საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიის წარმოქმნის ისტორიულ-გეოგრაფიული და ეთნიკურ-კულტურული საფუძვლები. – ანალები (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შურნალი), 2001, № 1. თბილისი: გამომცემლობა "მემატანე".
64. მუსხელიშვილი 2004 = დ. მუსხელიშვილი. "დაიანი" – "დაიახის" ქვეყნის მოსახლეობის ეთნიკური ვინაობისათვის, – ანალები (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შურნალი), 2004, № 1. თბილისი: გამომცემლობა "მემატანე".
65. ნონეშვილი 1999 = ა. ნონეშვილი. რომის იმპერიისა და იბერიის სამეფოს ურთიერთობა ახ. წთ. I საუკუნის მეორე ნახევარში. – კულტურის ისტორიის საკითხები, VI. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
66. ორბელიანი 1966 = სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული, წიგნი I. თბილისი: გამომცემლობა "საბჭოთა საქართველო".
67. ყორღანია 1892 = თ. ყორღანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, I, ტფილისი.
68. ჟღენტი 1953 = ს. ჟღენტი. **ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა**. თბილისი.
69. სანიციძე 1956 = ლ. სანიციძე. **პონტოს სამეფო**. თბილისი.
70. სიხარულიძე 1958 = ი. სიხარულიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, წიგნი I. ბათუმი: სახელმწიფო გამომცემლობა.
71. სიხარულიძე 1985 = ი. სიხარულიძე. ნიგალი (ლივანა). საისტორიო გეოგრაფიის მასალები. ბათუმი: გამომცემლობა "საბჭოთა აჭარა", 1985.
72. სიხარულიძე 1988 = ი. სიხარულიძე. შავშეთ-იმერხევი. საისტორიო გეოგრაფიის მასალები. ბათუმი: "გამომცემლობა აჭარა".
73. სურგულაძე/სურგულაძე 1991 = ა. სურგულაძე, პ. სურგულაძე. **საკითხავი წიგნი (1783-1990 წწ.)**. თბილისი, 1991.
74. ტაბატაძე 1979 = კ. ტაბატაძე. ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე, წგნ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი III, საქართველო XI-XV საუკუნეებში, ტომის რედაქტორები: ზურაბ ანჩაბაძე, ვიქტორ გაგუა. თბილისი.
75. ტაბალუა 1971 = ი. ტაბალუა. ქართველის ჭირსა ვერეინ მოთვლის..., – გაზ. "კომუნისტი", 30.07.71.
76. ტუხაშვილი 1983 = ლ. ტუხაშვილი. **რუსეთი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა აღმოსავლეთ საქართველოში (XVIII ს. მეორე ნახევარი)**. თბილისი.
77. ტუხაშვილი 1994 = ლ. ტუხაშვილი. **ნარკვევები ქართული დიპლომატიის ისტორიიდან**. თბილისი.
78. ფენრიხი/სარჯველაძე 2000 = პ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე. ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი. მეორე, შეესებული და გადამუშავებული გამოცემა. თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა.

79. ფუტკარაძე 1999 = ტ. ფუტკარაძე. ხმოვანთკომპლექსთა ტრანსფორმაციისათვის ქართულში. – საენათმეცნიერო ძიებანი, VIII. თბილისი: გამომცემლობა "ქართული ენა".
80. ფუტკარაძე 2005 = ტ. ფუტკარაძე. ქართველები, ნაწილი I (ქრისტიანობამდელი ეპოქა). ქუთაისი: ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
81. ფუტკარაძე 1993 = შ. ფუტკარაძე. ჩვენებურების ქართული, წიგნი I. ბათუმი.
82. ქავთარაძე 1985 = გ. ქავთარაძე. ანატოლიაში ქართველურ ტომთა განსახლების საკითხისათვის. თბილისი: "მეცნიერება".
83. ქავთარაძე 1997 = გ. ქავთარაძე. საქართველო და კავკასია (საქართველოს სახელმწიფოებრივი კონცეფციისათვის). – მნათობი, № 3-5.
84. ქავთარაძე 2003 = გ. ქავთარაძე. იბერიის სამეფოს "არსებობის არსი" ძველი საისტორიო წყაროების მიხედვით. – მნათობი (მწერლობა, მეცნიერება, ხელოვნება), № 7-8. თბილისი: გამომცემლობა "სანი", 2003.
85. ქანთარია 1996 = გ. ქანთარია. რომის იმპერია და ქართლის სამეფოს საგარეო პოლიტიკა (ახ. წ-ის I საუკუნის 40-50-იანი წლები). – ქართული დიპლომატია. წელიწადი 3. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
86. ქიქოძე 1920 = გ. ქიქოძე. ნოე ჟორდანიას და სოციალიზმის ნაციონალიზაცია, წგნ.: გ. ქიქოძე. ეროვნული ერთგობა. ტფილისი.
87. ქურდიანი 2003 = მ. ქურდიანი. ორი ურარტოლოგიური ეტიუდი. – ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოლოგია (ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები 349). თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
88. ყაზბეგი 1995 = გ. ყაზბეგი. სამი თვე თურქეთის საქართველოში. ბათუმი: გამომცემლობა "აჭარა", 1995.
89. ყაუხიშვილი 1976 = თ. ყაუხიშვილი. საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
90. ყაუხიშვილი 1943 = ს. ყაუხიშვილი. მცხეთა-სამთავროს ახლად აღმოჩენილი ბერძნული წარწერა. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. IV, № 6.
91. ყაუხიშვილი 1955 = ს. ყაუხიშვილი. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით, I. თბილისი: სახელგამი.
92. ყაუხიშვილი 1959 = ს. ყაუხიშვილი. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით, II. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
93. ყაუხიშვილი 1965 = ს. ყაუხიშვილი. გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. 2. თბილისი.
94. ცეცხლაძე 2000 = ნ. ცეცხლაძე. შავშეთ-იმერზევის ტოპონიმია. ბათუმი: "გამომცემლობა აჭარა".
95. ცინცაძე 1956 = ი. ცინცაძე. ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X-XVI სს.). თბილისი.
96. ცომაია 2000 = ა. ცომაია. რჩეული თხზულებანი. გამოსაცემად მოამზადდა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო გ. შარაძემ. თბილისი.



97. წერეთელი 1942 = გ. წერეთელი. არმაზის ბილინგვა. – **ენიკის შოაშე**, XIII
98. წერეთელი 1962 = მ. წერეთელი. შენიშვნები: სომეხი, – ბედი ქართლისა, ისტორიული, ლიტერატურული და სამეცნიერო კრებული, № 39-40. პარიზი.
99. ხაზარაძე 2001 = ნ. ხაზარაძე. ლეონტი მროველი და არიან-ქართლის ლოკალიზაციის საკითხი, – **DEDICATIO**, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი. თბილისი.
100. ხარანაული 1985 = ბ. ხარანაული. ხალხური პოეზია. ტომი შეადგინა ბ. ხარანაულმა, წგნ.: **ქართული პოეზია**, ტ. 17. თბილისი.
101. ჯავახიშვილი 1914 = ი. ჯავახიშვილი. **ქართველი ერის ისტორია**, II. ტფილისი.
102. ჯავახიშვილი 1919 = ივანე ჯავახიშვილი, – გაზ. "საქართველო", 1919 წ., 4 მაისი (№ 95).
103. ჯავახიშვილი 1948 = ივ. ჯავახიშვილი. **ქართველი ერის ისტორია**, წიგნი მეოთხე. თბილისი.
104. ჯავახიშვილი 1953 = ივ. ჯავახიშვილი. **ქართველი ერის ისტორია**, წიგნი მეხუთე. თბილისი.
105. ჯავახიშვილი 1965 = ივ. ჯავახიშვილი. **ქართველი ერის ისტორია**, წიგნი მეორე. თბილისი: გამოცემლობა "საბჭოთა საქართველო".
106. ჯამბ.-ორბელიანი 1914 = ალ. ვახტ.-ძე ჯამბ.-ორბელიანი. დაღისტინედავან ლეკების გამოსვლა და სხვა ამბები. გამოცემული სარგის კაკაბაძის მიერ. ტფილისი.
107. ჯანაშია 1962 = ლ. ჯანაშია. ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ (თარგმანი და გამოკვლევა). თბილისი.
108. ჯანაშია 1973 = ლ. ჯანაშია. აღმოსავლეთ საქართველო (ქართლი) IV-V საუკუნეებში, წგნ.: **საქართველოს ისტორიის ნარკვევები**, ტომი II, საქართველო IV-X საუკუნეებში, ტომის რედაქტორი შოთა მესხია, თბილისი, 1973.
109. ჯანაშია 1949 = ს. ჯანაშია. საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, წგნ.: ს. ჯანაშია. **შრომები**, ტ. I. თბილისი.
110. ჯაფარიძე 2006 = ო. ჯაფარიძე. **ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავეებთან**. თბილისი: გამოცემლობა "არტანუჯი".
111. ჯოჯუა 1976 = ვ. ჯოჯუა. ქართული ტოპონიმები ბერძნულ წყაროებში, – **ტოპონიმოგია I**, შ. ძიძიგურის საერთო რედაქციით. თბილისი.
112. Авалов 1901 = З. Авалов. *Присоединение Грузии к России*. Санкт-Петербург 1901.
113. Авалов 1924 = З. Авалов. *Независимость Грузии в международной политике 1918-1921 гг.* Тифлис 1924.
114. Алиев 1992 = К. Г. Алиев. *Античная Кавказская Албания*. Баку: Азернешр.
115. Арутюнян 1957 = Н. В. Арутюнян. Даинала-Тини (Из истории иригации в Урарту), – *Известия Академии Наук Армянской ССР, Общественные Науки* 4.
116. Арутюнян 1970 = Н. В. Арутюнян. *Биайнили (Урарту)*. Ереван.
117. Арутюнян 1985 = Н. В. Арутюнян. *Топонимика Урарту*. Ереван.

118. Арутюнян 2001 = Н. В. Арутюнян. *Корпус Урартских Клинообразных Надписей*. Ереван: Издательство «Гитутюн» НАН РА.

119. Архив... 1878 = *Архив государственного совета*, т. III. Санкт-Петербург.

120. Атлас 1961 = *Атлас Армянской Советской Социалистической Республики*. Ереван-Москва.

121. Бакрадзе 1878 = Дм. Бакрадзе. *Археологическое Путешествие по Грузии и Адчаре*. СПб.

122. Бацисва 1953 = С.М. Бацисва. Борьба между Ассирией и Урарту за Сирию, – *Вестник Древней Истории*, 1953, № 2.

123. Блинов 2004 = А. Блинов. Авторы антикремлевского письма считают, что Россия не способна бороться с терроризмом, – *Независимая газета*, 01.10.04.

124. Бутков 1869 = П. Г. Бутков. *Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год*. Часть первая. Санкт-Петербург.

125. Бутков 1869а = П. Г. Бутков. *Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год*. Часть вторая. Санкт-Петербург.

126. Вешапели 1917 = Г. Вешапели. *Единство Грузии и русский протекторат*. Москва.

127. Гагошидзе, Ю. М. 1979. = Гагошидзе, Ю. М. 1979. *Самадло (археологические раскопки)*. Тбилиси: Мецниереба.

128. Галоян 1976 = Г. А. Галоян. *Россия и народы Закавказья*. Москва, 1976.

129. Джанашвили, М. 1905. = Джанашвили, М. 1905. *Картлис Цховреба - Житие Грузии*. – *Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа*, XXXV.

130. Джугели 1920 = В. Джугели. *Тяжелый крест. Записки народногвардейца*. Тифлис.

131. Дреер, М. 1994 = Дреер, М. Помпей на Кавказе: Колхида, Иберия, Албания. – *Вестник древней истории*, 1994, № 1.

132. Дубровин 1895 = Н. Ф. Дубровин. (ред.). *Бумаги князя Г. А. Потемкина-Таврического 1790-1793*. (Сборник военно-исторических материалов, вып. VIII). Санкт-Петербург.

133. Дубровин 1897 = Н. Дубровин. *Георгий XII последний царь Грузии и присоединение ее к России*. Санкт-Петербург.

134. Дугин 1999 = А. Дугин. *Основы геополитики*. Геополитическое будущее России. Мыслить пространством. Изд. 3-е, дополн. Москва: Арктогея-центр.

135. Думбадзе 1963 = М. К. Думбадзе. Из истории борьбы грузинского народа против колониальной политики царизма. – *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე*, 1963, № 5 (14).

136. Дьяконов 1951 = И. М. Дьяконов. Ассиро-Вавилонские источники по истории Урарту. – *Вестник древней истории*, 1951, № 2.

137. Дьяконов 1952 = И. М. Дьяконов. *Заметки по урартской эпиграфике*, VI. Москва - Ленинград.

138. Дьяконов 1968 = И. М. Дьяконов. *Предыстория армянского народа*. Ереван: Издательство АН Армянской ССР.

139. Ельницкий 1950 = Л. А. Ельницкий. Северочерноморские заметки. – *Вестник древней истории*, 1950, № 1.
140. Еремян 1935 = С. Т. Еремян. *Феодалные образования Картли в период марзабанства (532-627 гг.)*. Тезисы диссертации. Ленинград.
141. Жордания 1968 = Н. Жордания. *Моя жизнь*. Станфорд, Калифорния.
142. Зубов 1834 = П. Зубов. *Картина Кавказского края*, ч. I. Санкт-Петербург.
143. Капанцян 1947 = Гр. Капанцян. *Хайаса – колыбель армян. Этногенез армян и их начальная история*. Ереван: Издательство Академии наук Армянской ССР, 1947.
144. Карагёзян 1978 = О. О. Карагёзян. Земля Дайасни в клинописных источниках. – *Вестник Общественных Наук Академии Наук Армянской ССР*, 1978, № 6. *Երկրագործական, բնագիտական և պատմական*.
145. Квиникадзе 1985 = Г. И. Квиникадзе. *Мои воспоминания в годы независимости Грузии 1917-1921*. Париж.
146. Климов 1964 = Г. А. Климов. *Этимологический словарь картвельских языков*. Москва.
147. Кушнарера 1997 = К. Х. Кушнарера. Ранние комплексные общества Южного Кавказа. В кн.: *Древние общества Кавказа в эпоху палеометалла (ранние комплексные общества и вопросы культурной трансформации)*. Санкт-Петербург.
148. Лесков 1988 = Н. С. Лесков. *Сочинения*, т. III. Москва.
149. Лордкипанидзе 1998 = Г. Лордкипанидзе. Проблемы войны и мира в античной Грузии (VI-IV вв. до н.э.). – *Caucasica, The Journal of Caucasian Studies*, vol. 2.
150. Малхасянц 1939 = *История Епископа Себеоса*. Перевел с четвертого исправленного армянского издания Ст. Малхасянц. Ереван: Издание Армфан-а.
151. Манандян 1948 = Я. А. Манандян. О местонахождении *Caspia via* и *Caspia portae*. – *Исторические записки*, № 25.
152. Манандян 1956 = Я. А. Манандян. *О некоторых спорных проблемах истории и географии древней Армении*. Ереван: Айпетрат.
153. Маркова 1966 = О. Н. Маркова. *Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке*. Москва.
154. Массон 1997 = В. М. Массон. Кавказский путь к цивилизации: вопросы социокультурной интерпретации. В кн.: *Древние общества Кавказа в эпоху палеометалла (ранние комплексные общества и вопросы культурной трансформации)*. Санкт-Петербург.
155. Меликишвили 1950 = Г. А. Меликишвили. Диауехи (из истории Южного Закавказья в древневосточную эпоху). *Вестник Древней Истории*, 1950, № 4.
156. Меликишвили 1954 = Г. А. Меликишвили. *Наири-Урарту*. Тбилиси.
157. Меликишвили 1959 = Г. А. Меликишвили. *К истории древней Грузии*. Тбилиси: Издательство Академии наук Грузии.
158. Меликишвили 1960 = Г. А. Меликишвили. *Урартские клинообразные надписи*. Москва.

159. Меликишвили 1963 = Г. А. Меликишвили. Ассирия и "Страны Наири" на рубеже XII-XI вв. до н. э. – *Вестник Древней Истории*, 1963, № 2.
160. Меликишвили 1989 = Г. А. Меликишвили. Источники. В кн.: *Очерки Истории Грузии, I: Грузия с древнейших времен до IV в. н.э.* Тбилиси: Мецниереба.
161. Меликишвили 1989а. = Г. А. Меликишвили. Образование Картлийского (Иберийского) государства. В кн.: *Очерки Истории Грузии, I: Грузия с древнейших времен до IV в. н.э.* Тбилиси: Мецниереба.
162. Мирный... = Мирный договор между Р.С.Ф.С.Р. и Демократической Республикой Грузии, заключенный в Москве 7 мая 1920 года. В кн.: *Сборник договоров Р.С.Ф.С.Р.* Выпуск I. Отдел II. Договоры об установлении сношений № 11.
163. Муравьев 1983 = С. Н. Муравьев. Птолемеева карта кавказской Албании и уровень Каспия. – *Вестник древней истории*, 1983, № 1.
164. Патканьян 1862 = История императора Иракла. Сочинение епископа Себеоса, писателя VII века. (пер. К. Патканьяна) СПб.
165. Пиотровский 1949 = Б. Б. Пиотровский. *Археология Закавказья с древнейших времен до I тысячелетия до н. э.* Курс лекций. Ленинград.
166. Потто 1899 = В. Потто (ред.). *Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии.* Тифлис.
167. Потто 1904 = В. Потто (ред.). *Утверждение русского владычества на Кавказе*, том III, часть 2. Тифлис.
168. Проскуряков 1905 = Я. С. Проскуряков. *Заметки о Турции* (Записки Кавказского Отдела Императорского Русского Географического Общества. Книжка XXV, выпуск I-й.). Тифлис.
169. Сеф 1928 = С. Е. Сеф (ред.). *"Демократическое правительство" Грузии и английское командование.* Тифлис.
170. Сумбатов 1919 = А. Сумбатов. *В мощных объятиях (общие очертания 117 лет русско-грузинского объединения).* Петроград.
171. Такайшвили 1900 = Е. Такайшвили. Источники грузинских рукописей - Три хроники. – *Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа*, XXVIII. Тифлис.
172. Тифлисская... 1923 = *Тифлисская общегородская конференция бывших меньшевиков.* Стенографический очерк. Тифлис.
173. Тревер 1959 = К. В. Тревер. *Очерки по истории и культуре кавказской Албании.* Москва-Ленинград.
174. Успенский 1913 = Т. Успенский. *История Византийской империи*, т. I. Москва.
175. Фадеев 1889 = Р. А. Фадеев. *Сочинения*, т. I. Санкт-Петербург.
176. Цагарели 1891 = А. А. Цагарели. *Сношение России с Кавказом в XVI-XVIII столетиях.* Санкт-Петербург.
177. Цагарели 1898 = А. А. Цагарели. (ред.). *Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии*, т. II, вып.1. Санкт-Петербург.
178. Цагарели 1902 = А. А. Цагарели. (ред.). *Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии*, т. II, вып. 2. Санкт-Петербург.

179. Цагарели 1919 = А. А. Цагарели. *Непререкаемые права Грузии на признание ее независимости и на восстановление ее государственных границ*. Тифлис.
180. Alexander 1960 = А. Alexander (rev.) - Gruzinskaya SSR. *Ekonomiko-geograficheskaya kharakteristika*. Moscow 1958, - *Caucasian Review*, No. 10.
181. Alexidze 1995 = Z. Alexidze. The New Recensions of the "Conversion of Georgia" and the "Lives of thirteen Syrian Fathers" Recently Discovered on Mount Sinai. *Settimane di Studio del centro Italiano di stum sull'alto ibedioevo XIII Il Caucaso: Cerniesia fra Culture dal Medditeraneo all Persia (Seccoli 4-11)* 20-26 aprile 1995.
182. Alexidze 2002 = Z. Alexidze. Four Recensions of the "Conversion of Georgia" (Comparative Study). In: *Die Christianisierung des Kaukasus*. W. Seibt (Hrsg.). Wien: Verlag der Osterreichischen Akademie der Wissenschaften.
183. Allen 1932 = W. E. D. Allen. *A History of the Georgian People from the Beginning down to the Russian Conquest in the Nineteenth Century*. London.
184. Allen 1960 = W. E. D. Allen. Ex Ponto, V. Heniochi-Aea-Hayasa. - *Bedi Kartlisa, Revue de kartvélogie*, VIII-IX, 34-35, 1960.
185. Allen 1972 = W. E. D. Allen. *Russian Embassies to the Georgian Kings (1589-1605)*. Vol. I. Cambridge: Cambridge University Press.
186. Allen/Muratoff 1953 = W. E. D. Allen & P. Muratoff. *Caucasian Battlefields. A History of Wars on the Turco-Caucasian Border 1828 - 1921*. Cambridge: University Press.
187. Allison 1999 = R. Allison. The Military and Political Security Landscape in Russia and the South. In: *Russia, the Caucasus, and Central Asia. The 21st Century Security Environment*. R. Menon, Y. E. Fedorov, and Gh. Nodia (eds.). Armonk, New York & London, England: M. E. Sharpe.
188. Anderson 1932 = A. R. Anderson. *Alexander's Gate, Gog and Magog, and the Inclosed Nations*. The Medieval Academy of America. Cambridge, Massachusetts.
189. Archives... = Archives of the Indian Office. - *Persia XXII*. London.
190. Astour 1987 = M. C. Astour. Semites and Hurrians in Northern Transtigris. - *Studies on the Civilization and Culture of Nuzi and the Hurrians*, vol. 2. General Studies and Excavations at Nuzi 9/1. Edited by D. J. Owen & M. A. Morrison. Winana Lake, Indiana: Eisenbrauns.
191. Bedrosian 1991 = R. Bedrosian. *The Georgian Chronicle (Juansher's Concise History of the Georgians)*. Translated from the At' T'iroyan's edition (Venice 1884). Sources of the Armenian Tradition (Series). Long Branch, New Jersey.
192. Blockley 1985 = R. C. Blockley. *The History of Menander the Guardsman*. Introductory Essay, Text, Translation, and Historiographical notes. ARCA, Classical and Medieval Texts, Papers and Monographs, 17. Ottawa: Francis Cairns.
193. Bosworth 1976 = A. B. Bosworth. Vespasian's Reorganization of the North-East Frontier. - *Antichthon*, Journal of the Australian Society for Classical Studies, vol. 10.
194. Bosworth 1977 = A. B. Bosworth. Arrian and the Alani. - *Harvard Studies in Classical Philology*, vol. 81.
195. Bosworth 1996 = A. B. Bosworth. *The Arabs, Byzantium and Iran. Studies in Early Islamic History and Culture*. Collected Studies Series c529. Norfolk.

196. Braund 1993 = D. Braund. King Flavius Dades. – *Zeitschrift für Papyrologie und Epigraphie*, Band 96.
197. Brosset 1850 = M. F. Brosset. *Histoire de la Géorgie de puis l'antiquité jusqu' au XIX siècle*. Vol. 2. St. Pétersbourg.
198. Brzezinski 1997 = Z. Brzezinski. A Geostrategy for Eurasia, *Foreign Affairs*. – vol. 76, no. 5 (September/October).
199. Burney 1966 = C. A. Burney. A First Season of Excavations at the Urartian Citadel of Kayalidere. – *Anatolian Studies* 16.
200. Burney/Lang 1971 = C. Burney & D. M. Lang. *The Peoples of the Hills*. London.
201. Carneiro 1970 = R. L. Carneiro. A Theory of the Origin of the State. – *Science*, vol. 169.
202. Cary 1967 = G. Cary. *The Medieval Alexander*. Cambridge: University Press.
203. Cary 1968 = E. Cary. *Dio's Roman History*. With an English translation by E. Cary on the basis of the version of H. B. Foster, vol. VIII. The Loeb Classical Library. London: William Heinemann & Cambridge, Massachusetts: Harvard University Press.
204. Cary 1969 = E. Cary. *Dio's Roman History*. With an English translation by E. Cary on the basis of the version of H. B. Foster, vol. III. The Loeb Classical Library. London: William Heinemann & Cambridge, Massachusetts: Harvard University Press.
205. Cary 1969a = E. Cary. *Dio's Roman History*. With an English translation by E. Cary on the basis of the version of H. B. Foster, vol. V. The Loeb Classical Library. London: William Heinemann & Cambridge, Massachusetts: Harvard University Press.
206. Chaumont 1976 = M.-L. Chaumont. L'Arménie entre Rome et Iran. In: *Aufstieg und Niedergang der Römischen Welt*, II Principat, 9.1 (Neunter Band, 1. Halbband). H. Temporini (Hrsg.). Berlin, New York: Walter de Gruyter.
207. Claessen/Skalnik 1978 = H. J. M. Claessen & P. Skalnik. The Early State: Theories and Hypothesis. In: *The Early State*. Edited by H. J. M. Claessen and P. Skalnik. New Babylon, Studies in the Social Sciences 32. The Hague, Paris, New York: Mouton Publishers.
208. Claessen & Skalnik 1978a = H. J. M. Claessen, P. Skalnik. Limits: Beginning and End of the Early State. In: *The Early State*. Edited by H. J. M. Claessen and P. Skalnik. New Babylon, Studies in the Social Sciences 32. The Hague, Paris, New York: Mouton Publishers.
209. Claessen & Skalnik 1978b = H. J. M. Claessen, P. Skalnik. The Early State: Models and Reality. In: *The Early State*. Edited by H. J. M. Claessen and P. Skalnik. New Babylon, Studies in the Social Sciences 32. The Hague, Paris, New York: Mouton Publishers.
210. Clavijo 1928 = R. G. Clavjo. *Embassy to Tamerlane 1403-1406* (trans. G. Le Strange. New York & London.
211. Clover 1999 = C. Clover. Dreams of the Eurasian Heartland. The Reemergence of Geopolitics. – *Foreign Affairs*, 1999, vol. 78, no. 2.
212. Coen 2004 = A. Coen. – *The Washington Times*, 20.09.2004.

213. Cohen 1978 = R. Cohen. *State Origins: A Reappraisal*. In: *The Early State*, Edited by H. J. M. Claessen and P. Skalnik. New Babylon, Studies in the Social Sciences 32. The Hague, Paris, New York: Mouton Publishers.
214. Curzon 1854 = R. Curzon. *Armenia: A Year at Erzerum, and on the Frontiers of Russia, Turkey, and Persia*. London: John Murray.
215. Çilingiroğlu 1982 = A. A. Çilingiroğlu. *Diauehi'de Bir Urartu Kalesi: Umdum Tepe (Kalortepe)*. – *Anadolu Araştırmaları*, VIII, 1980. Istanbul 1982.
216. Debevoise 1938 = N. C. Debevoise. *A Political History of Parthia*. Chicago: The University of Chicago Press.
217. Diakonoff 1984 = M. Diakonoff. *The Pre-History of the Armenian People*. Translated from the Russian by Lori Jennings. With revisions by the Author. Delmar, New York: Caravan Books.
218. Diakonoff 1993 = M. Diakonoff. On Hurro-Urartian and South Caucasian. A rejoinder to Gerd Steiner. – *Annual of Armenian Linguistics*, vol. 14.
219. Diakonoff & Kashkai 1981 = I. M. Diakonoff and S. M. Kashkai. *Geographical Names According to Urartian Texts*. Répertoire Géographique des Textes Cunéiformes IX. Beihefte zum Tübinger Atlas des Vorderen Orients, Reihe B, Nr. 7. Wiesbaden: Dr. Ludwig Reichert Verlag.
220. Dinçol/Dinçol 1992 = A. M. Dinçol & B. Dinçol. Die urartäische Inschrift aus Hanak (Kars). In: *Hittite and Other Anatolian and Near Eastern Studies in Honor of Sedat Alp*, ed. H. Otten et al., 1992, 109-117. Anadolu Medenizetlerini Araştırma ve Tanıtma Vakfı Yayınları – Sayı I. Ankara: Türk Tarih Kurumu Basımevi.
221. Drews 1976 = R. Drews. The Earliest Greek Settlements in the Black Sea. – *Journal of Hellenic Studies*, vol. 96.
222. Eck 2000 = W. Eck. Neratius. In: *Der neue Pauly. Enzyklopädie der Antike*. H. Cancik & H. Schneider (Hrsg.), B. 8. Stuttgart, Weimar: Verlag J. B. Metzler.
223. Fähnrich 1986 = H. Fähnrich. *Kurze Grammatik der Georgischen Sprache*. Leipzig: VEB Verlag Enzyklopädie.
224. Gamkrelidze 1998 = T. V. Gamkrelidze. Transkaukasien oder Südkaukasus? Zur Präzisierung einiger Termini aus der geopolitischen Nomenklatur. – *Caucasica, the Journal of Caucasian Studies*, volume 2.
225. Garsoian 1985 = N. Garsoian. *Armenia between Byzantium and the Sasanians*. London: Variorum Reprints.
226. Gledhill 1988 = J. Gledhill. The comparative analysis of social and political transition. In: *State and Society. The emergence and development of social hierarchy and political centralization*. Edited by J. Gledhill, B. Bender, M. T. Larsen. London, etc.
227. Goetze 1950 = A. Goetze. Sin-iddinam of Larsa: New Tablets from His Reign. – *Journal of Cuneiform Studies*, vol. 4.
228. Gugushvili 1936 = A. Gugushvili. The Chronological-Genealogical Table of the Kings of Georgia. – *Georgica*, 1-3.
229. Halfmann 1986 = H. Halfmann. Die Alanen und die römische Ostpolitik unter Vespasian. – *Epigraphica Anatolica, Zeitschrift für Epigraphik und historische Geographie Anatoliens*, Heft 8.



230. Halfmann 1991 = H. Halfmann. 'Nachbehandlung': M. Hirrius Fronto Neratius Pansa. In: *Studien zum antiken Kleinasien*. Friedrich Karl Dörner zum 80. Geburtstag gewidmet (Asia Minor Studien, Bd. 3: Studien zum antiken Kleinasien). Forschungsstelle Asia Minor im Seminar für Alte Geschichte der Westfälischen-Wilhelms-Universität Münster. Für die Red. des vorliegenden Bd. Sind verantwortl.: Antke Schütte, Daniela Pohl und Jutta Teichmann. Bonn: Habelt.
231. Heil 1989 = M. Heil. M. Hirrius Fronto Neratius Pansa, legatus exercitus Africae. — *Chiron*, Mitteilungen der Kommission für Alte Geschichte und Epigraphik des Deutschen Archäologischen Instituts, Bd. 19.
232. Hewsen 1992 = R. H. Hewsen, *The Geography of Ananias of Širak (Ašx-arhac'oyc')*, *The Long and Short Recensions*. Introduction, Translation and Commentary by R. H. Hewsen. Wiesbaden. Beihefte zum Tübinger Atlas des Vorderen Orients, Reihe B, Nr. 77.
233. Hirsch 1973 = E. M. Hirsch. *Die Beziehungen Georgiens zu England und zu Sowjetrußland in der Zeit vom Herbst 1918 bis zum Frühjahr 1921*. Dok. Diss. Wien.
234. Honigmann/Maricq = E. Honigmann & A. Maricq. *Recherches sur les Res Gestae Divi Saporis*. Bruxelles.
235. Hovannisian 1971 = R. G. Hovannisian. *The Republic of Armenia*. Volume I. The First Year, 1918-1919. Berkeley, Los Angeles, London: University of California Press.
236. Hübschmann 1904 = H. Hübschmann. Die altarmenischen Ortsnamen (mit Beiträgen zur historischen Topographie Armeniens und einer Karte). — *Indogermanischen Forschungen, Zeitschrift für indogermanische Sprach- und Altertumskunde*, Bd XVI. Strassburg.
237. Hüsing 1933 = G. Hüsing. *Die Völker alt-Kleinasien und am Pontos*. Wien.
238. Huntington 1996 = S. Huntington. *The Clash of Civilisations and the Remaking of World Order*. New York, 1996.
239. Isaac 1990 = B. Isaac. *The Limits of Empire. The Roman Army in the East*. Oxford: Clarendon Press.
240. Jones 1924 = H. L. Jones (ed.). *The Geography of Strabo*. Cambridge, Mass.: Harvard University Press & London: William Heinemann Ltd.
241. Kammler 1966 = H. Kammler. *Der Ursprung des Staates. Eine Kritik der Ueberlagerungslehre*. Koeln: Opladen.
242. Kavtaradze 1996 = G. L. Kavtaradze. Probleme der historischen Geographie Anatoliens und Transkaukasiens im ersten Jahrtausend v. Chr. — *Orbis Terrarum*, Internationale Zeitschrift für Historische Geographie der Alten Welt, 2, 1996. Stuttgart: Franz Steiner Verlag.
243. Kavtaradze 1999 = G. L. Kavtaradze. The Problem of the Identification of the Mysterious Statue from the Erzerum Museum. — *Caucasica, The Journal of Caucasian Studies*, vol. 3. Tbilisi Ivane Javakishvili State University, Tbilisi: Tbilisi University Press.
244. Kavtaradze 2001 = G. L. Kavtaradze. Georgian Chronicles and the raison d'être of the Iberian Kingdom (Caucasica II). — *Orbis Terrarum, Journal of Historical Geography of the Ancient World* 6, 2000. Stuttgart: Franz Steiner Verlag, 2001.

245. Kazemzadeh 1951 = F. Kazemzadeh. *The Struggle for Transcaucasia* (1921). New York: Philological Library, Oxford: George Ronald.
246. Khazanov 1978 = A. M. Khazanov. Some Theoretical Problems of the Study of the Early State. In: *The Early State*. Edited by H. J. M. Claessen & P. Skalnik. New Babylon, Studies in the Social Sciences 32. The Hague, Paris, New York: Mouton Publishers.
247. Kleiss/Hauptmann 1976 = W. Kleiss & H. Hauptmann. *Topographische Karte von Urartu. Verzeichnis der Fundorte und Bibliographie*. Berlin.
248. König 1955 = F. W. König. *Handbuch der chaldischen Inschriften*, I. Graz.
249. König 1957 = F. W. König. *Handbuch der chaldischen Inschriften*, II. Graz.
250. Kohl 1988 = P. Kohl. The northern "Frontier" of the Ancient Near East: Transcaucasia and Central Asia compared. – *American Journal of Archaeology*, vol. 92, issue 4 (October).
251. Koranashvili 1978 = G. Koranashvili. Early States in Ancient Georgia. In: *The Early State*. Edited by H. J. M. Claessen & P. Skalnik. New Babylon, Studies in the Social Sciences 32. The Hague, Paris, New York: Mouton Publishers.
252. Kurop 1998 = M. C. Kurop. Greece and Turkey. Can They Mend Fences? – *Foreign Affairs*, vol. 77, no. 1.
253. Lamprich 1995 = R. Lamprich. *Die Westexpansion des neuassyrischen Reiches. Eine Strukturanalyse*. Neukirchen: Butzon & Bercker Kevelaer.
254. Lang 1957 = D. M. Lang. *The Last Years of the Georgian Monarchy 1658-1832*. New York: Columbia University Press.
255. Lang 1962 = D. M. Lang. *A Modern History of Georgia*. London.
256. Lehmann-Haupt 1926 = C. F. Lehmann-Haupt. *Armenien einst und jetzt*. Band I. Berlin/Leipzig.
257. Lehmann-Haupt 1931 = C. F. Lehmann-Haupt. *Armenien einst und jetzt*. Band II, 2. Hälfte. Berlin/Leipzig.
258. Liddel/Scott 1950 = H. G. Liddel & R. Scott. *A Greek-English Lexicon*. A New Revised and Augmented throughout by H. St. Jones, vol. II. Oxford: Clarendon Press.
259. Mackinder 1904 = H. J. Mackinder. The Geographical Pivot of History. – *The Geographical Journal*, vol. XXIII.
260. Mackinder 1942 = H. J. Mackinder. *Democratic Ideals and Reality*. New York 1919 (2nd ed.).
261. Markwart 1930 = J. Markwart. Iberer und Hyrkanier. – *Caucasica*, Fasc.6, Leipzig.
262. Marro 2000 = K. Marro. Vers une chronologie comparee des pays du Caucase et de l'Euphrate aux IV^e-III^e millénaires. In: *Chronologies des Pays du Caucase et de l'Euphrate aux IV^e-III^e Millénaires, Actes du Colloque International Organisé par l'Institut Français d'Etudes Anatoliennes d'Istanbul*. C. Marro & H. Hauptmann (eds.). Paris: l'Institut Français d'Etudes Anatoliennes d'Istanbul and de Boccard.
263. Mastny 1999 = V. Mastny. Did NATO Win the Cold War? – *Foreign Affairs*, vol. 78, no. 3.
264. McGing 1986 = B. C. McGing. *The Foreign Policy of Mithridates VI Eupator King of Pontus*. Leiden: E.J. Brill.



265. McGovern 1939 = W. M. McGovern. *The Early Empires of Central Asia*. New York.

266. Minorsky 1952 = V. Minorsky. Review. – *Oriens*, vol. 11.

267. Mitford 1980 = T. B. Mitford. Cappadocia and Armenia Minor: Historical Setting of the *Limes*. In: *Aufstieg und Niedergang der Römischen Welt*, II Principat, 7.2 (Siebenter Band, 2. Halbband). H. Temporini (Hrsg.). Berlin, New York: Walter de Gruyter.

268. Mommsen 1909 = T. Mommsen. *The Provinces of the Roman Empire*, vol. II. London.

269. Nashef 1982 = Kh. Nashef. *Die Orts- und Gewässernamen der mittelbabylonischen und mittelassyrischen Zeit*. Répertoire Géographique des Textes Cunéiformes V. Beihefte zum Tübinger Atlas des Vorderen Orients, Reihe B, Nr. 7. Wiesbaden: Dr. Ludwig Reichert Verlag.

270. Özkaya 1994 = V. Özkaya. Erzurum-Horasan-Aliçeyerek Köyü Yüzey Arařtirması. – *Arařtırma Sonuçları Toplantısı*, XI. Ankara.

271. Olshausen 1979 = E. Olshausen. Zur Frage ständiger Gesandtschaften in Hellenistischer Zeit. In: *Antike Diplomatie*. E. Olshausen (Hrsg.). Darmstadt: Wissenschaftliche Buchgesellschaft.

272. Olshausen/Biller 1984 = E. Olshausen & J. Biller. *Historisch-geographische Aspekte der Geschichte des Pontischen und Armenischen Reiches*, Teil I. Untersuchungen zur historischen Geographie von Pontos unter den Mithradatiden. Beihefte zu Tübinger Atlas des Vorderen Orients, Reihe B, Nr. 29/1. Wiesbaden: Dr. Ludwig Reichert Verlag.

273. Oppenheimer 1926 = F. Oppenheimer. *The State: Its History and Development Viewed Sociologically*. Trans. John M. Gitterman. New York: Vanguard Press.

274. Pätšch 1985 = G. Pätšch. *Das Leben Kartlis. Eine Chronik aus Georgien 300-1200*. Herausgegeben von Gertrud Pätšch. Leipzig: Dieterich'sche Verlagsbuchhandlung.

275. Peeters 1935 = P. Peeters. Sainte Sousesanik, matrire en Armeno-Géorgie. – *Analecta Bollandiana*, t. LIII fasc. III-IV. Bruxelles.

276. Pipes 1997 = Richard Pipes. Is Russia Still an Enemy? – *Foreign Affairs*, volume 76, number 5.

277. Rapp 1997 = St. H. Rapp. *Imagining History at the Crossroads: Persia, Byzantium, and the Architects of the Written Georgian Past*. Ph. D. diss., University of Michigan, 1997. (UMI reprint #9722070).

278. Rapp 1998 = St. H. Rapp (ed.). *K'art'lis c'xovreba. The Georgian Royal Annals and their Medieval Armenian Adaptation*. Vol. I. Anatolian and Caucasian Studies. Delmar, New York: Caravan Books.

279. Rapp 1998a = St. H. Rapp (ed.). *K'art'lis c'xovreba. The Georgian Royal Annals and their Medieval Armenian Adaptation*. Vol. II. Anatolian and Caucasian Studies. Delmar, New York: Caravan Books.

280. Ratzel 1882 = Fr. Ratzel. *Anthropo-Geographie oder Grundzuege der Anwendung der Erkunde auf die Geschichte*. Stuttgart.

281. Ratzel 1891 = Fr. Ratzel. *Anthropogeographie*, zweiter Teil: Die geographische Verbreitung des Menschen. Stuttgart.

282. Rayfield 1994 = D. Rayfield. *The Literature of Georgia, a History*. Oxford: Clarendon Press.

283. Rein 1924 = A. Rein. Grundzuege der Weltpolitik der letzten hundert Jahre. Eine raumpolitische Betrachtung, II. – *Zeitschrift fuer Geopolitik*, Jahrg. 1, Heft 11.
284. Reineggs 1797 = J. Reineggs. *Allgemeine historisch-topographische Beschreibung des Kaukasus*. Aus dessen nachgelassenen Papieren gesammelt und herausgegeben von F. E. Schröter. Zweiter Theil. Hindelsheim und St. Petersburg: bei Gerstenberg & Dittmar.
285. Ridley 1896 = E. Ridley. *The Pharsalia of Lucan*. Translated by Sir Edward Ridley. London: Longmans, Green, and Co.
286. Sagona 2004 = C. Sagona. Did Xenophon Take the Aras High Road? Observations on the Historical Geography of North-East Anatolia. In: *A View from the Highlands. Archaeological Studies in Honour of Charles Burney*. A. Sagona (ed.). (Ancient Near Eastern Studies. Supplement 12). Leuven: Peeters Press.
287. Salvini 1967 = M. Salvini. *Nairi e Ur(u)art̄i, contributo alla storia della formazione del regno di Urart̄u* (Incunabula Graeca, vol. XVI). Roma, edizioni dell'Ateneo.
288. Salvini 1979 = M. Salvini. Problemi di morfologia nominale in urarteo. In: *AION, Annali del Seminario di Studi del Mondo Classico*. Sezione Linguistica.
289. Salvini 1995 = M. Salvini. *Geschichte und Kultur der Urartäer*. Darmstadt: wissenschaftliche Buchgesellschaft.
290. Sarkissian 1965 = K. Sarkissian. *The Council of Chalcedon and the Armenian Church*. London: S.P.C.K.
291. Sayce 1897 = A. H. Sayce. Assyriological Notes. No. 2. – *Proceedings of the Society of Biblical Archaeology*, vol. 19.
292. Schwertheim 1991 = E. Schwertheim. Iupiter Dolichenus, der Zeus von Doliche und der kommagenische Königskult. In: *Studien zum antiken Kleinasien: Friedrich Karl Dörner zum 80. Geburtstag gewidmet*. Forschungsstelle Asia Minor im Seminar für Alte Geschichte der Westfälischen-Wilhelms-Universität Münster. A. Schütte, D. Pohl, J. Teichmann (Hrsg.). Asia Minor Studien, Bd. 3. Bonn: Habelt.
293. Schyboll 1998 = A. Schyboll. Georgisch (III. Literatur). In: *Der neue Pauly. Enzyklopädie der Antike*. H. Cancik & H. Schneider (Hrsg.), B. 4. Stuttgart, Weimar: Verlag J. B. Metzler.
294. Service 1975 = E. R. Service. *Origins of the State and Civilization: The Process of Cultural Evolution*. New York: Norton.
295. Service 1977 = E. R. Service. *Urspruenge des Staates und der Zivilisationen. Der Prozess der kulturellen Evolution*. Frankfurt am Mein.
296. Sestanovich 1996 = S. Sestanovich. Geotherapy. Russia's Neurosis, and Ours. – *The National Interest*, no. 45 (Fall).
297. Sherk 1980 = R. K. Sherk. Roman Galatia: The Governors from 25 B.C. to A.D. 114. In: *Aufstieg und Niedergang der römische Welt*. Geschichte und Kultur Roms in Spiegel der neueren Forschung, II. Principat, siebenter Band (2. Halbband). Herausgegeben von H. Temporini. Berlin, New York: Walter de Gruyter.
298. Sherwin-White 1984 = A. N. Sherwin-White. *Roman Foreign Policy in the East 168 B.C. to A.D. 1*. London.

299. Sinclair 1989 = T. A. Sinclair. *Eastern Turkey: an Architectural and Archaeological Survey*, vol. II. London: The Pindar Press.
300. Sinor, D. 1987. = Sinor, D. 1987. Introduction: The Concept of Inner Asia. In: *The Cambridge History of Early Inner Asia*. D. Sinor (ed.). Cambridge etc.
301. Slattery 1987 = D. J. G. Slattery. Urartu and the Black Sea Colonies: An Economic Perspective. – *Al-Rāfidān* 8.
302. Smith/Thompson 2004 = A. T. Smith & T. T. Thompson. Urartu and the Southern Caucasian Political Tradition. In: *A View from the Highlands. Archaeological Studies in Honour of Charles Burney*. Edited by Antonio Sagona. (Ancient Near Eastern Studies. Supplement 12). Leuven: Peeters Press.
303. Solschenizyn 1994 = A. Solschenizyn. *Die russische Frage am Ende des 20. Jahrhunderts*. Muenchen, Zuerich: Piper.
304. Sonnabend 1989 = H. Sonnabend. Pyrrhos und die „Furcht“ der Römer vor dem Osten. – *Chiron*, Mitteilungen der Kommission für Alte Geschichte und Epigraphik des Deutschen Archäologischen Instituts, Bd. 19.
305. Sonnabend 1998 = H. Sonnabend. Ein Hannibal aus dem Osten? Die „letzten Pläne“ des Mithridates VI. von Pontos. In: *Alte Geschichte: Wege-Einsichten-Horizonte: Festschrift für Eckart Olshausen zum 60. Geburtstag*. U. Fellmeth & H. Sonnabend (Hrsg.). Spudasmata, Studien zur Klassischen Philologie und ihren Grenzgebieten, Bd. 69. Hildesheim, Zürich, New York: Olms.
306. Speidel 1978 = M. P. Speidel. *The Religion of Iuppiter Dolichenus in the Roman Army*. Leiden: E. J. Brill.
307. Speidel 1980 = M. P. Speidel. *Jupiter Dolichenus. Der Himmelsgott auf dem Stier*. Stuttgart.
308. Speidel 1982 = M. P. Speidel. Auxiliary Units Named after their Commanders: Four New Cases from Egypt. – *Aegyptus*, Rivista italiana di egiptologia e papirologia, 62 (1-2).
309. Sprengler 1940 = Oswald Sprengler. *Man and Technics. A Contribution to a Philosophy of Life*. New York.
310. Starr 1997 = S. S. F. Starr. Power Failure. American Policy in the Caspian. – *The National Interest*, no. 47 (Spring).
311. Stein/Rothman 1994 = G. Stein & M. Rothman (eds.). *Chiefdoms and Early States in the Near East. The Organizational Dynamics of Complexity*. Monographs in World Archaeology, no. 18. Madison, Wisconsin: Prehistory Press.
312. Steiner 1992 = G. Steiner. Hurrian and Urartian as Caucasian Languages. – *Annual of Armenian Linguistics*, vol. 13.
313. Steiner 1993 = G. Steiner. Genetic and Areal-Typological Relationships of Languages. A Surrejoinder to Igor M. Diakonoff. – *Annual of Armenian Linguistics*, vol. 14.
314. Streck 1898 = M. Streck. In: *Zeitschrift für Assyriologie und verwandte Gebiete*, Bd 13, 1898, Leipzig/Berlin.
315. Suny 1983 = R. G. Suny. Editorial. In: *Transcaucasia, Nationalism and Social Change (Essays in the History of Armenia, Azerbaijan, and Georgia)*. Edited by Ronald Grigor Suny. East European Series, no.2. Ann Arbor.
316. Suny 1989 = R. G. Suny. *The Making of the Georgian Nation*. Stanford, California: Indiana University Press.



317. Syme 1995 = R. Syme. Flavian Wars and Frontiers. In: *The Cambridge History* vol. VI: The Imperial Peace A.D. 70-192. S. A Cook, F. E. Adcock, M. P. Charlesworth (eds.). Cambridge: Cambridge University Press (First published 1936).
318. Täubler 1909 = E. Täubler. Zur Geschichte der Alanen. – *Klio*, Beiträge zur alten Geschichte, B. 9.
319. Tarnishvili 1947 = M. Tarnishvili. Tarnishvili, M. 1947. Sources arméno-géorgiennes de l'histoire ancienne de l'Église de Géorgie. – *Le Muséon*, vol. 60.
320. Tarnishvili 1955 = M. Tarnishvili. *Geschichte der kirchlichen georgischen Literatur* (Studi e Testi 185). Città del Vaticano: Bibliotheca Apostolica Vaticana.
321. Tarnishvili 1957 = M. Tarnishvili. La découverte d'une inscription géorgienne de l'an 1066. – *Bedi Karthlisa*, vol. 26-27.
322. Tarnishvili 1961 = M. Tarnishvili. Le dieu lune Armazi. – *Bedi Karthlisa* vol. 36-37.
323. Tarn 1984 = W. W. Tarn. *Hellenistic Military and Naval Developments*. Chicago.
324. Thomson 1947 = G. S. Thomson. *Catherine the Great and the Expansion of Russia*. London.
325. Thomson 1976 = R. W. Thomson. *Agathangelos History of the Armenians*. Translation and Commentary by R. W. Thomson. Albany: State University of New York Press.
326. Thomson 1980 = R. W. Thomson. *Moses Khorenats'i. History of the Armenians*. Translation and Commentary on the Literary Sources by R.W. Thomson. Cambridge, Mass., London.
327. Thomson 1996 = R. W. Thomson. *Rewriting Caucasian History. The Medieval Armenian Adaptation of the Georgian Chronicles*. The Original Georgian Texts and the Armenian Adaptation. Translated with Introduction and Commentary by R. W. Thomson. Oxford: Clarendon Press.
328. T'iroyan 1884 = At'. T'iroyan. *Hamarhot patmut'ivn vrats' (Concise/Abridged History of the Georgians)*. Venice (in Armenian).
329. Torelli 1968 = M. Torelli. The Cursus Honorum of M. Hirrius Fronto Neratius Pansa. – *The Journal of Roman Studies*, vol. LVIII.
330. Toumanoff 1943 = C. Toumanoff. Medieval Georgian Historical Literature (VIIth - XVth Centuries). – *Traditio*, I. *Studies in Ancient and Medieval History, Thought and Religion*. New York.
331. Toumanoff 1947 = C. Toumanoff. The Oldest Manuscript of the Georgian Annals: The Queen Anne Codex (QA), 1479-1495. – *Traditio*, V. *Studies in Ancient and Medieval History, Thought and Religion*. New York.
332. Toumanoff 1963 = C. Toumanoff. *Studies in Christian Caucasian History*. Washington: Georgetown University Press.
333. Toumanoff 1967 = C. Toumanoff. Georgia, Church in Ancient, in *New Catholic Encyclopedia*, vol. VI. New York etc.: McGraw-Hill Book Co.
334. Toumanoff 1969 = C. Toumanoff. Chronology of the Early Kings of Iberia. – *Traditio*, XXV. *Studies in Ancient and Medieval History, Thought and Religion*. New York.
335. Toumanoff 1971 = C. Toumanoff. *Caucasia and Byzantium*. – *Traditio* 27.

336. Toynbee 1956 = A. J. Toynbee. *A Study of History*, vol. II. London, New York, Toronto: Oxford University Press.
337. Tseretheli 1915 = M. von Tseretheli. *Georgien und der Weltkrieg*. Zuerich.
338. Tseretheli 1935. = M. von. Tseretheli. The Asianic (Asia Minor) Elements in National Georgian Paganism. – *Georgica*, Journal of Georgian and Caucasian Studies, vol. I, no. 1 London: Austin.
339. Villari 1906 = L. Villari. *Fire and Sword in the Caucasus*. London, New York.
340. Wagner 1852 = M. Wagner. *Reise nach Persien und dem Lande der Kurden*. Erster Band. Leipzig.
341. Wartke 1993 = R.-B. Wartke. *Urartu, das Reich am Ararat*. Kulturgeschichte der Antiken Welt, Band 59. Mainz am Rhein: Verlag Philip von Zabern.
342. Whinston 1895 = W. Whinston et al. *Flavius Josephus. The Works of Flavius Josephus*. Translated by William Whiston, A.M. Auburn and Buffalo. John E. Beardsley.
343. Wilhelm 2004 = G. Wilhelm. Urartian. In: *The Cambridge Encyclopedia of the World's Ancient Languages*. Edited by Roger D. Woodard. Cambridge: Cambridge University Press.
344. Winkler 1988 = G. Winkler. *C. Plinius Secundus d.Ä. Naturkunde*. Lateinisch-Deutsch. Bücher III/IV. Geographic: Europa. Herausgegeben und übersetzt von G. Winkler in Zusammenarbeit mit R. König. Wissenschaftliche Buchgesellschaft, Darmstadt. München & Zürich: Artemis.
345. Yakar 2000 = J. Yakar. *Ethnoarchaeology of Anatolia. Rural Socio-Economy in the Bronze and Iron Ages*. Tel Aviv University Sonia and Marco Nadler Institute of Archaeology, Monograph Series 17. Tel Aviv: Emery and Claire Yass Publications in Archaeology.
346. Zimansky 1985 = P. E. Zimansky. *Ecology and Empire: The Structure of the Urartian State*. Studies in Ancient Oriental Civilization, no. 41. Chicago: The Oriental Institute.

სარჩევი

შესავალი	3
ადრეულ სახელმწიფოთა წარმოქმნა-ჩამოყალიბების თავისებურებანი	5
დაიაენი/დიაუხის ქვეყანა – ქართული სახელმწიფოებრიობის საწყისები?	14
იბერიის სამეფო და მისი "არსებობის არსი"	45
კავკასიონი – სასაზღვრო ზონა	112
შუასაუკუნეების ქართული სახელმწიფოების პოლიტიკური ფუნქცია	119
მრავალსაუკუნოვანი ქართული მონარქიული სახელმწიფოებრიობის აღსასრული	133
საქართველოს ახალი ისტორიის ზოგიერთი საკითხი	171
ისტორიული გამოცდილება და თანამედროვე პერსპექტივები	196
Problems of the Development of State in Georgia (Summary)	219
გამოყენებული ლიტერატურა	225



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0128, ი. ჯავახიშვილის გამზ. 1, ☎: 29 09 60, 8(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge